

୧୮୦  
୨୦୦୬

# ପାଠୀଙ୍କଣ୍ଠ

## ଫୋଟୋଗ୍ରାଫିକ୍ ଚିତ୍ରାଳୋଗିକ୍



იგანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიური  
ინსტიტუტი

The Javakhishvili Institute of History and Ethnology



# ქართული წყაროთმცოდნეობა

## Georgian Source-Studies

XI

ეძღვნება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებს  
მამისა ბერძნიშვილს და ლიანა დავლიანიძეს

Dedication to the doctors of historic sciences  
**Mamisa Berdznishvili and Liana Davlianidze**



197

თბილისი  
Tbilisi  
2006

902.9 (C 41)

902 (47.922)

ქ. 279

კრებულში შესულია სტატიები საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნების საკითხებზე. საგანგებო ნაშრომები კძრვნება ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დაწლომოსილი თანამშრომლების ისტორიის მეცნიერებათა დოქტორების მათისა ბერძნიშვილის და ლიანა დავლიანიძის შემოქმედებას. წარმოდგენილია მათი ნაშრომების სია.

The collection presents papers on the different issues of the Georgian history and source-studies. Special articles are dedicated to the scholarly activities of the Meritorious Science Workers Mamisa Berdzhishvili and Liana Davlianidze. The lists of their works are included.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. გიული ალასანია

რევიზინიტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვაჟა კიკაძე  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი შანანა სანაძე

კრებული გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის გამომცემლობაში “მემატიანე”

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მარიამ ბუტიკაშვილი  
ანა რუაძე



მამისა ბერძნიშვილი



## მამისა ბერძნიშვილის 75 წლისთავის გამო

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ქალბატონ მამისა ბერძნიშვილს 75 წელი შეუსრულდა. ის დაიბადა ქ. თბილისში ცნობილი ისტორიკოსის მაქსიმე ბერძნიშვილის ოჯახში, ბავშვობიდანვე ჩაენერგა თავისი ქვეყნის წარსულისადმი ინტერესი, რაც თანდათან დაივდებოდა შრომისმოყვარეობის კვალდაკვალ. სწავლით და იმდოონდელი თბილისის ერთ-ერთ ცნობილ სახწავლებელში – მესამე საცდელ-საჩვენებელ სკოლაში (შემდგომში იღ. ჭავჭავაძის სახელობის მე-3 სკოლა), რომელიც დაამთავრა 1943 წელს. იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორია-ფილოსოფიის ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის განყოფილებაზე. 1945 წ. დაენიშნა მაშინდელი სტუდენტის გამორჩეულობის აღნიშვნელი სტალინის სახელობის სტიპენდია, უნივერსიტეტი დაამთავრა 1948 წელს წარჩინებით. იქვე ჩაირიცხა ასპირანტად ისტორიის ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე. აქ მის მეცნიერულ დაოსტატებას ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ნიკო ბერძნიშვილი. 1956 წ. მ. ბერძნიშვილმა მუშაობა დაიწყო მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.

ამ დროს უკვე დაცული პჰონდა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (1953 წ.). ამრიგად, ის ინსტიტუტში მოვიდა როგორც საქმაოდ გამოცდილი მკლევარი, რომელსაც მოეპოვებოდა შემდგომი მუშაობის გეგმა და თავისი ინტერესები. მისი სადისერტაციო თემა – „ნიკორწმინდელის დაწერილი“ XI საუკუნისა, როგორც საისტორიო წყარო“, შეიცავს მრავალ საურადებო მასალას საქართველოს ისტორიისათვის. მ. ბერძნიშვილმა მოგვიანებით (1979 წ.) ის ცალკე წიგნად გამოაქვევნა.

აქ უპირველეს ყოვლისა საქმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი საბუთის ანუ დოკუმენტის, როგორც საისტორიო წყაროს, დაბასიათებას. წარმოჩენილია, რომ მასში აღწერილი კოთარება უთურდ თანამედროვებისა და თანადამხვდურის მიერ არის გადმოცემული, რაც ანიჭებს საბუთს განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ავტორის ინტერესის სფეროშია დოკუმენტის გარებრული სქემაც. ჩანს, რომ საბუთი დგებოდა ერთხელ ჩამოყალიბებული და ტრადიციულად ქცეული ტრაგარეტული გამოთქმებისაგან. შემდეგ ის უცელელად გადადიოდა საუკუნიდან საუკუნეში. ამასთანავე ყოველი საბუთის შინაარსი ინარჩუნებდა თავისითავადობას. XI ს-დან შემორჩენილია ხუთი სახელის ექვსი დოკუმენტი (ანგარიშება, განჩინება, შეწირულობის სიგელი, წყალობის სიგელი, ბოძების „დაწერილი“) ყველა თავისი სქემით, თანმიმდევრობით და ტრაფარეტული გამოთქმა-ფორმულებით. მათი ზოგადი სახელი, „დაწერილი“, X ს-ის მეორე მეოთხედიდან მეფის სახელით გაცემულ დოკუმენტი „სიგელით“ არის შეცვლილი, „დაწერილი“ კი არამეფეთა გაცემულ საბუთებს შერჩა. XV ს-დან ორივე საბუთის აღსანიშნავად „წიგნი“ შემოდის. ამგვარ საკითხებთან ერთად მ. ბერძნიშვილი გვერდს არ უვდის საბუთის შემდგენის ვინაობის დადგენას, საბუთის დათარიღებას. კელევის პროცესში იშველიერი წყაროებსა და შესაბამის ლიტერატურას, საბოლოო დასკვნის მიხედვით ნიკორწმინდელის „დაწერილი“ 1071

წელზე უადრეს ვერ შედგებოდა, ნიკორწმინდა კახაბერიძეთა საგვარეულო მონასტერი უკრაინაში რია, ხოლო ნიკორწმინდელი – მათი მონასტრის წინამძღვარი. უკრაინაში

მ. ბერძნიშვილი ამ საბუთზე მუშაობისას მხოლოდ ზემოთქმულით არ ითარება. ის დაწვრილებით სწავლობს მასში ასახულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას, იხილავს ნიკორწმინდელის მეურნეობას, ასკენის, რომ ის წარმოადგენდა ტიპიურ ფურდალურ მეურნეობას და თვითონ ნიკორწმინდელიც საერთო ფერდალის შეგავსი იყო. ადგდგნილია სოციალური სერატი, იქვეთება ნიკორწმინდის მონასტრისაგან დამოკიდებულების სამი სახე: ბეგარა, კაბალა, მოკიდება. სამივე ეს სახე მაღალგანვითარებული ფერდალიშის შემაღაცენებით ნაწილია. აქვე ნაჩვენებია XI ს-ის საქართველოს „შინაური ყოფა „დაწვრილის“ მიხედვით.

ამ საბუთებზე მუშაობამ მ. ბერძნიშვილს გაუცხოველა ინტერესი XI-XII სს-ის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მიმართ. 1970 წ. გამოიცა მისი წიგნი – „საქართველო XI-XII სს-ში (სოციალურ-ეკონომიკური ნარკევენი“). აქც ავტორისეული გულმოდგინებით განხილულია აღნიშნული სფეროს არაერთი მხარე. კერძოდ, შესწავლილია XI-XII სს-ის სოციალური ფენები საქართველოში: – თავისუფალი მიწისმოქმედები, ფერდალთა კლასი და მათი აღმნიშვნელი ტერმინოლოგია ქართულ საისტორიო წყაროებში („დიდებული“, „წარჩინებული“), ფერდალთა საგამგეო მეურნეობა, აქ არსებული მოხელეები და სხვ.

ასევე წარმოდგენილია სოციალური ურთიერთობანი მთაში, განხილულია კონიმიკური საკითხები, შესაბამისად ყურადღება გამსახვილებულია ადმინისტრაციულ დანაწილებაზე, მონაპირე საერთოსავოებზე, არაქართული მიწების მშართველობაზე, იქაურ ფისკალურ მოხელეებზე, ხარეზე და სხვ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მ. ბერძნიშვილის ის სტატიები, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკურ საერთებზეა აგებული. მათ შორის განსაკუთრებით უნდა იქნეს მოხსენიებული „გლეხთა კატეგორიები XI-XII სს-ის საქართველოში“, „გლეხთა გამოსადები XI-XII სს-ის საქართველოში“, „სვანური დოკუმენტები, როგორც წყარო XIV-XV სს. სვანთა სოციალური ისტორიის შესახვალა“, „საქართველოს სოფელი (XI-XII სს.)“, „საზოგადოებრივი ფენები XI-XII სს. საქართველოში“ და სხვ.

აღნიშნულის გვერდით ზემოთ დასახელებულ მონოგრაფიაში მ. ბერძნიშვილის მიერ მითითებულია ქართული სამეფო-სამთავროების საზღვრები და არაქართული მიწები საქართველოს შემაგრებულობაში. აქ კარგად იკვეთება მისი სერიოზული მომზადება საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის მიმართულებით. ამავეს ადასტურებს შემდგენ სტატიები: „საქართველოს სახელმწიფო საზღვრები XIII ს. დამდეგებ“, „საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა (IX-XIII სს.)“, „დოკუმენტური წყაროები XVI-XVIII სს. კახეთის სამეფოს საზღვრების შესახებ“, „ქ. თბილისის ტერიტორია და მოსახლეობა XVII ს-ში“, „თბილისის ტერიტორია და მოსახლეობა XVIII ს-ში“ და სხვ. დასახელებული კვლა სტატია გამოქვეყნებულია. მ. ბერძნიშვილმა მნიშვნელოვანი წელილი შეიტანა ისტორიული გეოგრაფიის კვლევის საქმეში.

„ნიკორწმინდელის დაწვრილის“ შემდეგ, თავისი მოღვაწობის ისევ დასაწყის პერიოდში, მ. ბერძნიშვილი დიდი გულმოდგინებით იწყებს მუშაობას ნ. ბერძნიშვილთან ერთად თბილისის დოკუმენტებზე. მათ მიერ გაუშული შრომის ნაყოფი იყო 1962 წ. გამოცემული „დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.)“. წიგნში შესული დოკუმენტების ერთობა მკითხველს წარმოუდგენს თბილისის სოციალურ-ეკონომიკურ ისტორიას ოთხი საუკუნის მანილზე. მასალის მრავალფეროვნება შესაძლებლობას იძლევა მის საფუძველზე შეიქმნას სპეციალური მონოგრაფიები. ერთ-ერთი



ასეთიაგანია მ. ბერძნიშვილის ნარკვევი „თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეების შემთხვევაში“ (ქართული დოკუმენტური მასალის მიხედვით)“.

ვიდრე ამ მონაცემებზე შევრჩერდებოდეთ, აქვე გავიხსენებთ მ. ბერძნიშვილის პირველ პუბლიკაციას სათაურით: „მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის“ (1958 წ.). ეს წიგნი ოფიციალური ისტორიისათვის შერჩეული საბუთების დამაგირგვინებელი ნაწილია. დოკუმენტებზე მუშაობამ მისცა სამუალება ქალბატონ მამისას შევდგონა ამ მასალისათვის ლექსიკონი, საკუთარი და გეოგრაფიული სახელების, ასევე ტერმინთა საძიებელი. ვისაც ამგვარ საქმეზე უმუშავია, დაგვეთანხმება, რომ მის შესადგნად დიდი ცოდნაა საჭირო და მოთმინებაც. მ. ბერძნიშვილმა ამ წიგნის გამოცემისათვის ნ. ბერძნიშვილის, ამ შემთხვევაში წიგნის რედაქტორის, განსაკუთრებული მაღლობა დაიმსახურა.

რაც შეეხება ზემოთ მოხსენიებულ „თბილისის გარეგან სახეს XVIII ს-ის“, ეს მეტად საინტერესო შენაძენია ქართული ისტორიოგრაფიისათვის. ამ შემთხვევაში ავტორს დოკუმენტებზე დაყრდნობით აღდგენილი აქვს XVIII ს-ის ქალაქის უმთავრესი უბნები, დახასიათებულია ამ უბნებში შემავალი ქუჩები, მირითადი ნაგებობები, შესწავლილია საცხოვრებელ სახლთა გარეგანი სახე, ასევე საქალაქო მუზენეობა, მაგალითად, მ. ბერძნიშვილის დაკვირვებით თბილისის გარეგებულ აღგილებში წყალი სკეციალური მიღებით შემოსავდათ. 1679 წლის ერთი საბუთის მიხედვით მას „გამომშვები მიღი“ ეწოდებოდა. ქალაქს პქნენდა სამეფო და ეკრძო აუზებიც, მათში დამდგარი წყალი ადგილ-მამულების მორწყვას ხმარდებოდა. ამ საკითხებთან დაკავშირებით მოყვანილია არაერთი დოკუმენტური მასალა, საიდანაც კარგად ჩანს წყლის გამოყვანი მიღების სიმრავლე, წყაროების სიშორე, ხოლო მათი მდებარეობა განსაზღვრავდა თიხის მიღლა მაგისტრალის სიგრძეს. ყოველივე ეს მიუთითებს წყლის მკურნეობის მაღალ დონეზე. ასეთ საკითხებზე დაკვირვება აგტორის დიდ გამოცდილებაზე მიინიშნებს.

განსაკუთრებით გამოყოფილია მ. ბერძნიშვილის მიერ ქ. თბილისში არსებული რასტაბაზარი და ჩორსუ. რასტაბაზარი დოკუმენტებში იხსენიება XVII ს-დან, ეს საარსული სიტყვაა და ნიშნავს ერთ მწერივზე განლაგებულ სავაჭროთა რიგს. მართლაც საბუთებზე დაყრდნობით ჩანს თბილისში არსებული რასტაბაზარი; ბატონის მოედნიდან იწყებოდა ხარაჭხანა და სარაჯხანა. ორივე ეს რიგი ერთად შეადგენდა რასტაბაზარს, ანუ ერთ ხაზზე გაჭიმულ დუქებს. მის ბოლოს იყო გზაჯვარედინი (ზაზაზხანისა და ჭონხანისა გადაკვეთა ხარაჭხანაზე), რომელსაც ერქვა ჩორსუ. ამ შემთხვევაშიც სახელი და ცნება ირანიდანა შემოტანილი. იქაც გზაჯვარედინებზე გამართულ ბაზარს ჩორსუ ერქვა და თავზე გუმბათი ედგა. ჩვენშიც ჩორსუ გადახურული ყოფილა და თაღქვეშ მდგარა. აღნიშნულ ტერმინებს პირველად მ. ბერძნიშვილმა მიაქცია უურადღება და დაადასტურა მათი მნიშვნელობა XVIII ს-ის თბილისის სინამდვილეში. გარდა აქ აღნიშნულისა, წიგნი შეიცავს უამრავ საყურადღო მასალას. ყველა მათგანი ჩვეული უურადღებით და საქმის ცოდნით არის დამუშავებული.

ქ. თბილისს უკავშირდება მ. ბერძნიშვილის მიერ გამოცემული სტატია „ქალაქური ეკონომიკის ტერმინოლოგიდან – „დანიმი““ (ქართ. წყაროთმცოდნეობა, IV). მან საყურადღებოდ მიიჩნია XVIII ს-ის თბილისის შესახებ არსებული დოკუმენტურ მასალაში ხშირად ხმარებული სიტყვა „დანიმი“. აღმოჩნდა, რომ სიტყვა საარსული წარმოშობისაა და ნიშნავს რაიმე თანხის მეთვედის ნახევარს, ანუ ხუთ პროცენტს. სათანადო კელევის შედეგად მ. ბერძნიშვილი ასევნის, რომ დანამი“ იყო უძრავი ქო-



ნების მყიდველის მიერ გადახდილი თანხისაგან სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩაღადული ხუთი პროცენტი. ასეთი ტერმინების გარკვევა განსაკუთრებით აუცილებელია XVII-XVIII სა-ის საბუთების შესწავლის დროს, რამდენადაც მათშია თავმოყრილი აღმოსავლური ტერმინები, რომლებიც ნათელს ფენენ საქართველოსთან დაკავშირებულ არაერთ საკითხს.

ცალკე უნდა აღინიშნოს 1985 წ. გამოქვეყნებული კ. დონდუას მიერ რუსულად ნათარგმნი თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის ნაშრომი („ცხოვრება მეფეთა მეფისა თამარისი“). გამოცემას წამძღვარებული აქვს მ. ბერძნიშვილის გამოკვლევა სათაურით: „თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი და მისი თხზულება“ (რუსულ ენაზე) და დართული აქვს მეტად საყურადღებო შენიშვნები. აქვე გავხსენებ, რომ თარგმანი კუპიურებით დაიბეჭდა 1938 წ. ლენინგრადში შოთა რუსთაველის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებულ კრებულში. ამჯერად მ. ბერძნიშვილის გამოცემულ ამ წყაროში შესულია თამარის მეორე ისტორიკოსის ტექსტის კ. დონდუასული სრული რუსული თარგმანი, თუმცა იმის გამო, რომ ხელნაწერის სახით მოღწეულ თარგმანს რამდენიმე გვერდი აქლდა, ის შეავსო მ. ბერძნიშვილმა იმდენად მაღალ დონეზე, რომ მქრლი გამოსარჩევი რუსული ენის ბრწყინვალე მცოდნის კ. დონდუას თარგმანისაგან.

80-იან წლებში მ. ბერძნიშვილი დაინტერესდა ქართული ეპისტოლოგით. 1989 წ. დაიბეჭდა მისი წიგნი „ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი, I“. აქ თავმოყრილია თბილისის სიძველეთა საცავებში დაცული ეპისტოლური მასალის დედნები XV ს-დან 1762 წლამდე (თვიმურაზე-ერკელს ერთობლივი მეფიების დასასრულამდე). სხვადასხვა პირთა და სხვადასხვა ხანის მიწოდებული მნიშვნელოვანი წყაროა განსაკუთრებით საზოგადოებრივი ოზრისა და კულტურული დონის შესასწავლად. მ. ბერძნიშვილი გამოსყოფს წერილთა ჯგუფებს და წერილის დაწერის საერთო სქემებს (მიმართვა, სახელდება, თხრობა, ხელოთვა, თარიღი და მოკითხვა-მადლობები). აღნიშნულია ამ მიმართულებით წინამორდებთა დამსახურება: წერილთა პირველი კლასიფიკატორის სულხან-ხაბა ორბელიანისა და შემდეგ ამბორის ნეკრესელის (მიქაელ, 1728-1815), რომელმაც დატოვა სამოქალაქო, საეკლესიო და კურძო მიმოწერის ნიმუშების კრებული – „ბარათების წიგნი“ დალაგებული ხაჯუთარი კლასიფიკაციით.

მ. ბერძნიშვილმა შეიმუშავა ეპისტოლური მასალის გამოქვეყნების წესიც: თვმატური და ქრონოლოგიური, აღნიშნულია, რომ ეპისტოლური მასალების მემკვიდრეობა ცალკე კრებულთა სახით, ნაკლებად იბჟვდებოდა, ქვეყნებოდა მხოლოდ ცალკეული ნიმუშები სხვა დოკუმენტებთან ერთად. მაგალითთან, ექ. თაყაიშვილის, ს. კაპაბის, დ. მეგრელიძის, მ. ქავთარიას და სხვათა შრომებში. ჩვენი ავტორის წიგნში ყველა წერილს ახლავს სათანადო განმარტება იქვე არსებულ შენიშვნებში, რაც მხოლოდ წერილის შინაარსით კი არ არის შემოფარგლული, არამედ ძირიფასი შენაძენია საერთოდ საქართველოს ისტორიისათვეის.

1989 წლსვე დაისტამბა მ. ბერძნიშვილის კიდევ ერთი წყაროთმცოდნეობითი ნაშრომი – „ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის წერილი პირობითი წყაროები“. მასში განხილული ნარატიულ და დოკუმენტურ წერილობით წყაროების გვარში შემავალი ზოგი სახეობა და ქვესახეობა, მოცემულია მათი წყაროთმცოდნეობითი ანალიზი: დაგენერილია წყაროს სანდობა, წარმომჩნილია მისი პირობითი ფორმულარები, ჩატარებულია შინაგანი ფორმის კვლევა და შესწავლილია წყაროს შინაარსი.

მ. ბერძნიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებებზე, რომ XVI ს-დან შეინიშნება ძირითადი ცნებების აღრევა, მაგ. „სიგელი“ უკვე არა მარტო შეფისაგან გაცემული საბუთია, არამედ კურძო პირისაგანაც. ამავე პერიოდიდან საბუთთა გამა-



ერთიგნებელი „წიგნი“ მსაზღვრელთან ერთად გამოხატავს საბუთის რაობას საკუთრებულ შეწრეულობის წიგნი“, „ასატობის წიგნი“, „სითარხნის წიგნი“ და სხვ. ავტორების დასტურების ვირვებით პარალელურად ქართული ფორმებისა გვიან შეა საუკუნეებში შემოდის აღმოსავლური სახელწოდებები: თამასუქი, მუჯადამა, და ა. შ. გეხვდება ახალი ფორმა „ბრძანებაც“, რომელიც გაიცემოდა მცირისა და დიდობელელეთაგან, ხოლო პოლიტიკური სიტუაციის ცვალებადობასთან ერთად XVI-XVIII სს-ში ხშირად იცვლება მეფის ტიტულატურაც. ამავე წიგნში მ. ბერძნიშვილი დაწერილებით განიხილავს „ხასყიდობის წიგნებს“, აყალიბებს მათ ზოგად სქემებს, ახასიათებს ვალის ხელწერილის აღმიშვნელ არბიტრიდან მომდინარე ტერმინი „თმიასუქს“.

დიდ ადგილს უთმობს არააქტებს ანუ არაიურიდიულ დოკუმენტებს (ანგარიშგაბებს, არზებებს), ასევე გაისხოლურ წყაროებს და ხელნაწერთა მინაწერებს. იმის ნათელება გამოყვად თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვთ ანდერძ-მინაწერებს საქართველოს ისტორიისათვის, სანიმუშოდ განიხილავს ავტორი ტბეთის სახარების ერთ მინაწერს, დაწერილებით აანალიზებს მას და გამოაქვს დასკვნა. წიგნის ეს ბოლო გვერდები სამაგალითო ნიმუშია იმისა, თუ რაოდენი ინფორმაცია შეუძლია შესძინოს მეცნიერების ისტორიას ერთხა მინაწერმა, თუ ის მოხვდება დაკვირვებული და ერუდირებული მეცნიერებარის ხელში.

დაბოლოს უკურადღებას გავამახვილებთ მ. ბერძნიშვილის მიერ გაწეულ დიდ დაწმუნებულ კარტოგრაფიის დარღვე. მას შედგენილი და გამოცემული აქვს შემდგვი ისტორიული რუკები – „საქართველო IX-X სს-ში“ (თანაავტორი ნ. შოშიაშვილი); „საქართველოს სახელმწიფო XVIII ს-ის დამდეგებს (თანაავტორი ალ. ასლანიშვილი); „საქართველოს სახელმწიფო და მისი მეზობელი ქაუკნები XIII ს. დამდეგებს“; „აანათლების ქრისტიანობის ცენტრები საქართველოს საზღვრებს გარეთ“. ჩემთვედლილი რუკები დაიბჭიდა „საქართველოს სსრ ატლასში“, ასევე ცალკე უზრუნველებზე „საქართველოს ისტორიის ნარკევების“ III და IX ტომებში. კველა მათგანი დაბეჭდილია მსხვილი შრიფტით. ამასთან ერთად დიდი შრომა გასწია ვახუშტის საქართველოს ატლასების გამოცემაზე (1997 წ.).

ამრიგად, ქალბატონი მამისა ფართო ინტერესების მქონე ღრმად ერუდირებული მეცნიერარია. როგორც ზემოთ აღინიშნა, ის ერთ-ერთი ავტორთაგანია „საქართველოს ისტორიის ნარკევებისა“, აქტიურ მონაწილეობას დებულობს საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნების დამხმარე სახელმძღვანელოს შედგენაში. მან ამ სახელმძღვანელოსათვის დაწერა „ნარკევები XI-XII და XVIII საუკუნეთა ქართველი ისტორიკოსების შესახებ“, მონაწილეა აგრეთვე „ქართული ისტორიული მეცნიერების ისტორიის ნარკევების“ შექმნისა, არის „თბილისის ისტორიის“ ორტომეულის ავტორთა კოლექტივის და რედაკტორების წევრი, აქტიურად თანამშრომლობდა „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“, დიდი დრო და ენერგია მოახმარა ცნობილი მეცნიერების მექმეციდრების შესწავლასა და გამომზეურებას (მუშაობდა აკადემიკოს ნიკო ბერძნიშვილის და პროფ. ვარდამ დონდუას არქივებზე). მანვე გამოსაცემად მოამზადა და მისი რედაქტორობით დაიბეჭდა ცნობილი მოღვაწის მაქსიმე ბერძნიშვილის „მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის“ (1980, 1982 წწ.).

მ. ბერძნიშვილი ხშირად მონაწილეობდა წყაროთმცოდნებითი პრობლემების და სსრკ ისტორიული ატლასის შედგენისადმი მიღღინილ საქავშირო და რესპუბლიკურ სესიებში. ის იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილებასთან არსებული სამეცნიერო საბჭოს წევრი.



მონაწილეობას იდებდა და იღებს საერთაშორისო, რესპუბლიკურ და საინსტიტუტო ტურნირების კონფერენციებსა და სესიებში. მისთვის არც ახალგაზრდებთან მუშაობის მიხედვაზე რანგის მიზანის სამართლებრივი სამსახურის მიერ მიმდინარეობდა არის „უცხო. მისი რედაქტორობით დაიბეჭდა რუსულ ენაზე თარგმნილი ქართული საინსტრუქციები, რედაქცია გაუქმდა 6. ბერძნენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხების“ VII ტომს და სხვ.

მ. ბერძნიშვილი მოვალი მოდვაწეობის მანძილზე თავის საქმეს აკეთებდა ყოველგვარი ხმაურისა და ხაზგასმულობის გარეშე. ყველა მისი შრომა ხასიათდება სიღრმით და სანდოობით, სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტით, პიროვნულად არის გულისხმიური და მოკრძალებული, თუმცა პრინციპული და პირდაპირი.

ამჟამად ქალბატონი მამისა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელია. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ჩვეული გულმოყვითალით იკვლევს საქართველოს ისტორიის საკითხებს და სისტემატურად ამდიდრებს მას მნიშვნელოვანი საკითხებით.

გუსურვებთ დვაწლმოსილ მეცნიერს ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს თავისი სამშობლოს საქმიანობის მიზანის სამართლებრივი სამსახურის მიერ მიმდინარეობდა არის „უცხო. მისი რედაქტორობით დაიბეჭდა რუსულ ენაზე თარგმნილი ქართული საინსტრუქციები, რედაქცია გაუქმდა 6. ბერძნენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხების“ VII ტომს და სხვ.



ლიანა დავლიანიძე

## ლიანა დავლიანიძემ 1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (არმენოლოგის განხილით) წარჩინებით, იმავე წელს დროებით მუშაობა დაიწყო აქად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში. 1953 და 1954 წლების ზაფხულში მუშაობდა მცხეთის ტურისტულ ბაზაში ქქსურსის მძღოლად. რამდენადაც მცხეთა და მისი შემოგარენი მდიდარია სიძღვლეთა საინტერესო ძეგლებით (ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველი, სამთავრო, ბერის ციხე...). ქქსურსის მძღოლებს სათანადოდ ამზადებდნენ აქ სამუშაოდ. და დავლიანიძეს კრისულტაციას უწევდა და გზამკვლევის შედგენის დროს სათანადოდ ეხმარებოდა ცნობილი სურომოძღვარი პ. ზაქარაია. მცხეთის ტურისტის იმდროინდელი დირექტორის ვ. ბაკურაძის სიტყვით „და დავლიანიძე იყო უაღრესად თავდადებული თავისი მოვალეობის შესრულების დროს“.

იმავე 1954 წ. სამუშაოდ გადავიდა საქ. მეცნ. აკადემიის ვარმის მუზეუმ-ნაცრალში უმცრ. მეცნ. თანამშრომლის თანამდებობაზე. აქაც, როგორც ამ დაწესებულების დირექტორი კ. მელითაური აღნიშნავდა, იგი „ეუთილსინდისიერად ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას“.

1957 წელს ვარძიის მუზეუმი შეუკრიდა ივ. ჯავახეშვილის სახ. ისტორიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტს, სადაც ამავე წლის 1 ივნისიდან დღემდვ ლიანა დავლიანიძე მუშაობს წყაროთმცოდნეობის განხოფილებაში ჯერ ლაბორანტად, ხოლო შემდეგ უმცროს, უფროს და წამყვან მეცნიერ თანამშრომლად. მან 1970 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1990 წ. საღოქტორო. ამავე წელს შეთავსებით მუშაობა დაიწყო საქ. ტექნიკურ უნივერსიტეტში ჯერ უფროსი მასწავლებლის, ხოლო 1992 წლიდან პროფესორის თანამდებობაზე. ლექციებს კითხულობდა კონფლიქტოლოგიის, სიძღვლითა ექსპერტიზისა და საერთაშორისო ურთიერთობების უაღლებებზე. სტუდენტებს უკითხავდა როგორც საქართველოს ისტორიას, ასევე სომხეთისა და კავკასიის ალბანეთის ისტორიას. 1995 წელს მას მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის სპეციალობით.

და დავლიანიძის პირველი სამეცნიერო ნაშრომი – „К изучению Цундско-Тмогвских хачкаров (крестов-камней), Вестник Гос.музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XX-B, 1959“ დაუწენებულია ვარძიაში მუშაობის პერიოდში თმოგვის ციხის ძირში შემთხვევით აღმოჩნდილ სომხურენოვან ქვაჯვარებზე, რომლებიც თარიღის მიხედვით განეკუთვნებიან 1356 წლიდან 1425 წელს. ისმება კითხვა, რატომ მაინცდამაინც აღნიშნულ პერიოდში ჩნდება აქ სომხურენოვანი ქვაჯვარები, ანუ „ხაჩარები“? ავტორი ამ კითხვასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ მესხეთი 1266 წლიდან გამოყენ აღმოსავლეთ საქართველოს. სარგის ჯაყელმა თავისი სამფლობელო უშუალოდ დაუკავშირა მონღოლებს. ამდენად მესხეთში იქლო მონღოლების ძალმომრეობამ, სარგის ჯაყელის შემცირდება ძექა I (1285-1306) ცნობილია თავისი საკანონმდებლო და აღმშენებლობითი მოღაწეობით, ასევე სამართლიანობით და ქვრივ-ობოლოთა დახმარებით. ასეთ სიტუაციაში მესხეთისაკენ ისწავლით უშუალოდ დაუკავშირა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრები, არამედ მონღოლთა შეტევებით უშვიწროვებული სომხებიც. გაძარცვული მოსახლეობა ტოვებდა თავის საცხოვრებელს და მახლობელ თუ შორეულ ქვეყნებს

აფარებდა თავს. XIII-XIV სს-ში სომხეთში ქმიგრაციამ ფართო ხასიათი მიიღო, ეთომა ნაწილმა, შესაძლებელია. სწორედ მესხეთს შეაფარა თავი, სადაც მოქადაცებული ნაში თომოვგ-ნაქალაქევის მიდამოებში გაჩნდა მათი სასაფლაოები, რაზედაც მიუთითებენ მემორიალური ქაჯვარები (უნდა აღინიშნოს, რომ ამ დასკვნას თავის დროზე დაეთანხმა აკად. 6. ბერძნიშვილი).

როგორც აღნიშნა, ლ. დავლიანიძე 1957 წლის 1 ივნისიდან მუშაობს ისტორიის და არქეოლოგიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნებობის განყოფილებაში, სადაც მას დახვდა მაღალი კვალიტიკაციის პროფესიონალები: ბატონები სიმონ ყაუხებიშვილი, ვარდამ დონდურა, მაქსიმები ბერძნიშვილი, ვლ. ფუთურიძე, მიხ. კახაძე, შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ თვალსაჩინო მკვლევარები თინაოთი ყაუხებიშვილი და ალექსანდრე გამჭრელიძე. შემდგომში ამავე განყოფილებაში დაიწყეს შუშაობა აღმოსავლეთმცოდნებებმა: რ. კიქაძემ, კ. ტაბატაძემ, ბ. სილაგაძემ, ნ. შენგლიამ და სხვ. მათთან ურთიერთობაში ლ. დავლიანიძემ გაიარა წყაროთმცოდნებობის დიდი სკოლა. ამ მხრივ მას წყაროს შესწავლის თავისი მეთოდი აქვს. პირველყოვლისა არკვევს წყაროს მნიშვნელობის საკითხს საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით, შემდეგ იწყებს ძველი სომხურიდან ქართულად თარგმნას და მასში არსებული ცნობების გაანალიზებას. მისი კვლევის შედეგები შესულია სამეცნიერო მიმოქცევაში. მის მიერ თარგმნილი ოხულებებიდან გამოქვეყნებულია: მოვსეს კალანკატუაცის „ალვანთა ქეუყნის ისტორია“, მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა“, მხითარ აირივანეცის „ქრონიკააფიული ისტორია“, ზაქარია აგულეცის „დღიური“, პაკობ შემახევცის „ნადირ-ხანის ისტორია“, აბრამ ერევანცის „ომების ისტორია“, ლუკა სებასტიაცის „დავით ბეგის ისტორია“, მანუელ ალთუნიანის „1797 წ. თბილისში გაჩენილი შავი ჭირისა და მეუე გიორგი XII-ის მიერ ექიმიანინის წმინდა ლახერის შეყოვნების შესახებ“. ასევე თავის სტატიებში შეკვევარს გამოქვეყნებული აქვს სხვა სომხე ავტორთა ცალქული ცნობები საქართველოს შესახებ.

თუ რა სახისაა საერთოდ ეს ცნობები, შეიძლება აქვე წარმოვადგინოთ ზოგი მათგანი: მოვსეს კალანკატუაცის შრომაში დაწერილებით არის აღწერილი 628 წ. თბილისის აღება პერაკლე კეიისარის მოკავშირე ხაზარების მიერ ხელმეორე ბრძოლის დროს. დამარცხებულთა დასჯის შემდეგ, მოწინააღმდეგეთა მრავალრიცხვან მძიმედ დატვირთულ ჯარს [თბილისიდან] „მიმქონდა და თავისი მძრდანებლის წინაშე გროვებად და ზეინებად ალაგებდა ნაძარცე განძეულს, იმდენად ჩშირად მიპქონდათ, რომ დამქანცველი გახდა უთვალავი ოქროს და ვერცხლის ტალანტების უურება. ხოლო ვის შეუძლია ზედმიწვნით აღწეროს მარგალიტებით მოოჭვილი საკეთებით ჭურჭელი“ (მოვსეს კალანკატუაცი, ალგანთა ქვეყნის ისტორია, ქართული გამოცემა, გვ. 77). აქვე, როდესაც საუბარია ხაზართა ტრაპეზობაზე, აღნიშნულია, რომ ხაზართა სინებსა და თასებს შორის გამოირჩეოდა ოქროთი მოვარაუებული ვერცხლის ჭიქები დ სხვა სასმისები, წამოღებული „ტფილისის“ აოხრებისას (გვ. 81). მოვსეს კალანკატუაცის არა ერთი სხვა ცნობა მოეპოვება საქართველოსთან დაკავშირებით, თუმცა აქ მოტანილი მასალა საყურადღებოა იმდროინდელი თბილისის ეკონომიკური ძლიერების დასადასტურებლად.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკაში“ და დასტურებული მეუე დემეტრე I-ს (1125-1155) ლაშქრობები სელჩუკების წინააღმდეგ ქავეასიის ალბანეთში აღგილობრივი მმართველობის თხოვნით. რამდენადაც დემეტრე I-ს საკუთარი მემატიანე არ ჰყოლია, ქართულმა წყაროებმა მის შესახებ იმდენად მცირე ცნობები შემოინახეს, რომ თავის დროზე ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „ხეო-



რიანად არც კი ჩანს, რაზე იყო დამყარებული ამ მეფის დიდი სახელი” (ტერთულიშვილის ისტორია, II, 1949, 231). „აღბანეთის ისტორია“ სწორედ ისეთ მასალას შეიცავს დევეტე ქართველობის ისტორიას – რაც მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც აცხებს მისი მოღვაწეობის უცნობ ფაქტებს.

საყურადღებოა აგრეთვე მხითარ აირევანეცის ის ცნობა, რომლის მიხედვით „პირველი ქართველი მეფე [იყო] ფარნავაზი, რომელმაც ექვსი ენიდან შექმნა ქართული, მანვე [შექმნა] მათი დამწერლობა (მხ. აირივანეცი, ქართული გამოც. გვ. 57). არც ერთ სომქე ავტორს ამგვარი რამ არ მოვპოვება, ზოგი მათგანი კი ქართული დამწერლობის წარმოშობასაც სომხეური ანბანის შექმნელ მესროპ-მაშტოცს უკავშირებს. ეს აზრი დიდი ხანია დასაბუთებულად უარყოფილია ქართველ მკლევართა მიერ.

დაბოლოს კიდევ ერთი საგულისხმო მაგალითი შეიძლება წარმოვადგინოთ 1737 წ. დაწერილი ლუკა სებასტიაცის „დავით ბეგის ისტორიიდან“. აქ საუბარია სომქეთა აჯანყბაზე ყაფანში (სივნიერი) თურქების წინააღმდეგ 1822 წ. როდესაც დადგა დრო აჯანყბის მეთაურის არჩევაზე, როგორც თხზულებაშია აღნიშნული, ერთ-ერთ აჯანყბებულთაგანს სომხებმა მიანდეს „ქართველთა ქვეყანაში“ წასვლა და იქიდან აჯანყბისათვის მეთაურის წამოყვანა. ტექსტის მიხედვით „ქართველთა მეთაური („იშხანი“) დიდი იყო და მხედართმთავარი რომ დაედგინა [აჯანყბებული სომხებისათვის], მას შეუვრებოდა. ვახტანგ მეფემ იხმო ტომით სომხეთი დაით ბეგი, რომელიც საქართველოში კი ცხოვრობდა, თუმცა წარმოშობით სივნიერიდან იყო და გაგზავნა აჯანყბებულებთან. დავით ბეგმა გაამართლა ქართველი მეფის იმედი და საქართველოდან წაყვანილ თანამებრძოლებთან ერთად შეუმოვარ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრიბებებს.

მთელ თხზულებაში ნათლადაა ნაჩენები ქართველ-სომქეთა თანადგომა და თანამეგობრობა აღნიშნულ პერიოდში.

მრავალი საყურადღებო მასალა, რაც შემონახულია ძეველ სომხეურ საისტორიო მწერლობაში, უტყუარი დასტურია ორი ხალხის ეთილმეზობლური ურთიერთობის.

დ. დავლიანიძე, როგორც აღინიშნა, მრავალი წლის განმავლობაში იქვდევდა საინტერესო ავტორების ნაწარმოებებს, თარგმნიდა მათ ძეველი სომხეური ენიდან (გრაბარიდან) და აცნობდა ქართველ მეთხევლის.

ამასთან ერთად ის მუშაობდა ქართულ მასალაზეც. ჯერ კიდევ აღრეულ წლებში აკად. ნ. ბერძენიშვილის დავალებით მან საძიებელი შეადგინა ექ. თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენი“-სთვის და თ. უორდანის „ქრონიკებისთვის“ (ორივე გამოქვეყნებულია).

დ. დავლიანიძე აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო, რესპუბლიკურ და საინსტიტუტო სესიებში.

არაერთხელ გაუწევია ოფიციალური ოპონენტობა დასერტაციების დაცვის დროს, ასევე აღმოსავლეთმცოდნეობის ფაქულტეტის არმქნოლოგის განყოფილების დიპლომანტებისათვის – რეცენზენტობა.

ვუსურევებ მას შემდგომშიც აქტიურად ეშრომოს თავისი ქვეყნის მეცნიერების საქმიანობის დაცვის დროიდან.

**ბამოსვლა ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის  
სამეცნიერო კონფერენციაზე (28 დეკემბერი, 2005)**

დღევანდელ კონფერენციას ვუძღვნით ჩვენს ორ კოლეგას, რომელთა ცხოვრება ერთგვარად პგავს ერთმანეთს. ორივემ ცხოვრების დიდი ნაწილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტში გაატარა, ორივე მაღალი რანგის პროფესიონალია და დღეს, როდესაც პროფესიონალიზმის ასეთი ნაკლებობაა, მათი ცხოვრება ამ თვალსაზრისით მისაბაძია მომდვერო თაობებისათვის.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მამისა ბერძნიშვილი თბილისის სახ. უნივერსიტეტის ისტორია-ფილოსოფიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ საქართველოს ისტორიის დარგით სწავლის აგრძელებს ამავე უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე ასპირანტურაში, რის შემდეგაც იცავს საქანდიდატო დისერტაციას. 1956 წლიდან დღემდე იგი ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში შუშაობს ჯერ ფერდალიზმის ხანის ისტორიის, ხოლო 1959 წლიდან წყაროთმცოდნების განვითარებაში. მისი პროფესიის არჩევანი მნიშვნელოვნად განაპირობა, როგორც ჩანს, იმ ფაქტმა, რომ ქალბატონი მამისას მამა ცნობილი ისტორიკოსი მეცნიერი მაქსიმე ბერძნიშვილი იყო, მრავალი თაობის აღმზრდელი, რომლებიც მას მაღლიერებით იხსენებინ, როგორც მაღალი ზნეობის პიროვნებას და ფართო ერუდიციის მეცნიერს. ამ შემთხვევაში ქ-ნი მამისას როგორც ისტორიკოსის შესახებ საკეთი შეიძლება გამოიწვეოს სიტყვები მისი აეტობიოგრაფიდან: “პირველდაწყებითი სწავლა მივიღე რჯაბში”.

არანაკლებ იღბლიანი აღმოჩნდა ქ-ნი მამისა შემდეგ, როდესაც ასპირანტურა აკადემიკოს ნიკო ბერძნიშვილის ხელმძღვანელობით გაიარა და იმთავითვე ფართო პროფილის წყაროთმცოდნებით ჩამოყალიბდა. მისი ურთიერთობა ნიკო ბერძნიშვილთან არის ნიმუში იმისა, თუ როგორი უნდა იყოს პროფესორის და სტუდენტის ურთიერთობა. ამ შემოქმედებითი ურთიერთობის შედეგია 1958 წელს გამოცემული ნაშრომის „მასალები საქართველოს კონომიკური ისტორიისათვის“ დანართი, I, II და III წიგნების დექსიკონი და სამიერელი, რომელიც შეაღინა ქმა მამისა ბერძნიშვილმა. ხოლო წიგნის რედაქტორია ნიკო ბერძნიშვილი, და მოგვიანებით, 1962 წელს, გამოცემული „დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის“ (XVI-XIX), რომელიც შეადგინეს ნიკო ბერძნიშვილმა და მამისა ბერძნიშვილმა (385 გვ.).

მ. ბერძნიშვილმა დიდი დღაწელი დასდო ნიკო ბერძნიშვილის ნაშრომების გამოცემას და ამჟამადაც მუშაობს თავისი მასწავლებლის ნაშრომების მე-10 ტომის გამოსაცემად მომზადებაზე, რასაც, როგორც ყველთვის, დიდი პასუხისმგებლობით კეიდება.

ქ-ნი მამისას 8 მონოგრაფია, 40-მდე სტატია და 5 რუკა, რომლებიც სხვადასხვა დროს დაიბეჭდა, თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ქ-ნი მამისა თანაბარი სიღრმით იკვლევს როგორც საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, ასევე წყაროთმცოდნების და საქართველოს პოლიტიკური, სოციალური თუ კონომიკური ისტორიის საკითხებს.

თბილისზე შევვარებული და თბილისის იშვიათი მცოდნე, ქ-ნი მამისა ინახავს უდიდეს ინფორმაციას ქადაგის წარსულის სრულიად უცნობ ფურცლებზე. ჩემთვის დაუვიწყარის ის ექსკურსიები, რომელსაც წყაროთმცოდნების განყოფილების თანამ-



შრომლები ვაწყობდით ქალაქის ქვედ უბნებში 70-იან წლებში, ხოლო ჭრილობის გვიცოცხლებდა ქალაქის ყოველი კუთხის ისტორიას. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ცოცხლად და დიდი ინტერესით იქითხება მისი მონოგრაფია “თბილისის გარე-განი სახე XVIII საუკუნეში”, 1965.

მეითხველი კარგად იცნობს აგრეთვე მის ნაშრომებს “შეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ”, თბილისი, 1979, “ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროები” (წყაროთმცოდნებითი გამოქვედვა), თბილისი, 1989.

წლების მანძილზე და დღემდე ქნი მამისა მუშაობდა და მუშაობს კისტოლურ წყაროებზე. სხვადასხვა დროს მის მიერ გამოვლენილია და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი არაერთი წერილი, მასვე ჟურნალის მათი კლასიფიკაცია, სხვადასხვა ხასის კისტოლურზე მუშაობის განხსნევებული მეთოდების შემუშავება. 1989 წელს მეითხველმა მიიღო ქართული კისტოლური წყაროების კორპუსის I ტომი, რომელიც შევიდა კისტოლური წყაროები (XVI-1762) (10 თაბახი). მაგრამ იგი არა მარტო თვითონ სცემს კისტოლურ ძეგლებს, არამედ აქტიურად მონაწილეობს სხვის მიერ მომზადებული ნაშრომების გამოცემაში, დიდი შრომა გასწია მან, მაგალითად „იონა ხელაშვილის კისტოლური არქივის (1809-1935 წწ.)“ გამოსაცემად, რომელიც შეადგინა გულნარა დედაბრიშვილმა, მანვე დაურთო გამოვლენება და შენიშვნები, ხოლო წიგნი 2000 წელს გამოქვეყნდა. მ. ბერძნიშვილის რეაქტორობით გამოიცა აგრეთვე თაბარის ისტორიოსის ვ. დონდუშასეული თარგმანი რუსულ ენაზე, კომენტარებით, რომელიც დიდი სიღრმით და ეპოქის ცოდნით გამოიჩინა.

მნიშვნელოვანი ადგილი ქნი მამისას შემოქმედებაში ეთმობა დიპლომატიკას, მისი მრავალჯეროვანი თემატიკით. ამ მხრივ აღსანიშნავია „ხვანური დოკუმენტები როგორც წყარო XIV – XV სს. სვანეთის სოციალური ისტორიის შესასწავლად“, გრიზნის დოკუმენტების თარგმანი, „ქართული დიპლომატიკის ტერმინოლოგიაზან“, „ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან, XI-XV სს. საბუთების სიღრღის თავი“. მერმინოლოგია მუდამ იქცვედა მკვლევარის ყურადღებას, იქნებოდა ეს ხაკუთრივ დიპლომატიკა თუ მთის (ცნება, რასაც სპეციალური ნაშრომი მიეძღვნა – „მთის ცნების შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებში“).

წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება უკანასკნელ წლებში გამოსაცემად მომზადებულ წიგნში შევიდა, რომელიც დიპლომატიურ ტერმინოლოგიების ეძღვნება.

განუზომელია ქნი მამისას წლებილი კართგრაფიის დარგში. მას შექმნილი აქვს რუქები „საქართველო IX-XIII სს-ში“, „საქართველოს სახელმწიფო XIII ს. დამდებ“, „საქართველო XVI ს. პირველ ნახევარში“. ეს რუქები შესულია „საქართველოს სსრ ატლასში“. მას მიძღვნილი აქვს არაერთი ნაშრომი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიისა და საზღვრების დაზუსტებისადმი. მაგალითად, „საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა“ (IX-XIII სს.), „საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები XIII ს. დამდებს“ და სხვ.. მას არაერთხელ მიუღია მონაწილეობა სამეცნიერო დისექსიებში, რომელიც ხებოდა ჩვენს მუზიკულ ქვეყნებთან ტრადიციეულ დავას საზღვრებზე და აქ მისი სიტყვა მუდამ ძალზე წონიანი იყო. ქნი მამისას მონაწილეობა აქვს მიღებული „საქართველოს ისტორიის ნარკვების“ შედგენაში. შეიძლება გავიხსენოთ მისი ნაშრომები „საქართველოში“, „სახელმწიფო წყობილება XI-XII სს.“, „საზოგადოებრივი ფენები XI-XII სს. საქართველოში“, „სახელმწიფო წყობილება XI-XII სს. საქართველოში“, მაგრამ რაც არ უნდა მრავალფეროვანი იყოს ქნი მამისას შემოქმედება, ჩვენ ყოველთვის ვგრძნობდით,



რომ ბევრად მეტია ის ცოდნა, რომელსაც ის ატარებს, იმასთან შედარებით, რაც გამოცემულია, და ყოველთვის ყურადღებით ვუსმენდით მის ყოველ სიტყვას, უზარესობაზე დაგად იმისა, რომ მისი მუშაობის სტილი დინჯი და აუქსარებელია, რაც ალბათ დიდი ასახულისმგებლობით არის გამოწეული და ალბათ ნამდვილი პროფესიონალის აუცილებელი თვისებაც არის, მეცნიერების უანგარო სამსახური მისი ყოველდღიური ცხოვრის წესია. და დღეს წყარომცოდნებობის განყოფილება მაღლობას უხდის მას ამ მოკრძალებისთვისაც და მეცნიერების თავდადებული სამსახურისთვისაც.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ლიანა დავლიანიძემ დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნებობის ფაქულტეტი, თუმცა ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში მაშინვე არ მოსულა. აქ მუშაობის დაწყებამდე მას სხვადასხვა დაწესებულებებში მოუხდა საქმიანობა, რამაც გარკვეული პროფესიული და ცხოვრებისეული გამოცდილება შესძინა. ერთხანს მუშაობდა სიმონ ჯავაშიას სახ. მუზეუმში ხელშეკრულებით, შემდეგ მცხეთის ტურისტულ ბაზაში ექსკურსიამძღოლად, ხოლო 1954 წლიდან ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალში უცკროს მეცნიერ თანამშრომლად. იმ წლებში ის შეხვდა და თავისი ცხოვრება დაუკავშირა ბ-ნ თორნიკე ტატიშვილს, რომელიც იყო მისი არამარტო ცხოვრების თანამგზავრი, არამედ კოლეგა და უერთგულესი მეგობარი. შესაძლოა, სწორედ იმ წლების გამოცდილებამაც და, რა თქმა უნდა, მისმა თბილმა ბუნებამაც ქნი ლიანა არაჩვეულებრივად კომუნიკაბელურ პიროვნებად ჩამოაყალიბა. იგი ძალზე აღვიდად განაწყობს ადამიანებს მის მიმართ და განყოფილებაში ყველას მესაიდუმლება.

1957 წ. ვარძიის მუზეუმი-ნაკრძალი შეუერთდა ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტს და იმ დროიდან დღემდე ქნი ლიანა არის ამ ინსტიტუტის თანამშრომელი, იმ უჯრედისა, რომელსაც წყაროთა პუბლიკაციის, ხოლო შემდეგ წყარომცოდნების განყოფილება ერქვა. ამ ინსტიტუტში დაიცვა მან საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ამ ინსტიტუტში ის არაერთხელ გამოსულა მოხსენებით სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციაზე.

სამეცნიერო საზოგადოება კარგად იცნობს ლიანა დავლიანიძეს, პირველ რიგში, როგორც არმენოლოგს, სომხური წყაროების ქართულ ენაზე უბადლო მთარგმნელს და გამომცემელს. სწორედ მისი თარგმანებით გაეცნო ქართველი მეოთხეველი აბრამი ერევანცის ოქტის ისტორიას (1970), ზაქარია აგულეცის დღიურს (1970), მოქსე ქალანკატუაციის აღვანთა ქევზის ისტორიას (1085), მხითარ აირივანეცის ქრონიკრაფიულ ისტორიას, სომხურ ხალხურ ზღაპრებს (1976) და სხვ.

მაგრამ მისი პირველი ნაშრომები ქართველოლოგიის დარგში, ერთი შეჯდევით, მარტივ, თუმცა პროფესიის დაუფლებისათვის აუცილებელ საფუძველს უკავშირდებოდა. მის მიერ არის შედგენილი თედო ქორდანიას ქრონიკების I, II, III წიგნების საძირებელი, დაბგჭდილი წიგნში თედო ქორდანიას ქრონიკები III, თბ., 1967, აგრეთვე ექვთიმე თაყაიშვილის „საქართველოს სიძეველენის“ საძიებელი (1970).

ქნი ლიანას წლილი სომხური ისტორიოგრაფიის და ქართველ-სომხური ურთიერთობების კვლევის საქმეში მხოლოდ მონოგრაფიებით არ ამოიწურება. აღსანიშავია მისი ნაშრომები – „ფაგსტოს ბუზანდის ერთი ცნობის გამო“, „დავით V სიმბეურ საისტორიო მწერლობაში“, „პაკო კარნციის ერთი ცნობის განმარტებისათვის“, პაკო შემახეცის „თამაზ ყული-ხანის ლაშქრობაზი და მისი შპად არჩევა“, „სომხურ ფილოლოგიურ-ისტორიული სამეცნიერო ურნალის მიმოხილვა“, „ზოგიერთი მომენტი იოსებ არლუთინსკის მოღვაწეობიდან“, „აბრაამ კრეტაცი და მისი ცნობები საქარ-

თვეელოს „შესახებ”, „უფალი” და „უფალო” ადრე შეასაუკუნეების სომხურ საისტორიო მწერლობაში”, „ზაქარია ქანაკერცის ზოგიერთი ცნობა საქართველოს შესახებ”, „კირაკოს განძაკეცის თხზულების ილიასეული სომხური თარგმანი”, „მე-18 ს. სომხური წყაროების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის” (რუსულ ენაზე), „ერთი გვერდი ქართველი და სომები ხალხების საბრძოლო თანამშრომლობის ისტორიიდან”, „ტერ ოპან ვოსკერჩიანის ცნობები საქართველოს შესახებ”, „ლუკა სებასტიანის „დავით ბეგის ისტორია”, კირაკოს განძაკელის ერთი ცნობის შეკვებისათვის”, „მანუელ ალთუნიანის მოთხერობა 1797 წ. თბილისში გაჩენილი შავი ჭირის შესახებ და მეუე გიორგი XII ს-ის მიერ ენთიაძინის კუთვნილი წმ. ლახვრის შეყვონება საქართველოში”, „XVII ს-ის სომების ვაჭრის სახე ზაქარია აგულეცის „დღიურის“ მიხედვით”, „ერთი თავი აძრაამ კრეტელის „მემუარებიდან” და ბევრი სხვ.

ლ. დავლიანიძე მუდამ აქტიური მონაწილე იყო და არის წყაროთმცოდნების რესპუბლიკური და საერთაშორისო კონფერენციებისა, რომელიც ტრადიციულად იმართებოდა და იმართვება საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

დღეს იგი სავსე ცხოვრებით ცხოვრობს: კითხულობს ლექციებს, ზრდის მომავალ თაობებს, ხშირად არის დისერტაციების ოპონენტი და ხელმძღვანელი და, ისევე როგორც მისი კოლეგა მამისა ბერძნიშვილი, პროფესიისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითს აძლევს მის უმცროს კოლეგებს.

წყაროთმცოდნების განყოფილება მადლობას უხდის მას საქართველოს ისტორიის და წყაროთმცოდნების დარგში შეტანილი წვლილისათვის

და ორივეს ერთად, ქ-ნ მამისას და ქ-ნ ლიანას დიდი ხნის სიცოცხლეს და ხანგრძლივ ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას უსურვებს.



ხეთების ძევლი სამეფოს (ძვ.წ. 1650-1500 წწ.) ერთ-ერთი თვალსაჩინო შესტეკულური ლის, თელიფინუს (დახლ. 1550-1500 წწ.) მიერ ტახტის მგექვიდრეობის კანონთან და-კავშირებით შედგენილი ტექსტი ამ თვალსაზრისით არაერთ საყურადღებო ინფორ-მაციას გვაწვდის. ღოკუმენტიდან კარგად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხეთების ძევლ სამეფოში მარცვლეულ კულტურებს. ირკვევა, რომ მეფისათვის ხორ-ბლის მოსაგალი განსაკუთრებული უზრადღებისა და ზრუნვის საგანი ყოფილა. თე-ლიფინუ აცხადებს: “და მე ხორბალი კვლავ უხვად ვაქციე (გავამრავლე). მეგუთნებ-მა მხოლოდ ეს მინდვრები და ველები (დამუშაონ), ბეჭედი უნდა დაუსვან... არ უნდა იცრუონ. ისინ მოსავალს [1 გიპს]არს ან 2 გიპსარს აქლებდნენ და ამით ქვევანას ხისხლს აცლიდნენ. ახლა კი (ასე) აღარ აკეთონ! ვინც გააკეთებს, დაე, მას საში-ნელი სიკვდილი მიუხდონ. აწ და მარადის (შენ), ვინც ჩემს შემდგომ მეფედ გახდები, ხორბალი ყოველთვის დაბეჭდე მათი სახელით. ამიერიდან “ბეჭდის სახლის” გამგებ-ლებმა შენ დაგიროვონ. ისინი შენ გეტყვიან: „...” მაგრამ შენთვის არ უნდა დაბეჭდო. იგი მათი სახელით დაბეჭდე...”; „... ხათუსაში აგბოული უბნები (ტექსტში „დასახლე-ბანი“) დაცული უნდა იყოს და შენ ისინი არ უნდა მიატოვო. (ეს) აგბოული უბნები... წყალი. ხორბლისათვის ოგრ(წყალი) ოჯერ (და) ოჯერ უნდა მოიტონ...“<sup>8</sup>. თელიფი-ნუს სახელით შედგენილ ტექსტშივე ხორბალთან, ველ-მინდვრებთან, მეგუთნებთან ერთად, „მინდვრის ათასთა“ მთავარნიც მოისხენიებიან (“ახლა კი, დღეიდან, ხათუსა-ში თქენ, „სახახლის ძენი“, მცველონ, მზარეულონ, კვერთხის მჯერნო, ხადასხია-ჯაცნო, „მინდვრის ათასთა“ მთავარნო, თქვენ ეს სიტყვები შემდგეში უნდა სციოთ...”)<sup>9</sup>.

ჯერ კიდევ ხეთების ძევლი სამეფოს დროს (ძვ.წ. 1650-1500 წწ.) შედგენილი ხე-თური კანონების მთელ რიგ მუხლში არაერთგზისა საუბარი ხორბლის ქურდობას-თან დაკავშირებით არსებულ სანქციებზე (§96: “[უკეთუ] კაცი ხორბლის ბედვლს გა-ქურდავს და ბედლის [ხორბალს მოიპარავს], იგი [ბედლებს] ხორბლით ააგსებს, 12 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს”, ან §97: “[უკეთუ] მონა ხორბლის ბედლს გაქურდავს და ბედლის [ხორბალს მოიპარავს, იგი [ბედლებს] ხორბლით ააგ-სებს, 6 სიკლ ვერცხლსაც გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს”)<sup>10</sup>.

ხეთურ კანონებში “ხორბალზე გასუქებული” ღორისა და გოჭის მოპარვის შესა-ხებაცა საუბარი. ასე, მაგალითად, §81: “უკეთუ ვინმე ხორბალზე (გასუქებულ) ღორს მოიპარავს, წინათ 1 მიზა ვერცხლს აძლევდნენ, ახლა კი 12 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს”. საინტერესო ისიცაა, რომ ღორისა და გოჭისათვის ზიანის ანაზღაურება სწორედ ხორბლის საშუალებით ხდებოდა (§83: “უკეთუ ვინმე მაკე ღორს მოიპარავს, 6 სიკლ ვერცხლს გაიღებს) და გოჭებსაც დაითვლის (ყოველ) ორ გოჭზე ||| საწყაო ხორბალს გაიღებს [და მის სახლს ჩააბარებს]; §84: “უკეთუ ვინმე მაკე ღორს სცემს და იგი მოკვდება [მისი ანაზღაურება] ზუსტად იგივე”; §85: “უკე-თუ ვინმე პატარა გოჭს (დედა ღორს ანუ ძუჭეს) მოაცილებს და მოიპარავს [...]საწყაო ხორბალს] გაიღებს”). ხეთურ კანონებშივე ისხენიება “კალო”, “მინდორი”, “ბაღი” (§86: “უკეთუ ღორი კალოზე ანდა მინდორზე (ან) ბაღში გაიღებს და კალოს, მინდვრის (ან) ბაღის პატრონი სცემს და იგი მოკვდება, იგი მას მის პატრონს უქან მიპგვრის. თუ მას არ მიპგვრის, იგი ქურდი იქნება”)<sup>11</sup>.

ხეთურ კანონებში მკაცრადაა განსაზღვრული სასჯელი მომავალი მოსავლის განადგურების შემთხვევაშიც (§106: “უკეთუ ვინმე თავის მიწაზე ცეცხლს დაანთებს და მას მოსამკელი ყანისაკენ მიუშვებს და ყანის ცეცხლს წაუჟიღებს, იმან, ვინც ცეცხლი წაუჟიღა, თვითონ უნდა აიღოს გადამწვარი ყანა, ხოლო ყანის პატრონს უნ-და მისცეს კარგი ყანა და იგი აიღებს მოსაგალს”)<sup>12</sup>.

ხეთური სამართლის ძეგლში, საგუთნე ხარს, როგორც ჩანს, სოფლებს მუქრენტობაში მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის მიზეზით, რამდენიმე მუხლის უმოქმედობაზე საზღვრულია მისი ფასი, გათვალისწინებულია სასჯელი მისი ქურდობისათვის (§63: “ჰკეთუ ვინმე საგუთნე ხარს მოიპარაგს, წინათ 15 ხარს აძლევდნენ, ახლა კი 10 ხარს გაიღებს – 3 ხარს ორწლიანს, 3 ხარს ერთწლიანს (და) ძუძუმწოვარას გაიღებს იგი და მის სახლს ჩაბარებს”; §66: “ჰკეთუ საგუთნე ხარი, ჰკეთუ შესაბმელი ცხენები, ჰკეთუ ძროხა, ჰკეთუ ჭაკი ვირი (სხვის) ბაქში შეერვეა ა(ნდა) ჰკეთუ ვაცი გაწვრთნილი, ჰკეთუ დედალი ცხვარი, ჰკეთუ ვერდი (სხვის) ბაქში შეერვეა, პატრონი [მისი კი იაოვის, იგი მას კანონიურად უკან წამოიყვანს [როგორც] ქურდს მას არ აიყვანენ (შეიძყობენ)<sup>13</sup>.

ხეთური კანონები საგუთნე ხარის ფასსაც ეხება. რომ იგი გაცილებით უფრო ძეირად დირებული იყო, ვიდრე ბუდა ხარი, ძროხა, მოზვერი, ბოჩოლა და ა. შ. (§178: “საგუთნე ხარის ფასია 15 სიკლი ვერცხლი, 1 ბუდა ხარის ფასია 10 სიკლი ვერცხლი, 1 ძროხის ფასია 7 სიკლი ვერცხლი, 1 მოზვერის ან დეკულისა 5 სიკლი ვერცხლი, მაკე ძროხაში უნდა მისცეს (მყიდველმა) 8 სიკლი ვერცხლი, 1 ახალ შობილი ხბოს ფასია 2 სიკლი ვერცხლი, 1 ულაყის, 1 ფაშატის, 1 ვირის, 1 ჭაკი ვირის ფასიც იგივეა”). კანონის §151-ის თანახმად, საგუთნე ხარის 1 თვის ქირა 1 სიკლ ვერცხლს შეადგენდა, ხოლო გუთნისა  $\frac{1}{2}$  PA ქერის (§159)<sup>14</sup>.

ხეთური სამართლის ძეგლის §121-ის მოთხოვნით, სასჯელი გუთნის ქურდსაც კლოდა (“ჰკეთუ თავისუფალი ქაცი გუთანს მოიპარაგს, გუთნის პატრონი შას სამარცხვინი ბორთან დააყენებს. წინათ ასე იქცეოდნენ, ახლა კი მან უნდა მისცეს 6 სიკლი ვერცხლი, აგრეთვე, პასუხს თავისი სახლ-კარით აგებს. თუ იგი მონაა, მან 3 სიკლი ვერცხლი უნდა მისცეს”<sup>15</sup>.

ძეგლი ანატოლის მარცვლეული კულტურების ისტორიისათვის ისიცა მნიშვნელოვანი, რომ ხეთურ კანონებში მიწათმოქმედებისათვის განკუთხნილ ელა-მინდერებთან ერთად, “შექრული ძნები”, “კალო”, “წისქვილის ქვები”, “მეწისქვილე ქალები” იხსენიება (§158: “ჰკეთუ მამაკაცი წავა ქირით სამუშაოზე, შექრულ ძნებს შეაგროვებს და დააწყობს ურემზე, ჩაძებავს მათ ფარდეულში [...] გაღლებავს კალოზე, მისი თვის ქირაა 30 PA ქერი”)<sup>16</sup>. არანაკლებ საყურადღებო ისიც, რომ, როგორც დავინახეთ, ვერცხლთან და ცხვართან ერთად კანონებში ხორბალი და ქერი საგადასახადო ერთეულების სახითაა წარმოდგენილი. აღნიშნულთან ერთად შემდგა მუხლებიცაა საინტერესო – §158: “...ჰკეთუ ქალი იმშავებს სამზარეულოში ქირით..., მას უნდა მიყცეს 2 თვის 12 PA ქერი”, ან §159: “ჰკეთუ ვინმე შეაბამს უდელში ხარებს, უდლის ქირა  $\frac{1}{2}$  PA ქერი”; §161: “ჰკეთუ ის გააკეთებს 1 მინა წონის ლანგარს, მისი ფასია 1 PA ქერი” და ა. შ.)<sup>17</sup>.

ხეთურ კანონებში არც ნათესებისათვის ზარალის მიმყენებელია დავიწყებული და არც სახნავ-სათესების საზღვრების დამრღვევნი (§166: “ჰკეთუ ვინმე თესლები თესლს დასთესს, მას კისერზე უდელი უნდა დაადგან, შემდეგ კი შეაბან ხარები, ერთი შეაბრუნო პირით იქით, მეორე – აქეთ; კაცი მოკვდება და ხარებიც უნდა დახოცონ; ხოლო ის, ვინც პირველმა დათხესა ყანა, სწორედ იგი წაიღებს მას, წინათ ასე შერებოდნენ”; §168: “ჰკეთუ ვინმე დაარღვევს სახნავ-სათესის საზღვარს, მან უნდა მოიყვანოს ერთი akkalos, ხოლო მიწის პატრონს შეუძლია ჩამოაჭრას 1 [გი]პესარი მიწა და აიღოს ის თვითონ; მან, ვინც დაარღვევს სახნავ-სათესის საზღვარს, უნდა მისცეს 1 ცხვარი, 10 ჟური, 1 ფიხუ ლუდი და მიწა კვლავ გაწმენდილი იქნება”)<sup>18</sup>.



ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით, საგულისხმო ცნობების ექვრი ე.წ. საკადასტრო ღოკუმენტებიც შეიცავენ, სადაც მარცვლეული კულტურები-სათვის (ხორბალი, ქერი) შერჩეული ნაკვეთების მახასიათებლები საქმაოდ სკრუპულობისურადაა აღნუსხული. როგორც ჩანს, ხეთები მიწის ნაკვეთებს მათთვის, ფორმის, მოსავლიანობის ხარისხისა და მდგბარეობის მიხედვით არჩევნენ. საკადასტრო ღოკუმენტებში მიწის ნაკვეთების შემდეგ ჩამონათვალს ვხვდებით: „მინდორი მოსავლის რაოდენობის მითითებით”, „მინდორი მასზე გამდინარე მდინარით”, „მინდორი უდაბნოში”, „მინდორი არხით”, „მინდორი მდინარის პირას”, „მინდორი ვაკეზე”, „მინდორი მაღლობზე”, „კლდოვანი მინდორი”, „გრძელი მინდორი”<sup>19</sup> და ა.შ. როგორც მართებულად ვარაუდობენ, მიწის ნაკვეთების ფასი პირდაპირ იყო დამოკიდებული მიწის ნაყოფიერებაზე და მის ადგილმდებარეობაზე. წყლის სიახლოვის ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა<sup>20</sup>.

პურის თავთავისა და პურის აღმნიშვნელ ლუგიურ იუროგლიფებთან დაკავშირებით ხათურ-ხეთური მითოლოგიის ამსახურელი წერილობითი ძეგლებიც იმსახურებს უკრადლებას. აღბათ ნიშანდობლელივია, რომ მითში გველეშაბის შესახებ სიცოცხლის განახლების სიმბოლოდ მაინცდამაინც „აფუებული პურია” წარმოდგენილი („ქალ-დმტრთმა ინარამ მდინარეები უფრო წყალუხვი გახადა და როდესაც ქალაქ ნერიქაზე იწყიმა, ნერიქადან კვერთხის მყრობელმა აფუებული პური წაიღო”)<sup>21</sup>.

მარცვლეულ კულტურებთან დაკავშირებით თელიფინუს მითსა და რიტუალში რამდენიმე საგულისხმო ცნობას ვხვდებით. მითის მოწმობით, თელიფინუს „გაქრობა-წასვლაში” ქვეყნისათვის საბედისწერო შედეგები გამოიღო: „ქერი და ხორბალი აღარ ხარობდა...”. თელიფინუს რიტუალში ასეთ პასაჟს ვხვდებით: „როგორც აღარა გამოფიტული და მინდორში არ მიაქვთ იგი და თესლად არ ხმარობენ, პურს არ აცხობენ, ბედველში არ ინახავენ, დავ, თელიფინუს რისხევა, ავაულობა, მდვინვარება ასევე უნაყოფო იყოს!”<sup>22</sup>

პურის, ფევილის, აგრუთვე ხორბლისა და ქერისაგან დამზადებული ლუდისა და ალაოს მოხსენიებას ხშირად ხეთი მეფების მიერ დვთაებებისადმი მიძღვნილ ტექსტებშიც ვადასტურებთ. ამინდის დვთაება ფიხასასისადმი აღვლენილ ხეთების მეფე შევათალის ღოცვა (ძვ. წ. XIII ს-ის დასაწყისი) ამ თვალსაზრისით რამდენიმე საყურადღებო ცნობა შემოვარია. ხეთების მეფე ღოცვას საქუთარი გენეალოგიისა და ტიტულატურის აღნიშვნით იწყებს („ასე (ამბობს) თაბარნა მუგათალი, დიდი მეფე, მეფე ხათის ქვეყნისა [ძვ.] მურსილისა, დიდი მეფისა, ხათის ქვეყნის მეფისა, გმირი: როდესაც ადამიანს // სინდისი აწუხებს, ღმერთის წინაშე თავის მართლებით წარსდგება”). შემდეგ მუგათალი გვამცნობს, რომ მას ჩვენთვის უცნობი შენობის (სასახლე?) სახურავები ლერწმისგან მოწნული ორი მაგიდა დაუდგამს, რომელთაგან ერთი არინას მზის დვთაებისათვის იყო განკუთხილი, ხოლო მეორე – მამრი დვთაებისათვის. ხეთურ ტექსტში ნათქვამია, რომ §1: „მათზე (მაგიდებზე – ნ. ხ.) (მოათავსებენ) 35 სქელ პურს (გამომცხვარს ერთი) თარნა ახალი ფქვილისაგან, // თხელკეცის (გამჭრელე) თასს თაფლით, რომელშიც წმინდა ზეთია (შერეული), ქოთანს სავსეს ცხომიანი პურით, ბურღულით //საგსე თხელკედლიან (გამჭირვალე) თასს (და) 30 დოქ დვინოს“. მეფის ღოცვა მხოლოდ ამ პროცედურის შესრულების შემდეგ იწყება. პურის მოხსენიება აღნიშნულ წერილობით ძეგლში მოყვანილი ციტატით არ ამოიწურება. „დვთაებათ მოხმობას“ მათვების განკუთხილი შესაწირის აღწერა მოსდევს. §75: „...[შემდეგ დამტერევს სქელ პურებს. §76: “[...] სამი სქელი, (ერთი) თარნა ახალი ფქვილისაგან (გამომცხვარი) არინას მზის ქალღმერთისათვის; // (მეფე) მათ ჩააწობს



თაფლში, რომელშიც წმინდა ზეთია შერეული და // არინას მზის ქალღმერთის მღვდელი ათავსებს. ამის შემდეგ ცხიმიან პურს (და) // ბურღულს სქელ ჰყენტჲშე მღვდელი რის. (მათ) წინ კი ერთ ღოქ ღვინოს შეასხურებს. §77: “ამის შემდეგ ამინდის ღვთაება ფიხასასისადმი დაამტვრევს სამ თეთრ სქელ პურს, // მათ შორის ერთ წითელს, ჩააწობს მათ თაფლში, რომელშიც წმინდა ზეთია შერეული // და ამინდის ღვთაება ფიხასასის მაგიდაზე მოთავსებს. // შემდეგ სქელ პურებზე ბურღულს (და) ცხიმიან პურს დაყრის. // [მათ] წინ ერთ ღოქ ღვინოს შეასხურებს”. “თეთრი სქელი პურის”, “წითელი პურის”, “ცხიმიანი პურის” და “ბურღულის” მოხსენიება მოყვანილი ტექსტის უძღვბლივ ყველა მუხლში (§87-91) მოწმდება, სადაც ხეთების პანთეონის არა-ერთი სხვა ღვთაებისათვის (ხებათი, ცის ამინდის ღვთაება, ხათის ამინდის ღვთაება, ციფლანდის ამინდის ღვთაება, ხათის ყველა მამრი ღვთაება, სერი და ხური, ხათის ყველა ქალღმერთი, მთების და მდინარეების ღვთაებები, ყველა ქვეწის მამრი ღვთაებები, ყველა ქვეწის ქალღმერთები...) მიძღვნილი შესაწირია აღწერილი.<sup>23</sup>

ზემომოყვანილთან ერთად საგულისხმოა მურსილი II-ის ლოცვისა და მზის ქალღმერთისადმი მიძღვნილი პიმინის ტექსტიც, სადაც კვლავაა ხაზგასმული ღვთაებისათვის შეწირულობაში პურისა და ღვინის მნიშვნელობა. ხეთების ქვეწინაზე თავს სდატებილი უძღვურება (შავი ჭირი) მეფეს არინას მზის ქალღმერთის მისამართით მუდარით ადსაგსე შემდეგ სიტყვებს ათემევინებს: “დაე, ამ სურნელოვანმა, საამურმა კედარის ზეთმა // გული მოგილბოს (რათა) შენ ისევ შენს საღოცაში მოხვიდე // აი, მე – მურსილი მოგიხმობ პურითა და ღვინით // სიბრაზე დაიცხე, // (მოდი) და მოიხმინე ჩემი სათქმელი”<sup>24</sup>.

ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით მურსილის ლოცვისა და პიმინის ტექსტის კიდევ ორი ფრაგმენტი იმსახურებს ყურადღებას, სადაც გამწარეტყელი მეფის ხმა გაისმის (წ6: ”ღვთაებებო, ეს რა ჩაიდინეთ? შავი ჭირი გააგრცელეთ // და ხათის მთელი ქვეწანა ამოწყდა! ამის შედეგად // ადარავის შეუძლია თქვენთვის შესაწირი პურისა და ღვინის // მორთმევა. გლეხები, რომლებიც ღვთაებათა მინდვრებსა და ყანებს // ამუშავებდნენ, ამოწყდნენ. [ღვთაებათა] მინდვრებსა და ყანებს // ისინი (ვეღარ) ამუშავებენ, ვეღარავინ იდებს მოსავალს. // მეწისქვილე ქალები, რომლებიც ღვთაებისათვის “სქელ” პურებს აცხომდნენ ხოლმე, // ისინი ამოწყდნენ, “სქელ” პურებს ვეღარ [აცხომენ]”<sup>25</sup> და ქვემოთ: §11 “ზოგიერთი [...] // თქვენი (ც. ი. ღვთაებათა – ნ. ხ.) რიტონების, თასების [ვერცხლისა (და) ოქროს] ნივთების // მითვისქას ცდილობს. // ერთნი თქვენი მინდვრების, ბაღების, // მდელოების გავერანგას ცდილობენ, სხვანი კი – // (თქვენი) გლეხების, მებაღების, მეწისქვილე ქალების ხელში ჩაგდებას”<sup>26</sup>.

ზემომოყვანილ მონაცემებთან ერთად, საყურადღებო ინფორმაციის შემცველია სამშენებლო რიტუალის ამსახველი წერილობითი ძეგლებიც, სადაც “პურის” მოხსენიება “ღვინოსთან” ერთად რიტუალის დასაწყისშივე ჩნდება. KUB XXIX 1-ის თანახმად, “როდესაც საძირკველს ყრიან, სასახლიდან მაქავთ ერთი ბუღა ხარი, ერთი ძროხა და ათი ცხვარი. ბუღა ხარს ამინდის ღვთაებას, ხოლო ძროხას არინას მზის ქალღმერთს სწირავენ მსხვერპლად. (რაც შეეხება) ცხვრებს, თითო-თითოს სწირავენ თითოეულ ღვთაებას. პური და ღვინო (ასევე) სასახლიდან მიაქვთ”<sup>27</sup>. პურს რიტუალის აღსრულებას სხვა ეტაპებზეც გადასტურებთ. ირკვევა, რომ მომავალი სასახლის ან ტაძრის საძირკველში სხვადასხვა წონის, ზომის სხვადასხვა ცქვილისაგან გამომცხვარ პურს ათავსებდნენ. KUB IX 2-დან ირკვევა, რომ განახლებული ტაძრის საძირკველში kupti-ს (სამსხვერპლო ჭურჭელს) “ჩაასობდნენ”, ხოლო მასში კრავთან, თხა-



სთან, იხეთან, ყველთან ერთად 30 თხელი პურის, 1 tarna mulati პურსაც უმრავობაშიც დგნენ<sup>28</sup>. მითითებული ტექსტის მოწმობითვე, საძირკვლის ჩაყრის რიტუალი მეორე დღესაც გრძელდებოდა: ამჯერად სამსხვერალო ორმოში კრავთან და იხეთან ერთად შესაჭირად 30 თხელი პური, 1 tarna ფქვილისაგან გამომცხვარი 1 ცხელი პური, 1 tarna BA. BA. ZA-დან გამომცხვარი 1 ცხელი პური, 1 tarna BA.BA.ZA-დან გამომცხვარი 1 ტექსტი პური მიჰქონდათ<sup>29</sup>.

როგორც KBoXV 24-დან ვგებულობთ, სასახლის, ტაძრის, კერის საძირკვლის გამართვისას შესაჭირს საჟუციალურად ამ მიზნით დადგმულ მაგიდაზე განალაგებდნენ. ხეთური ტექსტის მოწმობით, დვოთაება ეასათვის რიტუალის შემსრულებელს 1 ცხელი პური, ზედ დაწყობილი 12 tappinu – პური, ყურის ფორმის 10 პური და კედარი შეუწირავები<sup>30</sup>. KBoXV 24-ში საუბარია ქერის, სპელტის, ბარდის, ცერცვის, parhuena პურის მარცვლის, ხორბლის და ალაორთი სავსე ჭურჭლის შეწირვაზეც<sup>31</sup>.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე საგულისხმო ცნობა გვიანხეთური ხანით (ძვ. წ. IX-VIII ს.ს.) დათარიღებულმა იეროგლიფურ-ლუვიურმა წერილობითმა ძეგლებმაც შემოგვინახა. ასე, მაგალითთან, სულთანხანში აღმოჩენილ იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერაში ხორბლის გაცემაზე საუბარი<sup>32</sup>. კულულუში არქეოლოგების მიერ მიკვლეული ტყვიის ფირფიტები ქალაქებში – ზემო და ქვემო თუნა, ნივარალი, ურამუვა მცხოვრებთათვის ქერის საწყაოთი აწონილი სხვადასხვა რაოდნობის ქერის განაწილებაზე გვამცნობს<sup>33</sup>. დანუნელთა მეცვ, ყარათეფეს ცნობილი ბილინგვის ავტორი, აზითივათა კი, თავისი სახელმწიფოობრივი მოდვაწეობის აღწერისას ხაზგაშმით აღნიშნავს, რომ მან დანუნელთა ბედლები მარცვლეულით აავსო, ცხენს ცხენი მიუმატა, დაშქარს დაშქარი, ფარს ფარი და ა. შ. მეცვისავე ბრძანებით, ღმერთებისათვის მსხვერპლშეწირვა დაწესებულა, კერძოდ, “ყოველწლიურად [...] ხარის შეწირვა და პურის მოსავლის აღგბის ქამს – ცხვრისა და ყურძნის მოსავლის აღგბის ქამს – (კვლავ) ცხვრისა”<sup>34</sup>.

დაბოლოს ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ გვიანხეთური ხანით დათარიღებულ ხელონების ძეგლებზე ამავე ეპოქის სამეფო-სამთავროთა პანთეონის უზენაესი დვთაება-თარხუნთასი, რომელიც ცასთან ასოცირდებოდა და ჭექა-ქუხილისა და ნაყოფიერების მომტანი წყლების ფუნქციით იყო აღკურებილი<sup>35</sup>, როგორც წესი, პურის თავთავების კრითა და ყურძნის მტკურით ან აკიდოთი გამოისახებოდა (იხ. სურ. 1-2)<sup>36</sup>.

თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს შევაჯამებთ, იმ მართებულ დასკვნამდე მივალთ, რომ საკვლევად შერჩეული ლუვიური იეროგლიფები საესტით აღეკვატურად ასახავს ძვ. წ. II-I ათასწლეულების ანატოლიაში არსებულ ვითარებას და კიდევ ერთხელ აღასტურებს მოსაზრებას, რომ იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობა დამატებით საისტორიო პირველწყაროს წარმოადგენს ძეგლი ანატოლიის ცალკეული ასპექტების რეკონსტრუქციისათვის.



სურ. 1.



სურ. 2.

Нана Хазарадзе

## К ИСТОРИИ ЛУВИЙСКИХ ДВУХ ИЕРОГЛИФОВ

Объектом исследования предлагаемой статьи являются два лувийских иероглифа: «Колое», символ бога «Зерно» (клинописи: <sup>D</sup>Halki) и «Хлеб», лог., 1. фон. чт. turpi-; 2. фон. чт. или фон. компл. (...) arsa-.

Анализ и сопоставление указанных лувийских иероглифов с данными хеттских клинописных и иероглифическо-лувийских письменных памятников однозначно подтверждают ранее высказанную автором мысль о том, что лувийцы, создатели одной из древнейших письменностей древней Анатолии, полностью владели достоверной информацией по важнейшим аспектам истории этого крупного древневосточного региона, и тем самым не только иероглифическо-лувийские надписи, но и сама иероглифическо-лувийская письменность являются историческим первоисточником первостепенной важности.

1. ხაზარაძე ნ., იეროგლიფურ-ლუკიური დამწერლობა როგორც ისტორიული წყარო, რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, ვ. გაბაშვილისადმი მიძღვნილი კრებული: „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, 1991, გვ. 63-69.
2. ხაზარაძე ნ., ძველი მცირეაზიური ცხოველთა სამყაროს ამსახველი ლუკიური იეროგლიფები, რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, ჯ. რეზაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2002, გვ. 455-464; მისვე, ნაგებობის აღმნიშვნელი ლუკიური იეროგლიფების ისტორიისათვის, რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 349, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნება, ეთნოლოგია, თბილისი, 2003, გვ. 50-64.
3. Laroche E. Les Hiéroglyphes Hittites, I, Paris, 1960, №149.
4. იქვე, №181.
5. იქვე №181, 1, 2.
6. უფრო დაწვრილებით იხ.: Гамкрелидзе Т. В., Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тбилиси, 1984, с. 655-658. იქვე, იხ. მთითება სპეციალურ დისტაციურაზე.
7. Памятники письменности Востока. XIV. Клинописные тексты из Кюль-Тепе в Собраниях СССР (Письма и документы торгового объединения в Малой Азии XIX в. до н.э.). Автографические копии, транскрипция, перевод, вводная статья, комментарий и глоссарий Н. Б. Янковский, М., 1968, 11:[x+13]; 15:y+13; 22:24; 47:[x+7]; 67: 15; 68:10; 79:4; 80:[y+9]; 83:[22]; 85:[x+3]; 86:8; 87:1; 91:13; 92:[x+11]; 97:11; 98:8; 99:1; 106:7 და სხვ.
8. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, 1990, გვ. 182.
9. იქვე, გვ. 181.
10. იქვე, გვ. 220.
11. იქვე, გვ. 219.
12. დოლიძე ი., ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბილისი, 1960, გვ. 116.
13. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 217.
14. დოლიძე ი., დასახ. ნაშრ., გვ. 119, 122.
15. იქვე, გვ. 117.
16. იქვე, გვ. 119.
17. იქვე, გვ. 119.
18. იქვე, გვ. 120.
19. Менабде Эд., Хеттское общество, Тбилиси, 1965, с. 38-48; Гиоргадзе Г. Г., Хеттское общество, в Сборнике: «История древнего мира. Ранняя древность», Москва, 1982, с. 209, 213; მისვე, ათასი დვაუების ქავებანა, თბილისი, 1988, გვ. 85-86; История древнего Востока. Зарождение древнейших классовых обществ и первые очаги рабовладельческой цивилизации, Москва, 1988, с. 125.
20. იქვე.
21. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 226-227.
22. იქვე, გვ. 231.
23. ტატიშვილი ირ., ხეთური რელიგია, თბილისი, 2001, გვ. 89 და შმდ.
24. იქვე, გვ. 84.
25. იქვე, გვ. 86.



26. იქვე, გვ. 88.
27. ხაზარაძე ნ., ძველანატოლიურ სამყაროსთან ქართველობა ეთნოგრაფულ ტემაზე თიქმობის ისტორიიდან, ქართველური მემკვიდრეობა, VI, ქუთაისი, 2002, გვ. 249.
28. იქვე იხ. მითითება სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაზე.
29. იქვე, გვ. 250.
30. იქვე.
31. იქვე.
32. ხაზარაძე ნ., აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი, 1978, გვ. 102. იხ. აგრძოვე, ArOr, VII, №3, გვ. 488 და შმდ.
33. Hawkins J. D., *The Kululu Lead Strips. Economic Documents in Hieroglyphic Luwian*, AnSt, XXXVII, 1987.
34. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 239-240.
35. ხაზარაძე ნ., <sup>D</sup>TRH – (თარხუნთი) – გვიანხეთური პანთეონის უზენაესი ღვთაება, რეზიუმე ინგლისურ ენაზე, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXIV, თბილისი, 2001, გვ. 54-62. ეძღვნება აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დაბადების 100 წლისთავი.
36. Mustafa Sahin, Neue Beobachtungen zum Felsrelief von Ivrit-Konya. Nicht in den Krieg, sondern zur Ernte: der Gott mit der Sichel, AnSt, XXXIX, 1999, S. 166.

## მედებას ეტიმოლოგიისათვის

უკრნალ Phasis-ის VII წლიურში (2004 წ. გვ. 88-92) არის Robert Schmitt-Brandt-ის ხტატია Zur Etymologie von მებეა, რომლის აზრიც არის ის, რომ მედებას ეტიმოლოგია არის ქართული და ეს იგივეა, რაც ძველქოლხეთში (არსებითად მეგრულსა და სვანურში) გავრცელებული სახელები, საბოლოოდ გაიგივებულია „მზიასთან.“<sup>1</sup>

ხტატიას რომ გავეცანი, არ მომეჩვენა დამაჯერებლად, მაგრამ მას მერე, რაც დაუშეკვირდი ძველძერძნულ (მიკენურიდან დაწყებულს) და ბიზანტიური ძერძნულის მონაცემებს, ამის გვერდით ქართულ ონომასტიკონს, ვფიქრობ რ. შმიტ-ბრანდტის მოსახრებაც შეიძლება სახელი მედებას ერთ-ერთ ეტიმოლოგიად მიეკოლოთ.

ქართული მონაცემების მიხედვით რ. შმიტ-ბრანდტის მიმართ მაქს ასეთი შენიშვნები: „მედება“ საკუთრივ ქართულ ლიტერატურასა და ონომასტიკონში გავრცელებული სახელი არ არის (ვიცით ა. წერეთლის „მედია“. დღვეანდელ ქართულ ლიტერატურას არ ვგულისხმობთ, სადაც მედება არ ვიცი, მაგრამ უამრავი ვეროპული სიტყვების კორიანტელის გვერდით, ვეროპული საკუთარი სახელებიც მრავალნაირია). ჩემი აზრით, XX ს-ის ოციანი წლებიდან საქართველოში „მედება“ პევით ცნობილი ინტელიგენციის შეიძლებს (მედეა ქორელი, მედეა ააშელა, მედეა უზნაძე, მედეა მაკალათია). ამ დროს ქალთა სხვა სახელები გაცილებით ხშირია – თამარ, ნინო, ეფრე, თინა (ამ სახით და არა სრული ფორმით). გვაქს რამდენიმე სახელი ბერძნულ ენაში, რომელთაც თუ დანამდვილებით ქართული ეტიმოლოგია არა აქვთ, ქართული სა და ბერძნულის მსგავსი დაწერილობა და მნიშვნელობა აქვთ. ეს სიტყვებია: κωδας (საწმისი, ქართული ტყავი), κάλαμος (კალამი, წალამი), οίνος (ღვინო), πυρός – პური, δύος – ჟუნე. სია, უთუოდ, სრული არ არის. ეს მასალა მიუთითებს იმაზე, რომ ბერძნებსა და ქართველებს ურთიერთობის გარკვეულ ეტაპზე საერთო ენობრივი მონაცემებიც მოეპოვებოდათ.

რაც შეეხება „მზიას“, რაც გერმანული კოლეგის აზრით სამეგრელოსა და სვანეთში ძალიან გავრცელებულია, აქ შემიძლია მოყიფანი ბევრი მაგალითი (მარტივი და თხზული სახელები), სწორედ აღმოსავლეთ საქართველოდან (როგორც ქალების, ასევე კაცების და გეოგრაფიული). ეს სახელებია (არა მეგრული და სვანური):

„მზია“ ძირითადად გავრცელებულია ხევსურეთში; მზექალა, მზევინარი – ფშავები; მზენარი, მზეო – კახეთში; მზევარი – ქსნის ხეობაში; მზიანა – კახეთში; მზისო – რაჭაში; მზისაბარი – ლეჩებუმში; მზეხა – ზესტაფონში; მზეთამზე – გეოგრაფიული პუნქტი – ბორჯომის ხეობაში; მზეჭაბუკი (მზექალასი არ იყოს, თხზული სახელი) ძირითადად აღმ. საქართველოში.

ამდგნად, გვეხა ჩემი სია სრული არ იყოს, მაგრამ აქ წარმოდგენილი სახელების მიხედვითაც ცხადია, რომ ისინი ძირითადად აღმ. საქართველოში გვხვდებიან, ხოლო დას. საქართველოში – ერთეულები (ისიც არა სამეგრელოსა და სვანეთში);

<sup>1</sup> უნდა აღინიშვნოს, რომ ეს სახელები მაინდამაინც არგონავტების დროინდედი არ არის, მაგრამ ქართულ წეროებას თუ სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი დაახლოებით ბოლო 200 წლის მანძილზე არიან დაფიქსირებული, დღვეანდელი მონაცემების მიხედვით შემოწმებული და სპეციალისტების მიერ დადასტურებული.

მადლობას მოვახსენებ ჩემს კოლეგებს, თ. ოჩიაურსა და რ. ოოფტიშვილს ცნობების მოწყდებისა და კონსულტაციისათვის.

“მზეება” კიდევ შეიძლება მეგრული დაბოლოებისა იყოს (შდრ. დღევანდვერიანის განვითარების, მაგ. თოფურიშვილის და სხვა, ე. ქალი თოფურია (ეს ქალის სახელის შეტანილი წარმოებაა – ხე და არა – ხა)).

მე პირადად, მგონია, რომ მეტეთ კერძოული ძირისაა და იგი უნდა დავუკაშიოროთ მეტ-ძირის. მითუმებებს ადსანიშნავია, რომ “მზიაში” (და მის პარალელურ სეანურ-მეგრულ ფორმებში “მზეები” რომ აღნიშნავენ) “მჟღად” ძირის უ არსად ჩანს.

ქართულში “მდ” კომპლექსი ბუნებრივია (მაგალითებს არ მოვიყვან), ბერძნულში კომპლექსი არ გვაქს. შესაძლოა მეტეთ ში ეს η მ-სა და ბ-ს გასაყარად განხიდა.

ბერძნული – მეტ – ძირისგან, ისევე, როგორც მებ ძირისგან წარმოებული სიტყვები ძველბერძნულში საკმაოდ არის, მაგ. ზმებიც და ამავე ძირის სახელები. სახელი მეტეთ, რომელიც არის ლამაზი, ჰქვიანი და გრძნეული (აქ მის ვრცელ და ტრაგიული დასასარულის მქონე ბიოგრაფიაზე არ შეკჩერდები), კოლხეთის მეფის ავეტენის და იდუას შეიძლია; ტიტან პელიოდის (მზის დმეტოს) შეიძლიშვილი<sup>2</sup> მედეას სახელიდან არის წარმოებული მისი ძირის, მეტეთის სახელი, ასევე ქვეწის – მეტია (შემდეგი დროის წარმოთქმით “მიდია”). დოონ კასიუში ახსენებს პონტოს მეფეს მეტიას.

ეს სახელი ბერძნულ ლიტერატურაში იწერება ფორმით მეტეთ // მეტეთ საგანგებოდ არის ცნობილი ლიტერატურაში აღნიშნული საპოვს მიერ ნახმარი მეტეთ (მეტეთი), ლიტერატურის მიხედვით ცნობილია სახელი მეტი პენელოპეს და. ამ ძირიდან წარმოებული ქალის სხვა სახელები არ ჩანს, ხოლო მეტეთ (ამ ფორმით) გვევდება დოპუმენტურად ბერძნებ და რომაელ ავტორთან, დაწყებული პესიოდუსაგან (აღსანიშნავია, რომ ის პომეროსის ეპოსში არ არის. უთუოდ იმის გამო, რომ ამ თემას მის ვპოსთან კავშირი არ ჰქონდა), პომეროსის ეპოსში (ოდისეა, XI, 305). პინდარებთან (P., 4, 157) და ზოგ სხვა აეტორთან არის სახელი სიმადეთა, რაც, ვფიქრობ, მეტეთ-სთან უშუალო კავშირში არ არის (მეტ და მებ ძირები აზრობრივად განსხვავდებიან), ხოლო იფ, წყვი არის ზმისხედა, რაც სიტყვის ძირებულ ნაწილს ძალას მატებს.

არგონავტების მითი ძვ.წ. XIV ს-შია შექმნილი და მის საფუძველზეა აგებული ბევრი შემდეგი დროის ბერძნულ-ლათინური ლიტერატურული ძეგლი, რომლებშიც მედეას ცენტრალური ადგილი უტირავს. აღსანიშნავია პინდარეს IV პითოური ეპინიკია, ეპრიპიდეს დრამა “მედე”, აპოლონიის როდოსელისა და ვალერიუს ფლაკუსის გრკელი პოემები “არგონავტიები” და სხვა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმ ეპოქაში, როდესაც ეს მითი შეიქმნა თუ ჩამოყალიბდა, ბერძნებს B-ხაზოვანი დამწერლობა ჰქონდათ, როდესაც დადასტურებულია ფორმები: a-pi-me-de, e-u-me-de, pē-ri-me-de, me-de-i-jo, i-pe-me-de-ja, რაც ცნობილია ო. შმიტ-ბრანტისთვისაც, მაგრამ იგი, მის უშუალო კავშირს მეტეთ-სთან არ სცნობს.

ო. შმიტ-ბრანტის აზრით, სეანური და მეგრული ენების გათვალისწინებით, ქართული “მზია” თავდაპირველად იქნებოდა მეზა, სადაც ჲ წარმოითქმოდა ჲ და z-ს

<sup>2</sup> პელიოდის აქ აშკარად მამა დმეტოთია, შემდეგი ხანის წარწერებში (იხ. ვანის წარწერა, ძვ.წ. IV ს-ის, წარწერა, სექსისა, მეტ-მამრობითი სექსის, მთვარის გვერდოთ).

პანტიკაპების შეის წარწერაში (КБН N 74) იხსნიება 3 ღმერთი: ჵიპ. დია, წერ, “ჰლიოւ – ზევსი, ღევამიწა, მზე – აქ “მზის” სექსი გასარკვევაა, ზევსი აშკარად მამრობითი, გრ-დედა-მიწა – მდედრობითი, ჰლიოւ – მზე – ? ქართული მასალის მიხედვით ამ მნათობთა გააგივება ბერძნულ მონაცემებთან არ ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ წევნი უფროსი თაობის ეთნოგრაფები სერიოზულად იკლევდენ რელიგიის საკითხებს. ეს კვლევა შემდეგმა თაობებმაც განაგრძო. დასკვნები საკმაოდ მნიშვნელოვანი აქვთ.



საშუალო ბგერად. ზ ბერძნებისთვის zd οყო, ე.ი. “მედეა” გამოითქმოდა *mezdā* და *medē* გვარად არაფერი უდაბას წინ იმას, რომ მებეთა გავაიგივოთ “მზიასთან” (ხოლო იმ არქაულ ხანაში z-ს საკითხი ცალკე დგას), ზ სხვადასხვა კომპლექსში შეიისწავლება და სრულიად ნათელია, რომ კლასიკურ ბერძნულში არ არსებობს სიტყვის დასაწყისში მნ, მც, მს, კმ კომპლექსები. რაც შეეხება z-დ (მეტა-ად) წოდებული ანბანის VI ასოს, ის საინტერესოა და შეიძლება მსჯელობის საგანი გახდეს.

ზ და ძ-ს მონაცევლეობა ჯერ კიდევ მიეკური დროიდან მოდის. ყველა მაგალითს არ მოვიყვან. კლასიკური ბერძნულის დორიულ დიალექტში z-ს გადმოსაცემად იხმარება dd (ე.ი. ორი დელტა), მაგ., გორგინის კანონებში, სადაც საერთოდ არის არქაიზმები (ძვ.წ. V ს-ის ძეგლი) აქ გეხვდება ერთი d-ც z-ს აღსანიშნავად.<sup>3</sup> ამგარად, ზ ფონეტიკურად რთული და საინტერესო ბგერაა. მისი წარმოთქმა მთელი ბერძნული ენის მანილზე იცვლება. მაგ. ძველ ქართულ ხელნაწერებში ის და ის კომპლექსში ის ენაცვლება z - ეს შეიმჩნევა ძვ.წ. IIIს-შიც: სუმრა || ჰუმრა; სუ კომპლექსი გადმოიცემა ზმ-დ (ფარისმა-ფორიზმა), ის ზ - ზ-თი გადმოიცემა (პრეზიეს-პრესცეიას).

ამ ტაქსეტს მინდა დავუმატო 1988 წ. საირხის ექსპედიციის მონაპოვარი (ექსპედიციის ხელმძღვანელი ჯ. ნადირაძე) – გაითხარა ძვ.წ. IV ს-ის ქალის მდიდრული სამარხი, სადაც სხვა ნივთებს შორის აღმოჩნდა ვერცხლის ომფალოსი, რომელსაც ქვემოთ გარედან, როგორც ჩანს გაკეთების მერე დრმად აქეს ამოკაწრული (და არა ამობრიფული) წარწერა ა. – ესაა ფართოდ ფეხებგაშლილი μ, რომელსაც ცენტრიდან ზემოთ მოუდის სწორი ხაზი, ხოლო ამ ხაზს თავზე აზის ასო ბ. სწორი ხაზი მე ამ ასოთა დამაგაეგმირებდად მიმაჩნია, ე.ი. აქ რეალურად არის M და Δ ხომ არ არის ამ მოფალოსის პატრონი მებეთა (?)<sup>4</sup>

Tinatin Kaukhchishvili

## FOR THE ETYMOLOGY OF MEDEIA

In his paper called *Zur Etymologie von Μήδεια*, Mr. Schmitt-Brandt argues that Greek Μήδεια has Kartvelian etymology. It is identified with Mzia, a widespread female name in Mengrelia and Svanetia. I do not share the view-point of the distinguished scholar as, in my opinion, the root ‘Μηδ’ as in the name Μήδεια, is Indo-European, while the name ‘Mzia’ and its derivatives are widespread in western Georgia (and are relatively scarce in eastern Georgia). However, as the links between Georgian and Greek onomastikons fell within the scope of foreign scholars' interest and gave birth to a new version, it has every right to exist in humanity studies along with other assumptions, which are not in fact numerous.

<sup>3</sup> აქვეა მოხაყვანი ჯიფის, რომლის პარალეური ფორმებია მნიშვნელი და კუნძულის (ეს უკვე ასევე კომპლექსური ხანის სხვა მაგალითებიდან).

<sup>4</sup> ამ სამარხში სხვა ნივთზე სულ სხვა სახელი ამოვიეთხე უΔ ΠΧ, რაც მიიგინია ქალის ირანულ სახელად. ყდარის თ. ყაუხინშემდებრი “საირხის ბერძნული გრაფიზო”). როგორც ჩანს, ნივთები 2 სხვადასხვა ქალს ეკუთვნოდა ან ერთსა და იმავე ქალს ორი სხვადასხვა ნივთი მიუძღვნეს.

არაბთა ბატონობის დროს ერისმთავრის ინსტიტუტის არსებობის საკითხს ისტორიოგრაფიაში განსხვავებულად განიხილავნ.

ი. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ “ქართლში არაბთა მკაცრი ბატონობის ქვეშ ერისმთავრობდნენ ჯერ ნერსე, ხოლო მას შემდგომ სტეფანოზი, ძე გურგენისა. მერვე საუკუნის უანასკნელ მეოთხედში კი ერისთავად ქართლში აშორ დიდი ყოფილა. მაგრამ რაკი ქართლში არაბები ხანგრძლივ შეგვდობიანად არავის აბიგინებდნენ, ვერც ქართლის ერისთავმა აშორ კურაპალატმა (786-826) გაუძლო არაბების ეჭვს... იგი დაესახლა არტანუჯში და ქართლი ცარიელი დარჩა. აქ მტკიცედ ფეხის მოკადება ჯერჯერობით კიდევ არ შეიძლებოდა. თბილისში მჯდომი არაბი ამირა, რაც უნდა იყოს, ქართლის ერისთავის მუდმივი მეტოქე იქნებოდა. ამიტომ აშორი გაიხისნა და იქ ბიზანტიის კეისრის მფარველობის წყალობით მყარი ბინა გაიჩინა” (I, 93-94). როგორც ვხედავთ, ი. ჯავახიშვილი ერისმთავრების არსებობას ქართლში აშორ 1 მესხეთში გახიზნამდე უწყვეტ პრიცესად განიხილავს. მკვლევარის აზრით, აშორ 1 ქართლის ერისთავი იყო 786 წლიდან, ხოლო მოგვიანებით მისი რეზიდენცია არტანუჯი გახდა.

ს. ჯანაშიას მიხედვით, განსაკუთრებით დამძიმდა ქართლის ვითარება VIII ს. შუაწლებიდან, როცა ხალიფების ხელისუფლება აბასიდების ხელში გადავიდა. მიუხედავად ურთიერთობის ახეთი გამწვავებისა, არაბებს მაინც საჭიროდ მიაჩნდათ ქართლის ერისმთავრის ხელისუფლების არსებობა. გაქცეულ ნერსეს მაგირ, ქართლის ერისმთავრად VIII ს. ოთხმოციან წლებში, განმე სტეფანოზი დაუნიშნავთ (2, 60). ”უზენაესი არაბთა მოხელე ქართლში არის ამირა, რომლის მუდმივი რეზიდენცია ტფილისშია... რომლის ხელისუფლებაც გარკვეული სახლის პრეობატივა” (2, 35-36, 49).

ა. ბოგვერაძეც მიიჩნევს, რომ “არაბები ჯერ კიდევ ცდილობდნენ ქართლის ერისმთავრის ხელისუფლების შენარჩუნებას, მაგრამ მას შემდეგ, რაც თბილისის საბირო დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად გაფორმდა, ბუნებრივია, რომ თბილისის ამირა ასეთ ხელისუფალს, რომელიც ქართლის ერთიანობას განასახიერებდა, თავის რეზიდენციაში აღარ მოითმენდა” (3, 107) (თუმცა კი არ არის მითითებული, როდის მოხდა ეს). “ამიტომ აშორ ბაგრატიონი იულებული იყო დაეტოვებინა ქართლი და თავის სამფლობელოში კლარჯეთში გაქცეულიყო. ვიდრე ქართლი ერთიან აღმინისტრაციულ ერთეულად რჩებოდა, არაბული სახელმწიფოს სისტემაში, ქვეყანა რჩებოდა, ყოველ შემთხვევაში, ფორმალურად, ერთიანი, და ერთიანობას განასახიერებდნენ ადგილობრივი არაბი გამგებელი და ქართლის ერისმთავარი. მე-8 ს. II ნახევარში ქართლს მხოლოდ კახეთი და კერეთი ჩამოსცილდა” (4, 188). ა. ტერ-გვერნდიანის აზრით, არაბებს “ერისმთავრის თანამდებობა თუმცა არ გაუქმდებიათ, მაგრამ ქვეყნის მფლობელებს სასტიკად ჩაგრავდნენ” (5,113).

განსახილება საკითხზე მოგვიანებით შემდეგი შეხედულება შემუშავდა. მ. ლორთქიფანიძის აზრით, აშორ ბაგრატიონმა “თავდაპირველად განავრცო თავისი ხელისუფლება როგორც ქართლის ერისმთავარმა საქართველოს ცენტრალურ რაიონებში... არაბთა შეტაკება ქართლის ერისმთავართან უნდა გამხდარიყო არაბთა მიერ ამ ინსტიტუტის გაუქმდების მიზეზი” (6, 308).



დაახლოებით იგივე გამეორებულია სხვა გამოკვლევებშიც. მაგალითზე მას და მას სის ისტორიის” შემდგანები მიიჩნევენ, რომ “არაბთა წინააღმდეგ ბრძოლა ფართო მასტრაბით გაიშალა მთელ ამიერკავკასიაში... თბილისის საზღვრებშემცირებულ საამიროში ერთმანეთს დაუპირისისრდა არაბი ამირის და ქართლის ერისმთავრის ინტერესი. ამ კონფლიქტის შედეგად, რომელიც ქართლის ერისმთავარ აშორ ბაგრატიონსა და თბილისის ამირს შორის მოხდა, აშორი იმულებული შეიქნა ქართლს გასცლოდა. ის ბაგრატიონთა მამულში, შავშეთ-ლაკარჯეთში დამკიდრდა. IX ს. დასაწყისიდან თბილისის ამირათა კარსე ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება უკვე აღარ არსებობდა” (7, 63-64). აქედან გამომდინარე, უნდა ვიტიქროთ, რომ მანამდე, ე.ი. შე-8 ს. მანძილზე თბილისის ამირა და ქართლის ერისმთავარი მშვიდობიანად თანა-არსებობდნენ თბილისში.

მ. საამირის და თ. ბერაძის აზრით, “საამიროს დაარსების შემდეგ არაბებს ქართლში ერისმთავრობა არ გაუუქმდიათ. მათ ერისმთავარი ქართული ქრისტიანული სახოგადოების მართვისათვის სჭირდებოდათ. თუმცა ერისმთავრის ხელისუფლება ძალზე შეისზღუდდა. VIII ს-ის მიწურულიდან ქართველი ხალხის ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა ქართლის ერისმთავარი აშორ ბაგრატიონი, რომელმაც საერისმთავრო ტახტზე ფარნავაზიანთა ქახური შტრ ბაქურიანები შეცვალა... არაბთა საამიროს ჩამოყალიბებამ ქართლის საერისმთავროში ადგილობრივ მთავართა ხელისუფლება გააძლიერა, რასაც ქართლის საერისმთავროს ფაქტობრივად ცალკეულ სამთავროებად დაშლა მოჰყვა. აშორს კახეთი და პერეთი უკვე აღარ ემორჩილებოდა” (8, 99).

ე. პახომოვი ერისმთავრის ნაცვლად მხჯელობს სამეფო ხელისუფლებაზე საქართველოში, რომელიც, მისი აზრით, დაეცა მუსლიმთა დარტყმების შედეგად და ამაში მნიშვნელოვანი წვლილი ხაზართა მარტივლება თავდასხმებმაც შეიტნეს. შეფეთა ტიტული ერთხანს ეპურათ სტეფანოზ II-ის შთამომავლებს, რის შემდეგაც ეს დანასტია საბოლოოდ გადის სცენიდან, გამოღვევნილი ბაგრატიონთა გვარის მიერ. ერთეულთა მათგანმა, აშორ კურაპალატმა, მოახერხა ქართლის ტახტის ხელში ჩაგდება (787-826) და თავისი შთამომავლებისათვის მისი გადაცემა.”ამასთანავე მკელევარი შენიშვნეს, რომ მეფის ტიტულს, რომელზედაც ისინი პრეტენზიას აცხადებდნენ, მე-X ს-მდე რეალური შინაარსი არ გააჩნდა (9, 37).

ე. თაყაიშვილის აზრით, 780 “წელი შეიძლება იყოს ადარნასეს გარდაცვალების და აშორ კურაპალატის ბატონობის დასაწყისი, თუმცა მიღებული ქრონლოგიით ადარნასე გარდაიცვალა 779 წელს და აშორმა დაიწყო ბატონობა 786 წელს”, მაგრამ ეს, მისი აზრით, “საეჭვო უნდა იყოს” (10, 58)..

კ. ინგორიშვა გვაძლევს ერისმთავართა შემდეგ სიას: I. ნერსე II, ერისმთავარი (მე-8 ს-ის მე-2 ნახევარში ვიდრე 781 წ-მდე),

2. სტეფანოზ IV ერისმთავარი (781 წლიდან მე-8 ს. დასასრულამდე), 3. აშორ I დიდი (მე-8 ს. დასასრული და მე-9 ს. დასაწყისი) (11, 37).

ამგვარად, სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული აზრით, არაბებს მე-8 ს-ში ერისმთავრის ინსტიტუტი არ გაუუქმდიათ, პირიქით, მათ ამ ინსტიტუტის შენარჩუნებას საგანგებოდ შეუწყვეს ხელი, ვინაიდან ერისმთავარი მათ ერთიანი ქართლის გაორნეროლებას უადგილებდათ.

ადრე ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა დაგვესაბუთებინა, რომ თბილისის საამირო 771 წელს შეიქმნა და რომ ამ ფაქტის მე-8 ს. I ნახევარში მოთავსების ცდები სამეცნიერო ლიტერატურაში შესაბამისი წყაროების არარსებობის გამო სათანადოდ არის დასაბუთებული (12, 21-26).

თბილისში ამირას დამკვიდრებას წინ უსწრებდა აბასიანების გამარჯვება ომანების ანგაზე. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აბასიანთა სახალიფო სამეცნიერო სელმწიფო ორგანიზაცია მეორე აბასიანი ხალიფას, ალ-მანსურის (754-775) დროს და-იწყო, თუმცა საბოლოოდ ხალიფა პარუ არ-რაშიდის დროს განვითარდა, როდესაც გადასახადს უკვე სახალიფოში შემავალი ცველა ერთეული იხდიდა. (13, 64).

არაბი შემარტინის აქმდ იბნ ა'სამ ალ-ქუფის ცნობით, „ხალიფა აბულ აბბას ას-საფუფქმა გადააყენა მუჰამად იბნ სულა და აზერბაიჯანის, არმენიის და ალ-ჯაზირის მიწების გამგებლად თავისი მმა აბუ-ჯა'ფარ ალ-მანსური დანიშნა“ აქ ტექსტის რუსულ ენაზე გამომცემელი ზ. ბუნიატოვი აკეთებს შენიშვნას, რომ აბუ ჯაფარ ალ-მანსური ზერბაიჯანის გამგებლად დანიშნა პიჯრის 134 წ. -30. VII 751- 17.VII. 752). „აბუ ჯაფარი გაემართა იქ და აზერბაიჯანის სახლვარში შევიდა, გამოიზამთრა ქი-რანად წოდებულ ერთ ადგილას, ზაფული კი გაატარა საძოვარზე, რომელიც ად-და-რიბად იწოდებოდა ჯურზანის მიწაზე“ (21, 61).

ალ-ბალაზურის ცნობით, ალ-მანსურის დროს „არმენიის გამგებელმა იაზიდ იბნ უსაიდმა დაიპყრო ბაბ ალანი და ჩააყენა იქ გარნიზონი. მან ისე დაამარცხა სანარიელები, რომ ისინი იმულებული გახდენ ხარაჯი გადაეხდათ“ (15, 19-20). დაწყებული ამ დროიდან არაბული წყაროების სანარიელები ან წანარები, რაც აღმოსავლეთ საქართველოს, უფრო კონკრეტულად კი კახეთის მოსახლეობას გულისხმობს, მუდმივად გამოდიან არაბების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ისინი მარტო არ არიან და მათი მოკავშირები ხაზარები და სახმრეთ კავკასიულები არიან. მაგრამ მოგვიანებით, იმ შემთხვევებში, როდესაც დაპირისპირება თვით აბასიანებშია, აქ უკვე ორსავე დაპირისპირებულ მხარეს უნდღება მოკავშირე ქართველების მხრიდან, რომლებიც ამ გზით ცდილობენ სახელისუფლებო ან ტერიტორიული უფლებების მიღებას ან შენარჩუნებას.

მ. ი. არტამონოვი, ზ.მ. ბუნიატოვი და ა. პ. ნოვოსევლცვევი (16, 241; 17, 112; 18, 188) ამავე წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავენ, რომ აბუ ჯაფარ ალ-მანსურის ერთ-ერთი პირებული აქცია ბაბ ალ-არანის (ამ შემთხვევაში დარიალის) დაპყრობა იყო. აღნიშნულ საკითხს შეეხო დ. დანლოპიც, რომელიც შენიშნავს, რომ იაზიდ იბნ უსაიდ ალ-სულამი მართავდა არმენიას აბასიანი მანსურისათვის. მან ჩააყენა გარნიზონი დარიალის გასასვლელში (19, 179).

ცნობა იმის შესახებ, რომ აბასიანების წლებში ქართველები ხარაჯას იხდიდნენ, გვხვდება „მატიანე ქართლისაში“- „ხოლო ამიერითგან იწყო შემცირებად მეფობამან, დიდთა მეფეთა ხუსარობანთაგან. პირებულად, უფლება სარქინოზთა განდიდნა და მიერთოგან მიუცა ყოველი ესე ქუებანა გამითი გამად ბრეებასა და ოხრებასა. მეორედ, იქმანა სიმრავლე მთავართა ქუებანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთის და უკუეთო ვინე გამოჩნდეს შეილთა შორის ვახტანგისთა, რომელიცა ლირს იყო მეფედ, იქმნების შემცირებულ სარქინოზთაგან. რამეთუ დაიპყრეს ქალაქი ტყილისი აგარიანთა. შექმნეს სახლად საყოფელად თვისად. მოიღებდეს ხარკსა ქუებანისა ამისგან, რომელსაცა ქეყიან ხარაჯა“ (20, 205). ცნობა ეხება მე-8 ს. 60-იან წწ. ხაზართა შემოსვლიდან 7 წლის გასვლის შემდგომ ხანას, ანუ ასახავს ვითარებას, რომელიც იყო თბილისის საამიროს შექმნის შემდგება.

ხალიფა პარუ არ-რაშიდის თანამედროვის აბუ იუსუფის განმარტებით, ხარაჯა ხშირად ჯიზიას (კი. სულადობრივი) გადასახადის მნიშვნელობითაც იხმარება. სხვა შემთხვევაში იგივე ავტორი შენიშნავს, რომ „არაბთა მიწა, რომლის მოსახლეობა სამშეიდობო ხელშექრულებას იმ პირობით, რომ მათ ის შეუნარჩუნდებათ, ხდე-დებს სამშეიდობო ხელშექრულებას იმ პირობით, რომ მათ ის შეუნარჩუნდებათ, ხდე-

ბა მიწა, რომელიც ხარაჯით იძეგრება". (14,131) ამდენად, ცნობა იმის შესხვებისთვის არაბები ქართველებისაგან ხარაჯას იღებდნენ, სწორედ იმას ნიშნავს, რომ აქ, ამ მიწაზე ადგილობრივი, ე. ი. ქართველი გამგებლები უნდა ყოფილიყონენ. მაგრამ იყო თუ არა ასე რეალობაში, ან რა უფლებები ჰქონდათ ამ ადგილობრივ გამგებლებს, ამ საკითხის გარკვევას ქვემოთ შევეცდებით.

მე-IX ხაუკუნის არაბი მემატიანის აღ-ბალაზურის ცნობით, „არმენიის პატრიკები აგრძელებდნენ თავის სამფლობელოებში ცხოვრებას, და ყველა თავის კუთხეს იცავდა. როდესაც იმ მხარეში რომელიმე მხარის მეთაური ჩამოდიოდა ნაცვალისაგან, ისინი ცდილობდნენ მისთვის თავი აერიდებინათ. თუ ისინი ამჩნევდნენ, რომ მეთაური მოუსყიდველი და მეაცრი იყო და მას სამხედრო ძალა და აღჭურვილობა ჰქონდა, შპექნდათ გადასახადები და მორჩილებას უცხადებდნენ, თუ არა და ცდილობდნენ ცილი დაეწამებინათ მისთვის და არაფრად აგდებდნენ" (15, 21).

არაბთა ხალიფასათვის სრულიად ნათელი იყო, რომ ჩრდილოეთში მშეიდობა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ხაზარებზე. ამად იბნ ა'სამის გადმოცემით, ქალაქ ბარდავში არანის გამგებელთან გაგზავნილ წერილში ხალიფა აღნიშვნება რომ "არანის ქვეყანა ვერ იქნება მშეიდობინად, ვიდრე არ დამყარდება ნათესაური კავშირი ხაზარებთან, მე ვფიქრობ, რომ შენ მათ უნდა დაუნათესავდე და ქვეყანაში მშეიდობა დაისადგურებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მე ვშეშობ შენზე და შენს ყველა გადასახადის ამქრებზე, რადგან ხაზარები თქვენ არ მოგასვენებენ. თუ ისინი მოინდომებენ, შეკრებენ ჯარებს და გამარჯვებას მოიპოვებენ" (21, 62). მართლაც, ამის შემდეგ იაზიდ იბნ უსაიდმა ცოლად შეირთო ხაზარი ქალი, რომელიც თუმცა მალე გარდაიცვალა. ამად იბნ ა'სამის ცნობით, გარდაცვალებამდე მან მოასწრო თრი ვაჟის გაჩენა, თუმცა ცოტა ხნის შემდეგ ისიც გარდაიცვალა და მისი შეიღებიც (21,62) ყოველივე ამას ხაზართა დიდი ლაშქრობა მოჰყვა. აღ-ბალაზურის ცნობით, ქალმა მხოლოდ ერთი შეილი გააჩინა, რომელიც დაიღუპა, და თვითონაც მშობიარობას გადაუყა (15, 20).

დ. დანლოპიც იხსენიებს თავის გამოკვლევაში იმ ფაქტს, თუ როგორ მოუვიდა მითითებები გამგებელს ხალიფასაგან, რომელიც ურჩევდა მას საქორწინო კავშირი დაგმუარებინა ხაზართა მეფებთან. (19, 170-180). მკვლევარი ეურდნობა აგრეთვე ატ-ტაბარის ცნობას, რომლის საფუძველზეც მიიჩნევს, რომ ქორწინება, როგორც ჩანს, ბარდაში შედგა, ხადაც ქალბატონი მოგვიანებით მშობიარობას გადაუყა. აქვე გაკეთებულია კომენტარი, რომ ატ-ტაბარის 182 და 183 წლის ერთ-ერთი სიუკეტი 145 წელს განეკუთნება (19, 179 შენ. 42). იგივე ცნობებს სხვადასხვა კომენტარით განიხილავთ მ. არტამონოვი, ა. ტერ-გევონდიანი, ხ. ბუნიატოვი (16, 241-242; 5, 101; 17, 112), ბ. სილაგაძე (112-116).

ატ-თაბარის, ისევე როგორც იბნ აღ-ასირის ცნობით, ხაზარები მე-8 ს-ის 60-იან წლებში ოჯერ შემოიტრენ, პირველად 145 (762/3) წელს, ხოლო მეორედ – 147 (764/5 წელს). "იმავე 145 (762/3) წელს აღსდგნენ თურქები და ხაზარები ბაბ აღ-აბგაბში და მრავალი მუსლიმანი მოკლეს არმენიაში. იმ 147 (764/5) წ. დაესხა მუსლიმანებს ასტარხან-ხორუქმიერი თურქების რაზმებით სათავეში სადღაც არმენიაში, ბევრი ხალხი წაიყვანა, როგორც მუსლიმები, ასევე ზიმმიები და თბილისში შევიდა... თურქებთან საომრად მანსურმა ჯიბრაილი იბნ იაჰია და ხარბ იბნ აბდალაჰი გააგზავნა და ისინი შეებრძოლებ, მაგრამ ჯიბრაილი უკუაციებს, მისი მრავალი მეომარი მოკლულ იქნა, ისევე, როგორც ხარბი." (23, 34). ასეთივე ცნობა 147(764/50)წ. ხაზარების თავდასხმის შესახებ სამხრეთ კავკასიაზე ხორუქმელი ასტარხანის მეთაურობით აქვს ატ-ტაბარი-



საც: "გამოვიდნენ თურქები და ხაზარები ბაბ აღ-აბგაბით და დახოცეს მუსლიმთა სამართლებულების დიდალი ხალხი არმინიაში" (24, III, 318).

მე-8 ს-ის სომეხი აეტორი დევონდიც მოგვითხრობს არმენის მმართველ იაზიდის ხაზართა ხაკანთან დანათესავების შესახებ, რომელსაც ის „ჩრდილოეთის მეფებ“ უწოდებს. მემატიანე მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ გაყოფლა მან არა ამგებელს თავისი ქალიშვილი, ხათუნი, რომელსაც, თავის მხრივ, მსახურთა და მონათა მრავალრიცხვანი ამალა მისუყვებოდა, თუ როგორ გარდაიცვალა ხათუნი რამდენიმე ხნის შემდეგ, თუმცა ავტორი სიკეთილის მიხეს არ ასახელდებს და როგორ დაირღვა მშეიძობიანი შეთანხმება მხარებს შორის, ვინაიდან ქალის გარდაცვალებაში ხაზარებმა უკრაგობა დაინახეს, და როგორ მოჰყვა ამას ხაზართა ლაშქრობა (25, 92). აღ-იაკუბის ცნობა მოაქეს ხაზართა მხოლოდ ერთ თავდასხმაზე და შემდეგ არაბების საპასუხო შეტეაზე: "აღლოდნენ ხაზარები არმენის მიდამოებში, დაესხნენ იაზიდ იბნ უსაიდ ას-სულამის, რის შესახებაც მან (ხალიფა) იბნ ჯაფარს აცნობა, შეაწყობინა, რომ ხაზართა მეფე რას-თარხანი თავს ესხმოდა მას დიდი ჯარით და რომ მისი ნაცვალი გაიქცა. მაშინ აბუ-ჯაფარმა მას გაუგზავნა ჯაბრაილ იბნ იაჰია ალ-ბაჯალი 20000 (მეომრით) სირიის, ჯაზირას და მოსულის მაცხოვერებელთაგან. ჯიბრაილი და იაზიდ იბნ-უსაიდი გაიქცნენ და ხირსში ჩავიდნენ. როდესაც აბუ ჯაფარმა მიიღო ცნობა იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია (მუსლიმანთა ჯარს) და ხაზართა გამარჯვების შესახებ და მათ შეგრაზე მუსლიმთა მიღამოებში, აბუ ჯაფარმა ბრძანა გამოეშვათ საპურობილებიდან 7000 და სხვადასხვა მხარეში შემძრიბათ მრავალი მეომარი, რომლებიც მან გაგზავნა". შემდეგ მან განახელა ომი ხაზარებთან და ქვეყანა დამშვიდდა (26, 9).

დევონდის გაღმოცემით "ხავანმა შეკრიბა ჯარი, ჩააბარა თავის სარდალს რაჭ-თარხანს, რომელიც ხატილიტერის ჩამომავლებს ეკუთხნოდა და ეზიდის გამგებლობაში მყოფ ჩვენს ქვეყანაში გამოგზავნა. დიდი მდინარის, მტკვრის ჩრდილოეთ მხარეს გაფანტულმა ხაზარებმა დაიპყრეს ბევრი ოლქი – ხეჯარი, კამა, ოსტანი, მარზაბანიანი, კაბანდი, ჰეგავი, შაკე, ბიესი, ხენი, კამბექხანი, ხოსმასი – ესენი ყველა აღვანთა თემია, და დაიმურეს აგრეთვე საქართველოს შეიდი თემი: შუჩქი, კვეგ-გაპორი, ჩელტი, ჭუქეთი, ველის ციხე, თიანეთი, ერკი და შეაგროვეს რა დიდალი ნადავლი და ტკვეები, თავიანთ საცხოვერებელ ადგილებს დაუბრუნდნენ" (25, 92-93).

ხაზართა ორ ლაშქრობაზე საუბრობს ბიზანტიელი აეტორი თეოფანეც – 763 და 764/5 წწ., რომელიც პირველ შემთხვევაში აღნიშნავს, „იმავე წელს თურქები გამოვიდნენ ქასპიის კარიდან, მრავალი მოკლეს არმენიაში, ბევრი ტავედ აიგანეს და უან დაბრუნდნენ“, ხოლო მეორედ „თურქები კვლავ გამოვიდნენ ქასპიის კარისა და იბერიისაენ. არაბებთან ბრძოლაში ორსავე მხრიდან მრავალი დაიღუპა“ (27, 68).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ვინაიდან ხაზართა პირველი ცდა, აედოთ დერბენდი, უშედეგოდ დასრულდა, მათი თავდასხმა გამეორდა ორი წლის შემდეგ. (5,101). სირიელი აეტორების აღაპიუსის და აბუ-დლ ფარაჯი იგივე ბარჟებრაის ცნობებით, ბერძნული წელთაღრიცხვის 1073 წელს (762), ან მანსურის მე-9 წელს, რომელიც აბუ-დლ ფარაჯის ცნობით ტახტზე ბერძნული წელთაღრიცხვის 1066 წელს ავიდა და რომლის მე-9 წელი 1074 იქნებოდა, ე. ი. 762 ან 7633 წელს, ხაზარებმა ჯურზანიდან 50000 ტყვე წაიყვანეს (16, 242; 28, 114.). თუმცა არსებობს განსხვავებული ცნობებიც, მაგალითად, აზ-ზაჰაბის, რომლის მიხედვითაც შემოიტენენ არა ხაზარები, არამედ ყიქჩადები, ან კ. ცეგლების, თურქებისა და მათი დაქირავებული ხორეზმელების თავდასხმის შესახებ (17, 115). მიხეილ სირიელის სომხური თარგმანის

შიხეფვით, თავდამსხმელები იყვნენ ქურთები და მარები (მიღიერები), როგორც “ხალხის ხროვა” (29, 261).

როგორც ჩანს, სწორედ მე-8 ს-ის 60-იანი წლების ხაზართა თავდასხმა ამიერკავკასიაზე, თუმცა თარიღის მითოების გარეშე, თავისებურად აისახა „მატიანე ქართლისაიში“ - “რაეამს ადესრულა წმიდა მოწამე არჩილ, დაშოუს შვილი მისნი იოგანე და ჯუანშერ. წარვიდა იოვანე ეგრისად და წარიტანა თანა დედა და ორი დანი თვისნი. ხოლო ჯუანშერ და ორი დანი მისნი დაშოუს ქვეყანას ქართლისას და ქახეთისასა. არამედ უმრწველესი დაი მისი იუო სახითა შექნიერ და მიება სიშეუნიერე მისი ხაზართა მეფეება ხაკანს. მიუგზავნა და უქადა შეედად სარკინოზთა ზედა. რაეამს მოიწია მოციქული ხაკანისა, მიუმცნო ჯუანშერ ძმასა თვისსა და დედასა, ხოლო მათ არა ინებეს... და შეზანაცა აგინა ხაზართა მეფეება. შემდგომად სამისა წლისა მიგზავნა ხაკანმან სპასალარი თვისი ბლუზან. გამოელო გზა ლექეთისა და შემოვდა ქახეთად. მოადგა ციხესა, რომელისა შინა იყვნეს ჯუანშერ და დაი მისი შეშან და მცირედთა დღეთა წარიღლო და ტყუე კვნა იგინი. შემუსრა ქალაქი ტფილისი. წარმუნა ქართველი და ყოველი ესე ქუეყანა” (20, 205) ამის შემდეგ შუშანა იქმდლავს თაქს, ხოლო ჯუანშერი რჩება ხაზარეთს, სადაც დაჭყო წელიწადი შვილი”, რის შემდეგაც “განუტევა ჩიჟითა დიდითა ხაკანმან და წარმოგზავნა ქუეყანად თვისად”. კი. თუ მოტანილ ცნობას მე-8 ს-ის 60-იან წლებს დავუკავშირებთ, გამოის, რომ, სწორედ იმ წლებში ქართლის ერისმთავარი ჯუანშერია, არჩილის ვაჟი, რომელიც გორგასლიანთა, ან ფარნავაზიან-ხოსროიანთა ქახურ შტოს, ანუ ბაკურიანებს განკუთვნება (30, 103) თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ ცნობის დათარიღებაზე სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავდებული მოსაზრებაც არის გამოოქმედი.

ხაზარების თავდასხმის და ჯუანშერის დატვევების შემდეგ ცნობა გვაქსს მის მომდევნო ერისმთავარ ნერსეზე, რომელიც, ისევე როგორც ჯუანშერი, ბაკურიანების საგვარეულოს წარმომადგენელია (30, 103) ცნობებს მისი, ისევე როგორც მისი შემდგომი ერისმთავრის სტევანოზის შესახებ, კორულობთ იოანე საბანის ძის აბო თბილების წამებაში, სადაც ვეითხულობთ: “რამეთუ იყო ქამი, ოდეს ერისმთავარი იგი ქართლისაი სახელით ნერსე, ქე ადარნასე კურაპალატისა და ერისმთავრისაი მოწოდებულ იქმნა ქუეყანისად ბაბილონისა მფლობელის მისგან. მის ქამისა სარკინოზთაისა ამისა მუმნისა აბდალაისამან, რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა ბადდადს, რომელცა იგი მან აღაშენა, ხოლო შესმენითა ბოროტა კაცთაითა საპყრობილება შეგადო მან ნერსე ერისთავი ქუეყანისა ამისა ქართლისა და პყრობილ იყო მუნ ქამდმდე საით მოკვდა აბდალა ამირა მუმნი და დაჯდა მის წილ ქე მისი, მაკლი, ხოლო ქველისმოქმედმან ღმერთმან არწმუნა გულსა მაცდი ამირა მუმნისასა განტვევები ნერსეისი და გამოიყვანა იგი მწარისა მისგან საპყრობილისა და განუტევა იგი კვალად ერისმთავრისთ აქა ქუეყანადვე თვისა” (31, 125-126).

ხალითა ალ-მაჰდი, რომელმაც წახტეზე მამამისი შეცვალა, 10 წელი მართავდა ქუეყანას. სირიელი მემატიანის აბუ-ლ ფარაჯის გაღმოცემით, მაჰდის ხალიფობის დასაწყისში ბიზანტიელებასა და არაბებს შორის მოხდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მაჰდიმ გაანთავისუფლა ქრისტიანი გამგებლები (“პატრიკები”) საპატიმროდან, ხოლო ბიზანტიის იმპერატორმა ლეომ - არაბი გამგებლები (“პატრიკები”), თუმცა მოგვიანებით მანვე დაანგრია არაბების დროს აგებული ეკლესიები, ქალკედონიტების ჟელესია ალეპოში და დევნიდა მანიქეველებს (28, 116). თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ “სამი” აბოს წამებაში უფრო საკრალური რიცხვია, ვიდრე რეალური (აქ შეიძლება გავიხსენოთ, მაგალითად, სხვა შემთხვევა ამავე ძეგლიდან - “სამისა



წლისა ქამთა იქცეოდა (აბო) ქალაქსა მას შინა და გარემოის ყოველსა სრულდება განცხადებულად ქრისტენებიდ” (31, 131), სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული 772 წელი ნერსეს დაპატიმრებისა შეიძლება ეჭვევეშ დაღვეს. უფრო სავარაულოა, რომ 771 წელს თბილისში მოსულმა ამირამ პირველ რიგში ერისმთავარი განდევნია, სავარაულო, ერთ-ერთი ლილერი იმ აჯანყებისა, რომლითაც მოცული იყო იმ დროს კავკასია და კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველო. მე-IX ს. არაბი ავტორის ამად ასამის გადმოცემით, “როგორც კი ალ-ჰასან იბნ კატრაბა შევიდა არანში, მის წინააღმდეგ აჯანყდნენ წანარები, რომლებიც ჯურზანის მიწაზე სახლობენ” (21, 63; 32, 294-287) ალ-ჰასან იბნ კატრაბა ატ-ტაი 50000 ჯარითაც უერ მორევია აჯანყებულებს. არაბმა სარდალმა დამხმარე ძალები გამოიძახა, 30000 და მათთან ერთად შევიდა ჯურზანში. ამბობენ, წანარები გაერთიანდნენ ჯავახეთის მცხოვრებლებთან, რომლებიც ასევე ურწმონები იყნენ და დიდი რაოდენობით დაესხნენ მუსლიმებს. აჯანყება ჩახშობილ იქნა. როგორც ო. ცქიტიშვილი შენიშვნადა, “არაბთა წინაშე ნერსეს ჩადენილი პქნოდა მძიმე პოლიტიკური დანაშაული”. ასეთ დანაშაულად მკვლევარს მიაჩნდა ნერსეს “გარკვეული, შესაძლებელია, გადამწყვეტი კავშირიც კი აჯანყებულ წანარ-კახელებთან”. (33, 74-75). მკვლევარი არც იმას გამოირიცხავს, რომ “წანარ-კახთა პოლიტიკური კავშირი თვით აჯანყებული ნერსეს როგორც ქართლის ერისმთავრის მიერ ყოფილიყო მომზადებული”. იგივე მკვლევარი ვარაუდობს, რომ არაბი ავტორების წანარების აჯანყებაში მონაწილეებად კახეთის გარდა ქართლის მცხოვრებლებიც იგულისხმებიან. მისი აზრით, ”არ არის გამორიცხული, რომ ალ-ჰასან იბნ კატრაბას დანიშვნას არმენიის მმართველად და მის აქ ჩამოსელის წინ უსწრებდა ქართლის ადგილობრივი მოსახლეობის რაღაც გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური აქციები”, გამართული არაბული ბატონობის წინააღმდეგ (32, 75).

სხვათა შორის, აჯანყება სამხრეთ ამიერკავკასიაში იმდენად მასშტაბური იყო, რომ ალ-ბალაზური, რომელიც საერთოდ არ იხსენიებს ხაზართა თავდასხმებს 60-იან წწ-ში, გვაძლევს ცნობას აჯანყებაზე არმენიაში: ”იგივე მუჭამედ იბნ ისმაილმა გვაცნობა ხანდაზმულთა გადმოცემით, რომ არმენიის მცხოვრებლები სომეხი მუშაილის (მუშედი) სათავეში აჯანყდნენ ალ-ჰასან იბნ კატრაბა ატ-ტაის გამგებლობაში... მანსურმა (754-775) მას გაუგზავნა დახმარება ამირ იბნ ისმაილით სათავეში... ჰასანი დაესხა მუშაილს, მოკლა ის, და გაფანტა მისი ჯარები, რის შემდეგაც კვლავ სიმშევიდე დამყარდა” (15, 20).

შემთხვევეთი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ სწორედ 771 წელს, კ. ი. ხაზართა 764 წლის თავდასხმის მე-7 წლისთავზე აბრუნებს სამშობლოში ხაზართა ხაკანი ადრე დატყვევებულ ქართლის ერისმთავარ ჯურაშერს. როგორც ჩანს, არაბებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოოქმედი ვარაუდი, რომ ქართლში დაბრუნებულ ჯურაშერს ნერსე ერისმთავარის წინააღმდეგ ხელისუფლების დაბრუნების მიზნით უნდა გაუა “მთელი ქსელი ინტრიგების” (34, 32-33; 32, 206), უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, თუ კი უკანასკნელი ნერსეს ნაცვლად ერისმთავრის თანამდებობას დაიკავებდა, რაც არ მომხდარა. ნერსეს არყოფნისას – 771-775 წწ. თბილისში სხვა ერისმთავარი არ დანიშნულა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ერისმთავრის ინსტიტუტი იმ დროს გაუქმებულია, თუმცა მოგვიანებით არაბების პოლიტიკა კვლავ იცვლება და ამის კვალდაკვალ ერისმთავრის ინსტიტუტი ერთხანს კვლავ აღდგენილ იქნა.

ხაზარების დახმარებით გეგმავდა ნერსე, როგორც ჩანს, არაბთა წინააღმდეგ აჯანყებას, რის გამოც, ცოლ-შვილი წინასწარ აფხაზეთში გახიზნა “პირველადვე წა-



რეგზავნების დედაი და ცოლი და შვილი და მონაგები და ყოველი სახლის შემყოფებული რი, რამეთუ კრძალულ იყო ქვეყანი იგი შიშისაგან სარეინოზთაისა...” – მოგვითხრობს აბოს წამების აგტორი (31, 128).

ნერსე რომ არ იყო არაბების მორჩილი პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ, ქარგვ ჩანს ამავე თხზულებიდან, რის გამოც “იყო დღედა მათ შინა კუალად განრისებაი ხელმწიფეთა მათ სარეინოზთაი (არაბთა) ნერსე ერისმთავარსა ზედა, და ივლტოდა იგი, რამეთუ სახტიკად ჰპროდეს მას სარეინოზთა არაბთა ერი და უფალმან დაიცვა იგი ხელთაგან (არაბთა) და განკლო მან კარით იგი ოვსეთისა, რომელსა დარიალამ ერქუმის” (31, 127). არაბთაგან ლტოლვილმა ნერსემ 300 კაცის თანხლებით თავი ხაზართა ხაკანს შეაფარა, რომელმაც ისინი თბილად მიიღო, სტუმართმოყვარება აღმოუჩინა – “შეიწყნარა იგი უცხოებისათვის და ვლტოლვილებისათვის მტერთა მისთა და სცა მას და ყოველსა ერსა მისსა საზრდელი და სამოსელი” (31, 127) – თუმცა ნერსე იქ დიდხანს არ დარჩენილა და “შემდგომად რამდენსამე ქამისა, ევდრა ნერსე მეფესა მას ჩრდილოისასა, რაითა განუტეოს იგი მიერ ქვეყანად აფხაზეთისა” (31, 128).

არ არის გამორიცხული, რომ ნერსე თავის დროზე დატყვევებული ჯუანშერის ნაცვლად ქართლის ერისმთავრად სწორედ ხაზარებმა დანიშნეს, რომლებთანაც კავშირი, როგორც სხვადასხვა წყაროებიდან ჩანს, მას არც შემდგომში გაუწყვეტია. ა. ბოგერიამის ვარაუდითაც, ნერსე ქართლის ერისმთავარი “უკვე VIII ს. 60-იანი წლებიდან მაინც იყო” (3, 104) და აქ იგი გიორგი მერჩელეს იმოწმებს, რომელსაც აღნიშნული აქვს, რომ 758 წელს დაბადებული გრიგოლ ხანძთელი “სახლსა შინა სამეუფოსა დიდისა ნერსე ერისმთავარსა აღზრდილ იყო ხელითა ქეთილად მსახურისა დედოფლისა, ნერსეს ცოლისაითა, რომელსაცა ეშვილა, რამეთუ იყოცა ძმისწული მისი” (35, 216).

სავსებით სამართლიანად მეტენება დ. დანლოპის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ოანე საბანის ძის ტექსტში მოცემული ხაზართა უარყოფითი დახასიათება უფრო ძველი ტრადიციის, ვიდრე იმ დროს არსებული რეალური დამოკიდებულების და ურთიერთობების ანარეკლია (19, 182). ამასთანავე ეს დახასიათება იმდენად არ შეესაბამება აღნიშნული პაგორგრაფიული თხზულების საერთო განწყობილებას, კვეიც კი ჩნდება, ხომ არ არის ეს მოგვიანო ჩანართი? იოანე საბანის ძე ერთი მხრივ, არ უკარგავს ხაზარებს არანაირ დამსახურებას – “სცა მას (ე.ი. ნერსეს – გ. ა.) და ყოველსა ერსა მისსა საზრდელი და სამოსელი”... განუტევა ნერსე მრავლითა ნიჭითა” (31, 128), ხოლო, მეორე მხრივ, მისსავე სიტყვებით, ”არიან ხაზარნი კაც ველურ, საშინელ პორითა, მხეცის ბუნება, სისხლის მშამელ ..,” გარდა ამისა განცხადება, რომ “ შეული არა აქვს, გარნა ღმერთი ხოლო შემოქმედი იციან” (31,127) ეწინააღმდეგება თხზულებაში დაცულ სხვა ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც აბო თბილელი სწორედ ხაზართა ქვეყანაში მოინათლა: “ეთარცა იხილა ნეტარმან პაბო, რამეთუ განშორებულ არს შიშისაგან და მძლავრებისა სარეინოზთაისა, ისწრაფა მან მიახლებად ქრისტესა და ნათელიდო სახლითა მამისაითა და ძისაითა და სულისა წმიდისაითა ხელითა პატიოსანთა მღდელთაითა, მრავალ არს ქალაქები და სოფელები ქვეყანასა მას ჩრდილოისასა, რომელი სარწმუნოებითა ქრისტესითა ცხონდებიან უზრუნველად” (31, 128).

ნერსეს წახლის მიუხედავად, მაპიდმ საჭიროდ მიიჩნია ახალი ერისმთავრის დანიშვნა, რომელიც ოანე საბანის ძის მიხედვით, იმავე ოჯახიდან იყო “შემდგომად სივლტოლისა მის ნერსეისა ქართლით, წარმოაელინა მაპი ამირა მუმნან ბრძანებითა ღმერთისაითა სტეფანოზ, ძეი გურგენ ერისთავისაი, დისწული ნერსეისი, ნაც-



კლასიკური ხევნების ძმისა თვითისა ერისმთავრად ქვეყანასა ამას ქართლისააფუშებული ხევნების ხელო არსებული ცნობებიდან გამომდინარე, ნაკლებ საგარაულო, ნერსეს შემდგომ მისი შეიღების დარწერების და ფილიპეს ერისმთავრობა, ვფიქრობთ, სამართლიანი იყო სამეცნიერო ლიტერატურაში ეკვი (30, 103) ადრე გამოთქმულ ვარაუდთან დაკავშირებით მის შესახებ, თითქოს ნერსეს შემდეგ ერისმთავრებად იყვნენ ერთმანეთის მიყოლებით მისი შეიღები - ადარწერეს და ფილიპე (36, 311-315) უკანასკნელი ვარაუდი გამოთქმულია ხინას მთაზე დაცულ ერთ-ერთ კრებულში (N/Sin -50) შემონახული ცნობის საფულევლებზე, “ადარწერეს ნერსეს ძე გარდაიცვალა დასაბამით განთა წელთა ხეზ (6407) 783 და ფილიპე გარდაიცვალა ბ (მეორეხა) წელსა და აბოი იწამა ტფილის შინა დასაბამთაგანთა წელთა ხევ (6468) ერისთაობასა სტეფანოზისა, ძისა გურგენისას”, სადაც ერისთავად მხოლოდ სტეფანოზი იხსენიება. მართალია, აბოს წამება ხალიფა მაძის გარდაცვალების შემდგომ არის საგარაულო, მაგრამ, როგორც ჩანს, ახლო ხანებში. კიდევაც თუ მივენდობით იოანე საბანის ძის ცნობას, რომ ნერსეს და აბოს დაბრუნების შემდეგ უკანასკნელის წამებამდე 3 წელი გავიდა, მაინც საკვეროა, რომ მის შეიღებს ერისმთავრობა მოესწროთ, მით უმეტეს, რომ იოანე საბანის ძე სრულიად მკაფიოდ განმარტავს, რომ ნერსეს ადგილი სტეფანოზმა დაიკავა, რომელიც 786 წელს ჯერ კიდევ ერისმთავრია. როდესაც შეიძყრეს აბო და შეაყენეს საპყრობილებას, შემდგომად რამდენთამე დღეთა გამოითხოვა იგი სტეფანოზი (31, 132). ამ აბის შემდეგ სტეფანოზის ბედი უცნობია და ამის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ვარაუდებია გამოთქმული.

მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ სტეფანოზი შეეწირა იმ რეპრესიებს, რომელიც არაბებმა მე-8 ს-ის დასასრულს ჩატარებს კავკასიაში. ცნობას აღნიშნული რეპრესიების შესახებ გხედებით აღ-იაგუბისთან, რომელიც მოგვითხრობს, რომ იაზიდი იბნ მაზიადს ერთდროულად არმენია და აზერბაიჯანი ექვემდებარებოდა და მან დაამყარა წესრიგი ქვეყანაში. თუმცა ეს მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა და შემდგომმა გამგებელმა კვლავ რეპრესიებით დაიწყო. ხუზაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამიმიმ, ახალმა გამგებელმა, შეიძყრო მთავრები და მეუეთა შეიღები, თავები დაჭრა მათ და საერთოდ ძალზე ცუდად იქცევიდა” (26, 12). ამასთანავე ამ არაბი მემატიინის ცნობით ისე გამოდის, თითქოს ეს რეპრესიები ყველაზე მეტად აღმოსავლეთ საქართველოს შეეხო. აღ-იაგუბის გადმოცემით, “ამან გამოიწვია აღშეფოთება ჯურზანში და სანარიაში. მან გაგზავნა მათ წინააღმდეგ არმია, მაგრამ მათ ის გაანადგურეს. მაშინ მან გაგზავნა სა'იდ იბნ აღ-პაიასმ იბნ შუბა იბნ ზუპაირ ათ-თამიმი დიდი ჯარით სათავეში, და ის ეპრობიდა ჯურზანის და სანარიას მოსახლეობას, ვიდრე არ განდევნა ქვეყნიდან. ამის შემდეგ ხუზაიმა იბნ ხაზიმი თბილისში გაემართა, სადაც წელიწადე ნაკლები გაატარა, რადგან გადაყენებულ იყო და მის ადგილზე დაინიშნა სულაიმანი იბნ იაზიდ იბნ აღ-ასამ აღ-ამირი” (26, 12).

მაგრამ ამავე ავტორის ცნობით, ხუზაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამიმი უფრო ადრეც იყო დანიშნული არმენიის გამგებლად. მისი გადმოცემით, აღ-მაჰდის (775-785 წ.) სიკვდილის შემდეგ მთელი არმენია აჯანყებებით იყო მოცული, რომელიც მუსას მთელი ხალიფობის მანძილზეც გრძელდებოდა (აღ-პაიდ 785-786). მაგრამ, როდესაც არ-რაშიდიმა (786-809) გამგებლად ხუზაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამიმი დანიშნა, რომელიც იქ ერთი წელი და ორი თვე მართავდა, ამბოხი ჩახშობილ იქნა და მოსახლეობამ მორჩილება გამოაცხადა” (26, 9). ამგვარად, იაკუბის ცნობებით, ხუზაიმა იბნ ხაზიმა ათ-თამიმი ორჯერ დაინიშნა არმენიის გამგებლად და მას ორჯერ - 785-6 და ამავე საუკუნის ადრე 90-იან წლებში მოუხდა იმ მხარეში რეპრესიების ჩატარება.



ალ-ბალაზური არმენის და აზერბაიჯანის გამგებლების სიაში ამ პირველი კუთხით ერთხელ ისენიებს, თუმცა მას განსაკუთრებულ აღილს მიუჩნდა. მისი აზრით, „ამ გამგებლებს შორის განსაკუთრებით გამორჩეული იყო ხუზამია“ (15, 21). იბნ ალ-ასირის ცნობით, 172 (788/9) წელს რაშიდმა გადააკენა იაზიდ იბნ მაზიად იბნ ბაიდა არმენის გამგებლობიდან, ხოლო მოგვიანებით, 183 (799) წელს, როდესაც ხაზარები შემოჰკრენ, კელავ დანიშნა (23, 34), ამასთანავე ავტორი ხაზარების შემოჰკრის მიზეზის კრი-ერთ კერძიად ხაკანის ქალიშვილის დაღუპვას ასახელებს. „სასტიკად დაესხენენ მუხლმანებს და ზიმმიებს, გარეპეს 100000-ზე მეტი საქონელი და საშინელი, დედამიწაზე დღემდე არნახული რამ მოიმოქმედდე“ (23, 34). არ-არაშიდმა დანიშნა იაზიდ იბნ მაზიად არმენის გამგებლად, აზერბაიჯანის გამოკლებით და გაგზავნა მათ წინააღმდეგ, ხოლო ხუზამია იბნ ხაზიმი ნისიძინში გამწესა არმენის მცხოვრებლების გასამაგრებლად“ (23, 34). იბნ ალ-ასირს არაფერი აქვს ნათქამი ჯურზანის და წანარების აჯანყების და მათ მიმართ ჩატარებული რეპრესიების შესახებ. ვუიქრობთ, რომ მ. არტამონოვმა და დ. დანლოპმა სამართლიანად ივარაუდეს, რომ იბნ ალ-ასირმა აქ შეცდომით გაღმორიტანა ხაკანის ქალიშვილის დაღუპვის სიუჟეტი, რომელიც სინამდევში მე-8 ს-ის 60-იან წლებში მოხდა და რამაც ხაზართა 762-4 წლების თავდასხმები გამოიწვია (19, 250; 16, 183). დ. დანლოპის მსჯელობით, შეცდომა, შესაძლოა, გამოიწვია არმენის გამგებელთა ხახელების მსგავსებამ – 145 წელს (იაზიდ იბნ უსაიდი) და 183 წელს (იაზიდ იბნ მაზიადი) (19, 183). აქვთ იბნ ალ-ასირი 90-იან წ. ხაზართა შემოჰკრის მეორე კერძიასაც ასახელებს. – „სხვები ამბობენ, რომ მათი შემოჰკრის მიზეზი ის არის, რომ საიდ იბნ ხალმამ მოკლა ალ-მუხაჯიმ ას-სულამი, რომლის შევილიც ხაზარებთან წავიდა, მათ დახმარება სთხოვა ჯარით საიდის წინააღმდეგ, და ისინი შეიგრენ არმენიაში გასასელელით (კედლები), საიდი გაიქცა, ხოლო ხაზარები არმენიაში 70 დღე რჩებოდნენ. ამის გამო რაშიდმა გაგზავნა ხუზამია იბნ ხაზიმი და იაზიდ იბნ მაზიადი და მათ გაასწორეს ის, რაც საიდმა გააფუჭა. განდევნებს ხაზარები და ამოქოლეს გასასელელი“ (23, 35). იაკუბი მე-8 ს-ის 90-იან წლებში ხაზარების შემოჰკრის მხოლოდ ერთ მიზეზს იცნობს. მისი გადმოცემის თანახმადაც, საიდ იბნ სალმამ მოკლა ბაბ ალ-აბგაბის გამგებელი, რომლის შევილიც წავიდა ხაზართა ხაკანთან დახმარების სათხოვნელად, რასაც ხაზართა თავდასხმა მოჰყდა. ხაზართა ხაკანი: „დიდი ჯარით შემოჰკრა, დაესხა მუსლიმებს, მოკლა ბეერი ხალხი, მიაღწია მდინარე მტკვარს, ტყვედ ჩაიგდო ბეერი მუსლიმანი, მოკლა რა აურაცხელი რომელნობის ხალხი, მათ შორის ქალები და ბავშვები, და ქვეყნა ცეცხლს მისცა“ (26, 11). ტაბარი ხაზართა შემოჰკრის ორსაუე მიზეზს ასახელებს (18, 191).

o. მარკარტი (19, 184), ისევე როგორც მ. არტამონოვი (16,251), მე-8 საუკუნის 90-იან წლებთან აკავშირებენ, ხოლი პ. გოლდენი დაახლოებით 800 წლით ათარიღებს (37, 171) შუშანას თვითმეცვლელობის ამბაეს, რომელიც „მატიანე ქართლისაიში“ თარიღის გარეშე გადმოკემული. ამასთანავე ამ შემთხვევაში მ. არტამონოვი იმოწმებს მ. ჯანაშევილის ნაშრომს, (38, 26-27) რომელიც ხაზართა მთავრის ბლუჩანის თავდასხმას და შუშანას ისტორიას იოანეს და ჯუანშერის (718-78) წლებში ათავეხებს. მართალია, აქ წლები არასწორადა მითითებული, მაგრამ ეს არ არის მე-8 საუკუნის დასასრული.

ბ. სილაგაძე არ იზიარებს, მაგალითად, ი. ჯავახიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქართულ წყაროში გადმოცემული ბლუჩანის ლაშქრობა და შუშანასთან დაკავშირებული რიმანტიული ისტორია ხაზართა 764 წლის თავდასხმის ანარეკლია და გამოთქვამს შემდეგ ვარაუდს: „რაც შეეხება ბლუჩანის ლაშქრობას, თუკი ასეთი



რამ საერთოდ არსებობდა და ფაქტი ადრეული არაა ან იგი ასთარხანის ლექსიტოზის გვიანდელ გამოძახილს არ წარმოადგენს, მაშინ სხვა დროს მომხდარ მოკლუნაშე უსცენდებ და მივიჩნიოთ.” ამავე დროს ბ. სილაგაძე უკრიტიკოდ იღებს ცნობას მე-8 საუკუნის დასახურულს ხაზართა შემოჭრის შემდგომ ჯურზანში და წანარეთში მომხდარი აჯანყების შესახებ (22, 124).

ერთადერთი, ვინც ერთგვარი ჰქვი შეიტანა ამ ცნობაში, იყო ს. ჯანაშია, რომელმაც იაკუბის ცნობის განხილვისას იმის შესახებ, თუ როგორ შეიცყრო არ-რაშიდის მიერ არმენის გამგებლად დანიშნულმა ხუზაიმა იბნ ხაზიმმა პატრიკები, ფრჩხილებში შენიშნავს: “თოთქოს ნერსე ერისმთავრის ისტორიის გამოძახილია ეს ამბავი?” (2, 61) ამასთანავე იგივე მკვლევარი, ისევე როგორც ი. ჯავახიშვილი (1, 97), ეჭვეჭეშ აყენებს ამავე აგტორის სხვა ცნობასაც, ამჯერად პატრიკების მოკვლის შესახებ ხალიდ იბნ იაზიდის შეიღლის წლებში. არაბული წყაროს მიხედვით, მოპამედ იბნ ხალიდი “იმდენ ხანს ებრძოდა სანარიელებსა (შენიშნაში – ”უდრის ქართული მატიანის „კას გარდაბანელთ“-ს) და ისპაქს, სანამ არ განდევნა იგი ამ ქვეყნიდან და ისინიც (სანარიელები) არ გააქციარ”. ქართული მეკლევარი ეკამათება წყაროს და ასევნის: “ქართული ცნობა უფრო სწორი უნდა იყოს – სპაქი ამის შემდეგაც ტფოლისის ამირია და ისევ ისე ეურჩება ხალიფასაო” (2, 63). ასეთი კრიტიკული დამოკიდებულება წყაროს მიმართ ზოგადად და კონკრეტულად აღიაკუბის მიმართ, ვთიჭრობ, საგვებით გამართლებულია. მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა აღნიშნული წყაროს ცნობებს სავსებით სანდოდ მიიჩნევს. მაგალითად, პ. ინგოროვებაც უკრიტიკოდ იღებს იაკუბის ცნობას იმის შესახებ, რომ ხუზაიმა ხაზიმის ძემ მე-9 ს. დასაწყისში გამოიწვია თავისთან პატრიკიოსები და სეფერულები და დახოცა (11, 41).

სწორედ ამ რეარქესიებთან აკატშირებენ, როგორც აღნიშნენ, მკვლევარები სტეფანის IV-ის დაღუპვას და მის ნაცვლად აშოგ I დანიშნას ქართლის ერისმთავრის თანამდებობაზე, რაც ოუმცა არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

მაგალითად, ა. ბოგევრაძე შენიშნავდა, რომ ”არ არის ცნობილი, როდემდე გრძელებოდა სტეფანოსის გამგებლობა ქართლში, მაგრამ 790 წლს ის ჯერ კიდევ ქართლის ერისმთავარი ყოფილა, როგორც იოანე საბანის ძის მიხედვით ვიცით” (3, 107). ასეთი მოსახრება დამტყარებულია, როგორც ჩანს, იმ ფაქტზე, რომ იოანე საბანისძის თხზულება დაიწერა ქართლის კათოლიკოზის სამოქალა თხოვნით და მის დროს (780-790) (39, 129). სწორედ სენიჩულ კათოლიკოსს მიემართება იოანე საბანის ძის შემდეგი სიტყვები: ”ღმრთივ პატიოსნისა მამფლისა და უფლისა ჩემისა” (31, 117) “და მის შემდეგ, რა ვითარებაა ქართლში, ნათლად არ ჩანს, -განაგრძობს ა. ბოგევრაძე, - როგორც იაკუბი გადმოგვცემს, ხალიფა ჰარუნ აღ-რაშიდის შეფობაში, დაახლოებით 803-806 წლებში, არმენიის მმართველად დანიშნულმა ხუზაიმა იბნ ხაზიმმა შეკურო აქ პატრიკები და მათი შეიღები და დასჭრი მათ თავები, რასაც აჯანყება გამოიწვევია ქართლსა და წანარეთში. საფიქრებელია, რომ ამ სისხლიან ზომებს თუ თვით სტეფანოზი არა (ის აღბათ ცოცხალიც აღარ იყო), მისი შეიღები მაინც შეეწირა და აგრეთვე ქართლის საერისთავო სახლების სხვა წარმომადგენლებიც” (2, 107). ”ამით უნდა აიხსნას, აღბათ, ის, რომ ხალიფა მამუნის (დაახლოებით 813) დროს ქართლში ერისთავად ინიშნება აშოგ ბაგრატიონი, ადარნასეს შეიღლო. ხალიფა ჯერ კიდევ ცდილობს ერისმთავრის ხელისუფლების შენარჩუნებას ქართლში” (4, 183).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფაქტობრივად იაკუბის ორივე ცნობა ხუზაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამიმის მოღვაწეობაზე არმენიაში, როდესაც ის, ერთ შემთხვევაში, ამშვიდებს ადგილობრივ მოსახლეობას და მათ მორჩილებას აღწევს, ხოლო, მეორე შემთხვევა-



ში, პატრიკებს სიკვდილით სჯის, ეხება მაჲდის გარდაცვალების შემდგომზე მომართებულ ნებს, როდესაც მართლაც ჩატარდა რეპრესიები აღმოსავლეთ საქართველოში, რისი მსხვერპლიც გახდა, როგორც ჩანს, არა მარტო აბო თბილები, არამედ სტეფანოზ IV, შესაძლოა, სხვა დიდებულებიც შეიღებთან ერთად. მსგაესი ვარაუდი გამოთქმული აქს, სხვათა შორის, მ. არტამონოვსაც, რომელიც 785-6 წლებში ხალიფა მაჲდის შემდგენდროინდელ მოვლენებზე მსჯელობისას სტეფანოზის ბეჭდაც ეხება და შენიშვნაქ: “საეჭვოა, რომ მის მიმართ გარევული დათმობისათვის პოლიტიკური მოწივების გაქრობის შემდეგ, მას შესძლებოდა არაბთა რისხეის თავიდან აცილება” (16, 249).

აქ კიდევ ერთხელ კვლავ იჩენს თავს სამხრეთ კავკასიულების კავშირი ხაზარებთან. როგორც ჩანს, არ იყო შემთხვევითი ის გარემოებაც, რომ სწორედ აბოს წამების დროს არაბების ურთიერთობა ხაზარებთან კვლავ დაიძაბა და არაბთა გამბგელი ოსმან იბნ უმარა იბნ ჰურეიმი მრავალრიცხოვანი ჯარით მოული ზაფხულის მანძილზე იდგა დერბენდთან, საიდანაც ის ხაზართა შემოტრას ელოდა. როგორც გვკინდი მოგვითხრობს, “ხაზარები, მართალია, არ შემოჰრიდან, მაგრამ კაიდემის შედეგად არაბების დიდი ნაწილი დაიღუპა, რის შემდეგაც ხალიფამ გამგებელი შეცვალა” (25, III; 16, 249).

იმავე დევონდის ცნობით, მაჲდის შემდგომ ტახტზე ასული მისი შეიღლი, ხალიფა მუსა, რომელიც ერთი წლის მანძილზე მართავდა სახალიფოს, ძალზე დაუნდობელი იყო. მემატიანის გადმოცემით, მან როხი არმენიაში ვინმე ხაზმით შეცვალა (როგორც ჩანს, ხუსაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამიმით, რომელმაც “ქვეყანა ომად და ჯოჯოხეთად აქცა”). რუსულ ენაზე ტექსტის გამომცემელი პარტანოვი აქტებს კომენტარს, რომ “აქ თითქოს სიტყვების თამაშია და “ხაზმი ან რაზმი” ძველ სომხურში ომს, ბრძოლას ნოშავ” (25, 164). დევონდის გადმოცემით, “როდესაც მან ქალაქ დვინს მიაღწია, მის შესახვედრად გამოვიდნენ სომეხი დიდებულები და დიდებულები არწრუნთა გვარიდან: ხამახასი, ხააკი და მერჯანი”, რომლებიც არაბმა მოხელემ შეისყრი და სამი წლის მანძილზე საპყრობილებში გამოამწყვდია”. შემდეგ მან მიიღო თანხმობა მათი სიკვდილით დასჯაზე, რისგანაც პატიმრებს შეეძლოთ თავის დახსნა რწმენის შეცვლით, მაგრამ არ დათანხმდნენ. მათი მოწამებრივი აღსასრულის შემდეგ მოკლულები სახრჩობელაზე ჩამოეკიდეს და დაცვაც მოუჩინეს, რომ ვინმეს არ მოვპარა გვამები და არ დაესაფლავებინა”.<sup>1</sup> ამავე მემატიანეს აქვს სხვა ცნობაც, რომელიც უფრო ამაგრებს ვარაუდს იმის შესახებ, რომ სტეფანოზიც სწორედ ამ დროს იწამა. მისი გადმოცემით, მუსამ მოაკვლევინა აგრეთვე იძერის მთავარიც სახარელი სიკვდილით: “ასწიეს ხელებით და ფეხებით და შუაზე გადაჭრეს”. ამასთანავე, დევონდის ცნობით, იძერის მთავარი “ახალგაზრდა იყო, ჯერ კიდევ უმაწვილი, რომელიც დაიღუპა როგორც კრავი სასაქლაოზე” (25, 114). ამდენად, საეჭვოა, რომ მას შეიღები ჰყოლოდა. თუმცა ის, რომ მსხვერპლი ბევრად მეტი იყო, ჩანს ითან საბანის ძის თხზულებიდანაც, საიდანაც ვიგბეთ, რომ აბოსთან ერთად სხვაც იყო შეპრობილი, რომლის შშობლებიც ქრისტიანები იყვნენ, “ნაშობი ქრისტეანეთი”, თუმცა მან ვერ გაუძლო ტანჯვას და “დაეცა, რამეთუ შიშისაგან სიკუდილისა საწუთორო ესე შეიუფარა და საუკუნო იგი წარწმიდა” (31, 144).

როგორც ჩანს, იაკუბი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს რეპრესიებზე მუგ-ს-ის დასასრულს მოგვითხრობს, შეცდომაში შეიყვანა კიდევ ერთმა გარემოებამ. კერძოდ გარევულმა მსგავსებამ 60-იანი წლების და 90-იანი წლების ფაქტებში, ერთ შემთხვევაში, ხოლო, მეორე შემთხვევაში, 80-იანი და 90-იანი წლების. პირველ შემთხვევაში (60-იანი, 90-იანი წლები) ადგილი ჰქონდა ხაზართა თავდასხმებს სამხრეთ



ქავებასიაზე. 60-იანი წლების თავდასხმას იაზიდ იბნ უსაიდის, ხოლო 90-იანი წლების თავდასხმას – იაზიდ იბნ მაზიადის სახელები უკავშირდება. შესაძლოა პრეტენზის გამგებელთა სახელების მსგავსების გამო, ავტორმა, ისევე როგორც პირველ შემთხვევაში, ხაზართა თავდასხმას მოყოლა აჯანყება ჯურზანში, ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოში, რაც თუმცა სწორ მხოლოდ პირველ შემთხვევაშია, ე. ი მე-8 ს-ის 60-იან წლებში, როგოსაც მთელი სამხრეთ კავკასია და მათ შორის აღმოსავლეთ საქართველო აჯანყების ალშია გახვეული, რასაც მოჰყვა თბილისის ხამიროს დაარსება 771 წელს. მეორე შემთხვევაში კი, ხალიფა მაჰდის გარდაცვალების (785 წელს) შემდგა არმენიაში დანიშნული ხუზაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამიმი, კვლავ გამოჩნდება 90-იან წლებში იაზიდ იბნ მაზიადთან ერთად ხაზარებთან დაპირისპირებაში. აღნიშნულმა გამგებელმა (ხუზაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამიმიმ) მართლაც ჩაგრარა რეპრესიები აღმოსავლეთ კავკასიაში, ოღონდ არა 90-იან წლებში, არამედ 786 წელს, როდესაც მთელი არმენია აჯანყებული იყო. ამასთანავე აჯანყების ჩასახშობად გამოიზავნილ ხუზაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამიმის ამ მხარის დასამშეიდებლად ერთი წელი დასჭირებია. სწორედ 786 წელს სამართლიანად აკუთხნებს ალ-იაჟების განხილულ ცნობას რ. სიუნი (55, 28-29), თუმცა დაწერილებით აღნიშნულ საკითხზე არ უმსჯელია. ამ შემთხვევაში ავტორი იმოწმებს ქ. თუმანოვს.

იმ დროდან მოყოლებული აშორ I ბაგრატიონის გაძლიერებამდე ერისმთავრის არსებობა ქართლში საგარაულო არ არის. ასევე ფიქრობს რ. სიუნი (55, 29), თუმცა გარემოულ კომენტარს მოითხოვს მისი მოსაზრება ქართლის უშუალოდ არაპი ადმინისტრატორის კონტროლის ქვეშ ყოფნის შესახებ: “რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ქართლი-იბერიას, არმენიის მსგავსად, აღარ ჰყოლია ადგილობრივი დინასტი როგორც მმართველი პრინცი, არამედ იმართებოდა უშუალოდ არაპი ადმინისტრატორის მიერ”, – აღნიშნავს მკვლევარი (55, 29). რამდენად იყო უკვე დაშლილი ქართლი არაპი ადმინისტრატორის კონტროლის ქვეშ, ეს ცალკე საკითხია. სწორედ იმ წლებში გადღმავდა ქართლის დაშლის პროცესი. ქართლის სხვადასხვა კუთხეებს შორის დაპირისპირება. VII-VIII სს-ის მიჯნაზე და VIII ს-ზე ქართლის დასაუფლებლად ერთმანეთს ებრძებიან ქართლის წარჩინებულთა რამდენიმე საგვარეულო და პირველ რიგში, გორგასლიანთა ორი შტო: I. კახური შტო, ანუ ბაქურიანები, რომლის წარმომადგენლებიც არიან ჯუანშერი, ნერსე II ადარნასებს ქემეკიდრედ მიიჩნევს – 50, 108) და დასაბუთებული ვარაუდით (30, 104), უკანასკნელის შვილი კახეთის მთავარი გრიგორე I. 2. კლარჯული შტო, გუარამი და მისი მემკვიდრეები და მათი ბაკარნასე ბაგრატიონი და მისი შვილები – გურგენი და აშორი და მათი მემკვიდრეები ადარნასე II და აშორ კურაპალატი (40, 19; 30, 103-104). ამ დაპირისპირებაში, ბაკურიანების წარმომადგენერელია ქახეთის გამგებელი გრიგორე I, რომელიც, როგორც წესი, წანარებთან ერთად, თავის მხრივ, სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან ხშირად გამდგარ თბილისის ამირას მხარეზეა. ამავე დროს, ბაგრატიონები არაბთა ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობენ და მათი საშუალებით ქართლში ტერიტორიის გაფართოებას და თბილისში დამკვიდრებას ცდილობენ. მაგრამ რამდენად მიაღწიეს მათ ამ მიზანს?

“მას ქამსა გამოილაშქრა აშორ კურაპალატმან, და უშუელა თევდოსი აფხაზთა მეფემან, ძემან მეორისა დეონისმან, რომელი იგი სიძე იყო აშორ კურაპალატისა. მოვიდა გრიგორე კახეთით, და გრიგორს უშუელეს მთიულთა და წანართა და ამირამან ტფილელმან და შეიძნეს ქსანსა ზედა აშორ და გრიგორ. გააქციეს გრიგორ, მთავა-



რი ქახეთისა, და დაიპყრეს ქუეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან” (20, 206). მარტველი თაღია, როდესაც აშორ ბაგრატიონი ებრძეის თბილისის ამირას, კახეთის გაფიქტურებული გრიგოლს და წანარებს, მის მხარეზე იმ დროს მხოლოდ მისი სიძე — აფხაზთა შეფე თეფოლის ისხენიება, არ არის გამორიცხული, რომ უკვე იმ დროს აშორს იმ არაბთა მხარდაჭერაც ჰქონდა, რომლებთანაც დაპირისპირებული იყო იმდროინდელი თბილის ამირა, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა მოგვიანებით, მაგალითად, მისი შეიღის დროს. როგორც ცნობილია, ბაგრატ I, აშორის ძე, ორჯერ მიემხრო ბალდადის მიერ გაგზავნილ მხედარომთავრებს — 842 და 853 წლებში, რითიც ქართლში თავის გავლენას იძლიერებდა.

“მატიანე ქართლისაიში” აღნიშნულია პირველ შემთხვევაში, რომ “ხალიდ იბნ ასჩიდის ძე „მოჰამად მოვიდა ქართლს. მოერთო მას ბაგრატ, ძე აშორ კურაპალატისა, მისცა მას ქართლი. გამოვიდა საპაკ, ამირა ტფილელი, ლაშქრითა და დადგა რეხს, ხოლო მოპამად და ბაგრატ წარუდეს უფლისცის და მოვიდეს კახნი გარდაბნელი შუელად საპაკისა; შეიძნეს რეხს და იყო ბრძოლა მათ შორის. არცა იგინი გაიქცეს და არცა იგინი, ვიდრემდის გაიყარნეს, აიყარა მოპამად და წარუიდა ბარდაქს” (20, 207). მე-9 ს-ის 50-იან წლებში თბილისის ამირას ისპაკ იბნ ისმაილის სიეგდილით დასჯის შემდეგ (853 წ., 5 აგვისტო) ბუღას წინააღმდეგ აღსდგა აფხაზთა შეფე თეოდორისა. ბუღას მის წინააღმდეგ გაგზავნა სპასალარი ზირაქი და თავისი მოავშირე ბაგრატ კურაპალატი. ბრძოლაში, რომელშიც აფხაზები დამარცხდნენ, “მოსწერა სიმრავლე ურიცხვი. და თევდორი მეფე წარვიდა მეორე გზასა დავალეთისაა” (20, 207).

ერთგვარი მინიშნება იმაზე, რომ აშორს ჰქონდა გარევული მხარდაჭერა არაბებისაგან, არის მე-13 ს. სომეხი მემატიანის ვარდან არეველცის მატიანეში: “ამ ხანებში არევულობა ატყდა ისმაირელებს შორის და სომეხთა ქუეყანამ დაისვენა. იწყეს გაძლიერება მთავრებმა თავ-თავის აღილებზე ისმაირელთა მთავარმა მისცა აშორს — სომეხთა მთავრის აშორის ძის ვასაკის ვაჟის ადარნერსეპის ძეს — ქართველთა ქუეყანა. წავიდა და დაიმორჩილდა, ხოლო კვისარმა უბობა მას კურაპალატობა” ... ცნობაში, როგორც ეხედავთ, არ არის მინიშნებული, რა ტერიტორიას გულისხმობდა “ქართველთა ქუეყანა”, მაგრამ ამავე ავტორის ცნობით ჩანს, რომ ეს ქუეყანა არ ფარაგს თბილის, თუმცა ის თითქმის თბილისამდე ვრცელდება. “აშორ კურაპალატი ბატონობდა კლარჯეთიდან თბილისამდე მოიანი თემების ჩათვლით” (41, 103). ვარდანის მოგანილი ცნობა ძალზე ჰგავს “მატიანე ქართლისაის” ზემოაღნიშნულ გადმოცემას ბაგრატის შეიღის ურთიერთობაზე არაბებთან — “მოპამად მოვიდა ქართლს. მოერთო მას ბაგრატ, ძე აშორ კურაპალატისა, მოსცა მას ქართლი” (20, 207), რომელიც, ამავე წეაროს მიხედვით, “კლარჯეთიდან ვიდრე ქსნამდე” ვრცელდებოდა. ვარდანის ცნობაში არც ის ჩანს, თუ რად ინიშნება აშორი, მაგრამ აქაც, ვფიქრობ, შეიძლება გავიხსენოთ “ქართლის ცხოვრების” შესაბამისი მონაკვეთის ცნობა არჩილსე, რომელსაც არაბი მოხელე სთავაზობს: “სპასალარ გყო შენ ქუეყანასა ზედა ქართლისასა და მეუე და უფალ ერთა ზედა ქართლისათა” (20, 201). სხევათა შორის, აშორის კავშირი არაბთა სახალიფოსთან, მისი ადრინდელი წლების გამოკლებით, ზოგიერთ შემთხვევაში კურადღების მიღმა დარჩენილი. თუმცა ხაზგასმულია აშორის მოგავშირვობა ბიზანტიულებთან (42, 325-332) ეს მაშინ, როცა აშორი საქმაოდ დიღხანს ინარჩუნებს ძალაუფლებას, ხოლო სწრაფად ცვალებად ვითარებაში ეს შეუძლებელი იქნებოდა მოქნილი პოლიტიკის გატარების გარეშე.



აბასიანთა ბატონობის წლებში ხშირია წანართა აჯანყებები არმენიაშე კულტურული აღმოსავლეთ საქართველოში. ეს აჯანყებები პორევლსაც წლებიდან დაიწყებიან შემდგომ შეწყვეტილა. იაგუბის ცნობით არმენიის გამგბბლის წარმატება იმით იხომებოდა, მოახერხა თუ არა მან წანარების დაწყნარება. მაგალითად, როდესაც აღ-მამუნმა დანიშნა ხალიდ იბნ იაზიდ იბნ მაზიადი, ის ჩავიდა ქისალში, სადაც გასერდა, “მან გაგზავნა მუკამედ იბნ ათაბთან, ის გამოცხადდა მასთან შეწყალების თხოვნით და მორჩილებით. ხალიდმა აპატია და პეითხა: “თუ გემორჩილებიან შენ წანარები? ”არა – უპასუხა მუკამედ იბნ ათაბმა, ისინი არ მემორჩილებიან.” მაშინ ხალიდი გაემართა მათ წინააღმდეგ, შევპოვრად ებრძოდა მათ ჯურზანში, უქუაქცია და ჩაიგდო ხელთ მათი საქონელი”, რის შემდეგაც დაუზავდა... მაგრამ დიდი დრო არ გასულა და ისინი კვლავ აჯანყდენ” (26, 15). წანარებს ბუდა-თურქის ლაშქარიც დაუმარცხებიათ ”უკუმოქცეულთა (მის წინამდოღებს ზირაქს და ბაგრატს – გ. ა.) დაუდგეს წინა გარდაბანელნი ჯუარისუერდსა, და აენეს დიდად ლაშქარსა” (20, 207) ხოლო წანარები, თავის მხრივ, როგორც აღვნიშვნეთ, ხშირად გამდგარი თბილისის ამირას მოკავშირები და ბაგრატიონების მოწინააღმდეგები არაან.

სხვადასხვა ქართული მატიანე აშორ I დიდის შესახებ განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის. „მატიანე ქართლისაის” მიხედვით “წარეგიდა ადარჩასე კლარჯეთით... შემდგომად სიქუდილისა ადრნასესისა განადიდა უფალმან მეფობა აშორ კურაპალატისა... რამეთუ მათვე ემათ შესრულ იყო მასლიმა საბერძნეთად, და შეიქცა მოუქლურებული და განწილებული. მაშინ ბერძნობა მეფემან მოუბობა კურაპალატობა აშორის, და მოუქლურებულ იყვნეს სარკინოზნი და განძილენა აშორ კურაპალატი. ხოლო ტფილისს არავინ დარჩა სარკინოზთანი და განძილენა აშორ კურაპალატი. ხოლო ტფილისს არავინ დარჩა სარკინოზთანი თვინიერ აღი შეუაბის იმისა და გრიგოლი მთავრობდა კახეთს. მას უამსა გამოილაშერა აშორ კურაპალატმან და უშუელა თევდოსი აფხაზთა მეფემან, ქემან მეორისა ლეონისმან, რომელი იგი სიძე იყო აშორ კურაპალატის. მოვიდა გრიგოლ კახეთით და გრიგოლს უშუელეს მთიულთა და წანართა და ამირამნ ტფილელმან და შეიბნეს ქსანსა ზედა აშორ და გააქციეს გრიგოლ, მთავარი კახეთისა და დაიპყრეს ქუჯანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან და დაიპყრო აშორ კლარჯეთიდგან კიდრე ქსანმდე შემდგომად ამისისა მოვიდა ხალიდის ძე არაბული, და დაიპყრა ხომხითი, ქართლი და პერეთი და მოქლეს აშორ კურაპალატი გარდაბანს კელების შინა, და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხია, აწცა იხილების ვითარცა ახალი” (20, 206). ამ ცნობის მიხედვით მესხეთში დამკედრებული აშორი ჯერ კურაპალატისა იღებს ბიზანტიელებისაგან, შემდეგ იწყებს ბრძოლას ქართლისათვის და პირველ რიგში კახეთის გამგებლის გრიგოლის წინააღმდეგ, რომელმაც, ისარგებლა რა მანამდე ერთხელისუფლებინობის არარსებობით და ხოგადად მძიმე პირობებით, როგორც ჩანს, თბილისის ამირას მხარდაჭერითაც ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი მიიტაცა. აქ კარგად ჩანს, რომ მთავარია სწორედ დაპირისიპირება აშორსა და გრიგოლს შორის. სწორედ “გრიგოლს უშუელეს მთიულთა და წანართა და ამირამან ტფილელმან” და სწორედ გრიგოლ “გააქციეს, მთავარი კახეთისა და დაიპყრეს ქუჯანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან”. ეს ბრძოლა უსათვოდ 818 წლამდე უნდა ყოფილიყო, ვინაიდან სწორედ ამ დრომდე იყო აფხაზეთის მეცედ ცნობაში მოხსენიებული აშორის მოკავშირე და მისი სიძე თევდოსი. ამ ცნობის მიხედვით აშორი თბილისში ვერ შედის.

სუმბატ დავითის ძე ამ ამბავს განსხვავებულად გადმოგვცემს: “ აშორ კურაპალატი მთავრობდა ქუჯანას მას შინა და სახლად მისა იყო ბარდავი და ტფილისი.



და ჰქონდა მას ქუეყანა, რომელი არს გარემოსს მისეა. და მაშინ გაძლიერდოს საკუთხევლა მწიფებაი აგარიანთა და იწყეს ძიება აშოტ კურაპალატისა და ვერ უძღლოს წინაპლატის მდგრმად მათდა აშოტ და ივლტოდა მათეკნ და წარემართა, რათა წარვიდეს საბერ-სნეფს და თანა ჰყებს მას დედა და ცოლი და ორნი ძენი ასაკითა ჩვილნი, უცუცესი ადარნასე და შედეგი ბაგრატ... ხოლო უმრწველესი ძე გუარამ ჯერეთ არა ესუა. და ერთ თვისი მცირედ ჰყება თანა, მკვიდრნი მისნი, დედაშულითურთ და შეიღითურთ. მოწივნებს მთასა ჯავახეთისასა... და მძინარეთა ეწივნენ დიღნი ლაშქარნი სარეინოზნი. მაშინ შეეწია ღმერთი აშოტ კურაპალატისა და ენინსა ლაშქარს მისცა ძლევაი მათ ზედა და მოსრუს სიმრავლენი ურიცხუნი... მოწივნებს ხევსა შავშეთისასა. ხოლო ხევი შავშეთისა უშენებელი იყო მაშინ... და მისცა ღმერთიმან გამარჯვება და ახელ-მწიფა იგი შავში კლარჯეთისა ზედა... და მისცა ღმერთმან და განამტკიცა ხელმწიუბა მისი ნებითა ბერძნობა მეფისათა. მერმე კუალად უფლად ქუეყანათ ვიდრე ქარადმდე ბარდავის ქალაქისა” (20, 283) და შემდეგ გადმოცემულია აშოტის მოკლის ამბავი “მოწია ხევსა ნიგალიისასა და იწყო ძებნად ერისა, რათამცა ვითარ განიმრავლა და შექარი თვისი... შეიღლტოდა აშოტ კურაპალატი ეკლესიად და მოწყლეს იგი მახევილითა საკურთხეველოთა ზედა და შეისურა საკურთხეველი იგი სისხლითა მისითა, რამეთუ დაკლეს იგი მუნ”... (20, 284). ცნობა ნაწილობრივ იმეორებს გიორგი მერჩულეს გადმოცემას. მაგალითად: “... მას ქამსა სხვაი მონასტერი არა შენ იყო მათ ქუეყანათა ოვინიერ ოპიზისა და არცა მსოფლიონი ერისკაციი ახლვიდეს ახლად შენებისათვის მათ ქუეყანათაისა, რამეთუ კლარჯეთს და ტაოთა შინა და შავშეს და ჭოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირედნი იპოვებოდეს და შენებულ ტყეთა შინ და ადგილ-ადგილ” (35, 227), ან “და მათ გამთა მფლობელი იყო ამათ ქუეყანათა ღმრთისმასახური ხელმწიფე დიდი ბაგრატუნიანი – აშოტ კურაპალატი, კეთილად მორწმუნები, რომლისა გამო დაემტიცა ქართველოთა ზედა მთავრობაი მისი და შეიღლთა მისითა ვიდრე უკუნისამდე ეამთა. და ხელმწიფისა მის წინაშე შეუსწავლელ იყო წმიდაი გრიგოლ” (35, 229). მაგრამ, როგორც კხედავთ, სუმბატი ამ ცნობებს ნაწილობრივ ცვლის და აესებს.

სუმბატ დავითის ძის მიხედვით, აშოტ კურაპალატი ერისმთავარია და მისი რეზიდენცია თბილისშია. ამასთანავე იგი ფლობს ბარდავსაც. როგორც დავინახეთ, მსგავსი არაფერი აქვს “მატიანე ქართლიისაის” ავტორს და არც გიორგი მერჩულეს. უკანასკნელის “ამათ ქუეყანათა” არ მოიცავს თბილისს. პირიქით, აშოტი თავიდანვე კლარჯეთში, შავშეთში და ტაოში ხელმწიფობს. სუმბატის მიხედვით, აშოტი შემდეგ გადაის შავშეთში და ბიზანტიულების ნებართვით ხელმწიფობს შავშე-კლარჯეთში და იფართოებს ტერიტორიას ბარდავამდე. გრიგოლ მერჩულეს გადმოცემით, არა ჩანს, თუ ვის მიერ “დაემტიცა ქართველთა ზედა მთავრობაი მისი და შეიღლთა მისთაი”, მაგრამ რადგან მას ნათქევამი აქვს, რომ ეს “მისი კითილად მორწმუნეობის” გამო მოხდა, სუმბატს შეიძლებოდა ისე გაეგო, რომ ეს სწირედ ბიზანტიულების თანხმობით მოხდა.

ვახუშტი ბაგრატიონი ძირითადად სუმბატის ვერსიას მიჰყევება, რომელიც თუმცა ერთგვარად აზეიადებს აშოტის მიღწევებს და უფლებებს ქართლის დიდ ნაწილზე, ამასთანავე ვახუშტი ტოვებს “მატიანის” ცნობებსაც. მისი ვერსითაც, როდესაც იგი სუმბატს მიჰყევება, აშოტს “სახლად აქუნდა ტყილისი და ბარდავი და გარემო ქუეყანი”... ამის შემდეგ ბაკვირებისაც კი იწვევს მისი შემდეგი ცნობა, რომ “შემოირიბა აშოტ კურაპალატმან საპარი და მოვიდა ქართლებ”, თევზითი აფხაზთა მეუესთან ერთად, სადაც დაპირისპირებულ მხარესთან “ქსანსა ზედა” შებმის შემდეგ “დაპ-



յրո ա՛մոք կ՛շրածալութման յենօդամ կլարջետամջյ”, րաც “Սպազ աղեծոլուց մատիթենցայ” լան”. Տրյալուած გալախիարուա, Ռաքով ցծրժցու ու տօնօւուունու ամուսնա, Քանարշմեսէւդիս լույս եցու մտաշար ցըրգորուս, ույ մաս ուշցազ ամեցլա մալայլույթամց այցե և ա և յտո քրչյալո Ծըրութորու յըպրուա. Ամաստանաց ամուսնու մուշմլուրճնեն Տարյանունու, եռլու Ծյուլուս արձարացոն դաշտուն Տարյանունու, տղանույր ալու Մյածուս ժուս” (Ձ. 128). Յաշեշրիս միեցլայու, Մաշմետին ու մոցիանեցիու գաֆածուս.

Տշմեծիս, օւցա Ռոգորու ցաշեշրիս, տերոծաշո Ցնործա ա՛մարած շէյս օվցաց, Ռաշեցազ Տամարտուունու մույտուու մ. լուրտյուզանօդյմ. մացալուուած, Ցնործա օմու Տշեսեց, տոտքոս ա՛մոյմա տայուս Տամուլունույթու ծարժացամջյ գայուարտուա. “Ես Ռոմ ասյ յուցուուոյու, – մույտուու մէյցլայցարո, – մու մուլունույթունու յնձա յուցուուոյու տօնօւուու Տայմուրո մա յաեցու Խավուու. “Մերլուու ամ Մյետեցցամշո” մոաերեցեց ոցո ծարժուս մուլցամայ” (6, 309). լ. Մյսեսելունմունու ալունունուց, Ռոմ ցանցածուցած մյմարիունու Ցնործա տոտքոս ա՛մոյտի Կորչյալ պէրուունու ծարժացաւ և Ծյուլուսսաց յլունուծ, եռլու Սյորու ցուան Ծըրութորուուս “յուծու յարամջյ ծարժաց յալայիսա” (ալճատ, ոցյալուսեմիյմա Ծյուլուսսունու) “Երտո Ռամ ցեածու, Ռոմ ցարժացաւուցածու մջամց ա՛մոք կ՛շրածալութ յէտոր Ռուու յարտու և, Ցեածու, Ծըրութորուու, Ռոմյալու մջամց բարձարշուուս Ծառ-յլարչյացուս և Ռուու յարտու յերուու” (43, 174-175).

Կրիտիկուլ ճամուուցած մուուտերց “մարտինյ յարտուուսան” Ցնործեյուու. մացալուուած, Ռոգորու “մարտինյետան”, օւցա Տշմեծարտան նայլած ճասայշըրջեց լույս ցանցած ամոյիս մէյցլայրունեց, ցնուանա մուս լուրի այ ա՛մարած Ֆէյց ծոնսնու կայսերուու լույս (813-820). ալճասրյալս. մշ-13 ևուս Տոմյետ մյմարիունու ցարժանուս ուեշյալուն ույ ցամուցմա Տիորշյու ա՛մոքնեց Ցնործեց մշորուս արուս մուկեցյալո. այ նատշամուա, ույ Ռոգոր Տշմեցած ցոնմյ մոյշյալու լուրուս մուցլան, մացրամ յեր մոաերեց և. ույմիւ Տշմեցյ մուսմա ճաաելուցած մուրեմա մասնց ալճասրյալոյս մուս ըշմիմա “մոյցլունունու մաեցուուու ճացեսենք տայս կյուսարուս յկլայսիամու Քորշյու ճրուս. ու ցայկցա Տայշրտեցլուսայց և եցլայու հայտու եռլունու, եռլու մատ Մյշերաձնուցած, Ռոգորու միշցմիմա մոյցլոյս ու արցունեց” (41, 103). ոգուց Ցնործա այցե սուրյու այբորու ծար յշմերյու, Ռոմյալու ալունունուց, Ռոմյալու ալունունուց, Ռոմյալու ոյնա լուցուսա Տայշրտեցլունա (28, 129). ացրամ մուունունու, “մարտինյեց” մունացմիմա յուրու սանցու հօնեն.

Ամուս մոյեցլացած, Տամյենույրու լուրիությունամշո մուրտաձած Տիորշյու յումիծար ճաց յուտուս մու յերսաա մուցածուու և, Ռոգորու Քըսու, մոինցյունու, Ռոմ ա՛մոյտի ուազուանու զաշտուուսին Հուս, Ռոգորու Երուսմտաշարու, մոցցանցեցու ցարժանուս Մաշմետին, Տասունու օձրմատու Ծըրութորուուս ցասայարտուուցած և Սպան ճասաձրյնունուծ, Ռասաւ ալցյու յուցած, յուցած Մյմտեցյամշո մուուս ծարժացմից մացրամ Մյմեցյ մաս յլայցյ. մատատանաց և Տեցածասեց մյուլայցարու ամ յուքից ցանսեցայիլույթած և տարուուցած ու գանսեցայիլույթած ցանսեցայիլույթած ցանսեցայիլույթած.

Յ. ոնցորուոց մոինցյու, Ռոմ ա՛մոյ I -ուս ճրուս օձրուս յեցրուս յեցմիտույրու լուրիու ցարժանու յացարիուու ոյնա ճասացլայտ մյսեցտին. մաս Մյմեցյալ, Ռաց 815-826 Ի՞-Ռո ա՛մոյ I-ուս մոյր Մյմուրտեցայլ ոյնա Ռուու յարտու և յէցմու յարտուուս յեցմիտ, ա՛մոյ I-մա լուրութիկյուրու լուրիու ար ճածրա մյսեցտու մոյարժնուու և ցանճացյալույթու յուշտունա Մաշմետ-յլարչյացուուն և ար ցարժանու ոցո արց մյսեցտին և արց յիշ մու յարտուուս ուսէրուույլ յալայշիմու”... (11, 53)

Ճ. մյըցլայուուս անուտ, ա՛մոք լուց յէր յարտուուս յրուսմտացարու խցենա, Մյմեցյ յու Մաշմետ-յլարչյացտին ցարժանու. (44, 257) օւցտուա անուտա Շ. ծագրույյու, Ռոմյալումաց

აშოგ I-ს ერცელი სტატია უძღვნა. მკელევარი ფიქრობდა, რომ “ვიდრე კურაპალატი გასაღად იქცეოდა, აშოგ დიდი ქართლის ერისმთავარი იყო” (45, 217–268). შემდეგ განსხვავდებული აზრი გამოთქვა და მუსხელიშვილმა: “ვიდრე აშოგ ბაგრატიონი ქართლის ერისმთავარი გახდებოდა, სამხრეთ-დასავლეთის პროექციის, მაინცდამანც, კლარჯეთის მფლობელად გვევლინგბა” (43, 157).

იმთავითვე ერისმთავარად მიჩნევენ აშოგს მ. ლორთქიფანიძე და ზ. პაპასკირი. მათი აზრით, “არა ამირასთან წინადმდევგობის გამწვავებამ აიძულა ქართლის ერისმთავარი – აშოგ ბაგრატიონი გაქცეოდა არაბებს და საფუძველი ჩაეყარა ახალი ქართული სახელმწიფოსათვის შავშეთ-კლარჯეთში, როგორმაც შემდგომ “ქართულთა” სამეფოს სახელწოდება მიიღო (46, 183). სხვა შემთხვევაში აშოგი მოხსენიებულია როგორც ქართლის უკანასკნელი ერისმთავარი (47, 111).

მ. ბახტაძეს აშოგი ერისთავების და ერისთავერისთავების სიაში ყავს მოთავსებული (53, 143).

მაგრამ აქვე იბადება შეკითხვა: იყო კი აშოგ კურაპალატი ერისმთავარი? წყაროებში აშოგ I უფრო ხშირად იხსენიება როგორც ხელმწიფე, მეფე, კურაპალატი. გიორგი მერჩულეს თხზულებაში მას მიმართავენ როგორც “დავით წანასწარმეტვებლისა და უფლისა მიერ ცხებულისა შეიღად წოდებულო ხელმწიფული” (35, 235) მას აგრეთვე გრიგორ ხანძთელის შემდეგი სიტყვები მიემართება: “მეფეო, ჩემო ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტეგანეთაო, სადათმ-მე მოგეყოდი – აღმოსავლეთით – მე ანუ დასავლით, ჩრდილოით-მე ანუ სამხრით, რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ”... (35, 238) ე.ი. აშოგი კურაპალატია და ამავე დროს, მეფე, ხელმწიფე. პ. ინგოროვებას აზრით, “ქართველთა სამეფოს” ხელისუფლების მეთაური ... აშოგ I-ის დროიდანვე ატარებდნენ თრ ტიტულს: “ მეფე” და “კურაპალატი” (11, 50). სწორედ ამ აშოგთან აკავშირებს იგი “საოსტიონეს წარწერას”, რომელსაც შემდგვნირად კითხულობს: “ესე მე, აშოგ მეფემან ოთხ წელსა გავაშენ” (11, 50; 52, 287). ამასთანავე იქვე არსებობს ერისმთავრის ინსტიტუტიც, რომელიც თუმცა უფრო დაბადი საფეხურია ვიდრე კურაპალატი, რაც მეფეს უტოლდება და ამასთანავე ეს ერისმთავარი აღარ წარმოადგნს ერთიანი ქართლის ერისმთავარს: “დმერთმა მსახურსა მეფესა აშოგ კურაპალატსა აუწყა გაბრიელ ერისმთავარმან სანატრელსა მამასა გრიგორლის ლირებაი” (35, 234) ნათებამია გიორგი მერჩულეს თხზულებაში. ამ შემთხვევების სახესბით სამართლიანია მ. ბახტაძის დაკვირვება იმის შესახებ, რომ ტერმინი “ერისმთავარი” გიორგი მერჩულეს აქ ნახსენები აქვს ზოგადად გაბრიელ დაფანჩულის წარმონების მიზნით. ამ ცნობის მიხნევა იმის დამადასტურებლად, რომ გაბრიელი იყო აშოგ კურაპალატის ერისთავი, ჩენი აზრით, ნაკლებ სავარაუდოა”, – აღნიშნავს მევლევარი. მეორე მხრივ, წყაროს ეს ცნობა გამოდგება იმის საბუთად, რომ გიორგი მერჩულე არ მიიჩნევს ერისმთავრად აშოგს.

ერისმთავრები ჩანან აშოგის მემკვიდრეებს შორის. ლიტერატურაში ადნიშნულია, რომ პირველი, ვინც ბაგრატიონებს შორის ერისთავერისთავის ტიტულით მოიხსენიება, აშოგ კუხია, მე-9 ს-ის დასასრულს (53, 136). გიორგი მერჩულეს მიხედვით აშოგის შეიღლიშვილის გურგენ კურაპალატის ძე აშოგი ერისთავერისთავია, ისევე როგორც მისი მმისწული გურგენი (35, 257, 258). სუმბატ დავითის ძის ცნობით, “მოკუდა... გურგენ კურაპალატი... და დაუტევნა ორნი ძენი – ადარნასე და აშოგ ერისთავთა ერისთავი”. ადარნასექმ, თავის მხრივ, “დაუტევნა ორნი ძენი მცირენი – დავით ერისთავთა ერისთავი და გურგენ, როგორ შემდგომად მერმე დიდი ერისთავთ ერისთავი იყო” ... (48, 54) და არაერთი სხვაც, რომელთა შესახებ ცნობები სხვადასხვა წყა-



როებში მოიპოვება. ერთი და იგივე პიროვნება სხვადასხვა დროს ერისმარტვას უწევდებოდა კურაპალატიც შეიძლება ყოფილიყო. ამავე დროს სწორია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსახრება, რომ “ბაგრატიონებში ერისთავორისთავი და ერისთავი იყო საპატიო ტიტული, რომელსაც რეალური სამოხელეო შინაარსი არ ჰქონდა” (53, 147).

“მოქცევია ქართლისაის” მიხედვით, აშოტი ერისმთავართა სიაშია შეტანილი... “მერმე ნერსე დიდი და ძენი მისი - ფილიპე და სტეფანოზ, ადარნესე და გუარამ დიდი, ბაკურიანი და ქე ბა(ღ)დადის, და ძენივე ადარნესესი აშოტ და გურგენ. ესე დიდი ერისთავი იყენებს” (49, 97). როგორც ჩანს, სწორედ ამ ცნობაზე დაყრდნობით, მიიჩნია სუმბატ დავითის ძემ აშოტი თბილისში მჯდომ მთავრად- “აშოტ კურაპალატი მთავრობდა ქუვანასა მას შინა და სახლდად მისა იყო ბარდავი და ტყილისი.” (20, 283). მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშვანი მ. სანაძემ, “მოქცევაიში” ამ შემთხვევაში უფრო ადრინდელი ვითარებაა ასახული (40 15-23; 30, 102-103). ეგვი შეიტანა “მოქცევაის” სიაში კ. კეჭლიძემ, რომელიც ამასთანავე ზოგიერთ საყურადღებო მთავაზრებას გამოთქვამს: “რასაკვირველია, გრძელოგიურ სიზუსტეზე ზედმეტია ლაპარაკი. სახელები კი, საფიქრებელია, რაღაც სინამდვილის გამომახილის შემცველია. თუ ნერსედ ჩვენ მიიღებთ აბო თბილელის მარტვილობის ნერსეს, ხოლო სტეფანოზად მის დისტენსის აბო თბილელის სტეფანოზს, რომელიც 786 წ. ჩანს ერისმთავრად, მაშინ ასეთ ჩიტში შევალთ: 786 წ-დან ერისმთავრობს (ტრადიციით) აშოტი. როდისძა ერისმთავრობდა სტეფანოზი? ვთქვათ, 786 წ-თვის ის გარდაიცვალა, როდის ერისმთავრობდა ძმა მისი ადარნასე, მამა აშოტისა, თავი რომ დავანებოთ ფილიპესა და გურგენს, რომელიც, შეიძლება არც ყოფილიან ერისმთავრებად? ამისთვის ყოველ შემთხვევაში ადგილი აღარ რჩება ისტორიაში”. იგივე შეკლევარი ვარაუდობს, რომ აშოტს ხალიფა აღ-მამუნის (813-833) მოწინააღმდეგები (კი. ხალიფა აღ-მამუნის - 809-813 - მომხერები) უჭერენ მხარს, ხოლო აღ-მამუნმა გამარჯვების შემდეგ უკანას-ერელთა კლიენტების წინააღმდეგ გაილაშერა და მათ შორის აშოტის წინააღმდეგ- მისი აზრით, აშოტ დიდი ქართლის ერისმთავარი ხდება 810 წელს, შავშეთ-კლარჯეთში გადადის 820-825 წლის, ხოლო 836 წ. მას კლავნი (44, 257).

კ. ინგოროვყას მიაჩნია, რომ აშოტ I-ს “მეფის ტიტული” თავიდანევე მიუღია, 809-813 წლებში, ხოლო კურაპალატის ტიტული შავშეთ-კლარჯეთში გადასახლების შემდეგ. ისიც არა პირველ ხანებში, არამედ უფრო გვიან თავისი მეფობის უკანასკნელ წლებში, არა უადრეს 818 წლისა” (11, 53).

შ. ბადრიძემ ძირითადად შემდეგი საკითხები განიხილა: კერძოდ, როგორ ურთიერთობას გულისხმობს აშოტისათვის კურაპალატის ტიტულის ბოძება, ვასალობას თუ მოკავშირეობას, შეინარჩუნა თუ არა მან კურაპალატობასთან ერთად ერისთავის ტიტული, იყო თუ არა ის წოდებული მეფედ და სხვ. მისი პასუხებია, რომ ბიზანტიასთან ვასალურ პირობებზე მოქცევის დროიდან კურაპალატობამ შთანთქა ერისთავის სახელო. პირველმა მთლიანად შეცვალა მეორე... გამოდის, რომ აშოტის გაეკურაპალატობის დროიდან დამოუკიდებელმა ქართლის ერისთავის ინსტიტუტმა ამოწურა თავისი რეალური შინაარსი. თუეგ ერისმთავრის ინსტიტუტი ქართლის უეოდალური საზოგადოების სახელმწიფო ბრიტანიის ჩარჩოებში იყო მოქცეული, ამიერიდან კურაპალატობა ბიზანტიის შინასახლემწიფო ურთიერთობების ფარგლებში ექცევდა. დამოუკიდებელი ერისმთავრის ადგილს უმის კურაპალატის სახელო იკავებდა. “თუ ჩვენი დაშვება სამართლიანია - აღნიშნავს შ. ბადრიძე, - მაშინ გამოდის, რომ აშო-



ტის გამურაპალატობის დროიდან დამოუკიდებელმა ქართლის ერისმთავრის უძრავი მუსიკური ტერიტორია ამოწურა თავისი რეალური შინაარსი” (45, 216-268).

ა. ბოგვერაძე მიიჩნევს, რომ აშოტი “813 წლის ახლო ხანგბში ქართლის ერისთავად ინიშნება, მაგრამ შემდეგ იძულებული ხდება აქაურობას გაეცალოს და თავის სამულობელო კლარჯეთში გადავიდეს” (3, 107). ზ. პაპასკირიც მიიჩნევს, რომ IX ს. I მეოთხედში ქართულ პოლიტიკურ სამყაროში დაწინაურებული ტაო-კლარჯეთის ლიდერის აშოტ ბაგრატიონის “მთავარ პოლიტიკურ ამოცანას აღმოსავლეთ საქართველოდან არაბების განდევნა და ისტორიული ქართლის მთელ ტერიტორიაზე თავისი – ქართლის სახელმწიფოს ოფიციალური მეთაურის (“ერისმთავრის”) – ლეგიტიმური უფლებების აღდგენა წარმოადგენდა” (50, 113). უკანასკნელი მოსახურება ნაწილობრივ გასახიარებელია. მაგრამ რაც შეეხება აშოტის ერისმთავრობას, აშეკარად ჩანს, რომ აღნიშნული ტიტული სრულიადაც არ წარმოადგენდა მის ოცნებას. აშოტს ბევრად მტრი ამბიცია პქრნდა და იგი უკვე მეფობაზე აცხადებდა პრეტენზიას, სხვა საკითხია, რომ მისი შეიღების დროს გითარება შეიცვალა და მათ უძვე ვეღარ შეინარჩუნეს მამის დროს მიღწეული წარმატებები. აშოტის სიკვდილის შემდეგ, მისი შეიღების – ადარნასეს, ბაგრატის და გუარამის მცირეწლოვანების დროს არაბებს შეუკიროებიათ მათი სამფლობელოები: “შემდგომად აშოტის სიკვდილისა, მამისა მათისა, რომელ გარეთ ქუეყანა ჰქონდა, წაუდეს სარკინოზთა, რამეთუ იუნეს იგინი უსრულ ასაკითა და იუნეს ხარკის მიმცემელ სარკინოზთა ყოველნივე ხევნი შავ-შეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი. ხოლო არტანუჯით გამოღმართ დაიძყრეს მათ ნაკონები იგი მამისა მათისა, დასუეს ბაგრატ კურაპალატად. და წარმართა დმტრომან ხელმწიფებია მათი” (20, 285). ამის შესახებ მინიშნებას გიორგი მერჩულეს თხზულებაშიც ვხვდებით: “შეწევნითა ღმრთისათა ხრმლითა მათითა დაიპრენეს ფრიადნი ქუეყანანი და განიოტნეს აგარის ნათესავნი” (35, 250).

შოუელივე ჟემოალიშნულის საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ აშოტ ბაგრატიონი, რომელმაც საცუჭველი ჩაუყარა მომავალ ქართველთა სამეფოს,” არ ყოფილა ერისმთავარი. იმ დროისათვის, როდესაც აშოტი გაძლიერდა, ეს ინსტიტუტი ფაქტობრივად ადარ არსებობდა. უკვე მე-8 ს-ის 60-იანი წლებიდან ცალკე ერთეულით პერეთი, ვახუშტის ცნობით, 787 წლიდან დამოუკიდებელ არსებობას იწყებს კახეთი (“განდგა გრიგოლ მთავარი და ამნ დაიძყრ კახეთი, კუხეთი და გარდაბანი. მანვე მოსპო სახლი კუხეთისა და იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად” (52, 557; 43, 132), ტაო-კლარჯეთში ძლიერდებიან ბაგრატიონები, ხოლო 771 წლიდან თბილისში არაბი ამირა ზის, რომელიც თუმცა ხშირად სახალიფოს უპირისპირდება. ამ ერთეულებს შორის მიმდინარეობს ბრძოლა შიდა ქართლისთვის. უპირატესობა ხან ერთის და ხან შეორის მხარეზეა. მართალია, ერისმთავრის ტიტული არსებობს აშოტ ბაგრატიონის დროს, მაგრამ მას სრულიადაც აღარ აქვს უწინდელი მნიშვნელობა. ერისმთავრის რენიდგნცა თბილისი აღარ არის. ვერც აშოტმა და ვერც მისმა შთამომავლებმა, არაერთი ცდის მოუხედავად, თბილისის დაბრუნება ვეღარ მოახერხეს. ვფიქრობთ, რომ აშოტი დაუპირისპირდა თბილისის ამირას ისმაილ იბნ შუაიბს და არა აღი შუაბის ძეს, როგორც ეს აღნიშნულია “მატიანე ქართლისაიში”, და აქედან გამომდინარე, იგი მიექმხო ხალიფა ალ-მამუს (813-833), რომელმაც გადააყენა გამდგარი ამირა და შეცვალა ის ახლით (22, 138), და არა აღ-ამინს (809-813), როგორც ამას პ-კე-კელიძე ვარაუდობს. აშოტის გამგებლობას 813-830 წწ.-ით ათარიღებს ამევრიკელი მეცნიერი რ. სიუნი (55, 29).



აშოტის მოკვლის ამბავი, როგორც ჩანს, უკავშირდება ხალიდ იბნ დაზედაც მაზიადის პირველ შემოჭრას, დაახლოებით 829-830, ან მოძღვნო წელს ჰულგარულება ქალ-იაკუბის ცნობით ჩანს (26, 15). ვინაიდან აქ მოთითებულია პიჯრით 214 წელი (829-30), რომლის ქვეშაც საქმაოდ ბევრი რამ ხდება. ამ მხრივ სავსებით მისაღები ჩანს “მატიანე ქართლისაის” ცნობა – შემდგომად ამისა მოვიდა ხალიდ იაზიდის აქ არა ბიყლი, და დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი. და მოკლეს აშოტ კურაპალატი გარდაბანს...” (20, 206). ქართული წყაროს ცნობები შესაბამება და ერთგვარად აუსებს არაბული წყაროების მონაცემებს. ალ-იაკუბის გაღმოცემით, როდესაც ხალიდი ქისალში ჩავიდა და მუჟამად იბნ ათაბა დაიბარა, უკანასკნელმა შეწყალება ითხოვა და მან აპატია, რის შემდეგაც ხალიდმა წანარები დაამარცხა ჯურზანში და დადო მათთან ზავი. თუმცა დიდი ხანი არ გასულა და ისინი კვლავ აჯანყდნენ, რასაც მოჟეფა ხალიდის კვლავ გამოჩენა და, სავარაუდოა, არმენიაში სხვა გამგებლების დანიშვნა. (26, 14-15). ალ-იაკუბი ამ შემთხვევაში არაუკერს ამბობს იმის შესახებ თუ ვინ დაინიშნა თბილისის ამირად, მაგრამ ინფორმაციას ამის შესახებ გვაწვდის “მატიანე ქართლისაი”. ამასთანავე აქ ჩანს, რომ ეს ცვლილება მოხდა სწორედ ხალიდის მეორედ მოსელის დროს: “ხოლო კუალადცა უუფლენს სარკინზნ ქართლსა და ვითარ წარვიდა ხალიდ, დაუტევა ამირად ალი შეაბის ძე” (20, 206). სწორი ჩანს “მატიანეს” ცნობა ხალიდის მესამედ მოსელის შესახებაც აღმოსავლეთ საქართველოში, თუმცა განსხვავდება არაბული და ქართული წყაროების ცნობა ხალიდის გარდაცვალების მიზეზის შესახებ. ამასთანავე აქვაც არ არის გამორიცხული, რომ უფრო სწორი ქართული წყაროს ინფორმაცია იყოს. ალ-იაკუბის მიხედვით, როდესაც ის ხალიდა ალ-ვასაკის დროს (842-847) გაემართა თბილისის გამგებლისაკენ, “ავად გახდა..” და რამდენიმე დღეში “გარდაცვალა და ის კუბოთი წაიყვანეს დაბილში, ხადაც დაკრძალეს” (26, 19). “მატიანე ქართლისაიში” კი ნათქვამია, რომ “ხალიდ მოვიდა მესამედ, და მოკლეს ჯავახეთს” (20, 206), შესაძლოა, მოწამლეს კიდევც სხვათა შორის, “მატიანე ქართლისაიში” არ არის ნათქვამი, რომ აშოტი არაბებმა მოკლეს. პირიქით, არ არის გამორიცხული და უფრო საფიქრებელია, რომ აშოტი იმჯერადაც ხალიდის მომხრე ყოფილიყო წანარების და თბილისის ამირას წინააღმდეგ ბრძოლისას.

მოტანილ ცნობებზე დაყრდნობით, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მიხედვით გადმოცემული დიაკონი ცქირის ამბავი, უნდა ყოფილიყო ხალიდის პირველად შემოჭრადე, როდესაც აშოტი გარევეულ დროშე ცდილობს არ გაამწვავოს ურთიერთობა თბილისის ამირასთან: “მას (ე.ო. ცქირს), ვითარცა განეშორა შეწევნია ღმრთისაი, ღონე უველი დაელია და ტფილისს წარვიდა სპაპ ამირისა, პატრინისა თვისისავე და წყინებითა მისითა რეცა მიეშვა კურაპალატი და კვალად მძღვრებით დაიპყრა ანისა საყდარი” (35, 309). ამდენად, დასტურდება მე-11 ს-ის არაბი ანონიმის ცნობა იმის შესახებ, რომ ამირ ისპაპ იბნ ისმაილი ხალიდის მოსელამდევც იყო თბილისის გამგებელი. აღნიშნული ცნობა, რომელსაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ყურადღება ე. სიხარულიძემ მიაქცია (54, 139-143), შეტრილია მე-17 ს-ის აგტორის მუნჯიმ-ბაშის თხზულებაში. აქედან ვიგებთ, რომ 853 წელს მოკლული ისპაპი 35 წელი უწევდა ურჩობას სახალიფოს (ცენტრალურ ხელისუფლებას, ე.ი., 818-819 წლიდან იყო დანიშნული თბილისის ამირად, როგორც “მატიანე ქართლისაის” (“კუალად დაჯდა ამირად ტფილისს სპაპ ისმაელის ძე” – 20, 206) და ალ-იაკუბის ცნობებით ირკევეა, გარევეული ინტერვალებით. არსებული ვითარების გათვალისწინებით, უფრო სარწმუნო ჩანს “მატიანე ქართლისაის” ცნობა, რომ “მოკლეს აშოტ კურაპალატი გარდაბანს”, კ. ი.



კახეთში, რომლის ხელისუფლის წინააღმდეგაც ის, ჩვეულებრივ, იბრძოდა, უფრო შემდეგ მას „ხევსა ნიგალისასა”, როგორც ამას სუბატის ნამრომი გადმოგცემს.

სუბატ დავითის ძე სამართლიანად მიიჩნევს, რომ აშოტი ქართველების ხელით იქნა მოქლული, როდესაც მან “იწყო ძებნად ერისა, რათამცა ვითარ განიმრავლა დაშქარი თვისი. და წარმოქმართნებს მოსლევად მის წინაშე იგინი, რომელთა მან უბრანა, ხოლო იგინი მოყიდოდეს კლევად მისსა. მაშინდა ვიდრე მოწევნადმდე მათდა ჯრად მისსა არა უწყოდა აშოტ ზაქუა მათი, და რავამს მოიწინებს იგინი კარად მისსა, მაშინდა აგრძნა რაი იგი უბულებოდა მათ. და არა ჰყავა მას ერთი თვისი თვის ინერ მცირედთასა, რომლითა ვერ წინააღმდეგბოდა იგი მათ. ამისთვისცა შეივლებოდა აშოტ კურაპალატი ეკლესიად, და მოწყოლეს იგი მახვილითა” (20, 284). იგივეს ადასტურებს გიორგი მერჩულე, რომელიც გრიგოლ ხანძთელს ათქმევინებს: “ვითარ-მე მოუცი ხელსა შეურაცხთ უშველოთა და უნდოთა კაცთასა, რომელნი – იგი იუდაის მსგავსად შენ, უცლისა თვისისა მკლევლ იქმნებს მოსაკვდინებლად ჩვენ, გლახაკათა მლოცველთა შენთა, უკუნისამდე?” (35, 238) სუბატი ერთგარად აზევიადებს აშოტის დამსახურებას არაბების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში – “განძლიერდა ხელმწიფება აგარიანთა და იწყეს ძიება აშოტ კურაპალატისა. და ვერ უძლო წინააღმდგომად მათდა აშოტ და ივლტოდა მათგან...” მოგვიანებით “მძინარეთ ეწინებს დიდი ლაშქარი სარკინოზთანი. მაშინ შეეწია დმერთი აშოტ კურაპალატისა, და კნინსა მას დაშქარისა მისსა. მისცა ძლევაი მათ ზედა, და მოსრნეს სიმრავლენი ურიცხუნი”. და საბოლოოდ “შეკრიბა ლაშქარი ბრძოლისათვის სარკინოზთასა.... დაესხნეს მას სარკინო უცნაურად და აოტეს იგი” (20, 284-5). თუ კი არის ამ ცნობებში ჰემმარიტების მარცვალი, აშოტის დაპირისპირებული მხარე უნდა ყოვილიყო თბილისის ამირა, რომლის მიმართ მისი დამოკიდებულება არაბთა სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთობის შესაბამისად იცვლებოდა.

ამგვარად, თბილისში ამირას დამკიდრებას უაქტობრივად ქართლის ერისმთავრის ინსტიტუტის გაუქმება მოჰყავა. ხალიფა მაპილის 10-წლიანი მართვის წლებში ამ ინსტიტუტის აღდგენა დროებითი აღმოჩნდა. 786 წლიდან სტეფანოზ IV-ის სიკვდილით დასჯის შემდეგ ერისმთავრის ინსტიტუტი კვლავ უქმდება. მოგვიანებით იწყებენ გაძლიერებას ბაგრატიონები. აშოტ I-ს, რომელიც თავის თავს მეფეს უწოდებს, კურაპალატის ტიტული ძექს მინიჭებული. არ არის სწორი შეხედულება, რომ აშოტი თავდაპირებულად ქართლის ერისმთავრი იყო, თბილისში იჯდა, ხოლო მოგვიანებით შევშე-კლარჯეთში გადავიდა. პირიქით, ის სწორედ კლარჯეთიდან უყრის საფუძვლს ქართველთა სამეფოს, იქიდან ცდილობს ქართლის გაერთიანებას და თავისი მიწების გაფართოებას და ნაწილობრივ ახერხებს კიდევაც. თუმცა მისი მოკლის შემდეგ, მისი შეიძლების დროს, მის მიერ შექმნილი სამეფო აღარც ერთიანია და აღარც ძღიერი.

“ქართლის ცხოვრების” ცნობა, რომ დაეცნეს სარკინოზნი შემოსულად ქართლად ყრუსა წარსელითგან წლილიადსა ორმეოცდათსა აქა უამადმდე არღარა შემოვიდოდეს, არამედ მიიღებდეს ხარგსა ერისმთავთაგან”-ო, (20, 199) შესაძლოა, სწორედ ჩევნის მიერ განხილულ წლებს დავუკავშიროთ, კინაიდან 736 წლიდან, როდესაც მურგან ყრუ შემოიჭრა ქართლში, 50 წლის მანძილზე, ქართლში ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო ერისმთავრის ინსტიტუტი, რომელიც იმ სახით, რა სახითაც მანამდე არსებოდდა, საბოლოოდ 786 წელს მოიშალა. მართალია, ივ. ჯავახიშვილმა აქ მურვან ყრუს თავდასხმა არაბთა პირველ გამოჩენად იგულისხმა, კინაიდან “ქართლის ცხოვრების” შესაბამის მონაკვეთში მართლაც მნიშვნელოვანი ხარვეზებია და მემატიანე

ფაქტობრივად არაბთა რამდენიმე ლაშქრობას აერთიანებს, თავისთავად ის ფაქტი, რომ ეს ყველაფერი მარგან იბნ მუჰამადის სახელით არის განხოგადებული, იმას ნაშნავს, რომ უკანასკნელის თავდასხმის სიმძიმის გამო ისტორიულ მეცნიერებას სწორებ მისი სახელი შემორჩა. თუმცა მთლად ზუსტად “ქართლის ცხოვრების” მოგრანილი ცნობა არაბთა პირველად შემოხვდის შემდეგ აღიარ არცერთ პერიოდს არ შეესაბამება, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, უკვე აბასიანების ბატონობის დროს არაბები კვლავ შემოდიან საქართველოში. ამასთანავე ყველაზე მძიმე მარგან იბნ მუჰამადის შემდეგ აღიარ 786 წლის რეპრესიები იყო.

Giuli Alasania

## EMERGING GEORGIAN KINGDOM

The paper deals with the institution of “erismtavari” appeared in the 80s of the 6<sup>th</sup> century instead of the abolished kingship in Kartli. Proceeding from analysis of the related sources the following conclusions are made:

Setting up Tbilisi emirate (70s of the 8<sup>th</sup> century) in times of Abbasids entailed abolishment of erismtavari's institution;

The last erismtavari, Stephanos, was tortured by Arabs in 786.

Tough policy of Abbasids resulted in political dissolution of Kartli and as a consequence in increasing power of regional local rulers.

The author of the current paper doesn't share the dominant opinion in the Georgian scholarly literature about considering Asot I Bagrationi as an erismtavari, residing in Tbilisi and expelling westward by Arabs. Unlike the latter Asot I, the Curopalates, the owner and ruler of western Kartli, Tao-Klarjeti, is defined as a king, who claimed to power in entire Kartli. Tbilisi emir frequently opposing central power of caliphate, was supported by Kakheti ruler, while Bagrationi family members usually were allies of caliphs and tried to expand eastward. However the attempts of Ashot Bagrationi to unite Kartli because of his murdering by the Georgians failed and were postponed.

Interaction of Khazars, peoples of southern Caucasus, Arabs is studied. Hererby some evidences of Arabic, Armenian and Georgian sources are newly read and interpreted.

Tbilisi emir (since 70s of the 8<sup>thc.</sup>) controlled smaller part of Kartli, which from time to time became larger.

1. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია. – თხზულებანი, ტ. II, თბ., 1983.
2. ჯანაშია ს., არაბობა საქართველოში. თბილისი, 1936.
3. ბოგეგრაძე ა., ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში. თბილისი, 1979.
4. Богверадзе А. А., Арабские завоевания и борьба против арабов в 5-8 вв. – Очерки истории Грузии. Т. 2. Тбилиси, 1988.
5. Тер-Гевондян А.Н., Армения и арабский халифат. Ереван. 1977.
6. Лордкипанидзе М. Д., Картвельское царство. – Очерки истории Грузии. Т. 2, Тбилиси, 1988.
7. თბილისის ისტორია, I, 1990.
8. საქართველოს ისტორია, წიგნი I (ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები), თბ., 2003.
9. Пахомов Е.А., Монеты Грузии. Тбилиси, 1970.
10. თაყაიშვილი ე., ძელი საქართველო, II. თფლისი, 1913.
11. ინგოროვა პ., გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, თბილისი, 1954.
12. ალასანია გ., თბილისის სამიროს დარსების თარიღისათვის. – ანალები, საქ. მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ურნალი, I, თბილისი, 1999.
13. სიხარულიძე ე., აბუ იუსუფ იაეგის “ქითაბ ალ-ხარაჯი” როგორც წყარო არა-ბეჭდი ფეოდალური ურთიერთობის ისტორიისათვის. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 1954 (ხელნაწერი).
14. Абу Йусуф Йа'куб б. Ибрахим ал-Куфи. Китаб ал-харадж (Мусульманское налогообложение). Пер. С арабского и комментарий А.Э. Шмидта. Супракомментарий к переводу А.С. Боголюбова. Подготовка к изданию, вступительная статья и указатели А.А. Хисматулина. С-Петербург, 2001.
15. Из хроники Баладзори. Текст из «Книги завоевания стран». Перевод с арабского П.К. Жузе, Баку, 1927.
16. Артамонов М. И., История хазар. Ленинград, 1962.
17. Буниятов З. М., Азербайджан в VII-IX вв. Баку, 1965.
18. Новосельцев А. П., Хазарское государство и его роль в истории Восточной Европы и Кавказа. Москва, 1990.
19. Dunlop D. M., The history of the Jewish Khazars. Princeton, New Jersey, 1954.
20. ქართლის ცხოვრება (“ძელი ქართლის ცხოვრება”). გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს აკადემიკოსებმა ილია ანთვლევამ და ნოდარ შოშიაშვილმა, თბილისი, 1936.
21. Ахмад ибн А"сам Ал-Куфи. Книга завоеваний (Извлечение сведений по истории Азербайджана VII-IX вв.). Перевод с арабского языка академика АН Азербайджанской ССР З.М. Буниятова. Баку, 1981.
22. სილაგაძე ბ., არაბთა ბატონობა საქართველოში (არაბული ცნობების მიხედვით), თბ., 1991.
23. Тарих-ал-Камиль (полного свода истории) Ибн-ал-Асира. Пер. П.Жузе. Баку, 1940.



24. Tarikh at-Tabari, par Abi Ja'bar Mohammad ibn Jarir at-Tabari, vol. VII, Edition Critique par Mohammad Abul Fadl Ibrahim, Cairo.1972, ջ. 649 (Ցագա՞՞լու շաբաթում) .
25. История халифов вардапета Гевонда, писателя 8-го века, пер. с армянского, Санкт-Петербург, 1862.
26. Из сочинения Я' куби «История». Текст и перевод П.К. Жузе. Баку. 1927 – Материалы по истории Азербайджана, Вып. 4.
27. Чичуров И. С., Византийские исторические сочинения. «Хронография» Феофана, «Бревиарий» Никифора. Тексты, перевод, комментарий. Москва, 1980.
28. The Chronography of Gregory Abu'l Faraj, the son of Aaron, the Hebrew physician commonly known as Bar Hebreus being the first part of his political history of the world. Translated from the Syriac by Ernest A. Wallis Budge, vol. I. English translation. London-Humphrey, Milford, 1932.
29. Chronique de Michel le Grand, Patriarche des Syriens Jacobites, traduitee pour la premiere fois sur la version armenienne du pretre Ischok, par Victor Langlois, Venise, 1868.
30. Տաճայք թ., ցրոցով ծայրականութեան Վարժոմացլունութեանք. – “յարտցան Իսրայելցութեան”, X, ցմցանք այս. դ. Սևելումցուն, տեղունու, 2004.
31. ուղանք Տաճանու մը, ածու Վայեց. – “յարտցան Յարութեան”, I, տեղունու, 1982.
32. Եվոթիմյունու ու, յարտլուն յրուսամատայրուն Երևանի մունիչուրու մունցավայրունուն Տաճանութեանք. – Տաճ. մշն. էպաֆմուն մոամեց, 1988, 1.
33. Եվոթիմյունու ու, արածու մունունցամատայրու յարտցան Տաճանութեանք. – Տաճ. մշն. 1986.
34. աժրոնհցան զյուրածուրու յարտցան լութերածուրու ք. մայմանուն ըցավցուու դա ցամուցանցան, տպունու, 1935.
35. Ցուրցու մերինցան. Ռոցով Տաճանույնուն Յերանցան. – “յարտցան Յարութեան”. տեղունու, 1982.
36. աղյուսայք Ն., ածու տեղունուն մարտցունուն տարուն դա մաստան ջակացմունքունու յարտլուն յրուսամատայրու յրունունցան. – Մայմանուն Տաճ. մշն. 2001.
37. Golden P. B., Khazar studies. An historico-philological inquiry into the origins of the Khazars. Volume, I, Budapest, 1980.
38. Джанашвили М., Известия грузинских летописей и историков о Северном Кавказе и России. – Сборник материалов по описанию местностей и племен Кавказа, 22, Тифлис, 1897.
39. Հայունու ք., մայմանուն յարտցան լութերածուրուն օւթորու, I, տ., 1980.
40. Տաճայք թ., յարտլուն Տաճանութեանք (Ցուրցուրու մունիչուրու օւթորուն). – Տաճ. մշն. օւթորու, 2001.
41. յարցան արյունու. Մեռյունուն օւթորու. մայմանուն տարցմենց նուար Մունիամյունմա դա զա յաշանենուրամեմ, Մեյսացանու, յոմենիարցի դա Տաճունցան դայրուու մա յաշանենուրամեմ. տեղունու, 2002.
42. Ապակյուրու Կ., աջեխենու Տաճանուն Տաճանութեանք (Ցուրցուրու մունիչուրու օւթորուն). – Տաճ. մշն. օւթորու, 1999.
43. Մայմանուն դ., Տաճանութեանք (Ցուրցուրու մունիչուրու օւթորուն). – Տաճ. մշն. II, 1980.
44. Հայունու ք., ամու դուն յարցան արյունուն յարտցան լութերածուրուն օւթորուն. – Տաճ. մշն. Եթունու մայմանուն յարտցան լութերածուրուն օւթորուն. Ծ. 8, տեղունու, 1962.
45. Տաճունու թ., յարտցան Տաճանուն Տաճունուրու մունիչուրուն օւթորուն. – Տաճ. մշն. 119, 1065.



46. ლორთქიფანიძე მ., პაპასეირი ზ., ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა 1800-1900 წლებში ქართველობი და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში. საშინაო დიპლომატია (IX ს. და X ს-ის I ნახევარი). – ქართული დიპლომატიის ისტორიის ნაკვევები, I, ნაწ. ობილისი, 1998.
47. ლორთქიფანიძე მ., პაპასეირი ზ., ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში (IX – X ს. I ნახევარი). საშინაო დიპლომატია. – ქართული დიპლომატიის ისტორია, ობილისი, 2003.
48. ლომოური თ., სუმბატ დავითის ძისა და გიორგი მერჩულეს ცნობები მე-IX-X სს. ქართველ ბაგრატიონთა შესახებ. – არილი, ივანე ჯავახიშვილისადმი მიმღენლი კრებული, მისი სამეცნიერო მოდევაწეობის 25 წლის თავზე (1900-1925), თფილისი, 1925.
49. მოქცევაი ქართლისაი. – ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, I, ობილისი, 1963.
50. პაპასეირი ზ., ქართული პოლიტიკური სამყარო საერთაშორისო არენაზე VIII ს-ში. – ქართული დიპლომატიის ისტორია. 2003.
51. ბატონიშვილი გახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხიშვილის მიერ. თბ., 1973.
52. ლაპიძარული წარწერები. I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა 6. შოშიაშვილმა, თბ., 1980.
53. ბახტაძე მ., ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ., 2003.
54. სიხარულიძე ე., ერთი ცნობა ამირა ისპაპ იბნ ისმაილის შესახებ. – თხუ შრომები, 180, 1976.
55. Suny R.G., The making of the Georgian nation. Second edition, Indiana University Press, Bloomington and Indianapolis, 1994.

ძართული სამოხალეო ინსტიტუტი აზხახეთის  
ეპიდრაზიკულ ძაბღლები

ეპიგრაფიკულ ძაბღლებს უაღრესად სანდო წერილობით წყაროთა ჯგუფს მიაკუთვნებენ, რადგან ინფორმაციის სანდოობის თვალსაზრისით მათ ზოგჯერ პირ-კელარისხოვანი წყაროს დირექულება გააჩნიათ. ქართული ეპიგრაფიკული ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე გვხვდება, როგორც ლაპიდარული, ასევე ფრესკული და ჰელური წარწერების სახით. სამიერე ჯგუფის წარწერები მეტად საინტერესო წყაროს წარმოადგენენ ქართველი ხალხის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის, მისი კულტურული ყოფისა და სულიერი ცხოვრების შესახებ.

თანამედროვე აფხაზეთის ლაპიდარულ, ფრესკულ და ჰელურ წარწერებში საინტერესო ცნობებია დაცული ძევლი საქართველოს სამოხელეო ინსტიტუტების შესახებ. ზოგიერთი მათგანი უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ მათ შესახებ არც ერთ სხვა სახის საისტორიო წყაროში არ არის დაცული ინფორმაცია. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა გალატოზთაუხუცესის ინსტიტუტი, რომელიც აფხაზეთის ორ ლაპიდარულ წარწერაში დასტურდება.

გალატოზთაუხუცესის სამოხელეო ინსტიტუტის ყველაზე აღრინდებული დასახვლება გვხვდება ბეჭის ტაძრის სამშენებლო წარწერაში, რომელიც ასომთაერულოთაა შესრულებული<sup>1</sup>:

„წ(მიდა)ო ღ(მრ)თისმშობელო, მე(ო) ექმე(ე)ნ წ(მიდა)სა ამ(ი)ს ხ(ა)ყდო(ის)ა მ(ა)ჟე(ე)ბ(ე)ბ(ე)ლს, გ(ა)ლ(ა)ტ(ო)ზთაუხ(უ)ც(ე)ს / ხ(ე)ბ(ე)ონსა“<sup>2</sup>.

ჩენებ მოგვეპოვება ანალოგიური შინაარსის კიდევ ორი წარწერა, ერთ-ერთი აღმოჩენილია გალატის რაიონის სოფ. დიხაზურგის ეკლესიის ნანგრევებში და შესრულებულია მხედრული ანბანით:

„ქ გრ(ი)გოლს გ(ა)ლ(ა)ტ(ო)ხ(ე)მ(უ)ც(ე)ს / ხ(ე)ნ(ე)ლო, ჟ(ე)უნდოს ღ(მე)რთმ(ა)ნ(ე) ა(მ)ე(ე)ნ<sup>3</sup>.

მესამე წარწერა აღმოჩენილია ასპინძის რაიონში, შორეთის მონასტრის მინაშენზე, რომელშიც ნიკოლოზ ორბის ძე იხსენიება „გალატოზთაუხუცესის“ ტიტულით. წარწერაში იკათხება:

„ორბის ძ(ე)ს ხ(ი)ლ(ო)ლ(ო)ზ(ე), გ(ა)ლ(ა)ტ(ო)ზ(ე)ხ(უ)ც(ე)ს / ჟ(ე)უნდონ(ე)ნ(ე) ღ(მე)რთმ(ა)ნ(ე) ა(მ)ე(ე)ნ<sup>4</sup>.

აღნიშნული წარწერების გარდა, „გალატოზთაუხუცესის“ ინსტიტუტი არ დახტურდება ფეოდალური ეპოქის არცერთ სხვა წერილობით წყაროში. მათ შორის არც სამართლის ძებლებში: „ქვემდწიფის კარის გარიგება“, „განგება დარბაზობისა“ და ა. შ. ვაფიქრობთ, „გალატოზთაუხუცესი“ უფრო ძეველი სამოხელეო ინსტიტუტი უნდა იყოს, ვიდრე ზემოთხამოთვლილი წყაროები.

სამშენებლო ხასიათის ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში ხშირად დასტურდება სიტყვა „გალატოზი“ (ჯრუჭის, გომარეთის, ილორის წარწერები) სულხან საბა ორბელიანის მიხედვით, „გალატოზი“ ნიშავს „ქვედის მდგმელს, ქვედის მგებელს“<sup>5</sup>. თუ გალატოზი კვედის მგებელი და მაშენებელია, მაშინ გალატოზთაუხუცესი შექნებელთა შორის უხუცესი და უფროსი უნდა იყოს. რაც შექება უხუცესთა ინსტიტუტს, ცნობილია, რომ საქართველოში სავაზიორს ჩამოყალიბებამდე არსებობდა ცალკეული საგამგეო უწყებები, რომელთა მეთაურებსაც უხუცესები ერქვათ. უხუცე-



სი ემატებოდა ცალკეული დარგის მოხელეთა უფროსს, მაგალითად, მეაბჯერულებული ცესი, განმგეთუხუცესი, მედვინეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, და სხვა<sup>6</sup>. მ. ლერწყემიშვილი ფანიძის აზრით, „უხუცესები“ ადგილობრივ, ქართულ ნიადაგზეა წარმოშობილი და განვითარებული და ომ „უხუცესობის“ ინსტიტუტი ჩვენში ძალიან ძველი მოვლენაა – ამის მაუწყებელია მათი მოხსენიება უძველეს წერილობით წყაროებში<sup>7</sup>. მაგალითო სათვის მეცნიერს მოჟყავს მცხეთაში, 1938 წელს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩნდილი IV–V საუკუნების ბერძნული წარწერა-ეპიგრაფია, რომელშიც მოიხსენიება „ავრელი აქოლისი, მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი“<sup>8</sup>. ს. ყაუხეჩიშვილის გამოკვლევით, ავრელი აქოლისის წარწერაში დასახელდებული ტერმინი „არქიმოგრაფის“ „მხატვართუხუცესი“, მე-12 საუკუნემდე არც ქველ ბერძნულ და არც ბისანტიურ მწერლობაში არ გვხვდება, და რადგანაც ამ ტერმინის შესატყვისი ცნება ბერძნულ სინამდვილეში არ არსებოდა, მევლევარმა გმოთქვა მოსაზრება, რომ ბერძნული ტერმინი – „არქიმოგრაფის“ – ადგილობრივი საჭიროებისათვის არის შექმნილი მცხეთაში არსებული თანამდებობის პირის წოდების „მხატვართუხუცესის“ გამოსახატავად. მოხმობილი წყარო ადასტურებს, რომ „უხუცესთა“ ინსტიტუტი და ხუროთმოძღვრის თანამდებობა საქართველოში ანტიურ ხანაშივე არსებულა, ისევე, როგორც ძველი სამყაროს ბევრ ქეყანაში<sup>9</sup>.

ძველი საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შესწავლისას აღნიშნულ საკითხს შეეხო ა. აფაქიძე. მისი აზრით, ავრელი აქოლისი უბრალო მხატვარი და ხუროთმოძღვარი კი არ არის, „არმედ მოხელეა, იგი მხატვართა და მშენებელთა უფროსია, უხუცესია“<sup>10</sup> კ. ი. უხუცესთა ინსტიტუტი სუფთა ქართული მოვლენაა. საყურადღებო ისიც, რომ ავრელი აქოლისი ატარებს არა მარტო მხატვართუხუცესის, არამედ ხუროთმოძღვრის ტიტულსაც. თუ ავრელი აქოლისი ქართლის ხუროთმოძღვარია, გარკვეული თვალსაზრისით, იგი ბედის, დიხაზურგისა და შორეთის წარწერებში დასახელდებული ისტორიული პირების შორეული წინამორდგედიცაა. სტმენი, მიქაელი და ნიკოლოზ ორბისძე გალატოზთა და მშენებელთა უფროსი და უხუცესები არაან, ამდენად, მათი საქმიანობა თანამედროვე ტერმინით შეიძლება „ხუროთმოძღვრით“ განვსახლვოთ.

ხუროთმოძღვრის თანამდებობის არსებობა შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოში, რომელსაც „მმართველობის ცალკეული დარგებისა და უწყებების ხელმძღვანელები კარის უხუცესები“ ჰყავდა, ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ტერმინი ხუროთმოძღვარი, ან მისი აღმნიშვნელი სიტყვა, ავრელი აქოლისის წარწერის შემდეგ გვხვდება „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“<sup>11</sup>. იმავე სერაპიონის ცხოვრებაში დასახელდებულია „გალატოზი“, რომელიც კ. ბერიძის აზრით, ქვითხუროს სინონიმი ჩანს. გალატოზი იყო თანაშემწევ „გელოვნებით განთქმული კაცისა“ ხუროთმოძღვრისა. სერაპიონის ცხოვრების მეორე ადგილას „გელოვნებით განთქმული კაციც“ გალატოზადაა წოდებული კ. ი. არსებითად გალატოზი და ხუროთმოძღვარი აქ ერთსა და იმავეს ნიშნავს<sup>12</sup>. ტერმინი გალატოზი გვხვდება აბუსერიძეთა საგვარულო მატიანის ტექსტშიც, „ესე ბასილი იყო ქვითხურო, რომელსა ეწოდების „გალატოზი“<sup>13</sup>. როგორც ვხვდავთ, აქ ავტორი განმარტავს სიტყვა „გალატოზსს“, რაც ისევე როგორც „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“, აქაც ქვით ხუროს აღმნიშვნელი ტერმინია. „სერაპიონის ცხოვრებისა“ და აბუსერიძეთა საგვარულო მატიანის ქრონილოგიური შედარების საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, რომ ტერმინ „გალატოზზის“ შინაარსობრივი დატვირთვა X–XIII საუკუნეების საქართველოში არ უნდა შეცვლილიყო.



ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში „გალატოზის“ გარდა გვხვდება ანტიკურ სხვა ტერმინებიც, კერძოდ, „გალატოზთა წედა მომგე“ (რუისი, XV ს.), „შედეგობრუ მელი“, ან „ხედამდგომი“ (ოშეის წარწერა)<sup>13</sup> და ა. შ. გვიანთვეოდალურ ხანაში მშენებელი თავისთავს სტატეს უწოდებს. მაგ. ბარაკონის, მანგლისის, ვაშლოვანის და სხვა წარწერებში. მის პარალელურად, როსტომ მეფის დროს, ხმარებაში შემოიდის სპარსული სიტყვა „სარაიდარი“, რომელმაც ქართული ხუროთმოძღვარი შეცვალა.

ვაჟუშტი ბაგრატიონი საქართველოს სამეფო კარის ხელისუფალთა ჩამოთვლისას ასახელებს ხუროთმოძღვარსაც: „ხუროთმოძღვარი, ამის ჭედისა იყო ხრულიად ჭელოსანნი და შენობა სასახლეთა და ეკლესითა, ჭიდთა და ფუნდუქოა“<sup>14</sup>.

როგორც ვხედავთ, ქართულ სინამდვილეში ხუროთმოძღვრის ინსტიტუტის აღსანიშნავად ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შემდგები ტერმინები გამოიყენებოდა: „ტელოგნებით განთქმული კაცი“, „გალატოზთუხუცესი, ხუროთმოძღვარი, და სარაიდარი. აქვდან სარაიდარის წარმოშობის ისტორიული პირობები ვიცით, იგი არაქართული სიტყვა და ირანის პოლიტიკურ-კულტურული გავლენით გაერცელდა საქართველოში. რაც შექება ხუროთმოძღვარს, „ხუროსა“ და „მოძღვრის“ შეერთების საფუძველზე წარმოქმნილი სიტყვა და მის შინაარსში იგულისხმება მრავალი ხურის მოძღვარი და ხელმძღვანელი. აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანის განმარტებით ვიცით, რომ ქვით ხურო იგივე გალატოზია, ხოლო გალატოზთა ხელმძღვანელი, ჩვენი ვარაუდით, „გალატოზთუხუცესი“ უნდა იყოს (აქც ორი სიტყვის შეერთების საფუძველზე მიღებული ტერმინი გვაქვს „გალატოზი+“ უხუცესი<sup>15</sup>).

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“, როცა სერაპიონის ანდერძის თანახმად, განიხრახეს მეორე ეკლესის აგება, წინამდვგარმა მიქაელმა „ტელოგნებით განთქმულ კაცსა მოუწოდა – ქვეყნისაგან ბერძენთასა... რომელსა თანაშემწედ აქუნდა გალატოზი სახელითა შუარტყდელი და ორნივე იყენეს მოძღუარ და მასწავლებელ სიმრავლეს მუშაკთასა“<sup>15</sup>.

ვ. ი. „ტელოგნებით განთქმული კაცი“ თანამდებობრივად უფრო მაღლა დგას, ვიდრე გალატოზი, მაგრამ ორივენი იყენებ მრავალი მშენებლის („მუშაკთა“) მოძღვარი და მასწავლებელი (გავისხმოთ „ხუროთმოძღვარი“). აქ ფაქტობრივად, ორი მოხელის თანამდებობრივ გათანაბრებასთან გვაქვს საქმე. ალბათ, ეს მომენტი ქონდა მხედველობაში აკად. ვ. ბერიძეს, როცა განაცხადა, „აქ გალატოზი და ხუროთმოძღვარი არსებითად ერთი და იმავეს ნიშანესთ“.

Х საუკუნის დასაწყისში „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ მშენებელთა შორის სამ კატეგორიას ასახელებს: „ტელოგნებით განთქმული კაცი“, „გალატოზი“ და „მუშაკი“. ჩვენი აზრით, მოგვიანებით, ამ კატეგორიებს, უნდა დამატებოდა „გალატოზთუხუცესიც“.

ბასილი ზარზმელის ეპოქა, როცა არ არსებობდა ერთიანი ქართული სახელმწიფო ეროვნიობის ინსტიტუტები, როცა საეკლესიო და სამონასტრო მშენებლობა, ძირითადად, სასულიერო და კერძო პირთა ინიციატივითა და ენთუზიაზმით მიმდინარეობდა, არ საჭიროებდა სახელმწიფო მოხელის ფუნქციებით აღჭურვილ თანამდებობის პირს. მაგრამ ერთიანი ქართული მონარქიის შექმნის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა, სამონასტრო მშენებლობის ინიციატივა ამჟერად სახელმწიფომ აიღო ხელში და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. აქ, ალბათ, უნდა გაიხსენოთ ბაგრატ III-ის (978-1014) მიერ ფართოდ გაშლილი საეკლესიო მშენებლობა (ბერიძისა და ბაგრატის ტაძრების, ასევე სვეტიცხოვლის მშენებლობის დასაწყისი და ა. შ.), რისთვისაც მას აუცილებლად დასჭირდებოდა სახელმწიფო მოხელის რანგში აყვანილი „ტელო-



ნებით განთქმული ქაცი<sup>16</sup>. ჩვენი აზრით, ასეთ პირობებში X ს. II ნახევარში უკუმარის უძრავი გა კიდევ ერთი მოხელის, „გალატოზუბუცესის“ თანამდებობა. კ. ი. ვახუშტისძრო-ინდელი „ხუროთმოძღვარი“ ბაგრატ III-ის სამეფო კარზე უხუცესთა საგამგეო უწყე-ბაში „გალატოზუბუცესის“ ტიტულით შედიოდა, რომელსაც ქვეყნის მართვა-გა-მგებაში ნაჯერი უუნქციები გააჩნდა, მაგრამ მთავარ როლს თამაშობდა ქვეყანაში გაშლილ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქედაციით მშენებლობაში. ჩვენს მო-სახრებას დამაჯერებლობას ჰმატებს ისიც, რომ „ხუროთმოძღვრის“ შესატვისი სხვა ტერმინი ამ ეპოქის წერილობით წყაროებში არ მოგვეპოვება<sup>17</sup>.

გაერთიანებული საქართველოს სამოხელეო ინსტიტუტებიდან აფხაზეთის ეპიგ-რაფიკულ ძეგლებში გვხვდება მეჭურჭლეოთუხუცესის, მანდატურთუხუცესისა და ერ-ისთავთ ერისთავის სახელობები.

მეჭურჭლეოთუხუცესის სახელო გვხვდება XIX საუკუნის II ნახევარში წებელდის რეგიონში პ. უვაროვას მიერ აღმოჩენილ წმ. ანდრია მოციქულის ხატის წარწერაში. ხატი თავის დროზე შეცდომით ლურჯი მონასტრის საკუთრებად იქნა მინეული და მისი წებელდიდან წარმომავლობის შესახებ არაფერი იყო ცნობილი. აღნიშნული შეცდომა გაასწორა ქ. ჩხატარაიშვილმა, რომელმაც დამაჯერებლად დაასაბუთა ან-დრია მოციქულის ხატის წებელდიდან წარმომავლობის საკითხი. მოგვავს ასომთავ-რული წარწერის მხედრული ტრანსკრიპცია:

„† მ ქოვდალ მ(მდა)თ მ(ო)ციქულო ქ(რისტე)ს დ(მრ)თისათ ანდრია, შეიწი-რე მ(მ)ირეგელი ეს მსახურებაი ჩ(ე)მგან ე(რისთავთა) ე(რისთავისა) და მეჭურჭლეოთუ-ხუცესისა აბულასანის(ა)გ(ა)ნ იობისძისა/ [რ(ომელმა)ნ ეეცელითა] შევგვედე კუბო ეს ჟ(ე)ნი, [სალოც]ველად სულისა ჩემისა და ძმათ [ჩემთა] / -ძ(ა)ს(ი)ლისას/“<sup>18</sup> და ელისათუების<sup>19</sup>.

აღნიშნული ხატის შემწირველი აბულასანი ქართულ ისტორიოგრაფიაში სამარ-თლიანადაა გაიგივებული თამარის ეპოქის სახელმწიფო მოღვაწესთან ქართლის ერ-ისავთ ერისთავისა და მეჭურჭლეოთუხუცესის აბულასან იობის სახელთან. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში დაზუსტდა აბულასან იობისძე საქართველოს მეჭურ-ჭლეოთუხუცესის სახელო ფლობდა 1185-1187 წლებში<sup>20</sup>, მაშასადამე, ხატიც და წარწერაც ამ წლებით თარიღდება<sup>21</sup>. აბულასანის წარმომავლობასთან დაკავშირებით, საყურადღებო დასკენები გააკეთა ქ. ჩხატარაიშვილმა. მან საქართველოს სამეფო კა-რის მეჭურჭლეოთუხუცესი აბულასან იობის ძე-მარუშისძე, მარუშიანთა გვარს და წე-ბელდის რეგიონს დაუკავშირა, სადაც თავის „ძირ ხატს“, რომელთანაც იობისძეებს კაშირი ჯერ კიდევ გაწვეტილი არ ჰქონდათ, შესწირა წმ. ანდრია მოციქულის ხა-ტი. ეს შეწირულება აბულასანის წარმომავლობის დადასტურება უნდა იყოს<sup>21</sup>.

მანდატურთუხუცესისა და ერისთავთ ერისთავის სახელო. აფხაზეთის ეპიგრაფი-კულ ძეგლებში დადასტურებულია ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის სამოხელეო ინსტიტუტები: მანდატურთუხუცესისა და ერისთავთ ერისთავის სახელო-ები. როგორც ცნობილია, ამ სახელოებს დასავლეთ საქართველოში დადიანთა ფეო-დალური სახლი ფლობდა და უმრავლეს შემთხვევაში ორივე სახელო ერთი და იგივე პირის ტიტულატურაში დასტურდება. აღნიშნული სამოხელეო ინსტიტუტები აგხაზე-თის წარწერებს შორის ყველაზე ადრე (XIV-XVს. მიჯნა) ბედის ტაძრის ფრესკულ წარწერაში გვხვდება, რომელშიც ერისთავთ ერისთავი და მანდატურთუხუცესი გიორ-გი დადიანი იკითხება:

„დეოფა(ლ)ო დეოფალი მაზის / [ძე შათო ე(რისთავთ) ე(რისთავი) და მადატურთუხუცესი დადი(ა)ნი გ(ომრგი)“<sup>22</sup>.



ბედიის ხობისა და წალენჯიხის წარწერების ისტორიულ პირთა იდენტურობის შემთხვევაში ის საფუძველზე, წარწერაში დასახელებული „დეოფალი“ მარიხი და გიორგი დადიანი ანი ჩვენს მიერ გაიგოვებული არიან ვამეყ I დადიანის მეუღლებთან და უფროს ვაჭთან გიორგი დადიანთან, რის საფუძველზეც წარწერა დათარიღებულია XIV-XV საუკუნეების მიჯნით<sup>23</sup>. აღნიშნული მოსახურება გაზიარებულია მევლეართა მიერ<sup>24</sup>.

ორამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუს (ჭალის) კლესის ნაგრევებში აღმოჩენილ XV საუკუნის ასომთავრულ წარწერაში იკითხება:

„ე(რისთავ) ერ(ის)თ(ა)ვი, / მ(ა)ნ(და)ტ(ურ)თუხ(უ)ც(ე)ს დ(ა)დ(ია)ნ თბ(ე)ბ/ შ(ე)უბ(ე)ნ დ(მერთმა)ნ<sup>25</sup>

წარწერაში დასახელებული ისტორიული პირის-თბებეგ დადიანის მოდვაწეობა დათარიღებულია XV საუკუნის შეუახნებით, კერძოდ, 1442-1445 წლებით.

იღორის წმიდა გიორგის ხატის 1533-1545 წლების ასომთავრულ წარწერაში იკითხება:

„ქ მწერ, შორის მოწამეთა ღვაწლისა მძღვო, გიორგი იღორისაო, საქართველოში მოქმედო, ღირსო მცდარო უფლისაო, ღირს ჰყავ ქრისტეს ღვთისა [და] ჩვენისა წინაშე და განადიდე და განაძლიერებ ერისთავთ-ერისთავი და მანდატურთუხუცესი დადანი ლეონ, და გვევდრებით, რათა მეომ და მფარველ ექმენ, რომლისა პრანებითა შევაძევთ წმიდა ხატი ესე, ბერიელ მოვარეასისკომოზმან მიტრაპოლიტმან ანტონი უკანისძემან. წინა მდგომელ ექმენ ღვთისა ჩვენისა აქა და მას დღესა დიდა განეთხუსასა. ამინ<sup>26</sup>.

მანდატურთუხუცესის სახელოს დადიანები პირებულად მაშინ უუფლებიან, როცა დავით ნარინი დასავლეთ საქართველოში გადავიდა, სადაც იგი ადგილობრივმა ფეოდალებმა ლიხითომერეულის მეფედ დაადგინეს. მიერიდნ საქრისვლო გაიყო ორ სამეფო ფოდ, რომელთაც ცალ-ცალკე სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები გააჩნდათ (სამეფო დარბაზი, სამეფო ვაზიონი, საქვეყნო გამრიგე მოხელენი და სხვ.) ბუნებრივია, ამ პერიოდის საქართველოში მანდატურთუხუცესის ორი სახელო არსებოდა. ერთი აღმოსავლეთ საქართველოში, მეორე – ლიხითომერეულში, სადაც მანდატურთუხუცესად ბედიან დადიანი ჩანს. ამ სახელოთი ბედიანი დასახელებულია წალენჯიხის ჯვარცმის ხატისა<sup>27</sup> და ხობის დმრთისმშობლის ხატის<sup>28</sup> ზურგზე მოთავსებულ წარწერებში. იმავე პერიოდის აღმოსავლეთ ქართველ სამეფოში მანდატურთუხუცესის სახელო, ჯერ შანშე ზაქარიას ძე მხარგრძელს<sup>29</sup>, ხოლო შემდეგ მის შვილს ივანეს<sup>30</sup> უჰირავს. XIV საუკუნის I მეოთხედში საქართველოს სამეფო კარი კვლავ აერთიანებს ქართულ მიწებს. გიორგი ბრწყინვალემ, „იმერნი და ამერნი გაიერთა და დაიპრა ნებისაებრ ყოველი საქართველო“. გიორგი ბრწყინვალისა (1314-1346) და დავით IX-ის (1346-1360) მეფობის დროს საქართველოს სამეფო კარის მანდატურთუხუცესებად ჯაჭველთა ფეოდალური საგვარეულოს წევრები ჩანან (დაახლ. 1285-1361 წლებში)<sup>31</sup>. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ პერიოდში ბედიან I-ის შთამომავლები გიორგი I (გარდაიც. 1323 წ.), მაზია I (1323-1342) და გიორგი II (1345-1384 წწ.) ვერ იქნებოდნენ საქართველოს სამეფო კარის მანდატურთუხუცესები. აღნიშნულ მოსახურებას ადასტურებს ისიც, რომ ზემოთაღნიშნული დადიანები არცერთ წყაროში არ მოიხსენიებიან მანდატურთუხუცესის სახელოთი. ჩვენი აზრით, საქართველოს სამეფო კარის მანდატურთუხუცესის სახელო, ვამეყ დადიანმა ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში მიიღო, რასაც ადასტურებს ჯუმათის მთავარანგელოზის ხატის წარწერა:

„ქ რ(ომედმა)ნ ახარე... (ღმრთისმშობელისა მ(ა)რ(ია)მ(ს) გ(ა)ნხორცი(ე)ლ(ე)ბ(ა)რ(ე)ბ(ი)სა / ღ(მრთ)ისა ზ(ე)ცისა, რ(ომე)ლთა მთ(ა)ვ(ა)რო გ(ა)ბრივლ მეობ/ და მფ(ა)



კულტურული მემკვიდრეობისა და / მერმესა მას საუკუნესა პატრიონისა და მემკვიდრეობის თავის გრისტიანულისა და დადიანის გიორგის და მეუღლესა მართისა / რუსულისას, ძვთა მართისა მანდატურობის უცხოუკებელის გამეცემის და გურიულისა კახაბერის / რომლისას ბრძანებითა მოიგეძა უსსეულონს / ხატისა თქვენისა ხახე. წმიდამ ესე ხატი გაბრილონსა... შენგან მოიგეძა და... / მეობ და მფარველ უკავ აქ და საუკუნესა აზონის<sup>32</sup>.

როგორც ეხედავთ, ჯუმათის ხატის წარწერაში გიორგი II მხოლოდ ერისთავთ ერისთავად იწოდება, ხოლო მისი ძე ვამეცი მანდატურობულებისად. ე. ი. ჯუმათის ხატის შემნის დროს ვამეცი მანდატურულებისის სახელოს მცირებელია, ხოლო გიორგი - ერისთავთ ერისთავი. მაშასადამე, ვამეცი მამის სიცოცხლეში მიიღო მანდატურულების სახელო, რომელსაც გიორგი II და მისი წინამორბედი დადიანები არ ფლობდნენ. (გარდა ბედან დადიანისა). ერისთავთ ერისთავის სახელო ვამეცი მხოლოდ მამის გარდაცვალების შემდეგ მიიღო, რასაც ადასტურებს ხობის ტაძრის გვადების ასომთავრული წარწერა:

„სახელითა დმრთისამთა ერისთავთ ერისთავმან და მანდატურობულებისან დადიანმან ვამეცი მამისა გათისა, [პატრიონისა, ერისთავთ-ერისთავისა დადიანისა ვიორგისა შემდგომად მიუგდა ჯიქშოს] ურწმუნოებისა და ორგულობისათვეს, რათამცა მოქმედურა და სხლო [და] შეურაცხეო და უგმარ იქმნა მათი სიმაგრენი, გაგარი და უდალი ყოველნიერ ძალითა მოირგოვნა, მრავალთა ჯიქშოსა პატრონთაგან მიუხადი მოაბივნა, რაოდენნი მოეწყო, მათი შეკვეთი წამოასხნა/ და სხენი აოტნა, და მაშინ მოიღო სკეტნი და ფიქალი ესენი მარმარილოსანი და მამა-დედათა ლარნაკი და მისი და მარგების გაარეთ(იანა) / საუკუნომცა არს შენება მათი<sup>33</sup>.

ტექსტის შინაარსიდან დასტურდება, რომ გიორგი II მხოლოდ ერისთავთ ერისთავის სახელოს ატარებდა და გარდაცვალების შემდეგ ეს სახელო მექევიდრეობით მიიღო მისმა შეიღმა ვამეც დადიანმა. თუ ჩენი მსჯელობა სწორია, მაშინ ვამეც I-ს საქართველოს სამეფოს კარის მანდატურობულებისის სახელო მამის სიცოცხლეში, მას შემდეგ უნდა მიეღო, რაც იგი ჯაყელთა ფეოდალურმა სახლმა დაკარგა. ე. ი. დაახლოებით 1361 წლის ახლო ხანებში, ბაგრატ V-ის ზეობისას. აღნიშნული ქრონიკითა დამაჯერებელს ხდის ჩენენს მოსაზრებას-ვამეცის მიერ მამის სიცოცხლეში მანდატურობულებისის სახელოს ფლობის შესახებ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საყურადღებო დასტენები შეიძლება გავაკეთოთ დადიანთა მანდატურობულების საკითხთან დაკავშირებით. დასახელებულ წყაროთა მონაცემებით, დადიანთა მანდატურობულებისის შეიძლება სამ პერიოდად დაფურთ: პირველი, როცა დადიანები ორმეფობის ხანაში, დიხოთიმერეთის, ე. ი. დასაგელეთ საქართველოში დაეკით ნარინის სამეფოს მანდატურობულები არიან (ბედან დადიანი, შეიძლება მისი შეიღლი გიორგი I დადიანიც); მეორე პერიოდში დადიანები გაერთიანებული საქართველოს სამეფო კარის მანდატურობულებისად დაწინაურდნენ. ჩენი აზრით, და წყაროთა მონაცემებითაც, ეს სახელო პირველად ვამეც I-მა მიიღო მამის სიცოცხლეში (1361 წლის შემდეგ); მესამე პერიოდი არის საქართველოს პოლიტიკური დაშელილობის ხანა, როცა დადიანები იმერეთის სამეფოს მანდატურობულების არიან, მაგრამ ეს დამოკიდებულება თანდათან (შეიძლება იმთავითვეც) ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ს. კაკაბაძის სიტყვებით, ამ ტიტულით მოხსენიება ოდესაც მეფესთან დამოკიდებულების თეორიული მოგონება იყო და ახლა რეალური მნიშვნელობა აღარ ჰქონდა<sup>34</sup>.

ილორის წმინდა გიორგის ხატის წარწერაში ლეგან I დადიანი ჯერ კიდევ ერისთავთ ერისთავისა და მანდატურობულების ტიტულით არის დასახელებული. ხატიც



და წარწერაც 1533-1545 წლებში უნდა იყოს შესრულებული, რაღაც 1545 წლის მიზან  
ხოისტას ომის შემდეგ და სიცოცხლის უკანასეკნელ წლებში ლევან I არ გვიცარქდა  
ერისთავთ ერისთავისა და მანდატურთუხუცესის ტიტულს. მკვლევართა აზრით (ო. ხო-  
სელია. ი. ანთელავა, თ. ბერაძე, გ. არახამია, პ. ხორავა)<sup>35</sup>, ლევან I ოდიშის უკანასენე-  
ლი ერისთავთ ერისთავი და პირველი მთავარი იყო. რომ ეს დგულება სწორია, ამ-  
აზე მიუთითებს წალენჯიხის ტაძარში ლევან I-ის ეკვდერის ედევლზე მოთავსებული  
წარწერის ტექსტი, რომელშიც ლევანი „პატრონი დადიანის“ ტიტულით მოიხსენიება  
და ამიერიდან, დადიანთა ტიტულატურიდან საბოლოოდ გაქრა სამოხელეო ინსტიტუ-  
ტების აღმნიშვნელი ტერმინები. მომდევნო დადიანები წყაროებში მხოლოდ „პატრონი  
დადიანის“<sup>36</sup>, ან „კელმწიუე დადიანად“<sup>37</sup> იხსენიებიან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასახელებული ეპიგრაფიკული ძეგლები მნიშ-  
ვნელოვან და სანდო წერილობით წყაროს წარმოადგენენ ქართული სახელმწიფოს  
ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის სამოხელეო ინსტიტუტების, ცალკე-  
ულ ფეოდალურ საგვარეულოთა წარმომავლობის, სამთავრო სახლის ქრონილოგიისა  
და სხვა საკითხების დასაზუსტებლად.

Lia Akhaladze

## THE EVIDENCE CONCERNING GEORGIAN MEDIEVAL STATE OFFICIALS IN EPIGRAPHIC MONUMENTS FROM APKHAZIA

The numerous Georgian epigraphic monuments from the territory of modern Abkhazia contain evidence on the following Georgian state officials in the Middle Ages: *Galatozukhutsesi*, *Mechur-chletukhutsesi*, *Mandaturukhutsesi* and *Eristavt-Eristavi*.

*Galatozukhutsesi* is mentioned in only three inscriptions. From our point of view, the emergence of this rank was casually tied with the process of unification of Georgian lands within the new political frame at the end of the 10<sup>th</sup> c. It was referred to the main royal architect.

As for *Mechurchletukhutsesi* (the state official concerned with finance), *Mandaturukhutsesi* (the state official concerned with internal affairs), *Eristavt-Eristavi* (regional governor), they are well known in scholarly literature.

The rank of *Mandaturukhutsesi*, which was held by the feudal family of Dadiani for centuries, deserves special consideration. First representatives of this house were officials at the court of the Western Georgian Kingdom (Bedan Dadiani, George I); since 1361 the Dadiani (beginning from Vamek I Dadiani) occupied the position of *Mandaturukhutsesi* at the court of the United Georgian Kingdom; after the fragmentation of the united Georgian state the Dadiani became *Mandaturukhutsesi* of Kings of Imereti (in Western Georgia). Levan I Dadiani (1532-1572) – the first duke of the Odishi Principality (in Western Georgia) – was the last of the Dadiani who held this position.

1. ხტაბიის მიზნებიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში, ყველა წარწერა წარმოდგენილია მხედრული ტრანსლიტერაციით.
2. ქართული წარწერების კორპუსი, ტ. II, ლაპიდარული წარწერები, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-X სს), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვადერი სილოგაგამ, თბ., 1980. გვ. 38. №12; ახალაძე ლ., ეპიგრაფიческие памятники Абхазии, в кн. Разыскания по истории Абхазии / Грузия /, Тб., 1999. с.364. №3;
3. ქართული წარწერების კორპუსი, ტ. II, გვ. 83. №7; ახალაძე ლ., ეპიგრაფиические памятники Абхазии, с.366. №8;
4. ბერიძე ვ., სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ. 1955, გვ. 213-214; ვ. ბერიძე, მევლი ქართველი ხუროთმოძღვრები, თბ. 1956, გვ. 7
5. სულხან-საბა თრდელიანი. ლექსიკონი ქართული I, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ილა აბულაძემ, თბ. 1991, გვ. 130.
6. ბერიძინშვილი მ., სახელმწიფო წყობილება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ტომის რედაქტორები ზურაბ ანჩაბაძე, ვიქტორ გუჩუა, თბ. 1979. გვ. 351.
7. ლორთქიფანიძე მ., ქართული ფეოდალური მონარქიის ქარის მოხელენი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 32, თბ. 1955. გვ. 68-69.
8. ყაუხხინშვილი თ., ბერიძეული წარწერები საქართველოში, თბ. 1951. გვ. 255 იხ. აგრევევ, თ. ყაუხხინშვილი. საქართველოს ბერიძეული წარწერების კორპუსი, თბ. 2004. გვ. 256.
9. ყაუხხინშვილი ს., მცხეთა – სამთავროს ახლადაღმოჩენილი ბერიძეული წარწერა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №6, 1943;
10. აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ. 1963. გვ. 136.
11. ბერიძე ვ., ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები, თბ. 1956. გვ. 7.
12. ბოლოკ ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანე, 1233 წ. ტექსტი გამოსცა ლევან მუსხელიშვილმა, თბ. 1941. გვ. 56.
13. ბერიძე ვ., ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები, გვ. 7.
14. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება, IV ტექსტი, დადგენილი უკედა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხხინშვილი მიერ, თბ. 1973. გვ. 23.
15. ადრინდელი ფეოდალური ხანის ქართული ლიტერატურა, პ. პეპელიძის რედაქციით და გამოკვლეულით, ტფ. 1935. გვ. 179.
16. უკანასკნელ ხანს აღნიშნულ საკითხს შეეხო შ. გლოველი, რომელმაც, გალატოზოთუხუცეს „აფხაზთა სამეფოს“ სამოხელეო ინსტიტუტიდ მიიჩნია. იხ. გლოველი შ., აფხაზთა სამეფო, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლებ წარმოდგენილი დისეტაცია, თბ., 2004.
17. ვ. სილოგაგას წაკითხევით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აბულასანის გენეალოგია დაზუსტებულია შ. დარჩიაშვილის მიერ. იხ. დარჩიაშვილი შ., სომხური ეპიგრაფია და „ქართლის ცხოვრება“ XII საუკუნის ზოგიერთი ქართველი და სომები ისტორიული პირის მცდარი „იდგნიტიკაციის“ შესახებ. წელიწდეული „ქართული დიპლომატია“, ტ. 10. თბ. 2003. გვ. 532.

18. Уварова П. С., Христианские памятники Кавказа. МАК, Вып. IV. М. 1894. Таб. XI. ვ. წ. ანდრია მოციქულის ხატის ფოტო თავდაყირა არის გამოქვეყნებული უნიკალური მუზეუმის რიცხვის ხატის ზემოთ. ასევე არის ეს ხატი გამოქვეყნებული ხ. ბღაძებას წიგნშიც: „Из истории письменности в Абхазии“, Рогоморц ჩანს, ამ ავტორებმა ანდრია მოციქულის ხატი წ. გვატერინეს ხატის ნაწილად მიიჩნიეს. წარწერის ტექსტის გამოცემები: Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки. вып. II, 1905. с. 68-71. ჩხატარაიშვილი ქ., აბულასან იობის ძის წარწერა წებელდიდან და მისი ისტორიული მნიშვნელობა. კრ. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. ტ. VI, თბ., 1990. გვ. 88. ახალაძე ლ., წებელდის ჭედური წარწერები და მათი ისტორიული მნიშვნელობა, წელიწდეული „საისტორიო ძიებანი“, VI, თბ., 2003, გვ. 49. სილოგაგა ვ., სამეცნიერო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, თბ. 2004. გვ. 321.
19. დარჩიაშვილი შ., სომხური ეპიგრაფიკა და „ქართლის ცხოვრება“ XII საუკუნის ზოგიერთი ქართველი და სომხები ისტორიული პირის მცდარი „იდენტიფიკაციის“ შესახებ, გვ. 532.
20. ახალაძე ლ., წებელდის ჭედური წარწერები და მათი ისტორიული მნიშვნელობა, გვ. 50.
21. ჩხატარაიშვილი ქ., აბულასან იობის ძის წარწერა წებელდიდან და მისი ისტორიული მნიშვნელობა, გვ. 99.
22. Rapports sur un voyage archeologique dans la Géorgie et dans L' Armenie execute en 1847-1848 par M. Brosset, 1 livr, SPb. 1849. გვ. 92. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული ოქდო ქორდანის მიერ, წ. II, ტფ. 1897. გვ. 199. შმერლინგი რ., ბერძის ტაძრის მხატვრების დათარიღების საკითხისათვის, სმამ, ტ. XVIII, №4 1957. გვ. 504-511. ახალაძე ლ., ბერძის ტაძრის ფრესკული წარწერა და დადიანთა მანდატურთუხუცესობის საკითხი. წელიწდეული „საისტორიო ძიებანი“ №2, 1999. გვ. 62.
23. ახალაძე ლ., ბერძის ტაძრის ფრესკული წარწერა და დადიანთა მანდატურთუხუცესობის საკითხი, გვ. 61-71.
24. იხ. არაბამია გ., ოდიშის ერისთავთა ქრონოლოგიის საკითხისათვის. წელიწდეული, „საისტორიო ძიებანი“, №5. 2002. გვ. 107.
25. ტულუში ა., ერთი წარწერის წაკითხება-დათარიღებისათვის, ძეგლის მეცნიერი, №62, 1983. გვ. 35. სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. II გვიგრაფიული ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგაგამ, თბ., 1988. გვ. 64. Л. Ахаладзе. Эпиграфические памятники Абхазии. – В кн. Разыскания по истории Абхазии / Грузия /, Тб., 1999. с.370. №26. ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო I. თბ. 2005. გვ. 117-118.
26. Rapports sur un voyage archeologique dans la Géorgie et dans L' Armenie execute en 1847-1848 par M. Brosset, გვ. 96. ახალაძე ლ., აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო I, თბ. 2005. გვ. 55-56.
27. თაყაიშვილი ე., ძეგლი საქართველო, ტ. III, 1913-1914. გვ. 227.
28. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული ოქდო ქორდანის მიერ, ტ. II, ტფ. 1897. გვ. 129.



29. ქამთააღმწერელი. – ქართლის ცხოვრება, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი უკანასკნელი ხელნაშერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ. 1959. გვ. 212, 213. მსულიონის 20.
30. იქვე, გვ. 259, 269, 284.
31. რეხვიაშვილი მ., სამცხის სამთავრო, თბ., 1992. გვ. 15-20.
32. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თარგმნა არჩილ ტოტოჩავამ, ბათუმი, 1987. გვ. 221. წარწერის ასომთავრული და მხედრული ტრანსლიტერაცია იხილეთ: ახალაძე ლ., ბედიის ტაძრის ფრესკული წარწერა და დადიანთა მანდატურთუხუცესობის საკითხი. წელიწდეული „საისტორიო ძიებანი“ №2, თბ. 1999, გვ. 67.
33. თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წ. II, ტფ. 1914. გვ. 33. გამოცემათა სრული სია იხ. ლორქიპანიძე ი., Роспись в Цаленжиха, Тб. 1992. с. 177. წარწერის ტექსტის ახლებური გაგებისათვის იხ. ახალაძე ლ., ბედიის ტაძრის ფრესკული წარწერა და ... გვ. 63.
34. კაჯაბაძე ს., იმერეთის სახელმწიფო სტრუქტურის შესახებ მე-17 საუკუნეში. – „საისტორიო მოამბე“, წ. I, ტფ. 1925. გვ. 203.
35. სოსელია ო., ოდიშის სამთავროს წარმოშობის თარიღისათვის. – „მიმომხდევლი“, II, 1951, გვ. 181; ი. ანთელავა. ლევან II დადიანი, 1990, გვ. 20; ბერაძე ო., ოდიშის საერისთავო. – წიგნში: სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში. ი. ანთელავას რედაქციით, თბ. 1999. გვ. 161; არახამია გ., ოდიშის ერისთავთა ქრონოლოგიის საკითხისათვის. წელიწდეული „საისტორიო ძიებანი“, №5. 2002. გვ. 112; ხორავა ბ., ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბ. 1996, გვ. 67-68..
36. Rapports sur un voyage archeologique dans la Géorgie et dans L' Armenie execute en 1847-1848 par M. Brosset, 1 livr, SPb. 1849. გვ. 98, 99-100; ბერაძე ლ., სამეგრელოში დაცული X-XIX საუკუნეების ჯვარ-ხატების წარწერები, თბილისი-ზუგდიდი. 2000. გვ. 10. №7;
37. იქვე, გვ. 100, 105; გრიგოლია ქ., ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა. – ენიმების მოამბე, XIII, 1942. გვ. 157; ბერაძე ლ., სამეგრელოში დაცული X-XIX საუკუნეების ჯვარ-ხატების წარწერები, გვ. 24. №22; გვ. 25. №23; გვ. 29. №28;

“მატიანე ქართლისად”-ს ტექსტში ერთი კონიექტურის შეტანის  
მიზანშეწონილობის შესახებ

“მატიანე ქართლისად”-ს სახელით ცნობილი ქართული ქრონიკა საესებით სა-  
მართლიანად ითვლება VIII-XIIს.-ის საქართველოს ისტორიის უპირველეს წყაროდ.  
მასში, როგორც ცნობილია, თანმიმდევრულადაა გადმოცემული ქვეყნის პოლიტიკური  
ცხოვრების პერიოდი მოცემულ პერიოდში. ამასთან, საგანგებოდ უნდა აღინიშ-  
ნოს, რომ სწორედ “მატიანე ქართლისად”-თ იწყება დასავლეთ საქართველოს ისტო-  
რიის მეტ-ჯელებად სრულდად წარმოჩნდა “ქართლის ცხოვრებაში”<sup>1</sup>. მართლია, “მა-  
ტიანე ქართლისად”-ს ტექსტი ძირითადად გამართულია და ის შედარებით ადვილად  
იყოთხება, მაგრამ მასში მინც არის ზოგიერთი ბუნდოვანი ადგილი, რომლის გაგება  
გარევეულ სინქლეუბითაა დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით რად ლირ თუნდაც  
ფრაგმენტი ვარანგების მოსვლის შესახებ საქართველოში XI ს-ის შუა ხანებში, რომ-  
ლის ირგვლივ დადგმდე არ წყდება პოლემიკა მევლევრებს შორის<sup>2</sup>.

ამჯერად კურადღებას მივაჟყორობთ “მატიანე ქართლისად-ს” კიდევ ერთ ნაწყვეტს,  
რომლის ტექსტი, ჩვენი აზრით, გარკვეულ კორექტირებას მოითხოვს. ესაა ქრონიკის  
ის ადგილი, რომელშიც ავტორი მოგვითხრობს IX ს-ის 60-იანი წლების მიწურულს  
“აფხაზთა” სამეფო კარზე დატრადებულ მოვლენებზე. მოგვავს ეს ფრაგმენტი აქად.  
ს. ყაუხებიშვილის მიერ შეჯერებული ვარიანტის მიხედვით: “მას უამსა გამოვიდა გრ-  
ოვით, აფხაზთა მეფე, მას თეოდოსეს და დემეტრეს, ძე ლეონის; დაიპრა ქართლი  
და დაუტვა ერისთავად ჩიხას ძე დემეტრეს, და კითარ გარდაიცავალა გოორგი აფ-  
ხაზთა მეფე, დარსა ძე დემეტრეს მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატ. რომელი იცნობე-  
ბის ექსორა-ქმნილობით და ცოლმან გოორგი მეფისამან მოქადა ძე დემეტრეს, ერის-  
თავი ჩიხისა. და ეცრუა იგი ივანე მთავარსა შავლიანსა, და შთააგდეს ბაგრატ ზღუ-  
ასა. ხოლო დმერთმან განარინა იგი, და მიიწია ქალაქად კოსტანტინეპოლის<sup>3</sup>.

როგორც ვხედავთ, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ აქ მატიანის ტექსტი  
შინაარსობრივად მთლად გასაგები არაა. კერძოდ, რამდენადმე ჭირს იმის გარევევა,  
თუ ვინ არის ჩიხის ერისთავად დანიშნული “ძე დემეტრესი” – ის, ვინც “ცოლმან გო-  
ორგი მეფისამან მოქადა”, თუ “ბაგრატ, რომელი იცნობების ექსორა-ქმნილობით”. ან  
საერთოდ ხომ არ არის ერთი და იგივე პიროვნება გიორგი მეფის ქრისის მიერ მოკ-  
ლეული “ძე დემეტრესი” და ექსორია-ქმნილობით ცნობილი ბაგრატ უფლისწული. ამ  
კითხვაზე თითქოს პასუხი მოგვეპოვება “ქართლის ცხოვრების” უძველეს ნუსხებში.  
კერძოდ, ანა დედოფლისეულ ნუსხაში ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტი შემდეგნაირად  
გამოიყერება: “მას უამსა გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, მას თეოდოსეს და და-  
მიტრისი, ძე ლეონის, დაიპრა ქართლი და დაუტვა ერისთავად ჩიხას ძე და-  
მიტრის, რომელსა ერქუა ბაგრატ, რომელი იცნობ(ებ)ის ექსორია ქმნილობით. და  
ცოლმან მეფისამა(ნ) მოქადა ძე დემეტრეს, ერისთავი ჩიხისა, და ეცრუა იგი ივანე  
მთავარსა შავლიანსა, და შთააგდეს ბაგრატ ზღუას. ხოლო დმერთმან განარინა იგი,  
და მიიწია ქალაქად კოსტანტინეპოლის<sup>4</sup>.

დაახლოებით ამავე რედაქციით გვხვდება ეს ფრაგმენტი მარიამისულ ნუსხაშიც:  
“მას უამსა გამოვიდა: იგი: აფხაზთა: მეფე: ... და: იპყრა: ქართლი: და: დაუტვა: ერის-



თავად: ჩიხას: ძჯ: დიმიტრისის: რომელსა: ერქუა: ბაგრატ: რომელ: იცნობის: *შემდეგისაც მშნოლობით*: და: ცოლმანი) მეფისძმა: მოელა: ძჯ: დემიტრესი: ერისთავი: ჩიხის შემდეგისაც რუა: იგი: ივანქ: მთავარსა: ჟავლიანსა: და: შთააგდეს: ბაგრატ: ზღუას: ხოლო: ღ თხ: განარინა: იგი: და: მითქა: ქალაქიდ: კონსტანტინეპოლის<sup>5</sup>. ვ. არივე ნუსხაში, თითქოს გარკვევით წერია, რომ “ერისთავი ჩიხისა”, რომელიც დაინშნა გიორგი “აფხაზთა” მეფები, იყო ბაგრატი. ეს ბაგრატი მოკლა გარდაცვლილი მეფის ქვრივმა, რის შემდეგაც ის შევთქა ივანქ შავლიანს და მათ “შთააგდეს” ბაგრატი “ზღუას”. “ქართლის ცხოვრების” ამ ხელნაწერების მონაცემების საფუძველზე აკად. ი. ჯავახიშვილმა, თავის დროზე, დასკვნა, რომ ჩიხის ერისთავი, მართლაც, ბაგრატ უფლისწული იყო<sup>6</sup>.

იმავე თვალსაზრისხე იდგა აკად. 6. ბერძენიშვილიც, რომელიც “მატიანე ქართლისად”-ს ამ ცნობის კომენტირებისას, სვამდა კითხვას: “ჩიხის ერისთავი აქ ქართლის ერისთავად ხომ არ იგულისხმება?” და ამას შემდეგნაირად ხსნიდა: “ეს ბაგრატ დემეტრეს ქ იყო გიორგი მეფის მმისწული... გიორგი ლეონის ქ უშვილო ჩანს და ტახტის მემკვიდრედ ბაგრატ დემეტრეს ქ გამოდიოდა. აფხაზთა მეფეებს ამის შემდეგაც ემჩნევათ, რომ უფლისწულებს, ტახტის მემკვიდრეებს ქართლის მმართველად ნიშნავენ<sup>7</sup>. ამ კონენტარილან სრულიად ჩათლად ჩანს, რომ ქ დემეტრესი, რომელიც “აფხაზთა” მეფე გიორგი I-მა (861-868 წწ.) “დაუტევა ერისთავად ჩიხას”, 6. ბერძენიშვილის აზრით, იყო ბაგრატ უფლისწული<sup>8</sup>.

ერთი სიტყვით, თითქოს უფლაუერი გარკვეულია, თუმცა კითხვები მაინც რჩება. მაგალითად, რატომაა, რომ მემატიანე მხოლოდ მას შემდეგ აფიქსირებს ივანქ შავლიანის მონაწილეობას სახელმწიფო გადატრიალებაში, როდესაც ქვრივმა დედოფალმა უპევ მოკლა ჩიხის ერისთავი. რა ისეთი დიდი პრობლემა იყო მევდარი უფლისწულის ზღვაში ჩაგდება, რომ მემატიანეს საგანგებოდ არ აღნიშნა ივანქ შავლიანის ჩართვა შეთქმულებაში სწორედ ამ დონისბეჭდისათვის. ამ ფონზე არ შეიძლება არ მიიპყროს ყურადღება “ქართლის ცხოვრების” იმ ნუსხებმა (კურძოდ, მასიაბლისეულმა), რომელთა დაყრდნობითაც, როგორც ჩანს, აღადგინა “მატიანე ქართლისად”-ს ზემოთ მოყვანილი ცნობა აკად. მარი ბროსებ. “ქართლის ცხოვრების” მისეულ გამოცემაში კაითხულობთ: “მას უამსა გამოყიდა აფხაზთა მეფე გიორგი აღწეველი, მას თევდონები და დემეტრები, ქ ლეონისი, დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას, ქ დემეტრები: და ითარ გარდაიცვალა გიორგი აფხაზთა მეფე, დარჩა ქ დემეტრები მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატ, რომელი იცნობების ექსრია ქმნილობით, და ცოლ-მან გიორგი მეფისამან მოკლა ტინიგ, ქ დემეტრები, ერისთავი ჩიხისა, და ცერუა იგი იოანქ მთავარსა შავლალიანსა, და შთააგდეს ბაგრატ ზღუას. ხოლო დმტრე-მან განარინა იგი, და მითქა კონსტანტინეპოლის<sup>9</sup>.

არანაკლებ საინტერესოა “მატიანე ქართლისად”-ს ამ ცნობის ინტერპრეტაცია დიდი ფრანგი ქართველოლოგის მიერ გამოცემულ “საქართველოს ისტორიაში”-ც. აი, რას წერს მეცნიერი ამასთან დაკავშირებით: “გიორგისა, აბხაზეთის მთავრისა, რომელმაც დაიპყრა ქართლი, და აგრძელებ ჩიხაში ერისთავად დასვა თავისი მმისწული ტინიგი. ეს ერისთავი მალე მოკლულ იქნა მისი ბიცოლის, გიორგის ქვრივის ბრძანებით”<sup>10</sup>. კიდევ უფრო საგულისხმოა მ. ბროსეს კონენტარი იმავე წიგნში მოთავსებულ ერთგვარ დანართში, რომელშიც ავტორი ვახეშტი ბატონიშვილის თხზულების მასალაზე დაყრდნობით მიმოიხილავს “ისტორიას ეგრისისა, აფხაზეთისა ანუ იმერეთისა...”. მისი განმარტებით გიორგი I-მა, “თუვდორეს მმამ, დაიპყრა ივერია, დასვა ჩიხის ერისთავად მმისწული თვისი თინენი და გარდაიცვალა 877 წ. იოანქ მამის (გიორგის) მემკვიდრედ შეიქმნა. მისმა დედამ მისოფლის გიორგინის მოსაპოვებლად მოჰქმდა თი-

ნენი და განდევნა ზღვის გადაღმა მმა მისი ბაგრატი. ბაგრატი გადაურჩა ზღვის დელვასა და ქარიშხალს და მივიდა კონსტანტინებოლძეს<sup>11</sup>.

ის, რომ „ქართლის ცხოვრების“ უფელეს (შეიძლება ჩვენამდე არ შეძლებულ) რედაციებში ნამდვილად იყო ანა დედოფლისეული და მარიამისეული ნუსხებისაგან განსხვავებული, ჩვენი აზრით, უფრო სრული ინფორმაცია გიორგი „აფხაზთა“ მეფის გარდაცალების შემდგა ქვეყნაში განვითარებულ მოვლენებზე, დასტურდება განუშტი ბატონიშვილის თხელების შესაბამისი ადგილიდან. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „ვამხა ამას გამოვიდა მეფე აფხაზთა და დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხის ტინებ დე დიმიტრისა. ხოლო შემდგომად, გარდაიცვალა რა გიორგი მეფე აფხაზთა, ცოლმან შინძან მოქლა ტინებ დე დიმიტრისა და კცრუა ოანჯ მთავარსაც და შთაგდეს დე დიმიტრისავე ბაგრატ ზღუასა შინა“<sup>12</sup>. ამ ინფორმაციას კიდევ უფრო აზუსტებს ვახუშტი ბატონიშვილი თავისი თხელების სხვა ადგილის. ის წერს: „ამისთვის შეიძენა (გიორგი I-ის ქვრივმა-ზ.პ.) დე დიმიტრისა ერისთავი ჩიხის ტინებ და მოკლა იგი და უმრწევების დე დიმიტრისავე ბაგრატ მცირე პასაკითა ექსორია ჟყო და მოგზაური ბაგრატ შთაგდეს ზღვასა შინა“<sup>13</sup>.

ამრიგად, ჯერ ვახუშტი ბატონიშვილი, ხოლო შემდეგ მ. ბროსე, ფაქტობრივად „ქართლის ცხოვრების“ პირველი მეცნიერ-კომენტატორები, რომელთა (განსაკუთრებით ვახუშტის) განკარგულებაში შესაძლებელია ყოფილიყო ქართული მატიანების კრებულის ზოგიერთი ჩვენამდე არმოდწეული ხელნაწერი, გვთავაზობენ „მატიანე ქართლისავ“-ს ცნობის პრინციპულად განსხვავებულ რედაციას. მასში, „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისა და მარიამისეული ნუსხებისაგან განსხვავებით, ფიგურიებს არა მხოლოდ ერთი ბაგრატ უფლისწული, თავისი ბიძის მიერ ჩიხის ერისთავად დანიშნული, რომელიც თითქოს ჯერ მოქლეს, შემდეგ კი „შთაგდეს ზღუასა“, არამედ დეგტერე “აფხაზთა” მეფის ერთაშემდეორი სე, რომელთაგან ერთი – „ერისთავი ჩიხისა“ ტინებ მოკლეულ იქნა, ხოლო მეორე – „უმრწევების დე დიმიტრისავე ბაგრატ მცირე პასაკითა... შთაგდეს ზღვასა შინა“.

ალბათ, ვახუშტი ბაგრატიონისა და მ. ბროსეს ეს განმარტებები გაითვალისწინა აკად. ს. ყაუხებიშვილმა, როდესაც „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ხელნაწერების კრიტიკული შეჯერების შედეგად დადგენილ ტექსტში პირდაპირ არ გადმოიტანა ასევე მის მიერ გამოცემული ანა დედოფლისეული ნუსხის რედაცია. ოუმცა მეცნიერმა, როგორც დავინახეთ, მაინც შეიკავა თავი „მატიანე ქართლისავ“-ს ტექსტის ვახუშტის ერეული ვარიანტის მიხედვით გამართვისაგან. შედეგად, მივიღეთ ახალი რედაცია, რომლიდანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთლად გარკვევით არ ჩანს, ნამდვილად იყო თუ არა ბაგრატ უფლისწული ერისთავი ჩიხისა“.

ეს კითხვა უასაუხოდ რჩებათ „მატიანე ქართლისავ“-ის რესულ ენაზე მთარგმნებებს. აი, როგორ თარგმნის, მაგალითად, მოცემულ ფრაგმენტს აკად. მ. ლორთქიანიძე: „В это время, выступил Гиорги, царь абхазов... захватил Картли и оставил эриставом в Чиха, сына Деметре, и, когда скончался Гиорги, царь абхазов, остался сын Деметре малолетним, которого звали Багратом и который известен изгнанием. А жена царя убила сына Деметре, эристава Чихи, обманула она Иване мтавара Шавлиани и бросили Баграта в море...“<sup>14</sup>. ე. მ. თარგმანის მიხედვით არ ჩანს მეაფიოდ ჩიხის ერისთავად მაინცდამაიც ბაგრატ უფლისწულის ყოფნა. ამასთან, მთარგმნელი გრძნობს, რომ აქ ყველაფერი რიგზე არ არის და საბიროდ მიიჩნევს, რამდენადმე ხიცხადე შეიტანოს ამ საკითხში. „Текст не совсем понятен: – ვკითხულობ მ. ლორთქიანიძის კომენტარში. – сын Деметре Баграт назван эриставом Чиха. Про него сказано, что он был убит и был изгнан.



В некоторых списках вместе с Багратом назван некий Тинен... Согласно Вахушвили, приставом в Чиха был назначен Тинен сын Деметре, которого убили, а Баграта, младшего сына того же Деметре, изгнали<sup>15</sup>. Многие фамилии имена и отчества в списке Чиха не соответствуют реальным фактам, но это не означает, что в списке не отражены реальные исторические события. Важно отметить, что в списке Чиха упоминаются имена и отчества, которые не встречаются в других источниках. Так, например, в списке Чиха упоминается имя Деметре, которое не встречается в других источниках.

В списке Чиха упоминаются имена и отчества, которые не встречаются в других источниках. Так, например, в списке Чиха упоминается имя Деметре, которое не встречается в других источниках. Важно отметить, что в списке Чиха упоминаются имена и отчества, которые не встречаются в других источниках. Так, например, в списке Чиха упоминается имя Деметре, которое не встречается в других источниках.

В списке Чиха упоминаются имена и отчества, которые не встречаются в других источниках. Так, например, в списке Чиха упоминается имя Деметре, которое не встречается в других источниках. Важно отметить, что в списке Чиха упоминаются имена и отчества, которые не встречаются в других источниках. Так, например, в списке Чиха упоминается имя Деметре, которое не встречается в других источниках.

В списке Чиха упоминаются имена и отчества, которые не встречаются в других источниках. Так, например, в списке Чиха упоминается имя Деметре, которое не встречается в других источниках. Важно отметить, что в списке Чиха упоминаются имена и отчества, которые не встречаются в других источниках. Так, например, в списке Чиха упоминается имя Деметре, которое не встречается в других источниках.

В списке Чиха упоминаются имена и отчества, которые не встречаются в других источниках. Так, например, в списке Чиха упоминается имя Деметре, которое не встречается в других источниках.

ამრიგად, როგორც ეხედავთ, მიუხედავად ვახუშტი ბატონიშვილისას და მისი ბროსეს, აგრეთვე ზოგიერთ თანამედროვე მკვლევართა (ზ. ანაბაძე, გ. წერებულება) მცდელობისა, „მატიანე ქართლისაა“-ს ცხობა გიორგი „აფხაზთა“ მეფის ქართლურულ ლების შემდეგ განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების შესახებ, ჩვენი აზრით, კვლავ გაუმართავი რჩება და წყაროს ქართულ<sup>23</sup> და რუსულ<sup>24</sup> ენებზე გამომცემლები უკრიტიკოდ იღებენ აյად. ს. ყაუხენიშვილის რედაქციას. ვითარების ასე დატოვება კი, ჩვენი აზრით, მთლად გამართლებული არ არის. ვფიქრობთ, არავითარი საფუძველი არ გავქვს, არ ვენდოთ „მატიანე ქართლისაა“-ს ჩვენთვის საინტერესო ადგილის ვახუშტი ბაგრატიონისა და მარი ბროსესულ წაითხოს და არ შევასროთ „მატიანის“ შესაბამისი ხაწყები იმ მასალით, რომელიც მათ ვარიანტში მოგვპოვდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ქართველი მემატიანის ალნიშვნელი ცნობის ტრადიციული ინტერეტაცია უნდა გადაისინჯოს და „მატიანე ქართლისაა“-ს ტექსტის ს. ყაუხენიშვილისულ ვარიანტში გარეკვეული კონიექტურა უნდა იქნეს შეტანილი. ამის გაეთვება მით უფრო საშურია დღეს, როდესაც, როგორც ცნობილია, გამოსაცემად მზადდება „ქართლის ცხოვრების“ კრებულის ახალი, კრიტიკულად დადგენილი ტექსტი.

აქვე წარმოვადგნოთ, ამ კონიექტურის ჩვენებულ სამუშაო ვარიანტს: „მას ქამხა გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, ძმი თეოდოსები და დემეტრების, ძე ლეონისი; დაიკყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დემეტრების ტიხებ. და ვითარ გარდაიცვალა გიორგი აფხაზთა მეფე, დარჩა (სხვა) ძე დემეტრები მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატ, რომელი იცნობების ექსორია-ქმილობით. და ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრები ტიხებ, ერისთავი ჩიხისა. და ეცრუა იგი იგანგ მთავარსა შავლიანსა, და შთავადგეს ბაგრატ ზღუასა. ხოლო ლეირომან განარინა ივი, და მითია ქალაქიდ კოსტანტინებოლევი“.

Зураб Папаскири

### КТО БЫЛ «ЭРИСТАВОМ В ЧИХА»

О целесообразности внесения одной конъектуры в текст „Матиане Картлиса“

В статье, на основе критического анализа данных некоторых списков „Картлис Цховреба“, а также сочинения царевича Вахушти, поднят вопрос о необходимости внесения определённой конъектуры в текст „Матиане Картлиса“. Речь идёт о фрагменте, в котором говорится о событиях в период царствования царя „абхазов“ Гиоргия I-го (861-868гг.) и непосредственно после его смерти; в частности, о том, как „Гиорги, царь абхазов, ... захватил Картли и оставил эриставом в Чиха сына Деметре и, когда скончался Гиорги, царь абхазов, остался сын Деметре малолетним, которого звали Багратом и который известен изгнанием. А жена царя убила сына Деметре, эристава Чихи, обманула она Иване мтавара Шавлиани и бросили Баграта в море...“ (Текст дан по редакции С. Каухчишвили в переводе М. Д. Лордкипанидзе. См.: „Матиане Картлиса“. Перевод, введение и комментарии *М. Д. Лордкипанидзе*. Тб., 1976, с. 31). Содержание данного сообщения не совсем понятно, так как из него не вполне ясно, кого именно назначил царь „абхазов“ эриставом в Чиха. В историографии (И.А. Джавахишвили, Н.А.

Бердзенишвили, М.Д. Лордкипанидзе и др.) предпочтение отдаётся варианту древнейших списков (Царицы Анны и Царицы Мариам), согласно которым эриставом в Чиха был назначен царевич Баграт. Однако, существуют списки (напр., список Мачабели), а также интерпретация царевича Вахушти и акад. М. Броссе, по которым выясняется, что эристава чихского звали Тинен (которого убили), а Баграт (которого бросили в море) был его младшим братом. Мы считаем уточнения царевича Вахушти и акад. М. Броссе вполне обоснованными и, исходя из этого, ставим вопрос о целесообразности внесения соответствующей конъюнктуры в текст „Матиане Картица“. Вместе с тем, предлагаем свой (рабочий) вариант конъюнктуры: „Гиорги, царь абхазов ... захватил Картли и оставил эриставом в Чиха, сына Деметре Тинен. И, когда скончался Гиорги, царь абхазов, остался (другой) сын Деметре малолетним, которого звали Багратом и который известен изгнанием. А жена царя убила сына Деметре Тинен, эристава Чихи. Сгорела она с мтаваром Иване Шавлиани, и бросили Баграта в море...“.

### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

- თავის დროზე, აქად. ი. ჯავახიშვილმა, მიიჩნია რა „მატიანე ქართლისავ“-ს ავტორი აღმოსავლეთ საქართველოს მევიძრად, დასკვნა, რომ ის ნაკლებად იქმნის ხახედული დასავლეთ საქართველოს ამბებში და მას „აფხაზეთის შესახებ... მხოლოდ სახოვგადო ცნობები“ გააჩნდა (ჯავახიშვილი ი., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. – წგნ.: ჯავახიშვილი ი., თხზულებაზო თორმებებ ტომად, ტ. VIII. თბ., 1977, გვ. 201-202). ეს თვალსაზრისი ფართოდაა გავრცელებული ისტორიოგრაფიაში (Габашвили В. Н., Историография Грузии XI- XVIII вв. – Очерки истории исторической науки СССР, т. I. М., 1955, გვ. 142; Лордкипанидзе М. Д., Введение. – წგნ.: „Матиане Картица“. Перевод, введение и комментарии Лордкипанидзе М. Д., Тб., 1976, გვ. 15, 17). მართალია, „მატიანე ქართლისავ“-ს ავტორი, ერთი შეხედვით, თითქოს ნამდვილად არ აღგვიწერს დასავლეთ საქართველოს მოვლენებს ისე დაწვრილებით, როგორც აღმოსავლეთ საქართველოსა და ტაო-კლარჯეთისას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის ნაკლებად გათვითცნობიერებულია ამ მიმართულებით, მით უფრო არა გვაქქს საფუძველი ამის გამო გვევი შევიტანოთ „აფხაზთა“ სამეფოს შესახებ მემატიინის მიერ მოწოდებული ცნობების სანდოობაში და დაგადანაშაულოთ ის ტერდენციურობაში, რასაც აქეთებს აქად. გ. მელიქიშვილი (იხ.: მელიქიშვილი გ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ., 1973, გვ. 9). თამამიად შეიძლება ითქვას, რომ „მატიანე ქართლისავ“-ს ქრონიკა არის ერთადერთი წერილობითი წყარო, რომელშიც თანმიმდევრულადაა გადმოცემული „აფხაზთა“ სამეფოს ისტორია (პაპას-ქირი ზ., ნარევევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკ. I. უძეველები დროიდან 1917 წლამდე თბ., 2004, გვ. 50). გარდა ამისა, მატიანეში საკუთრივ ქართლის ამბებზე აქცენტირება შეიძლება აიხსნას არა მხოლოდ მისი ავტორის გათვითცნობიერებით (ის საკმაოდ დრმად და საფუძვლიანად იცნობს სხვა ქართულ მხარეებსაც), არამედ იმითაც, რომ IX-X სს.-ში სწორედ ქართლის ირგვლივ განვითარებული მოვლენები მოექცა ყურადღების ცენტრში (Шулая Г.

В., Источниковедческие проблемы „Летописи Картли“. – წგნ.: *Летопись Картли. Перевод, введение и примечания Цулаги Г. В.*, Тб., 1982, გვ. 28; პაპასქირი ზურაბიშვილი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგრამარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 16-17).

2. ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: ცინცაძე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს). თბ., 1956, გვ. 22-37; ბერძენიშვილი ნ. რეცენზია ი. ცინცაძის სადოქტორო დისერტაციაზე – „ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVII სს)“. – წგნ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის ხაյთხები, ტ. V. თბ., 1971, გვ. 194-204; *Папаскири З. В.*, „Варанги“ грузинской „Летописи Картли“ и некоторые вопросы русско-грузинских контактов в XI веке. – „История СССР“, №3, 1981, გვ. 164-169; პაპასქირი ზ., ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა..., გვ. 179-193; გოგოლაძე დ., „მატიანე ქართლისას“ ცნობა „ვარანგთა“ შესახებ. – ქართული დიპლომატია, წელი წელი, ტ. 5. თბ., 1998, გვ. 275-298; გაჩნაძე ნ., ჰერიშვილი გ. საქართველოს ისტორიის ახალი პერიოდი. – *Dedicatio*. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი. თბ., 2001, გვ. 92-118.
3. ბატიანე ქართლისა. – ქართლის ცხოვრება. ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუჩხიშვილის მიერ. თბ., 1955, გვ. 258.
4. ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. დასაბეჭდად მოამზადა ფილოლოგის განყოფილებამ სიმონ ყაუჩხიშვილის რედაქციით. თბ., 1942, გვ. 164. ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.
5. ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლის ვარიანტი. ე. თაყაიშვილის გამოც. ტფ., 1906, გვ. 223-224. ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.
6. ჯავახეშვილი ი. ქართველი ერის ისტორია, ტ. II. თბ., 1965, გვ. 100.
7. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII. თბ., 1990, გვ. 354.
8. აქვე არ შეიძლება არ აღნიშნოთ, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილის შრომების VIII ტომის 1990 წლის გამოცემისათვის დართულ სახელთა საძიებელში „ბაგრატ დედემეტრესი“ განმარტებულია არა როგორც ჩიხის ერისთავი, არამედ „ჩიხის ერისთავის ძმა“. იხ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები.., გვ. 679. ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.
9. ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნეების თარგმნილი და გამოცემული დავაწლითა უ. ბროსე, წევრისა სამპერატორო აკადემიისა მეცნიერებათა. ნაწ. I. სანქტპეტერბურგს, 1849, გვ. 191-192 (ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.). ფაქტობრივად იგივე ტექსტი მეორდება მ. ბროსეს „ქართლის ცხოვრების“ აკად. ნ. მარის რედაქციით მომზადებულ გამოცემაში. იხ.: ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნეების გამოცემული დავაწლითა უ. ბროსე, წევრისა რუსეთის სამეცნიერო აკადემიისა. ნაწ. პირველი. გელმეორედ დაბეჭდილი აკადემიკოს ნიკო მარრის თვალმიდევნებით. პეტროგრადს, 1923, გვ. 191-192.
10. ბროსე მ., საქართველოს ისტორია. ორ ნაწილად. მეცენატი და მთავართა გერეალოგით და ხრონიკოგით. ნათარგმნი და განმარტებული სიმ. ღოლობერიძის მიერ. გამოცემული ნიკ. ღოლობერიძის მიერ. ტფ., 1895, გვ. 94 (ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.). იქვე მ. ბროსე წერს, რომ ბაგრატი იყო „ძმისწული აბხაზეთის მთავრისა“. ბროსე მ., საქართველოს ისტორია., გვ. 294. ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.
11. ბროსე მ., საქართველოს ისტორია., გვ. 294. ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.
12. ბატონიშვილი გახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუჩხიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 131. ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.

13. ბატონიშვილი გახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., გვ. 797. ხაზგასმა  
ჩვენია – ზ. პ.
14. Матиане Картлиса. Перевод, введение и комментарии *М. Д. Лордкипаниძэ..*, გვ. 31.
15. Матиане Картлиса. Перевод, введение и комментарии .., გვ. 72. ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.
16. ლორთქიფანიძე მ., ქართული ფეოდალური მონარქიის ჰექტა. – საქართველოს ის-  
ტორიის ნარკეცვადი, ტ. II. თბ., 1973, გვ. 517. ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ. იგივე აზრია გა-  
ტარებული ამ ნაშრომის რესულ გამოცემაშიც. იხ.: *Лордкипаниძэ М. Д., Образование*  
*грузинской феодальной монархии.* – წაგ.: *Очерки истории Грузии*, т. II. Тб., 1988, გვ. 358.
17. Летопись Картли. Перевод, введение и примечания *Г. В. Цулая..*, გვ. 50.
18. Цулая Г. В., Абхазия и абхазы в контексте истории Грузии. (Домонгольский период).  
*Краткие очерки.* М., 1995, გვ. 74. ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.
19. Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии. Сухуми, 1959, გვ. 123.
20. Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии.., გვ. 123. ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.
21. ბახტაძე მ., ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ., 2003, გვ. 127. აღსა-  
ნიშნავია, რომ მ. ბახტაძეს რამდენადმე არასწორად აქვს გადმოცემული ზ. ანხა-  
ბაძის თვალსაზრისის მოცემულ საკითხზე. მისი განმარტებით ისე გამოდის, თით-  
ქოს ზ. ანხაბაძეს გიორგი I-ის მიერ ქართლში დანიშნულ ერისთავად (მ. ლორ-  
თქიფანიძის მსგავსად) ბაგრატი მიაჩნია (ბახტაძე მ., ერისთავობის ინსტიტუტი  
საქართველოში.., გვ. 126).
22. გლოველი შ., აფხაზთა სამეფო. დისერტაცია ისტორიის მუცნიერებათა კანდიდა-  
ტის სამეცნიერო ხარისხის მთხამოვებლად (ხელნაწერის „უფლებით). თბ., 2004,  
გვ. 77. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ პირველად ოფიციალურად ამ საკითხზე  
უკრადგადა გავამახვილეთ სწორედ შ. გლოველის საკანდიდატო დისერტაციის  
ორონირებისას. იხ.: პაპასქირი ზ., საინტერესო ნაშრომი „აფხაზთა“ სამეფოს ის-  
ტორიაზე. – ხაისტორიით ძეგანა. წლიწლდებული, VII. თბ., 2004, გვ. 318-320.
23. ასე მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ იღ. ანთველავასა და ხ. შოშაშვილის  
მიერ მომზადებულ გამოცემაში „უცლელადაა გადმოტნილი ხ. ყაუხესიშვილის  
ვარიანტი: „მას უმას გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, მა თეოდოსეს და  
დემეტრეს, ძე ლეონისი; დაიკურა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე  
დემეტრეს, და ვიხარ გარდაიცვალა გიორგი აფხაზთა მეფე, დარჩა ძე დემეტ-  
რესი მცირე, რომელსაც ერქვა ბაგრატ, რომელი იცნობების ექსორიაქმნილობით  
და ცოლმან გიორგი მეფისამან მოქლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა. და ეტ-  
რუა ივი ივანე მთავარსა შავლიანსა, და შთავაგდეს ბაგრატ ზღვასა. ხოლო  
დემეტრმან განარინა ივი, და მიწა ქალაქდ კოსტანტინებოლოვდა“. იხ.: *ქართლის*  
*ცხოვრება. გამოსაცემად მომზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება*  
*დაურთეს აკადემიკოსებმა იღ. ანთველავაშ და ხ. შოშაშვილმა.* თბ., 1996, გვ. 208.
24. ასევე უკრიტიკოდ და უკომენტარირდა გადატანილი ხ. ყაუხესიშვილის რედაქცია  
ცხობილი აფხაზი ისტორიოგისის გ. ამინბას წიგნში (იხ.: *Абхазия и абхазы средне-  
вековых грузинских повествовательных источников. Грузинские тексты на русский язык*  
перевел, предисловием и примечаниями снабдил Г. А. Амичба. Тб., 1988, გვ. 59.), თუმ-  
ცა ეს უკანასნებლი ქარგად იცნობს „მატიანე ქართლისა“-ს ამ ცხობის გახუშტი  
ბაგრონიშვილისეულ ერქვისა და გამოქვეყნებულიც კი აქვს ის იმავე წიგნში (*ა-  
ხაზია ი აბხაზი სредневековых грузинских повествовательных источников..*, გვ. 130-131).

## შერვაზიძეთა გვარის წარმოშობის შესახებ

თავადი შერვაზიძეების გვარი (ადრინდელი ფორმა: შარვაზის ძე, შარვაზიძე, აფხაზურად: ჩაჩბა, აჩაჩბა) ერთ-ერთი ყველაზე ძველია საქართველოსა და მთლიანად ქავებისაში. ჯერ კიდევ XII ს-ში ამ საგვარეულოს წარმომადგენლებს ცხეუმის ერის-თავთა მაღალი თანამდებობა ეკავათ. ეს ფაქტი, როგორც ცნობილია, დადასტურებულია თამარის პირველი ისტორიულის თხეულებაში, სადაც 1180-იანი წლების შეაძლიოდის აღწერისას, ცხეუმის ერისთავად მოიხსენიება ოთავო შარვაზის ძე<sup>1</sup>.

სამწუხაროდ, შერვაზიძეთა უმჯელესი საგვარეულო დოკუმენტები არ შემონახულა, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ამ უკოდალური სახლის წარმოშობისა და აფხაზურთში გაბატონების დროისა და პირობების გარკვევას. ისტორიოგრაფიაში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოიტევს არა ერთი პიორტება (მგრძნოდად ერთმანეთის გამომრიცხავი), თუმცა ამ პიორტებათა ავტორების უმრავლესობა მაინც გაკვრით შეეხო პრობლემას. როგორც პირველი სპეციალური გამოკვლევა შერვაზიძეთა გვარის წარმოშობის შესახებ, შეიძლება დავასახელოთ ზურაბ ანჩაბაძის მონოგრაფიის – “Из истории средневековой Абхазии” – ერთ-ერთი ქვეთავი – “К вопросу о происхождении феодального рода Шервашидзе (Чачба)”, რომელიც მთლიანად აღნიშნულ საკითხს ედლენება<sup>2</sup>.

როგორც აღნიშნეთ, შერვაზიძეთა საგვარეულოს უკოდალური აფხაზეთის სათავეში მოქცევის ამსახველი წერილობითი წყაროები არ შემონახულა, მაგრამ არსებობს ზეპირი ტრადიცია, რომელიც ამ ამბავს დავით აღმაშენებელის ვაოქას უკავშირებს. კერძოდ, ამ გადმოცემის მიხედვით, დავით მეფემ აფხაზეთის სათავეში შარვანელი უფლისწული დააყენა, რომლის შთამომაგლები არიან აფხაზეთის შემდეგდორი ინდელი მთავრები – შერვაზიძეები.

ამ თქმულებიდან გამომდინარე, დ. გულია შერვაზიძეებს შარვანშაპის საგვარეულოდან წარმომდგარ მთავრებს უწოდებდა («князья из рода потомков Ширван-Шаха»). მართლაც XII-XIII სს-ის ქართულ წერილობით წყაროებში დადასტურებული უძველესი ფორმა ამ გვარის სახელისა – შარვაზის ძე – სიტყვასიტყვით შარვანშაპის (შარვაზაშა) ძეს ნიშავნებს<sup>3</sup>. შარვანის სამეფო, როგორც ცნობილია, მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან როგორც პოლიტიკურად (შარვანშაპი დაახლოებით 100 წლის განმავლობაში აღიარებდნენ საქართველოს მეფეთა უსტანებობას), ასევე ეულ-ტურულ-ეკონომიკური თვალსაზრისით. ამიტომ ასეთი სახელის ტარება საქართველოს ერთ-ერთი უწარინებულების უკოდალური გვარის მიერ, არ შეიძლება შემთხვევით ყოფილიყო და მიუთითებს ცხეუმის ერისთავთა კაქშირს შარვანის შმართველინასტათან.

შერვაზიძეთა შირვანშაპებისაგან წარმოშობის ვერსიას არაერთი იზიარებს<sup>4</sup>. ამ ვერსიისაკენ იხრება აგრეთვე ზ. ა. აჩაბაძე, თუმცა იგი თავს იკავებს ამის ქატეგორიული მტკიცებისაგან.

შერვაზიძეთა წარმომაგლობის შესახებ არსებობს შემორჩენილი მოსახრებაც. კერძოდ, აკად. ნ. ბერძენიშვილმა დასაშვებად მიიჩნია, რომ ამ გვარსახელის, უფრო ზუსტად, მისი აფხაზური ფორმის, ჩაჩბას, სახელნაცვალი იყოს XI ს-ის მხედართმთავრის – ქუაბულების ჭაჭას ძე როთავოს სახელი, რომელიც 1045 წ. ანაკოფიის აღყის დროს მეთაურობდა ქართული დაშქრის აფხაზურ კონტინგენებს<sup>5</sup>. ამ ვერსი-



ის სასარგებლოდ თითქოს მეტყველებს როგორც გარევაული ფონეტიკური მსჯავრებლები მომებს შორის – ჭაჭას ძე და ჩაბბა, ასევე ის, რომ ანაკოფიასთან მდგარი ჰქონასული რი რაზმების სარდალი ატარებდა იმავე სახელს, ოთადოს, რასაც ზემოსხენებული ცხემის ერისთავი – შარვაშის ძე (როგორც ცნობილია, ფეოდალურ გვარებში თაობიდან თაობაში ხშირად მეორდებოდა ერთი და იგივე სახელი). მაგრამ ასეთ შემთხვევაში გაუგებარია რატომ იხმარა მექატიანებ ფორმა ჭაჭას ძე და არა ჩაბბას ძე, რაც აფხაზური ჩაბბას უფრო ზუსტი “გადმოქართულება” იქნებოდა. გარდა ამისა, იბადება კითხვა, საიდან გაუწინდათ ჩაბბებს ახალი გვარსახელი – “შარვაშის ძე”, რომელიც ასე ღიად მიუთობდს შარვანზე.

6. ბერძნიშვილის პიპოტეზა ჭაჭას ძისა და ჩაბბას შორის გენეალოგიური კავშირის შესახებ, ბოლო დროს გ. წულადიამ გაიზიარა. მისი აზრით: “შარვაშის ტიტული საგვებით შეიძლებოდა საფუძვლად დადებოდა მეორე გვარს და ბოძებოდა ჭაჭას ძეთა რომელიმე <...> წარმომადგენელს”<sup>6</sup>, მაგრამ ავტორი აღარ ხსნის, როგორ უნდა მიყოლ აფხაზ ფეოდალს შარვანის მმართველის ტიტული.

ამიტომ ოთადო ჭაჭას ძისაგან შერვაშიძეთა გვარის წარმოშობის კატეგორიული მტყიცება არ შეიძლება, თუმცა ეს ვერსია შეიძლება განვიხილოთ როგორც ამ საკითხთან დაკავშირებული ერთ-ერთი საფურადლებო პიპოტეზა.

ნაკლებად სარწმუნო ჩანს აკად. 6. მარის მახვილოვნივრული, მაგრამ ყოველგვარ მტყიცებულებას მოკლებული მოსაზრება, თითქოს შერვაშიძეთა გვარი დაკავშირებულია “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში” მოხსენიებულ ბაგრატ შაროვალ ხელმწიფოვანთან (IX ს.). მკლევერის ვარაუდით, გვარსახელი “შაროელი”, განურჩევლად იმისა იგი საგვარეულო სახელიდან წარმოდგება თუ გეოგრაფიულიდან, შუალედური მეგრული ფორმის – შაროშას მეშვეობით, აფხაზური ენისათვის დამახასითებელი “ო” ბერის “ვა”-დ გარდაქმნისა და ქართული “ძი”-ს დამატებით, შეიძლებოდა “შარვაშიძელი” გადაქცეულიყო<sup>7</sup>.

არაფრით არ არის გამაგრებული აგრეთვე თ. გვანცველაძის ვარაუდი, თითქოს შარვაშიძის გვარს საფუძვლად ედოს სენატური მამაკაცის სახელი შევერზ.

შერვაშიძეთა სუფთა აფხაზური წარმოშობისაკენ იხტებოდა ისტორიკოსი კ. კუდრიავცევი. ფონეტიკური მსგავსებიდან გამომდინარე, მან ივარაუდა ჩაბბა-შერვაშიძების წარმოშობა გერბის გვარიდან, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე წარჩინებული იყო ჯიქეთში<sup>8</sup>. გაჩების სამფლობელო მდ. ფსოუს შესართავთან მდგრავობდა.

ამავე ავტორს ეკუთვნის მეორე პიპოტეზაც შერვაშიძების წარმოშობის შესახებ. კერძოდ, მან დასაშვებად ჩათვალა, რომ ჩაბბა-შერვაშიძე გენეტიკურად აჩა-ანჩაბაძის მონათესავეა და ეს ორივე გვარი მომდინარეობს VIII-X სს-ის აფხაზთა სამეფო დინასტიის სხვადასხვა შტოებიდან<sup>10</sup>.

ვერსიას ანჩაბაძებისა და შერვაშიძების ნათესაობის შესახებ თითქოს ზოგიერთი ჩრდილოკავკასიური გადმოცემაც ამაგრებს. მაგალითად, ჩერქეზული ლეგენდის თანახმად, დასახლეთ ადიდური ტომების აზნაურული გვარები არიან ორი ძმის ჩამომავლები, რომელთა სახელები იყო აჩე და ჩაჩუ<sup>11</sup>. ამ ლეგენდამ არ შეიძლება არ გაგვახსენოს აფხაზეთის ორი ფეოდალური გვარი – აჩა და ჩაბბა. უკვემდია, მათგან მოდის, აგრეთვე, პირიქითელი აფხაზების (აბაზების) ლეგენდარული შთავერების სახელები – აშე და შაშე, რომლებიც იხსენიებიან XIX ს-ის ყაბარდოელი განმანათლებლის შორა ნოგმოვის თხზულებაში – «История адыгейского народа», რომელიც ყაბარდოელთა ისტორიულ გადმოცემებზე აგებული<sup>12</sup>.



როგორც ჩანს, ლეგენდები აჩესა და ჩაჩეს შესახებ ჩრდილოკავკასიური სამართლებულების უზარესი აფხაზეთის გავლენით, სადაც აჩა და ჩაჩინა უზარესი ნებულეს გვარებს წარმოადგენდნენ. ამასთან აღსანიშნავა, რომ აპაზები ისტორიული აფხაზეთიდან არიან გადასულები ჩრდილო ქავკასიაში XIII ს-ის შემდგე, დასავლეთ აღილურ (კვახურ) ტომებში კი (აბაბახები, შაფულები, ბზადულები და სხვ) გვიანი შუა საუკუნეების მანილზე ბევრი აფხაზური ელემენტი გაითქვიფა. შესაძლოა, ამ ხალხების სოციალური ზედაფენა თანამეტომეთა შორის საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ამაღლების მიზნით თხზავდა ლეგენდებს თავისი წარმოშობის შესახებ ძველი და სახელდებული გვარებიდან. ამის მაგალითები მრავლად გხევდება ფერდალური სახლების გენელოგიაში. მაგრამ ამ გადმოცემათა სრული იგნორირებაც არ შეიძლება. მაგალითად, ცნობილია, რომ ჩრდილო-დასავლეთ ქავკასიის ზოგი ფერდალური საგარეულო გენტიკურად უკავშირდება აფხაზურ გვარებს – აჩას, მარშანს, მაანს და სხვ.

ზ. ანჩაბაძის აზრით, „შერვაშიძეთა გვარის სუფთა აფხაზურ წარმოშობაში შეიძლება ეჭვი შევიტანოთ შემდეგი მოსაზრებების გამო: აფხაზური თავად-აზნაურული გვარების ქართული ფორმები, როგორც წესი, უშუალოდ სათანადო აფხაზური გვარებიდან არის ნაწარმოები. მაგალითთავდ: მარშანია – ამარშან, ინალიშვილი – ინალიშვა, ანჩაბაძე – აჩა, ძიაფშიშვილი – ძიაფშივა, მარლანია – მაანი და ა.შ. რაც შეეხება შერვაშიძის გვარს, იგი ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგვნს. ამ გვარის აფხაზურ ფორმას (აჩაბაძა-ჩაბაძა) არაფერი საერთო არა აქვს მის ქართულ ფორმასთან – შარვაშიძე. სამაგიეროდ, იგი მჭიდროდ დაკავშირდებული ჩანს გვარსახელთან აჩა: აჩა – აჩაბაძა“<sup>13</sup>.

შემდეგ ზ. ანჩაბაძე იხსენებს XIX ს-ის ერთი რესი ავტორის ცნობას, რომელ შიც ნათქვამია, რომ აფხაზთა მტკიცებით, მათ ენაზე აჩა ნიშნავს „მთავარს“, ხოლო ჩაბაძა – „მთავართა მთავარს“<sup>14</sup> და წერს: „აქვდან გამომდინარე ხალხური წარმოდგენა „ჩაბაძაზე“, როგორც „მთავართა მთავარსზე“ შეიძლება ასე იხსენას. საგვარეულო სახელს აჩა, ვინაიდან მისი წარმომადგენლები (ხალხური გადმოცემით) პირველობდნენ აფხაზეთში, დროთა განმავლობაში შეეძლო მიეღო „მთავარის“ ტოლდასი ტიტულის მნიშვნელობა. ამის მაგალითები ცნობილია ფერდალური საქართველოს ისტორიაში: სამეგრელოს მთავრების დადიანების გვარი აღიმებოდა როგორც ტიტული – დადიანი (შდრ. ისტორიული წყაროს გამოთქმა: „ნადირობასა შინა ხრომან ირმისამან წარიტაცა დადიანი მანუჩარ და მოკლა იგი <...> და დასუებს ძე მისი ლევან დადიანად“<sup>15</sup>). იგივე მოხდა გვარსახელი გურიელთან დაკავშირებით. სავსებით დასაშვებია, რომ გვარსახელი აჩაც აფხაზეთში აღქმულიყო როგორც მთავრის ტიტული. კონკრეტულად ეს შეიძლება გამოსახულიყო დამატების გაჩქნით გვარის ფუძეზე „აჩ“, რის შედეგად მიეიღეთ ფორმა აჩ-აჩა (ჩაბაძა), სადაც „ბა“ არის მედერი ფორმა სიტყვისა „ა-ფა“ – „ძე“. (მსგავსი ფორმა, მაგალითად, შეესაბამება ქართულ სიტყვას „ერის-თავთ-ერისთავი“). გამორიცხული არ არის, რომ ასე მომხდარიყო აფხაზეთში ახალი (და, შეიძლება, არააფხაზური) გვარის ერისთავის დაჯდომის შემდეგ“<sup>16</sup>.

აფხაზურ ზეპირსიტყვიერებაში მჭიდრო კავშირი კლინდება აჩასა და ჩაბაძს საგვარეულოებს შორის. ეს ფაქტი განიორობებული უნდა იყოს იმ როლით, რომელ საც ეს გვარები ასრულებდნენ ქვეყნის ისტორიაში. მაგალითთავდ, აფხაზი „გურულები“ ტრადიციული ლოცვების დროს მსხვერპლშეწირვის ცერემონიას შემდეგი სიტყვებით ამთავრებდნენ: „ღმერთო, შეგვიწყალე და გვისხვ ბოროტისაგან, მოგვინე მადლი შენი, მიეც ნაყოფიერება მიწას, რათა ჩვენ, ჩვენი ცოლ-შვილით, დაზღვეულნი ვიყოთ




ჰიმშილის, სიცივისა და ყოველგვარი უბედურებისაგან, მანამდე, სანამ გულ-ლემდებული ამ ნაჭრებითა და ამ ღვინით მე ყველა აჩასა და ჩაჩას არ დაგაპურებ”<sup>17</sup>. სწოლით აფხაზოლოგურ ლიტერატურაში არ არსებობს დამაჯვრებელი განმარტება იმის შესახებ, თუ რაში უნდა მდგომარეობდეს ზემომოყვანილი სალოცავი ტექსტის უკანასკნელი ნაწილის არსი, თუმცა ამ ფორმულაში აჩების პირველ ადგილზე მოხსენიებას ხსნიან იმითი, რომ პირველობა ქვეყნის მართვაში უფრო ადრე მათ ეკუთხნდათ<sup>18</sup>. ეკრძოლ, ადრეული შეუსაუკუნების აფხაზთა სამეფოსთან დაკავშირებულ ბუნდოვან მოგონებებში, რომლებიც ერთიანდებიან აფხაზთა მეფის – აფხასებ – შესხებ არსებული თქმულებების ცილში, პირველ ადგილზე აჩას გვარი იკვეთება. ერთი ვერსიით აფხასებ თვითონ იყო აჩა, მეორე ვერსიით კი – აფხასებ უცხოელი იყო, რომელიც იძულებული გახდა თავისი სამფლობელოები ჩრდილო კავკასიიდან გადმოსული აჩებისათვის დაეთმო<sup>19</sup>. რაც შეეხება ჩაჩების (შერვაშიძეების) გვარს, ამ ლეგენდებით მათი წინაპარი აფხაზეთში აჩების მმართველობის დროს მოვიდა<sup>20</sup>. ამიტომ აფხაზური ზეპირგადმოცემების ერთსულოვანი მტკიცებით, აფხაზეთის უძველესი გამგებლები აჩები იყვნენ, რომლებიც შემდეგ ხანგბში ჩაჩებმა შეცვალეს. არსებობს ანდაზაც: ჯერ აჩა ახსენე და შემდეგ ჩაჩაო<sup>21</sup>.

ამ მონაცემებიდან გამომდინარე ზოგი მეცნიერი ვარაუდობს, რომ VIII-X სა-ის აფხაზთა მეფეები აჩათა საგვარეულოდან იყვნენ<sup>22</sup>, რომლის გევრდითი შტო, როგორც ჩანს, გარკვეული პერიოდი აგრძელებდა საკუთრივ აფხაზეთის მართვას (უკვე ერთისთვათ რანგში) გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფეების დროსაც<sup>23</sup>.

წერილობით წყაროებში არ შემონახულა ცნობები იმის შესახებ თუ როდის და რა პირობებში მოხდა აფხაზეთში უზენაესი ხელისუფლების გადასვლა ჩაჩა-შერვაშიეთა ხელში. ცხადია, მხოლოდ, რომ ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყ 978 წლის უფრო ადრე, როდესაც დამთავრდა “ლეონიდების” მმართველობის ხანა<sup>24</sup>, და XII ს-ის 80-იან წლებშე უფრო გვიან, როდესაც “ქართლის ცხოვრებაში” უკვე მოიხსენიება ერთისთვის ოთაღო შარვაშისძე. ბუნდოვანი გადმოცემები გაბატონებული დინასტიის შეცვლის შესახებ შემონახა მხოლოდ ზეპირმა ტრადიციამ. მაგალითად, ს. ჯანაშიამ 1929 წლის ჩრდილო კავკასიაში, ადიღეს ავტონომიურ ლექში მცხოვრები აბაზებისაგან ჩაიწერა უკვე საქმაოდ დამახინჯებული გადმოცემა აჩებსა და ჩაჩებს შორის მომხდარი ბრძოლის შესახებ, რომლის აზრი მიახლოებით ასეთია: “აჩები წაიკიდნენ და ჩაჩები აიშალნენ”<sup>25</sup>. მეცნიერის ვარაუდით, ეს და სხვა ფაქტები საგულვებულს ხდიან, რომ ჩაჩებზე ადრე “შარვაშიძეობა” ანჩაბაძეთა საგვარეულოს ხელში უნდა ყოფილიყო<sup>26</sup>.

ერთი აფხაზური თქმულება მოგვითხოვობს, რომ აჩების მმართველობა აფხაზეთში დესპოტურ ხასიათს ატარებდა. ისინი ქვემერდომებს მონებად ჟყიდდენ, რამაც მათ წინამდებვე ხალხი ააჯანყა. აჯანყებულებმა ირანის შაპს მიმართეს დახმარებისათვის, რომელმაც მათ წინამდებლად კინე შაპ-შარუნი გამოუგზავნა. შაპ-შარუნის ისე შეუყვარდა აფხაზეთი, რომ სამუდამოდ აქ დარჩენა გადაწყვიტა. მან და მისმა შთამომავლებმა მიიღეს გვარი ჩაჩა (ყოფილი მმართველი დინასტიის – აჩას – ანალოგით). ჩაჩებს პირველად ბზიფელები მიემსრნენ და დასავლეთ აფხაზეთში აღიარეს მთავრებად, აბეულთა თემები კი (აღმოსავლეთ აფხაზეთში) დიდხანს არ ცნობდნენ ჩაჩებს და ისევ თავის ძეველ ბატონებს გმორჩილებოდნენ<sup>27</sup>.

ეს გადმოცემა, რომელიც შ. ინალ-იუამ ჩაიწერა 1966 წ. სოფ. არადუში (ოჩამჩირის რ-ნი) 90 წლის გლეხისაგან, ნაწილობრივ მოგვაგონებებს ბიზანტიიდან ისტორიკოსის, პროკოპი კესარიელის (VI ს.) მოთხოვნას იმის შესახებ, თუ როგორ აუჯანყდნენ



აბაზები საკუთარ მეფეებს, რომლებიც ქვეშევრდომებს მონებად პყიდვენენ კონსტანტინოპოლის მაგრამ პროკოპის თხულებამ კიდეც თუ მოახდინა რაიმე განკუთხანა უნიკანი ფორმატორის მონათხრობებზე, მანც საფუძველს მოკლებულია, რომ გადმოცვამა მთლიანად ლიტერატურული წყაროდან წარმოშობილად ჩაეთვალით. შევი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე ტყვის სყიდვას, რომელშიც ადგილობრივი სოციალური ზედაფენის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, ადგილი ჰქონდა უძველესი დროიდან XIX ს-მდე. ინტერესმოქლებული არ უნდა იყოს ის გარემოებაც, თითქოს “შპ-შარუნა” და მისმა შთამომავლებმა პირველად ბზიფის აფხაზეთში მოიკიდეს ფეხი. ეს ცნობა სხვა გადმოცემებს ებმიანება, რომელთა მიხედვით ჩაბას გვარის უფეხმდებულმა, რომელიც აფხაზეთში ანგების მმართველობის დროს მოსულა, მთავრისაგან და სასახლებდლად მიწა მიიღო მდ. ბზიფის რაიონში<sup>28</sup>.

გარდა ამისა, ზემოგანხილული გადმოცემა პირდაპირ უკავშირდება ლუგანდის ჩაბა-შერვაშძეთა გვარის წარმოშობის შესახებ შარვანშავების სახლიდან (“შპ-შარუნი”). მაგრამ იმ ხანებში, როდესაც შერვაშიძეთა აფხაზეთში დაფუქნება იგულისხმება (978-1185 წლებს შორის), დასავლეთ საქართველოს საქმეებზე არავითარი გავლენა არ ჰქონია არც ირანს და არც სხვა რომელიმე აღმოსავლურ ქვეყანას. აფხაზეთი ერთიანი საქართველოს საქავოს შემადგენლობაში შედიოდა, რომლის ხელმწიფები, რომლებიც აფხაზთა და ქართველთა მეფის ტიტულს აღარებდნენ, საკმაოდ ძლიერნი იყვნენ იმისათვის, რომ თავის სამფლობელოებში არ დაუშვათ სხვათა მიერ დაუქნებული მმართველები. ამიტომ ზემოსხენებული დეკონდა თუ მართლაც რამე ისტორიული ფაქტის გამოძახილია, რაც სკეპტიკ დასაშებად მიგვაჩნია, უნდა ვიფიქროთ, რომ ხელმწიფე რომელმაც აფხაზეთის მმართველად შარვანელი უფლისწული დააყენა, ქართველ ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელი იყო.

საქართველოს ისტორიაში ასეთი მეფის როლს ყველაზე მეტად დავით აღმაშენებელი ესადაგება, რომელსაც მტკიცე ხელით შექმლო არა მარტო ურჩი ერისთავების გადაყენება, არამედ რამოღენიმე სახელმწიფოც კი გააუქმა, კერძოდ, ქახეთ-ჟერვის სახელი (1103), ლორეტაშირის სამეცო (1118), ანისის სამირო (1124), შარვანშავათა სახელმწიფო (1124), ხოლო მათი ტერიტორია თავის სამფლობელოებს შემოუერთა.

თუ პირველი შერვაშიძე აფხაზეთის მმართველად მართლაც დავითის დაუქნებულია, სავარაუდოა, რომ ეს მოხდა მისი მეფობის ბოლო წლებში. ან 1120/1121 წლის ზამთარში, როდესაც შარვანის მორბევის შემდეგ დავით მეფე “ჩავიდა აფხაზეთს ბიჭვნებამდე და განაგნა საქმენი მანდაურნი: დირსხი წყალობისანი შეიწყალნა, შექცოდენი დაიპყრინა და წუარონა”<sup>29</sup>; ან კი 1124 წელს, დავითის მიერ მოელი შარვანის შემოურთების შემდევ<sup>30</sup>.

შესაძლოა, 1120 წელს აფხაზეთში ადგილი ჰქონდა ფეოდალთა ნაწილის გამოსვლას დავით IV-ის ცენტრალიზაციური პოლიტიკის წინააღმდეგ. გამოსვლის ჩაბშობის შემდეგ მეფემ შევცალა ძველი მმართველი საგარეულო (აბა-ანჩაბაძე?), რომელიც ათასი “ძაფით” იყო დაკავშირებული სხვა აფხაზ აზნაურებთან, და ერისთავად დანიშნული შარვანის “სახლის” წარმომადგენელი, რომელიც გვარიშვილობით არ ჩამოუვარდებოდა ძველ მმართველს, მაგრამ როგორც შორეული კასპიისპირეთიდან გამოსულს, არ ექნებოდა მტკიცე კაფშირები აფხაზეთის ფეოდალურ კლასთან. ადგილობრივ დასაყრდენს მოკლებული ერისთავი პირველ ხანებში მაინც მთლიანად მეფეზე იქნებოდა დამოკიდებული. გარდა ამისა, შარვანული არის ტორეატიის სამსახურში მიღებით დავითი, შესაძლოა, შარვანში ქართული გავლენის გაძლიერებასაც უწყობდა ხელს. ეს ამოცანა განსაკუთრებით აქტუალური უნდა გამხდარიყო 1124 წლისათ-



ეს, როდესაც შარვანის შემოერთების შემდეგ, იქაური ქისრანიდების<sup>31</sup> მმართველი დინასტია “უტახტოდ” დარჩა<sup>32</sup>. სავარაუდოა, რომ დავითს არ სურდა (ან, აუკრძალულ) მთლიანად ჩამოცილებინა პოლიტიკური ძალაუფლებისაგან ქისრანიდები, რომლებითაც მას ნათესაური ძაფები აკავშირებდა (მეცნის ერთ-ერთი ქალიშვილი შარვანშავ მანუჩარ II-ის მეუღლე იყო), და ამიტომ ერთ-ერთი მათგანი აფხაზეთის ერისთავად დასჭა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, შერვაშიძეთა შარვანული წარმოშობის ვერსია საკმარი დამაჯერებლად გამოიყერება.

აფხაზეთის ფეოდალური საზოგადოების სათავეში მოსული შერვაშიძეები მალე ეთნიურადაც გააფხაზდნენ, რისი ერთ-ერთი გამოხატულება გახდა მათი გვარის ადგილობრივი ფორმა – ჩაჩბა (აჩაჩბა). გარდა ამისა, ამ ფაქტზე უნდა მიანიშნებდეს აგრეთვე “ქართლის ცხოვრებაში” დაცული სიძველით მეორე ცნობა შერვაშიძეთა შესახებ, სადაც ამ გვარის წარმომადგენელი უკვე პირდაპირ აფხაზად არის წოდებული. მეცნიერებლები გვაძეს “გამთააღმწერლის” სიტყვები: “შარვაშის ძე აფხაზი, სახელით დარდინ”, როგორც ცნობილია, 1243 წლის ამბებს ეხება<sup>33</sup>. მემატიანის მიერ ამ ისტორიული პიროვნების აფხაზად მოხსენიება და საქუთარი სახელი “დარდინ”, რაც ალბათ ვარიანტია ძველი აფხაზური სახელისა – დადაუნ, იმისი მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ შერვაშიძეები ამ დროისათვის უკვე გააფხაზებულნი არიან.

ამასთან, როგორც სამართლიანად შენიშვნაეს ზ. ანჩაბაძე, “თავისი სოციალური იურიო შერვაშიძეთა ფეოდალური გვარი, იმ პერიოდის ზოგი სხვა აფხაზური აზნაურული გვარის მსგავსად, საქართველოს სამეფოს ფეოდალური კლასის ნაწილს წარმოადგენდა, და ამ მხრივ დოთადოდ შერვაშიძე (ცხემის ერისთავი. – გ. ა.) არსებოთად არაფრით განირჩევა მის გვერდით დასახელებული ბარამ გარდანისმის, კახაბურის, ამანელისმისა და ბედიანისაგან. ოუმცა ეს გარემოება სულაც არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ აფხაზეთში დამკეიდრების შემდეგ, მაღლე, შერვაშიძეები ისეთივე აფხაზი ფეოდალები გახდნენ, როგორებიც იყვნენ ვარდანისძეები სვანი, ხოლო ბედიანები მეგრელი ფეოდალები”<sup>34</sup>.

დასასრულს, თუ გავითიარებთ შერვაშიძეთა შარვანიდან გამოსვლის ვერსიას, ინტერესმოკლებული არ იქნება თვალი გავადევნოთ შარვანშაპთა წარმოშობასაც.

როგორც დადგენილია, IX-XVI სა-ის შარვანშპთა დინასტიური ხაზები (იაზიდი-დები/მაზიადიდები, ქისრანიდები, დერბენდი) გენეალოგიურად მომდინარეობენ ამიერ-კავკასიაში ბალდადის ხალიფათა ნაცვლების – იაზიდიდებისაგან<sup>35</sup>. სახალიფოს დასუსტების შემდეგ იაზიდიდები უკვე დამოუკიდებლად მართავდნენ აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიას, 861 წელს კი მათ მიიღეს ძველი ადგილობრივი ტიტული “შარვანშაპი”. ამიერ-კავკასიაში ამ გენეალოგიური შტოს დამარსებელია მამაცი სარდალი იაზიდ იბნ მაზიადი (VIII ს-ის მეორე ნახევარი), რომელიც ჩრდილოარაბული ტომის შარბანის წარჩინებული გვარის წარმომადგენელი იყო<sup>36</sup>.

## ORIGIN OF THE FAMILY OF SHERVASHIDZE

In the 12th century the representatives of the feudal family of the Shervashidze (the ancient form: *Sharvashidze*, in Abkhazian: *Chachba, Achachba*) already had the position of Tskum (modern Sokhumi) Eristavi (ruler) in the Georgian Kingdom and had almost the whole Abkhazia in subordination.

The ancient family documents of the Shervashidze are not preserved and therefore it's difficult to determine the sources of the family origin. However, according to the historical legend that has reached us – the advancement of this clan is closely connected with the Georgian King David IV (1089-1125). In particular, the legend says that King David put at the head of Abkhazia the prince from the House of Shirvanshahs ruling over Shirvan – the region in the north-east of the present Azerbaijan. The descendants of this prince are Shervashidze, sovereign princes of Abkhazia. Indeed, the clan name (Shervashidze), found in Georgian literary texts of the XII-XIII centuries, is the early form of this surname and the later forms – “Sharvashidze”, “Shervashidze” arise from it. The name literally means “The son of Shirvanshah”. Shirvan was closely connected with Georgia in political as well as cultural and economical relations. And so, the presence of such a name by one of the distinguished feudal clans of the Georgian Kingdom cannot be accidental and should indicate a link between Abkhazian princes and the Shirvan Dynasty.

The appointment of a Shirvan prince as a ruler of Abkhazia evidently took place in 1121-1124. After getting the post of Tskum Eristavi, the Shervashidze converted to Orthodoxy and shortly became Abkhazians; it manifested itself in the appearance of a local surname – Chachba.

The dynasty of Shirvanshahs, from which the clan of the Shervashidze is supposed to have arisen, originates in hereditary Arab governor-generals in Transcaucasia – Iazidids who independently governed Shirvan from 861 after the weakening of Baghdad caliphate.

### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხხიშვილის მიერ. ტ. II. ობ., 1959. გვ. 33-34. – აქად. ს. ჯანაშიას დასახულებად მიაჩნია, რომ მერმინდებული შერვაშიძეები გენგალოგიურად დაკავშირდებული არ იყენენ ამ გვარის უძველეს მატარებლებთან. “ცეოდალური ძალომორეობის ხანაში რა გასაკვირი იქნებოდა, რომ მთავრის უფლება ერთი საგვარეულოდან მეორეში გადასულიყო თვით „შარვაშიძის“ გვარის სახელთან ერთად, რომელსაც ამ შემთხვევაში სამთავრო ტიტულის მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთ მოვლენას მეზობელ სამეგრელოშიაც ეხდავთ, სადაც გვარის სახელი “დადოანი” ოდიშის მფლობელის წოდებად იქცა და სადაც დადიანობას სხვადასხვა გვარი ითვისხებდა” (ჯანაშია ს., გიორგი შარვაშიძე, კულტურულ-ისტორიული ნარკევე // შრომები. VI. ობილისი, 1988. გვ. 28.). ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საგვარეულო სახელის გადასვლის ფაქტებს ერთი გვარიდან მეორეზე თუმც კი ჰქონია ხოლმე ადგილი ცეოდალურ ხანაში (როგორც საქარ-



- თვალიში, ისე მის ფარგლებს გარეთ), მაგრამ მაინც გამონაკლისს წარმოადგენ უფლის და. შერგაშიძეთა გვარის შესახებ (დაწყებული ისტორიაში ცხობილი მასში მართვა ვეღი წარმომადგენლებიდან) არ გვაქვს არავითარი ცხობა, არც წერილობითი, არც ზეპირი, რომელიც შეიძლება მიუთითობს გენეალოგიური ხაზის წევეტაზე.
2. *Анчабадзе З.В.*, Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, 1959, с. 190-195.
  3. იქვე გვ. 192.
  4. მაგალითად: Абхазия // Энциклопедический словарь / Под ред. проф. Андреевского И.Е., Т.1. Издатели: Брокгауз Ф.А., Ефрон И.А., Санкт-Петербург, 1890, с. 48; ბრონი ბ., საქართველოს ისტორიის საკითხები. ნაწ. II. ბვილი, 1900, გვ. 167; Дьячков-Тарасов А.Н., Абхазия и Сухум в XIX столетии // Известия Кавказского отдела Русского географического общества. Т. XX, №2. Тифлис, 1910, с. 150; Гулиа Д.И., История Абхазии. Т. I. Тифлис, 1925, с. 138, 208; История Абхазии. Учебное пособие. Гудаута, 1993, с. 100.
  5. ბერძენი შეიძლი ბ., საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990. გვ. 605.
  6. Цулая Г.В., Абхазия и абхазы в контексте истории Грузии (Домонгольский период). Москва, 1995, с.132.
  7. Георгий Мерчул. Житие св. Григория Хандзтийского. Введение, издание, перевод Н.Марпа // Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии. VII. С.-Петербург, 1911, с. LVII.
  8. გვარცულაძე თ., ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნო-კულტური ისტორიის კვლევისათვის // აფხაზეთის ისტორიის პრობლემები. თბ., 1998. გვ. 56.
  9. Кудрявцев К., Сборник материалов по истории Абхазии. Сухум, 1922, с.128.
  10. იქვე გვ. 121.
  11. Сталь Ф., Этнографический очерк черкесского народа // Кавказский сборник. Т. XXI. Тифлис, 1900, с.67.
  12. Ноғомов Ш.Б., История адыгейского народа. Нальчик, 1958, с. 108, 112.
  13. Анчабадзе З.В., დასახ. ნაშრ. გვ. 194.
  14. [Введенский А.Н.]. Абхазцы (Азега). По поводу сочинения г. Дубровина «Очерк Кавказа и народов, его населяющих» // Сборник сведений о кавказских горцах. Т. VI. Тифлис, 1872, с.30.
  15. გამუშავი აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი, დადგენილი უკეთად მიზითადი სელნაწერის მიხედვით ს. ყაუებიშვილის მიერ. თბ., 1973. გვ. 824.
  16. Анчабадзе З.В., დასახ. ნაშრ. გვ. 195.
  17. სხვადასხვა წაროვებიდან. იხ. მაგალითად: *Инал-ита Ш.Д.*, Абхазы (Историко-этнографические очерки). Сухуми, 1965, с. 533, 560; Крылов А.Б., Религия и традиции абхазов. Москва, 2001, с. 232, 246, 251, 269 და სხვ. – უ. ინალ-იფას ერთ-ერთ მოლო ნაშრომში მოტანილია წეველის სიტუაციიც: “შეგრისსხვ მაბ, ვინც აჩახა და ჩაჩბა მავარველობს” (*Инал-ита Ш.Д.*. Антропонимия абхазов. Майкоп, 2002, с.173.).
  18. *Инал-ита Ш.Д.*, Страницы исторической этнографии абхазов. Сухуми, 1971, с. 251.
  19. იქვე გვ. 243-245.
  20. იქვე გვ. 234, 242.
  21. ჯიბაშვი ს., დასახ. ნაშრ. გვ. 28; *Инал-ита Ш.Д.*, Страницы исторической этнографии абхазов, с. 250-251.
  22. იხ. მაგალითად: [A.H. Введенский], с. 29-30; Гулия Д.И., Указ. соч., с. 207-210; *Инал-ита Ш.Д.* О содержании термина «апсх» – царь Абхазии // Труды абхазского института языка, литературы и истории им. Д.И.Гулия. Вып. 33-34. Сухуми, 1963, с. 175; Studies in Christian Caucasian history. Cyril Toumanoff. Georgetown University press. 1963, p. 269, 256, 530;



- Allen W.E.D. A History of the Georgian People. London, 1971, p. 81, 84; Инал-Ита Ш.Д.* Страницы исторической этнографии абхазов, с. 229, 250-252. – АРСებობუს სტრუქტურა არაპირდამირი ცონდა იმის შესახებ, რომ აფხაზთა მეფეებს აჩბათა გვარის წარმომადგენლუბად მიიჩნევდა ივ. ჯავახიშვილიც (იხ. Г.Гулиа. Дмитрий Гулиа: повесть о моем отце. Москва, 1965, с. 181).
23. *Кудрявцев К.*, დასახ. ნაშრ. გვ. 127, 129; *Инал-Ита Ш.Д.*, Страницы исторической этнографии абхазов, с. 252.
24. აფხაზთის სამეფო დინასტიის პირობითი სახელწოდება, მიღებული სამეცნიერო ლიტერატურაში.
25. შესაძლოა, რომ ამ გამოთქმის შეცვლილი ვარიანტია ანდაზა: “აჩა ემაქნე – ჩაჩა ებაფეით” (“აჩების გამო ჩაჩები წაიკიდნენ”), რომელიც ჩვენ შეგვატყობინა ამერმად ლონდონში მცხოვრებმა თურქეთის აფხაზური დიასოციის წარმომადგენლმა – ქნება რეაბან აქიუნამ (ზვანბამ).
26. ჯანაშოა ს., დასახ. ნაშრ. გვ. 28.
27. *Инал-Ита Ш.Д.*, Страницы исторической этнографии абхазов, с. 242.
28. იქვე გვ. 234, 242.
29. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა მირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხენიშვილის მიერ. ტ. I. თბ., 1955. გვ. 339.
30. შერვაზშიძების აფხაზურში დამკიდრების თარიღად ქ. ქულრიავცევი ვარაუდობს 1124 წელს (იხ. დასახ. ნაშრ. გვ. 127).
31. დინასტიური სახელი “ქისრანიდი” დაგავშირებულია XI ს-ის დასაწყისში გაჩენილ ფერებისათვის, რომლის თანახმად შარვანშაჟებმა მუსლიმურ აღმოსავლეთში იმზად არსებული მოდის მიხედვით თავისი წარმოშობა სასანიან ხელმწიფებს დაუკავშირეს (ქისრა=ხოსროე ანუშირვანი).
32. შარვანშაპთა სახელმწიფო აღდგენილი იქნა დაგითის გარდაცვალების შემდეგ დემეტრე I-ის დროს და ქისრანიდები კპლავ დაუფლენენ შარვანის ტახტს ქართველ მეფეთა ყმადნაფიცობის პირობით.
33. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა მირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხენიშვილის მიერ. ტ. II. თბ., 1959. გვ. 192.
34. *Анчабадзе З.В.*. დასახ. ნაშრ. გვ. 195.
35. *Минорский В.Ф.*, История Ширвана и Дербенда X-XI веков. Москва, 1963. С. 176 и сл.
36. არაბული ეთნო-ისტორიული ტრადიციით, ბანუ-შაიბანი ეკუთვნის არაბთა ტომების ადნანის შტოს რაბთიტულ ჯგუფს. როგორც ისლამამდელ ხანაში, ასევე მუჰამედის შემდეგ, შაიბანის ტომი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა არაბთის ცხოვრებაში. ამ ტომის საგვარუულო არისტოკრატის წრიდან გამოსულა არაერთი მხედართმთავარი, ადმინისტრატორი თუ პოეტი.

-ზევ (-ხე) სუვიძის უცხოგი უზნების შესახებ ძართულ  
ათოროვნიმიაზი

ცნობილია, რომ ქართულ ენას სქესი არა აქვს და არც ქართულ გვარსახელებს. სახელებს განვასხვავებთ სუფიქსებით, რომდებიც სქესს გამოხატავენ. სქესი განსაკუთრებით დამახასიათებელია ინდენეროპულ ენათა ანთოროპონიმებისათვის. როდესაც რუსი, ლიტველი, ლატვიელი, პოლონელი, ლუჟიელი, ბერძენი მამაკაცისა და ქალის გვარსახელს ახსენებს, ჩვეულებრივ, ის მათ მამრობითი და მდედრობითი სქესისათვის დამახასიათებელი უორმანტებით აღოღოვებს. მაგალითად, ბერძნულ ენაში მამაკაცის გვარი გამოითქმის როგორც ცაგახიძის, ქალისა – ცაგახიძუ, შესაბამისად: ზარაბალასი და ზარაბალა, იოანიდისი და იოანიდი. პოლონურ გვარს დომბროვსკის შეესატყვისება ქალის გვარი დომბროვსკა, კოვალევსკა, პოტიოცის – პოტიცა, ნოვაკს – ნოვაკა. უფრო მეტიც, ლიტვურში სხვდასხვა სუფიქსებს ირთავენ მეუღლისა და ქალიშვილის გვარები. მაგალითად, ლიტვურ ენაში მამაკაცის გვარი გამოითქმის როგორც ბრაზაუსკასი, ცოლისა – ბრაზაუსკენე, ქალიშვილისა – ბრაზაუსკიტე. შესაბამისად: ბალუჟონისი (კაცი), ბალუჟონენე (ცოლი), ბალუჟონიტე (ქალიშვილი); საბონისი (კაცი), საბონინე (ცოლი), და საბონიტე (ქალიშვილი). არაინდოვერობული ენებიდან მამაკაცისა და ქალის გვარების განსხვავება ახსიათებს უნგრულ ენასაც. მაგალითად, უნგრული Veres-ის ცოლმა თუ ქმრის გვარი მიიღო, ის იქნება Veresené (იხ. Системы личных имён у народов мира, М., 1986).

ქართული გვარსახელებისათვის სუფიქსების მიხედვით სქესობრივი გამოჯენა და მახასიათებელი არაა. მაგრამ, როგორც დიდი ხნის წინ შენიშვნეს, ოდესაც ფორმანტების მიხედვით ქართველებიც მიჯნავდნენ ერთმნენთისაგან მამაკაცისა და ქალის გვარებს. ეს მოვლენა განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა მეტყველებისა და ეთნოგრაფიული ყოფილისათვის. მხედველობაში გვაჭეს (-უხე) სუფიქსი, რომლითაც ქვემო იმერეთის, სამეგრელოს მკვიდრი ქართული გვარსახელებისათვის დამახასიათებელ სუფიქსებს (-ე, -ელ, -ია, -ინ) ცვლილენ, როდესაც ამა თუ იმ მდედრობითი სქესის წარმომადგენენდს ახსენებდნენ ან მიმართავდნენ.

პირველი, რომელიც ამ საკითხს შექმნა, იყო ო. ყიფშიძე. მან აღნიშნა, რომ „უხე-ხე“ მეგრულში ქალს, ასულს აღნიშნავს და აქვე დასძინა, რომ „ხე [ძე] «აძი, ქეнщина» прибавляется к концу фамильных названий“ (И. Кипшидзе, с.194). იმავე პერიოდში 6. მარაშაც აღნიშნა, რომ ხე და ფხე ქვემომერულ კილოში გვხვდება “გოგონას”, “ქალის” მნიშვნელობით (E.J. Mapp, 1912, стр. 432).

„უხე(უხე)“ სუფიქსის შესახებ თავისი აზრი გამოთქვა პავლე ინგოროვეგამაც. ის აღნიშნავდა: “თავდაპირველად საჭიროა მოვიგონოთ, რომ ქართულში ცნება ვაჟი აღინიშნება ტერმინით „ძე“, ხოლო ცნება ქალი ტერმინით: „ხე“. ტერმინი „ხე“ დღემდე შენახულა გადმოხარშის სახით ზოგიერთ ქართულ კილოში (ასე კერძოდ გურულ კილოში), სადაც იგი ჩვენ გვხვდება საგარეულო სახელწოდებათა აღსანიშნავად, მაგალითად: ნაკაში-ძე (ვაჟი), ნაკაში-ხე (ქალი). მეგრულში ეს ტერმინი „ხე“ დღემდე ცოცხალ სიტყვას წარმოადგენს, და აქაც იგი ერთვის ქალის გვარს (როგორიც, მაგალითად, გვაზა – ხე = ქალი, ხოლო გვაზა-ვა, კი. გვაზა-ძე = ვაჟი)“ (პ. ინგოროვეგა, 1933, გვ. 282). იქვე პავლე ინგოროვე შენიშნავს, რომ გურულში “ეს ტერმინი წარმოდგენილია ორგვარი სახესხვაობით, როგორც – ხე და როგორც – უხე“.



ვრცლად -ფხე (-ხე) ფორმანტის საკითხს შეეხო ი. მეგრელიძე, რომელიც მას განაცხადდა მოუყარა თავი და აჩვენა აღნიშნული სუფიქსის გეორგიული გავრცელების სხვა არადებიც. რომ გარდა ქვემო იმერეთისა, სამეგრელოსა და გურიისა, ის უცხო არ იყო და გავრცელებული იყო აგრეთვე აჭარაშიც (ძირითადად ქობულეთში და ნაწილობრივ სხვა რაიონებშიც), დაზეთშიც (И.Мерелиძე, 1928; И.Мерелиძე, 1938). -ფხე (-ხე) სუფიქსის გავრცელების არყადში ი. მეგრელიძემ სვანეთიც შეიტანა, თუმცა ამის დამადასტურებელი მაგალითები მას არ მოუშმია და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სვანურ მეტყველებაში გვარებთან დაკავშირებით -ფხე (-ხე) სუფიქსის არც ერთ მკვლევარს არ დაუფიქსირებია. თუმცა ქართველი საისტორია ძეგლებით ირკვევა, რომ -ფხე (-ხე) სუფიქსი ღვეველებისთვისაც დამახასიათებელი იყო. პ. ინგოროვება აღნიშნავდა: “სვანურში იგივე ტერმინი “ხე” წარმოდგენილია ფუძე-სიტყვის სახით: ხე. ამ ფუძე-სიტყვიდან ხე ჩვენ გვაქვს სვანურში სიტყვები: “დეხ”, “ჰეხ” – რაც ნიშნავს ცოლს. “ნა –დახ” – რაც ნიშნავს: “შობ-ვა” (პ. ინგოროვება, გვ. 282).

მანამ, სანამ სვანურ მაგალითებს მოვიყვანოთ, საჭიროდ მიგვაჩნია მეგრული, გურული, აჭარული და ქვემოიმერული მეტყველებიდან რამდენიმე ნიმუშის მოყვანა: თურქია – თურქიხე, ქორქია – ქორქიხე, ალანია – ალანიხე, ჩიჩუა – ჩიჩუხე ჩილაჩაგა – ჩილაჩიხე, ქაცარაგა – ქაცარახე, მიმინოშვილი (მიმინოსქუა) – მიმინოსხე, პაპასირი – პაპასიშილიხე, პაპიხე; წულაძე – წულაუხე, მამალაძე – მამალაფხე, ჰელიძე – ჰელიფხე, რამიზეხე, ჭანიშვილი – ჭანიფხე, წილოსანი – წილოსანიხე, ქლონი – ქლენტიფხე (ჟერასენელ ღრ შემთხვევაში გვარსახელის მაწარმოებელ სუფიქსებს პირდაპირ ერთვის -ფხე ფორმანტი); გურიელი – გურიფხე (გურიელიფხე), ჯაყელი – ჯაყელიფხე, ჯაში – ჯაშიფხე, ტუდუში – ტუდუშიფხე; ჩიქოვანი – ჩიქოვანიხე; ქათმიძე – ქათმიფხე, კახიძე – კახიფხე, კვეველესერი – კვესიაფხე, ხაბახი – ხაბახიფხე; რუხაძე – რუხასიხე, მელაძე – მელაიხე, ტაბიძე – ცაგარევიშვილი – ცაგარევიხე, რატიანი – რატიანიხე. ი. მეგრელიძის შენიშვნით ლაზურში -ფხე სუფიქსს დაცინების, გაკილვის უუნქცია ჰქონდა მიღებული. ასეთივე ფუნქცია აქვს დღვეს ხშირად მიღებული – ფხე სუფიქსს ქვემოიმერულ და გურულ დიალექტებშიც. როგორც აღნიშნავენ ის ხშირად მოფერება-შეხუმრება-შექების ნიუანსითაც გამოიყენება (ც. ბენდელიანი, 1997, გვ.35-39).

შუა საუკუნების სვანეთში -ფხე სუფიქსი ქალთა გვარების აღსანიშნავად რომ ინტენსიურად გამოიყენებოდა, ამას წერილობითი ძეგლები გვიდასტურებენ, რომლებიც XIII-XVIII სს-ით თარიღდებიან. “მატიანე სვანეთისა კრებისა” –ში აღრიცხული არიან: “ხალინა გურსაფხე” (პ. ინგოროვება, 1941, გვ. 117); “ზრმ გოგორელიფხე”, “მამქნ ათარიფხე” (გვ. 121), “თოვლაი მიქელიფხე” (გვ. 129), “მარიამ რუმბიფხე” (გვ. 136), “თუმა ჩხუმიფხე”, “სუკუა უზინარიფხე” (გვ. 133). XIV-XVI სს-ის “ქაუზაი გურჩიანის სახლის მოსახსენიებელში” მოხსენიებულია გიორგი გურჩიანის მეუღლე “ბიგვში ცინდელიფხე” (სვანეთის წერილობითი ძეგლები, 1986, გვ. 276). ეს პიროვნება მოსახსენებელში შევვანილია არა ქმრის, არამედ ქალიშვილობის გვარით. იმავე ღოკუმენტში დასახელებულია “ადსუნ გურჩიფხე”. XVIII საუკუნითაა დათარიღდებული “ყორმ-შახ გოშუანის სახლის მოსახსენიებელი”, რომელშიც ვხვდებით “ბახარ გოშუანიფხე”-ს (სწდ, 1986, გვ. 274). XVIII საუკუნისავე მირზა დადეშქელიანის მოსახსენებელში ნახანებია ღუდარუს დაღიშქელიანის მეუღლე “თეორეგა შიდიაფხე” (სწდ, 1986, გვ. 279). იქვე მოხსენიებულია მირზა დადეშქელიანის მეუღლე “ელდარუფხეუ ხერაკუფხე” (გვ. 279). თეორეგაც და ელდარუფხეუც ქალიშვილობის გვარით არიან წარმოდგენილ-



ს. XVIII საუკუნისავე ციოყ დადიჩქელიანის მოსახესნიებელში გელასხან დათოშეულანის მეუღლე ქმრის გვარითა დასახელებული: „კაპუ დაჩქელაფხე“ (გვ. 282). ქსენი პორვენება მეორე მოსახესნიებელშიც გახვდება (გვ. 284). XV საუკუნით დათარიღებული მოსახესნიებლით დიდებულ ბადრი ელედიანის მეუღლე ყოფილა „ბეზშიდისი ჯაფრიფხე“ (გვ. 288). XVI-XVII სს-ის საბუთში დასახელებულია „გულაჭან კაუბერიფხე“ (გვ. 285). XVIII ს-ში ცხოვრობდა „დიდხა მილდაფხე“ (გვ. 293), XV-XVI სს-ში – „თინსორის გოგუსფხე“ და „ბიდა ხუნციფხე“ (გვ. 294). XVII-XVIII სს. ლომინ პაიკლიანის სახლის მოსახესნიებელში გვედებით „ჯილა ორაფხე“-ს და ოიანეს ცოლს – „თამარ შეერიფხეს“ (გვ. 296). XVIII ს-ის ახლავ რუჩეგიანის სახლის მოსახესნიებელში მოსახენიებული არიან სოსა რუჩეგიანი და მისი მეუღლე „იმახათ გელუაფხე“ (გვ. 297). ამავე მოსახესნიებელში დასახელებულია „ანა მანიფხე“. ხოლო თათარსავ რუჩეგიანის მეუღლე ყოფილა „მანანუ რუჩეგიფხე“ (გვ. 297). ამ შემთხვევაში –ფხე სუფიქსი ქმრის გვარს ერთვის. XVIII ს-ში ლაზარე და ყადუ სვიფლიანებს (სუფლიანებს) ჰყოლიათ მეუღლები „მაქა გადრაფხე“ და „მაქა დევდარიფხე“. მათსავე ოჯახში მოხსენიებულია „მაქა ხვილიფხე“ (გვ. 296). XV-XVI ს-ის ქაუ ხარზიანის სახლის მოსახესნებელში აღრიცხულია „დიხა ეუციფხე“ (გვ. 306).

ვფიქრობთ, მაგალითების მოყვანა საქმარისია. მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში სვანეთში ქალის გვარების აღსანიშნავად XVIII ს-ის ჩათვლით ინტენსიურად გამოიყენებოდა –ფხე სუფიქსი. ამასთანავე, აშკარაა, რომ –ფხე ფორმანტი სვანურ მეტყველებაში აწარმოებდა როგორც ქალიშვილობის, ისე ქმრის გვარებს. ასე რომ, დოკუმენტებში ქალი, რომელიც გათხოვილია და ჩვეულებრივ შესულია სხვა გვარის სახლში, ზოგჯერ ჩაწერილია ქმრის გვარით და ზოგჯერ თანმოყოლილი, ქალიშვილობს გვარით, როივე შემთხვევაში –ფხე სუფიქსის დართვით.

ამ წერილის მიზანი უფრო სხვა რამეა. ირკვევა, რომ სვანეთში –ფხე ფორმანტი არა მხოლოდ გვარსახელებს აწარმოებდა, არამედ ქალის სახელებსაც და თანაც, ჩვეულებრივ, ასეთი სახელების ფუნქცია გამოყენებულია მამაკაცის სახელი. ჩვენი ყურადღება თავდაპირეველად მიიქცია ქუთაისის სახელმწიფო არქიტექტორი (ფონდი 21, საქმე №10254, ფფ. 1-20) დაცულმა ერთმა საბუთმა, რომელიც დათარიღებულია 1866 წლით. ის შედეგინდია მდვდელ იოსებ გაწამის მიერ. რუსეთის ხელისუფლებამ, სვანეთში შესვლისას, აღმოაჩინა, რომ სვანთის მეკიდროთ გარევული ნაწილი მონათლუელი არ იყო. დაიწყეს ხალხის მონათვლა. ზემოთ მოხსენიებულ დოკუმენტში ჩამოთვლილია არიან ის პირები, რომლებიც მონათლნენ ადრინდელი სახელისა და ნათლობის სახელის მითითებებით. საბუთით ირკვევა, რომ XIX საუკუნის შუასანებში სვანეთში გაერცელებული ქალის სახელები იყო: ხაზიფხ (59 წლის; გვარად უდესიანი. ნათლობისას მიეკუთხა სახელი ეფემია); დადიშველაფხ (13 წლის; მიეკუთხნა კანონიზებული სახელი დარია. ის გვარად ჯაფარიძეა. მთხოვბელის გამარტინით „დადიშველაფხ“ შეცდომაა. სვანები ამ სახელს გამოთქავენ როგორც „დაჩქელაფხ“. ამ სახელით აღნიშნულ საარქივო დოკუმენტში კიდევ ორი პიროვნებად მოხსენიებული); ბერდუფხ (სულა ანუ სიმონ ჯაფარიძის 3 წლის ქალიშვილი. ნათლობის მერე დაერქვა ბარბარე. სიმონ ჯაფარიძის რძალს დაჩქელაფხ ერქვა, რომელსაც კანონიზებული ქრისტიანული სახელი ოლდა მიეკუთხნა. ბერდუფხი ციოყ (გიორგი) ჯაფარიძის ბიცოლას, რომელსაც ბარბარე დაარქეს); ელდაფხ (30 წლის; ბექან ხერგიანის მეუღლე. ნათლობის შემდეგ დაერქვა ელისაბედი); გიორგულაფხა (6 წლის; თათე დადუანის ქალიშვილი. დაერქვა აღთია); ილდაფხ (2 წლის; ესევ თათე დადუანის ქალიშვილი.



ნათლობის შემდეგ დაერქვა ირინე). ილდაფხი ერქვა აგრეთვე 2 წლის გოგონას ტრია იოსევლიანის ძმის შვილს, რომელსაც აღათია დაარქვეს. ს შესულობრივი

—ფხ სუფიქსიანი ქალის სახელები გეხვდება აგრეთვე 1877 წლს მდვდელ ილარიონ გერსამიას შედგენილ სიაშიც (ქუთაისის სახელმწიფო არქივი, ფონდი 21, საქმე №11194, ფვ. 35-38). მაგალითად, უშულის სამრევლოში დაფიქსირებულია 24 წლის “გაგი ჰელიის მუზეუმი ბერლინი” სიაში სახელები დავამოწმეთ ვეზე მუშაობისას. გარდა ზემოსხენებული ქალის სახელებისა, მთხოვობელები მოსწრებიან ისეთ პიროვნებების, რომლებსაც ერქვათ: გალდაფხ, ქალდაფხ, დერზუფხულ, გულიფხ (გვილარა ერქვა XIII-XIV სს-ში ეცვრის ომში მცხოვრებ ელევიანის გვარის კაცს – პ. ინგოროვა, 1941, გვ. 135). ეთნოგრაფმა როსეგტა გუჯვარიანმა მოგვაწოდა მის მიერ ეცერში დაფიქსირებული სახელები: ბედუფხ, ჯაჭვიფხ, ჯაჭიფხ, ჯაჭვლაფხ. —ფხ სუფიქსიანი ქალის სახელები სვანეთში წარმოქმნილი იყო მამაკაცის სახელზე აღნიშნული სუფიქსს დარიგით. ცნობილია, რომ საქართველოში (და მთელ მსოფლიოშიც) ქალის სახელები მამაკაცის სახელებზე ბევრად ნაკლები იყო და ქალის სახელების შევსება ფილოლოგიური გზით ხდებოდა (XVI საუკუნის სხვადასხვა ქრისტიანულ კალენდარში მამაკაცისა და ქალის 150 წევილი სახელია დაფიქსირებული: ალექსანდრე – ალექსანდრა, ელენი – ელენა, მარტინი – მარტინა და ა.შ.).

შეიძლება გვეციქრა, რომ ქალის სახელებში –ფხე სუფიქსი XVIII საუკუნის შემდეგ განხდა, რაც ქალის გვარების ამ სუფიქსით წარმოქბა დავიწყებას მიეცა. მაგრამ, როგორც ჩანს, ის ტრადიციული იყო. შუასაუკუნეების სვანეთში –ფხე სუფიქსიანი ქალის სახელები –ფხე სუფიქსიან ქალის გვარებთან ერთად არსებობდა. –ფხე ფორმანტიანი სახელები შეიძლება ფეოდალიზმის პერიოდის სვანური დოკუმენტებიდან ამოვკრიბოთ. მაგალითად, XIII-XIV საუკუნეების სულთა მატიანეში –ფხე სუფიქსიანი ორი სახელია დაფიქსირებული. ესეთია: “კოსთაფხე” და “ადრაფხე” (პ. ინგოროვა, 1941, გვ. 135, 137). ასეთი სახელები შუასაუკუნეების მოსახენიებლებშიც გეხვდება. XVI-XVIII საუკუნეებში ოთხჯერ არის დადასტურებული ქალის სახელი კლდარუფხე (სწ. 1986, გვ. 274, 279, 280, 286). მაგალითად, სორომან დადიშქელიანის მეუღლე ყოფილა კლდარუფხე დევდარიანი (გვ. 280). ერთ-ერთ ქალს სახელიც და გვარიც –ფხე სუფიქსით ჰქონდა გაფორმებული: XVIII სს-ის მოსახენიებლით მირზა და დეშქელიანის მეუღლე ყოფილა “ელდარუფხ ჩეკარუფხე” (გვ. 279), სადაც პირველი სახელი და მეორე გვარსახელი. ილმაზ დადეშქელიანის მეუღლის სახელი ყოფილა შგვილიფხე (გვ. 280). XVIII საუკუნისავე საბუთით თათარყან დადიშქელიანის მეუღლეს რქმევია ბურდუფხ. XV-XVI სს-ში გულსტუფხე ერქვა ბაბაში კვიციანის სახლის წერს (გვ. 291). XVI-XVII სს-ის მოსახენიებლებში აღრიცხულია “ოქონდუფხე რუჩეგიანი” (გვ. 256). XV-XVI სს-ში გვეცდება სახელები: გერნიფხე და ტაშეფხე (გვ. 298).

ამრიგად, ზემოთ მიმოხილული მასალიდან აშკარაა, რომ: ა) –ფხე სუფიქსიანი გვარები ისტორიულად სვანეთისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო; ბ) –ფხე სუფიქსი სვანეთში ისტორიულად აწარმოებდა აგრეთვე ქალის სახელებს, რაც სვანურმა მეტყველებამ და ყოფამ ბოლო დრომდე შემოინახა; გ) სვანეთში გეხვდებოდნენ პიროვნებები, რომლებსაც ერთდროულად სახელიც და გვარიც –ფხე სუფიქსიანი ჰქონდათ; დ) მოყვანილი მასალა ადასტურებს, რომ სვანეთი აღნიშნული თვალსაზრისით ერთიან ქართულ კონტენტში ჯდება; ე) სვანურ მეტყველებას –ფხე სუფიქსიანი ნასესხები კი არ ჰქონდა ქართული ან ზანური მეტყველებიდან, არამედ ის მისთვის ოდითგანვე დამახასიათებელი იყო; ვ) –ფხე ფორმანტი საერთო ქართული მოვლენაა და ის საერთო ქართველური ენის კუთვნილება უნდა ყოფილიყო; ზ) –ფხე სუფიქსი

ქართულ გვარსახელებსა და ქალის საგუთარ სახელებში ადასტურებს იმას, რომ ქართულებს გვარები იქამდე პქნიდათ, სანამ ერთიანი ქართველური ენა ქართულ, უწყვეტისა და სვანურ მეტყველებებად დაიშლებოდა, კი. ქართულ სინამდვილეში მოხდა გვარონებული საზოგადოების გვარის (იდ) უშუალოდ გვარსახელში (ფამილია) გადახრდა.

აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს კიდევ ერთი მასალა, რომელიც ისტორიკოსმა ვალერი ვაშაკიძემ მოგვაწოდა. ვაშაკიძების გვარი რამდენიმე დანაყოფად (ბაბუშვილობად) ანუ, როგორც ქვემო იმერეთში იტყვიან, „საგინებელ“ (კი. საგნებელ, მისაგნებელ) გვარად იყოფა. ესვინია „უმარგელაშვილი“, „ტარტარაშვილი“, „გაშიფხე“ და სხვ. ამრიგად, -უხე სუფიქსი იმერეთში მეორე მემკვიდრეობით სახელის ანუ გვარის დანაყოფის („საგინებლის“ = საგნებელის, მისაგნებელის) აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა. ასეთი შემთხვევა, ჩვენი აზრით, ხშირი არ უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაში გვარის დანაყოფის სახელს საფუძვლად უდევს ვაშაკიძის გვარის კაცხე გათხოვილი კაშიას ქალის გვარი. როგორც ჩანს, ვაშაკიძეზე გათხოვილი კაშიას ქალი გამორჩეული იყო, ანდა დაქვრივებულმა თავად გაზარდა შვილები, მამობაც გაუწია მათ და ამის გამო ხალხმა ვაშაკიძების გვარის აღნიშნულ განაყოფს კაშიფხე შეარქვა.

ბოლოს გვინდა კიდევ ერთ საკითხს შევეხოთ. აღმოსავლეთ საქართველოში -უხე სუფიქსი არსად არაა დადასტურებული. მაგრამ კაცისა და ქალის გვარებს აქაც არჩევდნენ. ქითიყსა და შიდა ქართლში (ლიახვის ხეობაში) ქალის გვარს -ურ (-ულ) სუფიქსით აბოლოვებდნენ: ნანობაშვილი – ნანობაური, პოპიაშვილი – პოპაური, ოთიანაშვილი – ოთიაური ... ასეთივე მდგომარეობა ზემო იმერეთში, რომელიც ეთნოგრაფიულად ბევრ მსგავსებას ამჟღავნებს შიდა ქართლთან: ცერცვაძე - ცერცვაული. ასე რომ, საქართველოს ამ რეგიონებში ქალის გვარის გამოხატვის ფუნქცია -ურ (-ულ) ფორმანტს ჰქონდა. კვიქრობთ, რომ თავის დროზე აქაც ეს ფუნქცია -უხე სუფიქსს უნდა ჰქონოდა, რომელსაც აღმართ ადრეშუასაუკუნეებში -ურ (-ულ) სუფიქსი ჩაენაცვლა.

P.S. ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში აღნიშნულია (ქ. ლომთათიძე), რომ -უხე სუფიქსი მიღებულია სიტყვიდან „მხევალი“ („მხევალი“), რაც ქართულ წერილობით ძეგლებში უძველესი დროიდანაა დადასტურებული და რაც მსახურ ქალს, გოგოს აღნიშნავდა (ი. აბულაძე). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (ტ.V) თანახმად, „მხევალი“ ნაყიდი ან ნამზითვი ქალის, ტკი ქალის, მოახლის, ხელზე მოსამსახურ ქალის აღმიშვნელი იყო. კვიქრობთ, რომ „მხევალისაგან“ კი არ უნდა იყოს „უხე“ მიღებული, არამედ, პირიქით, „მხევალი“ „უხე“-ხაგან უნდა იყოს ნაწარმოები. „უხე“ უკუმანი სიტყვები სკანურსა და ზანურ მეტყველებებშია დადასტურებული. სკანურში უხ-ერა, ლი-უხერ, ლი-უხე-ე თვალის გახელას“ ნიშნავს (ი. ხანტლაძე, 2004, გვ.78). ი. ხანტლაძის გარაულით სკანური ლექსები „უხე“ თავის დროზე „თვალს“, „მხეს“, „მზის თვალს“ აღნიშნავდა. მოწმენდილ ცას აღნიშნავს სკანური მ-უხე და ლაზური მა-უხე. იგივე უუქე გამოიყოფა ზა-უხ-ულ კომპოზიტშიც (ტ. უშტეპარაძე, 2005, გვ. 294). ამრიგად, „უხე“ საერთო ქართველურ ენაში თავდაპირებულად მზის (ცის) აღმიშვნელი უნდა ყოფილიყო. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ „ქართველების უძველესი მზის დვეთაება მდევდრობითი სქესის არსება იყო“ (კ. ბარდაველიძე, 1941, გვ.103) და მზისა და ცის კულტი ერთობლიობაში წარმოიდგინებოდა, „უხე“ კომპლექსიდან უხევალის (მხევალის) მიღდა გამორიცხული არ უნდა იყოს. არც ისაა გამორიცხული, რომ უძველესი ქართველური „უხე“ ლექსები (აღნიშნული გაგბით) ედოს საფუძვლად საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ფხოვისა და აფხაზეთის სახელწოდებებსაც.

## ON UNKNOWN FUNCTION OF SUFFIX -PKHE (-KHE) IN THE GEORGIAN ANTHROPONOMY

The gender division is not characteristic of the suffixes of Georgian surnames. But it was mentioned that once Georgians also used to differentiate names of men and women according to the formants. This event was mostly characteristic of the West Georgians' speech and ethnographical being. We mean suffix -pkhe, - khe, which replaced the suffixes -dze, -el, -ia, -an in Kvemo Imereti and Samgrelo while addressing the women. In one of the historical-ethnographic regions of Georgia – Svaneti the formant -pkhe formed not only the surnames, but also the first names of women based on men names. In the Middle Ages Svaneti the women names with suffix -pkhe existed together with the women surnames with suffix -pkhe.

### დამოწმებული ლიტერატურა

1. ჭ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან: ღვთაება ბარბარ-ბაბარ. – თბ., 1941.
2. ც. ბენდელიანი. – ხე სუფიქსი ქვემოიმერულ დიალექტში. – ქართველური მემკვიდრეობა, I, ქუთაისი, 1997.
3. ი. ინგოროვა. ძველი ქართული წარმართული კალენდარი მე-5-8 საუკუნეების ძეგლებში. წერილი პირველი. – საქართველოს მუზეუმის მომამბე, ტ.VII, 1931 და 1932 წწ., თბ., 1933.
4. ი. ინგოროვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, თბ., 1941.
5. სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, თბ., 1986, ვ.სილოგავას გამოცემა.
6. ტ. ფუტქარაძე. ქართველები. ნაწ. I, ქრისტიანობამდელი ეპოქა, 2005.
7. ი. ჩანტლაძე. თანხმოვანთა პარმონიული კომპლექსის ამოსავალი ვითარებისათვის ქართველურ ენებში. – XXIV რესაუნდიქური დიალექტოლოგიური. სენის მასალები, თბ., 2004, გვ. 75-76.
8. И. Кипшидзе. Грамматика ингерльского (иверского) языка. МЯЯ, VII, СПБ.
9. Н.Я.Марр. Яфетическое происхождение абхазских терминов родства, 1912.
10. И. Мегрелидзе. Лазский и мегрельский слой в гурийском, Л., 1928. – Труды ИЯМ, кн. XX, Caucasica, №1.
11. И.Мегрелидзе. Женские фамильные окончания в южнокавказских яфетических языках и фольклоре. – Памяти академика Н.Я.Марра, М-Л, 1938.
12. Системы личных имён у народов мира, М., 1986.
13. А. Суперанская. Ваше имя?: Рассказы об именах разных народов. М., 2001.

ვაკე მაგა ბიორგი მთაწმილელი და ქართული იდენტობის  
საბანები XI საუკუნეში

ყველაზე არსობრივი განსაზღვრით იდენტობა არის თვითობა მნიშვნელოვან  
სხვებთან მიმართებაში.

ადამიანური იდენტობანი მრავალგვარია. ზოგჯერ თვითობა ეფუძნება ბიოლოგი-  
ურ მოცემულობას, ზოგჯერ სოციალურ სტატუსს, ზოგჯერ პროფესიულ დახელოვნე-  
ბას და ა.შ. კაცობრიობის ისტორიის განვითარებისათვის ყოველი მათგანის განვითარე-  
ბის თავისებურებათა გათვალისწინება მიზანშეწონილია, მაგრამ განსაკუთრებით  
მნიშვნელოვანი მაინც კოლექტიური კულტურული იდენტობაა, რომელიც მთელ სა-  
ზოგადოებას მოიცავს როგორც ჩვენ-ჯგუფს.

თავად იდენტობის ამ გვარში გამოიყოფა სახეები, რომლებსაც ადამიანთა ერ-  
თობის სხვადასხვა მოდელი უკავშირდება. მაგალითად, ეთნიკური იდენტობა წარმო-  
შობს ეთნიკას, ნაციონალური იდენტობა – ნაციას. აღნიშნული ფენომენების შემდეგ-  
ნაირ გამარტინებებს გვთავაზობს თანამედროვე ბრიტანელი მეცნიერი, ეთნიკური და  
ნაციონალური კულების დარგში დასავლეთში ფართოდ აღიარებული სპეციალისტი  
კ. დ. სმითი: „მე ნაციას განვსაზღვრავ როგორც ‚ადამიანთა თვითდასახელების მქონე  
ქრონიკას, რომელსაც უკავია სამშობლო მიწა და აქვს საერთო მითები და საზიარო  
ისტორია, საერთო საჯარო კულტურა, ერთიანი კონომიკა და ყველა წევრისათვის სა-  
ქრონ უფლება-მოვალეობანი“. თავის მხრივ, ეთნიკული მოძღვანება განისაზღვროს, როგორც  
ადამიანთა თვითდასახელების მქონე ერთობა, რომელიც დაკავშირებულია სამშობლო  
მიწასთან, აქეს საერთო მთევბი წინაპართა შესახებ, საზიარო კულტურის ერთი ან მეტი  
კლემენტი და გარკვეული ხარისხის სოლიდარობა ელიტის შიგნით მაინც“<sup>11</sup>.

როგორც ვხედავთ, ეთნიკა და ნაციას შორის მრავალი მსგავსებაა. ეს ბუნებ-  
რივიცაა. ორივე მათგანი ხომ კოლექტიურ კულტურული იდენტობას წარმოადგენს. ამ-  
ავე დროს არსებითია მათ შორის განსხვავებანც. თუმც ანალიზის გაიოდების მიზ-  
ნით აღნიშნული მოქნეტის უბუღვებელყოფა დროებით დასაშვებია. ამიტომა, რომ  
ქვემოთ ქართულ იდენტობას ყოველთვის მიემართება მხოლოდ ერთი ატრიბუტი: ნა-  
ციონალური იდენტობა. როგორც სახელწოდებაც მიგვანიშნებს, კოლექტიური კულ-  
ტურული იდენტობის საზღვრებს ქმის ჩვენ-ჯგუფის კულტურა ანუ ჩვენ-ჯგუფის  
წევრებს სხვებისაგან გამოაჩინებს კუთხით დაგრძელება კულტურისად-  
მი, მასში ჩართვა, მის შექმნაში მონაწილეობა, მისი სპეციფიკური გარეგანი თუ ში-  
ნაგანი ნიშნებით აღმოჩენა. ჯგუფის არსებობისათვის იდელური გარისნტია: შიდა  
სხვაობების მინიმიზება გარე სხვაობების მაქსიმიზების პარალელურად.

კოლექტიური კულტურული იდენტობის თვითშენახევისა და განვითარებისათვის  
ძალიან დიდია ჯგუფის კულტურული ელიტის როლი. ჩემი ძიებების ამოცანას ნაცი-  
ონალური ერთობის კონსოლიდაციის აქტორებზე დაკვირვება წარმოადგენს ამ პრო-  
ცესში მათი როლის განსაზღვრის მიზნით. ამჯერად კულების ისტორიულ საფუძ-  
ვლად ვიღებ შეუა საუკუნეების საქართველოს ეთონებას. როგორც ცნობილია, X ს  
მიურულებს შიდა პოლიტიკური ფრაგმენტაციის გარევეული პერიოდის შემდგომ ქარ-  
თული ჩვენ-ჯგუფის ძირითადი ნაწილი ხელახლა ეჭვევა ერთიანი სახელმწიფოს  
ჩარჩოებში. XI საუკუნე არის ამ შედეგის განმტკიცებისაკენ მიმართული მცდელობე-  
ბის ხანა. ამ დროს გაინტენსიურებული ქართული ერთობის შიდა-ჯგუფური მობილი-



ზაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წამმართველი იყო შემდგა მამა გიორგი მთავრი და მის მემკვიდრეობის წინამდებარე ნაშრომი ფრენესირებულია ქართული იღენტობის სამანების უნიტი მის მემკვიდრეობა-განვითარების საქმეში სწორედ მის პიროვნულ დაწყლება.

წმიდა გოირგი მთაწმიდელის, როგორც ეროვნული მოღვაწის, არაერთ დადგბით შეფასებას შეეხდებით სპეციალურ ლიტერატურაში, მაგალითად, ასეთის: „ქართულმა საისტორიო მწერლობამ შესანიშნავ მოღვაწეს, გიორგი მთაწმიდელს საგვებით სამართლიანად უწოდა დიდი გიორგი. მართლაც, დიდი და განუსაზღვრელია აღრეულ საჟუნევთა ამ დიდებული წარმომადგენლის დვაწლი და დამსახურება ეროვნული კულტურის წინაშე. შეუძლებელია აუდვლებელად გაეცნო გიორგი მთაწმინდელის საოცრად ნაყოფიერ მექანიდრეობას. გაოცებას იწვევს ინტერესთა მრავალფეროვნება და შემოქმედებითი სიუხვე ის იყო შესანიშნავი მწერალი. მაღალი გემოვნებისა და მეცნიერებული სიზუსტის გამომედუნი მთარგმნელი, მჭერმეტყველი და ერუდიტი, თეოლოგი, ქართული კერის ორგანიზატორი და გამჭრიახი წინამდგარი, ფართო მასშტაბის პოლიტიკური მოღვაწე და ბაგრატ IV-ის პრექნი მრჩეველი. აღლევებას იწვევს სამშობლოს სიყვარულის ის უსასხლერო გრძნობა, რომლის შთაგონებით ზღაპრული ენერგიითა და თავგანწირვით იღწვიოდა იგი ეროვნული კულტურისა და განვითარებისათვის. ფასდაუდებლივ გიორგი მთაწმინდელის მრავალმხრივი და უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობა”.

აქ მოხმობილი უამრავი დადებითი კანიგები, მიუხედავად იმისა, რომ მათ საკუთრივი მისახურებს წმიდა მამა, იმის გამო, რომ ერთადაა დახვაცებული, ემოციური ზურგის მოქმედების ძალას თითქმის მოკლებულია. ამავე დროს, ეს მსჯელობა არაინფორმაციულია, რადგან ვერ პასუხობს მთავარ კითხვას: რა კონკრეტული შედეგები მოგვიანებით ამგვარი პიროვნების ამგვარმა ქმედებებმა ქართული იდენტობის თვითშენახვისა და განვითარებისათვის.

ამის საპირისპიროდ, წინამდებარე გამოყვალვება წარმოადგენს წმიდა გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობის დახასიათებას პათეტიკას მოყლევულ საგნობრივი მსჯელობებით.

წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ და ვინავთგან ერთი ღმერთი გვცნობიეს, არდარა უარგპყოფიეს და არცა ოდეს წვალებასა მიმართ მიდრეკილ არს უწყვეტისურებული წევნი და ყოველთა უარისმყოფელთა და მწვალებელთა შევაჩუენებთ და გსწყვეთ ამის საფუძვლისა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ; აწ უკუთუ ჯერ-არს, დაგემორჩილნეო”<sup>2</sup>.

ქრისტიანულ ხალხთა თანამეგობრობაში თანასწორუფლებიან წევრად ყოფინისათვის აუცილებელი იყო ერთგარი ნიშა. მოციქულის სახელთან იდენტობის დაკავშირება სწორედ ამგვარ ნიშად განიხილებოდა. ქრისტიანული ოიკუმენაში მოციქული ნაციონალური ერთობის ინდივიდუალობის გამოკვეთისათვის კველას მიერ აღიარებულ და ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა. ამიტომაც კონსოლიდაციის პროცესში მყოფი ქართული ჩვენ-ჯგუფის კულტურული ელიტის წარმომადგენელთა ზრუნვის საგანი გახდა ქართული იდენტობისათვის ამგვარი ნიშას მოპოვება. ამ მიმართულებით მცდელობს გამოვლინებაა ამ პერიოდში მმდინარე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ისტორიული წყაროების ინტენსიურ კვლევა. ისტორიული მონაცემები რამდენიმე მოციქულს ასახელებდა. ქართველი კულტურული ელიტა ესწრაფოდა მათ შორის გაეკეთებინა არჩევანი (მაგალითად, წმიდა გიორგი მთაწმიდელის მიერ შეგდენილ თვეებში წმინდოს საგალობლების ერთ ნაწილში ბართლომე მოციქულია დასახელებული, არის საგალობლები, სადაც ბართლომე შეცვლილია სიმონ კანანელით. ამავე ეპოქის სხვა კულტურულ მოღვაწეს ეფრემ მცირეს კი ანდრია და ბართლომე ჰეკავ დასახელებული<sup>3</sup>) და ქართული იდენტობის ნიშად ექცია იმ მოციქულის სახელი, რომლის საქართველოში მოღვაწეობის ფაქტი წყაროებით ყველაზე უკეთ საბუთდებოდა. ამასთან ამ არჩევანს ქეთილისმყოფელი გავლენა უნდა მოეხდინა ჩვენ-ჯგუფის თვითშეახვაზე, რადგან საქმე ფაქტობრივ შეეხებოდა სხვა ქრისტიან ხალხთა პირისპირ ქართული ერთობის ინდივიდუალობის გამოკვეთას<sup>4</sup>.

მაგრამ ამ დისპუტში იდენტობის ისტორიის თვალსაზრისით კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო სხვა მოქმედები, კერძოდ, ნაციონალური დირქებისა და ნაციონალური ხასიათის იდეალების გაცხადება.

პაგიოგრაფს დაფიქსირებული აქვს ანტიოქიის პატრიარქის მრჩეველთა მიერ ქართველების უარყოფითი და ქედმაღლური შეფასება. ქედმაღლობა გამოსჭივის პატრიარქის მიერ წმიმამის დადგებით დახასიათებაშიც, რომელსაც წმიდა გიორგი მთაწმიდელის ”ცხოვრებაში” აღწერილი მათი შეხვედრის ორივე ეპიზოდში თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს:

”დადაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, სხვთა კულა ყოვლითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარ”<sup>5</sup>.

”დადაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, ხოლო სწავლულებითა და მეცნიერებითა ჩეუნივე სწორი ხარ”<sup>6</sup>.

ეს შეფასება, მართალია, განადიდებდა გიორგი მთაწმიდელს პიროვნულად, მაგრამ იგი ამცირებდა ქართულ ჩვენ-ჯგუფს, რომელიც, მათი წარმომთქმელის პოზიციით, აშკარად არ არის ბერძნულის სწორი. სიტუაცია, რომ ამგვარად უნდა გავიგოთ, ეს ჩანს წმიდა გიორგი მთაწმიდელის პასუხიდანაც, რომელშიც იგი უპირველესად წამოჭრის ნაციონალურ საკითხს. პაგიოგრაფი გვიჩვენებს თუ როგორ ხისტად პასუხობს წმიდა მამა პატრიარქს და ბერძენთა პრეტენზიებს განათლებით უპირატესობაზე უპირისპირებს ქართველთა მორალურ უპირატესობას: ”ხოლო ნეტარმან ამან დაწყნარებით და ხელიად პრქუა პატრიარქსა, ვითარმედ:” შ, წმიდათ მუშავო, რადასათკაშე ესრებ ადვილად ჭელ-ჟავ დიდისა ამისა და მაღლისა საქმისა მოგონებად და აღ-

სრულებად, და ვინ-მე არიან უგუნურნი იგი მომზრახნი შენი, ანუ რად ქსრეთ უფრო ნურად შეგირაცხიეს ნათესავი ქართველთა წრფელი და უმანკომ? პა უსარენატენუს უნარნებესი და უმდაბლესი ყოველთა მმათა ჩემთა. მე მოგცე მათ ყოველთა წილ ასეუხი. მოღებად-ც წიგნი მიმოსლებისა ანდრია მოციქულისად და მუნით გუვწყოს საძიებელი ოქუენი<sup>7</sup>. შდრ. აგრეთვე ცოტა ქვემოთ: "წმიდაო მუშაფეო, რომელნი-ეგე ჩუქნ უშეცრად და სუბჟად გუხედავთ და თავნი თქუენი ბრძექ და მბიმე გიყოფან. იყო უამი, რომელ ყოველსა საძერძნეთსა შინა მართლმადიდებლობა არად იპობოდა და იოგანე გუთელი ეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა"<sup>8</sup>. ე.ი. უმეცრებას და სიმჩარეს უარყოფს, მაგრამ არა პირდაპირ, ე.ი. ქართველობის სიბრძნის მტკიცებით, არამედ ქართველობის გამორჩეული სიმტკიცით მართლმადიდებლობის დაცვაში. ე.ი. კვლავ სიწრფელეს, შეურცენელობას ესმევა ხაზი.

ამით, ცხადია, იმ სულიერი დისკომფორტის განეტრალება ხდებოდა, რომელსაც იწვევდა ქართული ჩვენ-ჯგუფის წევრებში ქართულ კულტურასთან შედარებით ბიზანტიურ კულტურის თვალსაჩინო უპირატესობის (გარეგნული ბრწყინვალებით, გავრცელების არეალით და ა.შ.) ფაქტი. ეს მოდელი ახალი დროის ნაციონალური სენტიმენტების მაფიო მახასიათებელიცაა. შდრ., მაგალითად, ამის შესახებ უკვე ნახსენები ესმითის შენიშვნა: "მზანი ისაა, რომ მოინახოს ეს შინაგანი სიმდიდრე, მოხდეს ავთენტური თვითის რეალიზება, რაც ხანდახან ერთი აღმონათქამით გამოიხატება: 'დასავლური დახელოვნება, აღმოსავლური ზეობა', რომელიც აზის თანდაყოლილ სულიერ ჸპირატესობას გულისხმობს დასავლეთის ტექნოლოგიური წარმატებების საპირისპიროდ. ამგვარი პოზიცია იცავს დამცირებულის შინაგან დირსებას"<sup>9</sup>.

ერთობის კოლექტიური ხასიათის გამოკვეთისას წმიდა მამამ აშკარად მიაგნო არსებით შტრიხებს. ამას ადასტურებს ის ფაქტი, ქართული კოლექტიურ მეს მისეული პორტრეტის ევლავწარმოებას ვხდებით შემდგომ მწერალთა შემოქმედებში: შდრ. წმიდა მამის ბიოგრაფის მსჯელობა: "ეგრეთვე დადაცათუ პირველითაგანვე გუქონდეს წერილიცა და სარწმუნოება ჰქეშმარიტი და მართალი, გარნა ჰქეუყანად ჩუქნი შორს იყო ქუყანისაგან საბერძნეთისა. და ვითარცა თესლი არაშიმიდანი შორის ჩუქნისა დათესულ იყენეს ბოროტნი იგი თესლი ხომეხთანი, გულარაზნილნი და მანქანი, და ამის მიერ ფრიად გუვნებოდა, რამეთუ ნათესავი ჩუქნი წრფელი იყო და უმანკომ; ხოლო იგინი რეცა მიზეზითა წესიერებისათა, რეცა ცოუნებად გუაზმნობდეს, და რომელნიმე წიგნიცა გუქონდეს მათაგან თარგმნილნი<sup>10</sup>; შდრ. პეტრიწონის ქართველთა მონასტრის 1083 წლის ტიპიკონი<sup>11</sup>; იგივე აგტოსტერეოტიპი დახსტურდება XII საუკუნის მწერლის ნიკოლოზ გულაბერიძის თხზულებაში "საკითხავი სუბტის ცხოველისა, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე კლესითისა"<sup>12</sup>.

თუ კვლავ სემოდასახელებულ თეორიულ გამოკვლევას მივმართავთ, აღმოვაჩენო, რომ ეს მომენტიც კარგად კონტექსტუალიზდება ნაციონალური იდენტობის გამოკვეთისაკენ მიმართული ღონისძიებების მხოფლით-ისტორიულ გამოცდილებაში: "ნაციონალური იდენტობის იდენტობის კონტექსტული კონტექსტით გამოიჩინება. ამ თვისებათაგან პირველი პეტრიდა მხედველობაში რუსოს, როცა წერდა: 'პირველი წესი, რომელსაც ჩვენ უნდა მიეცდოთ, არის ნაციონალური ხასიათი: ყოველ ხალხს აქს ან უნდა პეტრიდეს ხასიათი; თუ ხალხს არა აქს ხასიათი, პირველ რიგში მას ხასიათი უნდა შევუქმნათ'... იგი რჩევებს აძლევდა კორსიკელებსა და პოლონელებს იმის თაობაზე, თუ როგორ



უნდა განევითარებინათ მათ შესაბამისი ნაციონალური ტრადიციები და კულტურული სტილი და ამით შეენარჩუნებინათ თავიანთი ნაციონის კოლექტიური ხასიათულებები

დღინგვისტური განხორმილება. ენის, როგორც კოლექტიური კულტურული იდენტიტების მარკერის, განსაკუთრებული მნიშვნელობა საყოველთაოდაა აღიარებული. ეს მარკერი მაქსიმალურად ხელს უწყობს შიდა-ჯგუფური შეჭიდულობის განმტკიცებას და გარეგან დასაზღვრას. იგი, შეიძლება ითქვას, ვიზუალური მარკერია. ჩვენ-ჯგუფის წევრთა შორის სოლიდარობის სენტიმენტის გაჩენას პირველ რიგში სწორედ ენა აპროვოცირებს და არა მიჯაჭულობის ისეთი დიდი ძალის მქონე იდეა, როგორიცაა ჩვენ-ჯგუფის წევრთა საერთო წინაპრიდან წარმომავლობა, რადგან ტესტირება სისხლით პრაქტიკულად შეუძლებელია, მაშინ როცა ტესტირება ენით წარმოვებს პირველივე წამოთქმული ფრაზით.

ენობრივი მარკერით აღბეჭდვა ძნელად მისაღწევია ჩვენ-ჯგუფის გარეშე მდგომისათვის. თმის ვარცხნილობის, ტანისამოსის, კვების რაციონის და ა.შ. გათავისება, ცხადია, უფრო უიოდედება უცხოელს, ვიდრე სხვისი ენის მშობლიურივით დაუფლება.

კოლექტიური კულტურული იდენტობის საფუძველზე აღმოცენებული ერთობის ისეთი მოდელისათვის, როგორიცაა ეთნიკ, წეველებრივ დამახასიათებელია ენობრივი ჯრიაციები ანუ დიალექტები. მაგრამ ნაციონალური, როგორც საჯარო კულტურის მქონე ერთობის მოდელისათვის, ნიშანდობლივია ენობრივი ნორმა. თუ დიალექტების განვითარება ხალხის წიაღში სტიქიურად ხდება, ენობრივი ნორმა ყოველთვის არის ჩვენ-ჯგუფის კულტურული ელიტის შეგნებული მოღვაწეობის შედეგი.

ერთობის ნაციონალური მოდელი გულისხმობს ინტენსიურ ურთიერთობებს რეგიონებს, სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის. ამისათვის საჭიროა ერთიანი ლინგვისტური კოდი ანუ სტანდარტიზებული ენა. სტანდარტული ენა აუცილებელია პოლიტიკურ ხელისუფლების ეფექტური მოქმედებისათვის, რადგან, ჯერ ერთი, პოლიტიკური ერთეულის სიმტკიცე საჭიროებს, რომ იგი იყოს იმავდროულად კულტურული ერთეულიც; მეორე, ენა, როგორც კომუნიკაციის მედიუმი, ემსახურება არა მარტიკულტურის ცირკულაციას, არამედ ნაციონალისტური იდეებისა და სენტიმენტების მატარებელ სახელმწიფო იდეოლოგიის გავრცელებასაც. ნაციონალური ერთობა "ინდივიდის პიროვნულ თუ ლოკალურ იდენტობას ზემოდან აფენს ნაციონალურობას იმით, რომ ახდენს ინდივიდუალური ეგოს იდენტიფიკაციას ყველა სხვასთან ნაციის შიგნით და აცილებს მას სხვებისაგან ნაციის გარეთ"<sup>14</sup>.

გრამატიკული აზრის განვითარებას, ენის შინაგანი რესურსების მოძრაობაში მოყვანას და საბოლოო ჯამში ენობრივი ფორმების კოდიფიკაციას და მათი ფუნქციების დახვეწას განსაკუთრებულად უწყობს ხელს თარგმანი, რადგან თარგმნის პოლიცეის უცხო ენასთან შეჯერებას, უცხოეური დექსიითა თუ ფრაზებით ენის გამდიდრების აუცილებლობას წარმოშობს. მთარგმნელობითი საქმიანობის განხილვა ნაციონალური კონსოლიდაციის ეპოქის კულტურული რენესანსების თანმდევი მოვლენაა.

ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში ამ ფაქტს საქართველოშიც პქონდა ადგილი. კულტურული ელიტის წარმომადგენლებმა მთელი თავისი ძალისხმევა წარმართეს მთარგმნელობითი საქმიანობისაკენ. ეს პროცესი კი მიმდინარეობდა უზენაეს პოლიტიკურ ხელისუფლადთა უშუალო მეთაგალენურობის ქვეშ.

წმიდა მამა გიორგი მთაწმიდელი აღნიშნული პროცესის უმთავრეს აქტორად გვევლინება. იგი საეკლესიო ლიტერატურას თარგმნიდა და, ერთი შეხედვით, ამით



მხოლოდ რელიგიური მარკერის განმტკიცების საქმეს ემსახურებოდა, მაგრამ აშენაა, რომ ამ პროცესში უაღრესად დაიხვეწა თავად ქართული ენა. საქართველო  
საინტერესო ისაა, ამ პროცესში თანამედროვენი თარგმანებს უარისებდესად სწორედ ენის განვითარებისათვის ხელშემწყობად მიიჩნევდნენ.

წმიდა გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფი, მისივე მოწაფე, შენიშნავს, რომ თავის მოღვაწეობაში უველაზე მნიშვნელოვანი საქმედ წმიდა გიორგი მთაწმიდელი თარგმანზე მუშაობას მიიჩნევდა. პაგიოგრაფის აღფრთვისას უველაზე მეტად სწორედ წმიდანის ამ სფეროში შეტანილი დავაწლი იწევეს: „და რაოთურთით არა სცემდა განხუნებასა თავსა, არამედ დღე და დამე ტკბილსა მას თაფლსა წიგნთა საღმრთოთასა შურებოდა, რომელთა მიერ დაატბო ენად ჩუენი და წმიდანი ეკლესიანი განაშუნებია და წერილთა თვესთა ოქროთი განამდიდრნა უხუდ და გარდარეულად რამეთუ ემსახვასა გამომდებელსა მას ჰელონასა, კითარცა იგი ქიმიათათვს წერილ არს, რომელინი-იგი მრავალღონებით სიძრმისათვა სიღრმეთაგან ქუცანისათა თქროსა გამოიდებენ და ბრძმედისა მიერ და ცეცხლისა ბრწყინვალებისა მისა წარმოაჩენენ. აგრეთვე წმიდისა ამის მამისა ჩუენისა გონებად სიტყვერსა ამას თქროსა ბრძმედ იქმნა მაღნობელ ცეცხლითა სულისა წმიდისათა, განმაგურვებელი და განმარტეველი ოქროსა ბრძენისაგან და თივისა”<sup>15</sup>.

ახალი ოქროპირი უწოდებია ბაგრატ IV მისთვის<sup>16</sup>. ან კიდევ შედრ: “ხოლო ვათარცა ცნა დმრთის-მსახურმან მეცემან ბაგრატ, ვითარმედ სრულ იქმნა თარგმანებად წიგნთა საღმრთოთა და მოირწყენს ეკლესიანი შევის მთისანი წიგნითა მისთა მდინარითა სულთა განმანათლებელითა... შუენიერი ქებად და მაღლობად დაწერა”<sup>17</sup> წმიდა მამასაც მთარგმნელობითი საქმიანობა უძირველესად ესმოდა სწორედ ქართული ენის განვითარებისათვის ხელშეწყობა. ეს კარგდ ჩანს წმ. ექვთიმე ათონელის მისეულ დახასიათებებში: ”რომელი-იგი გამოჩნდა სამეცნიერო ნათესავისა ჩუენისა და მობაძეად წმიდათა მოციქულთა, განანათლა ქართველთა ენად და ქუცანია”<sup>18</sup>. ან კიდევ: „და იგი სანატრელი შეუსვენებლილად თარგმნის და რაოთურთით არა სცემდა განხუნებას თავსა თვესა, არამედ დღე და დამე ტკბილსა მას თაფლსა წიგნთა საღმრთოთასა შურებოდა, რომლისა მიერ დაატბო ენად ჩუენი”<sup>19</sup>.

წმიდა ექვთიმეს თანამედროვე პოლიტიკური ხელისუფლის დავით კურაპალატის დამოკიდებულებაც ენისადმი შესაბამისი ყოფილა: ”მრავალნი წიგნი წარსცნის წინაშე დაგვით კურაპალატისა, რომელინი-იგი იხილნა რამ, ვითარცა იყო მოოწმუნე, სიხარულითა აღიგხვის და ადიდებდა დმერთსა და იტყოდა, ვითარმედ: ‚მადლი დმერთსა ჩუენთა ამათ ფამთა ახალი ოქროპირი გამოაჩინა და ზედასწერდა მიუწერნ, რაოთა თარგმნიდეს და წარსცემდეს. და იგი სანატრელი შეუსუენებლად თარგმნის”<sup>20</sup>.

ამგვარად, წმიდა გიორგი მთაწმიდელმა არა მარტო გამოკეთა ქართული იდგნებობის ნიშა, მოხაზა ნაციონალური დირსებისა და ხასიათის იდგადები, მან აგრეთვე გადამწევტი როლი ითამაშა ქართული იდენტობის ენობრივი მარკერის განმტკიცებაშიც.

წმინდა ერთობა. როგორც ცნობილია, ბაგრატ IV დაუინგბული თხოვნით წმიდა გიორგი მთაწმიდელი დროებით მოსწერდა თავის მნიშვნელოვან საქმიანობას საზღვარგარეთ, დაბრუნდა სამშობლოში და აქ ხუთ წელიწადს დარჩა. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რატომ გახდა ასე აუცილებელი ავტოკრატი მეფისათვის ყოველგარ ხელისუფლებას მოკლებული ბერის დახმარება?

როგორც ირკვევა, წმიდა გიორგი მთაწმიდელი საზოგადოების მორალური თვეასაზრისით განწმედას შესდგომია. განწმენდა ეხებოდა უველას, განურჩევლად სოციალური სტატუსისა: ”ხოლო მიერითგან იწევს აღსაარებად და სინაზულად თვე

შეფერმან, კათალიკოზმან, მდლელთა, დიაკონთა, მონაზონთა და მოწესეთა, დოდეკადი თა და მთავართა, მდიდართა და გლახაეთა... და ესრეთ განანათლა ყოველი რეზიტუაცია საელეთი კაცმან ამან განათლებულმან ღმრთისა მიერ და ყოველნივე ცხადის მის დამატებული ფარული უწესობანი განმართნა, რამეთუ პირველად ყოველისა აღლესა მახვდი მხილებისა მეფეთა მიმართ მრავალთა უწესოებისათვეს უშიშად და თუაღუსებად, სიბრძნით და გონიერად, რათა არა პყიდვებს საეპისკოპოსათა კაცთა მიმართ უწესოთა და უსწავლელთა და ყოვლითურთ სოფლისა შემსტულელთა და უწესოებათა და მიმოსლებათა შინა აღზრდილთა, არამედ გამოარჩევდეს კაცთა ღირსთა და წმიდათა მონაზონებასა შინა აღზრდილთა<sup>21</sup>.

როგორ იკოსება ეს მოღვაწეობა ქართული იდენტობის სამანების განმტკიცებისა კაცმან მიმართულ ქმედებათა კონტექსტში?

ცნობილია, რომ კოლექტიური კულტურული იდენტობების საფუძველზე აღმოცენებული ერთობები გამოიიჩინება განგრძობადობით, თვითშენახვის დიდი შინაგანი რესურსებით. ამის მიზეზი, როგორც სამართლიანად არის მითითებული სპეციალურ ლიტერატურაში, ისაა, რომ ამგვარი ერთობები, განსხვავებით უბრალო ინტერესთა ჯგუფებისაგან, წარმოადგენენ არა ეფუძნებოდნ არამედ ისეთ კავშირებს, რომელთა წვერები თავიანთ ერთად ყოფნას აღიქმენ როგორც უცლის ნებით განსაზღვრულ ხდომილებას. ნაცია მოიაზრება, როგორც ნაციონალური ერთობის წვერების ერთმანეთის მიმართ და უფლის მიმართ სრულიად გარევეული ეთიკური გალდბულებების მქონე მოქადაქეთა საქრალური თანაზიარება. ნაციები ეთიკური ერთობები არიან: "ამგვარ მომენტებში შეგვიძლია ნაცია დავინახოთ, როგორც მოქადაქეთა წმინდა ერთობა"<sup>22</sup>; "უკვე ის, რომ მსვლითი ერთობებად და ნაციებად იყოფა, რომლებიც თავიანთ ტერიტორიებს ანუ სამშობლო მიწებს ფლობენ, რომელთაც საკუთარი ისტორიები და ბევრისწერები აქვთ, იმგვარ წმენას ნერგავს, რომელსაც ადამიანთა უმრავლესობა იშვიათად თუ უდალატებს. ეს ფორმა, რასაც "საქარალური თვისებები" ან, უფრო ზუსტად, ნაციის ბაზისური თვისებები შეიძლება ეწოდოს, მისი წერების საკრალურ თანაზიარებად გაიაზრება"<sup>23</sup>.

სოციალურად დანაწერებულ ფეოდალურ საქართველოში ქრისტიანული ეთიკა იყო ერთადერთი არია, რომლის მმშვებობით ცირკულირებდა შიდა-ჯგუფური სოლიდარობის სენტიმენტები, და იდეოლოგია, რადგან ეთიკურ შეკალასთან მიმართებით ჰქონდას ეკავა ერთგვაროვანი პოზიცია. ის რომ, პოლიტიკური ერთეულის განმტკიცება დამოკიდებული იყო შისი კულტურული განხომილების გამოკვეთზე, ქართველმა პოლიტიკოსებმა, როგორც ვნახეთ, ამოიცნეს და აქტიური თანამშრომლობა იწყეს ერთობის კულტურულ ელიტასთან. ბაგრატ IV გააცნობის ისც, რომ სიმტკიცისათვის აუცილებელი იყო ქართული ერთობა ყოფილიყო ამავე დროს მორალური ვალდებულებების საზოგადოება. ეს ზრდიდა სოციალურ შეჭიდულობას, ხელს უწოდდა და კულტურული პომოგენიზაციის პროცესის გაშლას მთელი ჯგუფის მასშტაბით.

ქართული ერთობის მორალური ვალდებულებების ერთობად გადაქცევის ამოცანა კი შეეძლო განხეორცილებინა მხოლოდ თავად უაღრესად მორალურ პიროვნებას. ამიტომ არ მოეძებნა შემცველები წმიდა გიორგი მთაწმიდებლს ბაგრატ IV მიერ აღნიშნული მიმართულების საშინაო პოლიტიკის განხორციელებისას.

წმიდა მამის მოქმედება ამჯერად, ეხებოდა ჯგუფის არა გარე საზღვრის გამოკვეთას, არამედ შედა ტიხერების წაშლას, რა თქმა უნდა, იმ ღონებე, რა ღონებეც ეს შეიძლებოდა მომხდარიყო შუა საუკუნეებში, საზოგადოების წოდებრივად დაყო-

ფის პირობებში. ამგვარმა მცდელობებმა, რომ თავის მიზანს გარკვეულად მიღწეა/ ეს კარგად ჩანს წმ. გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფის თუნდ შემდეგ მსჯელობრიცხული

“და ესე ნუვის უკურს, რამეთუ მამად-მთავარიცა დიდი ოსებ მოჰქონდა უფრო და სიწმიდე მისი ყოველთა შორის იქნის, რომელი-იგი უკუანასკნელ მეფე იქნა ეგპტისა; ხოლო დავით და ამოს არ მწევმესნი იყენესა, რომელი-იგი ერთი მეფე იქნა, ხოლო მეორე წინასწარმეტყუელი”<sup>24</sup>.

როგორც ვხედავთ, მასწავლებლის იდეებით გამსჭვალული პაგიოგრაფი თვლის, რომ დაბალი სოციალურ წარმომავლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას არც უზენა- ესი საერო და სასულიერო ხელისუფლების, არც სიწმინდის, წინასწარმეტყველების ნა- ჟის მოპოვების გზაზე ამგარად, წმინდანი ნაციონალური ერთობის კონსოლიდაციის კატალიზატორი ხდება. საკრალურ ბაზისზე აღმოცენებული ჩვენ-ჯგუფის განვითა- რებისათვის წმინდანობის ამგვარი საზოგადოებრივი ფუნქცია, ბუნებრივია, წარმოადგენ- დეს ზოგად სოციალურ კანონზომიერებას. ამ თვალისაზრისით ქართულთან ერთად, ვფიქრობ, საინტერესო იქნება სერბული გამოცდილების გათვალისწინება, რომელიც თა- ვის არსით ქართულის იგივეობრივია: გაერთიანებული სერბეთის პირველი მეფები იყ- ნენ წმინდანებიც და სასწაულობრივი თუმცადა ამ კანონზომიერების გამოვლინე- ბის ფორმაში სხვაობაც შეინიშნება: ქართულ შემთხვევაში მეფე და წმინდანი თანამ- შრომლობს, სერბულში მეფობა და წმინდანობა ერთ პირობებაში იყრის თავს.

საერთოდაც რომ მართლაც ნაციის პაზისური მასასიათებულია, ეს ვლინდება თუნდაც იმ ფაქტით, რომ წმინდანობის აღნიშნული საზოგადოებრივი ფუნქცია დღემ- დე უცემელია და არის დანართუნებული. ამ მხრივ ძალიან ნიშანობლივად მეტვენიბა- თანამედროვე ქართველი მეცნიერისა და ამავე დროს შიდა-ჯგუფური მობილიზაციი- სათვის პრაქტიკულად მოღვაწე პოლიტიკოსის ზეგმისახურდისა შემდეგი შენიშნება: “წმინდანი იყო მუდამ იდეალი ჩვენი წინააღმისა და ჩვენთვისაც უნდა დარჩეს იდეა- ლად თუ გეგმურს ჩვენი ეროვნული და კულტურული არსებობის შენარჩუნება დღეს, ოქ- კანის პირისპირ, რომელიც ნოქაებს ყოველგვარ ეროვნულ კოლორიტსა და ნიუანსებს. ის კრი კი, რომელიც დაპარგავს წმინდას და კულტურულ უპირატესობას ვერ შეინარჩუ- ნებს მომხდეულებებს, უთუოდ დამარცხებებს. წმინდანი იყო და არის იდეალი განათლებული კაცობრიობისა, მას ვერც ერთი სხვა იდეალი ვერ შეცვლის ვერც მომავალში”<sup>25</sup>.

შეუ საუკუნეებში, როცა არ არსებობდა თანამედროვეობის მსგავსი სახელმწი- ფო ინსტიტუციები, საზოგადოების პოლიტიკური ლიტიალობა ცენტრირებული იყო მხეოლოდ მეფეზე, ხოლო მეფობა აღიმებოდა საკრალურად. სხვაგვარად შეუძლებე- ლიც იყო: წმინდა ერთობის მეთაური თავად უნდა ყოფილიყო ზეციურ ძალასთან თვეს, რომლის გარშემო თავს იყრიდა მოელი ერთობა. ასე რომ, მეფეც იდენტობის სამანს ქმნიდა.

მეფის, როგორც ქართული ერთობის ზენობრივი ორიენტირის, მნიშვნელობა კარგა ხანია გარკვეულია ქართველოლოგიაში. საკითხის ძალიან საინტერესო გან- ხილვა ბაგრატიონთა დინასტიასთან დაკავშირებით სათანადო ისტორიოგრაფიული მქ- სკურსებით წარმოდგენილია. მ.კარძელაშვილის გამოკვლევაში<sup>26</sup>.

მეფისადმი ამგვარი დამოკიდებულება ჩანს საანალიზო პაგიოგრაფიულ ძეგლ- შიც. წმინდა მამა ასე მიმართავს ბაგრატ IV: “შ მეფეო, აპა ესერა ვხედავ პირსა შენსა, ვითარცა პირსა ქრისტესა, რამეთუ ყოვლითურთ ღმრთისმსახურ ხარ და ღმრთივ-დაცვულ”<sup>28</sup>. ამ ძეგლში კიდევ არაერთხელ შეგხდებით ბაგრატ IV მიმართ ღმრთივ-დაცვულ”<sup>29</sup>. ბერი მთლიანად მხარს უტკრს ბაგრატის საშინაო პოლი-



შიგას. ამიტომაც შიდა მტერზე გამარჯვება ბაგრატს ბერის ლოცვისა და მათლის უკროცხლის უსაფრთხოება შედგად ესახება:

“ხოლო მას უამსა იქმნა დიდი განმარჯვება მეფისაა, ოდეს-იგი შეწევნითა დღრთისათა წინააღმდეგომი თუსისა მეფობისანი აბას ქენი შეიძყრნა, რომელთათვეს უკველთა უწყით ჰქეშმარიტებით, ვითარმედ შეპყრობა მეფისა და ეგულებოდა. ესე კაცი ის ძლიერი გითარცა უძლეური და ყრმანი ჩხვლნი, ეგრეთ შეიძყრნა, რამეთუ წუთ თუ არა გამოსრულ იყო შემდგომად მისლვისა ჩუენისა, ესე ვითარცა ჰქელად იხუნა წარავლინა მწოდებელი ბერისა თანა, და ვითარცა შევიდა ბერი მიულოცა განმარჯვება იგი, პრქუა მას მეფემან, ვითარცა იყო მორწმუნება და ღმრთის მსახური: მწიდათ მამაო, არად ვინამ არს განმარჯუება ესე ჩუენი თვინიერ ლოცვისა და მადლისა შენისა”<sup>30</sup>.

ცხადია, ეს არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც რაღაც მიწიერი ურთიერთ-სარგებლიანობით გამოწვეული ურთიერთობა. ბერს მეფისაგან არაფერი ესაჭიროებოდა. მსოდოდ მას შემდგებ დაბრუნდა, რაც დაარწმუნეს, რომ არავითარ საეკლესით თანამდებობის დაგავებას არ აიძლებდნენ. დაკრძალვაც თავისი მწირობის ქვეყანაში სურდა და არა სამშობლოში. მეფისათვის მისი მსარდაჭერა ახსნება იმით, რომ დათისმახურ მფლეზე ცანტრიორებული ლოიალობა არის ერთობის თვითშენახვის გარანტია. ბაგრატიონთა დინასტიის მრავალსაუკუნოვანნა არსებობამ დიდად განაპირობა ქართული იდენტობის განგრძობადობა და უწყვეტობა. წმიდა მამის პიროვნების ანალიზი გვანახებს თუ როგორ პარმონიულად უთავსებდომა ერთმანეთს ქართველ ქრისტიანთა მსოფლებელაში ნაციონალური და ქრისტიანული: ნაციონალური ერთობა იყო ქრისტიანული მორალის ერთობა, ხოლო სისხლის ერთობა ამავე დროს რწმენის ერთობა იყო.

სხვები. ჩვენ უკვე ვიღალაპარაკეთ წმიდა მამის სიტყვისგებაზე ანგიოქიის პატრიარქთან საქართველოში მოციქულთა ქადაგების შესახებ. მეორე საკითხი, რომლის შესახებაც განმარტებების მიცემა მოუწია გიორგი მთაწმიდევლს ბერძნებთან, ეს იყო ქართველთა სარწმუნოების იდენტიფიკაციის საკითხი. როგორც ცნობილია, სარწმუნებაც უმნიშვნელოვანებს მარკერს წარმოადგენს ნაციონალური იდენტობისათვის. სარწმუნება ისევე როგორც ენა, არის არა მარტო შიდა-ჯგუფური შეკიდულობის საფუძველი, აგრეთვე სხვებთან მიმართებაში მტკიცე სამანი. მაგრამ თუ ენა იყო ქართველთა სრულიად სპეციფიკური მახასიათობელი, მართლმადიდებლური ქრისტიანობა ტრანსნაციონალური მარკერი იყო. მას უნდა შეენარჩუნებდა ამგვარი ხასიათი, მაგრამ ამასთან უნდა ყოფილოყო ნაციონალური მარკერიც.

სარწმუნების საკითხებები საუბარი შედგა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დეკასთან. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა ძალიან თრიგინალურ პოლიტიკურ ფიგურას. მის თანამედროვე ისტორიკოსს მიქაელ ფსელოსს დაფიქსირებული აქვს იმპერატორის აზრი იმის თაობაზე, რომ მას ურჩევნია იცნობდნენ ისტორიაში უფრო მეტად როგორც მეცნიერს, ვიდრე იმპერატორს<sup>31</sup>. კონსტანტინე დუკა ყოფილა მორწმუნებინდა წერილის ბრწყინვალე მცოდნე და ამავე დროს რიტორიკის დიდი მოყვარული. აი, ამ იმპერატორმა ბერს თხოვა განმარტებები მიეცა სარწმუნოების საკითხებზე. ერთ-ერთი მისი კითხება შეეხებოდა ურთიერთობიმართებას ქართველთა და ბერძნებთა სარწმუნოებას შორის. ბერმა წარმოუდგინა ქართველთა სარწმუნოება, აჩვნა ბერძნებულთან მისი დოგმატური იგივეობა, ოდონდაც მიუთითა განსხვავებაზე ისტორიული გამოცდილების თვალსაზრისით<sup>32</sup>. როგორც ითქვა, ქართული იდენტობისათვის მართლმადიდებლობა იყო ერთ-ერთი უმთავრესი მარკერი. ამით იგი თვალსაზრის მეოჯნებოდა მეზობელ სომხურ იდენტობას. მაგრამ მარკერთა იგივეობა ჩვენს

ჯგუფისათვის ქიდევ უფრო მეტ საფრთხეს შეიცავდა, ვიდრე სხვაობა. სარწმუნოებრივი ერთგარობის შემთხვევაში ბერძნებთან განსაკუთრებით მკაფიო შესტაციულება დადგება ხელით საჭირო. ქართველთა ქრისტიანობის დახასიათებისას წმიდა გორგი მთაწმიდელის მიერ შერჩეულმა შტრიხმა - ისტორიული გამოცდილების უნიკალობა - თავის მიზანს რომ მიაღწია, ამას იმპერატორის გაკვირვების სიტყვებიც ადასტურებს. რადგან გაკვირვების გამოხატვით შტრიხი უფრო შთაბეჭდებით გახდა მსმენელთაოვის. "ხოლო განკურდა მეფე, ესმა რა ვითარმედ" არღარა შიდრე ილგაროვო"<sup>33</sup>. ამრიგად, ბერძნების იგივეობრივი რწმენა გვაქვს, მაგრამ სრულიადაც არა ვართ ბერძნები - აი, რას ამბობს წმ. გიორგი მთაწმიდელი.

იმპერატორის მეორე კითხევა შექხებოდა ბერძნებთა და ლათინთა სარწმუნოების ურთიერთმიმართებას<sup>34</sup>. წმიდა მამამ ბერძნებისა და ლათინების ლიტურგიულ პრაქტიკაში განსხვავებანი კვლავ ისტორიული გამოცდილების სხვადასხვაგარიობით ახსნა. მან მიუთითა, რომ ბერძნული სარწმუნოების აღნიშნული თავისებურებანი არის სამახსოვრო ბერძნული კელების მიერ მრავალი წვალების დაძლევისა. რაც შექხება ლათინებს, მათში მწვალებლობა არასოდეს ყოფილა, ამიტომაც ისინი თავდაპირველ ლიტურგიულ პრაქტიკას ინარჩუნებენ<sup>35</sup>.

ეს პასუხი შეკვლევართა აზრთა სხვაობის საგნადაა ქცეული. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ანალიზი ცხადყოფს, რომ სპეციალისტთა ერთი ნაწილი სათვის არსებითად გაუგებარია ოოგორო XI საუკუნის შუა ხანებში ქართულ-ბიზანტიურ ურთიერთობათა ხასიათი, ასევე ე.წ. აღმოსავლეური სქიზმა და აქედან გამომდინარე წმიდა გიორგი მთაწმიდელის მიერ კონსტანტინე დაუკასთან საუბარში გაეკუთბული დიპლომატიური აქცენტების რეალური მნიშვნელობა. ფაქტობრივი მონაცემების გაუთვალისწინებლობით არის გამოტანილი დასკენები იმის შესახებ, რომ წმიდა გიორგი მთაწმიდელმა ლათინური ქრისტოლოგია დაავენა მართლმადიდებლურზე წინ, რომ თთქოსდა წმიდა მამის მიზანს შედგენდა შესულიყო რომის კელები დაშში, რომ მას დასუსტებული ბიზანტიის უარყოფა და რომის სახით ახალი მოკაფშირის მოძიება, ლათინთა გულის მოგება სურდა, რომ მთაწმიდელების მოღვაწეობის კოქებში ხელია ბერძნული წესის არასასარგებლოდ მანამდე არსებული წონასწორობის დარღვევა და ა.შ.

მართალია, ქართული იდენტობის მართლმადიდებლური მარკერი წმიდა მამა გიორგი მთაწმიდელის მოღვაწეობაში ბერძად ადრე წარმოიშვა, მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მას განსაკუთრებული მიუძღვის დაწლი მისი გამოკვეთაში. იმპერატორთან ადნიშნული საუბრის ხანა საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობაში არის არა დაპირისპირების, არამედ თანამშრომლობის ხანა. არაა მართობული ოვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ქართველები ხელავნენ ბიზანტიის დაუძლეურებას. მართალია, დაცემა უკვე დაწყებული იყო, მაგრამ გარეგნულად ამის არავთარი ნიშნები ჯერ კიდევ არ ჩანდა, ეს იყო იმპერიის კულტურული ბრწყინვალების ქოქა. იგი კვლავინდებურად ძლევამოსილად გამოიყურებოდა სამხედრო ოვალსაზრისითაც, ყოველ შემთხვევაში ასე იყო ეს მანაზექერტის ბრძოლაში 1071 წელს თურქებთან დამარცხებამდე. ამიტომ შეუძლებელია, რომ ამ ვითარების თანამედროვეთ ეფიქტათ ბიზანტიის დაუძლეურების დასაწყისს. წმიდა მამა გიორგი მთაწმიდელსა და კონსტანტინე დუას საუბრის დრო ქართულ-ბიზანტიურ ურთიერთობებში ესაა დათბობის კერიოდი, ბიზანტიის მხრიდან იმპერიული დიქტატის პოლიტიკის თანამშრომლობით შეცვლის ხანა. ბუნებრივია, რომ ქართული დაპლომატია ამას საკუთარ წარმატებად მიიჩნევდა. წმიდა მამა ცდილობდა ამ მიღწევის განმტკიცებას და არავითარ შემთხვევ-



ვაში ბიზანტიისთან დაპირისპირებას, რომელიც, ვიმეორებ, მაშინ ჯერ კიდევა ჰქონდა და მდგრადი ისლად გამოიყურებოდა. ქართველი ბერის მისიას ამ შემთხვევაში აშენდა ადგენდა, რომ ერთმორწმუნებ პოლიტიკურ პარტიითან თანამშრომლობას ქართული იდენტობისათვის ზიანი არ მიუკერძინა. ეს მან მოახერხა მართლმადიდებლობის აღმსარებლობაში ქართული ისტორიული გამოცდილების ბერძნულისაგან განსხვავებული გამოცდილების ჩვენებით. ლათინელებისადმი დადებითი დამოკიდებულების გამოქადაცებით, წმიდა მამა, საფიქრებელია, კიდევ ერთხელ ამახვილებდა მსმენელთა ფურადღებას ქართული იდენტობის ამ მარკერზე, კერძოდ, მართლმადიდებლობის ქართველთა მიერ უფრო მტკიცებდ დაცეს ფაქტზე, ოღონდ თუ თავიდან ამის თაობაზე პირდაპირ განაცხადა, ახლა იგივეს იმეორებდა ირიბად, ლათინთა ისტორიული გამოცდილების ქების საშუალებით.

წმიდა გიორგი მთაწმიდელის პოზიციის გაგებისათვის, ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება ეკლესიის ისტორიის დასავლელი მართლმადიდებელი მკვლევრის ჯონ მეიკნიდოფის შემდეგი შენიშვნის გათვალისწინება: ”გარკვეული თეოლოგიური პოლარიზაცია ბერძნულ აღმოსავლეთსა და ლათინურ დასავლეთს შორის არსებობს, სულ უკანასკელი, IV საუკუნიდან. მაგალითად, სამების თეოლოგია ფორმულირებული იყო განსხვავებულად. ასევე ლათინები და ბერძნები ხშირად იკავებდნენ მონოფიზიტების მიმართ ერთმანეთისაგან დაშორებულ პოზიციას. რომი ქალკედონში მიღებული ორი ბუნების ფორმულის უფრო მეტად თანმიმდევრულ მიმდევრად რჩქოდა, მაშინ როცა კონსტანტინეპოლი უფრო მსად იყო გაეხსევნებინა კირილე ალექსანდრიული, რომელიც ასევე საუბრობდა ერთ განსხვარციელებულ ბუნებაზე”<sup>36</sup>.

ასე რომ, მონოფიზიტებისადმი ლათინთა დამოკიდებულება უფრო მისადები იყო ქართველთათვის. მონოფიზიტებისადმი დამოკიდებულება კი, როგორც ცნობილია, უმთავრესია ქართული საშინაო პოლიტიკისათვის XI საუკუნეში. წმიდა მამა ლათინთა ქებით, სწორედ ამ საკითხში ბიზანტიელთა მერყეობას უსვამს ხახს წარსულში. ეს უკანასკელი სიტყვა საგანგებოდა ჩემ მიერ აქცენტირებული. საქმე ეხებოდა სწორედ წარსულს და არაეითარ შემთხვევაში, აწმოს. კრიტიკუმი ბიზანტიის სარწმუნოებისადმი აწმოში გიორგი მთაწმიდელის პასუხში არ ჩანს და ეს ბუნებრივიცაა. რაღაც შეუფარავი კრიტიკა ვერ იქნებოდა დაძლომატიის ენა ქართველთათვის. პოლიტიკურ პარტიის – კონსტანტინე, დუკას, ეს არ მოეწონებოდა. რაც შეეხბა წარსულს, ეს ამ უზენაესი ხელისუფლის, ახალი დინასტიის დამაარსებლის, სახრუნავი არ იყო, რომელიც, ცხადია, თავის წინამორცებულთა ურწმუნობაზე პასუხისმგებლობას არ იზიარებდა.

წმიდა მამის მიერ ლათინთა სარწმუნოების შესახებ კეთილგანწყობილ საუბარს სხვა მომენტიც განაპირობებდა. საქმე ის არის, რომ თანამედროვეთა მიერ კრიზისი ბერძნულ აღმოსავლეთსა და ლათინურ დასავლეთს შორის არ აღიქმებოდა ისე ფატალურად, როგორც შეიძლება დღევანდებით გადასახედიდან ჩანდეს. დააბულობა, აღრეც შეინიშნებოდა, მაგალითად, IX საუკუნეში, მაგრამ მაშინ საბოლოო განხეფილება, როგორც ვიცით, არ ჩამოვარდნილა. პერიოდული კრიზისები, ცხადია, იყო დრმა შინაგანი მიზნების გამოვლენა, მაგრამ პროცესების უშუალო მომსწრეთა თვალში ისინი აღიქმებოდა როგორც ცალკეულ, გაუწონასწორებელ პიროვნებათა ახირებანი. XI საუკუნეში არავის შეეძლო ეფიქრა, რომ ვითარება აღარ შეიცვლებოდა, რომ 1054 წლის სკანდალური ამბები ეკლესიაში აღმოსავლეთად და დასავლეთად საქრისტიანოს ხანგრძლივ (სამუდამო?) გახლებას გამოიწვევდა. ამიტომ რიგი საგადესიო და საერთო მოღვაწეებისა დაღისსხმევას არ იშეუგდდა, რომ ერთიანობა აღმდგარიყო. როგორც კონსტანტინე დუკასთან წმიდა გიორგი მთაწმიდელის მსჯელობა

ცხადყოფს, ქართველი ბერი ცდილობდა საქრისტიანოს დაყოფა კი არ გაშემძლებოდა, არამედ, სწორედ პირიქით. ამის მოსურნე იყო თავად იმპერატორიც, რომლიც სუმბა-ლაში დათინებაც ჰქვდავთ და რომლის შეილის ტახტზე ასვლის მისალენდებულშე დენიმე ხნის შემდგომ რომიდან ეღმობა ჩადის. როგორც მომდევნო საუკუნეების ვითარება აჩვენებს, ქართველები დიდხანს არც კი იმზნევდნენ, რომ რაიმე იცოდნენ საქრისტიანოს დასავლეუთად და აღმოსავლეუთად დანაწევერების შესახებ, რადგან ამგვარი ფრაგმენტაცია მათოვის ამხელებდა ორიენტირებას პოლიტიკურ სამყაროში, აფერებდა ქართველთა ინტეგრირებას ევროპის ხალხთა თანამეგობრობაში, ხელს უშლიდა მუსლიმან აგრესორთა წინაარმდევ ერთიანი ქრისტიანული ფრონტის შექმნას.

იმპერატორის კითხვაზე აქვთ თუ არა რაიმე კაშშირი ქრისტიანობასთან სომხებს, ბერი სრულიად კატეგორიული იყო: ბოროტ სარწმუნოებას, სახელადაც არ უნდა ეწოდოს სარწმუნოებაო. როგორც სამართლიანად მიუთითებს ამ ცნობასთან დაკავშირებით ა. აბდალაძე, როგორაც იყო დასმული კითხვა, ისეთივე აღმოჩნდა პასუხიც<sup>37</sup>. აშკარად ამ საკითხშიც პოლიტიკურ პარტნიორებს შორის თანხმობა სუჯექტადა.

როგორც წმიდა გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფი აღნიშნავს, წმ. მამის მოღვაწეობას ჰქონდა გამოკეთილდად ანტისომხური ხასიათი. თარგმნის დაწყების ერთ-ერთი ძირითადი მოტივი ყოფილა სომხური “დვარძლისაგნ” ქართული ლიტერატურის გაწმენდა. ვინაიდან ქართულ-სომხური იდენტობა ძალიან ახლოს იყო ერთმანეთთან, არა მხოლოდ გეოგრაფიული თვალსაზრისით. საანალიზო კპოქაში საქართველოს სახელმწიფოს უხვად აღმოაჩნდა ეთნიკურად სომები ქვეშევრდომები. საქართველოში ამ დროს მიმდინარე ანტისომხური პროპაგანდის თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს ბაგრატ IV ინიციატივით ღრტილას გამართული კრება და აქ ქართველ და სომები სასულერო პირთა დებატები. ქართველები კიცხავდნენ სომებთა დოგმატურ იზოდაციონიზმს. სომხებისადმი ასეთი დიდი უურადღება და ამგარად უარყოფითი დამოკიდებულება იმის გამოხატულებაა რეალურად, რომ სომხური იდენტობა, როგორც მეზობელი და ამავე დროს დიდი შინაგანი რესურსის მქონე იდენტობა, კველაზე დიდი დაბრკოლება იყო ქართული ჩვენ-ჯგუფის გაფართოების გზაზე. თუ ამ თვალსაზრისით გადავხედავთ საქართველოს ისტორიას, აღმოვაჩინთ, რომ სომხური იდენტობა პერმანენტულ პრობლემას წარმოადგენს ქართული იდენტობის ქვესანისისა თუ უბრალოდ განვითარებისათვის. მეორე მხრივ, სომხობა ხშირად გამხდარა ქართული შიდა-ჯგუფური სოლიდარობის სენტიმენტების ინტესიუიკაციის მზეზეც. რადგან თვითობა წარმონდება უპირველეს ყოვლისა, უახლოეს სხვასთან მიმართებაში და ამიტომაც მეზობელი ხალხი ხშირად ხდება მიზეზი ეთნიკური თუ ნაციონალური კონსოლიდაციის.

გამოკვლევის ფორმატი საშუალებას არ იძლევა სომხური იდენტობის საკითხს ქართულ იდენტობასთან დაკავშირებით ვრცლად შევეხოთ, მაგრამ ორიოდ სიტყვით მაინც არ შეიძლება არ ითქვას იმის შესახებ, რომ ანტისომხური პროპაგანდის პარალელურად მუშავდებოდა სხვა თეორიაც. ამ თეორიის აქტორი იყო წმიდა გიორგი მთაწმინდელის თანამედროვე დეონტი მროველი, რომლის მიხედვით ქართველთა და სომებთა ქართველები ძმები იყვნენ ანუ ქართველები და სომხები ერთმანეთს ენათვსავებიან. ამგვარი ეთნოგრენტიკური კონცეფციის დაფიქსირება იფიციალური ისტორიოგრაფიის მიერ ასანინოებს, რომ ქართველი იდეოლოგები ითვლიდნენ იმ ვარიანტაც თუ არ მოხერხდებოდა სომხეთა სარწმუნოებრივი ბარიერის მოშლა და მათი სრული შერთვა ქართულ ჩვენ-ჯგუფში, მაშინ ამ გზით დარგვულირებულიყო თანაცხოვრება ერთ სახელმწიფოში, მოხსნილიყო ის სოციალური დაბულობა, რომელიც მოჰყვებოდა კულტურულად არაინტეგრირებული, მაგრამ პოლიტიკურად დამორჩილე-

ბული სომხობის ქართულ სახელმწიფოში ყოფნას<sup>38</sup>. როგორც ცნობილია, ამ კონცეფციამ პრაქტიკული შედეგი ვერ მოიტანა, ყოველ შემთხვევაში იგი აშკარად ნაკლებ წარმატებული იყო. ვიდრე ანალიგიური ფუნქციის მქონე ის კონცეფცია, რომლის მიხედვით ქართველ ებრაელებს ენიჭებოდათ სრულიად განსაკუთრებული როლი ქართული ჩვენ-ჯგუფის ისტორიაში. ეს კონცეფცია შეიქმნა ქართველთა გაქრისტიანების პოქაში და მისი საშუალებით თუმც ებრაელების ქართულ-ჩვენ-ჯგუფში შემოყვანა არ მომხდარა, ოუდაურ-ქრისტიანული კონსესუსი საქართველოს მასშტაბით მაინც გახდა შესაძლებელი, რითაც ქართული გამოცდილება უნიკალურია<sup>39</sup>.

ამგვარად, წმიდა მამა გიორგი მთაწმიდელს მიეკუთრებული როლი ქართული იდენტობის სამანების გამოკვეთაში. იყო რა ქართული ერთობის პულტურული ელიტის წარმომადგენელი, ამასთან წარმოადგენდა ტრანსნაციონალური ერთობის – ქრისტიანული ეკლესიის წევრსაც. აქ იგი იყო არა რიგითი, არამედ წმინდანი. ამის გამო არ ახასიათებდა ნაციონალური დასაზღვრულობა იმ დოზით, რა დოზითაც ჯგუფის სხვა წევრებს. იგი ერთგვარად ჯგუფისაგან გარე მდგომი და ამიტომ ნაციონალური კონსოლოდაციის პროცესის სპეციფიკური აქტორი იყო. ეს დაფიქსირებული აქვს მის ბიოგრაფის, რომელიც თითქოს გვიძლიშებს, რომ გვაწვდის წმ მამის სამშობლოსთან დაკავშირებულ ბიოგრაფიულ დეტალებს, რადგან იცის, რომ ეს დეტალები არაა მისი გმირისათვის მთავარი<sup>40</sup>.

ის ფაქტი, რომ ქართული იდენტობის სამანების დამდებად გველინება სწორედ ისეთი პიროვნება, როგორიც წმიდა მამა გიორგი მთაწმიდელია, არ უნდა იყოს შემთხვევითი. ნაციონალური ჯგუფის წევრობა და ამავე დროს მისგან გარკვეული დისტანცია, ჩანს, ოპტიმალური ვარიანტია იმისათვის, რომ ნაციონალური ერთობის პულტურული ელიტის წარმომადგენელი მოგვევლინოს ნაციონალური იდენტობის სახლერების ზუსტად აღმქმელად, გამორჩეული ინტელექტი და ზნება კი იმის წინაპირობას ქმნის, რომ მოღვაწემ შეძლოს იდენტობის სამანების განმტკიცებაში საკუთარი წვლილის შეტანა.

Mary Chkhartishvili

## SAINT GEORGE OF MTATSMNIDA AND MARKERS OF GEORGIAN IDENTITY IN THE 11<sup>TH</sup> C

In the process of national consolidation, outstanding public figures personifying the principal interests of the given community play a vital role. They are able to channel national ideas and solidarity sentiments of their fellow countrymen. Their activity in cultural and political spheres predetermines acuteness and durability of the national identity markers.

The detailed case study presented in the paper shows that Saint George of Mtatsminda played a decisive role in the national consolidation of Georgians in the 11th century. He directed all his efforts to eliminate social partitions within the Georgian people, to sharpen features of the national character and to elaborate the ideal of national dignity.



Ascetic lifestyle and the ability to view the country from a certain distance allowed the Holy Father to play the role of a social catalyst. The obtained data apparently reveal the general feature of human community development: the main actors of national formation processes are usually saints.

### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. სმითი ე.დ., ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მარიამ ჩხარტიშვილისა. ქართული ტექსტის რედაქტორი რუსულან ამირჯვიძის-მალენი. თბილისი: ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი, 2004, გვ. 36 (შემდგომში: სმითი ე.დ., ნაციონალიზმი).
2. ძევლი ქართული აგორაზეფული ლიტერატურის ძევლები (XI-XV სს.). დასაბუჭიად ად მოამზადა ავტორთა კოლექტიება ი.ა.ბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქტორთა თბილისი: "შეცნიერება", 1967 წიგნი II, გვ. 154 (შემდგომში: ძევლები II).
3. ი. ეფრემ მცირე. უწყებად მოზუსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიკენების ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებლები დაუროთ თბერებამებ. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1959, გვ. 4.
4. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ეს საპოლიტიკო საკითხებაც წარმოადგენდა: ი. ცხადაძე ქ., ნინოს საგალობლები გიორგი ათონბლის თვეზეში ივირობი 1000, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა, 1983, გვ. 255.
5. ძევლები, II, გვ. 151.
6. იქვე, გვ. 153.
7. იქვე გვ. 153.
8. იქვე, გვ. 154.
9. სმითი ე.დ., ნაციონალიზმი, გვ. 57.
10. ძევლები, II, გვ. 123.
11. ი. შანიძე ა., ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიური. ტიპიურის ქართული რედაქცია, თბილისი: მეცნიერება, 1971, გვ. 109.
12. ი. საქართველოს სამთხვე. სრული აღწერად ღუაწლოთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა. შეკრებილი სრონილობიურად და გამოცემული მისამდ საბინისის მიერ. - სანქტპეტერბურგი, 1882, გვ. 104.
13. სმითი ე.დ., ნაციონალიზმი, გვ. 53.
14. Haugen E., *Dialect, Language, Nation*. in: *Nationalism. Critical Concepts in Political Science*. Edited with new introductions by J. Hutchinson and A. D. Smith, vol. IV, 2000, Routledge. London and New York, pp 1347-1348..
15. ძევლები, II, გვ. 145.
16. იქვე, გვ. 154.
17. იქვე, გვ. 155.
18. იქვე, II გვ. 41.
19. იქვე, გვ. 62.
20. იქვე, გვ. 39.

21. ძეგლები, II, გვ. 162.
22. სხითი კ. დ., ნაციონალიზმი. გვ. 64.
23. იქვე გვ. 199. ან კიდევ: “წარმოსახეთი წინაპრის ერთობას რწმენისა და დეისტურების ერთობაში აქსოვს” (იქვე, 160). შდრ. აგრეთვე David Miller. *On Nationality*. Clarendon Press, 1995, Oxford, p. 49.
24. ძეგლები, II, გვ. 170.
25. პოპოვინი დ., ხასწაულმოქმედი მმართველი-წმინდანი. სამეცო იდეოლოგიის ერთო ასკეტიზი შეა ხაუკუნების ხერგეთში. საერთაშორისო სიმპოზიუმი. ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი, 2000 წლის 11-17 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო, მოხსენებათა მოკლე შინაარსები. რედაქტორები მ. ჩხარტიშვილი და და. მირიანაშვილი, თბილისი, მემატიანე, 2000, გვ. 70-71.
26. გამასახურდია ზ., “შეკახილის” გერ (დაა წერილი აკაკი ბაქრაძისადმი)– მისივე წიგნში: წერილები, ესსები, თბილისი: ხელოვნება, 1991, გვ. 565.
27. იბ. კარბელაშვილი მ., ბაგრატიონითა დინასტია და ქართული პოლიტიკური თეოდორია (მასალები ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიისათვის). – ლიტერატურული ძიებანი, XX, 1999.
28. ძეგლები, II, გვ. 126.
29. იქვე, გვ. 135, 136, 138.
30. იქვე, გვ. 160.
31. Michael Psellus. *Chronographia*, translato R.A.Sewter, New Haven. Yale University Press, 1953 (electronic form. This text is a part of the Internet Medieval Source Book), p.p.254, 255, 256, 264.
32. ძეგლები, II, გვ. 178.
33. იქვე.
34. იქვე, გვ. 178-179.
35. იქვე, გვ. 179-180.
36. John Meyendorff. *Imperial Unity and Christian Divisions. The Church 450-680 A.D.* St Vladimir's Seminar Press, Crestwood, New York10707, 1989, p.27.
37. აბდალაძე ა., ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთულობა ურთიერთობა IX-XI ხაუკუნებში თბილისი: მეცნიერება, გვ.113-114.
38. მხადაგისი თვალსაზრისები დიდი ხანია გამოითქმება სპეციალურ ლიტერატურაში. იბ. მაგალითად, მაისურაძე გ., ხაქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის ხაյითხები (IV-XVIII სს), წ. II, თბილისი: მეცნიერება, 1999, გვ. 74; აბდალაძე ა., ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთულობა ურთიერთობა IX-XI ხაუკუნებში, გვ. 128, 129; ანთელაგა ი., ლეონტი მროველი “ქართლოსანთა” წარმოშობის შეგნება. – მისივე წიგნში: ხაქართველოს საისტორიო-წაროთმცოდნებობითი ძიებანი, თბილისი, არტანუჯი, 2002, გვ. 229, 233; განსხვავებული თვალსაზრისისათვის კი შდრ. ჯაფარიძე ა., ხაქართველოს ხამოციქულო კელუხისის ისტორია ოთხ ტომად, თბილისი: მერანი, ტ. 2, გვ. 312-350.
39. ჩხარტიშვილი მ., ებრაელთა თემა ქართულ მეხანისტურ იდეოლოგიაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “თბილისი – იერუსალიმი 2” (თბილისი, საქართველო 8-10 სექტემბერი, 1998), მოხსენებათა მოკლე შინაარსები. – თბილისი: ეპოქა, 1998, გვ. 43-44. მისივე ქართველობა მოქცევა და ახალი ეროვნული იდეოლიგიის ჩამოყალიბება. – მესხეთი. (საისტორიო კრებული), III. – თბილისი-ახალციხე თხუ გამომცემდობა, 1999, 6-17.
40. ძეგლები, II, გვ. 109-110.

## ათონის აღაპოთა მრთი ტორენის შესახებ

უკანასკნელ ხანებში მე სხვებთან ერთად კიდევ ერთხელ მომიწია აკად. ნ. ბერძნიშვილის სამცცინიერო ორქივზე მუშაობა. საქმე ეხება ნ. ბერძნიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხების“ X წიგნის გამოსაცემად მომზადებას. ამ ნაშრომში თავმოყრილია ნ. ბერძნიშვილის ნააზრევი ათონის ქართველთა მონასტრის ისტორიისა და მისი აღაპების ირგვლივ საჭირო გახდა ამ მასალისათვის პირთა, გეოგრაფიულ სახელთა და საგნობრივი საძიებლების დართვა. საგნობრივი საძიებლის, ანუ ფაქტობრივად ტერმინთა განმარტებების შედგენისას ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრეს ისეთმა ტერმინებმა, რომლებიც აღაპების ტექსტებთან დაკავშირებულ სალექსიკონო მასალაში ან საერთოდ არ შესულა, ან განმარტებულია არა ზუსტად!

მხედველობაში მაქს აღაპის დადგებასთან დაკავშირებული ტერმინები. უფრო ზუსტად, აღაპის განგების შემადგენელი ელემენტები. უპირველესად შევწერდები ტერმინზე „მერტიკონი“.

მერტიკონი ათონის ივერთა მონასტრის 166 აღაპიდან მხოლოდ თოთხმეტ აღაპშია სახსენები. ქვემოთ მომყავს მერტიკონის ხსენების ეს თოთხმეტივე შემთხვევა შემოკლებით, კონტექსტითურთ. (აღაპების ნომრებს ვუჩვენებ მ. ჯანაშვილის გამოცემის ანუ ქწ. „ათონის კრებულის“ მხედვით).

1. ითანე სისიკონელის და მისი ძმების სახელზე დადგებული აღაპი. „განუწევეთ აღაპი, რათა გარდაიჭდებოდის ყოვლისა გულსმოღინებითა, ლოცვითა, პანაშვიდითა, ანაფორავთა, მერტიკონითა და ყოვლითა ნუგეშინის ცემითა“ (№42).
2. აღაპი ბერი კლიმისა. „აღესრულებოდენ დაუკლებლად ანაფორავთა, პანაშვიდითა და ქამისწირვითა, მერტიკონითა და კრასოულითა, რავთა ძალ კდეას, ძმათა ნუგეშინისცენ“ (№41).
3. აღაპი გოორგი ჯუბილისა... „აღესრულებოდენ აღაპი მისი წესისაებრ, ლოცვითა, პანაშვიტითა, ანაფორავთა, მერტიკონითა, კრასოულითა“ (№44).
4. აღაპი თევდოსი სალონიკელისა „აღესრულებოდენ ყოვლითავე წესითა, ლოცვითა, ანაფორავთა, მერტიკონითა, კრასოულითა“ (№45).
5. თეოდორე ახურის აღაპი „გარდაიჭდებოდის ყოვლითა გულსმოღინებითა, ანაფორავთა, პანაშვიდითა, ქამისწირვითა, მერტიკონითა, ეწდიოს ძმათა“ (№51).
6. მარიამ ბასილაკის ასულის აღაპი „აღესრულებოდის... გულსმოღინებითა. ლოცვისა წესითა... პანაშვიდითა, ქამისწირვითა, ანაფორავთა, მერტიკონითა და რაცაოდენ ძალედვას“ (№60).
7. თეოფილახტეს აღაპი... „აღესრულებოდენ ყოვლისა გულსმოღინებითა, ანაფორავთა, მერტიკონითა, კრასოულითა, პანაშვიდითა“ (№64).
8. გიორგი დედუფლეურის აღაპი... „აღესრულებოდენ ყოვლითა გულსმოღინებითა, პანაშვიდითა, ანაფორავთა, ქამისწირვითა, მერტიკონითა, ეწდიოს ძმათა“ (№77).
9. იქ ლულუყოფილის აღაპი... „აღესრულებოდენ ყოვლითა გულსმოღინებითა, ლოცვითა, პანაშვიდითა, ანაფორავთა, ქამისწირვითა, მერტიკონითა, ეწდიოს ძმათა“ (№81).
10. გიორგი კოშკინას აღაპი... „აღესრულებოდენ წესისაებრ, პანაშვიდითა, მერტიკონითა, კრასოულითა“ (№97).



11. მიქელ აბრამის ძის აღაპი... „განვაწესეთ, რათა ესრეთ გარდაიტდიდენ ჩახუფრუშაკ რათა და პანაშვილითა, უამისწირვითა, მერტიკონითა და კრასაულითა“.. (№106).
12. დავით ასურის „აღაპი... აღესრულებოდენ საკსენებელი მისი ყოვლითა გულს-მოდგინებითა, პანაშვილითა, ანაფორათა, ანაფორათა, მერტიკონითა, კრასაულითა და ყოვლ-თა ნუგეშინისცემითა ძმათავთა“ (№122).
13. ქართველის, დიმიტრისი და ბართლომეს აღაპი.. „აღესრულებოდენ წესისაებრ, ლოცვითა, ანაფორათა და უამისწირვითა და მერტიკონითა, და ეწდოს ძმათა...“ (№126).
14. მოსე ქართველის აღაპი... „აღესრულებოდენ... ყოვლითა გულსმოდგინებითა, აღ-ლისაებრ, ლოცვითა, უამისწირვითა, პანაშვილითა, ანაფორათა, მერტიკონითა, ნუგეშინისცემითა ძმათავთა...“ (№140).

ზემოხსენებული 14 აღაპი ათონის ქართველთა მონასტერში XI საუკუნის მეორე ნახევარსა და მთელი XII საუკუნის მანძილზე იღებოდა. ანუ XI-XII საუკუნე არის ტერმინი მერტიკონის ხმარების ხანა.

მაგრამ რას ნიშანეს სიტყვა „მერტიკონი“? ზემომოყვანილი მაგალითებიდან მხოლოდ იმას ვიგებთ, რომ მერტიკონი აღაპის განგების ნაწილია. განგება კი აღაპის შესრულების წესს გულისხმობს. აღაპის ჩახატარებდად აუცილებელია განგებით გათვალისწინებული ყველა ელემენტი, ანუ კომპონენტის შესრულება. ეს კომპონენტები ორი სახისაა – სულიერი და მატერიალური. სულიერია ლოცვა, უამისწირვა, ანაფორა, პანაშვიდი..., მატერიალურია ნუგეშინისცემა, ტრაძეზი, წდევა... ათონის აღ-აპთა განგებაში ელემენტების ჩამოთვლისას არ არის დაცული რიგორობის ერთნაირობა. ყოველი მათგანი სულ სხვადასხვა ადგილას არის ხოლო მოქცეული. თუმცა აშკარად შეიძნება ერთი კანონზომიერება: მატერიალური კატეგორიის ელემენტები ყოველთვის, ძალზე იშვათი გამონაკლისის გარდა, განგების ბოლოშია მოქცეული. ამასთანავე, როგორც წესი, მერტიკონის ხსნებას ყველგან მოჰყვება კრასოული ან წდევა. ორივე ეს ტერმინი – კრასოული და წდევა (→დასხმა) – აღაპისთვის გადაეკათილი სასმელის რაოდენობას აღნიშნავს (ამ ტერმინთა შესახებ უფრო კრცდად ქვე-მოთ გვენება საუბარი). შეიძლება გვეფირა, რომ მერტიკონიც იმავე კატეგორიის ცნებაა, რაც კრასოული და წდევა.

მერტიკონის შემცვევლი 14 აღაპიდან მხოლოდ სამში (№№42, 60, 140) არ არის ხასენები კრასოული და წდევა. სამაგიეროდ სამიერი მერტიკონს მოსდევეს ისევ ამა-ვე კატეგორიის უკეთ სხვა ცნება – „ნუგეშინის ცვამა“ და „რააცა ოდენ ძალ ვდგას“. ეს ორი გამოთქმა, საერთოდ ერთმანეთს ენაცვლება, აღაპთა უმეტესობისათვის არის დამახასიათებელი და ძმათა შეძლებისდაგვარდ გამასპინძლებას ნიშნავს.

ამ მსჯელობით მერტიკონი უნდა გამოხატვედეს აღაპის განგების მატერიალური კატეგორიის ელემენტს.

განგების ელემენტთა რიცხვზეა დამყარებული თავად აღაპის მნიშვნელობა-ხარისხი.

განსაკუთრებული აღაპი იღება მაშენებელთათვის. მათ განგებაში საგანგებოდ ჩამოთვლილია შესასრულებელი ლოცვები, საგალობელი, ფსალმულნი, სტიქარონი და სხვ. ამასთან აღნიშნულია რამდენჯერ უნდა ითქვას კირილებისონ (უფალო შეგვიწყალენ), რა გალობა უნდა შესრულდეს ცისკრად და რა სამხრად და ა.შ. არ არის დავიწყებული სამხრად ნუგეშინისცემა ძმათა – კ.ი. გამასპინძლება და წდევა – ანუ გარკვეული ოდენობის სასმელის შესმა.

ზოგი ადაპის განგებაში დაწერილებით არის ჩამოთვლილი ადაპის „ნუგეშინება“ და კველა ელემენტი, ზოგში კი მარტივად არის ნათქვამი „აღესრულებრულება“ მისი ყოვლითა გულსმოდგინებითა“ ან „ყოველი წესი ლოცვისა და დღესრულება“ (№26).

შემოკლებული „განგება“ ასეთი სახისაა: „აღესრულებოდენ ადაპი მათი საჭიროდ საუკუნოდ პანაშვილითა, უამისწირვითა და ძმათა ნუგეშინისცემითა“ (№30).

შედარებით გაყრცობილი განგება ასე ჟღვრს: „აღესრულებოდენ დაუკლებელად ანაფორადთა, პანაშვილითა და უამისწირვითა, მერტიკონითა და კრასოულითა, და რამდენ ძალედგას, ძმათა ნუგეშინისცენ“ (№41). ამათ ემატებათ ზოგჯერ თესლი (№58, 132). ერთხელ პირი (№58).

ხშირად, ადაპის განგება რეზიუმირებულია მოქლე გამოთქმით „წესი ლოცვისა და დღესრულება“ და უამისწირვა“ (№37).

განგიხილოთ რას ნიშნავს თითოეული ეს ელემენტი:

„ნუგეშინისცემა ძმათა“ – აშკარად ნიშნავს ძმათა გამასპინძლებას. მისი ეს მნიშვნელობა განსაკუთრებით ცხადად ჩანს პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ერთი მუხლით: „ნუგეშინის სცენ ძმათა უხუად დაგებულითა ტრაპეზითა საჭმელთა მიერ და სასუმელთა“ ა. შანიძე ტიპიკონის ტექსტს დართულ ლექსიკონში ამ ტერმინს ასე მარტავს: „გამასპინძლება ან საჭირო რამის ჩუქება, რუსულად კი ახსნილი აქვს როგორც ყოველი

ათონის ადაპებშიც ნუგეშინისცემა გამასპინძლებას ნიშნავს. თუმცა ამის შესახებ პირდაპირ არ არის ნათქვამი, არის მხოლოდ მინიშნება: „სამხრად ნუგეშინის სცენ ძმათა, რაცვა ღმერთსა ებოძოს“ (ადაპი №1). „რაცვა ღმერთსა მოცეკეს სამხრად ნუგეშინის საცემელი ძმათად და ხუთ-ხუთი სასუმელი“ (№110). „კრეველივე დაუკლებულად აღესრულებოდენ წესი ლოცვისა და უამისწირვისა და ნუგეშინისცემად ძმათა ტრაპეზისა და ხუთ-ხუთი სასუმელი“ (№130).

„ანაფორა“ – ბერძნული სიტყვადა და ზევით აწევას, აღვდენას ნიშნავს. კვხარისტული ლოცვის აღვდენა ადაპის შესრულების დროს, მოსახსენებელი წირვა. ანაფორა ერთერთი აუცილებელი ელემენტია განსაკუთრებული ადაპის განგებაში. მაგრამ არის აღავები, რომელთა განგებას ანაფორა საერთოდ არ ახდავს.

„პანაშვიდი“ კ. მეტრეველი ათონის ადაპების ლექსიკონში ამ სიტყვას შემდეგ ნიარად ხსნის: საეკლესიო მდვდელმსახურება მიცვალებულისათვის. სრულდება მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ<sup>3</sup>.

სულხან-საბა. ორებელიანი პანაშვიდის განმარტავს როგორც „მეუდართათვის ლოცვა“. დ. ჩუბინაშვილიც ამასევ იმეორებს – „ლოცვა მიცვალებულისთვის, პანიხიდა“. ა. შანიძე პეტრიწონის წესდების გათვალისწინებით იძლევა ამ სიტყვის ასეთ ახსნას: „დამის თვეა, დაწესებული მსახურების შესრულებით, მუხლთ მოდრეკით და სხვა (ჩვეულებრივ ეკლესიის გარეთ)<sup>4</sup>.

„უამის წირვა“ იგივე ლიტურგია (რუს. обедня). ა. შანიძე გიორგი მთაწმინდების თხზულების ტექსტზე დართულ ლექსიკონში აღნიშნავს: დღისით შესასრულებელი მსახურება. (კელესიაში სრულდებოდა მსახურებანი: ცისკარი, უამისწირვა და მწუხრი) ამ განმარტებას კ. მეტრეველი უმატებს „ლიტურგია, უსისხლო მსხვერპლშეწირვა“.

„კრასოული“ ამ ტერმინს ენაცვლება წდევა და (ნიშნავს დასხმას), სასუმელი. იგულისხმება ადაპისათვის გადაკვეთილი სასქელის რაოდგობა. თვით სიტყვა კრასოული ბერძნული კრასიბისი-დან მოდის და ნიშნავს სითხის საწყაო ჭურჭელს. მონასტერში ბერძნებს აღაპა და ტრაპეზზე ღვინო განსაზღვრული ოდენობის მიეცემო-



დათ სწორედ კრასოულით. დადასტურებულია ძმებისათვის ჯერზე სამი, ოფენტული ხუთი კრასოული დვინის მიწოდება. აქედან აღაპე სახმარ დვინის თანამდებობა უკავშირს სოული ერქვა. როგორც ჩანს, მონასტერში აღაპსა თუ ტრაპეზზე სახმარი დვინო მეტწილად წყალნარევი იყო. გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებად იოვანესი და ეფთხების“ გვამცნობს, რომ მონასტერში ბერებს წყალგაურეველი მხოლოდ „სუბუქი“ დვინო ეძლეოდათ, სხვა შემთხვევაში კი აუცილებელი იყო დვინისათვის „ჯერისა-ქმრ“ წყლის „რთვა“.

**„ოქსლი“.** დადასტურებულია ათონის მხოლოდ ორი აღაპის განწესებაში. ე. მეტრეველი იძლევა თესლის ასეთ განმარტებას: მარცვლეულისაგან საჭმელი მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად“ („ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი“. ლექსიკონი. გვ. 272).

ათონის აღაპთა განგებაში ერთადერთხელ მოხსენიებულია ჰიტი. „...აღაპი და კით კოტკიასად აღსერულებოდენ პანაშუდითა, ანაფორავთა, ჰიტითა, თესლითა და გამისწირვითა“ (აღაპი №58). ე. მეტრეველი ამ განგებაში ნახსენებ პიტეს ხსნის როგორც „აღაღმერთებულ წინაპართა ნემტეს (ძვლები, თმა, ფერფლი) და უკავშირებს ტელ ინდურ პიტარას („ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი“. ლექსიკონი, გვ. 272).

აღაპის განგება ითვალისწინებს აგრეთვე აღაპის შესრულების ხარისხსაც. თითქმის ყველა აღაპის მიწერილი აქეს, რომ ის უნდა შესრულდეს „ყოვლითა მოსწრავებითა“ (№№11, 32, 34...) და ას „ყოვლითა გულსმოდგინებით“. მოსწრავებასა და გულსმოდგინებაში, აღბათ, იგულისხმება განგების ზუსტი და უნაკლოდ შესრულება გამორიცხულია განგების რომელიმე ელემენტის დაკლება.

ამრიგად, გასაგებია განგების ყოველი ელემენტის შინაარსი. გასარკვევი გვრჩება „მეტრტიკონის“ მნიშვნელობა. სიტყვა მეტრტიკონი ათონის ივერთა მონასტრის აღაპთა გარდა მე არსად შემხევდრია. არ ჩანს ის არც მის თანადროულ, წინარე თუ მომდევნო ხანგის სხვა წერილობით წყაროებში. ელ. მეტრეველს „ათონის სააღაპე წიგნის“ ლექსიკონში შეტანილი აქეს „მეტრტიკონი“, მაგრამ ახსნის გარეშე, მოცემულია მხოლოდ მისი ერთერთი სხვნების კონტექსტი („ათონის... სააღაპე წიგნი“, ლექსიკონი. გვ. 275).

„მეტრტიკონი“, როგორც ითქვა, აღაპის განგების ელემენტია, ამასთან ისეთი ელემენტი, რომელიც მხოლოდ წდევასა და კრასოულთან მიმართებაში გახვდება და ე. ი. აღაპის შესრულების მატერიალურ მხარეს წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით იძალება კითხვა, ხომ არ იმარტება აღაპის ტექსტებში მისი სხვა რაიმე ქართული შესატყვისი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად განგების ელემენტთა ჩამონათვალში უნდა მომენახა ისეთი, რომელიც არ იქნებოდა არც ერთი სხვა ელემენტის ექვივალენტი. ამავე დროს ასეთი აღაპების განგებაში მეტრტიკონი არ მოიპოვება.

მე გულდასმით გადავხედე აღაპთა ტექსტებს. მათში ერთადერთი, რაც განგების სხვა ელემენტებისაგან განსხვავდება, არის გამოთქმა – „სეფისა ამოქუშთა“, „ლილასა ამოქუშთა“, „სეფისკურისა ამოქუშთა“. ამავე დროს ასეთი აღაპების განგებაში მეტრტიკონი არ მოიპოვება.

აღაპები, რომლებშიც სეფის ამოქუშთაზე საუბარი, XII საუკუნის 60, 70-80-იან წლებშია დადგებული. ეს აღაპებია №№142, 145, 154, 156, 157, 159, 160, 161.

განვიხილოთ სეფისკურის ამოქუშთის ყველა ეს მაგალითი (აღაპების ნომრებს ვიძლევით მ. ჯანაშვილის გამოცემის, ანუ ე. წ. „ათონის კრებულის“ მიხედვით); მაგალითები მოგვყავს კონტექსტითურთ:



№142. – ევფროსინე, პროტოსეგასტონის მეუღლის აღაპი – „შეიქმოდან კუთხი სეფისკუდრთა დიდთა... მისთვის ამოცაუთბოდის ყოველთა დღეთა“. შესძლოთ ეს

№145. – ქობულის ქეთა აღაპი. – „დავაწესეთ მათგვევ ეკლესიასა შინა, რათა აღმოიკუშტებოდის ყოველთა დღეთა თვითო სეფა“. №154. – გიორგი ქართველის აღაპი – „ქამისწირგასა სეფისკუშტისა ამოცაუთად და მოხსენებად.

№156. – პავლე ქუთათელის პანაშვიდი, – „განუწესეთ... წირვასა ამოცაუთად სქაფისკუშტისად.

№157. – იგანე სხალთგაწესა აღაპი. – „ადგესრულებოდის ესრედ... სეფისკუშტისა ამოცაუთოთა და ტრაპეზისა გარდაჯდითა“.

№159. – ანასულის და მისი შვილის იადის აღაპი – „დილასა ამოცაუთოთა და ჟამის წირვითა“.

№160. – ოქროპირ აბულ ასანის ძის და მისი ცოლის აღაპი – „ესრე სახედ... დილასა ამოცაუთოთითა და ჟამისწირვითა“.

№161. – ოუფლორე ჭილაგის ძის აღაპი... „ესრე სახედ... ხოლო დილასა ამოცაუთოთა და ჟამის წირვითა“.

ამ მაგალითების განხილვით ჩნდება ასეთი ვარაუდი – ხომ არ არის მერტიკონი იგივე სეფის (სეფისკურის) ამოცეთია? მაგრამ არის კი ტერმინი მერტიკონი „კვეთის“, „ამოცეთის“ შესატყვისი? მღვდელმსახურებაში ამოცეთას, როგორც ლიტურგიის ნაწილს, ძერძნულდა პროსკომიდია (παστοκομιδή) ეწოდება. პეტრიწონის მონასტრის ტაძიკონის ძერძნულ ტექსტში კი გვაქეს მთლიანად ლიტურგიის სახელი მასთავაება (რაც საიდუმლო ზიარებას ნიშნავს). ხოლო ლიტურგიის ნაწილი კვეთა, ამოცეთა ამ ტექსტში ზმნა „მიცემით“ არის გამოხატული.

ტაძიკონის ქართულ ტექსტში მოგვეპოვება ასეთი პასაუი: „განვაწესეთ... საღმრთოსა მას შინა საიდუმლოსა ფამის წირვისასა თანაშეწირულ იქმნას ჭისნისათვის სულთა ჩვენთავასა სამი სეფისკური... და ამოცეთილ იქმნას ერთი სულისთვის ჩემისა, და ერთი მმისათვის ჩემისა და ერთი მამისა ჩემისა ბაკურიანისათვეს, და ორი იგი აღმოცევითილი განცეოს გლახაეთა და უძლეურთა“ (პეტრიწონის ტაძიკონი, თავი 21, 9).

ქართული ტექსტის „ამოცეთილი“ ძერძნულის შესაბამის ადგილას გამოხატულია ზმნა მიცემით („სეფისკური... ერთი ჩემი სულისთვის, შეორე ჩემი მმის სულისათვის. სხვა კიდევ მოცეკვება მებძეს“) – ძერძნულდა: ჩ ბე ალე ბიზერთ თის აბელაფის ძერძნული ვარიანტი ტაძიკონისა გამოქვეყნებულია ს. ყაუხიშეილის მიერ, (გეორგია, ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი მეხუთე, თბ., 1963, გვ. 212-213). ქართული ტექსტის „ორი აღმოცევითილი განცეოს მმათა“ – ძერძნულში მოქლედ არის გადმოცემული: ორი მიეცეს მონასტრის გარეთ უძლეურთ და სხვა ღარიბებს (გეორგია, V, გვ. 212). აქაც „განცეოს“ – მიცემით ბიზერთავ-ით არის გადმოცემული. შეიძლება გვეჯიქრა, რომ მერტიკონს არაფერი აქვს საერთო კვეთასთან, მაგრამ ის უკავშირდება დანაწილებას.

ძერძნულში არის სიტყვა – მერთიკ-მერბიკ<sup>8</sup> რაც ნაწილს, ხევდოს ნიშნავს. ეს სიტყვა წარმომდგარია ზმნა მერზა, მერისძან-დან – გაყოფა, დანაწილება<sup>9</sup>. შეიძლება დაეცემეთ, რომ რაյო ხდება სააღავე ტრაპეზის მონასტრის მთელი მმობისათვის დანაწილება, თუთ ამ მოქმედებასაც მერთიკ-მერტიკონი (დანაწილება) ერქვა.

ასეთია ამ ტერმინის ჩვენგან შემოთავაზებული სათუო ახსნა.

ON ONE TERM FROM ACTS OF THE IVIRO MONASTERY  
ON MOUNT ATHOS

On some acts of Iviro Monastery term “mertikon” have been mentioned. This term is not explained in our lexicography. By its sense it represents one part of the charter of funeral trapesy. Presumably this term is regarded by us as distribution of the funeral meal among the monastery fraternity.

დამოწებული წყაროები და ლიტერატურა

1. მოგვეპოვება ათონის ოდაპთა ტექსტების ორი გამოცემა: მოსე ჯანაშვილისა („ათონის ივერთა მონასტრის 1074 წლის ხელთანაწერი აღაპებით“ თბილისი, 1901, გვ. 216-277. ამ გამოცემას შემოკლებით „ათონის კრებული“ ეწოდება) და ქ. მეტრეველისა („ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბ., 1998, გვ. 134-191). ამათგან ლექსიკონი ახლავს მეორეს (გვ. 268-284).
2. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, გამოცემა ა. შანიძისა, თბ., 1971, გვ. 192.. „ნუგეშინისცემა“ ა. შანიძეს რუსულად ნათარგმნი აქვს რომორც „утешение“ (იქვე, გვ. 328), სქოლიორში კი უმატებს: თ. ე. უფლება.
3. მეტრეველი კ, ათონის მონასტრის სააღაპე წიგნი, ლექსიკონი, გვ. 277.
4. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, გვ. 193.
5. ქველი ქართული ენის ძეგლები. 3. გიორგი მთაწმიდელი, ცხორქებავ იოანესი და ეფთვამესი, თბ., 1946, შანიძე ა., გ. მთაწმიდელის ენა. ლექსიკონი, გვ. 127.
6. მეტრეველი კ, დასახელებული ნაშრომი, გვ. 278.
7. გიორგი მთაწმიდელი, ცხორქებავ იოანესი და ეფთვამესი. თბ., 1946, გვ. 37.
8. Новогреческо-русский словарь, составила А. А. Иоанидис, под. ред. А. А. Белецкого, М., 1950. стр. 416-417.
9. Древнегреческо-русский словарь. Составил И. Х. Дворецкий, под. ред. С. И. Соболевского, М., 1958.

შპელები ღვირდობითი ცენტრი აზხაზეთის  
კათალიკოსის შესახებ  
(ახალციხეში სახარების ანდერძ-მოსახსნებლები)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (ახალციხე) ინახება ეტრატზე გადაწერილი სახარების ხელნაწერი – №186 (სურ. 1). იგი ცნობილია ჯერ კიდევ XIX ს-ის დასახულიდან (1897), როდესაც თ. სორიანიამ „ქრისტიანის“ შემარტინ წიგნში მოათავსა მისი აღწერილობა და ცნობები ხელნაწერის შესახებ<sup>1</sup>. ბოლო დროს გამოქვეყნდა ხელნაწერის თანამედროვე აღწერილობა, რომელიც ეკუთვნის ილ. აბულაძეს<sup>2</sup>. ხელნაწერი შედგება ორი ნაწილისაგან – პირველია ოთხთავი (3r–237v) და მეორეა „გ(ა)ნყოფა ს(ა)ხ(ა)რ(ე)ბისა დღესასწაულისათვის“ (238v–266r). ამათ შორის 238r გვერდზე მოთავსებულია გიორგი მთაწმიდლის ცნობილი ანდერძი „ესე საცნაურ იუ-ავნ ყ(ოვე)ლთა“, რომელიც აქ ბ (მეორე) რედაქციითა წარმოდგენილი; ე.ი. გიორგი მთაწმინდელი აქ თავის თავს მოიხსენიებს არა როგორც სახარების მთარგმნებლს, არამედ „ბერძულთა სახარებათა შემწამებელს“ – შემდარებელ-გამმართველს<sup>3</sup>.

ხელნაწერის ორივე ნაწილში მოთავსებულია რამდენიმე ანდერძ-მოსახსნებელი, რომელთაგან თრიში დასახელებულია აფხაზეთის კათალიკოსი სკემონი. რადგანაც იმ-თავითვე, თ. კორდანიას დროიდან, ითვლება, რომ ეს არის უძველესი ცნობა აფხაზეთის კათალიკოსის შესახებ, მან მკვლევართა საგანგებო ყურადღება მითქორო<sup>4</sup>. წარმოიშვა განსხვავებული მოსახულები ხელნაწერისა და მისი ანდერძ-მოსახსნებლების დათარიღების შესახებ (დაწერილებით ის. ქვემოთ), ამიტომ, საჭირო შეიქნა მათი კიდევ ერთხელ შესწავლა.

ხელნაწერის ხავარაუდო წარმომავლობა და მისი თავგადახავადი. პირველი ცნობა ხელნაწერის შესახებ ეკუთვნის თ. კორდანიას. ზოგიერთი მას ხელნაწერის აღმომჩენადაც მიიჩნევს<sup>5</sup>, მაგრამ ეს ასე არ ირის. როგორც თ. კორდანია წერს, იგი, მისთვის ახალციხიდან ჩამოუტანია მდვდელ ვახილ კარგელაშვილს<sup>6</sup>. საიდან მოხვდა ხელნაწერი ახალციხში ან იმ დროს (1897) ვისთან ინახებოდა იგი ცნობია. ამის შესახებ თვითონ თ. კორდანია გამოიქამს ვარაუდს და წერს, რომ რადგან ხელნაწერში იხსენიება აფხაზეთის კათალიკოსი, „აქედამ საგულისხმოა, რომ სახარება ეკუთხოდა რომელსამე ეკლესიას აფხაზეთის კათალიკოსის ეპარქიისას“<sup>7</sup>. როგორც ჩანს, ხელნაწერი, მას შემდეგ რაც ის თ. კორდანიამ შეისწავლა, კვლავ ახალციხში დაბრუნდა, რადგან, 1941 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ნ. ბერძენიშვილი წერს, რომ „კოლეგა ს. ჯანაშიას თავაზიანი დახმარებით ჩენებ საშუალება მოგვცე გვენახა ეს ძეირფასი ხელნაწერი და გულდასმით გაგვესინჯა მისა მინაწერებით... თვით ხელნაწერი კუთვნილებისამებრ დაუბრუნდა მესხ-გვარამაძეს ახალციხეში<sup>8</sup>. მანამდე – განაგრძობს იგი, ტექსტის სანიმუშო ადგილისა და კველა მინაწერთა ფოტოსურათები გადავაღებინეთ და აწ ინახება საქ. საისტ. საეთნ. საზ-ში<sup>9</sup>.

კუთვნილებისამებრ დაუბრუნდა ხელნაწერი მესხ-გვარამაძეს, რომ წერს ნ. ბერძენიშვილი, ეს ნიშანავს, რომ 1930-იან წლებში ხელნაწერი გვარამაძის კუთვნილება ყოფილა. ეს შეიძლება იყოს კონსტანტინე (კოტე) გვარამაძე (1867-1913) შეილი ივანე გვარამაძისა, კვდაგოგი, ფოლკლორისტი და ეთნოგრაფი<sup>10</sup>, ერთ-ერთი დამარსებელი ახალციხის მუზეუმისა. როგორც ჩანს, ხელნაწერი მან მიიღო მამამისისაგან, რო-



შელიც 1912 წელს ახალციხეში გარდაიცვალა<sup>11</sup>, ხოლო შემდეგ იგი გადასციალი ჟურნალის ჟურნალის ამერიკული როგორც აღინიშნა, ხელნაწერი ინახება ახალციხის მუზეუმშის ცალისა და მუზეუმში.

ხელნაწერის აღწერილობა, მიხი ანდერტ-მოსახეს ხელნაწერია. ახალციხეში სახარება-ოთხთავი ეტრატზე გადაწერილი ხელნაწერია; შეიცავს 266 ფურცელს. თ. ეროდანის ცნობით, იგი დაწერილი ყოფილა 394 ფურცელზე, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს შეცდომა (კორექტერული?), რადგან ხელნაწერს მხოლოდ დასაწყისში აკლია რამდენიმე ფურცელი – იწყება მთ. 1,18-დან და შეუძლებელია რომ 128 ფურცელი დაპარგოდა – რა უნდა წერებულიყო მათზე? ზომა: 15,5x10ს. ჩასმულია ტაიფრულ ტეკსტების ფიცრის ყვავში, რომელიც ამერიკან ჭიისაგან დახრულია და რომელსაც შეასწერ ქსოველი აქვს შემოწებებული. ასევე დახრულია ცალკეული ფურცლები. ტექსტი დაწერილია ორ სვეტად, XI ს-ის სწორი ნუსხურით; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები (ზოგიერთი – იშვიათად, მხატვრულად გაფორმებული) ასომთავრულით და სინგურით. ტექსტი ხშირად გაცხოველებულია (სურ 2). სახარებათა თავები მონიშნულია მხატვრულად გაფორმებულ ოთხეუთხედებში ჩასმულ მთავრული ასოებით (არა ყოველთვის) (სურ. 3). „სეინაქსრისა წესითა“ განყოფის მუხლების აღსანიშნავად გამოყენებულია „ჩიტისთვალი“ და სამკუთხედად განლაგებული პატარა წრეები. ხელნაწერის გადამწერია საბა (114r, 184r), მომგებელი გორგი ხუცესმონა ზონი (265v).

იოვანეს სახარების ბოლოს, ცალკე გვერდზე (238r) მოთავსებულია XI ს-ის შემდეგდორინდელი ქართული სახარება-ოთხთავების ხელნაწერების უმრავლესობისათვის ტრადიციული გიორგი მთაწმინდლის ანდერძი (ორ სვეტად, ტექსტის გადამწერის ხელით; ორ სტრიქონად განლაგებული პირველი თოხი სიტყვა ასომთავრულით, სინგურით, დანარჩენი – შავი მელანით, სწორი ნუსხურით):

„ესე საცნაურ იყავნ ყოველლოთა. ო(ამეთუ) ესე წ(მიდა)ე ოთხთავი არა თუ ახლად გპთარგმნია, ო(რამე)დ ფ(რია)დითა იძულებითა მმათა ვიკომე ს(უ)ლიერთავთა ბერძულთა სახარებათა შეგწამებია ფ(რია)დითა გამოწულილვითა. და ვინცა ვინ სწერდეთ, ვითა აქა პპოოთ, ეგრე დაწერეთ. თუ ამისგ(ა)ნ ჯერ-გინჩდეს დაწერავ, ღ(მრ)თისათვს, ს(ი)ტყ(უ)ათა ნუ სცვალებთ, ო(რამე)დ, ვ(ითარც)ა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ. და თუ არა რამე გაშუნდეს, ჩ(უ)ნნი ყ(ოველ)ნი სახარებანი პ(ირვე)ლითგ(ა)ნ წ(მი)დად თარგმნილნია და ქ(ე)თ(ი)ლ(ა)დ – ხანმეტნიც და საბაწმიდურნიცა, მუნით დაწერეთ და, ღ(მრ)თისათვს, ერთმანერთსა ნუ გ(ა)ნპრევო, და გლახაესა გ(ორგ)ისათვს ლოცვა ყავთ“<sup>13</sup>.

ხელნაწერის პირველ, ძირითად ნაწილში მოთავსებულია ორი მოსახენებული:

1. მარკოზის სახარების დასრულების შემდეგ, მარჯვენა სეგტის ქვედა ნახევრში, ძირითადი ტექსტისაგან გამოყოფით (ორი პარალელური პორიზონტალური სპირალი, შედგენილი წითელი და ყავისფერი საღებავებით), სინგურით, 10 სტრიქონად (სურ. 4):

„[114r] ლოცვა ყავთ; ღ(მერთმან) | გარწმუნოს გლახაესა საბასთ(კ)ს, | ო(მელ-მა)ნ დიდითა ხარკებითა და ფ(რია)დითა | გ(უ)ლსმოდგინებითა | ჭ(ე)ლ-ვყავ წ(მიდ)ისა | ამის სახარებისა | დანუსხვად ძალისახებრ ჩ(ე)მისა“<sup>14</sup>.

2. ლუკას სახარების დასრულების შემდეგ, მარჯვენა სეგტის ქვედა ნახევრში, ძირითადი ტექსტისაგან ორნამეტნული ზოლით გამოყოფილად (ოთხეუთხედში ჩასმული ასტერიქსების რიგი – 8 ასტერიქსი), ყავისფერი მელანით (პირველი ასო – ქ წითელით), ორ აბზაცად და 11 სტრიქონად (6+5), ტექსტის ხელით, ჩაწერილია შემდეგი მოსახენებული (სურ. 5):



„[184r] ქ(რისტ)ე, მეუფეო დ(იდე)ბისაო, | შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლით და შემოქმედებული დაცემული და უქლური საბა – ამის | სახარებისა მჩხრეცალი; ამგ(ნ)ი იყ(ავ)ნ. გინც აღმოიკითხოთ | ნახხევე ჩ(ემ)ი, ო(ან)აწარპ(ტ)დებით ლ(ო)ცვისა | ყოფად ჩ(ე)მთვეს, სიყუარულისათ(ც)ს ქ(რის)ტესა“<sup>15</sup>.

ხელნაწერის მეორე ნაწილში „განყოფად სახარებისაა“ მოთავსებულია სამი ან-დერმოსახსენებელი – ორი მოყლე, ტრაფარეტული ფორმულით („ქრისტე შეიწყალე…“) შედგენილი და ერთი – ვრცელი.

1. პირველი მოსახსენებელი, შესრულებული ასომთავრულით, სინგურით, 1 სტრიქონად, ჩაწერილია „განყოფად სახარებისაა“-ს სათაურში, მესამე სტრიქონის გაგრძელებად. მოსახსენებლის ოთხივე სიტყვა შემოკლებულია შუაქვეცილობითი და-ქარაგმებით; სიტყვები გამოყოფილია ყავისფერი ორწერტილებით (სურ. 6):

„[238v] ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე გ(იორგ)ი, ა(მე)ნ“<sup>16</sup>.

2. მეორე მოსახსენებელი, შესრულებული ასომთავრულით, სინგურით (სიტყვების დასაწყისი – ყავისფერი მელნით), 1 სტრიქონად, ჩაწერილია „განყოფად სახარებისაა“-ს ერ-თი მონაკვეთის დასრულებისა და ახალი მონაკვეთის დასაწყისის სათაურის შემდეგ (აქა დასრულდეს ს(ა)ხარებ(ა)ნი ყოველთა დღ(ე)თ(ა)ნი. | აწ ქუალად შ(ა)ბათ-ქ(ე)რ(ა)ქ(ე)თა იწყების“), სტრიქონის მორჩენილ ადგილას. ოთხივე სიტყვა შემოკლებულია შუაქვე-ცილობითი დაქარაგმებით. სტრიქონი მიწერილია შუა ადგილას, მოხრით (სურ. 8):

„[249r] ქ(რისტ)ე, ად(იდე)ნ ს(ც)მ(ერ)ნ ქ(ათალიერ)იზი“<sup>17</sup>.

3. მესამე, ყველაზე ვრცელი მოსახსენებელი ჩაწერილია ხელნაწერის ბოლო ფურცლებზე – იწყება 265v-ზე (7 სტრიქონი) და მთავრდება 266r-ზე (23 სტრიქონი). დაწერილი ყავისფერი მელნით, ერთ სვეტად, ფურცლის მთელ სიგანეზე. 266-ე ფურ-ცლის ზედა მარჯვენა კუთხე მოხელია. აქ ქადალდიდ დაწებებული და მასზე დაწე-რილია ძველი ტექსტი. პირველი სიყვის და ბ, ასევე, მეორე გვერდზე აბზაცის და-საწყისი გ – ასომთავრულით, დონი – სინგურით (სურ. 9,10)<sup>18</sup>.

„[265v] დ(იდებ)ა<sup>1</sup> შ(ე)ნდა, სამებ(ა)ო წ(მიდა)ო, დ(მერ)თო ჩ(უ)ნო, ერთარსებაო, წყაროო სახიერებისაო, უფ(ს)ერულო<sup>2</sup> მოწყალებისაო, რ(ომ)ლისა დ(იდე)ბითა სახეს | არიან ცანი და ქ(უ)ეყ(ა)ნ(ა)დ, და წყ(ა)ლ(ო)ბ(ა)დ<sup>3</sup> შ(ე)ნი მისწერების<sup>4</sup> ე(იდრ)ე ენინ-თამდეცა<sup>5</sup> და უნდოთა, რ(ომელმან)ნ | ღირს მყავ მე, ს(უ)ლითა საწყალობელ[ი], ქ(ოვ-ლა)დ<sup>6</sup> უდები გ(იორგ)ი, სახელით ღენენ ხუცეს[266r]შონაზონი, მოგებად მსოფლიო<sup>7</sup> წ(იგი)ნისა<sup>8</sup>, მოძღვრისა და ყ(ოველ)თა პას(ა)კო<sup>9</sup> შინა<sup>10</sup> მყოფთათა<sup>11</sup> ს(უ)ლთა გ(ა)ნ-მ(ა)ნ(ა)თლებელისა, ამის ს(ა)ხ(ა)რებისა ახლისა და ყ(ოვლ)ითურთ უნაკლულოსა საძიებელითა, ვ(ითარც)ა არს ბ(ე)რძ(ულ)ად გ(ა)ნწევებული, სადიდებელად დ(მრ)თ(ჭ-ებისა)<sup>12</sup> შ(ე)ნისა და სარგებელად ყ(ოველ)თა ქრ(ის)ტ(ე)ნე<sup>13</sup> | მართლმორწმუნეთა მონათა შ(ე)ნთა, | რ(ამეთუ) შ(ე)ნი არს სუცვევად უკ(უნითი) უკ(უნისამ)დე, ამ(ე)ნ.

გვევდრები, წ(მიდა)ნო დ(მრთ)ისანო, ვისსაცა მოიწიოს წ(მი)და ესე წიგნი, სწერდეთ ანუ იკითხეიდეთ, ჰელნებულ გუყვენით | წ(მიდა)თა შ(ინ)ა ლ(ო)ცვ(ა)თა თქ(უ)ენთა, პ(ითველ)ად, განმზ(რდე)ლნი ჩემი სკმეონ აფხ(ა)ზ(ე)თისა კათალიკოსი\* და, მოძღვ(უ)რი ჩემი დიმიტრი და | შ(ე)მდგომად, ს(უ)ლ(იე)რნი მოძღვ(უ)ა)რნი და შ(მ)ბ(ე)ლნი ჩემნი<sup>14</sup> | და მმანი და თუთ მე საწყ(ა)ლობ(ე)ლი<sup>15</sup> | თქ(უ)ნ – მომავალ-თა, ჩ(უ)ნ – წარსრულითა | ესე, რ(ამეთუ) ვიყვენით ღესმე ჩ(უ)ნცა, ვ(ითარც)ა | თქ(უ)ენ, და თქ(უ)ენცა იქმნეთ, ვ(ითარც)ა ჩ(უ)ნგებრ<sup>16</sup>. | უცვალმან სიყ(უ)არ(უ)ლისა და წყ(ა)ლ(ო)ბისა სასყიდელი | მოგანიჭოს და ერთობით ვპოოთ | წყ(ა)ლ(ო)ბ(ა)დ საუ-კუნოდ, ამინ<sup>17</sup>.



<sup>1</sup> დიდება ჟ. <sup>2</sup> უფსერული ჟ. უფსე]ქრულო აპ. <sup>3</sup> წყალობა ჟ. <sup>4</sup> მიიწუთების ჟ. <sup>5</sup> ქნინთადმდეცა ჟ. <sup>6</sup> კოვლად] და ჟ. <sup>7</sup> მსოფლიო – აპ, მსოფლიოისა] ჟ. <sup>8</sup> წიგნისა – ჟ, აპ. <sup>9</sup> ქასაკ...თა აპ. <sup>10</sup> შინა – აპ. <sup>11</sup> მყოფთა – აპ, მყოფელ]თა ჟ. <sup>12</sup> დ – თაებისა ჟ. <sup>13</sup> ქ „განეთა ჟ. <sup>14</sup> ჩქმნიშამანი ჟ. <sup>15</sup> +[გ „ი] ჟ. <sup>16</sup> გითარცა ჩეუნებრ] ე „ა ჩ „ნდა) ჟ. <sup>17</sup> ამენ აპ.

\*აქ დასტურდება ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევა ძველ ქართულ წერილობით ძველობში, როდესაც ეს სიტყვა წერია სრულად, დაუქარაგმებლად. როგორც კეხდავთ, იგი აქ წარმოდგენილია „კათალიკოსის“ („ანიანი“) და არა „კათოლიკოსის“ („ონიანი“) ფორმით (შეიძლება იფოს, ასევე „კათალიკოზი“, რადგან დაქარაგმებით გახედება, როგორც „პ „ზი“). ვფიქრობ, XI ს-ის ეს ღოვანებრტური დამწეტება ამ ტერმინის („კათალიკოსი“) მართლწერისათვის („კათალიკოზი“) და არა „კათოლიკოსი“) გადამწყვეტი მნიშვნელობისა შეიძლება იყოს.

მოხაზუებები ხელნაწერისა და ანდერძ-მოხასხენებლების დათარიღების შესახებ.

ხელნაწერის პირველი შემსწავლელი და აღმწერი თ. ქორდანია, სტატიის სათაურში, რომელიც მან ჩართო „ქრონიკების“ II ტომში, ხელნაწერს ათარიღებს XII ს-ით – „ახალციხეური ტყავის სახარება XII საუკ“ – წერს ის<sup>19</sup>. ცოტა ძველოთ, ანდერძმოსახსნებლებში დასახელებული პირების ვინაობის განხილვისას, იგი განსხვავებულ თარიღს აღნიშნავს: „ეს ისტორიული პირი უცნობია არიან, მაგრამ რადგან პალეოგრაფიულ ნიშნებით სახარება ყოველს ჰქვებს გარეშე დაწერილია XI საუკუნის დამლევს ანუ XII საუკუნის დამდეგს, ამის გამო მტკიცე საბუთი გვეძლევა იმისა, რომ յათალიკოზი სეიმორნ და სხვა ამ ხელნაწერში მოხსენიებული პირი ამ დროს ცხოვრებულან (დაახლოებით 1080-1116 წ.)<sup>20</sup>. სტატიის ბოლოს კიდევ უბრუნდება ავტორი ანდერძმოსახსნებლებში დასახელებულ პირების მოღვაწეობის დროს და წერს: „კვადა აქ მოხსენებული პირი: კ „ზი სეიმორნ, მწერალი საბა, მომგებელი გიორგი და დგმებრე მოძღვარი ერთსა-და-იმავე დროს ცხოვრებულან, დაახლოვებით 1070-1150 წლებში“<sup>21</sup>. მაშასადამე, ხელნაწერთან და მასში მოხსენიებული პირების მოღვაწეობის დროსთან დაკავშირებით, თ. ქორდანია აღნიშნავს შემდეგ თარიღებს: XII ს.; XI ს-ის დამლევი – XII ს-ის დამდეგი; 1080-1116 წ.; 1070-1100 წ.

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილების, კერძოდ, აფხაზეთის საკათალიკოსო შესწავლისას, ნ. ბერძენიშვილი ორჯერ შეეხო ახალციხეური სახარების ანდერძ-მოსახსნებლებში დასახელებულ პირების მოღვაწეობის დროს და ორივეჯერ განსხვავებული თვალსაზრისი წარმაადგინა. პირველად, 1926 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში იგი წერს: „ახალციხეური ტყავის სახარება XII საუკუნისა“ მისი მინაწერებით, სადაც სეიმორნ აფხაზეთის კათალიკოსი მოხსენებული, და რომელთაც განსვენებული თედო ქორდანია „პალეოგრაფიული ნიშნებით“ „XI საუკუნის დამლევს, ან XII საუკუნის დასაწყისს“ მიაწერს, დათარიღების მეტ საფუძვლიანობას მოითხოვს<sup>22</sup>. მოგვიანებით, 1941 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, მას შემდეგ რაც უშუალოდ გაეცნო ხელნაწერს და მის ანდერძ-მოსახსნებლებს, იგი აღნიშნავს: „წიგნის გადამწერი საბა, წიგნის მომგები გიორგი ხეცეს-მონაზონი და უგანასკნელის გამზრდელი აფხაზეთის კათალიკოზი სცმეონი ურთიერთის თანამედროვენი არიან, წიგნი გადამწერილია საბას მიერ არა უკვიანეს XII ს-ის პირველი ნახევრისა“<sup>23</sup>.

1963 წ. ახალციხის მუზეუმის ხელნაწერების აღწერისას იღ. აბულაძემ თოხოთავიც და მისი ანდერძ-მოსახსნებლებიც დაათარიღად და ისინი ქრონილოგიურად ერთმანეთს დააშორა. მისი მოსაზრებით, ხელნაწერის გადაწერის თარიღია „XI ს-ის ბოლო“, ხოლო სახარების „განყოფაში“ ჩაწერილი მოსახსნებლები სკმეონ კათალი-

კონისა (და გიორგისა), ასევე ვრცელი მოსახსენებელი ხელწერის ბოლოს, რომელი თაც იგი მინაწერებს უწოდებს, შესრულებულია „XII-XIII სს-ის ნუსხურით შესტაციურა“ როგორც ვხედავთ, ხელნაწერისა და მის ანდერტ-მოსახსენებლებში დასახელური პირების მოღვაწეობის დროის შესახებ მეცნიერებაში ასრთა სხვადასხვაობაა.

ხელნაწერისა და მისი ანდერტ-მოსახსენებლების დათარიღება სავსებით მართალია ილ. აბულაძე, როდესაც ხელნაწერს ათარიღებს XI ს-ის ბოლოთი. მართლაც, ხელნაწერს XI ს-ისათვის დამახასიათებელი იმდენად მკვეთრად გამოხატული პალურგაფიული ნიშნები ახასიათებს, რომ იგი საგანგებო განხილვას არ საჭიროებს. ფაქტია ისიც, რომ ხელნაწერის მირითადი ნაწილი – ოთხთავის ტექსტი (236 ფ.) გადაწერილია სხვა ხელით (საბას მიერ, რომელიც ამ ნაწილში ორჯერ ისხენიება) და მეორე ნაწილი – „განყოფად სახარებისა“ (29 ფ.) სხვა ხელით – სახელით უცნობი გადამწერის მიერ. კრძოლ, ამის მაჩვენებელია ის, რომ საბა ყველგან წერს ერთებილიან ენს და სამეცნილიან უნს, ხოლო II გადამწერი – ორქბილიან ენს და ოთხებილიან უნს (ნუსხური ონისა და ჟიგს შერწყმით); გარდა ამისა, ონი საბასთან ყოველთვის სამკბილიანია, ხოლო II გადამწერთან – ოთხებილიანი (სურ. 7). სხვა ნიშნებს აღარ ჩამოვთვლი, რადგან, დასახელებული ნიშნები იმდენად დამახასიათებელია ინდივიდუალური ხელწერისათვის, რომ ხელწერის ამ ორი ნაწილის სხვადასხვა მწერლების მიერ გადაწერა უჰქმებულია. ნიშანდობლივია ისიც, რომ ხელნაწერის სწორედ ამ მეორე ნაწილში მოცემული გიორგის და სვიმეონ ქათალიკოსის მოსახსენებლები, შესრულებულები ასომთავრულით და ჩაწერილები „განყოფის“ ტექსტში – პირველი სა სათაურში და მეორისა – „განყოფის“ ერთი მონაკვეთის დამთავრების შემდეგ.

მაგრამ, იმავე გიორგის, აწ უკვე ხუცეს-მონაზონად წოდებულის, და იმავე სვამეონ ქათალიკოსს, აწ უკვე აფხაზეთის კათალიკოსად წოდებულის ვრცელი მოსახსენებელი (გიორგის გამხრდელ დემეტრეს მოსახსენებელთან ერთად) ჩაწერილია ხელნაწერის ბოლოს – დასაწყისით (7 სტრიქონი) იმავე გვერდზე, რომელზედაც „განგება“ მთავრდება და გაგრძელება-დასახსრულით ახალ, მომდევნო (260r) გვერდზე რაც მთავარია, იგი ჩაწერილია ხელნაწერის მირითადი ნაწილის გადამწერის საბას ხელით. ამას უჰქმებულ-ჟყვოფს ის, რომ მირითად ნაწერსა და ვრცელ მოსახსენებელში ენები ერთებილიანია, ონები და უნები სამკბილიანია, „ამინ“ ტექსტის ბოლოს (ის. სურ. 4,5) ყველგან ინიან ფორმითა წარმოდგენილი, ასომთავრული განი ორგვენი ერთნაირად – ქუსლის ბოლოს წერტილის დასმითად დაწერილი (სურ. 4, 10) და სხვ მხელოდ გაოცება შეიძლება გამოიწვიოს იმან, რომ ისეთმა დიდმა პალეოგრაფია, როგორიც ბ-ნი ილია აბულაძე იყო, როგორ არ მიაქცია უზრადდება ხელნაწერის ძირითადი ნაწილის გადამწერის (საბას) და დასკვნითი მოსახსენებლის დამწერის ხელის აბსოლუტურ მსგავსებას და ამით ეჭვის ქვეშ დააყენა XI ს-ში აფხაზეთის ქათალიკოსის მოსახსენების ფაქტი.

რაც შეეხება „განყოფის“ XII-XIII სს. დათარიღებას, თვალის ერთი გადავლებითაც ცხადია, რომ ეს ასე არ არის. სწორი ეპიგრაფიკული ნუსხური, რომლითაც ხელნაწერის ეს ნაწილი გადაწერილი, ასე დამახასიათებელი XI ს-ისათვის, გამორიცხავს მის დათარიღებას არა თუ XIII ს-ით, არამედ XII ს-ითაც. მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მას იმავე გვერდზე მოყვება უჰქმებული ჩანაწერი.

როგორც ჩანს, სურათი ასე უნდა წარმოვიდგინოთ. საბამ გადაწერა ოთხთავის ტექსტი – ხელნაწერის პირველი 236 ფურცელი და ორ ადგილის (მარკოზისა და ლუკას სახარებების ბოლოს) საგანგებო მოსახსენებლით აღინიშნა მის მიერ შესრულუ



ბული სამუშაოს შესახებ. შემდეგ, ხელნაწერის მომგების (შემძენის) სურვილობით ტეკსტის დაემატა სპეციალური საძიებელი – „განყოფა სახარებისა და დღესასტუმანთშე წლიწლისათა სკაქსრისა წესითა რჩევით“, რომელიც, ჩვენობი უცნობი მიზეულის გამო, სხვა მწერალმა გადაწერა. ამიტომ, შემთხვევით არაა, რომ ამ დამატების შესახებ საგანგებოლად დასკვნით მოსახსენებელში აღნიშნული – მე, გიორგი ხუცეს მონაზონი ღირს ვიქმენ მოგებად „ამის სახარებისა ახლისა და ყოვლითურთ უნაკლულოვას საძიებელითა, ვითარცა არს ბერძულად განწესებული“-ო<sup>25</sup>. ამ დამატებით ნაწილში, ცხადია, შეტანილი იქნა ორი მოსახსენებელი – ერთი, მის სახელზე და მეორე – სვიმეონ კათალიკოსის სახელზე. ამის შემდეგ, უკვე საბამ, როგორც გამოცდილმა და კვალიფიციურმა გადამწერმა, „განყოფის“ ტექსტს სამი სტრიქონის დაშორებით, მიაყოლა ახალი, ურცელი მოსახსენებელი, რომელშიც დასახელებულია მომგებელი გიორგი ხუცეს-მონაზონი, მისი გამზრდელები – სვიმეონ აფხაზეთის კათალიკოსი და მისივე მოძღვარი დიმიტრი.

გაშასადამე:

1.ახალციხეური სახარება თავიდან ბოლომდე გადაწერილია XI ს-ის ბოლოს ორი გადამწერის – საბას და მეორე, სახელით უცნობის მიერ<sup>26</sup>. პირველს გადაუწერია ოთხთავის ტექსტი, ხოლო მეორეს – „განყოფა“.

2.როგორც ხელნაწერის გადამწერი საბა, ისე ანდერძ-მოსახსენებლებში დასახელდებული პირები – ხელნაწერის მომგები გიორგი, მისი მოძღვარი დიმიტრი და გამზრდელი აფხაზეთის კათალიკოსი სვიმეონი, ერთდროული, ანუ XI ს-ის II ნახ-ის მოღვაწეები არიან.

3.აფხაზეთის კათალიკოსი სვიმეონი ხელნაწერის გადაწერის დროს ცოცხალი იყო, რადგან ერთ-ერთ მოსახსენებელში დიდებით მოიხსენიება.

4.თუ XI ს-ის ბოლოს გადაწერილ ხელნაწერში გიორგი ხუცეს-მონაზონი, სვიმეონ აფხაზეთის კათალიკოსს თავის გამზრდელს უწოდებს, რაც დღესაც იმას ნიშავს, რასაც ძველ ქართულში<sup>27</sup>, მაშინ, ეს უკანასკნელი, სულ ცოტა, XI ს-ის II ნახ. მოღვაწედ უნდა ჩაითვალოს.

5.ახალციხეურ სახარებაში დაცულია ჯერჯერობით უძველესი წერილობითი ცნობა XI ს-ის II ნახვარში აფხაზეთის საკათალიკოსოს არსებობის შესახებ.

Valeri Silogava


## ANCIENT WRITTEN INFORMATION ABOUT THE CATHOLICOS OF ABKHAZIA (Colophons of the Akhaltsikian Gospel)

The gospel written on the parchment (no 186) is kept in the Samtskhe-Javakheti ethnographic-historical museum named after Ivane Javakhishvili. It dates back to the end of the XI c. In the manuscript you can find the names of five Colophons: Saba, the copyist of the manuscript, Giorgi, the customer, his educators, confessor Demetre and Catholicos of Abkhazia Swimon.


This manuscript contains and confirms information on the existence of Catholicos in Abkhazia in the 2nd half of the XI century.




Լոյն. 1.




Լոյն. 2, 30r.




სურ. 3, 50r.




სურ. 4, 114r.




სურ. 5, 184r.




სურ. 6, 238v.




სურ. 7, 248r.



სურ. 8, 249r.



სურ. 9, 265v.



სურ. 10, 166r.

1. ურძანიათი თ, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წიგნი მეორე (1213 წლიდან 1700 წლამდე), ტფ., 1897, გვ. 88-90.
2. ფ. ჯაგახიშვილის სახელმის სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა. შეაღინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: ოლ. აბულაძემ, მ. ჯავახიშვილ და ც. ჭავჭავაძემ ელ. მეტრეველის რედაქტორობით, თბ., 1987, გვ. 71-72 (№186) (შედ.: ახალციხის მუზ. ხელნაწერთა აღწერილობა).
3. გიორგი მთაწმინდელის ამ ანდერძისა და მისი რედაქციების შესახებ იხ. ა. შანიძე, ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩნილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ XI საუკუნის მწერლობაში, მისი თხზულებანი, I, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, 1, თბ., 1957, გვ. 282-296; ვ. ხილოვავა, XI საუკუნის ქართველი მწიგნობარი ბასილი თორელ-ყოფილი და მისი ანდერძი, „მრავალთავი“, XV, 1989, გვ. 153-165.
4. ბერძენიშვილი ნ, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება. აფხაზეთის კათალიკოსი XIII-XV ს-ში, „მიმომხილველი“, I, 1926, გვ. 99-121; იგივე, იხ. მიხი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი V, თბ., 1971, გვ. 85-107; მიხივვ, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, II, ენიმკის მოამბე, X, 1941; იგივე, იხ. მიხი, საქართველოს ისტორიის საკითხები-წიგნი III, თბ., 1966, გვ. 30-56; ქორძე თ, XI-XVI საუკუნეების აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსთა ქრონილოგია, „პლიო“, №15, 2002, გვ. 3-26.
5. ნადირაძე ქ, თევდო ურძანია - საქართველოს ისტორიის მკვლევარი (ისტორიული ფილოგრაფიული ნარკვევი), თბ., 2004, გვ. 149.
6. ურძანიათი თ, ქრონიკები, II, გვ. 88.
7. ურძანიათი თ, ქრონიკები, II, გვ. 89.
8. ბერძენიშვილი ნ, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, გვ. 47, შენ. 39.
9. იქვე,
10. საქართველო. ენციკლოპედია, 1, თბ., 1997, გვ. 604.
11. იქვე.
12. გულიათად მადლობას მოგახსენებ ახალციხის მუზეუმის დირექტორს ქნ ციური ლაფაჩს და მუზეუმის ფონდების მცველს ბ-ნ გიგოლ (გრიშა) ჯგარიძეს, ხელნაწერზე მუშაობისას ჩემთვის გაწეული დახმარებისა და უპირატესი ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის (22.IX.2001; X.2003). პირველად ხელნაწერის გაცნობისას (13.VII.1979) დახმარება აღმომიჩნეს მაშინ ახალციხის რაიონშის თანამშრომლებმა: ქმა ციური ლაფაჩი (მეორე მდივანი), ბ-მა ელგუჯა კააბანაძე (განყოფილების გამგე), ბ-მა რეზო კილასონიძემ (ინსტრუქტორი) და მუზეუმის დირექტორმა ბ-მა გომირგი კაანაძემ.
13. ურძანიათი თ, ქრონიკები, II, გვ. 89 (№8); ახალციხის მუზ. ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 71(3).
14. ურძანიათი თ, ქრონიკები, II, გვ. 89(4); ახალციხის მუზ. ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 71(1).
15. ურძანიათი თ, ქრონიკები, II, გვ. 89(6); ახალციხის მუზ. ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 71(2).
16. ურძანიათი თ, ქრონიკები, II, გვ. 89(№9); ახალციხის მუზ. ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 71 (შენიშვნაში).




17. ქორდანია თ., ქრონიკები, II, გვ. 89-90; ახალციხის მუზ. ხელნაწერთა აღმდეგული დოკა, გვ. 71 (მინაწერი 1).
18. ქორდანია თ., ქრონიკები, II, გვ. 90(ქ); ახალციხის მუზ. ხელნაწერთა აღწერა-დოკა, გვ. 71-72 (აბ).
19. ქორდანია თ., ქრონიკები, II, გვ. 88.
20. იქვე.
21. ქორდანია თ., ქრონიკები II, გვ. 90. აქვე ავტორი ჩამოთვლის სხვადასხვა ხელნაწერზე ბის ანდერძებში დასახელებულ საბას, მაგრამ მათი გაიგივება ახალციხური სახარუბის გადამწერ საბასთან იმდენად აშკარად უსაფუძვლოო, რომ განხილვაც ზედმეტია.
22. პერძენიშვილი ნ, დასავლეთ საქართველოს საექლეგისო წესწყობილება, გვ. 85.
23. პერძენიშვილი ნ, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, გვ. 47, შენ. 39.
24. ახალციხის მუზ. ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 71.
25. მოსახსენებლის „ახალი სახარება“ ნიშნავს, რომ საუბარია გიორგი მთაწმინდე-ლის მიერ 1040 წლის ახლოს შედგენილ სახარების ქართულ რედაქციაზე. ამის შესახებ აღნიშნა ნ. ბერძენიშვილმა და შენიშნა – „გეგმობთ, XIII ს-ში და შემ-დგომ ეს ტერმინი ამ რედაქციის მიმართ ცოცხალი დარჩენილიყოს“ (ნ. ბერძე-ნიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, გვ. 47, შენ. 39). ეს კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტია იმის სასარგებლოდ, რომ სახარების ბოლო ვრცელი მოსახსენებელი არ შეიძლება XIII სიისა იყოს.
26. თ. ქორდანია მიიჩნევდა, რომ მთელი ხელნაწერი, მათ შორის, ბოლო ვრცელი მოსახსენებელიც დაწერილია ერთი პირის – საბას მიერ, მაგრამ, როგორც ზე-მოო ვნახეთ, ეს ასე არ არის (თ. ქორდანია, ქრონიკები, II, გვ. 89-90). სხვათა შორის, ამის არგუმენტად თ. ქორდანია ასახელებს იმას, რომ „პაიინაცია, ანუ რეეულების საანგარიშო ასოები, თავიდან ბოლომდე ტექსტის ხელით არის და-წერილი“ (იქვე, გვ. 90). ეს მართლაც ასეა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ხელნაწერმა „განყოფიანად“ მისი გადაწერის შემდეგ კიდევ ერთხელ გაიარა საბას ხელში, რომელმაც ჩაწერა ბოლო მოსახსენებელი და დაუსვა მთელ წიგნს რვა-ულების სათვალავი.
27. სარჯევლაძე ზ, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001, გვ. 27.

არტაცეპლი პილიგრიმის გილობრივი ლომას-ძის საპედრებელი (XV ს.)  
01-იანვარი 1160 ბაღატანილი 1160 წლის ბარმჯული  
პრეზელის (VEN.4-ის) აზიებიდან

დღეისათვის ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ხუთი ქართული ხელნაწერი რაოდება (52; 13. 24; 41). მათგან, განსაკუთრებული აღნიშვნის დირსია მხატვარ-კალიგრაფი ნიკოლოზ ნიკრაის მიერ 1160 წელს გარეჯის მრავალთავში გადაწერილ კრებული „სანატრელი“, იგივე – Ven.4 (52. 219-222, 226-232; 50. 91-100, 118; 41. 160-161, 164-169, 172-174, 176-181). ეს საქმაოდ მოხრდილი ხელნაწერი ჯერ კიდევ XIV საუკუნის მეორე ნახევარისათვის გარეჯიდან იერუსალიმში გადაუტანიათ და წმიდა მიწაზე მოქმედი ქრთვრთი ქართული საგანისათვის გადაუციათ (48. 41-42). XIX საუკუნის 40-იანი წლებისათვის Ven.4 კვლავინდებულად იერუსალიმში ყოფილა დაცული (50. 104). ცოტა უფრო მოგვიანებით გარეჯული კრებული ვინებ აღექსანდრიელ ანტიკართან მოხევდრილა (I), ამ უკანასკნელისაგან კი – 1931 წელს ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკას შეუძენია (52. 222; 13. 24; 41. 161).

ამ მეტად როგორდი და საინტერესო თავგადასავალის მქონე ხელნაწერის აშიებზე დაცულია მრავალრიცხვოვანი ანდერძ-მინაწერები, რომლებიც უმცირფასეს ცნობებს გვაწვდიან XII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესახებ. აღნიშნული კრლოფონებიდან ამ ეტაპზე უკვე შესწავლილი და გამოქვეყნებული გვაქვს რამდენიმე ტექსტი: Ven.4-ის გადამწერის ნიკოლოზ ნიკრაის ერცელი ანდერძი (1160 წ.) (50. 92-100, 118-121; 49). მოკველი ეპისკოპოსის ლუკა ოძრხელის ხუთი მინაწერი (1363 წ.) (48), აფხაზეთის კათოლიკოსის ბართლომეს სავედრებელი (დაახლ. 1488-1519 წწ.). (47) და სხვ. (შდრ.: 50. 93-95, 100-106, 109-115, 121-141). წინამდებარე ჰუბლიკაციაში ჩვენ კვლავ უძრუნდებით გარეჯული კრებულის ანდერძ-მინაწერებს და მათგან საგანგებოდ გამოყოფთ კიდევ ერთი კოლოფონის ტექსტს.



განსახილავი მინაწერი შესრულებულია Ven.4-ის 1877-ს შუა მონაკვეთზე. მისი საერთო ფართობი დაახლოებით 16,5 X 10,5 სანტიმეტრია. ტექსტი ნაწერია ჩინებული მხედრულითა და მწიგნობრობაში გაწაფული ხელით, ოთხ სტრიქონად. ქარაგმად ნახმარია საშუალო ზომის მარტივი, რომლის მარჯვნივ მიმართული ბოლო შესამნევად არის დაგრძელებული. განკვეთილობის ნიშნებად გამოყენებულია ყოველი სიტ-



ყვის შემდეგ დასმული ორწერტილი. მინაწერის ბოლოს გამოყვანილია სამარტინის ბულეტის დასმული და მათ ქვემოთ გავლებული პატარა განივი ხაზი. კოლოფონის II სტრიქონის ბოლო გრაფემის – ၆-ს მარჯვენა კიდე მოქცეულია სარესტავრაციო ქადაღდის ქვეშ. ეს ურაგმენტი გარკვევით გავარჩიეთ ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ყოვნის დროს, ხელნაწერის ორიგინალზე მუშაობისას, ნეონის ნაოურის გამჭოლი შექის დახმარებით. ტექსტის დასაწყისში დასმულია მხედრულით გადმოცემული ქანტილი. IV სტრიქონის ბოლო სიტყვაში გრაფემა – 0 შეწიაღებულია გრაფემა – ბ-ს მუცელ-ში. მინაწერს თარიღი არ უზის (შდრ.: 36. 187r).

ტექსტის გადმონაწერი (დედნ. შრიფ.):

ქ: საფლავო; ძ' ტსო; და:

ჯუარო: აატიო

სანო: შეიზყალე: არტანუჯე

ლი: ლოგასძე: ბ-ი:-

საფლავო ჩერნეული წაკითხვა:

„ქ. საფლავო ქ(რის)ტ(ე)სო და | ჯუარო პატიოსანო, შეიწყალე არტანუჯელი ლოგას-ძე გ(იორგ)ი“.

კოლოფონს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზემოთ, თარიღი არ უზის. სამაგიეროდ, მისი ქრონოლოგიის შესახებ გარკვეულ მინიშნებას გვთვალისწინებ Vn.4-ის იმავე 187r-ს ზედა ნახვარზე წარმოდგენილი კიდევ ერთი მხედრული მინაწერი. ეს უკანასხელი მოქვედ ეპისკოპოსს ლუკა ოძრხელს გეუთვნის და 1363 წლით არის დათარიღებული (48. 34-36). ამ ორი მინაწერის შესრულების თანამიმდვრობაზე დაკვირვება გაიჩვენებს, რომ გიორგი არტანუჯელს საკუთარი საფლავებული ლუკა ოძრხელის კოლოფონის გათვალისწინებით აქვს დაწერილი. შესაბამისად, მისი ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი მტკიცებ შეიძლება განისაზღვროს 1363 წლით.

გიორგი არტანუჯელის საფლავებულის დათარიღებისათვის არანაკლებ საინტერესო მასალას გვაწვდის თავად კოლოფონის პალეოგრაფიული მხარე. ტექსტში ხატ-მაოდ სპეციფიური სახით არის გადმოცემული მხედრული გრაფემა – ა. აქ მხედველობაში გვაქვს III სტრიქონის ბოლო სიტყვის – არტანუჯელის პირველი და IV სტრიქონის მეორე სიტყვის – ლოგასძეს შეითხე გრაფები. ორივე დასახელებულ შემთხვევაში ა-ს ზედა ბოლოდან ამოზრდილია საქმიოდ გრძელი ზიგზაგისებური ვერტიკალური ხაზი. ზუსტად ანალოგიური ტიპის ვერტიკალური ხაზი ახლავს III სტრიქონის რიგით მესამე გრაფემა – 6-ს ქუდის მარჯვენა კიდესაც. განსაკუთრებული აღნიშნის დირსია I სტრიქონის რიგით მეშვიდე გრაფემა – 3. ამ უკანასხელის მარცხნივ და ქვემოთ მიმართული „ხორთუმი“ გაცილებით უფრო ძირს არის დაშვებული ვიდრე ამავე გრაფემის დიდი ზომის თავისა და შედარებით მოკლე ფეხის დამაკავშირებელი კბილი (შდრ.: 36. 187r).

აღნიშნული პალეოგრაფიული თავისებურებებისა და მთელი რიგი სხვა მონაცემების მიხედვით, გიორგი არტანუჯელის საფლავებული ორგანულ მსგავსებას ამჟღაფენებს XV საუბუნის მხედრული დამწერლობის მრავალრიცხოვან ნიმუშებთან. წინამდებარე პუბლიკციაში ამ რიგის ძეგლებიდან შეგვიძლია დაგასახელოთ რამდენიმე



ტექსტი: საქართველოს მეფის ალექსანდრე I-ის (1412-1442 წვ.) 1430 წლის სიგენტიშვილისადმი ზევდინიძისადმი (Hd-1348) (I. 284-285, 380); იმავე მეფე ალექსანდრე I-მს 1444 წელს სიგენტიშვილის სიგელი სიონის ღმრთისმშობლის კლესიისადმი (Hd-1348) (I. 286-287, 380); საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის (1446-1466 წვ.) სიგელი სამცხეოთ სოფლებისადმი (Hd-1370) (I. 288-289, 380) და სხვ.

ამრიგად, თუ ჩევნი დაკიორვება სწორია, მაშინ გიორგი არტანუჯელის სავერუბლის ქრისტოლოგია ზოგადად XV საუკუნით უნდა გაისაზღვროს.

კოლოფონის დათარიღების შემდეგ ჩევნის ყურადღებას ახლა უკვე დამწერის ვინაობასთან დაკავშირებული საკითხები იქცვეს. ტექსტში სავერუბლების აუგორის საუკუნით თავი მოხსენიებული ჰყავს, როგორც „არტანუჯელი ღომას-ძე გიორგი“: „ძე საფლავო ქრისტესო და ჯუარო პატიოსანო, შეიწყალე არტანუჯელი ღომას-ძე გიორგი“. აქედან, ასალოუბურად ნათელია, რომ კოლოფონის დამწერის სახელად გიორგი ჰქვია.

გაცილებით უფრო რთული ასახსნელი ჩანს მისი „არტანუჯელად“ და „ღომას-ძე“ მოხსენიების მიზეზები. მართლაც, ციტირებულ ტექსტებზე დაყრდნობით, თავისუფლად შეიძლება გამოითქვას ორი სავარაუდო მოსახრება: 1. გიორგის „არტანუჯელობა“ ნიშნავს მის წოდებასა თუ ტიტულს, ხოლო „ღომას-ძეობა“ კი – ვინმე ღომას შეიღობას; 2. სავერუბელის აეტორის „არტანუჯელობა“ მიგვითოთებს მის სადაურობაზე, ხოლო „ღომას-ძეობა“ კი – მისსავე გვარუელობაზე.

განვიხილოთ ორივე შესახლო ვარიანტი. ვინაიდან ტექსტის ნებისმიერი სახით გაახრების შემთხვევაში, კოლოფონის ავტორი a priori დაკავშირებული ჩანს სახელოვნო ციხე-ქალაქ არტანუჯთან დაუიწყებთ ამ უკანასკნელის ისტორიის ძირითადი ეტაპების მიმოხილვით.

ციხე-ქალაქი არტანუჯი მდებარეობს ისტორიული სამხრეთ-დასახლელი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი პროვინციის – კლარჯეთის ტერიტორიაზე, მდინარე არტანუჯისწყლის მარცხენა ნაპირზე (5; 46). არტანუჯი V საუკუნის მეორე ნახევრამდე სოფლის ტიპის დასახლებას წარმოადგენდა. დაახლობით 470-იან წლებში ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ მოწყობილი ლაშერობიდან უკან დაბრუნებულმა ქართლის მეფე ვახტანგ გორგაბასალმა (V ს-ის II ნახ.) გზად არტანუჯზე ჩამოიარა და სოფლის მახლობლად ამართული უზარმაზარი კლდოვანი კონცხის თხემზე ციხე-სიმაგრის აგება ბრძანა. არტანუჯის ციხის მშენებლობა კლარჯეთის ახლადდადგენილ ერისთავებს არტავაზს დაუვალა. ქართველი მემატიანის ჯუანშერ ჯუანშერიანის (VIII ს.) ცნობით, არტავაზმა მეფის ბრძანება წარმატებით შეასრულა და ციხე-სიმაგრის მშენებლობა მისი ერისთავობის პერიოდშივე გაასრულა (51. 178-179; 30. 139-143, 163, 190).

დაახლოებით ორსაუკუნენახევარის შემდეგ, 735 წელს არაბმა სარდალმა მარვინ ინ-მუჰამადმა, სხევაგვარად – მურვან ყრუშ გამინადგურებელი ლაშერობები მოაწყო საქართველოს სხევაგვარად – კროვინციებისა და, მათ შორის, კლარჯეთის ტერიტორიაზე. სუმბატ დავითის-ძის (XI ს.) საისტორიო თხზულების „ცხოვრებად და უწყებად ბაგრატინიანთა“-ს უწყებით, არაბებმა ისე სახეტიკად ააოხრეს არტანუჯი, რომ აქცევება რამდენიმე ათწლეულის მანილზე საერთოდ შეწყდა (39. 44-45; 53. 306-307). იმავე სუმბატის თანახმად, მოგვიანებით, IX საუკუნის დასაწყისში შავშეთ-კლარჯეთში დამკვიდრებულმა ქართლის ყოფილმა ერისმთავარმა, ბაგრატიონთა ფეოდალური სახლის ცნობილმა წარმომადგენელმა აშორ 1-მა კურაპალატმა († 826 წ.) ახლადდაარსებული ქართველთა სამეფოს დედაქალაქად სწორედ არაბთაგან მოოხრებული არ-



ტანუჯი შეარჩია და დიდი დვაწლიც გასწია მისი განახლება-აღშენებისათვეს (40, 45; 31, 174; 53, 306-308).

კიდევ უფრო მოგვიანებით, IX საუკუნის 80-90-იან წლებში აშორ კურაპალატის მრავალრიცხოვან ჩამომავლებს შორის დაიწყო სისხლისძლველი ბრძოლები ფერდალური სამფლობელოების გამიჯვნისა და გავლენის სფეროების განაწილებისათვეს. შედეგად, ერთანი სამეფოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ორი, ფაქტობრივად დამოუკიდებელი სამთავრო: ტაოსი – ცენტრით ბანაში (?) და კლარჯეთისა – ცენტრით არტანუჯში (25, 453-460).

ახალმა პოლიტიკურმა რეალიებმა მნიშვნელოვანი ცელილებები შეიტანა ბაგრატიონთა სამეფო სახლის ოფიციალურ ტიტულატურაში. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა ქლარჯი ხელმწიფების ოჯახი, რომლის პირველმა (?) პირებმა, გამომდინარე იქიდან, რომ მათ მთავარ რეზიდენციას ციხე-ქალაქი არტანუჯი წარმოადგენდა, ანთიპატოს-პატრიკოლის, მამუალის, ერისთავთერისთავისა და სხვათა გარდა, არტანუჯელის საპატიო წოდებაც დაიმკიდრეს (25, 453-460; 40, 42-50, ტაბ. I-II).

არტანუჯელის საპატიო წოდების წარმოშობასთან დაკავშირებულ საკითხს საბანგებოდ ეხება XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1756 წ.). მისი თქმით, „სუმბატს, ძესა ადარნასესა (იგულისხმება ქლარჯი ხელმწიფე სუმბატ I მამფალი († 889 წ.) – თ. ჯ.), მოსცა ეკისარმან ანთიპატობა და დაიყრა ამან არტანუჯი. ამისთვის ეწოდა არტანუჯელი“ (11, 697). ჩვენი აზრით, სწავლული ბატონიშვილის დაკვირვება არსებითად სწორი და გასაზიარებული ზნდა იყოს.

დღეისათვის წერილობით წყაროებში დადასტურებულია არტანუჯელის ტიტულის მატარებელი ექენი (?) კლარჯი ხელმწიფე: 1. სუმბატ I არტანუჯელი, მამფალი და ანთიპატოს-პატრიკოლის († 889 წ.) – შვილიშვილი აშორ I კურაპალატისა და ვაჟი ადარნასე I-ისა (39, 47, 49, 51; 40, ტაბ. I-II, 80); 2. ბაგრატ I არტანუჯელი, მამფალი და მაგისტროსი († 909 წ.) – ვაჟი სუმბატ I არტანუჯელისა (39, 49-51; 40, ტაბ. I-II, 83); 3. სუმბატ II არტანუჯელი (?), ანთიპატოს-პატრიკოლისი – მამის ძმისწული ბაგრატ I არტანუჯელისა და ვაჟი აშორ II ქამელასი (39, 47; 40, ტაბ. I-II, 82-83); 4. სუმბატ III არტანუჯელი, ერისთავთერისთავი († 988 წ.) – მმისწული ბაგრატ I არტანუჯელისა და ვაჟი დავით I მამფალისა (39, 51-52; 40, ტაბ. I-II, 84); 5. ბაგრატ II არტანუჯელი († 988 წ.) – ვაჟი სუმბატ III არტანუჯელისა (39, 52-53; 40, ტაბ. I-II); 6. სუმბატ IV არტანუჯელი († 1011 წ.) – ვაჟი ბაგრატ II არტანუჯელისა (39, 52-53; 40, ტაბ. I-II).

კლარჯი ხელმწიფეების მმართველობა მაინცადამაინც ხანგრძლივი არ ყოფილა, დაახლოებით 1008-1010 წლებში გაერთიანებული საქართველოს მეფემ ბაგრატ III-მ (975-1014 წ.) ტკავდ შეიძყრო კლარჯეთის ბაგრატიონთა ორი უპირველესი წარმომადგენელი – სუმბატ IV არტანუჯელი და გურგენ VI კლარჯი. პატიმრობაში მყოფი გვირგვინოსანი ძმები 1011-1012 (?) წლებში ერთიმეორის მიყოლებით აღესრულებნ თმოვგვის ციხეში. მათმა მექენიდრებმა – ბაგრატ სუმბატის ძემ და დემეტრე გურგენის ძემ ბიზანტიაში გაქცევით უშეველეს თავს, საქართველოში დარჩენილი სხვა ქლარჯი ბაგრატიონები კი ბაგრატ III-ის მიერ გატარებული რეკრესიული ზომების მსხვერპლი შეიქნენ (39, 53; 24, 159).

XI საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსათვის არტანუჯი მთელი კლარჯეთის მომცველი სამხედრო-აღმინისტრაციული ერთეულის – საერისთავოს ცენტრად გვევლინება. უცნობი ავტორის საისტორიო თხზულების „მატიანე ქართლისას“ (XI ს.) თანამდებად, 1028 წელს, როცა შავშემა აზანურებმა საქართველოში შემოჭრილ ბიზანტიელებს დალატით გადასცეს მათდამი დაქვემდებარებული ციხეები, არტანუჯი მტკიცედ ეკ-

ერა ერისთავ იოანე აბუსერს (26. 292-293; 24. 179-180). ამჯამინდელი მონაცემების მოხსედათ, სპეციალური ლიტერატურა სამად სამი არტანუჯელი ერისთავის შესახებ მოხსედა იყობს. ამასთან, სამივე მათგანი XI საუკუნის I ნახევრის მოღვაწეები წარმოგენდება: 1. ერისთავი იოანე აბუსერი (იხსენიება 1028 წლის მოვლენებთან დაქაუშირებით) (26. 293; 24. 179-180; 4. 265, 271); 2. არტანუჯის ერისთავი აბუსერი (იხსენიება 1045-1047 წლების მოვლენებთან დაქაუშირებით) – სავარაუდოდ, ვაჟი იოანე აბუსერისა (26. 300-301; 43; 4. 265-266, 271); 3. არტანუჯის ერისთავი გრიგოლი (იხსენიება 1047 წლის მოვლენებთან დაქაუშირებით) – ვაჟი აბუსერ აბუსერისძისა (26. 301-302; 28. 74, 77, 144, 215-216; 44; 4. 266-267, 271).

1047 წელს უზომოდ გაძლიერებულმა ქართველმა ფეოდალმა ლიპარიტ ბალვაშმა არყისციხესთან გამართულ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) ლაშქარი და სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად ტყველ ჩაიგდო არტანუჯის ერისთავი გრიგოლ აბუსერისძე ტყვეობაში მყოფმა ერისთავმა არტანუჯის ციხე ლიპარიტს გადასცა (26. 301-302; 6; 44). 1057 წელს ბაგრატ IV-ის ერთგული ფეოდალი სულა კალამახელი მოულოდნელად თავს დაესხა ლიპარიტ ბალვაშს და ხელთ იგდო იგი. საპატიო ტყვე მეფეს მისგარეს. ბაგრატ IV-მ დამარცხებულ მოწინააღმდეგებს ხმლით მიტაცებული ციხე-ქალაქები, მათ შორის, არტანუჯიც ჩამოართვა (26. 304-305; 24. 166-167; 4. 266).

1057 წლიდან მოყოლებული ვიდრე XIII საუკუნის 80-იან წლებამდე არანაირი პირდაპირი ცნობა არ მოგვპოვება არტანუჯის ადმინისტრაციული სტატუსის შესახებ. შესაბამისად, დაბეჭითებით არც იმის თქმა არ შეგვიძლია, თუ აღნიშნულ პერიოდში კონკრეტულად ვის დაქვმდებარებაშია ეს უმნიშვნელოვანები ციხე-ქალაქი (შდრ.: 4. 268-270).

გაცილებით უფრო გარევეული სურათი გვაქვს XIII საუკუნის II ნახევრისათვის. ქართველი ისტორიკოსის ქამთააღმწერლის (XIV ს.) თანახმად, 1280-იან წლებში არტანუჯი და თითქმის მოელი ისტორიული სამხრეთ საქართველო სამცხის მთავარს ბექა I ჯაფულს (1285-1306 წწ.) უქიმოვს, რომელიც, საქართველოს სამეფო კარისადმი ნომინადური მორჩილების პირობებში, უშუალოდ ემორჩილება ილხანთა ყაენს (33. 273; 17. 599-600; 8). ქამთააღმწერლის ცნობით, ზუსტად ანალოგიური მდგომარეობაა 1299 წლისთვისაც, როცა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტს ბექა I-ის შეილიშვილი, მეფე დემეტრე II-ის (1272-1289 წწ.) ვაჟი გიორგი V ბრწყინვალე (1299, 1318-1346 წწ.) იკავებს (33. 304; 17. 599-600; 8).

1308 წელს ბექა I გარდაიცვალა, სამცხის სამთავრო კი მისი ვაჟების – სარგისის, კვარწევრება და შალვას ხელში გადავიდა (33. 323; 15. 5-6). მოუხედავად იმისა, რომ შეუათანა ძმი კვარწევრება საემაოდ აქტიურ როლს ასრულებს იმდროინდელ პოლიტურ პროცესებში (33. 324; 18. 624), სამცხის სამთავროს პირველ პირად მაინც ბექა I-ის უფროსი ვაჟი სარგის II (1308-1334 წწ.) გვევლინება (9; 8. შდრ.: 33. 297, 308, 312-315; 18. 629, 645).

უფროსი ძმებისაგან განსხვავებით, პოლიტიკურ ასპარეზზე პრაქტიკულად არ ჩანს ბექა I-ის უმცროსი ვაჟის შალვას სახელი. სამაგიეროდ, მის მოხსენიებას ვაწყდებით იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის აღაქებში. აქ ვეთხულობთ: „[თუ] ესა სევდებერსა პ [20]. ამასვე დღესა წირგ(ა)დ და აღაპი საუკუნო ბექასა შვ(ი)ლისა შალვასი, შეუნდევნ დმერთმან“ (29. 81, 124).

სავარაუდოდ, სწორედ შალვა და მისი ვაჟი, სახელოვანი პაპის მოსახელე (?) ბექა უნდა იყვნენ მოხსენიებული ვანის სახარების (A-1335) (XII-XIII სს.) ერთ გვიან-



დედ მინაწერშიც აღნიშნული კოლოფონი, რომელსაც აქადემიკოსი ექვთიშვილი გვილი XIII-XIV საუკუნეებით ათარიღებს, გვამცნობს: „†. შემოსწირა წმინდა ენე თოხთავი პატრონმან ნათიამან, ჩუენ, საბოთარასა და შორათელთა პირველ ხარსა მაცხოვარისასა და წმინდასა გიორგი შორათისასა და წმინდასა ნიკოლოზის საადაპტედ მისისა მეუღლისა ბეჭაისა, შალგა არტანუჯელისა შეიძლისათუის და მისთუის და ჩუენ გაუჩინეთ აღაპი“ (37. 410; 12. 17, 19. შდრ: 4. 270-271).

თუ ჩუენი დაკვირვება ხწორია და ვაის სახარების მინაწერში დადასტურებული შალგა არტანუჯელი ნამდეილა ბეჭა I-ის ვაჟია, მაშინ დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ შალგას, როგორც სამცხის სამთავრო სახლის უმცროს წარმომადგენელს, პირად მფლობელობაში მიუღია ციხე-ქალაქი არტანუჯი და, შესაბამისად, დაუმკვიდრებია არტანუჯელის ჯერ კიდევ 1010-იან წლებში გამქრალი საპატიო წოდება.

იმავე XIV საუკუნეში არტანუჯელის წოდებას სამცხის სამთავრო სახლის კიდევ კრო უმცროსი წარმომადგენელი ატარებს. ეს არის შაშია – ძმისწული შალგა არტანუჯელისა და ძმა ათაბაგ ყვარევარე I-ისა (1334-1361 წწ.) (15. 4-7; 45. 285; 35. 21-22; 59; 9; 10). პროფესორ სარგის ქადაგის აზრით, შაშია არტანუჯელი XIV საუკუნის II ნახევარის მოღვაწეა (15. 4-7; 29. 93, 157). იგი მოხსენიებულია იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის ერთ-ერთი სააღავენი ჩანაწერის ტექსტში: „თუეგა იანვარსა მ (8) ამ(ა)სვე დღე(ე)სა წირვად და აღ(ა)პი სარგისის შეიძლისა შაშიასი არტანუჯ(ე)ლისა, შეუნდვენ დმერთმან“ (29. 93, 158).

როგორც კხედავთ, ციტირებული ტექსტის მიხედვით, XIV საუკუნის II ნახევარში არტანუჯელის წოდება ახლა უკვე სამცხის მოქმედი მთავრის ყვარევარე I-ის უმცროს ძმას პეტონია მიღებული (შდრ: 11. 258; 4. 270-271).

ამრიგად, ციხე-ქალაქ არტანუჯის XV საუკუნემდელი ისტორიის ძირითადი ეტაპების გაცნობა გვიჩვენებს, რომ არტანუჯელის ტიტული დროის მხოლოდ ორ კონკრეტულ მონაკვეთში იყო მიმოქცევაში. პირველად – X საუკუნის 80-იანი (?) წლებიდან კიდევ 1011 წლამდე პერიოდში, ხოლო მეორედ – მთელი (?) XIV საუკუნის განმავლობაში.

აქვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას ისიც, რომ ორივე დასახელებულ პერიოდში არტანუჯელის მაღალი წოდების მატარებელი პირები უშალოდ ფლობდნენ ციხე-ქალაქ არტანუჯს და მათი ტიტულიც აქვადნ იყო წარმომდგარი.

პარალელურად ამისა, დაიკვირვება ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაც. თუ კლარჯეთის სამთავროში (იგულისხმება 980-იანი წწ.-1011 წ.) არტანუჯელის წოდებას, ძირითადად, ბაგრატიონთა სამეფო სახლის უფროსი (?) წარმომადგენლები, იგივე – კლარჯი ხელმწიფები ფლობდნენ, სამცხის სამთავროში (იგულისხმება XIV ს.) იგივე ტიტული ჯაფელთა ფეოდალური ოჯახის უმცროს წარმომადგენლების, უფრო ზუსტად კი, სამცხის მოქმედი მთავრების უმცროს ძმებს პეტონდათ დამკიდრებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ლოგიკურად იბადება კითხვა – ხომ არ წარმოადგენს Ven.4-ის ზემოთ განხილული მინაწერის ავტორის – გიორგი ლომას-ძის „არტანუჯელობა“ ზუსტად ანალოგიური რიგის მოვლენას და ხომ არ გვევლინება ეს უკანასკნელი XV საუკუნის სამცხის სამთავრო სახლის ერთ-ერთ უმცროს წარმომადგენლად?

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, დეტალურად გავეცანით სამცხის სამთავროს XV საუკუნის ისტორიას. აღმოჩნდა, რომ წერილობით წყაროებში დოკუმენტებიდან არის დადასტურებული ამ პერიოდში მოღვაწე ჯაფელთა ფეოდალური სახლის ოთხმეტი მამრობითი სქესის წარმომადგენელი.



აქედან, შეიძლი პირი ერთომეორის მიყოლებით ფლობს სამცხის ათაბაგორებულებული ქვენი არიან: 1. ათაბაგი ივანე II (1391-1444 წწ.) – ვაჟი ათაბაგ ბექა II-ისა (შეკვეთი 87, 147); 2. ათაბაგი ალბუდა II (1444-1451 წწ.) – უფროსი ვაჟი ივანე II-ისა (16; 34. 133, 135); 3. ათაბაგი ყვარლებარე II (1451-1498 წწ.) – უმცროსი ვაჟი ივანე II-ისა (23; 42. 197-204, 207-209, 215-216, 221, 231, 233-240, 279; 34. 15, 18, 61, 72, 74, 78, 81-85, 87-94, 133-136, 147-148); 4. ათაბაგი ქაიხოსრო I (1498-1500 წწ.) – უფროსი ვაჟი ყვარლებარე II-ისა (22; 42. 198-204, 207-208, 210, 215-216, 221, 279; 34. 16, 19, 74, 78, 134, 136-137); 5. ათაბაგი შეგაბუჯი (1500-1515 წწ.) – რიგით მეორე ვაჟი ყვარლებარე II-ისა (21; 42. 198-200, 202-204, 208-211, 213, 215-216, 235; 34. 16, 19, 72, 74, 94-97, 134, 136-138); 6. ათაბაგი მარტინ I (1515-1518 წწ.) – რიგით მეექსე (?) ვაჟი ყვარლებარე II-ისა (20. შდრ.: 42. 204-205, 208; 34. 30, 98-101, 134, 136); 7. ათაბაგი ყვარლებარე III, იგივე – ნავ-ყვარლებარე (1516-1535 წწ.) – ვაჟი ქაიხოსრო I-ისა (23; 34. 72, 74-76, 78, 134, 138).

რაც შეეხება დანარჩენ შეიძლი პირს, ისინი აქ დასახელებულ ათაბაგთა ოჯახის წევრები, უფრო კონკრეტულად კი, ყვარლებარე II-ის ვაჟები არიან. ჩამოვთვლით მათ სახელებს: 1. ბაადურ († 1474 წ.) (7; 42 198-200, 202-205, 207-208, 210, 215-216, 258; 34. 133-136); 2. იანქო († 1505 წ.) (42. 204, 208-209; 34. 136); 3. ორავეანდა (გარდ. 1505 წლის შემდგომ ხანებში) (42. 204, 208; 34. 136); 4. მართალიონ (გარდ. 1515 წლის პერიოდში) (42. 204, 207-208, 215; 34. 136); 5. თამთან (დაიბ. 1489-1498 წლებში) (34. 83-85, 137); 6. საზურელი (დაიბ. 1489-1498 წლებში) (34. 83, 85, 137); 7. სალუსაყან (დაიბ. 1489-1498 წლებში) (34. 83, 85, 137).

როგორც ეხედავთ, ჩვენს მიერ მოხმობილ ანთროპონიმთა საქმაოდ ვრცელ ჩამონათვალში საერთოდ არ ჩანს სახელი გიორგი. არ დასტურდება არც ანთროპონიმი ლომა, რომელიც, ჩვენი პირველი სამუშაო პიპოთვზის თანახმად, გიორგი არტანუჯელის მამის სახელი უნდა იყოს. დასასრულ, ყველაფერ ამას უნდა დაგამატოთ ისიც, რომ დასახელებული თოთხმეტი პირიდან არც ერთი არ ატარებს არტანუჯელის ტიტულს.

რაზე მიგვანიშნებოთ აღნიშნული ფაქტები? პირველ რიგში, ალბათ იმაზე, რომ გიორგი ლომას-ძე არ მიეკუთვნება ჯაფელთა ფეოდალურ საგვარეულოს და არც მისი „არტანუჯელობა“ ნიშნავს სამცხის სამთავროში დადასტურებული მაღალი წოდების ფლობას. მართლაც, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამგვარი დასკვნის გამოტანა ყველაზე უფრო სწორი და ლოგიკური ჩანს.

თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ ჯაფელთა ფეოდალური სახლის ზემოთ ჩამოთვლილი თოთხმეტი წევრიდან თერთმეტი (!) პირი, ათაბაგების – ივანე II-ის, ალბუდა II-ისა და ყვარლებარე II-ის გამოკლებით, XV საუკუნის მეორე ნახევრისა და XVI საუკუნის დასაწყისის მოღვაწეა. ეს ფაქტი, თავის მხრივ, ცალსახად მიგვითითებს იმაზე, რომ ჩვენი ცოდნა XV საუკუნის პირველი ნახევრის სამცხის სამთავრო სახლის შესახებ მეტად მწირი და ფრაგმენტულია. შესაბამისად, ახლახანს მიღებული საბოლოო დასკვნაც, რომ გიორგი ლომას-ძე არ მიეკუთვნება ჯაფელთა ფეოდალურ საგვარეულოს და რომ მისი „არტანუჯელობა“ არ ნიშნავს სამცხის მთავართა საპატიო ტიტულის ფლობას, უაღრესად დიდი სიურთხილით არის გასაზიარებელი.

ასევა თუ ისე, მთელი ამ ვრცელი მსჯელობიდან გამომდინარე, ჩვენ შედარებით უვროც სარწმუნოდ მიუწინევთ მეორე სამუშაო პიპოთვზას და გამოვთქვამთ აზრს, რომ Ven.4-ის საველებელის ავტორის „არტანუჯელობა“ ნიშნავს მის ციხე-ქალაქ არტანუჯეში ცხოვრების ფაქტს, ხოლო „ლომას-ძომა“ კი – მისსავე საგვარეულო კუთვნილებას.

საერთოდ, ლომას-ძეთა გვარი (შდრ.: 38. 126) ქართულ დიპლომატიკურ ძეგლებში მხოლოდ XVII საუკუნიდან ჩნდება. მხედველობაში გვაქვს 1601-1627 წლებით (?)



დათარიღებული შეწირულობის წიგნი, სადაც მოხსენიებული არიან ვინძვანი სახელმწიფო ლომაძე და მისი ძმა ივანა ლომაძე (14. 139; 32. 572). ამ დოკუმენტის თანამდებობაზე, ლომაძე-ქ ლომაძეთა გვარის ეს წარმომადგენლები გურიაში სახლობენ და სოფელ ბაილეთის მცხოვრებლები არიან (14. 139; 32. 572; 3). გარდა ამისა, საბუთიდან გარკვევით ჩანს ისიც, რომ ბაილეთელი ლომაძეები, ერთ-ერთი მათგანის მდვდლობის მიუხედავად, სოციალური იერარქიის საკმაოდ დაბალ საფეხურზე დგანან. ისინი, სავარაუდოდ, გლეხები არიან. მართლაც, დოკუმენტი გვაუწყებს, რომ ძმები ლომაძეები გურიის მთავარს მამია II გურიელს (1600-1625 წწ.) ჩევედენას ტაძრისათვის შეუწირავს და მათგას შესაბამისი ბეგარაც დაუკისრებია (14. 137-140; 32. 572).

დღეისათვის დაბეჯითებით არაფრის თქმა არ შეიძლება, თუმცა კი, გიორგი ლომას-ძის არტანუჯელობიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ბაილეთელი ლომაძეები წარმომავლობით აგრეთვე ისტორიული კლარჯეთიდან, უფრო ზუსტად კი, ციხე-ქალაქ არტანუჯიდან არიან. ისინი, სავარაუდოდ, XVI საუკუნის II ნახევარში, ოსმალთა მიერ არტანუჯისა და მთლიანად კლარჯეთ-შავშეთის დაპყრობის (1553 წ.) შემდეგ ჩანან გურიაში გადმოსახლებული (2. 500; 11. 726-727, 900; 5).

დაუკუბრუნდეთ უშუალოდ სავარაუდი სავარაუდელის ტექსტს. აქ ავტორის ვინაობასთან დაკავშირებული ცნობების შემდეგ განსაკუთრებულ ყურადღებას იყრობს კოლოფონის შესავალი ნაწილი. ამ ნაწევებში გიორგი არტანუჯელი ვედრებით მიმართავს ორ უდიდეს ქრისტიანულ სიწმიდეს – ქრისტეს საფლავს, სადაც სამი დღის მანძილზე დაბრძანებული იყო უფლის ჯვარცმული სხეული და ჯვარს პატიოსანს, რომელზეც მაცხოვარი ეწამა ადამის მოდგმის ცოდვათა გამოსყიდვისათვის: „ქ. საფლავო ქრისტესო და ჯუარო პატიოსანო, შეიწყალე არტანუჯელი ლომას-ძე გიორგი“.

ჩვენი დაკავირვებით, სავედრებელის მანცდამაინც ამგვარი ფორმულით დაწყება შემთხვევათი მოვლენა სულაც არ არის. პირიქით, ამ ფაქტს აბსოლუტურად გასაგები მიზეზები აქვს. დავიწყოთ იმით, რომ გარეჯელი კრებული, რომლის აშიებზეც იწვერება გიორგი ლომას-ძის ქოლოფონი, ამ დროს უკვე ნამდვილად წმიდა მიწაზეა გადატანილი და იერუსალიმის ერთ-ერთი ქართულ სავანეში ინახება (48. 41-42). შესაბამისად, უკვევლია ისიც, რომ სავედრებელის ავტორი ტექსტის შესრულების ქამს აგრეთვე იერუსალიმში იმუფლება. იერუსალიმი კი, თავის მხრივ, სწორედ ის ქალაქია, სადაც მდებარეობს გიორგი არტანუჯელის მინაწერში მოხსენიებული ქრისტეს საფლავი (შდრ.: 27. 140-145) და ჯვარი პატიოსანი (შდრ.: 27. 69-139). აქედან, ვფიქრობთ, უკვე საესტებით ნათელი ხდება, თუ რატომ იწვება მანცდამაინც ასეთი შესაგალი ტექსტით Ven.4-ის კოლოფონი. მისი ავტორი მინაწერის შესრულების პერიოდში, როგორც ჩანს, წმიდა მიწაზე მომლოცველობს და ვედრებითაც იმავე იერუსალიმის უმთავრეს სიწმიდეებს ევედრება.

თუ ჩვენი დაკავირვება სწორია, მაშინ გამოდის, რომ გიორგი ლომას-ძე არტანუჯიდან წმიდა მიწაზე ჩასული პილიგრამი ყოფილა. აღნიშნული ფაქტი საკმაოდ საინტერესო შტრიხს მატებს ციხე-ქალაქ არტანუჯის ქრისტიანული თემისა და იერუსალიმის ქართული კოლოფნის საეკლესიო-კულტურული ურთიერთობის ისტორიას.

აქმდე წერილობითი წყაროებიდან ცნობილი იყო არტანუჯის მცხოვრები მხოლოდ ორი პირი, რომელსაც გარეკვეული სახის ურთიერთობა ჰქონდა წმიდა მიწაზე მოქმედ ქართულ სავანებითან. მხედველობაში გვყავს იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის აღაპებში მოხსენიებული შალვა არტანუჯელი (XIII-XIV სს.) – უმცროსი ძმა სამცხის მთავრის სარგის II-ისა და შაშია არტანუჯელი (XIV ს-ის II ნახ.) – უმცროსი ძმა ათაბაგ ყვარყვარე II-ისა (იხ.: ზემოთ). ამიერიდან, დასახელუ-



ბულ პირებს უნდა დაემატოს ციხე-ქალაქ არტანუჯის კიდევ ერთი მკვიდრი, უკავშიროსა უკუნეში მოღვაწე გიორგი ლომას-ძე, რომელმაც არა მხოლოდ მოილოცა იქრუსა-ლიმის სიწმიდეები, არამედ ჩინებული მხედრულით დაწერილი სავედრებელიც დაურ-თო წმიდა მიწის ერთ-ერთ ქართულ სავანეში დაცულ გარეჯული კრებულის აშიებს.

დასასრულ, ხაზგასმით აღვნიშნავთ იმ ფაქტსაც, რომ გიორგი ლომას-ძის სა-კვდებელს საქმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთრივ ციხე-ქალაქ არტანუჯის ის-ტორიისათვის. რაოდენ გასაყირიც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ სამეცნიერო საზოგადოება აქამდე საერთოდ არ იცნობდა ისეთ წერილობით წყაროს, რომელიც რაიმე წარმოდგენას მაინც შეგვიქმნიდა XV საუკუნის არტანუჯის შესახებ. ამ მხრივ, Ven.4-ის კოლოფონი მართლაც ძეირფასი შენაძენია.

ჯერ ერთი, სავედრებელზე დაყრდნობით, დაბეჭიოთებით შეიძლება ითქვას, რომ XV საუკუნის არტანუჯში კვლავინდებურად სიცოცხლისუნარიანია ქართული ეთნიკური ელემენტი (შდრ.: 45, 62). ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული სხვადა-სხვა გვარებიდან დოკუმენტურად დასტურდება ლომას-ძეთა გვარის არსებობა.

მეორე, XV საუკუნის არტანუჯში მცხოვრები ქართველები არამხოლოდ გამართულად ფლობენ ქართულ ენას, არამედ ოსტატურადაც სარგებლობენ საქმაოდ რთული მხედრული დამწერლობით. ამაზე ნათლად მიგვითითებს გიორგი არტანუჯელის მიერ შესრულებული სავედრებელი.

დაბოლოს, მესამე, XV საუკუნის არტანუჯში ძეგლებურად ძლიერია ქართველი ქრისტიანული თემი. როგორც გიორგი ლომას-ძის მომლოცველობიდან ჩანს, ამ თემის წარმომადგენლები წარმატებით პილიგრიმობენ წმიდა მიწაზე და ცხოველი ურთიერთობა აქვთ იერუსალიმის ქართულ სავანებითან.

საერთოდ, ამთავითევ უნდა ითქვას, რომ ჩვენს მიერ მოტანილ დებულებებში მოულოდნელი და სენსაციური არაფერია. 1553 წლამდე ციხე-ქალაქი არტანუჯი სამცხე-ქათაბაგოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს (2. 500; 11. 716, 726-727, 900; 45. 61; 5) და ამიტომ აქ რაიმე სხვა სურათის არსებობა უბრალოდ წარმოუდგენელია. თუმცა, დღემდე ამ ყველაფერზე საუბარი მხოლოდ ზოგად ისტორიულ გთარებაზე დაყრდნობით გვაწევდა. ახლა კი, ამგვარ მსჯელობას თავისი მყარი დოკუმენტური საფუძველი უჩნდება და ზემოთ მოხმობილი დებულებებიც გაცილებით უფრო არგუმენტირებულ სახეს იღებს.

ამინიჭად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამეცნიერო საზოგადოებას ვთავაზობთ შემდეგ ძირითად დასკვნებს:

1. ენის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდში დაცული 1160 წლის გარეჯული კრებულის, იგივე Ven.4-ის 187-ს ქვედა ნახევარზე შესრულებული ოთხსტრიქონიანი მხედრული მინაწერი, მთელი რიგი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, თარიღდება XV საუკუნით.

2. სავედრებელი დაწერილია ისტორიული კლარჯეთის, უფრო ზუსტად კი, ციხე-ქალაქ არტანუჯის მეკიდრის გიორგი ლომას-ძის მიერ, რომელმაც წმიდა მიწაზე მომლოცველობისას უშუალოდ მოიხილა იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ სავანეში დაბრძანებული გარეჯული კრებული.

3. სავედრებელის ტექსტზე დაყრდნობით, დაბეჭიოთებით შეიძლება ითქვას, რომ XV საუკუნის არტანუჯში კვლავინდებურად ძლიერი იყო ქართული ქრისტიანული თემი და მის ცალკეულ წარმომადგენლებსაც მჭიდრო ურთიერთობა პქონდათ იერუსალიმის ქართულ კოლონიასთან.

**SUPPLICATION MARGINAL COLOPHON (15TH C.) OF GIORGI LOMAS-DZE,  
PILGRIM FROM ARTANUJI, FOUND IN THE MANUSCRIPT COPIED IN 1160 AT  
GAREJI DESERT (VEN. 4), LATER ON IN THE POSSESSION OF  
A GEORGIAN MONASTERY IN JERUSALEM**

Five Georgian manuscripts are preserved at the Vienna National Library, Austria. Of special note among them is a collection of texts under the title “Sanatreli” (“The Longed For”) copied in 1160 by an artist-calligrapher Nikoloz Nikrai at a monastery of Gareji. The manuscript in question is also known as Ven. 4. Already by the second half of the 14th century this large manuscript was taken from Gareji to Jerusalem, becoming property of one of the functioning Georgian monasteries there. By 1840s, the manuscript was still preserved in Jerusalem. A bit later it became the possession of a certain antiquarian from Alexandria, who sold the manuscript to the Vienna National Library in 1931.

Numerous colophons found in the manuscript comprise the most significant accounts from the history of Georgia starting from the 12th c. and till the 19th c. inclusive. The proposed paper is concerned with the results of the detailed research on the text of one of the colophons found in the manuscript under consideration. Three principal conclusions have been drawn as a result of our research:

1. Taking into consideration the paleographic peculiarities of the four-line text, written with a skilled hand in mkhedruli (secular) script over the mid-portion of page 187r of the manuscript copied in 1160, the colophon can be dated to the 15th century.
2. The above supplication colophon was written by a citizen of the city-fortress Artanuji in Klarjeti, the historical province of Georgia, who came in touch with Ven. 4 in one of the Georgian monasteries in Jerusalem during his pilgrimage to the Holy Land.
3. Analysis of the colophon’s text corroborates the fact that in the 15th century the Georgian Christian community of Artanuji was still in power, and that certain members of the latter maintained close links with the Georgian Colony in Jerusalem.

**დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა**

1. აბულაძე ილია. ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული აღმომმა. მეორე შეკრული გამოცემა. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი. 1973.
2. ახალი ქართლის ცხოვრება. მესამე ტექსტი. წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დაგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხეჩიშვილის მიერ. ტომი II. გამომცემლობა „საპართო საქართველო“. თბილისი. 1959. 477-540.
3. ბაილეთი. წგნ.: საქართველო. ენციკლოპედია. 1. გამომცემლობა მითითებული არ არის. თბილისი. 1997. 336-337.
4. ბახტაძე მიხეილ. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი. 2003.
5. ბერძენიშვილი დევი. არტანუჯი. წგნ.: საქართველო. ენციკლოპედია. 1. გამომცემლობა მითითებული არ არის. თბილისი. 1997. 209.



6. ბერძენიშვილი დევი. არყისციხე. წგნ.: საქართველო ენციკლოპედია. 1. გრინიშვილის ლობა მითითებული არ არის. თბილისი. 1997. 217-218.
7. გუჩია ვიქტორ. ბაადურ ჯაფელი. წგნ.: საქართველო. ენციკლოპედია. 1. გამომცემლობა მითითებული არ არის. თბილისი. 1997. 311.
8. გუჩია ვიქტორ. ბექა I ჯაფელი. წგნ.: საქართველო. ენციკლოპედია. 1. გამომცემლობა მითითებული არ არის. თბილისი. 1997. 416.
9. გუჩია ვიქტორ. სარგის II ჯაფელი. წგნ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 9. საქართველოს სსრ გამსახურის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი. 1985. 102.
10. გუჩია ვიქტორ. უვარევარე I ჯაფელი. წგნ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 10. საქართველოს სსრ გამსახურის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი. 1986. 638.
11. ვახტაშვილი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტომი IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხებიშვილის მიერ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი. 1973.
12. თავაიშვილი ექვთიმე. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. წიგნი პირველი. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთ ამხანაგობისა. ტფილისი. 1907.
13. იმნაიშვილი ვახტანგ. სინას მთიდან გრაცამდის (გრაცის ქართული ხელნაწერების ისტორია). გამომცემლობა მითითებული არ არის. თბილისი. 2001.
14. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ.). წიგნი I. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთოშოთა ბურჯანაძემ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი. 1958.
15. კაკაბაძე სარგის. სჯულმდებელთა ბექას და აღმულას ვინაობა. სტამბა „შრომა“. ტფილისი. 1912.
16. ლომინაძე ბაბილინა. აღბუდა II ჯაფელი. წგნ.: საქართველო. ენციკლოპედია. 1. გამომცემლობა მითითებული არ არის. თბილისი. 1997. 89.
17. ლომინაძე ბაბილინა. მონღლოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40 – XIV ს. 10-იანი წწ.). წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი III. საქართველო XI-XV საუკუნეებში. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1979. 552-622.
18. ლომინაძე ბაბილინა. საქართველო XIV საუკუნის პირველ ნახევარში. მონღლოლთა ბატონობის გადაშენება. გიორგი V ბრწყინვალე. წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი III. საქართველო XI-XV საუკუნეებში. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1979. 623-669.
19. ლომისაძე შოთა. იგანე II ჯაფელი. წგნ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი. 1980. 89.
20. ლომისაძე შოთა. მანუჩარ I ჯაფელი. წგნ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 6. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი. 1983. 415.
21. ლომისაძე შოთა. მზეჭაბუქ ჯაფელი. წგნ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 6. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი. 1983. 658.

22. ლომსაძე შოთა. ქაიხოსრო I ჯაფელი. წგნ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 10. საქართველოს სსრ გამახურმის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი 1986. 443.
23. ლომსაძე შოთა. ყვარევარე II ჯაფელი. წგნ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 10. საქართველოს სსრ გამსახურმის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი. 1986. 638.
24. ლორთქიფანიძე მარიამ. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X საუკუნის 80-იანი წლებიდან XI საუკუნის 80-იან წლებამდე. წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკევები. ტომი III. საქართველო XI-XV საუკუნეებში. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1979. 153-209.
25. ლორთქიფანიძე მარიამ. ტაო-ქლარჯეთი („ქართველთა სამეფო“). წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკევები. ტომი II. საქართველო IV-X საუკუნეებში. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1973. 445-489.
26. მატიანე ქართლისა. წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხესჩევილის მიერ. ტომი I. გამომცემლობა „სახელგამი“. თბილისი. 1955. 249-317.
27. მენაძე ლევან. ძველი ქართული მწერლობის კერები. II. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1980.
28. მეტრეველი ლევნე. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი. გამომცემლობა „სკოლა“. თბილისი. 1998.
29. მეტრეველი ლევნე. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი. 1962.
30. მუსხელიშვილი დავით. საქართველო IV-VIII საუკუნეებში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მემატიანე“. თბილისი. 2003.
31. მუსხელიშვილი დავით. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი. 1980.
32. პირთა ანობრიუბული ლექსიკონი, XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. II. გამოსაცმად მოამზადეს: დარჯვან კლდიაშვილმა და მზია სურგულაძემ. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი. 1993.
33. ჟამთააღმწერელი. წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხესჩევილის მიერ. ტომი II. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1959. 151-325.
34. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.). ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრისტინე შარაშიძისა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი. 1961.
35. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII-XV სს.). ტექსტები და გამოკვლევები მომზადებულია ქრისტინე შარაშიძის მიერ. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი. 1982.
36. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. RT XXV-3. I-II. [ფოტოპირი].
37. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია). ტომი IV. შეაღვინა ქრისტინე შარაშიძემ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი. 1954.

38. სილაგაძე ავთანდილ, თოთაძე ანზორ. გვარ-სახელები საქართველოში. სააქტკონსტატუცია საზოგადოება „მექანიკითი სიტყვის კომინატი“. თბილისი. 1997.
39. სუმბატ დავითის-ძე. ცხორებად და უწყებად ბაგრატონიანთა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონიერი არახამიამ. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი. 1990.
40. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯევის ბაგრატიონთა შესახებ. გამოცემა მესამე. ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით და ორი გენეალოგიური ტაბულით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ექვთიმე თა-ჭავიშვილმა. კრ.: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი 27. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი. 1949. 1-80, 91-94.
41. ფერაძე გრიგოლ. ქართული ხელნაწერების შესახებ აქსტრიაში. წერილი გერმანულიდან თარგმნა ცისია კილაძემ. თარგმანის რედაქტორი – პროფესორი დიმიტრი თუმანიშვილი. გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო თემო ჯოჯუამ. ალმ.: „მწიგნობარი“. 04. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფავორიტი“. თბილისი. 2004. 160-181.
42. შარაშიძე ქრისტინე. საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.). გამოკვლევა და ტექსტები. კრ.: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი 30. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი. 1954. 197-304.
43. შოშიაშვილი ნოდარ. აბუსერისძე აბუსერ. წერ.: საქართველო. ენციკლოპედია. 1. გამომცემლობა მითითებული არ არის. თბილისი. 1997. 39.
44. შოშიაშვილი ნოდარ. აბუსერისძე გრიგოლ. წერ.: საქართველო. ენციკლოპედია. 1. გამომცემლობა მითითებული არ არის. თბილისი. 1997. 39.
45. წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე. წერ.: ისიდორე დოლიძე. ძველი ქართული სამართლი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1953. 285-316.
46. ხოშტარია დავით. ქალაძე არტანუჯი და მისი სიძეელენი. ჟურნ.: „არტანუჯი“. ახალგაზრდა ისტორიკოსთა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი. 5. გამომცემლობა მითითებული არ არის. თბილისი. 1996. 60-75.
47. ჯოჯუა თეიმურაზ. XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) ერთი მინაწერი და აფხაზეთის უცნობი კათოლიკოსი ბართლომე (დაახლ. 1488-1519 წწ.). ჟურნ.: „საქართველოს სიძეელენი“. 1. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრი. თბილისი. 2002. 117-132.
48. ჯოჯუა თემო. მოქეთის უცნობი გეისეპონოს დუქა ოძრხელი (1360-იანი წწ.) და მისი ხუთი მინაწერი XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) აშენდიან. კრ.: „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები“. VI. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში 2002 წლის 24-26 სექტემბერს ჩატარებული მარი ბროსეს დაბადებიდან 200 წლისთვისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა დარგთაშორისი კონფერენციის მასალები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მემატიანე“ თბილისი. 2003. 33-52.
49. ჯოჯუა თემო. საქართველოს მეფის გიორგი III-ის აღსაყდრების თარიღი 1160 წლს გარეჯში გადაწერილი ხელნაწერის (Ven.4-ის) ანდერძის მიხედვით. კრ.: „ოჩხარი“. ჯულიეტა რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და



- უილოლოგიური ძიებანი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ურთიერთობის  
დღის ინსტიტუტის გამომცემლობა „მემატიანე“. თბილისი. 2002. 508-გვ. ს. 107-110.
50. ჯოჯუა თემო. წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე და 1160 წელს გარეჯში გა-  
დაწერილი ერთი უცხობი ხელნაწერი. ქრ.: „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდი-  
ები“. V. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტი-  
ტუტში 2001 წლის 24-27 სექტემბერს ჩატარებული ინსტიტუტის 60 წლისთავისად-  
მი მიძღვნილი ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა დარგთაშორისი კონფე-  
რენციის მასალები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლო-  
გიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მემატიანე“. თბილისი. 2002. 91-147, 379-382.
51. ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი  
დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხეჩიშვილის მიერ.  
ტომი I. გამომცემლობა „სახელგამი“. თბილისი. 1955. 139-244.
52. Peradze Gregor. Über die georgischen Handschriften in Österreich. In: "Wiener Zeitschrift für die  
Kunde des Morgenlandes". XLVII. Band. 3. und 4. Heft. Ahnenerbe-Stiftung Verlag. Wien. 1940.  
219-232.
53. Лордкипанидзе Мариам. Картвельское царство (Тао-Кларджети). В кн.: Очерки истории  
Грузии. Том II. Грузия в IV-X веках. Издательство "Мецниереба". Тбилиси. 1988. 306-339.

რატოზ ეფოდა ძურდის ხევს ძურდვაჲარი, ანუ ძურდვაჲარის ხევი?

გეოგრაფიული სახელი „ქურდის ხევი“, როგორც ცნობილია, პირველად ისტორიოს ჯუნიშერთან (VIII ს.) იხსენიება. იქ, სადაც საუბარია არჩილ „მეფის“ (ერის-მთავრის) მიერ თავისი მმის მირის ქალიშვილების დაქორწინებაზე, ერთგან აღნიშნულია, რომ არჩილმა „მეხეთე მისცა ვარზმანს და მისცა [ტერიტორია] კოტანითგან ქურდის ჰევამდე<sup>1</sup>. ხოლო „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი იხსენიებს „ქურდგაჭარს“, ანუ „ქურდგაჭრის ხევი<sup>2</sup>, ვახუშტი ბაგრატიონს ბერდუჯის აღწერისას ნათქეამი აქვს, რომ ეს მდინარე (იგივე დებედა) „მიერთვის ქციის მდინარესა... ხოლო ქურდად ადგილისა ამის სახელი არს ქურდგაჭრის ჰევი<sup>3</sup>. ამის გამო ივ ჯავახიშვილი აზნიშნავდა: „მაგრამ არა ჩანს რაზე ამყარებს ვახუშტი თავის აზრით<sup>4</sup>. ასეთმა ბუნიონგანმა ცნობებმა მას უბიძგა „ქართველი ერის ისტორიის“ II ტომის 1914 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში დაეწერა: „მეტოხელი დაინახას, რომ ბევრი რამ ჯერ გამოურკვეველია და ბევრი რამ ჯერ შეუძლებელია სასურველი სისრულით და სიღრმით იყოს შესწავლილი“. ამგვე დროს ბ-ნი ივანე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართულთან ერთად უცხოურ წყაროებს, მათ შორის ძევლ სომხურ ენაზე შექმნილ საისტორიო მწერლობაში დაცულ ცნობებს საქართველოს შესახებ და ხშირადაც იყენებდა მათ: მაგ. ლაზარ ფარაევის, თომა არწიუნის, იოვანე დრასხანაკერტეცის, სტეფანოს ტარონეცის (ასოლიე), მათვ ურპაეცის და კიდევ სხვათა მონათხოვბებს.

საისტორიო მეცნიერების ამგამინდელი განვითარების დონე შესაძლებლობას იძლევა განიმარტოს ხევნს კონკრეტულ შემთხვევაში როგორ იქცა ჯუნიშერის „ქურდის ხევი“, „ისტორიათა და აზმათა“ ავტორთან „ქურდგაჭრის ხევად“. უწინარეს ყოვლისა გავისხენ თუ რა ტერიტორია იგულისხმება „კოტანითგან ქურდისხევამდე“, დ. მუხ-ხელიშვილი აღნიშანებს: „როგორც ვარაუდობდით, მდ. კოტმანი იგივე დღევანდელი თაუზეჩაია. რაც შეეხება ქურდისხევს, იგი, ალბათ, მართლაც, „ქართლის ცხოვრებიდან“ ცნობილი ქურდგაჭრის ხევია, ანუ დღევანდელი მდ. დებედია, ანუ ეს არის ტერიტორია მტკვრის მარჯვენა ნაპირზე თაუზ-ჩაისა და მდ. დებედის შორის<sup>5</sup>.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბ-ნი 6. ბერძნიშვილი სავსებით მართებულად ქურდის ხევს ქურდის ტომის ნაკალევად მიიჩნევდა<sup>6</sup>.

ამრიგად, ქურდის ხევი და ქურდგაჭრის ხევი ერთსა და იმავე ტერიტორიას მოიცავს აქედან პირველი გულისხმობს ქურდის (ქურთის) ტომის იქ არსებობას, ხოლო მეორეგან „ქურდი“ ამ ტომიდან მომდინარევ საკუთარი სახელია, „ვაჭარი“ კი ამ კონკრეტული პირის საქმინობაზე მიუთითებს. რის საფუძველზე ხერხდება ასეთი დასკნის გამოტანა? ამ საკითხის გარკვევას ხელი შეუწყო XII-XIII სს-ის ცნობილი სომები მწერლისა და მოძღვრის მხითარ გოშის თხულებამ „ალბანეთის ქრისიამ“, რომელიც დაბეჭდა 1901 წელს ვენეციაში ალიშანის კრებულში<sup>7</sup>. რამდენადაც ეს ქრებული დიდი ხანია, რაც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, მასში მოთავსებული ნაწარმოებებიც და მათ შორის „ალბანეთის ქრონიკა“, ნაკლებად ხელმისაწვდომი გახდა. 1958 წ. აღმოსავლეთმცოდნე მკალევარ წ. ლოგსეთს ვენეციის მხითარიანთა მონასტერში უნახაეს „ალბანეთის ქრონიკის“ ორი ხელნაწერი, უთარგმნია ისინი ინგლისურ ენაზე და გამოუქვეყნებია<sup>8</sup>. ამ გამოცემის საშუალებით აღნიშნულ თხულებას გაეცნო ცნობილი აზერბაიჯანელი მკალევარი ზ. ბუნიატოვი და 1960 წელს გამოსცა მისი რუსული თარგმანი შესავლით და შენიშვნებით<sup>9</sup>, ხოლო ქართული თარ-



გმანი ასევე შესავალი წერილითურთ დაიბეჭდა „ქართული წყაროთმცოდნების ტრიმში 1968 წელს<sup>10</sup>.

ამ ნაწარმოების საშუალებით ხერხდება გაირკვეს ქურდის ვინაობა: აქ აღნიშნულია, რომ დემეტრე I-ის უფროსმა შეილმა დავით V-მ, რომელიც მოძალადევობით დაუუფლა სამეფო ტახტს 1155 წელს, მეტად განადიდა თბილისის სატრაპი (ქალაქის გამგებელი) ვასაკი და მისი ძმა ქურდი, ხოლო დავით V-ის გარდაცვალების (1156 წ.) შემდეგ ტახტზე ასულმა გიორგი III-მ მოისურვა ვასაკის შეპყრობა, რადგანაც ხედავდა, რომ ვასაკი დავით V-ს უფრო მეტ პატივს მიაგებდა და უკვათაც ემსახურებოდა, ვიდრე მას. მაგრამ ვასაკის შეუტყვია მეფის განზრახვა და ქურდთან ერთად გაქცეულია ქ. კარინში (არზრუმში). არზრუმის ამირა სალდუხს მები პატივით მიუღია, რადგანაც 1154 წ. ანისის გარემოცვის დროს შეპყრობილი და ტყვევდ თბილისში მოყვანილი სალდუხისათვის მრავალი დახმარება გაუწევია ვასაკს. მაღლიერ არზრუმის ამირას თავისი მხსნელი ვასაკისათვის უბოძებია სხვადასხვა კუთხის გამგებლობა, ხოლო რამდენადაც ვასაკი მაღლე იქვე გარდაცვალა, მისი დროშა, საყვირი და მოპოვებული უფლებები ქურდისთვის გადაუცია<sup>11</sup>. ამრიგად, ქურდი უკვე მისიგან დამოუკიდებლად გამოდის სამოქმედო ასპარეზზე. საინტერესოა, მაინც როდის შესძლო მან არზრუმიდან საქართველოში დაბრუნება და შეურიგდა თუ არა გიორგი III? ამ კითხვას პასუხობს კიდევ ერთი სომხური წყარო, კერძოდ „მოსახსენიებელია“, რომლის ქართული თარგმანი გამოიქვეყნა გ. მაისურაძემ. წყარო ეკუთხის XIII ს-ის ავტორს, კაენის მხარეში არსებული ქობაირის მონასტრის წინამდგვარს – დავით ქობაირელს. ნაწარმოებში მოთხოვდილია დემნა უფლისწელისა და ორბელთა 1177 წლის აჯანყების ამბები გიორგი III-ის წინააღმდეგ. აჯანყებაში, ტექსტის მიხედვით, აქტიურ მონაწილეობას იღებს ქურდი, ის იბრძვის გიორგი III-ის მხარეზე და მისივე ბრძანებით აჯანყებულებს უზვეს ვიწრო გზაზე თავის საქუთარ მხარეში და უკანვე აბრუნებს მათ<sup>12</sup>. ამის მიხედვით ქურდი ამ დროს უკვე საქართველოშია და მეფესთან შერიგებულიც. აქ ქურდი მოხსენიებულია „ამირაპეტად“<sup>13</sup>, ხოლო „ალბანეთის ქრონიკაში“ მას მოხელეობის აღმნიშვნელი მითითება არ ახდებს. ეტყობა, ამირაპეტობა ქურდს გიორგი III-მ უბოძა აჯანყების დაწყებამდე მოუხედავად ამისა, ქურდის მამული კაენი ამავე წყაროს ცნობით 1177 წელს სხვის ხელშია. სტეფანოს ორბელიანის მიხედვით მაშინ კაენის მფლობელად დასხელდებულია პასან კაენელი, რომელსაც დ. ბერძნიშვილი ადგილობრივ უფლდალად მიიჩნევს<sup>14</sup>. გიორგი III-ის მეფობის ბოლო ხანებშიც ქურდის მატული სხვათა ხელშია (სარგის ამირა, ელიძეევი)<sup>15</sup>.

თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით 1191 წელს გიორგი რუსის აჯანყებამდე „ვარდან დადიანი – მსახურთუხევესი [იუგ] ლიხთაჭით პატრინი ორბეთის და კაჭისა“<sup>16</sup>. აჯანყების დამარცხების შემდეგ მას ეს მსახუები ჩამოერთვა, როგორც გიორგი რუსის მხარეზე მდგომს. იგივე ავტორის სიტყვით თამარმა უხვად დააჯილდოვა თავისი ერთგულნი, მათ შორის ივანე მსარგრძელისათვის უბოძები კანი და კაირინი. კირაკოს განძაცევის სიტყვით კი თამარმა დიდი პატივი მიაგო ქურდს და დაუბრუნა როგორც მშობლიური ადგილები, ასევე სხვა მრავალიც<sup>17</sup>. ვფიქრობ, აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ვარდანის მიხედვით ივანე მსარგრძელი იუგ ქურდის დისწელი<sup>18</sup>. ამ ნათესაობის საფუძველზე შესაძლებელია ივანემ თვითონ დაუმომ თავის ბიძა ქურდს ის მხარები, რომლებიც თავიდანვე მასევ ეკუთხოდა, ხოლო ქურდის გარდაცვალების შემდეგ კაენი და მაკაბერდი ისევ მხარგრძელთა ხელშია.

თამარის დროს ქურდი საბოლოოდ მეყიდრდება თავის მამულში. ეტყობა, ის იუგნებს ადრინდელ კაეშირებს და, მიუხედავად ხანდაზმულობისა, მსხვილი ვაჭრობის



საქმეში ებმება. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელი და დგმეტრები მართვული რიეიანთ სამეფოში მოსახლე ფეოდალებს თავისი ნებით აყენებდნენ საქართველოს სამსახურში და თავის მოხელეებად აქცევდნენ. ეს პროცესი ხელს უწყობდა ქართული სამეფო ქარის გარკვეული პოლიტიკის გატარებას, კერძოდ, სავაჭრო-ეკონომიკური სფეროს განვითარებას და წინსელას<sup>19</sup>. ამდენად ქურდის მამულთან არსებული „ქურდვაჭრის“ ხევი გასაკვირი არ არის, რომ მხოლოდ თამარის თანამედროვე ისტორიკოსთან იხსენიება და სწორედ ქურდის სახელს უნდა ეკუთვნოდეს.

დაბოლოს, ისიც გასახსენებელია, რომ მიუხედავად ქურდის ქურთული წარმოშობისა, როგორც კირაკოს განძაკეცი უთითებს, ის ყოფილა ქრისტიანი, ხოლო მის წინაპრებს მიღებული პქონიათ არწრუნთა ფეოდალური გვარიც.

Liana Davlianidze

## WHY “THE KURD’S CANYON” CONVERTED INTO “THE KURDMERCHANT CANYON”?

The historian of the VIII century Juansher called the territory between the rivers Tauzachay and Debeda “The Kurd’s canyon” (“Kurd” is a name of a tribe). The academian Nicko Berdzenishvili supposed that it was the trace of Kurd’s tribe. The Queen Tamar’s first historian called the same territory “The Kurdmerchant canyon”.

The question is about how “The Kurd’s canyon” converts into “The Kurdmerchant’s canyon”?

The chance is given by published in 60-s years of previous century the book of the 12<sup>th</sup> century famous Armenian writer: “The Albanian chronicle”, according which “Kurd is a proper name of an Amir, who lived in the 12<sup>th</sup> century, and “merchant” is his activity. According the source Amirkurd connected with Kachin’s merchants. The Queen Tamar supported his activities very much, what was connected with the development of Georgian trade-economical sphere.

1. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხეჩიშვილის გამოც., 1955, გვ. 242.
2. ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხეჩიშვილის გამოც., 1959, გვ. 51, 54, 64.
3. ქართლის ცხოვრება IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეცნიანოსა საქართველოსა, 1973, გვ. 307.
4. 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, 1975, გვ. 12.
5. დავით მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1980, გვ. 64-65.
6. 6. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 12; დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 107.
7. ალიშანი ვ. მ., სომხეთის ისტორია და მისი ისტორიკოსები, ვენეცია, 1901, გვ. 361-362, 384-391 (სომხურ ენაზე).
8. C.J.F. Dousett, The Albanian Chronicle of Mxitar Gos, BSOAS XXI, 1958, 472-490.
9. მხითარ გოშ, ალბანская хроника, предисловие, перевод и комментарии З. М. Буниятова, Баку, 1960.
10. დ. დავლიანიძე, მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა“, ქართული წყაროთმცვდნეობა, II, 1968, გვ. 27-49.
11. იქვე, გვ. 46-48.
12. მაისურაძე გ., ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწელის აჯანყების შესახებ, პრეტული „საქართველო რუსთაველის ხანაში“, 1966, გვ. 264.
13. იქვე.
14. ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, 1979, გვ. 79.
15. Еремян С. М. Агарцинская надпись 1184 г. сборник в честь акад. И. Н. Орбели, М., 1965, стр. 84-85; მესხია შ., საშინაო პოლიტიკური ვითარება და სახელმწიფო წყობა X ს-ის საქართველოში, 1979, გვ. 118.
16. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 49.
17. კირაკოს განძაკევი, თ. XIII.
18. ვარდან ბარბერდელი, მსოფლიო ისტორია, ნ. შოშიაშვილის და ე. კვაჭანტირაძის გამოც., 2002, გვ. 158.
19. მესხია შ., მხარგრძელთა აღზევება საქართველოში, ქრებ. „საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII ს-ის საქართველოში“, 1979, გვ. 276.

## „საქართველოს მრისთავი“ თუ „საქართველოს მრისთავი“?

საქართველოს მეფემ, გიორგი მეოთხემ (1207-1222) ქართლის ერისთავის, სულა სურამელის თხოვნით ქვათახევის მონასტერს სოფელი სველნეთი შევწირა. ამასთან დაკავშირებით მეფის მიერ გაცემული შეწირულობის სიგელი დედნის სახითაა მოღწეული. მართალია, ეპრატი საგრძნობლად დაზიანებულია, მაგრამ ტექსტის ძირითადი შენარსი მაინც გასაგებია.

აღნიშნულ სიგელში მეფე გვაუწყებს, რომ ქართლის ერისთავი „გუგაჯა და მო...სენა: რაითამცა: შეთ: და ქართლის სოფელი სუელნითი: რი პაპისა: ჩვენისაგან: პაპასა: და მამასა: მისა: პქონებუდა... ან მას: პქუნდა საქართლისერისთვეუისაგნმცა: გ...ნახერეს: ქვათაპევეს: შევწირეთ: დაგუაჯერა: ლონ: ვისმინეთ: პაჯაი: დამოსესენებაი: ე...ვისა: სულა: ქს: ე...ვისა: დასუელ... გამოგულია: საქართლის ე...ვისაგან: და შეგუ...იწ...მფარვ...ს: ჩვენისა: ყოლად: წმიდისა ლთისმშობელისა: დამონასტრისა: მისის ქვათავეებისადა“ (6, 399-240).

მიუხედავად იმისა, რომ სიგელი სამჯერა გამოცემული, მისი ფრაგმენტი მაინც დედნის მიხედვით (უცვლელად) მოვიტანე, რათა ქვემოთ მკითხველს საშუალება პქონდეს თვალი ადგენოს ჩემთვის საინტერესო ადგილების წაკითხვისა და დადგენის ისტორიას საბუთის ერიტიკულ გამოცემებში. ჩემთვის საინტერესო ადგილი კი ორია: სიტყვები, „საქართლისერისთვეუისაგნმცა“ და „საქართლის ე...ვისაგან“:

საბუთის პირველ გამოცემაში, რომელიც თ. კორდანიას ჰკუთხნის, დენისეული, „საქართლისერისთვეუისაგნმცა“ ასევა წარმოდგენილი: „საქართლის (sic) ერისთავისაგნაც“, ხოლო „საქართლი ე...ვისაგან“ როგორც „საქართლის (sic) ერისთავისაგან“ (5, 266). იგივე ადგილები ი. დოლიძის მიერ გამოცემენბულ ტექსტში ასევა: საქართლის (sic) ერისთვისაგანმც“ და „საქართლის (sic) ერისთვისაგან“ (7, 35), „საქართლის“ შემდეგ დასმული ნიშანი (sic) მოწმობს, რომ თ. კორდანიას და ი. დოლიძეს ეს ფორმა, მიუხედავად ავტოგრაფიულობისა, აშეარად ეუცხოებათ.

დოკუმენტის ბოლო, მესამე გამოცემაში 6. შოშიაშვილმა უცვლელად გადმოიტანა დენისეული წაკითხვა „საქართლისერისთვეუისაგნმცა“, სადაც ტირის მეტვებით ცალკე კლემენტად გამოჰყო -სა, ტირე დასვა, აგრეთვე, შეაში და მოგვცა: „საქართლის-ერისთვეუისაგნმცა“, ხოლო „საქართლის ე...ვისაგან“ პელავ ტირეების გამოყენებით ასე წარმოადგინა: „საქართლის-ე(რისთავო)ისაგან“.

სიგელის მონაკვეთი, სადაც განსახილებული სიტყვებია მოთავსებული, დაზიანებული ადგილების აღდგენითა და ქარაგმების გახსნით 6. შოშიაშვილის მიერ განხორციელებული პუბლიკაციის მიხედვით ასე გამოიყერება: „გუგაჯა და მოგუაგ[ს]ენა, რაითამცა შევიწყალეთ და ქართლის სოფელი სუელნეთი, რომელი პაპისა ჩეგნისაგან პაპასა და მამასა მის[ს]ა პქონებოდა [და ჩეგნისა მას[ა] პქონდა საქართლის-ერისთვეუისაგანმცა გ[ამოვიდეთ და მო] ნასტერსა მისსა ქვათაგევეს შევწირეთ. დაგუაჯერა ლ(მერ)ო(მ)ან, ვისმინეთ პაჯაი და მოგვენებაი ე(რისთავო)-ე(რისთავო)სას სულა ქ(ართლი)ის ე(რისთავო)ისაი და სუელ[ნეთი] გამოგულია საქართლის-ე(რისთავო)ისაგან და შეგუაწ[ირავს ესრეგ მფარველი]სა ჩეგნისა ქ(ო)ლად წმიდისა დ(მრ)ოისმშობლისა და მონასტრისა მისისა ქვათაგვევისადა“ (6, 108).



აქ დედნისეულ დაწერილობასთან დაკავშირებით მაქვს მცირეოდენებს „შენობების გურადღებას იქცევს საბუთის დედნისათვის დამახასიათებელი ერთი თატისერეტერებას“ - ო გრაფების მაგივრად უმეტესწილად - უ წერია. სახელდობრ, ნაცელად ფორმებისა: „სომეხთა“, „პეტონებოდა“, „პეტონდა“, „პეტონდეს“, „მეფობისა“ გვაქვს - „სუმეხთა“, „პეტონებულა“, „პეტონდა“, „პეტონდეს“, „მეფუბისა“, რაც კრიტიკულ გამოცემებში გასწორებულია ი. დოლიძის და ნ. შოშიაშვილის მიერ (5, 25; 6, 108). აშეარაა, რომ ანიშნული თავისებურების გამოვლენასთან გვაქვს საქმე განხილულ სიტყვაშიც, სადაც - ო გრაფების ნაცელად - უ წერია. აქაც, როგორც დედნისეულ უ გრაფებას - ო უნდა ჩაჭაცვლოს ე. ი. ზემოთ ჩამოთვლილ სიტყვებში, კრიტიკულად დადგინდლ ტექსტში უნდა გვქონდეს არა „საქართვლისერისთვისაგანმცა“, არამედ „საქართლისერისთვისაგანმცა“ (ნიშანდობლივია, რომ დაქარაგმებული საქართლის ე-ვისაგან ნ. შოშიაშვილმა ქარაგმის გახსნით, სავსებით მართებულად, ასე წარმოადგინა: „სა-ქართლის-ე(რის-თავი)ისაგან“).

როგორც ზემოთ ითქვა, საბუთის თ. ქორდანიას და ი. დოლიძის მიერ განხორციელებულ გამოცემებში განსახილეველი ადგილებიდან პირველი ასე იკითხება: „საქართლის ერისთავისაგან“ (თ. ქორდანია), „საქართლის ერისთავისაგანმცა“ (ი. დოლიძე), მეორე - „საქართლის ერისთავისაგან“. ამ გამოცემებზე დაყრდნობით სამუცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბდა მოსახურება საქართლის ერისთავის (შესაბამისად, საქართლის საერისთავოს) არსებობის შესახებ. ასე მაგ., ი. ანთელავა ანიშნავს, რომ „ამ სიგელით ირკვევა დიდი ერისთავის, ქართლის ერისთავის მმართველობის ქვეშ მყოფი საქართლის ერისთავის არსებობაც“. მკვლევარი ითვალისწინებს რა ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას, რომლის თანახმად დანის ხეობაში, „წორბის ზეით... მთასა შინა არს ციხე საქართლისა“ (4, 375), ასევნის, რომ სიგელის საქართლის ერისთავი სწორედ ამ ციხეში იჯდა და მისი „შესაგაღი“ ქვეყნის ერისთავი იყო - ქართლის ერისთავის ხელქვეით „ცოტად ერისთავი“ (1, 193-194). ჯ. გვასალიას ახ-რით, ადრევეოდადლური ხანის მიწურულს მდინარე ფრონეს ხეობაში ყალიბდება საქართლის საერისთავო, რომელიც შედის ქართლის საერისთავოს შემადგენლობაში. საერისთავოს ცენტრია საქართლის ციხე (3, 66-67). აღნიშნული მოსახურების საფუძველი, როგორც ვხედავთ, არის გოორგი მეოთხის სიგელის თ. ქორდანიას და ი. დოლიძის გამოცემებში წარმოდგენილი ტექსტი და ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა საქართლის ციხის შესახებ შიდა ქართლის ანუ ქართლის საერისთავოს ტერიტორიაზე.

მ. ბახტაძე, რომელიც საბუთის ნ. შოშიაშვილის გამოცემით სარგებლობს, უარყოფს რა საქართლის მცირე საერისთავოს არსებობას ქართლის საერისთავოს შემადგენლობაში, ფიქრობს, რომ სიგელის საქართლი იგივე ქართლია, ხოლო საქართლის ერისთავი - ქართლის ერისთავი (2, 288).

ამჯერად მე მაინტერესებს არა საქართლის ერისთავის (საერისთავოს) არსებობა-არარსებობის ან ქართლის ერისთავთან (საერისთავოსთან) მისი მიმართების საკითხი, არამედ, ანიშნულ მეცნევართა მიერ მოცემული ინტერპრეტაცია საბუთის ტექსტისა. სიმართლეს თუ ვიტყვით, სიგელის ის გამოცემები (თ. ქორდანია, ი. დოლიძე), რომლებსაც ი. ანთელავა და ჯ. გვასალია ემყარებიან, პირდაპირ ასახელებენ საქართლის ერისთავს. მაგრამ საქმე ისაა, რომ სხვა ვთთარებაა საქუთრივ დედანში, რომლის ჩვენება არ გმთხვევა აღნიშნულ გამოცემებში წარმოდგენილ წაკითხვას.

დოკუმენტის დედნის ჩვენება, როგორც ითქვა, ზუსტადა დაცული ნ. შოშიაშვილის გამოცემაში, სადაც ჩემს მიერ შეტანილი შესწორებით (-უ შევცვალუ თ-თი) განსახილევლი სიტყვა ასე იკითხება: „საქართლისერისთვოისაგანმცა“. კიდევ ერთხელ

მოვიტან ციტატას ამ შესწორებით და გამომცემლისეული ტირევების გარეშე: „ჩემი ჭა და მოგუა კვენა, რაითამცა... სოფელი სეულნეთი... საქართლისერისთვის სპასის ულა გამოვიდეთ და მონასტერსა მისისა ქვათა კვეს შევსწირეთ“.

ვუიქობ, აღნიშნული სიტყვის შინაარსის გასაგებად გადამწყვეტი მნიშვნელობა მისი მორფოლოგიური აგებულების ანალიზს უნდა მიენიჭოს. განსახილებით სიტყვა შემაღებელ ნაწილებად ასე უნდა დაიყოს: სა-ქართლი-ის-ერისთვ-ო-ი-სა-განმცა, სა-დაც სა-ო (სა-ქართლისერისთვ-ო) დანიშნულების სახელების მაწარმოებელი აფიქსების, -ის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, -ი ძევლი ქართულისათვის დამახასიათებელი სახელის დაბოლოება, -ს(ა) ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -განმცა თანდებულის წინ. სიტყვის ფუძეა საქართლისერისთვო (რომელსაც ერთვის -განმცა თანდებული) და არა საქართლის ერისთავი. ეს არსებითი მნიშვნელობის მომენტია (დადასტურებული თვით საბუთის დედანში), რომელიც ამოსავალი საფუძველია სიტყვის შინაარსის გასახსნელდა.

სა-ქართლისერისთვ-ო სიტყვაში, როგორც ითქვა, გამოიყოფა სა-ო აფიქსები, რომლებიც დანიშნულებას აწარმოებენ (შედრ. სა-გარისეაც-ო, სა-უფლისწულ-ო, სა-შეილიშეილ-ო და ა. შ.). ის გარემოება, რომ „ქართლის ერისთავი“ მოქცეულია აღნიშნულ აფიქსებს შორის, გვავალდებულებს ეს უკანასკნელი განვიხილოთ არა როგორც ორი დამოუკიდებელი სიტყვა, არამედ როგორც ერთი ლექსიკური ერთეული შედგენილი ორი კომპონენტისაგან ანუ სა-ქართლისერისთვ-ო, რომელიც, თავის მხრივ, შეიცავს რთულ ფუძეს (ქართლის+ერისთავი) ისევე, როგორც სა-უფლისწულ-ო (უფლის+წული). ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქართლის ერისთავი ისეთივე ფუძეა სიტყვაში სა-ქართლისერისთვ-ო, როგორიც უფლისწული სიტყვაში სა-უფლისწულ-ო. ეს ნიშნავს იმასაც, რომ ქართლისერისთავი და სა-ქართლისერისთვ-ო ისეთივე მიმართებაშია ერთმანეთთან, როგორშიც კარისეაცი და სა-გარისეაც-ო, შეილიშეილი და სა-შეილიშეილ-ო, ხელისუფალი და სა-ხელისუფლ-ო და ა. შ. აქედან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში სა-ქართლისერისთვ-ო სიტყვის ფუძე უკავშირო კომპონენტის სახით გვევლინება და ის ერთად უნდა დაიწეროს.

ამასთანავე, არ მავიწყდება, რომ სიტყვაში საქართლისერისთვო ფუძეა (ქართლისერისთავი) გამოყენებულია ხელოვნურად შექმნილი კომპოზიტი. ხელოვნურად, ვამბობ იმიტომ, რომ როგორც წესი, ქართულში კომპოზიტები იქმნება საზოგადო სახელების შეერთებით (მაგ: კარის + ქაცი, უფლის + წული, ხევის + ბერი, ხელის + უფალი, აზნაურის + შეილი, ძმის + წული და ა.შ.), საქართლისერისთვოს ფუძეში გაქომპოზიტებული სიტყვის პირველი კომპონენტი საკუთარი სახელია (ქართლი), მეორე - საზოგადო (ერისთავი), რაც კანონზომიერებას არ ექვემდებარება. „ქართლის ერისთავი“ გველა სხვა ცნობილ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ორი დამოუკიდებელი სიტყვაა. გარდა განსახილებული საბუთისა, ეს სიტყვები კომპოზიტის სახით პირადად მე არსად შემხედრია. ამ მხრივ საქართლისერისთვოს ანალოგიც არ ექვენება. რამდენადაც ჩემთვის ცნობილ წერილობით ძეგლებს არ შემორჩენა „საოდიშისერისთვო“, „საქართლისეპისკოპოსო“ და სხვა ამნაირი ფორმები. მაგრამ ეს გარემოება კოდევ ერთხელ ადასტურებს საყოველთაოდ ცნობილ ჰეშმარიტებას, რომ ენას არაერთი გამონაცალისი და უჩვეულო ფორმა ახასიათებს.

ასე რომ, გიორგი მეოთხის საბუთის ჩვენება „საქართლისერისთვო“ უნდა მიეოდოთ როგორც ფაქტი, რომელიც, მიუხედავად მორფოლოგიური არასტანდარტულობისა, მკაფიოდ მეტყველი ინფორმაცირია. თავისი აგებულებით საქართლისერისთვო ისეთი სიტყვების რიგში უნდა განვიხილოთ, როგორებიცა: საციხისთავი, სახევისთა-



ვო, საუფლისწულო, სახევისბერო და ა.შ., სადაც ფუძეებია უკავშირო კუმპანიაზე ციხისთავი, ხევისთავი, უფლისწული, ხევისბერო. ხაზგასმით უნდა ითქვას! მომავალში ხელი ხელებულ ხაბუთში „საქართლის“ მხოლოდ დამოუკიდებელი სიტყვის სეგმენტია და არა დამოკიდებული სიტყვა, რამდენადაც სა-ო აფიქსები არ იძლევა უფლებას ბეჭრათა თანმიმდევრობა „საქართლის“ მოეწყიტოთ მომდევნო ბეჭრათა თანმიმდევრობას „ერისთვო“. აშკარაა, რომ ცალკე „საქართლის“ აქ არაფერს გამოხატავს, მათ შორის, არც ტოპონიმს (ქორონიმს), მიუხედავად იმისა, რომ ბეჭრითი შედგენილობით ზედმიწევნით ემთხვევა ციხის სახელწოდებას (საქართლის ციხე). ამ შემთხვევაში სიტყვის დაწერილობაში დედნისულ – უ გრაფებს ჟევიარჩუნებთ თუ – უ გრაფებით ჩაგანაცელებთ, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს: „საქართლისერისთვე“-დან „საქართლის ერისთავი“ მაინც არ გამოიყვანება – აღნიშნულ დანაწილებას – უ გრაფებაც უშლის ხელს. გარდა ამისა, სეგნებული ოპერაციის შემდეგაც ხომ – უ-ს წარმომაზლობა და ფუნქცია გაურკვეველი რჩხბა.

ამრიგად საქართლისერისთვო მორფოლოგიური აგებულებით, აგრეთვე, კონტექსტით, რომელშიც ის ექცევა გიორგი მეფის სიგელში, აღნიშნავს ქართლის ერისთავისთვის განკუთვნილს. განვაერცომ ნათქვამს. საბუთის მიხედვით, სოფელი სევლნეთი ქართლის ერისთავებს „პქონდა“. ერისთავმა სულამ მეფეს თხოვა ამ სოფლის „გამოდება“ საქართლისერისთვოსაგან და ქათახვის მონასტრისათვის შეწირვა. მეფემაც თხოვნა ადასრულა. კონტექსტი გვიჩვენებს, რომ სიგელის გაცემამდე სევლნეთი, რამდენადაც ის ქართლის ერისთავებს პქონდათ, საქართლისერისთვოდ დადგბული სოფელი ყოფილა ანუ სევლნეთს ქართლის ერისთავების, სურამელების სასარგებლო ვალდებულებები ეკისრა, ისევე, როგორც მაგალითად, სოფელ შეუბანს აბუსერიდების ვი. „აბუსერეთ საერისთავო და ბეგარი ზედა სდებოდა“ [6, 178]. მეფის სიგელით კი მოხდა სევლნეთის „გამოღება“ ქართლის ერისთავისათვის, კითარცა მოხელისათვის გამოყოფილი ანუ საქართლისერისთავო ვალდებულებების მქონე სოფლების რიცხვიდან. ამიერიდან ეს სოფელი, თუ სიგელის შემდგენელს სიტყვათწარმოქნის მეთოდს დაექსესხებით, „საქვათაგვისმონასტრო“ გახდა. ასე რომ, სევლნეთის „გამოღება“. „საქართლისერისთვოსაგანმც“ მე მესმის მის ამორიცხვად იმ სოფლების რიცხვიდან, რომელთაც განსაზღვრული ვალდებულებები ეკისრათ ქართლის ერისთავების სასარგებლოდ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სათაურში დასმული კითხვის პასუხიც ასეთია: არა „საქართლის ერისთავი“, არამედ „საქართლისერისთვო“.

აქ შემდებოდა წერტილის დასმა, მაგრამ, ვფიქრობ, ზემოთ მიღებული დასკნის საუძუებელზე უპრინინა „საქართლის ერისთვის“ არსებობა-არარსებობას საკითხევი ითქვას ოროდე სიტყვა. როგორც ვნახეთ, საქართლის ერისთავის არსებობის შესახებ თვალსაზრისის ერთ-ერთი საფუძველია გიორგი მეფის საბუთის ზემოთ განხილული ადგილები. ვნახეთ ისიც, რომ დოკუმენტის ტექსტების შესწავლის შედეგები აღნიშნული შეხედულებისათვის საფუძველს არ იძლევა. მაგრამ ეს მოსაზრება ქმყარება სხვა არგუმენტსაც, კერძოდ, იმ ფაქტს, რომ შედა ქართლში დამოწმებულია საქართლის ციხე, რაც გარკვეული დოგიური „საცდურია“ ამ მოსაზრების სასარგებლოდ დასახელებულ სიგელში საქართლის ერისთავის დადასტურების შემთხვევაში. რაკი საბუთის დედანში ასეთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული არ დასტურდება, ცალკე საქართლის ციხის არსებობის ფაქტი საქართლის საერისთავოს არსებობის სამტკიცებლად, ცხადია, საქმარისი არ არის.



საქართლის ერისთავის არსებობის შესახებ მოსაზრებას, როგორც ითქმის თავის მიუღია ინდიკატორის იზიარებს მ. ბახტაძე. მქელევარი ამ დასკვნამდე ისტორიული რეალიების ანალიზის საფუძველზე მივიდა [2, 286-288]. ამავე დროს, მ. ბახტაძეს მიაჩნია, რომ გიორგი მეფის სიგელში იკითხება საქართლის ერისთავი, რომელიც, მისი აზრით, იგივე ქართლის ერისთავია. ტექსტობრივი ანალიზი უჩვენებს, რომ ამგვარი იდენტიფიკაცია საჭირო არ არის, ვინაიდან საბუთის დედანსა და ბოლო გამოცემაში (რომელიც 6. შოშიაშვილს ექუთვნის და მ. ბახტაძეც იცნობს) „საქართლი“ როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული ფაქტობრივიად არ დასტურდება და, შესაბამისად, „საქართლის“ და ქართლის იგივეობაზე მსჯელობა უადგილოა.

Goneli Arakhamia

## INTERPRETATION OF ONE NOTICE OF THE 13TH CENTURY GEORGIAN HISTORICAL DOCUMENT

In the autograph of the act issued by King Giorgi IV (1207-1222) there is a word “sakartlis seristvo” (intended for the head of the administrative unit and not the head himself). It is understood as “Sakartlis Eristavi” (head of administrative unit) by some scholars, which is not an adequate interpretation of the autograph.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ანთელავა ი., საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII ს.ს., თბ., 1983.
2. ბახტაძე მ., ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2003.
3. გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, თბ., 1999 (რუს. ენაზე).
4. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხნიშვილის მიერ, თბ., 1973.
5. ქორდანია თ, ქრონიკები, I, ტფ., 1892.
6. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და 6. შოშიაშვილმა, თბ., 1984.
7. ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965.

## „პეტრი გეზისა“ ძართულ ისტორიულ საბუთებში

ქვედ ქართულ დოკუმენტურ წყაროებში გამომუშავებულია საბუთის დამამტებიცებულთა ეუროპენის და შემლილთა წყვის ფორმულები. ამ ფორმულების დიდი ნაწილი გეხვდება ქართული დოკუმენტის ჩვენამდე მოღწეულ „უადრეს საბუთში – ფავნელთა სიგელში.

წყვის ფორმულა რამდენიმე მუხლისაგან შედგება. ეს ფორმულა აღრვევ შემუშავებული საუკუნეთა მანილზე იხმარებოდა საბუთის შედგენისას (XIX ს-მდე). მაგალითისათვის – საბუთის დამდები წყვლის იმას, კინც მისგან გაგებულს შეცვლის: ვინც ეს შეცვალოს, ნათქვამია ხოლმე საბუთის კრულობით ნაწილში, „შემცაიცვლების სჯულისაგან ქრისტიანეთასა, პრისხსავსმცა მამა, ძე და სული წმიდაი! კრულმცა არს სიტუაცია დ(მრ)თ ისაითა მკუდარი და ცოცხალი მისი... და ნაწილიმცა მისი ნებრორ და ორიგენისთან დასჯილ არს: დამცაითქმის დათან და აბირონისებრ; შემცაედების ძრწოლა კაენისი, კეთრი გეზისი, შიშთკლი იუდასი; სოდომელთა და გომორელთა ცეცხლითა – და წუნწუბიმთაცა დაწვის<sup>1</sup>... და სხვ.

წყვის ეს ფორმულა სხვადასხვანაირად გაერცობილი – ძირითადად – ბიბლიური სიუჟეტებისაგან შედგება, თუმცა მასში შესულია ის სასჯელუბიც, რომელიც მოგვიანო ხანებში მიეზღოთ მართმადიდებლობის ნორმების წინააღმდეგ აღდგომილო (მაგ: ნესტორი, ორიგენი, არიოზი და სხვ.)

წყვის ფორმულა, მერ-ნაკლები სისრულით, ყოველი საბუთის შემადგენელი ნაწილია.

ამჯერად ჩვენ დავინტერესდით გამოთქმა „პეტრი გეზისის“-ს წარმოშობით. კეთრი გეზისი გეხვდება ბიბლიის მეფეთა მე-4 წიგნის მე-5 თავში.

აქ მოთხოვიმოლია შემდეგი:

ნემან მთავარი (იგივე: ნაყამანი, არამის მეფის სარდალი, ნ. კ) პატივდებული, თუმცა კეთროვანი იყო<sup>2</sup>.

ისრაელის ქუშყინისაგან წარტყვენილმა მცირე ქალმან (არამელთა ტყვე გოგონამ) ურჩია ნემანის (ნაყამანის) ცოდს, რათა სამარიაში დევის წინასწარმეტყველთან წასულიყო მისი ქმარი, რომ კეთრისაგან განკურნებულიყო.

არამელთა მეფე ისრაელის მეფესთან გზანის ნემან (ნაყამან) მთავარს წერილით, რომელშიც აგტორი ადრესატს სთხოვს კეთრისაგან ნემან მთავრის განკურნებას. ნემანს თან მიაქვს: ათი ტალანტი (ქანქარი) ვერცხლი, ექსი ათასი დრაქანი (შეკული) ოქრო, და ათ გზის საცვალი (ათი ხელი ტანისამოსი). თუმცა, ისრაელის მეფე მას ვერაფერს შევლის. („ნუ უკუმ მე ღმერთი ვარა, რომელ მოვაკუდინო და ცხოველ ვყო,“ / „ღმერთი არა ვარ, რომ ვკლავდე და ვაცოცხლებდე...“). ისრაელის მეფე-მას – „შემოჩენილად“ თვლის. საქმეში ერევა ელისე, ისრაელის წინასწარმეტყველი, რომელიც მის კარზე მოსულ ნემან მთავარს (ნაყამანი) ურჩევს შვიდგზის იბანოს მდინარე იორდანეში. ნემან მთავარი (იგივე ნაყამანი) ამ აზრს (თავიდან) გამრარებით შეხვდუ-

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების ქორპუსი, I, თბ., 1984 (შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეთ: ფ. ენქიმიძე, ვ. სილოვანგმ, ნ. შორშაშვილმ), გვ. 152.

<sup>2</sup> ვიყენებთ: დაბადების (ბიბლიის) I ნაწილს, ტფ. 1884, და აგრეთვე ბიბლიის, რომელიც დაიღვება უწმინდესისა და უნგრარესის. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით.



ბა: „განა არბანა (აბანა) და ფარფათა (ფარფარი) დამასკოს მდინარეები, მდინარეები უწყვეტესად იორდანებს არ სჯობია, მათში კერ ვიძანებო?“ მაგრამ მისმა ყრმებმა (მორჩილო) და არწმუნებს, რომ ელისეს რჩევისამებრ მოქცეულიყო. იბანა შეიდგზის იორდანები და ქეთოსიგან განიკურნა ნემან მთავარი (ნაყამანი) ბავშვის კანივით გაუხდა მას სახე, თუ სხეული. ამიერიდან ნემან მთავარმა აღიარა ისრაელის ღმერთი და პრქშა: „აშ მი-იოვალე კურთხევა (მიიღე საჩუქარი) მონისაგან (მორჩილისაგან) შენისა“, „და პრქშა კლისე: ცხოველ არს უფალი... უკეთუ მიყიღო“. ელისემ დაიიფიცა ღმერთი, რომ საჩუქრზე უარს ამბობდა, და ასე გაისტუმრა იგი „ქებრათის ზედა ჭუცანისასა“. წასკლამდე ნემან მთავარმა (ნაყამანმა) კლისესებან იოხოვა იმდენი ტეიტის – მიწის – მიცემა, რამდენსაც უდღეულთა ჯორითა (წყვილი ვირით) წაიღებდა, რათა თაყვანი ეცა მხოლოდ ისრაელის ღმერთისთვის. ამასთან – მანვე – მოითხოვა ეპატი-ქბინა უფალს რემბანის (რიმონის) სახლში თაყვანისცემაც.

და პრქშა გეზი (გეხაზმა) ყრმამან ელისესემან (ღვთისკაცის მსახურმა): „... არა რაი აღიღო (ელისემ) საჩუქარი, ხელისაგან მისისა (ნემან მთავრისიგან – ნაყამანის-გან), რომელი მოართვა მან. და გადაწყვიტა „ეს მისია“ თვითონ შეესრულებინა, თანაც ისე, რომ თითქოს საჩუქარი ნემან მთავრისიგან ელისეს ეთხოვოს: „აშ მოვიღენ ჩემდა ორი ყრმანი (ყმაწვილი) მთისგან უფრემისა ძეთაგან წინასწარმეტყველთასა (წინასწარმეტყველთაგან), მოეც უკუშ ამათ (იქნებ გენუქებინა მათვის) ტალანტი (ერთი ქანქარი) ვეცხლი (ვერცხლი), და ორი საცვალი სამოსელი (ორი ხელი ტან-საცმელი)“. ნემან მთავარმა (არამის მეფის სარდალმა ნაყამანმა) გეზს (გეხაზს) მისცა ორი ტალანტი (ქანქარი) ვერცხლი და ორი საცვალი სამოსელი (ორი ხელი ტან-საცმელი), და თან ორი მსახურიც გააყოლა. გეზმა ყველაფერი სახლში გადამალა და მსახურები უკან გაისტურა, შემდგე კი გახდა ელისეს. წინასწარმეტყველმა ელი-სემ პჲითხა: „სითგან მოხვედ გეზი?“ მან კი ურცხვად იცრუა: „არა გასულა მონა (მორჩილი) შენი არა სადა“. გამწარებულმა ღვთიკაცმა დასწყევლა ღვთის მსახური გეზი: „... და აშ მოგიღიე ვეცხლი, და სამოსელნი აღგიღიეს, რათა იყიდო მითა მტი-ლი და ზეთისხილნი და ვენაჭნი, და ცხოვარნი, და ჭარნი, და ყრმანი და მცევალნი („დრო დაგიღგა, რომ იხვეჭდე ვერცხლს, ტანსაცმელს, იხვეჭდე ზეთსა და კურძენს, ცხვარ-ძროხას, ყმებსა და მცელებს“). და კეთრიცა ნემანისა, მოფუნინეს შენ ზედა (გეზსა და მის ნაშიერებზე, ნ. კ) და თესლსა შენსა უკუნისამდე (შენ და შენს შთა-მომავლობას – გეხაზს მიმართავს – გადაედოს ნაყამანის კეთრი სამარადისოდ), და განვიდა იგი (გეზი – გეხაზი) პირისაგან მისისა კეთროვანი, ვითარცა თოვლი (და წარიგდა მისგან გეხაზი კეთროვანი, როგორც თოვლი)“.

ახლა კი ქემოთ მოყიუვანთ სარგის კაპაბაძის გამოცემის ისტორიულ საბუთთა იმ ნაშილს, სადაც გამახვილებულია ყურადღება გამოითქმა „კეთრი გეზისაზე“, ამ მხრივ განსაკუთრებით II წიგნი გამოიჩინევა, V წიგნიდან კი – ექვსი საბუთი (გამო-ცემულია ორივე, ტფ., 1913 წელს).

ს. კაგაბაძე, ისტორიული საბუთები, წიგნი II (ტფ., 1913):

1) / 1451 წ. სიგელი ამირეჯიბის რამინ გაბელისძისა, მცხეთისა №54, დაწერილი 139 ქორნიკონს... (გვ. 7). /

/ ... შემცა ედების ძრწოლა კაენის, კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, მეხდა-ტეხილობა დიოს კორესი ... (გვ. 9). /

2) / 1467 წ. სიგელი მცხეთისა №479, ბოძებული ქართლის კათოლიკოზის აბრამ აბალაკის მიერ 155 ქორნიკონს... (გვ. 19)



/ ... შემცა ედების კეთრი გეზისი, და შიშთვილი იუდასი, ნუ რარათულება მიჩნან ნულითა არის ჭინა სულისა მისისა. და ასდამერვისა ფსალმუნისა წყვევასულებულება თს ნაწილი მისი... (გვ. 20). /

3) / 1477 წ. სიგელი ქვათახვევის მონასტრისა №5, დაწერილი ... 165 ქორონიკონის... (გვ. 20) /

/ ... შემცაედების კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, მეხდატეხილობა დიოსკორესი, ნესტორის და ორიგენეს, და პეტროზ მკაწრვალისა... (გვ. 21). <sup>3</sup>

4) 1488 წ. ქვათახვევის სიგელი №6... ბოძებული 176 ქორონიკონს გულშარ და დოფლის მიერ... (გვ. 22). /

/ ... შემცაედების ძრწოლა კაენისი, შიშთვილი იუდასი, კეთრი გეზისი, მეხდატეხილობა დიოსკორესი... (გვ. 23). /

5) / 1520 წ. ქვათახვევის სიგელი №2 ბოძებული მერაბ ციციშვილის მიერ 108 ქორონიკონს... (გვ. 29) /

/ ... შემცაედების მას ძრწოლა კაენისა, კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, მეხის ტეხა დიოს კორესი, დანთქმა: ფარაოსი, ნესტორ და ოროგინეს თანამცა არს დამკვიდრებული მისი... (გვ. 31). /

6) / 1537 წ. სიგელი მცხეთისა, №2, ბოძებული კახთა მეფის ლეონისა მიერ... (გვ. 33). /

/ ... შემცა ედების კეთრი გეზისი, ძრწოლა კაენისი, შიშთვილი იუდასი, მეხდატეხილობა დიოსკორესი, ნისტორს და ოროგინესთანამცა არს სამკუიდრებელი მისი... (გვ. 36). /

7) / 1540 წ. სიგელი მცხეთისა №52... ბოძებულია ქართლის მეფის კოსტანტინეს ძის გიორგის მიერ 128 ქორონიკონს .. (გვ. 37). /

/ ... შემცა ედების მას კეთრი გევზისა, წრწოლა კაინისი, დანთქმა ფარაოსი, შიშთვილი იუდასი, მეხისტეხა დიოსკორესი და ქრისტეს ჯუარის მცემელოა ... თანამცა არს ნაწილი სულისა მისისა: ნესტორ და ორიგენეს თანა იყავნ სამკუიდრებელი მისი... (გვ. 40). /

8) 1559 წ. სიგელი მცხეთისა №93, ბოძებული გოგიბაშვილების მიერ 147 ქორონიკონს... (გვ. 44). /

/ ... შემცა ედების კეთრი გეზისა, შიშთვილი იუდასი, მეხ დატეხილობა დიოსკორესი, ნესტორს და ორონეს თანამცა არს სამკუიდრებელი მისი.. (გვ. 45). /

9) / 1568 წ. სიგელი ქვათახვევის №23, დაწერილია 156 ქორონიკონს ... (გვ. 46).

... შემცა ედება ძრწოლა კაენისი, კეთრი გეზისა, შიშთილი იუდასი, მეხ დატეხილობა დიოსკორესი... (გვ. 46). /

10) / 1575 წ. ახლოს. სიგელი, ბოძებული აწყურის საყდრისათვის ამიღაბორის ცოლყოფილს თამარისა და მისი შეიღების მიერ... (გვ. 47). /

/ ... შემც ედების კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, ძრწოლა კაენისი... (გვ. 48). /

11) / 1587 წ. სიგელი მცხეთისა №95 ბოძელებული 275 ქორონიკონს ერავ, გულაბ და საჩინო ბარათაშვილების მიერ... (გვ. 55). /

/ ... შემცა ედების კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, ძრწოლა კაინისი, მეხ დატეხილობა დიოსკორესი... (გვ. 56). /

12) / 1594 წ. შუამთის სიგელი №2, ბოძებული 282 ქორონიკონს კახეთის მეფის ალექსანდრეს მიერ... (გვ. 58). /

<sup>3</sup> 1) დანომრვა ჩვენია, (ნ. კ.).



შემცა ედები ძრწოლა კაინისი, შიშთვილი იუდასი, კეთრი გეეზისი... (გვ. შემცა ედები ძრწოლა სარგის კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წიგნი V, გვ. 1913 უნივერსიტეტის 1722 წ. დავით გარეჯის სიგელი №119... (გვ. 34). /

/ ... ვინცა და რამანცა კაცმან ეს ჩვენგან მოცემული წიგნი და სიგელი მოგიშალოს, ისიმც მოიშლების საქრისტიანოს სახისაგან. მასმცა ედების კეთრი გზის (გვ. ზის, 6. კ.), შიშთული გენის იუდას, ძრწოლა კაენისა, ნურცა იხსნების სული მისი ჯოჯოხეთისაგან, ამინ... (გვ. 35). /

2) 1736 წ. ტფილისის სიონის სიგელი №25... (გვ. 49). /

/ ვინცა და რამანც ადამის მონათვსავემ... შლად და ქცევად ჭელყოს... მასმცა ედების კეთრი გეზისა, შიშთვილი იუდასი, დაოქმა დათან და აბირონისი, და ნურათამცა სინანულით ნუ იქნება ჭხნა სულისა მისისა ჯოჯოხეთისაგან... (გვ. 50). /

3) / 1746 წ. ტფილისის სიონის სიგელი №177... (გვ. 67). /

... ვინც ჭელყოს ამა წიგნისა შლად... შემცა ედების კეთრი გეეზისა. შიშთველი იუდასი... (გვ. 67). /

4) / 1756 წ. ტფილისის სიონის სიგელი №90... (გვ. 73)... /

/ ... უკეთე ამისა დაშლად ჭელყოფა ინებოს ვინმე... მასმცა ედების კეთრი გეზისა, შიშთვილი იუდასი, ძრწოლა კაენისი. მეხის დატეხა დიოსკურესესი, და ნურასინანულით ნუ იქნება ჭხნა სულისა მისისა... (გვ. 74). /

5) / 1756 წ. ნათლისმცემლის მონასტრის სიგელი №23 (გვ. 74). /

/ ... თუ ვინმე წამოგედაოს ან ბატონი, ან ყმა... თუ ვინმე ამისდა შლად ჭელყოს, შემცაედების კეთრი გეზისა, შიშთვილი იუდასი, ძრწოლა კაენისა. მასზედამცა აღუსრულების წყევა იგი მეასდარვე ფსალმუნისა... (გვ. 75). /

6) 1765 წ. ნათლისმცემლის მონასტრის სიგელი №22... (გვ. 77). /

/ ... თუ ვინმე ამის დაშლად ჭელყოს, შემცაედების კეთრი გეზისა, შიშთვილი იუდასი, ძრწოლა კაენისა. მასზედამცა აღესრულება წყევა იგი, მეასდარვე ფსალმუნისა... (გვ. 78). /

## "GEHAZI'S LEPROSY" IN GEORGIAN HISTORIC DOCUMENTS

In old Georgian documentary sources the formulae of the blessing for approvers and cursing for the breakers are elaborated. The great part of these formulae is present in the earliest example of the Georgian document, preserved till the modern times, the Pavneli's Certificate.

The curse formula consists of several articles. This formula, elaborated in earlier times, was used in the documents for centuries (until the 19<sup>th</sup> c.). The compiler of the document curses whomsoever, who dares to change his orders.

This curse formula, variously lengthened or shortened, mainly consists of biblical plots, though it also contains the punishments that appertain to the ones who revolted against the norms of orthodoxy (e. g., Nestor, Origen, Arioz, etc.).

The curse formula is, more or less completely, the main part of each document.

This time we have been interested by the origin of the phrase, 'Gehazi's Leprosy'. 'Gehazi's Leprosy' is mentioned in the 5<sup>th</sup> Chapter of the 4<sup>th</sup> Book of the Kings of the Bible (In the English Version, this reference corresponds to 2 Kings 5).

Elisha, the God's man and the prophet of Israel, curses Gehazi (Gekhaz, N. K.) for his greed – and "blesses" the leprosy of the Prince Naaman, also known as Nakaman, to cling forever to Gehazi and the whole of his progeny.

The great majority of the historic documents, II Book (Tbilisi, 1913), issued by S. Kakabadze, contain 'Gehazi's Leprosy'.

შემოსია თუ არა თეორბატკინიანთა მბრძანებელი ქუთლუ  
სამართველოს

ინგლისელი მკვლევარი ჯ. ვუდსი თავის ნაწარმოებში „თეორბატკინიანები“ გვაძლევს ცნობას, რომ თეორბატკინიანთა ერთ-ერთი დამაარსებელი ქუთლუ შემოსია საჭროველოს კუთხეს, სამცხე-საათაბაგოს, დარბია მისი დედაქალაქი ახალციხე და უმრავი ნადავლით დატყიროული უკან გაბრუნდა<sup>1</sup>. შენიშვნაში იგი განმარტავს, რომ ეს ფაქტი ბროსეს „საქართველოს ისტორიით“ არ მტკიცდება<sup>2</sup>. მკვლევარმა ამ ფაქტს აბუ ბაქრ თაპრანის დიარბაქრი თარიპის (დიარბაქირის ისტორია) მიაკვლია, სადაც აქტორი ნამდვილად აღნიშნავს თეორბატკინიანთა მბრძანებლის ქუთლუს მიერ სამცხე-საათაბაგოს დალაშქერას<sup>3</sup>.

ქართული წყაროები ამ შემოსევის შესახებ არაფერს გადმოგვცემენ. უფრო მეტიც, არც ვახუშტი ბატონიშვილი თავის თხეულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“<sup>4</sup>, არც ქართლის ცხოვრების პირველი<sup>5</sup> და მეორე<sup>6</sup> ტექსტები სახელ ქუთლუს საერთოდ არ მოიხსენიებს. კვლევა ეს ქართული წყარო მოიცავს იმ პერიოდს, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა საქართველოში თეორბატკინიანთა შემოსვლის დაფიქსირება.

ქუთლუ ბეი თუ ნამდვილად შემოსია საქართველოს, ეს XIV საუკუნის II ნახევრაში, 1389 წლამდე უნდა მომხდარიყო, რადგანაც ქუთლუ სწორედ ამ წელს გარდაცვალა.

შემოსია თუ არა ქუთლუ საქართველოს, ამის გარემოვაში თეორბატკინიანთა მოკლე ისტორია დაგვეხმარება.

თეორბატკინიანები ოდუზების მესამე შტოს, ბაინდურის გვარიდან წარმოდგებიან. მათ ასახელებს როგორც მუჟამედ კაშგარი, ისე რაშიდ ად-დინი<sup>7</sup>. პირველად თეორბატკინიანები 1340-41 წლებში გვხვდება, როდესაც მათ შეტევა განახორციელებს ტრაპიზონზე. ამ შეტევის დროს მათ მეთაურებად სახელდებიან თურ ალი და ქუთლუსტრაპიზონები მეორე შეტევა 1343 წელს განხორციელდა. თურ ალის ტრაპიზონის დალაშქერა ბაიბურთისა და ერზინჯანის გმირებთან ერთად 1348 წელსაც უნდოდა, მაგრამ გადაიციქრა<sup>8</sup>. ამის უმთავრესი მიზეზი ტრაპიზონის იმპერატორის ალექსი III დაზაგება იყო, რომელიც საქორწინო კავშირით გამყარდა და იმპერატორმა თურ ალის შეიძლს ქუთლუს თავისი და მარია დესპინა მიათხოვა<sup>9</sup>. ამგვარი საქორწინო კავშირით ტრაპიზონის იმპერატორმა თავიდან აიცილა არა მარტო თეორბატკინიანთა, არამედ სხვა მუსლიმური სამთავროების შემოტევა.

თეორბატკინიანთა ერთპიროვნულ მბრძანებლად ქუთლუ ბეის 1360 წლიდან ვეკვლევთ<sup>10</sup>. 1464 წელს ქუთლუ ბეი თავის ცოლ მარია დესპინასთან ერთად ტრაპიზონის იმპერატორთან მიდის, სადაც ის ალექსი III-მ გულუზებად მიიღო და უხვად დაასაჩუქრა. ქუთლუ ბეის შვილმა კარა იულუშემა ცოლად მოიყვანა ალექსანდრეს ერთ-ერთი ქალიშვილი<sup>11</sup>.

დაგუბრუნდეთ ისევ აბუ ბაქრ თაპრანის ცნობას. იგი აღნიშნავს, რომ შემოსევა დაგვებრუნდეთ ისევ აბუ ბაქრ თაპრანის ცნობას. იგი აღნიშნავს, რომ შემოსევას მეთაურობით და არ ასახელებს თურ ალის. ყოველივე იქნებან ნათელი ხედება, რომ თუ ამ შემოსევას ადგილი ჰქონდა, იგი მოხდებოდა 1360-1389 წლების შეალევდში. ეს პერიოდი კი ემთხვევა ბაგრატ V მეფობის ხანას. როგორც ავნიშნეთ, ქართული წყაროები ქუთლუს შესახებ არაფერს მოგვითხოვბს. ახალი ქარ-



თლის ცხოვრების პირველი და მეორე ტექსტები ბაგრატის მეფობას თემური და მეტერის შემოსევებით იწყება<sup>12</sup>. ერთადერთი ცნობა, რომელზეც ჩატიდება შეიძლება შემოსევა ბაგრინიშვილს გეუთვის. ისტორიკოსი შემდეგნაირად გადმოგვცემს თურქთა თარეშს: „ამავე ქამსა მოერთუა ამბავი, რამეთუ თურქთა მოარბივეს სამცხე. მსმენელი მეფე მსწრაფლ წარვიდა ობჩა<sup>13</sup> რჩეულითა მხედრითა, გარდავლო ფერსათი და სამ დღლამე მსვლელითა მიეწია რახსს იქით, ხოლო თურქთა მათ ეცნოთ ტყუეთაგან მეფისა და საპათა შორს ყოფნა და ვიდოლნენ უშიშად: არამედ რა იხილნეს სპანი მიმეველნი მათი, მოიქცნენ ფიცხლად და ეკუთხნენ და იქმნა ბრძოლა ძლიერი. შემდგომად ძალითა ღუთისათა სხდო მეფემან ბაგრატ, მოსწყვდნა ესრეთ, ვთარ მცირედნი გადაეხურნენ, უკამისეუნა ტყუენი და ალაფინი მათნი და მოვიდა სამცხეს<sup>14</sup>.

ხომ არ იმაღება ამ ცნობაში ქუთლუს სამცხე საათაბაგოში შემოსევლა?

ვახუშტის ცნობა საშუალებას გვაძლევს ამ შემოსევის ქრონილოგიური ჩარჩობი დაგადგინოთ. „გამეფედა შემდგომად დაეით მეფისა ძე მიხი ბაგრატ“<sup>15</sup>. როგორც აჯავანიშვილი მიიჩნევს, ბაგრატი 1360 წელს გამეფდა<sup>16</sup>. ყოველივე აქედან კიდევ უფრო მყარდება მოსაზრება, რომ თურქთა შემოსევა 1360 წლის შემდეგ მომხდარა. ვახუშტი თურქთა შემოსევის შემდეგ დედოფალ ელენეს გარდაცვალებაზე მოგვითხრობს: „გარნა მშედობასა იქნა მომსერელი ფამი, სერა/და სიკუდილი ძლიერი. და მოისახნენ სულნი ურიცხუნი და მოკუდა ცოლი მეფისა ბაგრატისა დედოფალი ელენე<sup>17</sup>. როგორც ცნობილია დედოფალი ელენე შავი ჭირისაგან 1366 წელს გარდაიცვალა<sup>18</sup>. ყოველივე აქედან თურქთა შემოსევა 1360-1366 წლებს შორის მომხდარი. მაგრამ ქართველი ისტორიკოსი უფრო ზუსტ თარიღსაც გვაძლევს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ქორონიკონს არ ასახელებს, გადმოგვცემს ფაქტს, რომელიც მოხდა იმავე წელს, როდესაც თურქები შემოვიდნენ სამცხეში: „ამასევ წელსა მოყენდა ათაბაგი ყვარეულარე და მიუბორა ათაბაგობა მეფემან ბაგრატ ძესა მისხა ბექას<sup>19</sup>. უკარყუარე ათაბაგი კი 1364 წელს გარდაიცვალა და ბექაც სწორედ ამ წლიდან ხდება სამცხის ბატონი<sup>20</sup>. ყოველივე აქედან ნათელი ხდება, რომ ვახუშტის მიხედვით თურქთა შემოსევა 1364 წელს ყოფილა.

უკავშირდება თუ არა ვახუშტის მიერ გადმოცემული ცნობა და ქუთლუს შემოსევლა ერთმანეთს, ამაში ტრაპიზონში განვითარებული მოვლენები დაგეხმარება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მას შემდეგ რაც ჩამოყალიბდა ტრაპიზონის იმპერია, ამ მცირე ზომის სახელმწიფოში ორი გავლენიანი პარტია არსებობდა – ქართული და ბიზანტიური. სწორედ პარტიათა გამარჯვება განსაზღვრავდა თუ ვინ ჩაიგდებდა სამეფო ხელისუფლებას ხელთ.

როგორც ავღინიშვნეთ, 1341 წელს ტრაპიზონს თეთრბატქინითა მეთაური თურალი შეესია და ქალაქი გაანადგურა. ეს ამბავი შემდეგნაირადაა აქეს გადმოცემული ტრაპიზონის ქამთააღმწერელს მიხეილ პანარეტს: „აპარასკევს, 5 ივლისს, ინდიქტიონის IX, 6849 (1341) გარდაიცვალა კირ-ანდრონიკი, რომელიც იმპერატორი. იმავე წლის ამავე თვეს დასჯილები იქნევ ლიმონის არხონტები. კვლავ იმავე წელს შაბათს, 4 ივლისს ამიდიდიდან მოვიდნენ თურქნი, ხოლო რომელიც უბრძოლებელად გაიქცნენ. ძალიან ბევრი იქნა მოკლული, ხოლო ტრაპიზონის ციხის შიგნითა და გარე მხარეები ცეცხლს მიცემული. ძალიან ბევრი ქალი და ბავშვი დაიხოცა ცეცხლში და ამ უბედურების შემდეგ დამწვარი ხალხისა და ცხოველებისაგან დაიწყო ჭირის გაგრცელება. მაგრამ მანამდე დიდი კირ-ალექსანდრე კომბენის ქალიშვილმა კირ-ანამ, რომელიც ცნობილია, როგორც ანასულუ, მონაზენის სამოსელი გაიხადა და გაემართა ლაზეთში, სადაც იგი გამაგრდა. მას შემდეგ რაც გადაიარა ხანძარმა და



(თურქთა) თავდასხმებმა, ამავე წლის ოთხშაბათს, 17 ივლისს ანახუტლუ დამოუკიდებელი ლაშთა ჯარით, სამეფო ტახტი დაიკავა<sup>21</sup>. ყოველივე აქედან ნათელი ხდება, რომ ანახუტლუ სამეფო ტახტი ქართველების დახმარებით დაიკავა.

მაგრამ ქართული პარტიის გამარჯვება ხანძოებებ აღმოჩნდა. როგორც მიხეილ ანარები გადმოგვცემს, 1343 წლის 9 სექტემბერს ტახტზე კირ ითანე III ავიდა. ანახუტლუ დაახრცეს, ხოლო მისი მომხრევები სიკედილით დასაჯეს<sup>22</sup>.

1349 წლის 21 იანვარს ტრაპიზონის ტახტს იკავებს კირ-ალექსი III. რომელიც კონსტანტინოპოლიდან ჩამოვიდა. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე რომ ალექსი III კონსტანტინოპოლის პარტიის წარმომადგენლია და მისი მოღვაწეობა ამ პარტიაზეა დამოკიდებული. ყოველივე ეს კი საქართველოს საწინააღმდეგო ძალაა. მაგრამ საქართველოს ამ პერიოდში არ ყცალა ტრაპიზონის საქმებში ჩარეულიყო. რადგანაც საქართველოში შევი ჭირი მბეინვარებდა, რომელსაც შენაური შუდლი და საგარეო მტერთან ბრძოლა ემატებოდა. საქართველოსათვის ბიზანტიის საკითხისადმი ყურადღების მიქცევა ბაგრატ მეფის დროს გახდა შესაძლებელი.

ადსანიშნავია ბაგრატ მეფის დახასიათება, რომლითაც ნათელი ხდება, რომ იგი არ შეურიგდებოდა ტრაპიზონში საქართველოს საწინააღმდეგო კლანის გამეფებას: აგამეფდა შემდგომად დავით მეფისა ჲ მისი ბაგრატ. შემოკრძნენ კათოლიკოზ-ების-კომუნი, დიდებული და წარჩინებული და აკურთხეს ქუთაისს. ამან დაიპყრა ყოველი ივერია საბრძანებელსა შინა თვესა, რამეთუ იყო მწვე, ახოვანი, ტანითა ძლიერი, შეუნიერებითა ჰეროვანი, უცთური მოისარი, სამჭედლოთა სრული, სამღლელო | თა პატივისცემელი, მშეიდი, მოწყალე შემმართებელი ძლიერი<sup>23</sup>. ადსანიშნავია, რომ ბაგრატი ყველაფერზე წამსელებელია, რასაც მოწმობს თოვემა მეწოდეცის<sup>24</sup> და ნიზამ ადდინ შამის გადმოცემები<sup>25</sup>, რომელშიც გადმოცემულია, თუ როგორ გააბრიუნა ბაგრატ V-ზ თემურ-ლევნი.

ადსანიშნავია, რომ ბაგრატმა მალევე გააერთიანა საქართველო. მიხეილ პანარების თქმით 1367 წელს ბაგრატი „ქრისტო და აფხაზთა მეფევ“ მოიხსენიება<sup>26</sup>. ყოველივე ასეთი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე შეუძლებელია ბაგრატი ტრაპიზონში ბიზანტიის მმართველობას შეგუებოდა.

ტრაპიზონში განვითარებული მოვლენები ნათლად ცხადყოფს, საქართველოსა და ტრაპიზონის სამეფოს დამოკიდებულებას ბაგრატ V მეფობის პირველ წლებში. პანარები გადმოგვცემს, რომ 1360 წელს ტრაპიზონის მეფე გაემართა ქალდეაში და ითან კაბაზიტი თანამდეობიდან გადასყვანა<sup>27</sup>. 1363 წელს ტრაპიზონის დელეგაცია მიემბზარება კონსტანტინოპოლში, რათა ურთიერთობა ტრაპიზონსა და კონსტანტინოპოლს შორის, საქორწინო კავშირით გაამყაროს<sup>28</sup>.

ადსანიშნავია ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემა, რომელიც გურიელის დანიშვნას ეხება. ქართველი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ ბაგრატს გამეფების პირველ წლებში აუჯანყდნენ სვანები, რომლებმაც დაარბიეს ქუთაისი. ბაგრატმა მათზე გაილაშქრა. სვანთა ერისთავებს ვარდანის ჲ მან საგამგებლოდ მისცა გურია, ხოლო მის ადგილას სვანეთში დანიშნა გელოვანი<sup>29</sup>. ხომ არ იმალება ამ ყველაფერში, რომ დაუმორჩილებელ მთავარს მეფემ მისცა ის ტერიტორია, რომელზედაც ტრაპიზონის სამეფო აცხადებდა პრეტენზიას. ადსანიშნავია, რომ ახალი მთავარი რეგიონში თავის გავლენას გააძლიერებდა. 1367 წელს მაკრიალი უკვე საქართველოს შემადგენლობაში ჩანს. გარდანაბების აწ. გურიელების გაძლიერებას მოწმობს პანარების ცნობაც, სადაც ლაპარაკია ტრაპიზონის მეფესა და მის მოლაპარაკებებზე, სადაც შუამავლად ბაგრატ V გამოდიოდა<sup>30</sup>. გურიელის დანიშნასა და იქ გააქტიურებას ემ-



17. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი ფაქტურული ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სკაუხხიშვილის მიერ, ქართლურულმარტვა რება ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 262.
18. ი.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 3, ნაწილი I, თხზულებები თორმეტ ტომად, ტ. 3 თბილისი, 1982, გვ. 181.
19. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სკაუხხიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 262.
20. H.Ozdemir, Artvin Tarihi, Artvin, 2001, p. 60-61.
21. М.Панарет, Трапезунтская Хроника, пер. А.Хаханова, Москва, 1905, с. 25-26.
22. М.Панарет, Трапезунтская Хроника, с. 26-27.
23. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სკაუხხიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება ტ. IV, თბილისი, 1973 გვ. 261.
24. თოვმა მეწოფეცი, ისტორია თემურ ლეგნისა და მისი შთამომავლებისა, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურით პ.კუციამ, თბილისი, 1987, გვ. 24-25.
25. Nizamüddin Şâmî, Zafername, Farsçadan Çeviren N.Lugat, Ankara 1987, p. 122-123.
26. М.Панарет, Трапезунтская Хроника, с. 37.
27. М.Панарет, Трапезунтская Хроника, с. 34.
28. М.Панарет, Трапезунтская Хроника с. 27.
29. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სკაუხხიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 261.
30. М.Панарет, Трапезунтская Хроника, с. 39-40.
31. М.Панарет, Трапезунтская Хроника, с. 36.
32. М.Панарет, Трапезунтская Хроника, с. 37.
33. М.Панарет, Трапезунтская Хроника, с. 32-38.
34. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სკაუხხიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 262.
35. М.Панарет, Трапезунтская Хроника, с. 38.
36. М.Панарет, Трапезунтская Хроника, с. 39-40.

ანთონი ჯენისონის „სპარსეთში მობზაურობის“  
ცხობები საქართველოს შესახებ

XVI საუკუნის მეორე ნახევრისა და XVII საუკუნის დამდევის ინგლისელმა მოგზაურმა და დაპლომატმა ენტონი ჯენისონმა (1537-1609) 1557-1571 წლებში ოთხგზის მოყვარული ირანსა და რუსეთში. ამ მოგზაურობების უმთავრეს მიზანს შეადგენდა მოლაპრაკები ინგლისთან საგარეო ურთიერთობათა განვითარების საკონებზე. ერთ-ერთი მოგზაურობა შედგა 1561-1563 წლებში. ამ დროს ჯენისონმა მოინახულა ირანი, რუსეთი და ამიერკავკასია (ძირითადად შემახა და შირვანი). მოგზაურობა დეტალურად არის დღწერილი თხზულებაში „მოგზაურობა სპარსეთში“. ჩვენ ვისარგებლეთ თხზულების რესული თარგმანით, რომელიც გამოქვეყნდა მოსკოვში 1884 წლამ.

ანთონიშნული მოგზაურობა დაიწყო 1561 წლის 14 მაისს და დასრულდა 1563 წლის 28 სექტემბერს.

ნიშანდობლივია ერთი მომენტი, რომელიც შეეხება ინგლისელი მოგზაურის სტუმრობას რუსეთის მეფესთან ივანე IV მრისხანებთან (1547-1584). ჯენისონი მიუთითებს, რომ 1561 წლის მაისში რუსეთის მეფე “დაკავებული იყო მნიშვნელოვანი საქმეებით და ემზადებოდა მუსლიმ ჩერქეზ ქალზე დასაქორწინებლად”. შემდგომი თხორობა კი ადასტურებს, რომ ჩერქეზთა მხრიდან ეს არ იყო ნებაყოფლობითი ნაბიჯი: “მე ვისადიდე მცუკსთან ერთად. შემდეგ, მსურდა გამერკვია, შემეძლო თუ არა მისი უდიდებულესობის – დედოფლის (იგულისხმება ინგლისის დედოფლადი – ლ. უ.) თხოვნის შესაბამისად, მეფის სამფლობელოების გავლით სპარსეთში გამგზავრება. ამ თხოვნის პასუხად მაცნობეს, რომ მე არ შემეძლო ამის გაეკონა, ვინაიდან, მეფე აპირებს ამავე გზით ჩერქეზთა მიწაზე ჯარის გაგზავნას, რის გამოც ჩემი მგზავრობა იქნებოდა შეოთიანი, სახიფათო და შეიძლებოდა დავდუკულიყავი კიდევ”-ო, მიუთითებს ჯენისონი. ასეთი “შევიდობიანი” იყო რუსეთის მეფის “საქორწილო სამზადისი”.

შემდგომ ამისა, ინგლისელი აეტორი აღწერს შირვანს, სადაც რუსეთის შემდეგ მოვხედა გამგზავრება, შირვან-შაჰის სასახლეს, იქაურ წეს-ჩვეულებებს და მიღებას სასახლეებში.

1561 წლის ოქტომბერში ჯენისონი თავისი ამაღლითურთ ირანის საზღვრებს მიადგა. აეტორი აღწერს თავრიზს და ყაზბეგის, შაჰ-თამაზის სასახლეს, ირან-ოსმალურთის საზაფო მოლაპარაკებას (როგორც ცნობილია, ოსმალეთის სულთანი იმხანად იყო სულეიმან I კანუნი (1520-1566)).

20 ნოემბერს ინგლისელები მიიწვიეს შაჰის სასახლეში. საინტერესოა ამ სტუმრობის აღწერის ერთი ადგილი, ხადაც ლაპარაკია ქართველ უფლისწულზე. “ის (შაჰ-თამაზი – ლ. უ.) ჩემთან დევრს საუბრობდა რელიგიაზე. მეკითხებოდა – “გიაური ვარ თუ არ”, ე. ი. ურწმუნი ვარ თუ მუსლიმანი, ე. ი. მამადის რჯულისა. ვუპასუხე, რომ არც ურწმუნი ვარ და არც მუსლიმანი, არამედ ვარ ქრისტიანი. “ეს რა არის?” – მიმართა მან საქართველოს მეფის ქრისტიან ვაჟს, რომელიც გამოქცეული იყო და თავს შეასის კარს აფარებდა. მან უასეუხა, რომ ქრისტიანი ის, ვისაც სწავლის იქიმ ქრისტესი, თვლის რა მას დევთის შეიძლად და უდიდეს წინასწარმეტველად”, - ანთონიშნავს ჯენისონი.

ჩვენ მიერ ზემოთ მოხმობილ ამონარიდში ნახენები ქართველი უფლისწული უნდა იყოს ქართლის მეფის ლუარსაბ I-ის (1527-1556) დე და სიმონ I-ის (1556-1569),



1578-1599) ძმა – დავითი (იგივე დაუთ-ხანი), 1569-1578 წლებში ქართლის გამუშავიდნენა ბული გამგებელი დავით XI.

როგორც ცნობილია, დავითმა, რომელმაც უდალატა თავის ძმას სიმონ I-ს, თავის მომხრე ქვემო ქართლელ დიდებულთან ბარათა შეილთან ერთად 1561 წელს შპ-თამაზის კარს შეაფარა თავი<sup>2</sup>. ენტონი ჯენეინსონის ცნობა ცხადეყოფს, რომ 1561 წლის დეკემბერში დავითი ჯერ კიდევ არ იყო გამუშალიმანებული.

“ხოლო, იხილა რა ძმამან მეფის სკიმონისამან დავით საარსთაგან ძლევა ესჭ წარვიდა საარსეთად, რამეთუ იყო კაცი ხორცომოყვარე, მედაუგანმცხომელ, და იქ მნა გამცემელ ქუეყნისა და მივიდა წინაშე ყევნისა.” – მოგვითხობს დავითის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი<sup>3</sup>.

1562 წლის აპრილში ჯენეინსონი ჩავიდა შემახაში.

“შემახაში ყოფნისას ჩემთან მოვიდა სომეხი, გამოგზავნილი ქართველთა მეფის მოერ. მან მიამობო სავალალო მდგომარეობა ამ მეფისა, რომელიც მოქცეული იყო ორ სახ-ტიკ, უღმობელ და ძლიერ ხელმწიფელის, – დიდ თურქსა (ხულეუმან I ქანუნი – ლ. უ.) და საარხეოის შპპს შორის და რომ იგი (საქართველოს მეფე – ლ. უ.) გამუშავდებით ქორქების მათ. სომეხი მთხოვდა, იქსო ქრისტესადმი სიყვარულის ძალით, რაღაც მე ქრისტიანი ვარ, დაგხმარებოდი მას და მიმეცა მისთვის რჩევა, თუ რა გზით შეუძლია ქართველთა მეფეს რუსეთის ხელმწიფელთან თავისი დესპანის გაგზავნა და, ჩემი აზრით, დაეხმარება თუ არა იგი. აგრეთვე, მთხოვდა, ჩემი დაბრუნების შემდეგ დაწვრილებით ამექსნა რუსეთის მეფისათვის ქართველთა მეფის შექირვებული მდგრმარეობა. სომეხმა დაუშატა, რომ მისი მეფე, რა თქმა უნდა, დაწერდა თავისი თხოვნის შესახებ, რომ არა საფრთხე მისი შეირიკის მშეიღობიანად ჩასვლასთან დაკავშირებით. ამაზე მე ვუპასუხე ასევე სიტყვივრად და ვარწმუნებდი, რომ მას შეუძლია თავისი ელჩის გაგზავნა რუსეთში და ნუ შეეპარება ეჭვი იმაში, რომ ის მიმართავს შესანიშნავ, დიდებულ ხელმწიფელს, რომელიც აუცილებლად დათანხმდება დახმარებაზე. მიუჟოთიც გზაც, რომლითაც საქართველოს მეფეს შეუძლია თავისი ელჩის გაგზავნა, – ეს არის მიწაწყალი ჩერქეზებისა, რომელთა მეფეც კეთილგანწყობილია ქართველთა მეფისადმი და, რომლის ქალიშეილზეც მცირე ხნის წინ დაქორწინდა საქართველოს მეფე.

გავისტუმრე რა სომეხი, ორი დღის შემდეგ თქვენი მსახური (ავტორი მიმართავს ინგლისის დედოფლადს – ლ.უ.) ედო კლარკი გავგზავნე ქ. არრაგში (?) – ლ.უ., სადაც დიდი სიუხვეა აბრეშუმისა. ამასთან, ვთხოვე წასულიყო საქართველოში და იქ მეფისათვის აღმოვჩინა შესაძლო დახმარება. მე მას განვუმარტე ჩემი დაგალების არსი და სურვილი, – დაერწმუნებინა ეს ხელმწიფე, რათა მას მის სამფლობელოში ვაჭრობისა და თავისუფალი მიმოსვლის უცვლება შეიცა ჩევნი ვაჭრებისათვის.” – აღნიშნავს ჯენეინსონი.

სამწუხაროდ, როგორც ირკვევა ინგლისელი აგტორის ნამბობიდან, საზღვარზე შექმნილი დაბრკოლებების გამო ედო კლარქმა ვერ შეძლო საქართველოში ჩასვლა.

ვფიქრობთ, რომ ჯენეინსონის მიერ ჩახსეხები ქართველთა მეფე არის ქართლის მეფე სიმონ I.

როგორც ცნობილია, სიმონის თანამეცხედრე ნესტან-დარეჯანი იყო ჩერქეზთა შამხალის შვილიშვილი და კახეთის მეფის ლევან I-ის (1520-1574) ასული<sup>4</sup>. ქორწინება სიმონ I-სა და ნესტან-დარეჯანს შორის შედგა 1599 წელს. ყოველივე ამას უნდა გულისხმობეს ჯენეინსონი, თუმცა ქართლის დედოფლადი იყო შამხალის შვილიშვილი და არა შვილი. სწორედ იმ პერიოდში (1562 წლის გაზაფხული) შპ-თამაზმა სიმონ I-ის წინააღმდეგ სალაშეროდ გამოგზავნა მისი იმხანად უკვე გამუშალიმანებული ქმა

როგორც ვხედავთ, ენტონი ჯენკინსონი საინტერესო ცნობებს გვაწვდის სიმონ  
I-ის და ირან-ოსმალების წინააღმდეგ მოქმედებისათვის საერთაშორისო კონტაქტების  
დასამყარებლად მისი მცდელობების შესახებ. ეს გახდათ ერთ-ერთი პირველი  
მცდელობა რუსეთთან ურთიერთობის დამყარებისა. სხვა საკითხია, თუ როგორ წარი-  
მართა შემდგომში ეს ურთიერთობა.

Levan Urushadze

## THE EVIDENCE OF THE “TRAVEL IN PERSIA” OF ANTHONY JENKINSON CONCERNING GEORGIA

The English diplomat and traveler of the 2nd half of the XVI century and beginning of the XVII century Anthony Jenkinson (1537-1609) traveled to Persia and Russia four times in 1557-1571. The purpose of these journeys was to conduct negotiations with the Persian Shah-Tamaz I, with the Russian Tsar Ivan the Terrible and with the rulers of the Caucasus (Shemakha and Shirvan) on the trade relations with England.

One of these journeys was in 1561-1563. Just during the description of this journey the English author speaks about Georgia and about the Georgian Prince who is in the Shah's court.

The present article is restricted to the information of Jenkinson's “Travel in Persia” associated with Georgia. It is shown that the King of Georgia mentioned by Jenkinson was the King of Kartli Simon I (1556-1569, 1578-1599) and the Georgian Prince at the court of Shah-Tamaz I (at the end of 1561) was David (Daut-khan) – the brother of Simon I, who was the ruler of Kartli in 1569-1578 and is known as David XI.

As it turned out from the Jenkinson's work, in December, 1561 David had not yet adopted Islam.

Thus the “Journey” of Anthony Jenkinson is an important source of the history of the Kingdom of Kartli in the early 1560s.

### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. Известия англичан о России XVI века. – “Чтения в Императорском Обществе истории и древностей Российских”, №4, Москва, 1884.
2. ფარსადან გორგიჯანიძე, საქართველოს ისტორია, ს. კაქაბაძის გამოცემა. – “საისტორიო მოამბე”, გ. 2, თბილისი, 1925; საქართველოს ისტორიის ნარკევები, გ. IV, თბილისი, 1973; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. – რჩეული თხზულებები თორმეტ ტომად, გ. III, თბილისი, 1982.
3. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოისა. – “ქართლის ცხოვრება”, გ. IV, სიმ. ყაუხნიშვილის გამოცემა, თბილისი, 1973, გვ. 407.
4. იქვე, გვ. 406.

## გეორგ ტეპტანდერის “მოგზაურობის” ცერიგი საქართველოს და კავკასიის შესახებ (1602-1603 წე)

1602 წლის 27 აგვისტოს, “რომის სადეთო იმპერიის” იმპერატორის (1576-1612), ავსტრიის ერც-ჰერცოგის რუდოლფ II პაბებურგის დავადებით, პრაღიდან ირანისაკენ აიღო გეზი ელჩობამ სემიგრადიელი აზნაურის სტეფანე კაკაშის ხელმძღვანელობით. ელჩობის მიზანს შეადგენდა მოლაპარაკება ირანის შპათან აბას I-თან (1587-1629) და რუსეთის მეფესთან ბორის გორგანოვთან (1598-1605) ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებასთან დაკავშირებით. იმავე წლის 6 ნოემბერს ელჩობა მოხევდით ჩივილი ჩივილი, ხოლო 1603 წლის 27 მაისს – ასტრახანში. აგვისტოს მიწურულს ისინი სომხეთის ქალაქ ლენქორანში ჩავიდნენ. თითქმის 10 კვირის შემდეგ აღნიშნულ ქალაქში გარდაიცვალა ელჩობის რამდენიმე წევრი, მათ შორის ელჩი კაკაშიც. ამ უკანასკნელმა საქმის ბოლომდე მიყვანა დავალა თავის თანაშემწეს, აგსტრიელ გეორგ ტეპტანდერს, რომელმაც თავიდან ბოლომდე აღწერა ეს მოგზაურობა.

ტეპტანდერის თხზულება “მოგზაურობა სპარსეთში მოსკოვიის გავლით” შეიცავს ცნობებს როგორც ირანსა და რუსეთსე ისე ამიერკავკასიაზე (სომხეთსა და საქართველოზე). ნაშრომი პირველად 1609 წელს გამოიცა ალტენბურგში, 1610 წელს კი იგი თავად ტეპტანდერმა გამოსცა გარეველი შესწორებებით. მის შემდეგ მხოლოდ 1819 წელს “მოგზაურობა” გამოსცა ბარონმა პორმაიერმა<sup>1</sup>. 1877 წელს წიგნის ფრანგული თარგმანი პარიზში გამოსცა ჩ. შეფერმა<sup>2</sup>. მოგვიანებით თხზულება ითარგმნა რუსულად და გამოიცა 1896 წელს რუსეთის ისტორიის და სიძველეთა საიმპერატორო საზოგადოების მიერ სანქტ-პეტერბურგში<sup>3</sup>. ჩვენ მიერ გამოყენებულია “მოგზაურობის” სწორედ რუსული გამოცემა.

ლენქორანიდან ტეპტანდერი და მისი ელჩობა ჩავიდნენ თავრიზში, სადაც ისინი მიიღო აბას I-მა. შპა-აბასხე საუბრისას ავსტრიელი ავტორი აღნიშნავს: “... 18 ნოემბერს (1603 წ. – ლ.უ.) მიხმა აღმატებულებამ დასტოვა თავრიზი თავისი ჯარით, 120,000 მებრძოლით, თავისი ცოლებით, რომლებიც მე არ მინახავს, მაგრამ, რომელთა რაოდენობა, როგორც ამბობენ, 500-ს აღწევს, და ორი ვაჟით, რომლებიც აწ გარდაუკლილი ქართველი ქრისტიანი ქალისგან, ქართველთა მეფის ასულისგან ჰყავს. უფროსი, ხოვთი (ხევი – ლ.უ.) მირზა, დაახლოვებით 17 წლის იურ (მომავალი შპა ხევი 1 (1629-1642) – ლ.უ.) უმცროსა კი, – სულთან მუჰამედი, 7 წლისა”.

როგორც ცნობილია, აბას I-ის ცოლებს შორის რომელიმე ქართველი იყო: ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის და თინათინი, კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის და ელენე, ქართლელი თავადის ანდუქაფარ ამილახვრის და თამარი და ქართლის მეფის სიმონ I-ის და, რომელიც ირანში ფაპრიშ ჯან ბეგუმის სახელით იყო ცნობილი<sup>4</sup>. ჩვენი აზრით, ტეპტანდერის მიერ მოხსენიებული “ქართველთა მეფის ასული” უნდა იყოს ქართლის მეფის ლუარსაბ I-ის (1527-1556) ასული და სიმონ I-ის (1556-1600) და.

შემდეგ ტეპტანდერი მიუთითებს, რომ შპა-აბასს, რომელმაც თავრიზში ძლიერი გარნიზონი დატოვა, უბრძოლეველად დამორჩილდა ქალაქები – მარანდი მიდიაში, ნახიჩევანი და ჯულფა (ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორია) სომხეთში. ყოველივე ამის თვითმხილველი ავსტრიელი დიპლომატიც ყოფილა. ავტორი აღნიშნავს, რომ შპას ლაშქარს არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია სომხეთში. პირიქით, ბეგრიგან მათ

ଶାର୍-ଖ୍ୟୋମିତ କ୍ଷେତ୍ରପରିଲ୍ଲେବ୍ ମାଧ୍ୟାଳୀନିତାରୁ, ଜ୍ଞାନଭାଷ୍ୟ କ୍ଷେତ୍ରରେ ଲାଭକାରୀ 50,000 ଅଣ୍ଠେକ୍ଷଣ ଉପରେ କରାଯାଇଥାଏ ଓ ସାନ୍ତୁଦୀତ ଦାତାଙ୍କରିବାରୁ, ରାମଲିଂଗାରୁଙ୍କ ମୁହଁନ୍ଦି ଦର୍ଶକାମ୍ଭିତ ଗାନ୍ଧିମାର୍ଗଲୋକାଶି କ୍ଷେତ୍ରରେ ପରିଦ୍ୱାରା ପରିଚ୍ଛବି କରାଯାଇଥାଏ

კულტურან შპპ დაიმრა ერვნისკენ, რომელსაც ტექტანდერი “მცირე არმენიის მთავარ ციხე-სიმაგრე” მოიხსენიებს. ერვნის მახლობლად ყოფილა სამი ეკლესია, რომელთაგან ერთს, რომელიც ყველაზე კარგ მდგომარეობაში იყო, ოსმალები “ტანილისა”-ს უწოდებდნენ. ავტორის მითითებით, ამ უკანასკნელში მდგველმსახურებას ეწოდნენ ბერძნები, რაც, ჩვენი აზრით, ნაკლებად საბრწმუნო უნდა იყოს. ეს ეკლესია უნდა იყოს XIII საუკუნის გუმბათოვანი ეკლესია, რომელიც “კატოდიკუ”-ს სახელით არის ცნობილი.

ერევანში არსებული კოთარების გასაცვლიდ მათთვის უკან მდგრადი გადა

სომხებმა დიდი პატივით მიიღეს აკსტრიელი დიპლომატი. იგი მიიწვიეს ტაბარ-ში, სადაც აჩვენეს ადამიანის ოქროში ჩასმული ხელი. მასპინძლებმა სტუმარს აუხ-სნეს, რომ ეს იყო გამოჩენილი ღვთისმეტყველის გრიგოლ ნაზიანზელის მარჯვენა ხელი და, რომ თავად გრიგოლ ნაზიანზელი ამ ეკლესიაში იყო დაკრძალული.

ეკლესიის ზედმიშვნით გაცნობის შემდეგ ტეპტანდერი წარუდგინებს სომქեთა პატრიარქს, რომელმაც ტრაეფზა გამართა სტუმრის პატივისაცემად. პატრიარქმა თხოვნით მიმართა მას, როგორც ქრისტიანს, რომ ტეპტანდერს ეშვამდგომლა შპის წინაშე, რათა ამ უკანასკერდს კადენისთვის დაებრუნებია ის მამული და ქონება, რომელიც მათ ოსმალებმა ჩამოართვეს. გარდა ამისა, სომქეთა მდვდელომთავარი სომხოვდა აბას I-ს, რომ სომხებისთვის მიეცათ მდვდელმასახურების ქველი სომხური წესების მიხედვით წარმართვის უფლება. სამწუხაროდ, ავსტრიელი აეტორი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ რა შედეგი მოჰქვა სომქეთა პატრიარქს ამ თხოვნას. ჩვენი აზრით, შემდგომში განვითარებული მოვლენები გამორიცხავს ამგვარი თხოვნის დაპრაყოფილების შესაძლებლობას.

ამის შემდეგ, ოოგორც აღნიშნავს ტექტანდლური, აბას I-ს ორი კვირა დატორდა ერევნის ციხის აღდებისათვის და ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან, ავტორის მითო-ობით, ციხეში გამაგრებული იყო თურქ-ოსმალთა 40,000-იანი გარნიზონი.

როგორც ცნობილია, 1604 წელს აბას I-მა დაარსა ერევნის სახანო, რომელშიც შეკვეთი და მთელი აღმ. სომხეთი. ერევნის პირველ ხანად დაინიშნა შაჲ-აბასის ცნობილი მხედრობრივი ამირ-გუნა ხანი, რომელიც სახანოს განაგებდა 1622 წლიდედ<sup>5</sup>.

1603 წლის 14 ნოემბერს, შპილი მიერ ოქროს ხდლით დაჯილდოვე კლია გულია ტეტერანდვრმა და მისმა ელჩობამ, ირანის ელჩის მეტპიული-ბეის თანხლებით, დასტოვანი.



ში – ლუ.), რომელიც მისმა საიმპერატორო უდიდებულესობამ გაგზავნა სკარსერის შათან, გარდაცვალა და მე არ ვიცი, თუ რა დავალებები ჰქონდა მას მიღწეულებრივად დასძენს ავტორი.

“დავემშეიღობეთ რა მას (ქართველთა მეფეს – ლუ), ჩვენ განვაგრძეთ გზა მეს-ხეთის მთების (Moschicos montes) გავლით, რომლებიც მეტად ველური და გაუვალია და წარმოადგენს კავკასიის ქედის ნაწილს”-ო, განაგრძობს ტექტიანდერი.

აღნიშნული მთების გადასვლის დროს ავსტრიელთა ელჩობა გაძარცვეს იქ მოსახლე, როგორც ავტორი მიუთითებს, თათრებმა. ვინაიდან, ვეროპელი ავტორები ამ ტერმინის ქვეშ ხშირად გულისხმობდნენ არა ეთნიკურ კუთხიდლებას, არამედ აღმსარებლობას, უნდა ვიგარაუდოთ, რომ ავტორი გულისხმობს ადგილობრივ მესხებს, რომლებიც იმ დროისთვის გამუსლიმებულნი იყვნენ. როგორც ცნობილია, 1570-იანი წლების დამლევიდან სამცხე-ჯავახეთი, როგორც ახალციხის საფაშო, შედიოდა ოსმალეთის გამგებლობაში და აქ აქტიურად მიმდინარეობდა ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ისლამიზაცია. შესაძლოა, ტექტიანდერის მიერ ნახსენები “თათრები” ყოფილიყვნენ მესხეთში ჩამოსახლებული თურქული მოდგმის თარაქმები.

1604 წლის თებერვალში ელჩობამ მიაღწია მდ. თერგე, საიდანაც ისინი გადავიდნენ ასტრახანში.

რაც შეეხება ავსტრიელთა ელჩობის მარშრუტს, მათ უნდა გადაეკვეთოთ მთელი ქართლი და თერგის ხეობის გავლით გადასულიყვნენ ჩრდილოეთ კავკასიაში.

ტექტიანდერის მიერ ნახსენები “ქართველთა მეფე” შეჭველად უნდა იყოს სიმო I-ის ძე, ქართლის მეფე 1600-1606 წლებში, – გიორგი X, რომელიც ირან-ოსმალეთის ომში (1602-1612) იბრძოდა ირანელთა მხარეზე. როგორც ცნობილია, 1603-1604 წლებში იგი მონაწილეობდა ერევნის აღებაში. 1604 წელს, აბას I-ის დავალებით, გიორგი X დაბრუნდა ქართლში და სათავეში ჩაუდგა ბრძოლას თბილისსა და ახალციხეში გამაგრებული ოსმალების წინააღმდეგ<sup>6</sup>. ჩვენი აზრით, სწორედ ქართლისკენ მომავალ გიორგის შეხვდა ავსტრიელთა ელჩობა.

ამდენად, ვუიქრობთ, გეორგ ტექტიანდერის “მოგზაურობა” შეიცავს საინტერესო და ანგარიშგასაწევ მონაცემებს XVII საუკუნის დამდეგის ამიერკავკასიის ისტორიისათვის.

Levan Urushadze

## THE “JOURNEY” OF GEORG TEKTANDER CONCERNING GEORGIA AND THE CAUCASUS

The article deals with information on Georgia and the Caucasus by the Austrian traveler and diplomat of the late 16<sup>th</sup> century and the 1<sup>st</sup> decade of the 17<sup>th</sup> century Georg Tektander, after his journey to Persia in 1602-1604.

This information provides an opportunity to fix some aspects of the foreign policy of the Kingdom of Kartli (Eastern Georgia) in the 1<sup>st</sup> half of the 1600s. In particular, it is possible to determine some details of the negotiations of the Kartli's King Giorgi the X (1600-1606) with the Austrian ambassador and on the participation of Giorgi the X in the Persian-Ottoman war against the Ottomans.

1. Hormayer – Archiv fur Geographie, Historie, Staats-und Kriegskunst, Jargang 1819, 11, 12, 27, 29, 37, 39, 40, 41.
2. Iter persicum, ou description du voyage en Perse... par George Tectander von der Yabel.- Traduction publie et annotee par Ch. Schefer, Paris, 1877.
3. Какаш и Тектандер. Путешествие в Персию через Московию (1602-1603 гг), Императорское общество истории и древностей Российских, 1896.
4. յացօքածյ և, ձեմ I. – յեցոյժուշածո “սայարտվալո”, Ծ. I, տօնութեա, 1997, զշ. 14-15; ծյրո յցնաբաժնուո, աեալո յարտլուս ցեղարկյալա. – “յարտլուս ցեղարկյալա”, Խոմ. յաշինովուուս ցամուշմա, Ծ. II, տօնութեա, 1959; յաելամբո ծագրածուոն, ալլյարա սամց գուսա սայարտվալուսա. – “յարտլուս ցեղարկյալա”, Խոմ. յաշինովուուս ցամուշմա, Ծ. IV, տօնութեա, 1973.
5. История армянского народа, ч. 1, Ереван, 1951.
6. ծյրո յցնաբաժնուո, աեալո յարտլուս ցեղարկյալա. – “յարտլուս ցեղարկյալա”, Խոմ. յաշինովուուս ցամուշմա, Ծ. II, տօնութեա, 1959; յաելամբո ծագրածուոն, ալլյարա սամց գուսա սայարտվալուսա. – “յարտլուս ցեղարկյալա”, Խոմ. յաշինովուուս ցամուշմա, Ծ. IV, տօնութեա, 1973; ույժանդյա մշնդիւս ցեղարկյալա սայարտվալուս մշեակեծ, Յ. Յաշինուուս ցամուշմա, տօնութեա, 1969.

შან შარდენის „მოგზაურობის“ ერთი ადგილის  
ჟაკითხვისათვის

XVII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ვერცერთი შევლევარი გვერდს ვერ აუგლის ცნობილი ფრანგი მოგზაურისა და ვაჭრის ჟან შარდენის (1643-1713 წ.) მოგონებებს<sup>1</sup>, რომელშიც აღწერილია მისი მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში<sup>2</sup>. შარდენის „მოგზაურობაში“ ჩვენი ქვეყნის წარსულის შესწავლით დაინტერესებულ მეცნიერთა ყურადღება თავიდანვე მიიცია. მართალია, შარდენი ცნობილია როგორც დაკვირვებული მოგზაური და აღიარებულია მისი უზადო აქტორიტეტი,<sup>3</sup> მაგრამ, შარდენის „მოგზაურობისათვისაც“ დამახასიათებლია მთელი რიგი შეცდომები და ხარვეზები, რაც ბუნებრივად გამოწვეულია როგორც ავტორის ტენდენციური და მიკერძოებული დამოკიდებულებით ადგილობრივი მოსახლეობისადმი, ასევე – მათი ენების, ადათ-წესებისა და ზექ-ჩეულებათა უცოდინობით<sup>4</sup>. მიზებდავად ამისა, ს. თურნავას შეფასებით, „შარდენი პირველი ფრანგი მოგზაურია, რომელმაც სათანადო ცნობები მიაწოდა ციფილიზებულ მსოფლიოს საქართველოზე“<sup>5</sup>.

აღნიშნული ნაშრომი პირველად გამოიცა ლონდონში 1686 წელს<sup>6</sup>, პირველი ქართული თარგმანი კი შეასრულა ცნობილმა მწერალმა გასილ ბარნოვმა 1886-1887 წწ.<sup>7</sup> ეს თარგმანი არასრულია და იგი არ შეიცავს ოდიშის სამთავროში თეატრინელთა ქაოთლიკური მისიონის<sup>8</sup> პრეფექტის (წინამდგვარი) ოსებ მარი ქამპის (Joseph Marie Zapmi)<sup>9</sup> ნაშრომს, რომელიც ვ. ბარნოვმა ცალკე გამოკვეყნა<sup>10</sup>. ნაწევეტი „მოგზაურობიდან“ ამიერკავკასიის აღწერილობით რუსულ ენაზე პირველად გამოკვეყნდა 1900-1901 წელის შერნალში «Кавказский Вестник», ხოლო 1902 წ. ცალკე წიგნის სახით გამოიცა<sup>11</sup>.

„მოგზაურობის“ წყაროთმცოდნებით მნიშვნელობას ზრდის არა მარტო თავად ავტორის მიერ დანახული ფაქტებისა და მოელენების გადმოცემა და აღწერა, არამედ, აგრეთვე, ჩვენს მიერ ზემოთ ნახევრები ქამპის თხზულება, რომელიც სრულად აქვს ჩართული თავის ნაშრომში ფრანგ მოგზაურს. ქართული და მეგრული ენების უცოდინობის გამო, შარდენს გატირვებია, შესწავლა ოდიშართა სარწმუნოებრივი საკითხები: „ამიტომ, – წერს შარდენი, – ...უმჯობესი იქნება გაგაცნოთ პატრი დონ იოსე კბ მარი ქამპის... რელაცია; იგი მის ხელით არის დაწერილი, არსად დაბეჭდილა და არც კია დასრულებული. ეს ნაშრომი, რომელიც მასთან ყოფნის დროს გადმომცა, ამ პატრის აქ გატარებული ოცდასამი წლის<sup>12</sup> შემდეგ დაუწერია. ამდენად მას უნდა სცოდნება ბევრი რამ დევთისმსახურებისა და სარწმუნოების შესახებ<sup>13</sup>. ქამპის თხზულების შარდენისეული თარგმანი დღეს უკვე ორიგინალის ფუნქციასაც იძენს, რადგან დედანი დაქარგულად ითვლება.

სამწუხაოროდ, ჩვენს მიერ დასახელებული ყველა თარგმანი შეიცავს ერთ მნიშვნელოვანი ხარვეზს, რომელიც უკავშირდება შარდენის მიერ ტერმინ „Abcas“-ის ხარებას და, კონტექსტის შესაბამისად, მის მართებულ თარგმნას. კონკრეტულად, საქმე ექვება ერთ ეპიზოდს ქამპის თხზულებიდან:

«Ce catholico exerce sa jurisdiction dans l’Odisse, dans le pays des Imeretiens, des Guriéliens, des Abcas et des Soans. Son église métropolitaine est à Picciota<sup>14</sup>, proche les Abcas (აქ და ქვემოთ ხაზიასმა ჩვენია – კ. კ.), sous le nom de Saint-André ou de Sainte-Marie...»<sup>15</sup>

ამ ცნობას ვ. ბარნოვი ასე თარგმნის: „ამ კათალიკოზის<sup>16</sup> განკარგულებას ექ-



კვერცხისა და მომავალის გურია, აფხაზეთი და სვანეთი. მისი საქათადღებო მუნიციპალიტეტი კვერცხისა არის *ბახვის მუნიციპალიტეტი*, ანდრია მოციქულის ანუ ყოვლად წმიდა მარიამიელი კლესია, აფხაზეთის მახლობლადი.<sup>17</sup>

ს. ვ. ბახუტოვასა და დ. პ. ნოსოვიჩის თარგმანი: «Католикос управляет Мингрелией, Гурией, Абхазией и Сванетией. Его метрополия находится в *Пичвиоте, близ границы Абхазии*, и называется храмом святого Андрея или Пресвятой Девы Марии...»<sup>18</sup>

მ. მგალობლიუმის თარგმანი: „ამ კათალიკოსის ძალაუფლება ვრცელდება ოდიშში, იმერლების, გურულების, აფხაზთა და სვანთა ქვეყნებში. მისი სამიზროპოლიტო საყდარი არის ბიჭვინთაშვილი, აფხაზეთის ახლოს, რომელიც წმ. ანდრიას ანუ წმ. მარიამის სახელზეა ნაკურთხი...“<sup>19</sup>

სამივე ვარიანტში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ბიჭვინთა მდებარეობს „აფხაზეთის ახლოს“, რაც, რამდენადმე გაუგებარია.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ძამის თხზულება დაწერილია XVIIს. II ნახევარში, ანუ იმ დროს, როდესაც საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში – თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე – ადგილი აქვს მნიშვნელოვან ეთნოდემოგრაფიულ ცენტრების.

XVIIს. I მეოთხედისათვის ჩრდილოეთ კავკასიონდან გადმოსული ტომებისა და ოსმალეთის იმპერიის მხარდაჭერით ზურგამაგრებული აფხაზეთის სამთავრო, რომლის აღმოსავლეთი საზღვარი, ვახუშტის ცნობით, ანაკონდისთან (ამჟამინდ. ახალი ათონი) გადიოდა<sup>20</sup>, სარგებლობს ოდიშში განვითარებული შინაარეულობით და იწყებს პერმანენტულ და წარმატებულ ექსანსიას სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართებულებით – სამეგრელო-ოდიშის სამთავროს სიღრმეში<sup>21</sup>. ამ პროცესის შეჩერება, მიუხედავად ოდიშშართა ცალკეული სამხედრო და პოლიტიკური წარმატებებისა<sup>22</sup>, ფაქტობრივად, შეუძლებელიც ხდება. საქმეს კერ უშეველა ლევან II დადიანის (1611-1657 წწ.). მიურ „აფხაზთა გამოსვლელობისათვის“<sup>23</sup> აგებულმა კ. წ. „პელასურის კედელმაც“. სხვადასხვა წყაროების, პირველ რიგში კი, უცხოელ ავტორთა მონაცემების საფუძვლზე შესაძლებელი ხდება რეგიონის საერთო პოლიტიკური და კონიკური ვითარების ზოგადი სურათის წარმოდგენა.

იტალიელი მისიონერი ჯოვანი და ლუკა აფხაზეთ-სამეგრელოს საზღვარს 1630 წ. მდ. აუს<sup>24</sup>/აბსეზე<sup>25</sup> აფიქსირებდა: „21 მაისისას მოვედით ჰელა ქალაქ სკისორნუმში (Schissornum), საცა მდინარე აუსი ჰყოფს აფხაზეთს სამეგრელოსაგან“<sup>26</sup>. ანიშნულ დასახლებულ პუნქტს ი. ტაბაღუა ქ. სოხუმთან აიგვებს<sup>27</sup>. თუმცა, კ. ინგოროვას მოსაზრებით, აქ საუბარი უნდა იყოს ანაკონდაზე<sup>28</sup>, რაც საეჭვოდ მიიჩნია ნ. ბერძენიშვილმა<sup>29</sup>.

ჯოვანი და ლუკას ცნობით, დრანდის ეკლესია ოდიშის შემადგენლობაშია: წმ. ანდრიას სახელობის ეკლესია „ახლოა აფხაზებთან, რომლებთანაც ქართველებს ძრიელ ცოტა მეგობრობა აქვსთ.“<sup>30</sup> თუმცა, ამ ხალხებს შორის რომ გამწვევებული ურთიერთობა იყო, მან სამეგრელოში მისვლამდე უპავ იცოდა. სკისორნუმში აღგილობრივმა თავადმა<sup>31</sup> პუტომ მას უთხრა, რომ „აქ ახლოს მეზობლად ქართველები<sup>32</sup> არიან, მაგრამ მათთან ბევრი ურთიერთობა არა მაქვსო“<sup>33</sup>. სამეგრელოს პირველ დასახლებულ პუნქტად დომინიკანიკური მისიონერი სკურჩას (Scourcia, Scoria)<sup>34</sup> ასახულებულ კუნძულად დომინიკანიკური მისიონერი სკურჩას (Scourcia, Scoria)<sup>34</sup> ასახულებს, რომელიც მდ. კოდორთან მდებარეობს. როგორც ჩანს, ოდიშარნი სუდ უცრო აღმოსავლეთით იხევდნენ მომხდურ აფხაზთა შემოტკეპების გამო. თუმცა, მეგრული მოსახლეობის გარკვეული რაოდენობის და, შესაბამისად, დასახლებული პუნქტის არსებობა დრანდაშიც უნდა ვიგარაუდოთ, რადგან, როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ



ფუნქციონირებს ადგილობრივი მონასტერი, რომელიც დრანდელი არქიეპიკოსის შემცირების (Driandelli)<sup>35</sup> საკათედრო ტაძარიცაა.

შემდომი 20 წლის მანძილზე აფხაზეთ-სამეგრელოს საზღვარი კიდევ უფრო აღმოსავლეთით იწევს: 1639-1640 წწ. ოდიშში მყოფმა რუსმა ელჩებმა ფ. ელჩინმა და პ. ზახარიეგმა დრანდის მონასტერიც («Дандреанской монастыри») მოინახულეს (1640 წ. 6 თებერვალს)<sup>36</sup>, თუმცა ამ პერიოდის ოსმალო აგზორის ქათიძ ჩელების რუსაზე საზღვარი მდ. კელასურთანა დაფიქსირებული<sup>37</sup>. სულ რამდენიმე წელიწადში საზღვარმა ორ სამთავროს შორის მდ. კოდორზე გადაინაცვლა<sup>38</sup>. XVIII 50-იანი წლების დასაწყისისათვის ჩამოყალიბებული სტატუს-ქეთ შედარებით სტაბილური აღმოჩნდა (საუკუნის მიწურულამდე). მართალია, აფხაზთა პერმანენტული თავდასხმები სამეგრელოზე მაინც გრძლედებოდა<sup>39</sup>, მაგრამ საზღვრის ცვლილებას ეს არ იწევედა.

ასეთი ვითარება დახვდა ოდიშში ჩამოსულ ჭ. შარდენსაც (1672წ.): კოდხინის (ასე მოიხსენიებს ის სამეგრელოს) „საზღვრავს კორაქსი და ფაზისი, ძველი ისტორიუსების მიხედვით ცნობილი მდინარეები, რომლებიც დღეს კოდორისა და რიონის სახელწოდებით არიან ცნობილი. პირველი გამოყოფს მას აფხაზეთისაგან, შეორე კი – იმერეთისაგან“<sup>40</sup>. ასევე დაფიქსირებული მისივე რუსაზეც, სადაც მდ. კოდორის მარჯვენა სანაპიროზე გაქოთებულია წარწერა – “Dicta Abcas”. ამ რუკის მიხედვით, დრანდაც, შესაბამისად, აფხაზეთის სამთავროს ტერიტორიაზეა.

მაშინ, როგორ აღმოჩნდა ბიჭვინთა „აფხაზეთის ახლოს“? მით უფრო საუკლობელების ამგვარი გაგება, როცა თავად შარდენი ამ დასახლებულ პუნქტს, თავისავე რუსაზე, (როგორც ზემოთ აღნიშნეთ, აღილობრივი გეოგრაფიის არცოდნით) განათავსებს მდ. კოდორის აფხაზთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ანუ მარჯვენა სანაპიროზე. თუნდაც აქედან გამომდინარეც კი, ურანგმბი მოგზაურმა იცის, რომ ბიჭვინთა მდებარეობს არა „აფხაზეთის ახლოს“, არამედ – საკუთრივ აფხაზეთში. ეს მით უფრო გასაკვირია, როცა ცნობილია, რომ ბიჭვინთა მუდამ შედიოდა ჯერ აბაზგის, შემდგომ კი აფხაზეთის (როგორც საერისთაოს, ისე – სამთავროს) შემადგენლობაში.

როგორც ჩანს, ვ. ბარნოვი, ს. ვ. ბახუტოვა, დ. პ. ნოსოვიჩი და მ. მგადობლიშვილიც ამ კაიზოდში მსგავს შეცდომას უშევებენ, როდესაც *les Abcas*-ს თარგმნიან როგორც აფხაზეთს (პოლატიკური ერთეული) და არა როგორც – აფხაზებს (კონისი). აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ შარდენის „მოგზაურობის“ ზემოთ ნახსენები ეპიზოდი ასე უნდა ითარგმნოს: „ამ კათალიკოსის ძალაუფლება ვრცელდება ოდიშში, იმერლების, გურულების, აფხაზთა და სეანთა ქვეყნებში. მისი სამიტროპოლიტო საჭდარი არის ბიჭვინტაში, აფხაზეთთან ახლოს (ან სიახლოებებს), რომელიც წმ. ანდრიას ანუ წმ. მარიამის სახელზეა ნაკურთხის“<sup>41</sup>.

ამ მონაკვეთის თარგმნის ჩენენული ვარიანტიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკრათ, რომ ბიჭვინთა „აფხაზეთთან ახლოს“<sup>42</sup> მდებარეობდა, ანუ ამ დასახლებულ პუნქტში XVIII 40-50-იან წლებში, როცა აფხაზეთ-ოდიშის საზღვარი უკვე მდ. კოდორზე გადის, ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ ქართველები და არა – აფხაზები. ბ. ლომინაძესაც მიაჩნია, რომ XVIII სუახანებში ბიჭვინთასა და კოდორს შორის ქართველები (მეგრელები) და აფხაზები ჯერ კიდევ თანამოსახლეობდნენ<sup>43</sup>. როგორც ჩანს, ამ პერიოდში აფხაზ/აფხუების მხრიდან აქტიურად არ ხდებოდა ოდიშართა ყოფილი სამოსახლოებისა და მიწების დაკავება (აյ არ ვგულისხმობთ ბიჭვინთას, რომელიც ისედაც მათ იურისიდიკაში იმყოფებოდა). მათი ჩამოსახლება სამეგრელოს სამთავროსათვის ჩამორთმეულ ტერიტორიებზე ურთბაშად არ მიმდინარეობდა. შარდენიც

მოწმობს, რომ აფხაზთა შემოსევებს (ერთ-ერთი მსგავსი ფაქტის თვითმხილავების თავადაც გახდა) უფრო მარბიელი ხასიათი პქონდა: აფხაზები „არბევენ და ქართველები კვლავებს, იტაცებენ ხალხს და პირუტყებს...“<sup>44</sup> როგორც ჩანს, მეგრელთა უკრაშული მისთა-ენგურის შეამდინარეთიდან სწორედ ამგვარი მეთოდებით ხდებოდა. ვინაიდან შინააშლილობებითა, მეზობელ სამეფო-სამთავროებთან ომებითა და ოსმალების თავდასხმების მოგერიებით დაკავებულ ოდიშს უკვე ძალა არ შესწევდა საკუთარი მოსახლეობის დასაცავად. ამიტომაც, ეს ტერიტორია (უმთავრესად გუმისთა-დალიძგას შორის) თანდათანობით იცვლებოდა.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნისხულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სათანადო კორექტივის შეტანა უან შარდენის „მოგზაურობის“ თარგმანში და ზე-მოთ მოყვანილი ციტატა უნდა ითარგმნოს შემდეგნაირად: „ბიჭინტაში, აფხაზებთან ახლოს (ან ხიახლოვებს)“.

Каха Квашилава

## К ПРОЧТЕНИЮ ОДНОГО ОТРЫВКА «ПУТЕШЕСТВИЯ» ЖАНА ШАРДЕНА

Для изучения истории Грузии II половины XVII века первостепенное значение имеет «Путешествие» французского путешественника и купца Жана Шардена (1643-1713гг.). Переводы данного сочинения на грузинский и русский языки (В. Барнова, С. В. Бахутовой, Д. П. Носовича и М. Мгалоблишвили) содержат одну неточность, связанную с использованием автором слова *Abcas*, которым он обозначает как Страну абхазов, так и самих **абхазов**. В частности, вышеуказанные авторы «à *Picciota, proche les Abcas*» (цитата из сочинения католического миссионера в Мегрелии Дзампи, помещенная в «Путешествии» Шардена) переводят как «в *Пицунде, близ Абхазии*». В статье предпринята попытка, на основе критического осмысления данного контекста, а также некоторых сведений и других письменных источников, по новому прочесть данный отрывок из сочинения Дзампи-Шардена. Исходя из того, что как И. Дзампи, так и Ж. Шарден имели четкое представление о географическом расположении тогдашней Абхазии, они прекрасно знали, что юго-восточная граница Абхазии проходила по реке Кодори. Следовательно, считаем, что данная цитата должна переводиться как: «в *Пицунде, вблизи абхазов*».



### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. Voyages du Chevalier Chardin, en Perse, et autres lieux de l'Orient, enrichis d'un grand nombre de belles figures en tailles-douces, représentant les Antiquités et les choses remarquables du pays. Nouvelle édition, Soigneusement conférée sur trois éditions originales, augmentée d'une Notice de la Perse, depuis les temps les plus reculés jusqu'à, de Notes, etc. par L. Langlès. Tome premier. Paris, 1811; Путешествие Шардена по Закавказью в 1672-1673 гг. Перевод С. В. Бахутовой и Д. П. Носовича. (Из журнала «Кавказский Вестник» за 1900 и 1901 гг.). С пятью рисунками. Тифлис, 1902; ქან შარდენის მოგზაურობა საკარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თრადმნა, გამოკვლევა და ქომენტარები დაუროთ მზია მგალობლივშეიღმა. თბ., 1975.
2. იგი საქართველოში იმყოფებოდა 1672 წ. 10 სექტემბრიდან 1673წ. 28 თებერვლადმდე
3. Сливицкий И. А., Шарден и его путешествие по Грузии – გაზ. «Кавказ». 1849, № 33;
4. Сливицкий И. А., Шарден и его путешествие по Грузии. Тифлис, 1849, გვ. 1.
4. Сливицкий И. А., Шарден и его путешествие по Грузии, გვ. 1; შარდენი ქ., მოგზაურობა საქართველოში (1672-1673). თარგმნილი ფრანგულიდან ვასილ ბარნოვის მიერ. აკ. გამწერლიას რედაქციით. თბ., 1935, გვ. 5;
5. თურნავა ს., საზღვარგარეთული ქართველობით. თბ., 1978, გვ. 16.
6. თუმცა, ი. სლივიცკი პირველ გამოცემად ასახელებს 1687 წ. ლიონის გამოცემას (И. А. Сливицкий). Шарден и его путешествие по Грузии, გვ. 1), რაზეც საერთოდ არ საუბრობს აკ. გამწერლია (შარდენი ქ., მოგზაურობა საქართველოში, გვ. 5). „მოგზაურობის“ შემდეგი გამოცემებია: 1711 (ამსტერდამი, ფრანგულად, ორჯერ: Voya-



- ges de Monsieur le chevalier Chardin en Perse et autres lieux de l'Orient), 1723, 1735, 1811, 1812, 1813, 1814, 1815, 1816, 1817; შარდენი საქართველოში – გაზ. „ივერია“, 1886, №№125, 128, 129, 147, 155, 160, 166, 171; 1887, №№205, 218, 224, 234, 272. ამის საფუძველზე 1935 წ. ცალკე ბროშურა გამოიცა (შარდენი ჟ., მოგზაურობა საქართველოში).
8. თეატინებლთა (ფრანგ. Theatin) ორდენი დააარსეს კიეტის (ლათ. Thiatinus) ვაპისკოპოსმა ჯანპიეტრო კარაუამ (შემდგომში პაპი პავლე IV) და რომის კათოლიკური ელეგიის მიერ წმიდანად შერაცხვულმა კაეტანო თიერელმა რომში 1524 წ. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 4, თბ., 1979, გვ. 623; ბოჭხავა ა., საქართველოში კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობის ისტორიიდან. საქართველო-ვატიკანის ურთიერთობა – საისტორიო ძეგლის ტანა ბრ. ტ. V, თბ., 2002, გვ. 63-64). 1626 წ. 4 მაისს გადაწყვდა თეატინებლთა ორდენის მისიონის დაარსება საქართველოში. პირველ შემადგენლობას სათავეში ჩაუდგა პიეტრო ავიტაბილე (Petrus Avitabilis/Pietro Avitabile), რომელიც გორში უკვე 1628 წ. 14 დეკემბერს ჩამოვიდა (Жордания Г., Гамезардашвили З., Римско-католическая миссия в Грузии. Часть I. Из истории взаимоотношений папства и миссионеров с Картлийско-Кахетинским царством и Крымским ханством. Гоийские миссии (конец XVI и 20–30-е годы XVII столетия). Тб., 1994, გვ. 16, 662; ოქუჯავა პ. აფხაზეთი XVII საუკუნეში. თბ., 2002, გვ. 16-17). ოდიშში მოღვაწე მისიონერებს რეზიდენცია სოფელ წიფურიაში (ამჟამინდ. თაგილონი, გალის რაიონი) პქონდათ (გამახარია ჯ., აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს. – 1921 წ.). თბ., 2005, გვ. 256).
9. ავტორთა ნაწილი ამ გვარს წერს ცამბას ან ზამბას ფორმით, რაც არასწორია, ვინაიდან იტალიურად იგი წარმოითქმის როგორც ძამბა. ამ გარემოებას, თავის დროზე უურადღება მ. მგალობლიშვილმა მაიქცია (ჟან შარდენის მოგზაურობა, გვ. 375, შენიშ. 87).
10. ქურნ. „მწყემსი“, 1886, №33; 1887, №№2, 4, 5, 8, 12, 13, 14, 16. ეს თარგმანიც ნაკლულია, ვინაიდან ვ. ბარნოვს ძამპის 24-თავიანი ნაშრომიდან მხოლოდ თორმეტი უთარგმნია.
11. Путешествие Шардена...
12. როგორც მ. მგალობლიშვილმა გაარკვია, შარდენთან შეხვედრის მომენტისთვის (1672 წ.), ძამპის ოდიშში მხოლოდ 19 წელი გაუტარებია, ვინაიდან იგი სამეგრელოში იმყოფებოდა 1649-1665 და 1669-1679წწ. (ჟან შარდენის მოგზაურობა, გვ. 15-16). თუმცა, სხვა მოსაზრებით, ძამპი სამეგრელოში 1648წ. უნდა ყოფილიყო ჩამოსული (ლომინაძე პ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. ტ. 1. თბ., 1966, გვ. 198-199); ოდიშში ძამპიმ არქანჯელო ლამბერტი შეცვალა.
13. Voyages du Chevalier Chardin..., გვ. 288-289; Путешествие Шардена..., გვ. 39; ჟან შარდენის მოგზაურობა..., გვ. 128.
14. ბიჭვინთის ძამპისული ტრანსკრიფცია, რომელიც პ-ჯერაა გამოყენებული და სამივეჯერ ძამპის ნაშრომში (Voyages du Chevalier Chardin, გვ. 196-197, 204-205). შარდენსაც აქვს ამ ტრანსკრიფციის საკუთარი ტრანსკრიფცია Pigivitas, რომელსაც მხოლოდ ერთხელ იყენებს (Voyages du Chevalier Chardin..., გვ. 189-190). როგორც ფრანგი მეცნიერი ლ. Langlès მიუთითებს, რომ ეს ტრანსკრიფცია იგივეა, რაც ძამპის Piccioti (Voyages du Chevalier Chardin..., გვ. 196. შენიშ. 2). შარდენი წერს: „მეგრელები მიგვითითებენ ზღვის ნაპირას მდ. კორაქსის (კოდორის) ახლოს ერთ ადგილზე, რომელსაც ბიჭვინთა პქვია და სადაც დიდი სამნავიანი ეკლესია დგას“



- (ეან შარდენის მოგზაურობა..., გვ. 127); «Les Mingréliens montrent, sur le bord de la mer, en un lieu nommé *Pigivitas*, proche du fleuve Corax (Kodours), une église qui a trois nefs...» (Voyages du Chevalier Chardin..., გვ. 189-190). ასევე აღნიშნული მის მიერვე შედგნილ რეგაზეც, სადაც დრანდის კიხესა (Dandars Cast. et Forum) და მდ. კოდორს (Coddors, ant. Corax) [კოდორ-კორაქსის ურთიერთმიმართვების შესახებ - ხორავა ბ., ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIIIს.). თბ., 1996, გვ. 92. შენიშ. 176] აღნიშნული აქვთ *Pigivitas Metropol.* როგორც ჩანს, აქ საქმე გვაქვს უბრალოდ ადგილობრივი გეოგრაფიის არცოდნასთან, თორემ შარდენი რომ მართლაც ბიჭვინთის ტაძარზე საუბრობს ირკვევა იმითაც, რომ იქვე მიუთითებს: „იქ კათალიკოსი წელიწადში ერთხელ ჩადის ზეთის დასამზადებლად, რასაც ბერძნები მირონს უწდებენ“ (Voyages du Chevalier Chardin..., გვ. 196; Путешествие Шардена..., გვ. 38; ეან შარდენის მოგზაურობა..., გვ. 127), რაც, როგორც ცნობილია, მხოლოდ ბიჭვინთის საკათედრო ტაძარში ადესრულებოდა. ამასთან, დრანდის ტაძარი არ დგას „ზღვის ნაპირას“ (ზღვიდან დრანდამდე სულ ცოტა 5 კმ. მაინც არის). ბიჭვინთის „გუმბათოვანი სამნავიანი ეკლესია“ კი ნამდვილადაა „ნავსადგურიდან 500 მეტრში“ (Пачулиა В. П., Древняя, но вечно молодая Абхазия. Сухуми, 1991, გვ. 239).
15. Voyages du Chevalier Chardin..., გვ. 204-205.
  16. იგულისხმება აფხაზეთის კათალიკოსი.
  17. „მწყემსი“, 1887, №2, გვ. 10.
  18. Путешествие Шардена..., გვ. 45.
  19. ეან შარდენის მოგზაურობა, გვ. 137.
  20. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაშერის მიხედვით ს. ყაუხენიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 776, 783; ვახუშტის ამ ცნობას ნიკო დადიანიც იმეორებს, თუმცა მის დროს (XIX ს. I ნახ.) ეს უკვე ანაქრონიზმი იყო (დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთოთ შ. ბურჯანაძემ თბ., 1962, გვ. 150, 151).
  21. მაპასქირი ზ., ზოგი რამ აფხაზეთის წარსულზე და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე – წგნ.: მაპასქირი ზ., აფხაზეთი საქართველო. თბ., 1998, გვ. 47; მაპასქირი ზ., ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვეთი I. უძველესი დროიდან 1917 წლიდან. თბ., 2004, გვ. 97; ხორავა ბ., ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა, გვ. 75-76.
  22. მაპასქირი ზ., ზოგი რამ აფხაზეთის წარსულზე და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე, გვ. 14; დონ არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. გამოხაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო პროფ. ილია ანთლებამ. თბ., 1991, გვ. 28.
  23. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 782; ამ საფორტიფიციო ნაგებობის დანიშნულება რომ აფხაზთა შემოსევებისაგან ოდიშის დაცვა იყო, ამას უცხოელი ავტორებიც მოწოდებენ: ა. ლაპერტი (ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, გვ. 152), ქ. შარდენი (Voyages du Chevalier Chardin..., გვ. 149-150; Путешествие Шардена..., გვ. 21; ეან შარდენის მოგზაურობა..., გვ. 107).
  24. ასევა მ. თამარაშვილთან (თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით. XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე ტფილისი, 1902, გვ. 144; ტაბაღუა ი., საქართველო ეკლესის არქივებსა და წიგნთსაცავებში. ტ. III, გვ. 157)



25. ბ. ხორავას მოსაზრებით, საუბარია მდ. ბესლეთზე და არა მდ. კოდორზე, როგორც უკავშირდება ამას ი. ტაბაღუა მიიჩნევს (ხორავა ბ., ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა, უცხ. 94 გეგ. 1987, გვ. 160).
26. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა, გვ. 144; ტაბაღუა ი., საქართველო ეპისტოლის არქივებსა და წიგნთსაცავებში. ტ. III, გვ. 157.
27. ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში. ტ. III, გვ. 157; ამ მოსაზრებას ბ. ხორავაც გმხობა (ხორავა ბ., ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა, გვ. 94).
28. ინგოროვა პ., გიორგი მერჩელე. თბ., 1954, გვ. 134.
29. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები (მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის). მეორე გამოცემა. დ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1990, გვ. 618.
30. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა, გვ. 149.
31. აქე აქეს მ. თამარაშვილს (თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა, გვ. 145).
32. მართალია, კონტექსტის მიხედვით, აქ სასულიერო პირებზეა საუბარი, მაგრამ, ამ შემთხვევებში, ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს.
33. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა, გვ. 145.
34. იქვე.
35. იქვე, გვ. 146.
36. Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии. Посольство Федота Елчина и Павла Захарьева в Мегрелию (1639-1640). Для издания подготовил, предисловием, комментариями и словарем снабдил Джемал Гамахария. Тб., 2005, გვ. 269; გამახარია ჯ., აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 197-198; ხორავა ბ., დასახ. ნაშრომი, გვ. 93.
37. ქათიბ ჩელების (ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საბიექტულები დაუროო გ. ალასანიამ, თბ., 1978, გვ. 56; გამახარია ჯ., აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 197-198; ხორავა ბ., ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა, გვ. 93).
38. ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, გვ. 11-12; როგორც მ. მგალობლიშვილი შენიშვაებს, ა. ლამბერტი ოდიშიდან 1649 წ. გაეგმზაურა (ჟან შარდენის მოგზაურობა, გვ. 15); იმავე პერიოდის მეორე ოსმალო ავტორი კელია ჩელები წერს: მდინარე ფაშა „პირდაპირ სამხრეთისაეკნ მიედინება და სამეგრელოსა და აბაზას ქეყნის შეუ ზღვას ერთვის... მთლიანად შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე მდებარე აბაზას ქეყნის დასაწყისია მდინარე ფაშა და საზღვრის დასასრულია დასაცავით ორმოცდაორი დღის სავალზე კაფას ვილაიეთის მცირებელობაში მყოფი ტაბანის ნახევრებულის ახლოს მდებარე ანაპის ციხის ნავსადგური“ (კელია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაუროო გიორგი ფუთურიძემ, ნაკვ. I, ქართული თარგმანი. თბ., 1971, გვ. 96, 97). მკვლევართა (გ. ანჩაბაძე. ბ. ხორავა) მოსაზრებით მდ. ფაშაში მდ. კოდორი იგულისხმება (ანჩაბაძე გ., ველია ჩელების ცნობები აფხაზური და აბაზური ტომების შესახებ, – „საისტორიო კრებული“, VI, თბ., 1976, გვ. 77; ხორავა ბ., ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა, გვ. 92).
39. Voyages du Chevalier Chardin..., გვ. 336-337, 350-351; Путешествие Шардена..., გვ. 104, 110-111; ქან შარდენის მოგზაურობა..., გვ. 207, 215-216; აფხაზები მარტო სამეგრელოთი არ „ქმაყოფილდებოდნენ“: გიორგი გურიელმა (სამთავროს სათავეშია 1669 წლის



- დან) „მოსირნა მეტობრედ მოსრულნი აფხაზნი გურიას მრავალგზის“ (ბათუმის ქადაგი ლი გახტშტი. აღწერა სამეცნისა საქართველოსა, გვ. 840); Аничабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, 1959, гл. 268-269; პაპასქირი ზ., ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვეთი I, გვ. 102.
40. ქაბ შარდენის მოგზაურობა..., გვ. 107; «Le Corax et le Phase, fleuves fameux dans les anciens historiens, à présent nommés Codours et Rione, lui servent là de bornes. Le premier la sépare d'avec les Abcas, le second d'avec l'Imirette» (Voyages du Chevalier Chardin..., გვ. 149-150); «Коракс (Corax) и Фазис (Phasis), – реки, прославленные древними историками, – называемые теперь Кодур и Рион, составляют его границы. Первая отделяет его от Абхазии, вторая от Имеретии» (Путешествие Шардена..., გვ. 21).
41. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მონაკვეთის მცდარმა თარგმანმა შეცდომაში შეიყვანა ისტორიკოსი ჯ. გამახარია, რომელიც, შესაბამისად, ასეთ დასკვნას აკოფებს: „როგორც ვხედავთ, ძამი ბიჭებინთას აფხაზეთის ტერიტორიად არ მიიჩნევდა; ის აფხაზეთის ახლოს მდებარეობდა და არა აფხაზეთში. 23 წლის განმავლობაში კოლხეთში მოღვაწე მისიონერმა იცოდა, რომ ბიჭებინთა სამეგრელოს ეკუთხოდა“ (გამახარია ჯ., აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. გვ. 257). როგორც ზემოთ ვნახეთ, თეატრინელ მისიონერს არანაირად არ შეეძლო მსგავსი რამის მტკიცება, რადგან, ოდიშში მისი ჩამოსვლის მომენტისათვის, სამეგრელო-აფხაზეთის საზღვარი უკვე მდ. კოდორზე გადიოდა. სამაგიეროდ, „23 წლის განმავლობაში კოლხეთში მოღვაწე“ მისიონერმა კარგად იცოდა, აფხაზეთის კათალიკოსის „სამიტროპოლიტო ტაძარი“ სინამდვილეში სადაც მდებარეობდა – ანუ აფხაზეთში, თან ხაებათდაც შორს თვითში ჩრდილო-დასავლეთი საზღვრიდან. ჯ. გამახარიას მხრიდან მსგავსი შეცდომის დაშვება მით უფრო გასაკირია, როდესაც მან უკვე მიუთითა მზია მგალობლიუმის მიერ თარგმანში ადრე დაშვებულ ერთ მსგავს შეცდომაზე (Гамахария Дж., Гогия Б., Абхазия – историческая область Грузии (историография, документы и материалы, комментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тб., 1997, გვ. 301, 672-673; გამახარია ჯ., აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 532-533. შენიშვ. 11). საქმე ეხება ერთ ეპიზოდს ფრანსუა გამბას თხზულებაში, როგორსაც მ. მგალობლიუმიდი ასე თარგმნის: „მათ (იგულისხმებიან აფხაზები – პ. პ.) წინაპრეზად მეგრელები ითვლებან“ (ეაკ ფრანსუა გამბა. მოგზაურობა აბიერკავკასიაში. ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მხრი მგალობლიუმილმა. ტ. I, თბ., 1987, გვ. 88). ჯ. გამახარია და ბ. გოგია ამას ასე თარგმნიან: „მათი ძეგლდები მეგრელები არიან“ (Гамахария Дж., Гогия Б., იქვე: გამახარია ჯ., იქვე). ენახოთ, როგორ არის ფრანგულ როგინიალში: ... «leur prêtres sont mingréliens» (Voyage dans la Russie méridionale, et particulièrement dans les provinces situées audelà du Caucase, fait depuis 1820 jusqu'en 1824; par le Chevalier Gamba, Consul du Roi à Tiflis. Tome premier. Paris, 1826. გვ. 87). ჯ. გამახარია და ბ. გოგია ზემოსსენებულ კრიტიკულ შენიშვნაში მართალი არიან, კინადიან პრეტრე ფრანგულში მართლაც აღნიშნავს „ქურუშმა, მდჯღელა“ (Французско-русский словарь. Составитель К. А. Ганшина. Издание третье, переработанное и дополненное. М., 1957, გვ. 637).
42. როგორც მიიჩნევენ, მამია III დადიანის (1512-1533წწ.) წყალობის სიგელში „ბიჭებინტის დმრთისმშობლისადმი“ დასახელებული სოფლები აითარნე, არუხა და რაბიწა (დოლიძე ი., ქართული სამართლის ქეგლები. ტ. II, თბ., 1965, გვ. 179-180) აფხაზური დასახლებული პუნქტებია, თუმცა ამ საქითხში მკვლევართა მოსაზრება გან-

- სხვაგებულია. თ. გვანცელაძე მიიჩნევს რომ „აითარნე სახელის აფხაზურობი არა კითარ ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან აშკარად მესაქონდეობის აფხაზური დაუძლებულია ამთარის სახელიდან უნდა მომდინარეობდეს“ (გვანცელაძე თ., აფხაზეთის მცხოვრილობის რიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1997, გვ. 183-184). არუხას და რაბიწას მკლევარი, ასევე, აფხაზურ ტოპონიმებად მიიჩნევს, მაგრამ მათი ზუსტი ეტიმოლოგიის მითოება უძნელდება (გვანცელაძე თ., აფხაზურ დასახლებად მიაჩნია კ. ოქუჯავასაც, სამაგიეროდ დანარჩენი ორის სახელწოდების ახსნას ქართული ენის საფუძველზე ცდილობს (ოქუჯავა კ, აფხაზეთი XVII საუკუნეში, გვ. 76-77). ჯ. გამახარია კი მათ ქართულ სოფლებად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ მათი სახელები „ქართულად თითქოს არ ჟღერს, მაგრამ არც აფხურად იხსნება... აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შორეულ წარსულში მეგრელებიც თაყვანს სცემდნენ მეცხოველეობის ღვთაებას – „ანთარს“ (გამახარია ჯ, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 170-171).
43. ლომინაძე ა., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. ტ. I, გვ. 222, 224-225; ოქუჯავა კ, დასახ. ნაშრომი, გვ. 54; პაპასქირი ზ., ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვეთი I, გვ. 104-105.
44. Voyages du Chevalier Chardin..., გვ. 336-337, 350-351; Путешествие Шардена..., გვ. 104, 110-111; ქან შარდენის მოგზაურობა..., გვ. 207, 215-216; Аничабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии, გვ. 268-269.

## შაპ-ფრანსუა გამბა თბილისის მოსახლეობის შესახებ

XIX ს. პირველი ნახევრიდან კავკასია ევროპული დიპლომატიის უზრადდების ცენტრში აღმოჩნდა. ეს განპირობებული იყო ე. წ. „აღმოსავლეთის საკითხის“ პროდლემით: ახლო აღმოსავლეთი და კავკასია ამ პერიოდში გვევლინებიან ისეთი ძლიერი სახელმწიფოების დაპირისპირების არენად, როგორიც იყო რუსთი, ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია და პრუსია. ამ დროიდან სულ უფრო მეტი რაოდენობით იგზავნებიან კავკასიაში ამ ქვეყნების სავაჭრო, პოლიტიკური და დიპლომატიური აგნეტები, რომელთა მიზანი იყო ამ რეგიონის შესახებ დეტალური ცნობების შეგროვება. თავისთვის ცხადია, ნებისმიერი ასეთი პიროვნება თავისი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით არარებდა მსგავს ექსპედიციას.

ევროპის ქვეყნების ასეთი გამადლებული დაინტერესება კავკასიით იმანაც განაპირობა, რომ XIX ს. პირველი ნახევრისათვის აღნიშნული რეგიონის დიდი ნაწილი რუსეთთან იქნა შეერთებული. თუმცა დროთა განმავლობაში, იმის მიხედვით, თუ როგორ მწვავდებოდა „აღმოსავლეთის საკითხი“, შესაბამისად იძაბებოდა დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთსა და დასავლეთ ევროპის ძლიერ სახელმწიფოებს შორის. ამის გამო ასეთი მიზნების შექნე უცხოელ მოგზაურთა შეცტევა კავკასიაში უფრო და უფრო დიდ დაბრკოლებებს აწყობდა. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ პირიოდში კავკასიაში ჩამოსულ მოგზაურთა უმრავლესობას სავსებით რეალური და ლეგალური მიზნები პქონდა – კერძოდ, რაც შეიძლება მეტის დაოვალიერება, შესწავლა და ობიექტური მასალის შეგროვება კავკასიის ქვეყნების შესახებ. ასეთთა რიცხვს მიეკუნებოდნენ ინგლისელი ლაიცლი, ფრანგი დიუბუა და მონაკერე, გერმანელი კოხი და სხვ.<sup>1</sup>

კავკასიის რეგიონის რუსეთის დაინტერესება შორეული წარსულიდნ დაიწყო XVIII ს. და განსაკუთრებით XIX ს. პირველ ნახევრაში რუსეთის სამეცნიერო წრეებში უკვე გამოჩნდა მთელი რიგი ნაშრომებისა, რომლებშიც მოცემული იყო კავკასიის რეგიონში შემავალი ქვეყნებისა და ხალხების მრავალმხრივი და ხისტემატური აღწერილობა. რუსული კავკასიოლოგის წარმატებებზე ნათლად მეტყველებს ს. მ. ბრონევსკის ნაშრომი „Новейшие географические и исторические известия о Кавказе“, რომელიც ავტორია 1810 წ. დაასრულა და მოგვიანებით, 1823 წ. გამოსცა მოსკოვში. ეს ვრცელი ნაშრომი წარმოადგენს პირველ ცდას რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში კავკასიის ხალხთა შესახებ ერთიანი, მეცნიერულად დასაბუთებული წარმოდგენის შესაქმნელად. მრავალუროვნებისა და მასში შეკრებილი კრიტიკულად გაანალიზებული სახდო ცნობების წყალობით ეს გამოცემა დღესაც ინარჩუნებს თავის აქტუალურ სამეცნიერო დირებულებას. რასაკვირველია, ასეთი მაღალი მეცნიერული დონის მქონე ნაშრომს წინ უძღვდა და საფუძველად დაედო ხანგრძლივი და შრომატევადი სამუშაოები კავკასიის რეგიონის და მისი მოსახლეობის შესახებ ცნობების შესაკრებად. როგორც ცნობილია, ასეთი სახის ინფორმაციის შეგროვება რუსეთის არქივებში XVI ს. შეუა ხანებიდანვე დაიწყო. ეს ის პერიოდია, როცა ისახებოდა პირველი დიპლომატიური, პოლიტიკური და კულტურულ-კუონომიტური კაეჭირები რუსეთსა და კავკასიის ქვეყნებს შორის. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცნობების მოპოვებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით უცხოელ ავტორებს.



ცნობები საქართველოს შესახებ ეკროპაში ჯვაროსნების დროიდანვე ჩნდება. ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა ერთგვარად გაარღვეოს შუა საუკუნეების ეკროპაში და დანართები და იგი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს დაუახლოებეს. ეკროპალებმა და ქართველებმა ამ ომგების დროს გაიცნეს ერთმანეთი და ბუნებრივია, რომ საქართველოს შესახებ ეკროპელთა უძველეს ცნობებში სწორედ ამ ბრძოლების მომენტებია ასახული. თითქმის ამავე პერიოდში რუსეთშიც ჩნდება ცნობები საქართველოს შესახებ.

XIII ს-ში მონღლოლთა შემოსევამ ძირს დასცა საქართველოს ძლიერება და ეკროპაში კარგა ხანს არაფერი იყო ცნობილი იმის შესახებ, თუ რა ბევრი ეწიათ მონღლოლთა ბატონობის ქვეშ მყოფ სამხრეთ კავკასიის ქრისტიან ხალხებს. თუმცა XIV-XV სს-ში თურქ-ოსმალთა გაძლიერების კვალდაკვალ, რამაც ახალი საფრთხე შეუქმნა ეკროპის ქვეყნებს, აღმოსავლეთისაკენ ეკროპული ელჩებისა და მოგზაურების ახალი ტალღა დაძრა (თემურ-ლენგის, უზუნ-ქასანის, შაჰ-აბასის კარზე). თავის მხრივ, საქართველოც გზავნის საკუთარ ელჩებს ეკროპაში. შესაბამისად, ამ პროცესს თან მოჰყვა ეკროპის ქვეყნებში საქართველოს შესახებ ახალი ცნობების გავრცელება და მის მიმართ ინტერესის გაცხოველება<sup>2</sup>. ამის დადასტურებაა ახლო აღმოსავლეთში რომის პაპის მისიონერთა მომრავლებაც, რომელთა ნაშრომებიც საქმაოდ მკაფიო წარმოდგენას უქმნიდნენ საქართველოს შესახებ ეკროპელ მკითხველს.

XVIII ს-დან ეკროპული საგაჭრო კაპიტალის აღმოსავლეთისაკენ მოძალუებამ აქ ვაჭარ-მოგზაურთა მომრავლება გამოიწვია. თუ მისიონერთა წერემ XVII ს-ში შესანიშნავი ავტორი - არქნიჯელო დამბერტი მოგვცა, XVIII ს. ვაჭარ-მოგზაურთა შორის ამ მხრივ, გამოირჩევა ორი თვალსაჩინო პიროვნება - ქან-ბატისტ ტავერნიე და ქან შარლენი<sup>3</sup>. XVIII ს-ში აღწერილობითი ლიტერატურის მომრავლებას, აღმოსავლეთისადმი ეკროპელთა ინტერესის ზრდის გარდა, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, ერთი მხრივ, რუსეთის აქტიურმა მოქმედებებმა კავკასიის (ეკროდ, კასპიისპირეთის) რეგიონში და, მეორე მხრივ, ირანში მიმდინარე მოვლენებმა (გადატრიალებებმა და აჯანყებებმა), რომლებმაც ეკროპელთა უზრადღება მიიპყრეს. ამ პერიოდში შეიქმნა როგორც ეკროპელი, ისე რუსი ავტორების (გიულდენშტედტის, რაინგების, ბურნაშვილის და სხვ.) უდრესად საინტერესო ნაშრომები.

XIX ს-დან ეკროპაში აღწერილობითი ლიტერატურის ნამდვილი მოზღვავება იწყება, რაც თავისთავად ინგლისს, საფრანგეთსა და რუსეთს შორის ახლო აღმოსავლეთში წარმოქმნილი დაპირისიორებებით იყო განპირობებული: ნაპოლეონის ომებს, მის აღმოსავლეურ პოლიტიკას, რუსეთის წინსელას კავკასიასა და შუა აზიაში შედეგად მოჰყვა დიდიაღმი აღწერილობითი და მემუარული ლიტერატურის შექმნა. შესაბამისად, ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსახლეების თანახმად, ამავე პერიოდში მოხდა ქართველოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისკიპლინის ჩამოყალიბება ეკროპაში<sup>4</sup>.

XIX ს. პირველი მეოთხედის სამხრეთ კავკასიის და, კერძოდ, - საქართველოს ისტორიული და კულტურულ-ეკონომიკური განვითარების შესასწავლად ერთ-ერთ საუკეთესო წყაროს წარმოადგენს ჟაფურანსუა გამბას (1763-1844 წწ.). მოგზაურობათა ჩანაწერები. როგორც ცნობილია, იგი წლების მანილზე იყო საფრანგეთის კონსული თბილისში და საფუძვლიანად გაეცნო საქართველოს, ხოლო წლების მანილზე მის მიერ მოპოვებული მასალა სათაურით „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ (2 ტომად) გამოსცა პარიზში. 1826 წ. ამ ნაშრომის პირველი ტომი, რომელიც ძირითადად დასავლეთ საქართველოს ეხება, ქართულად ითარგმნა და გამოქვენდა 1989 წ.<sup>5</sup> ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მეორე ტომის (რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს და მათ

შორის, თბილისის აღწერას შეიცავს) გამოსაცემად მომზადებაზე. მკითხველები უკვე შევთავაზეთ გამბას ცნობები თბილისის შესახებ, ამჯერად ვაქეუმის მისამართ ლეგბს საქართველოს მოსახლეობის შესახებ, რომლებსაც თან ვურთავთ სათანადო კომენტარებს. ქართველების, სომხების, თათრების და სხვ. გამბასეული დახასიათება მკვლევართათვის უდავოდ საინტერესოა, თუმცა აქვე უნდა აღვნიშოთ ისიც, რომ მისი შეთაბეჭდილებები გარევეულწილად სუბიექტურ ხასიათსაც ატარებენ (ამ მხრივ აღსანიშნავია გამბას აშეარად გამოხატული ლირიკური განწყობა რუსეთის მმართველობის მიმართ სამხრეთ კავკასიაში), მაგრამ ეს საცსებით ბუნებრივია უცხოელ მოგზაურთათვის. ჩვენთვის კი არსებოთი მნიშვნელობა აქს სწორედ გარეშე თვალით დანახულ ქართულ სინამდვილეს.

\* \* \*

საქუთრივ საქართველოს მოსახლეობას ანგარიშობენ სამოც ათას ოჯახს, რაც სამას სამოც ათას სულს შეადგენს – კვადრატულ მილზე<sup>7</sup> დაახლოებით ას ოცი მაცხოვრებელი. ეს არის გადარჩენილი ნაწილი საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობისა, განადგურებული იმ შემოსვების შედეგად, რომლის სამსხვერპლოც ეს მრავალტანჯული მხარე იყო. როდესაც 1618 წელს<sup>8</sup>, შპა აბასმა საქართველო თურქებისაგან მიიტაცა, დაახლოებით ოცი წლის განმავლობაში რომ ბატონობდნენ ამ მხარეში, მან თოხმოცი ათასი ოჯახი ანუ ხუთასი ათასი მაცხოვრებელი აჟარა და საპარსეთის უშორეს პროვინციებში მიმოფანება. მნიშვნელოვნად შემცირდა ამ მხარის მოსახლეობა ნადირ შაპის<sup>9</sup> დროს, ხოლო ადა-მამად ხანმა<sup>10</sup>, 1795 წლის შემოსვეის დროს, რომელიც არაერთხელ მოგიხსნინ, ოცი ათასი ქართველი წაასხა სპარსეთში, სადაც ისინი დღესაც ცხოვრობენ. თუ ამას დაუშატებოთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს მეფეები და ამ მხარის თავადები თავიანი ქვეშვერდომებს გამუდმებით ყიდდნენ ხოლმე მუსლიმ ვაჭრებზე, ადვილი წარმოსადგრინია ის მიზეზები, ამ მხარის თითქმის გაუცაცურება რომ გამოიწია. დღეს უკვე ეს მიზეზები აღარ არსებობენ და საქართველოს მოსახლეობის სწრაფ ზრდას წინ აღარაფერი ეღობება.

რუსეთის იმპერიაში შემავალი სპერსეთის ძევლი პროვინციების მოსახლეობის მდგრმარეობის აღწერას მოკლე<sup>11</sup> მიმოხილვის სახითაც კი ვერ შევძლებ. იმ დროს, როცა რუსეთის მონარქი ამ მხარეებს დაეპატრონა, ბევრი მუსლიმი სპარსეთის ტერიტორიას გადაიხვეწა; მაგრამ, შემდეგში, რუსეთის უწყინარმა მმართველობამ ლტოლვილთა დიდი ნაწილი კელავ მოიზიდა ამ მხარეებში.

საქართველოს მოსახლეობას, მის თანამედროვე სასლვრებში, შეადგენნ ქართველები, სომხები, თათრები და სპარსელები.

ნება მომეცით ამ სხვადასხვა ხალხების პორტრეტი აქ ისეთნაირად წარმოვაჩინო, როგორც ვნახე და როგორადაც ადმიწერეს ისინი ადამიანებმა, დიდი ხნის განმატლობაში რომ ცხოვრობდნენ აქ და საშუალება პქნდათ კარგად გასცნობოდნენ მათ.

ქართველი კაცი მაღალი ტანისა და ძლიერი აგებულებისაა. მისი სახის ნაკვეთები, როგორც წესი, დამაზი და მეცეთრად გამოკვეთილია. აქს შავი, მშვენიერი ჭრილის თვალები, გრძელი, ხშირად არწივსხსრი ცხვირი, უფრო ებრაელების ცხვირის მსგავსი, ვიდრე რომაელებისა, რის გამოც მას ხშირად ებრაელებთან აიგივებენ. სიარული მედიდური აქს, ზოგჯერ სხეულის ოდნავი ზევით, რაც მას ზეიად იერს აძლევს. რადგან ქართველი კაცი ისეთ ქვევანაში ცხოვრობდა, რომელსაც მუდმივად ემუქრებოდა მტრის შემოსვების საფრთხე, იგი იძულებული იყო თავდაცვისათვის



მუდმივად მზადყოფნაში ყოფილიყო, მას თავი უნდა დაეცვა ხან თურქებისაგან რომელიც ლებიც ყარსიდან და ახალციხიდან მოითოდნენ, ხან საარსელებისაგან, რომლებიც კავკასიიდან არაქსს გადმოლახავდნენ, ხან კი თათრებისა და ლეკებისაგან, რომლებიც კავკასიიდან ემგებოდნენ. ამ მდგომარეობამ ქართველი კაცი მეომრად აქცია, მაგრამ რადგან იგი მცირერიცხოვან ერს განეკუთვნებოდა, რომელიც იძულებული იყო ურიცხვი მტრის ჯარების წინააღმდეგ ებროლა, იგი პარტიზანულ ომებს უფრო იყო შეჩვეული, ვიდრე რეგულარულ ბრძოლებს. აზიელთა შირის ქართველ კაცს უფრო მამაცი ჯარისკაცი და საუკეთესო მხედარი არ მოიძებნებოდა. სპარსეთის ჯარებში ქართველთა კორპუსი ყოველთვის გამოირჩეოდნენ; სპარსეთის ხელმწიფები მთელ იმედებს მათზე ამყარებდნენ და, როგორც წესი, გამარჯვებაც სწორედ ყოველთვის მათ მოჰქონდათ. მამაცი, მაგრამ არც თუ იშვიათად სასტიკი, სტუმართმოვარე, მაგრამ გულჩათხრობილი, ჰეკვანი, მაგრამ ნაკლებად განათლებული, აი ამ თვისებათა ერთობლიობის გამო ქართველ კაცს ერთდროულად აქცს ჯარისკაცისათვის დამახასიათებელი მანკიურებაცა და უმანკოუბაც.

საკუთარი მეფეების დროს განუწყვეტელ ომებს შეჩვეულ ქართველ თავადებს, თანადათანობით ბეზრდებოდათ უმოქმედო და ერთეულოვანი ცხოვრება. თუკი ოდესაშე შექმნილი ვითარება რუსეთს აიძულებს იმპერიის ცენტრში – აზიაში შეტევა აწარმოს შიიტი და სუნიტი მუსლიმების<sup>12</sup> წინააღმდეგ, რუსეთის სახელმწიფოსათვის სულაც არ იქნება ძნელი სულ მცირე დროში საქართველოში მრავალრიცხოვანი ჯარის შექრება. თავისი მხენვებით გამორჩეული და ევროპულად გაწერთნილი ეს ჯარი იმპერიის საუკეთესო ჯარს ტოლს არ დაუდებს.

ხალხი, ჩვეულებრივ, მიწათმოქმედებასა და ხელოსნობას მისდევს, ვაჭრობა კი უყურადღებოდ რჩებათ. ქართველი კაცისათვის არ არის დამახასიათებელი მებატონის ქედმაღლობა, მისი იერი და მანერები უფრო მეომრულ ხასიათზე მიუთითებენ.

ქართველი ქალები სავსებით ამართლებენ მათ სილამაზეზე შექმნილ რეპუტაციას. ისინი გამოირჩევინ სახის სწორი ნაკვებით, რომელთა მოდელიც მშვენიერმა ბერძნულმა ქანდაკებებმა შემოგვინახა, მოყვანილი ტანით, თეთრი ქათქათა კანითა და ნაზი გამოხედვით. ბანაჯურ ცხოვრებას შეჩვეულ მამაკაცებთან ურთიერთობის პირობებში, თავიანთი სულიერი თავაზიანობით და მხიარული ხასიათით მანდილოსნებმა მოახერხეს მათზე გავლენის მოპოვება.

სომხებს, რომელებიც საქართველოში მრავლად არიან, ზნე-ჩვეულებითა და ბუნებრივი მონაცემებით არაეთიარი მსგავსება არა აქვთ ქართველებთან. ამ უკანასკნელთა მებრძოლი სულისკვეთება სრულ კონტრასტს ქმნის სომხების მშვიდობიან ხასიათთან.

სომხები კაცი ოდნავ უფრო დაბალი ტანისაა, მაგრამ უფრო ჩასუქებული, ვიდრე ქართველი კაცი, მასაც სწორი სახის ნაკვები აქცს, ცხვირი – სწორი, გამოხედვა – სერიოზული, იერი – ჩაფიქრებული და მორჩილი. იგი აერთიანებს, ორ, თითქმის ერთმანეთის საწინააღმდეგო თვისებას: უდევლეს ზნე-ჩვეულებებსა და იმ ნაკლოვან თვისებებს, რაც დიდი ხნის განმავლობაში დამოუკიდებლობას მოკლებულ ქვეყანაში ცხოვრებასთან არის დაკავშირებული.

ისევე როგორც აბრამისა და იაკობის<sup>12</sup> დროს, პირველ შობიდი სე მამის შემდეგ ოჯახის პატრონად, მის უფროსად და მემკვიდრედ ითვლება. უმცროსი მები მისი მორჩილი არიან, ხოლო დები თითქმის მისი მსახური. ერთნიც და მეორენიც მამის მიმართ მოკრძალებით არიან ადვილინი; იშვიათად დაუჯდებიან მას წინ და არც მაგიდასთან სხდებიან მამასთან ერთად. შვილები მამის უერთგულესი მსახური არი-

ან; ამ სტუმართმოყვარე ხალხში მამის სუფრასთან მსხდომ უცხოელებს უფრო უფრო უშეისახავება და მაშინაც კი, როცა სტუმარი სუფრასთან არ შეძირებულების უფროსი ვაჟი მაინც უნდა მოემსახუროს მას.

მე რეკომენდაცია მქონდა ერთ ნახევანელ სომებს სოვდაგართან. მისედისთანავე იგი ძევლი ნაცნობიერი მომებებია და გადამეხვია. შემიყვანა ჩემთვის განკუთვნილოთაში, მომიმზადა აბაზანა, ერთი ცხვარიც დააკლევინა და ნადიმზე თავისი ორი მეგობარიც მოიწვია.

ამ აღწერას თუ დაგუმატებო სომხების სხვა თვისებებს – უბრალოებას, მაცრ უკონომისას, იშვიათ მოწევსრიგბულობას, დიდ საზრაცხობას კომერციულ საქმიანობაში, მათ დადებით მხარეს დავინახავთ. სომები ხალხი რომ დამოუკიდებელი ერი ყოფილიყო, მუდმივად უცხოერათ წყნარი სიტუაციის პირობებში და დამორჩილებოდნენ მხოლოდ თავიანთ კანონებს, შესაძლებელია, სხვა ერისაგან განმასხვავებელი თვისებები მათ არ გასხენოდათ. მაგრამ სომხები, ისევე როგორც ებრაელები, მათსავით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულინი ისტორიული მოგონებებით და მსოფლიოს დასაბამიდან, საუკუნეების მანძილზე მთელ აზიაში მიმოფანტული: ისინი მუდამ დესპოტურ ხელისუფალთ ემორჩილებოდნენ თურქეთში, ძეველ სომხეთსა თუ მთელ სპარსეთში, დამოკიდებული იყვნენ სხვა სარწმუნოების მიმდევარ ბატონებზე, რომლებიც მხოლოდ თავიანთი მისწრაფებებით ხელმძღვანელობდნენ და მხოლოდ საკუთარ სურვილებს იყენებდნენ კანონად.

სომხების ფუფუნებამ და სიმდიდრემ მათზე გაბატონებულ ტირანთა ყურადღება მიიჰყორ და ამის გამო ისინი ხელმომჭირნებად და ძუძნებად იქცნენ. ერთ დაუყიტრებელ სიტყვას თუ სითამამეს მათი დაღუპვა შეეძლო, რის გამოც ისინი უტყვი და შენიდბულები გახდენ. თუკი გამედავნდებოდა, რომ კინებ შერისხლის მიმართ მათ ქველმოქმედება გამოიჩინეს, ისინი თავს განსაცდელში იგდებდნენ და ამის გამო იძულებული იყვნენ სხვის გასაჭირზე თვალები დაეხუჭათ. რადგან მუსლიმურ ქვეყნებში მათ ვერ მოიპოვეს ვერც თანამდებობა და ვერც პატივი, მთელი მათი საქმიანობის მამორავებელ ძალად მოგების უნი იქცა.

თბილისსა და მთელ საქართველოში ვაჭრობა თითქმის მთიანად სომხების ხელშია და შექმნილი მდგრამარეობა გვაფიქრებინებს, რომ სულ მაღლ ისინი აინაზლაურუბენ იმ დანაკლისს, თბილისის ჭარცვამ რომ მიაყნათ.

თათრები, რომლებიც მრავლად არიან ამიერკავკასიის რუსეთის პროვინციებში, სანდო მზიდავები გახლავან ვაჭრობისათვის. ისინი სიამოვნებით მიდიან ქირით მწყემსებად და ცხენების რემების შეთვალდებულებად. მათი უმრავლესობა თავისი ბუნებრივი მიღრებილებით ხახევრად ბინადარ, ხახევრად მომთაბარე ცხოვრებას მისდევს. გაზაფხულის მოსელისთანავე ისინი ტოვებენ სახლებს, მიდიან მთებში სუფთა პაერზე და საკეთი უზრუნველყოფებ ჯოგს. სექტემბრის ბოლოსათვის კი უბრუნდებიან თავიანთ საცხოვრებლებს. იკვებებიან მარტივად, ძირითადად რძის პროდუქტებით და ფლავით. ჭავის აღულებული რძე კი მათვის ჩვეულებრივი სასმელია.

მათი ცოდნები ცხერის მატყლისაგან ართავენ ძაფს და ქსოვენ ხალიჩებს, რომლებიც ფერთა სიმტკიცით გამოირჩევა და იყიდება დაბალ ფასში. თათრები, ჩვეულებებივ, უწყინარნი არიან და დიდად მორჩილნი რუსეთის მთავრობისადმი, რადგან ისინი დაუცველ ქვეყანაში ცხოვრობენ; სპარსელებს სულაც არ აინტერესებთ, რომ ისინი ქვეშევრდომებად გაიხადონ, თანაც თათრებს სპერსელების მიმართ, სხვათა შორის, სექტის სხვადასხვაობის გამო, მუდმივი მტრობა აქვთ.

გარდა, ამ სამი ხალხისა, რომლის შესახებაც ეს-ეს არის ვისაუბრე, ნუზაში, განჯაში, ყარაბაღში, შირვანსა და ოვთ დაღესტანშიც კი დიდი რაოდენობის შემდეგ ბით სპარსელებს. ისინი ამ მხარეებში მას შემდეგ დამკიდრდნენ, რაც ისინი რუსეთს დაუშორჩილდნენ; მათ შეინარჩუნეს თავიანთ თანამომეფთა ზეგ-ჩეგულებანი და თვისუ-ბები; ამის გამო, დახასიათება, რომელსაც ამ ხალხის მიმართ ვიძლევი, ამ ვრცელი სამეცნის მცხოვრებთა დიდ ნაწილსაც შეიძლება მიუუყნოთ.

სპარსელი მამაკაცი შავგეგრემანია, საშუალოზე მაღალი და საქმიანი მოყვანილი აღნაგობისაა. ხახე წაგრძელებული აქვს, თვალები ცოცხალი და ჰეკიანური; ატარებს თითქმის ყოველოვანს გრძელსა და ხშირ წერს; იგი ბევრად უფრო ფეხმარდია და ნაკლებად დინჯი ჩვევის მანერა აქვს, ვიდრე თურქს. ეს ორი ხალხი ერთმანეთს რომ შევადაროთ, მე ვიტყოდი, რომ თურქმა, ხალიფას ნება-სურვილის სრულ მორჩილებაში, შეინარჩუნა მთელი ის მხენობა, რაც ფატალიზმის შედეგია. იგი ემორჩილება დეპარტებს, მაგრამ არა გადაგვარებულ დეპარტებს. ცირკურწმენებმა, ძევლი დროის გამარჯვებათა მოგონებებმა მას მებრძოლი სული შეუნარჩუნებს. ზოგჯერ იგი მკაცრი და დაუნდობელია, მაგრამ მაღლიერებისა და უკეთილშობილები გრძნობებისათვისაც დია აქვს გული. ახლა დაუშეირისპიროთ თურქს სპარსელი და დაგახასიათოთ იგი ისე, როგორც ეს აღწერილი აქვს ყველა მოგზაურს, რომელიც მათთან ცხოვრობდა. ერთ საუკუნეზე მეტია, რაც სპარსელი შეეგუა იმ გარემოებას, რომ მისი ქვეყანა დაპყრობილია, იგი ბრძანდ მორჩილებს თაორებს, თურქმენებისა და ავღანელების ბელადებს და თვლის, რომ განგებამ მას მონობა და ტანჯვა-წამება არგუნა. უახლოესი წარსულის ყველანაირი მოგონება მისთვის სამარცხებინოა და სერიოზული წინააღმდეგობის გაწვევა მას არასოდეს შესძლებია. მას თვალწინ უნგრუვდნენ და უძარცვავდნენ ქალაქებს, უხოცავდნენ მძებს, ართმევდნენ ქონებას; უმიდო არსებობისათვის განწირული, სიცოცხლის შესანარჩუნებლად იგი უკადურეს ზომებს მიმართავდა, ხშირად ძალზე სამარცხებინოსაც კი. ასეთმა ვითარებამ ეს ხალხი სავსებით დასცა სულიერად. მისი არცერთი სიტყვა არ შეესაბამება სინამდვილეს. არავითარი ფიცი მისისის წმინდა არ არის: დღეს თუ ერთზე დაიუიცებს, ხვალ მის საწინააღმდეგოზე ფიცელობს. ძლიერის წინაშე ქვემდრომია, სუსტის მიმართ კი – ღილავულა და სასტიკი. მერე რა, რომ იგი ბუნებრივი ნიჭითად დაჯილდობული, რომ აქვს შეფიქსების უნარი, შეუძლია წარმატებებს მიაღწიოს მექანიკის დარგში, მეცნიერებაში, ყველაფერი იმაში, რაც სწავლა-განათლების სფეროს მოიცავს? ბუნების მიერ მომადლებული ეს ნიჭი უბედურებად იქცევა ხოლმე, თუეკი მის მფლობელს არ გააჩნია არც პრინციპები და არც სათხოება.

სინაულის გრძნობა მეუფლება, როცა სპარსელებს ასეთ ცუდ ვერტბში წარმოქახავ, ამიტომ აქვთ დაუყოვნებლივ მინდა დავითინ, რომ მათ შორის ბევრნი ისე-თებიც არიან, ვინც უდიდეს პატივისცემას იმსახურებს. ამ გამონაჯლისთა შორის, კაცობრიობისათვეს სახიცოთო, შეგვიძლია დავასხელოთ ტახტის მექანიზმი უფლის-წული აბას მირზა<sup>13</sup>, რომლის კეთილმობილური მიზნები ხალხის ზნე-ჩეველებებისა წული აბას მირზა<sup>13</sup>, რომლის კეთილმობილური მიზნები ხალხის ზნე-ჩეველებებისა და მათი ბევრიდბლის გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული, ხალხისა, რომლის შმართველიც იგი ერთ დღეს გახდება.

ମେ ମେଘାକ୍ଷେତ୍ର କାଳାଜ୍ଞମି ମୁକ୍ତକୋର୍ଗଢ଼ୀ ସାରିଲୁଙ୍ଗଦୀର୍ଘ ଶ୍ରେଣୀରେ; କାନ୍ଦିଲ ବିନ୍ଦୁରେ ପ୍ରଥମ ମନ୍ତ୍ରମାଧ୍ୟାର୍ଜ୍ୟ ଉକ୍ତକୋର୍ଗଢ଼ାରୀ ମିଳିଲୁଗେ, ବାର୍ଷିକାପୂର୍ବ ତ୍ୱାଳିଶାଖାନ୍ତିରେ ମାତ୍ରାରେ ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କରେ ବିନ୍ଦୁରେ ପାରିଲାମାର୍କିର୍ଣ୍ଣିତ ହେଲା.



دარცეისადმი მიღრეპილება და ამ მანკიერების საზღაურად – სტუმართმოყვარებულებულება კანონებისადმი დიდი პატივისცემა, წესიერი ზნე-ჩეულებანი და ზოგჯერ, ამაღლებული გრძნობებიც კი.

მე უკვე ვისაუბრე იმის შესახებ, რომ ამიერქავებასის რუსეთის პროვინციებში თანამდებობა, დიდი რაოდნობით ჩამოდიან სომხები. ამ ჩამოსახლებულთა შორის არის სომები პატრიარქი<sup>14</sup>, რომლის აქ დამკიდრებამაც შესამნენვი და მნიშვნელოვანი შედეგები მოიტანა. იგი 1822 წელს თითქმის მთელ თავის სამღვდელოებასთან ერთად გამოიქცა ემისადინის მონასტრიდან, რომელიც სპარსეთში, ერევნის პროვინციაში, არარატის მთასთან ახლოს მდგარეობს<sup>15</sup>. ეს უჩვეულო მოვლენა სწორედ რომ განვსაზღვროთ, უნდა გავიხსენოთ, რომ სპარსეთსა და თურქეთს შორის თითქმის სამი წლის მანძილზე წარმოებული ბრძოლების დროს, ჭროთვები, რომელებიც ზედ საზღვარზე ცხოვრიდნენ, ბარბაროსების შორის ურთიერთ თავდასხმების არეულობაში არ ინდობდნენ არც მოყვარეს და არც მტკრს. მათ მრავალჯერ შეურაცხევეს სომებთა მონასტერი, მოითხოვეს კონტრიბუცია და, როგორც ამბობენ, ორი ბერიც კი მოუკლავთ.

ეს მიზეზი საგებებით ამართლებს სომები პატრიარქის მოსველას თავშესაფრის საძებნელად იმ ერთან, რომელსაც მისი დაუასება შევძლო. მაგრამ ვერც თურქეთი და ვერც სპარსეთი გულგრილად ვერ შეხვდებოდა იმ ყაქტს, რომ პატრიარქი, უფრო სწორად, სომები ხალხის სული და მისი წინამდღვარი, ამიერიდან უნდა დამკიდრებულიყო იმ ხალხთან, რომელიც ერთისათვის უდმობელი ზიზდის ობიექტი იყო, ხოლო ორთავესათვის – თავზარის დამცემი. ასე იყო თუ ისე, მთავარმართობელმა ბრძანება გასცა, განსაკუთრებული პატივით მოპყრობოდნენ პატრიარქს, რომელმაც თავის ადგილსამყოფელად სანაინის მონასტერი<sup>16</sup> აირჩია სომხეთში.

ამ დროიდან მოყოლებული ერევნის ხანისა და თვით აბას მირზას დაბეჯიოფბითმა მოთხოვნამ ვერა და ვერ შეძლო დაეყოლიებინა გენერალი ერმოლოვი, დათანხმებულიყო პატრიარქის ემისაძინში დაბრუნებაზე. ბოლოს, საგანგებო ელჩიც კი მოვიდა მემკვიდრე უფლისწულის სახელით და კელავ ითხოვა პატრიარქის დაბრუნება, თანაც განაცხადა, რომ მას პატივით მოეპყრობოდნენ და მისი სიცოცხლეც სავსებით გარანტირებული იქნებოდა. გენერალმა მქაცრად მიუგო, რომ იგი გაეკირვებულია, რატომ მოითხოვს უფლისწული ასე დაჟინებით პატრიარქის დაბრუნებას მონასტერში, სადაც მოსალოდნებია ქურთვების მხრიდან ბარცვა, უფლისწული კი მათგან ბერების დაცვას ვერ ახერხებს.

მე ვისაუბრე სხვადასხვა ხალხების შესახებ, საქართველოს გუბერნიაში რომ ცხოვრიდნენ. ახლა, ნება მომეცით, ორიოდე სიტყვა მოგახსენით თვით ქართველების თამაშებითა და ჩეულებათა შესახებ.

ბუნებრივია, რომ ერევლებ დროიდან და რუსების მიერ ამ მხარის დაქავებამდე, ქართველთა გასართობები, მათი ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე, საბრძოლო ხასიათს ატარებდა.

ცხენზე ამხედრებული თავადები და კეთილშობილები ასპარეზობდნენ ჯირითში, ისროდნენ მიზანში, ცხენჭენებით კალავ ტენიდნენ თოფს და ახლა ზურგიდან ისროდნენ. ზოგჯერ, ისევე როგორც თურქები კონსტანტინოპოლიში, ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჯერიდის ანუ შების ტყორცაში; ხშირ შემთხვევაში, ამ სასიკვდილო თამაშების შესახებ შეიძლება იგივე გვეთქვა, რაც ერთმა თურქმა თუ სპარსელმა ელჩმა თქვა, როცა ერთ-ერთ ჩვენს შეჯიბრს ესწრებოდა: „თუკი ეს გართობა, იგი მეტისმეტია, ხოლო თუ შებრძოლებაა, იგი ძალზე სუსტია“. გენერალმა ერმოლოვმა, რომელიც იმ უბედურებათა მოწმე იყო, ურთიერთთან შებრძოლებულ ადამიანთა სი-



ფიცხეს შედეგად რომ მოპყვებოდა ხოლმე, მოასპარეზეები დაითანხმა, ჯოსები ქართული კარგად წერდნა ეხმარათ. მიუხედავად ამ წინდახედული ღონისძიებისა, უბედური ტეკვები ჯერ კიდევ ხშირია.

თავადებში გავრცელებული ეს საომარი თამაშობები მდაბიო ხალხმაც გადაიღო. მაგრამ მათი შემძროლების მანერა ნაკლებად კეთილშობილური იყო და სასიკლიდო შემთხვევებიც უფრო ხშირი. კვირაობით და სადღესასწაულო დღეებში, ქართველები იკრიბებოდნენ ავლაბრის გარეუბნის მომიჯნავე მთის გადაღმა და ორ გუნდად იყოფოდნენ. ბავშვები ერთმანეთს აქეზებდნენ და მოდიოდნენ შურდულისა და ჯოხების სროლის. როცა ერთ-ერთი მათგანი თავს დამარცხებდულად სცნობდა. მის ადგილს ახალგაზრდობა იკავებდა, შემდეგ კი მათ უფროსები ენაცვლებოდნენ.

ერთ დღეს მთავარმართობებულმა მოინდომა დასწრებოდა ამ ასპარეზობას და მისმა ყოფნამ ისე აღაგზნო ქართველები, რომ ვიდრე ასპარეზობის შეწყვეტას მოახერხდნენ, რომელიც ბოლოს ნამდვილად გააფორმებულ ბრძოლაში გადაიზარდა, ბევრი დაიჭრა, სამი კაცი კი ადგილზევე იქნა მოკლული. ამის შემდეგ სასტიკად აიკრძალა ასეთი სახიფათო გასართობების განახლება. მაგრამ იშვიათად ჩაივლის ისე კვირა დღე, რომ ეს ასპარეზობა არ წამოიწყონ და ვიდრე პოლიცია მოასწრებს მოსვლას და მებრძოლთა გაშველებას, ჩვეულებრივ, რამდენიმე კაცი დაიჭრება ხოლმე.

ამ სისხლიან გასართობებს შეიძლება დაგუპირისიმოროთ უფრო მშეიდი სახის გართობანი: კარგ ამინდში, რომელიც ასე ხშირია თბილისში, ყოველ სადამოს, ქართველებისა და ხომხების სახლების ბანზე ახალგაზრდა ქალიშვილები, ქალები და ბავშვები იკრიბებიან. ერთდროულად, როგორც წესი, მხოლოდ ერთი ან ორი ქალიშვილი ცეკვაგა; დედები და ქალები კი, რომლებიც საოჯახო საქმიანობას უწევიან, აკომპანირებას უკეთებენ მათ, დაირაზე ხელების ზომიერი დაკრით. ცეკვა ძალზე ძნელია: მოცეკვავენი ფეხზე არ დგებიან და იფარგლებიან თავის, მქლავებისა და სხეულის მოქრაბით. ასეთი გასართობები, რომლებიც ხშირად იმართება ხოლმე ზაფხულობით, ქალაქ თბილისს მხიარულ იქრს აძლევს და ეს არის სიმბოლო უზრუნველყოფისა და ბედნიერებისა, რითაც სარგებლობს ეს ხალხი მას შემდეგ, რაც ბარბაროსთა შემოსევებისაგან დაცულია.

Mzia Mgaloblishvili

Lela Mikashvili

## JAQUES FRANCOIS GAMBA'S INFORMATION ABOUT THE POPULATION OF TBILISI

Jaques Francois Gamba's work "Journey in Transcaucasus" is one of the best sources of the first half of the nineteenth century Georgia, and generally, for studying the economic history of Transcaucasia. Gamba had been French consul for many years in Tbilisi and he was fully acquainted with different regions of Georgia. The first volume of the work, concerning West Georgia, was translated and published by M. Mgaloblishvili in 1987. The second volume contains the description of East Georgia (including Tbilisi), but it has not been translated and published yet. In the article we call your attention to Gamba's information on population of Tbilisi.

1. Адыги, Балкарцы и Карабаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв., составитель В. К. Гарданов, Нальчик, 1974, гл. 3
2. ხანთაძე შ., ნარკევები ეკრობული ქართველობის ისტორიიდან (XIX ს. 20-იან წლებამდე). – ქრებ. ქართული ისტორიოგრაფია, I, თბ., 1968, გვ. 118-119.
3. იხ. ეს შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975.
4. ხანთაძე შ., დასახ. ნაშრომი, გვ. 128.
5. ეს ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I, ფრანგულიდან თარგმნა მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1987.
6. იხ. ქრებ. ქართული წყაროთმცოდნები, X, თბ., 2004.
7. მილი – (ლათ. milia – ათასი ორმაგი ოომაული ნაბიჯი) სიგრძის ერთეული, უდრის 1,852 კმ.
8. შაპ-აბასშა (1587-1629 წწ.) ოთხჯერ ილაშქრა საქართველოზე (1614-1617 წწ.). პირველივე ლაშქრობისას მრავალი ათასი ტყვე აჟყარა და გადასახლა ირანის შიდა პროვინციებში. მარტო კახეთიდან 200 ათასი მოსახლე წაიყვანა (მათ ადგილას კი თურქმანები ჩასახლა), რომელთა შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ფერეიდანში, ხორასანში, მაზანდარანში და სხვ.
9. ნადირ-შაპი – ირანის შაპი 1736-1747 წწ., ყიზილბაშთა ავშარის ტომიდან. მის სახელს უკავშირდება ქართლ-კახეთში „ყიზილბაშთის“ ხანა (1736-1747 წწ.), როდესაც შაპის ბრძანებით საქართველოს მოსახლეობა აღწერეს (1741 წ.) და უმძიმესი ხარეს დააისრეს. გარდა ამისა, მოსახლეობას ყიზილბაშთა სასარგებლოდ სამხედრო სამსახურიც ევალებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ქართლი, ხოლო რაც შეეხება კახეთს, თეიმურაზის მოქნილი პოლიტიკის წყარობით, იგი 1742 წლიდან საქართოდ განთავისუფლდა ყიზილბაშთა ხარესაგან.
10. ადამაშმალ-ხანი (1742-1797) – ირანის შაპი (1794 წლიდან – გამგებელი, 1796 წლიდან შაპი), ყაჯართა დენასტიის დამაარსებელი. 1795 წ. ილაშქრა საქართველოზე და განსაკუთრებული სისახტიერ დაარბით თბილისი. ქართულ ისტორიოგრაფიაში დადგენილი მონაცემების თანახმად, ამ ლაშქრობის შემდეგ ტყვედ იქნა წაყვანილი 15 ათასამდე ქართველი.
11. შიიტები (შიიზმი) – ისლამის ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობა, სახელწოდება აერთიანებს სხვადასხვა დაჯგუფებებს, რომლებიც მუჭამადის ერთადერთ სულიერ მექავიდრეებად და ხელისუფლების კანონიერ წარმომადგენლებად მისი ასულის – ფატიმასა და მისი მეუღლის ადი ბ. აბი ტალიბის შთამომავლებს მიიჩნევენ. სუნიტები (სუნიზმი) – ასევე ისლამის მიმდინარეობა (სიტყვიდან – „სუნა“ მოციქულ მუჭამადის ქცევა და სიტყვები, შემონახული გადმოცემებით და აღიარებული მუსლიმთა სახელმძღვანელოდ). სუნიტებად ითვლებიან ის მუსლიმები, რომლებიც აღიარებენ პირველი ოთხი „მართლმორწმუნებული“ ხალიფას (აბუ ბაქრი, ომარი, ოსმანი, ალი) კანონიერებას. სუნიზმისა და შიიზმის გამიჯვნა VII საუკუნიდანვე დაიწყო (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ისლამი, ენციკლოპედიური (ცნობარი, თბ., 1999, გვ. 175-176, 212).



12. აბრამი – ებრაელთა მითიური მამამთავარი, ბიბლიის თანახმად ისააკის მამამთავარი იაკობი – ბიბლ. ისააკისა და რებეკას ვაჟი, რომელმაც მოწყებით მიმტვისა პირველშობილობის უფლება. იაკობის 12 შვილი ითვლებიან ისრაელ-იუდეველთა 12 ტომის მამამთავრებად.
13. აბას-მირზა (1789-1833) – ირანის სახელმწიფო მოღვაწე, აღა-მამად ხანის ძმის-შვილის – ფათალი-შაჰის (1797-1834) ძე და მემკვიდრე, აზერბაიჯანის ბეგლარბეგი, ირანის საგარეო პოლიტიკის მირითადი გამგებელი, რომელსაც თავის მთავარ ამოცანად მიაჩნდა რუსეთის განდევნა ამიერკავკასიიდან. იგი სარდლობდა ირანის დაშქარს რუსეთ-ირანის პირველი (1804-1913 წწ.) და მეორე (1826-1928 წწ.) ომების დროს. პეტონდა მცდელობა, მოეხდინა ირანის სამხედრო ძალების ეკროპული წესით რეორგანიზაცია; მჭიდრო კავშირი პეტონდა საქართველოს რუსეთთან შეერთებით უძმაყოფილო ქართველ დიდებულებთან, რომელთა ერთი ნაწილი (მათ შორის – ალექსანდრე ბატონიშვილიც) თავრიზში მის კარზე იმყოფებოდა. 1828 წ. აბას-მირზა იმულებული გახდა, ხელი მოეწერა რუსეთთან თურქმანჩაის ზავშე და ოფიციალურად ეცნო ირანის სამფლობელოების დაკარგვა ამიერკავკასიაში.
14. იგულისხმება სომებთა კათოლიკოსი ეფრემ II ძორაგეტელი (1809-1830 წწ.) მის შესახებ ცნობები მოგვაწოდა პროფ. ლ. დავლიანიძემ, რისთვისაც მას მადლობას მოგახსენებთ.
15. ქმითამინი – (სიტყვა-სიტყვით – „მხოლოდ შობილის გარდამოსვლა“) – სომები კათალიკოსთა რესიდენციია ერევნიდან 20 კმ-ის დაშორებით, ვაღარ-შაპატის რაიონში. 1639 წ. ოსმალეთსა და ირანს შორის დადებული ხელშეკრულებით განმექიცდა 1855 წ. შეთანხმება, რომლის თანახმადაც დასავლეთ სომხეთი ოსმალეთს, ხოლო აღმოსავლეთი – ირანს გადაეცა. XIX ს-ის დასაწყისიდან სომხეთის სხვადასხვა პროვინციები თანდათანობით რუსეთის შემადგენლობაში შედიონ. გამბაც მოგზაურობის დროს ერევნის სახანო ჯერ კიდევ ირანის ხელშია და ამიტომაც წერს იგი, რომ „ქმითამინის მონასტერი სპარსეთშია გაშენებული“. მოგვიანებით, 1828 წ. თურქმენჩაის საზაო ხელშეკრულების თანახმად, ერევნისა და ნახევრის სახანოები რუსეთს გადაეცა.
16. სანაინი – შეა საუკუნეების ეპოქის მონასტერი სომხეთში, სოფ. სანაინში (ახლ. აღაევრდი), X-XIII სს. ნაგებობათა ხუროთმოძღვრული ანსამბლი.
17. ერმოლოვი ალექსი პეტრეს ძე (1777-1861 წწ.) – რუს სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, ინფანტერიისა და არტილერიის გენერალი, 1812 წ. სამამულო ომის მონაწილე; 1816 წ-დან – ქართული (შემდგომში – კავკასიური) კორპუსის მეთაური, მთავარისარდალი საქართველოში და, ამავე დროს, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანში. 1827 წ. ნიკოლოზ I-მა დექაპრისტებთან კავშირის ბრალდებით თანამდებობიდან გადააყვნა.

I მსოფლიო ომის გამოცხადება და 1914 წლის ძართული პრასა

1914 წლის ქართული პრესა, შესაძლებლობის ფარგლებში, უდიდესი ყურადღებით და პასუხისმგებლობით მოვკიდა, მსოფლიოში არსებული საერთაშორისო დაბაბულობის ფონზე, I მსოფლიო ომის გამოცხადების გაშუქებას, რომელსაც თავისი ფურცლები დაუთმო ამ პერიოდში გამომავალმა ცხრა გაზეთმა: „ახალი აზრი“, „ახალი ივერია“, „ახალი ქართლი“, „თემი“, „იმერეთი“, „სახალხო ფურცელი“, „სახალხო ფურცლის სურათებიანი დამატება“, „ხმა გახეთისა“, „შრომა“, და სამმა ჟურნალმა: „თეატრი და ცხოვრება“, „კლდე“, „მათრახი“.

ქართული გაზეთების მასალების ახალიშმა აჩვენა, რომ ეს პერიოდი ქართულ, რუსულ და ევროპულ საინფორმაციო სიერცეში ყველაზე დიდი რაოდენობის გაზეთების დახურვით აღინიშნა. რაც განპირობებული იყო, საგანგებო მდგომარეობით – ომის გამოცხადებით, რამაც, თავის მხრივ, მოგვიანებით (16 სექტემბერი) სამხედრო ცენტურის შემოღება გამოიწვია!

კერძოდ გაზეთ „ჩვენი აზრის“ ცნობით, რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, დაიხურა გაზეთი „რეჩი“<sup>2</sup>. გაზეთ „სახალხო ფურცლის“ თანახმად, საერთაშორისო მდგომარეობის ამსახველი პუბლიკაციების გამოქვეყნებისთვის, ქალაქ ვილნიში, ცენტურამ პოლონეური გაზეთების „კურიერი ლიტოვსკი“ და „გაზეტა გომიენა“-ს გამოცემა შეაჩერა<sup>3</sup>.

ქართული გაზეთები ხახს უსვამდენ იმ ფაქტს, რომ ევროპაშიც იგივე პროცესები მიმდინარეობდა. კერძოდ, გაზეთ „სახალხო ფურცლი“-ს ცნობით, პრაღაში ფართოდ წარმოებული გაზეთების კონფისკაცია საშუალებას ართმევს ჩეხეურ პრესას ხალხს გააცნოს თავისი შეხედულებები<sup>4</sup>. გაზეთ „თემის“ თანახმად, ბერლინიდან მიღებული ცნობით, იმპერატორ ვილჰელმ II ბრძანებით, გაზეთებს: „ბერლინენც-ნაისხენაბრენი“, „დოიტუ-ცაიტუნგი“, „დოიტუ-ნახერენი“ და „დოიტუ ვარეტი“ სასწრავო კონფისკაცია გაუკეთეს, რადგან ამ გაზეთებმა დაბეჭდეს ცნობა გერმანიის ჯარების მობილიზაციის შესახებ<sup>5</sup>. გაზეთი „სახალხო ფურცელი“ აქცევებს, ლონდონიდან მიღებულ ცნობას, რომლის თანახმად, უ ჩერჩილის განცხადებით, დაარსდა სპეციალური ბიურო გაზეთებისათვის ოპერატორი ცნობების მისაწოდებლად<sup>6</sup>.

ამრიგად, ქართული პრესასა და საარქიო მასალებზე დაყრდნობით, ნათლად ჩანს, რომ I მსოფლიო ომის დაწყებისას, არც ერთი ქვეყნის მთავრობებს, მათ შორის რუსეთის იმპერიას (საქართველოს, როგორც მის შემადგენელ მხარეს), არ სურდათ დამატებითი პრობლემების შექმნა. პირიქით, ცდილობდნენ, რომ პრესა ყოფილიყო მათი მოკავშირე, იდეოლოგიური დასაყრდენი და ხალხთან დამაკავშირებელი ძლიერი რგოლი.

24 ივლისის გაზეთი „სახალხო ფურცელი“ რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის უმაღლეს ბრძანებას აქცევებს, რომლის თანახმად, პრესაში, დეპეშათ სააგენტოებში, კერძო წერილებში, იყოს მაქსიმალური თავშეეავება, რომ ინფორმაციის გაფონვა არ მოხდეს. სამხედრო სტრატეგიიდან გამომდინარე, სახოგადოება უნდა შეურიგდეს საინფორმაციო ცნობების სიმოქლესა და სიმცირეს<sup>7</sup>. 25 ივლისის გაზეთ „ჩვენი აზრის“ ცნობით, ამ ფაქტებთან დაკავშირებით, მეფემ სურვილი გამოთქვა, რომ „მთელი რუსეთის პრესა ამ ისტორიულ მომენტში, პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას ხელმწიფის წინაშე.“ აქედან გამომდინარე, ნებისმიერი სტატია და სიტყვა ცენტუ-



რის მიერ შემოწმებული უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამის სამართლებული ჯელი შევარდებოდათ<sup>8</sup>. ასე რომ, ამ ბრძანებით, ხელისუფლება ყველა მისოცის სამედო გაზეთს იშორებდა.

1914 წლის ქართული პრესა ამ პერიოდის მოვლენათა გაშუქებისას, ძირითადად კურდინობოდა შემდეგი სააგენტოების მასალებს: ფრანგული „პავასი“ (1830 წ.), გრიმანული „კოლფი“ (1849 წ.), ინგლისური „რეიტერი“ (1851 წ.), იტალიური „სტეფანო“ და რუსული „პეტერბურგის დეპარტამენტი“ სააგენტო<sup>9</sup>. I მსოფლიო ომის დაწყების პრესა ინფორმაციას „ვოლფის“ სააგენტოდან დებულოდა. ეს კავშირი ომის დაწყების შემდეგ დაირღვა. ეპროპული სააგენტოების მასალები ქართულ პრესას, ძირითადად რუსულ სააგენტოზე გავლით გადმოეცემოდა, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც ცნობები პირდაპირ ეკროპული სააგენტოებიდან მოწოდებოდათ, რომლებიც, როგორც წესი, იყო სისტემატიური, ლაქონური და აფიქსირებდნენ ფაქტებს კომენტარის გარეშე. დაწერილი იყო მშრალი, ოფიციალური ენით. ემსახურებოდნენ მთავარ მიზანს: სწრაფად გაეცნოთ მკითხველისათვის მიმდინარე პროცესები, მთავარი მოვლენიდან უმნიშვნელო დეტალებამდე. ისინი ჟურნალობრივ შიშველ ფაქტებს და მხრილოდ მის კონსტატაციას ახდგნდნენ. ამიტომ სააგენტოების მიერ მოწოდებული ცნობები, მიუხედავად მათი სიმრავლისა, არ წარმოაჩნდნენ და ვერ იქნებოდნენ შემფასებლები გაზეთების დამოკიდებულებისა მიმდინარე მოვლენებისადმი. I მსოფლიო ომის დაწყების პირველ კვირაში ქართული პრესის დამახასიათებელი ნიშანი ინფორმაციის სიმცირე იყო, რაც გამოწვეული იყო ომში მონაწილე ქვეყნების ეროვნული და სამხედრო ინტერესებით. გაზეთი „ხმა კახეთისა-“ სამხედრო მიმომხილველი შეწუხებულია იმ მცირე მონაცემებით, რასაც იგი მოკლე დეპარტებიდან იღებს. ამიტომ მისითვის ანგლი იყო სიღარიზაცია იმის გათვალისწინება, თუ რა მდგომარეობა იყო ეპროპის ფრონტებზე<sup>9</sup>. საზოგადოების დიდი მოთხოვნილებიდან გამომდინარე, მდგრმარეობის გაუმჯობესების მიზნით, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოსცა საქციალური ბრძანება საცენზურო წესების სრული დაცვით, სააგენტოების მიერ მომზადებული ცნობების სწრაფი გაერცელების აუცილებლობით<sup>10</sup>. I მსოფლიო ომის დაწყებამ მსოფლიო პრესის როლი გაზიარდა. ქართული გაზეთები მკითხველს ამცნობენ ინგლისური პრესის ახრს, რომლის თანახმად ომის დროს პრესას უდიდესი მოვალეობა აკასრია, იგი უნდა გაურბოდეს ყალბ ცნობებს და არა აქს უფლება ბოროტად გამოიყენოს ბეჭდვით სიტყვის უფლებები, რადგან პრესას ევალება საზოგადოებრივი ახრის მომზადება ომისა და საერთო სიმშვიდისათვის<sup>11</sup>.

ამ პერიოდში (13-20 ივნისი ძვ. სტ.) იბეჭდება თვით უმნიშვნელო ცნობაც კი, რაც იმის მანიშნებელია, რომ მასალები გადარჩევის გარეშე ქვეყნდებოდა. პირველად წნევება მინიშნებები დეპარტების სევერთან, სერიით „დაგვაინტებული“ და „სწრაფი“ დეპარტები. ამ დროის ქართული გაზეთები ანალიტიკური წერილების სიმრავლით არ გამოიჩინება და ისინი მოგვიანებით წნევება. რასაც ზედ ერთვოდა ზუსტი ინფორმაციის უქონლობა. ამიტომ თავდაპირველი სტატიები ძირითადად, საგარაუდო ხასიათის ფაქტებზე იყო აგებული. სწორედ ამით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ I მსოფლიო ომის დაწყების მიზეზების ამსახველ ანალიტიკურ წერილებს, გაზეთები, მოგვიანებით ომის გამოცხადების შემდეგ აქვეყნებენ.

დაგროვილ საინფორმაციო მასალებსა და უცხოელ უურნალისტთა ნააზრევზე დაყრდნობით ჟურნალ-გაზეთები მოგვიანებით იწყებენ, ქართველ პუბლიცისტთა კრცელი წერილების გამოქვეყნებას, რომელთა ანალიზი და შეფასება საშუალებას იძლევა შეფასდეს და გამოიკვეთოს ქართული პრესის როლი მსოფლიოში მიმდინარე

პროცესების რეალურად აღქმასა და გადამუშავებული მასალის ქართულენობის ხელთავის ობიექტების მიწოდებაში.

ქართულმა გაზეთებმა საგანგებო ვითარებიდან გამომდინარე, სპეციალური რუბრიკები შემოიღეს, რომელთა სათაურები მდგომარეობის (უთანხმოებიდან – ომის გამოცხადებამდე) მიხედვით იცვლებოდა. გაზეთი „სახალხო ფურცელი“ თავიდან იწყებს რუბრიკით, „ავსტრია-სერბიის უთანხმოება“, „ავსტრია-სერბიის ომი“ და ბოლოს, „ომი“. გაზეთები „ჩენი აზრი“ და „იმერეთი“ – „საერთაშორისო ომი“, გაზეთი „ხმა კახეთისა“ – „ომის გარშემო“, გაზეთი „შრომა“ – „ვეროპის ომი“.

23 ივლისის გაზეთი „სახალხო ფურცელი“ და შემდგომი დღეების ყველა გაზეთი აქვეყნებს, 20 ივლისით დათარიღებულ, რუსეთის იმპერატორ ნიკოლოს II-ის მანიფესტს ომის გამოცხადების შესახებ<sup>12</sup>. 30 ივლისის გაზეთი „სახალხო ფურცელი“ აქვეყნებს ვრცელ ინფორმაციას სათაურით „სახელმწიფო სათათბირო“, სადაც გაზეთი ქვეყნისათვის მძიმე ემს ნათლად წარმოაჩენს სათათბიროს ყველა ეროვნული უმცირესობის ერთსულოვნებას ქვეყნის წინაშე<sup>13</sup>. 31 ივლისის გაზეთ „სახალხო ფურცელი“-ს ლონგონიდან მიღებული ცნობით, რუსეთის ყველა პარტიის ერებისა და სათათბიროს ფრაქციათა ერთიანობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისის საზოგადოებაზე. ინგლისის პოლიტიკური მოღვაწეების აზრით, „ინგლისისა და ახალშენთა ერთიანობა, მტკიცე შეთანხმება საფრანგეთისა და რუსეთისა საშუალებას მისცემს ამ სამ სახელმწიფოს დამყარონ საერთაშორისო მშვიდობა“<sup>14</sup>. 1 აგვისტოს იგივე გაზეთი, გაზეთ „დენზე“ დაყრდნობით, წერს, რომ ყველაზე მეტი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, იმ გარემოებას, რომ ევროპა, რომელიც გაყოფილია ორ, ერთმანეთის მოწინააღმდეგ მეტროლ კლასად, დაიგიწყა კლასობრივი განხეთქილება. „ომის მოწინააღმდეგ სოციალისტების პრინციპი მიიმაღა, როცა სამშობლო განსაცდელ-შია“<sup>15</sup>. ამრიგად, გაზეთები მთავრობის პოლიტიკურ კურსს მოღიანად ამართლებენ და მათ იდეოლოგიურ სამსახურში იღენენ. გაზეთების მასალებიდან გამომდინარე დევიზი: „ომმა ყველა და ყველაფური დაფარა“ ამართლებდა, ყოველ შემთხვევაში, ომის პირველ თვეებში.

ქართული გაზეთები ცდილობენ გაარკვიონ და მკითხველს მიაწოდონ რუსეთის მიერ ომის გამოცხადების შემდგა, თუ რას მოიმოქმედებენ ანტანტის ბლოკის ქვეყნები საფრანგეთი და ინგლისი. 24-25 ივლისის გაზეთი „სახალხო ფურცელი“ აქვეყნებს საფრანგეთის მთავრობის დეკლარაციის შინაარსს, რომელშიც აღწერილია ის გარემოები, რამაც აიძულა შვეიცარიისმოყვარე საფრანგეთი, თავი დაიცვას გერმანიის აგრესისაგან<sup>16</sup>. როგორც ცნობილია, საფრანგეთს თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა ომში ჩაბმა. მაგრამ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისათვის, დიდი პოლიტიკურ-მორალური მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ომის გამოცხადებელი გერმანია ყოფილიყო, რომ მთელი პასუხისმგებლობა გერმანიისთვის დაეკისრებინა<sup>17</sup>, რაც დაადასტურა ქართული გაზეთების ცნობებმა. ქართულ გაზეთებს აინტერესებთ მოის გამოცხადებასთან დაკავშირებით ფრანგული საზოგადოების აზრი და ფრანგულ წყაროებზე დაყრდნობით, წერენ. 27 ივლისის გაზეთი „სახალხო ფურცელი“ აქვეყნებს ცნობილ ფრანგ ანტიმილიტარისტ გ. პერევს წერილს, რომლის თანახმად, იგი ოცნებობს, ომის წინააღმდეგ საერთო აჯანყების მოწყობით ეხსნათ კაცობრიობა საერთაშორისო საშინელებისა და სირცეგილისაგან. ფრანგი ჰუმანისტი, დემუტატი მ. გარესი აცხადებს, რომ „ამ მძიმე წუთებში, ისევე, როგორც ლონდონ-პეტერბურგ-პარიზის ბლოკია უღღვევი, ასევე განუყოფელი არის მთელი საფრანგეთი“<sup>18</sup>.



თუ საფრანგეთთან მიმართებაში ყველაფერი გარევეული იყო ქართული კარტული დაზეთული ბისათვის, ინგლისის პოზიცია ბოლომდე გაურკვეველი რჩებოდა და ინგლისების აღმოჩენა ლორ გადაწყვეტილებას მოუთმენლად ელოდებოდნენ. ედ. გრეის სამშენებლო ინიციატივის ჩაშლის შემდეგ, 23 ივლისის გაზეთი „სახალხო ფურცელი“ აქვეყნებს გაზეთ „რუსები სლოვოს“ აზრს, რომლის თანახმად, ინგლისის ლიბერალი მინისტრები, თითქოს ძალით იბრმავებენ თვალს არსებულ მდგრმარეობაზე. გაზეთი პრეტენზიას გამოთქვას გრეის უგულო დამოკიდებულებებზე იმ ვალდებულებების მიმართ, რომელიც გამოცხადებული მეგობრობით აქვს დაკისრებული ინგლისს და გაზეთს აინტერესებს, როგორ მოიცევა ინგლისი, როცა გერმანიამ რუსეთს ომი გამოუცხად<sup>19</sup>. ეს არც იყო გასაკვირო. დიდი პრიტანეთი ყოველნაირად ცდილობდა ომისგან თავი დავლწია. ეს, რასაკირველია, არ უნდა გავიგოთ ისე, რომ მას ომში მონაწილეობა კეთილდღეობა სურდა და ერიდებოდა მათვის ზიანის მიუწებას. უბრალოდ, ლონდონში იმედოვნებდნენ, რომ ინგლისის მეტოქების დასუსტება და ასპარეზიდან ჩამოცილება მათვე ხელით მოხდებოდა. მით უმეტეს, რომ ისინი სხვადასხვა ბანაკებში იყვნენ. მაგრამ, ამჯერად, მოის მასშტაბებმა ჩაშალეს ვესტმინსტერსა და უაითამოლში შემუშავებული გეგმები<sup>20</sup>.

ქართული გაზეთები იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ინგლისის პოზიციას, რომ 25 ივლისის გაზეთი „სახალხო ფურცელი“ აქვეყნებს 22 ივლისის ედ. გრეის პარლამენტში გამოსვლისა და ომის გამოცხადების სულ ტექსტს<sup>21</sup>. გაზეთების ცნობით, მთელი ინგლისური პრესა მთავრობის გადაწყვეტილებას მხარს უკერს. ინგლისის I მსოფლიო ომში ჩართვამ უდიდესი გამოხმაურება პპოვა მსოფლიო და მასთან ერთად ქართულ პრესაში. 31 ივლისის გაზეთი „სახალხო ფურცელი“ აქვეყნებს ჟაულ ჰედგერნის აზრს, რომელიც აანალიზებს შიმდინარე საქრთაშორისო მდგრმარეობას, და განსაკუთრებით უერადღებას აქცევს იმ მომენტს, რომ გერმანიაზე სულ სხვა ეფექტი მოახდინა უკანასკნელ მომენტში საომარ ასპარეზზე ინგლისის გამოსვლამ, „მხოლოდ იმის გააზრებაც კი, რომ ინგლისი ომში ჩაერეოდა, აუწერელი შეძრწენება გამოიწვია მთელ გერმანიაში“<sup>22</sup>. გაზეთის ეს ცნობა, ერთი მხრივ, ნათლად წარმოაჩნის ევროპულ პოლიტიკაში ინგლისის როლს, რომელსაც ბოლო მომენტამდე შევძლო ომის შეჩერება, რაც არ გააკეთა. ხოლო, მეორე მხრივ, იმ დაბულობას, რომელიც გამეფებული იყო ევროპაში, როდესაც დიდი სახელმწიფოები ერთმანეთის მიყოლებით, ებებობდნენ ომში. ინგლისის ჩაბმით, ომს მსოფლიო ხასიათი მიეცა, რადგანაც მასთან ერთად, ჩაება მისი დომინიონები. ამრიგად, ორივე სამხედრო ბლოკის ქვეყნები აღმოჩნდნენ I მსოფლიო ომში ჩაბმული. ქართული გაზეთების ცნობით, გამონაკლისი აღმოჩნდა იტალია, რომელიც ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა<sup>23</sup>.

მართალია, I მსოფლიო ომი გამოცხადებულია და საომარი მოქმედებიც დაწყებულია, მაგრამ ქართული გაზეთები მოგვიანებით იწყებენ ომის წარმოშობის მიზე-ზებზე ანალიტიკური წერილების გამოქვეყნებას. 24 ივლისის გაზეთი „იმერეთი“ აქვეყნებს ვრცელ ანალიტიკურ წერილს, სათაურით „აესტრია-უნგრეთისა და სერბის უთანხმოება“. მართალია, სტატია იწერება ომის დაწყების შემდეგ, მაგრამ, როგორც რედაქცია მიანიშნებს, იგი განაკუთხილია მკითხველთა ფართო წრისათვის, რათა მოსახლეობა ომის წარმოშობის მიზეზებში კარგად გარევეულიყო. ასე რომ, მიუხედავად დაგვიანებისა, წერილს არ დაუკარგავს აქტუალურობა. ავტორი აფიქსერებს რა საარაევოს ინციდენტს, გარაუდობს, რომ ყოველივე ეს არის გარეგნული მხარე, რომლის უკან ორი მიზეზი იმაღლება: ერთი, თავად ფაქტი – მევლელობა. მეორე – პანსლაფური იდეის პროპაგანდა ბოსნია-ჰერცოგოვინაში. ავტორი, რომელიც ქარგად ერ-

კვევა მიმდინარე პროცესებში, მიიჩნევს, რომ მიზეზი, მარტო პირველი ფაქტი რომ უყილიყო, მაშინ ავსტრიის მოთხოვნებს წმინდა იურიდიული სახე ექნებოდა და დაწყდებოდა გამოძიებისა და სასამართლოს ჩარჩოებში. მაგრამ მოვლენების თანახმად, მისი შეფასებით, ავსტრიის მოთხოვნები პოლიტიკური ხასიათისაა, რაც მას საშუალებას აძლევს დასკვნას, რომ მევლელობა მხოლოდ საბაბია, „რომლითაც ავსტრია ექცებს ჯავრი ამოიყაროს სერბიისა და მონად გახადოს იგი, თავისი ტლანქი და ბარბაროსული სიძლიერისა.“ ამ ფაქტებით აღშეოთვებული ავტორი, უკანონობად არ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ პატარა ბოსნია-ჟერცოგოვინას სერს შეერთება დედასამშობლო – სერბეთთან და ავსტრია-უნგრეთის „ბრგვალებიდან“ განთავისუფლება. „ვის რა უფლება აქცეს აუკრძალოს სერბიას უყვარდეს თავისიანები, რომელიც უძუმართმა ბეჭისწერამ უცხო სახელმწიფოს ნადავლად გახადა?“ სვამს ავტორი ლოგიკურ კითხვას, რომელსაც თავისი სამშობლოს მდგრამარეობიდან გამომდინარე, კარგად ესმის და აწერებს პატარა სერბეთის ბეჭიდ<sup>24</sup>.

29 ივლისის გაზეთი „ჩერნი აზრი“ სარედაქციო წერილში „ომის მიზეზი“, მიიჩნევს, რომ თანამედროვე ომი იდეური ხასიათისაა, რომელთა თეზისებიდან ვამომდინარე, რუსეთმა უნდა დაიცვას ერთორწმუნებული და ერთორისისხლე ნათესავი ერი – სერბეთი. სწორედ ეს იყო უდიდესი თავსამტკრევი საგანი, რუსეთის პოლიტიკისა ბალკანეთის ნახევარეუნბულზე და ოსმალეთთან მეტოქეობისა, რომლის „მთავარი ყავარჯვის კონსერვატორული ინგლისი იყო.“ რომელიც, კველგან და კოველთვის, წინ ეღობჭბოდა რუსეთის წინსვლას. მაგრამ მას შემდეგ, რაც ინგლისის სათავეში ლიბერალები მოვიდნენ, ხოლო ოსმალეთში რევოლუცია მოხდა, ოსმალეთი ძირფესვინად შეირყა, რუსეთმაც იდროვა და ის იყო კონსტანტინოპოლისაქენ ხელი უნდა გაეწვდინა, რომ წინ მორიგი დაბრკოლება გადავლობა. მოხდა ავსტრია-გერმანიის და რუსეთის ინტერესების თანხვედრა ბალკანეთში და ორივე ცდილობდა ოსმალეთის დასუსტებით ესარგებლა. გაზეთის ვარაუდით, მათ შორის მაიც მოხდებოდა ომი, რომ არა თავად ბალკანეთის სლავიანების პრობლემა. რედაქცია ხმამაღლა მიუთითებს, სწორედ მაშინ, როცა რუსეთი და ავსტრია ბალკანეთის გაყიფაზე ოცნებობდნენ, ამ დროს მათ წამოყენებს ლოზუნგია: „ბალკანეთი ბალკანელებს“, რამაც, გაზეთის დაკვირვებით, წარმოქმნა ორი ბალკანეთის ომი. არც რუსეთს და მით უმეტეს, არც ავსტრიას, ეს ომი დიდად არ ხელყენიათ. ვინაიდან, ისინი დარწმუნებული იყვნენ მათ დამარცხებაში. მაგრამ მოხდა პირიქით – ბალკანეთის ქვეყნებმა გაიმარჯვეს და ბალკანეთის ფედერაციაზეც კი დაიწყეს საუბარი. ამიტომ ავსტრია-უნგრეთმა სერბეთის დამუხრუკება დაიწყო. რუსეთმა ბულგარეთი მოიმდურა, რის შედეგად რედაქციის შეფასებით, ავსტრია-უნგრეთი და რუსეთი ისევ მტრებად დარჩნენ, ხოლო „ბალკანეთის ბაზარი, ჯერ ვერც ერთს ვერ ჩაეგდო ხელში“. გაზეთი მკითხველს მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ რუსეთი ავსტრიის წინააღმდეგ სლავური წარმოშობის სერბებს უჭერს მხარს. მაშინ, როცა იგივე სლავური წარმოშობის ბულგარეთი ავსტრია-გერმანიას ემხერობა. „ამგვარად, თვით სლავიანებიც კი რუსეთისა და ავსტრიის წყალობით, ორ მოწინააღმდეგებ ბანაკად გაიყენენ.“ რაც, პანსლავიზმის იდეოლოგიიდან გამომდინარე, დაუშვებელია. მაგრამ მიმდინარე საეთაშორისო ურთიერთობებში გარკვეული რედაქციის შეფასებით, რომელიც არსებულ სიტუაციას სწორად უდებს აღდოს, „პანსლავიზმი მხოლოდ გარეგნანი სამოსელია ამ ომისა.“ ხოლო შინაგანი მხარით, კი მთავარია თუ კინ უნდა გაბატონდეს პოლიტიკურ-ეკონომიკურად ბალკანეთში – სლავიანები თუ ტევტონები, რაშიც გამოიხატება ომის მთავარი მიზეზი<sup>25</sup>.



სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოებისა და ევროპულ პრესაში დაგრძელდება მასალები ქართულ გაზეოუბრის საშუალებას აძლევს მიმღინარე პოლიტიკური შროვდებულებას ნების ანალიზისა და გარევული დასკვნების გაეთვისა.

27 ივლისის გაზეოთ „სახალხო უზრუნველი“ და 30 ივლისის გაზეოთ „იმერეთი“ აქცენტები გ. ქიქოძის ანალიტიკურ წერილს სათაურით „პატარა სერბიის ბრძოლა დიდი სერბიის იდეისათვის“, რომლის თანახმადაც, ავტორს არ უკვირს ის ვაქტი, რომ ომი სერბეთში დაიწყო და არა სხვა ქვეყანაში, რადგან „სერბთა სურვილები და იდეალები მძაფრად ეწინააღმდეგება მათ თანამედროვე მდგრომარეობას.“ ვინაიდან, ეს ხალხი ოცნებობს „დიდი სერბიის“ შექმნაზე „დღეს კი დაქსაქსული და დანწილებულია.“ ავტორი მკითხველის უკეთ გაცნობის მიზნით, მიმოიხილავს მის ისტორიულ წარსელს, რომლის თანახმად, ოსმალეთის სამსაუკუნოვანი ბატონობის შემდეგ, 1878 წელს ბერლინის კონგრესზე სერბეთმა დამოუკიდებლობა მიიღო. ქიქოძის აზრით, ამ დამოუკიდებლობამ საერთოდ ვერ გადაჭრა მის წინაშე მდგრმა ვერც ერთი პრობლემა, რადგან მისი ტერიტორიების დიდი ნაწილი ავსტრია-უნგრეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა, რამაც ავტორის შეფასებით: „სერბიის ეროვნულ იდეალებს ფრთხი შეაკვეცა.“ თავის მხრივ, ამნ ის შეურიგებელი ანტაგონიზმი გამოიწვია, რაც ორ სახელმწიფოს შორის არსებობს. ავტორის შეხედულებით, ავსტრია-უნგრეთი არ არის ეროვნული სახელმწიფო. „ის ეროვნული კონგლომერატია და ამ კონგლომერატში უდიდესი ნაწილი სლავიანებს გაუთვინით და არა გერმანელებს.“ ქიქოძე ითვალისწინებს რა ისტორიულ პროცესებს და ავლებს რა მიმღინარე მოვლენებთან პარალელს, მიიჩნევს, რომ XIX-XX საუკუნეების ისტორიას ახასიათებს ბრძოლა ეროვნულ სახელმწიფოთა შესაქმნელად. სამწუხაოდ, სერბები ჩამორჩნენ ამ მოვლენებს. „მათ მიერ შექმნილი სახელმწიფო, უფრო ვიწროდა შემოფარგლული, კიდრე მათ მიერ დასახლებული ტერიტორია.“ ამიტომ ქიქოძის დასკვნით, „მათი ომი ავსტრიასთან აუცილებელი ეპიზოდია ამ ეპოქისა.“ ავტორი, რომელიც ხმამაღლა აფიქსირებს სერბი ხალხის ეროვნული პოლიტიკის შეცდომებს და მათგან გამომდინარე ლოგიკურ შედეგებს, ამით მინიშვნებას აქვთებს და მაგალითს უზვენებს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართულ საზოგადოებას<sup>26</sup>.

იმავე თემას აფართოებს და აგრძელებს გაზეოთ „იმერეთი“, რომელიც რამოდენიმე ნომერში აქვთებს წერილების სერიას, სათაურით „მაკედონიის ეროვნებათა ბრძოლა თავისუფლებისათვის“. ქართული პერიოდიკის სივრცეში, სტატია იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ ავტორი, ფსევდონიმით „არგო“, თავად იმყოფებოდა სერბეთ-ბულგარეთში და საკუთარ შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით აქვთებს მიმღინარე მოვლენების ანალიზს. ამრიგად, მკითხველისათვის ეს გახდავთ, უშეალოდ, პირველწერო, რომელსაც ხელებით დასკვნით, მის ხელთ არსებული მასალების თვერატიული და ობიექტური გაშუქება. ავტორი აკეთებს ვრცელ ისტორიულ ექსკურსს და მიიჩნევს, რომ ბალკანეთის დაბალულობის მიზეზი არის ის, რომ შედარებით პატარა ტერიტორიაზე რამდენიმე ეროვნებათა ინტერესების შეჯახება ხდებოდა, რომელთა შეთანხმება, ყოვლად შეუძლებელი იყო, გარდა ერთისა „არც ერთი მათგანი არ ცნობდა ოსმალეთის უფლებებს მაკედონიაზე“, მიუხდავად, მათი სუთსაუკუნოვანი ბატონობისა. ამიტომ ავტორის შეფასებით, „კითხვების გადაჭრა და მათი უვლენა ნაციონალური პრეტენზიის დაქმაყოფილება სამართლიანად სოლომონ ბრძენსაც არ შეეძლო.“ მისი დაკიორევებით, მაკედონიის პრობლემების მოგვარებით, პირველ რიგში, თავად ბალკანეთის სახელმწიფოები უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი, რადგან თოთოულ ამ ერთა უმცირესობა მაკედონიაში ცხოვრობდა. მაგრამ ავტორის თვალსაზრისით, სანამ



თავად ეს სახელმწიფოები არ მოაგვარებდნენ ერთმანეთში ურთიერთობას რადა მოსაობდნენ მაკედონიაში თავისი ნაციონალური პოლიტიკის პროპაგანდას, შპანის ვერც ევროპის საზოგადოებრივი აზრი და ვერც საერთაშორისო ქომისიების გარჯდას მარებას შედეგი ვერ ექნებოდა. „არგოს“ ვარაუდით, მიუხედავად ასეთ დიდ პოლიტიკურ ინტერესთა დაჯახებისა, რომ არა რუსეთის დიდი სურვილი და ინიციატივა, თავისი ინტერესების გათვალისწინებით და ევროპის სახელმწიფოთა თანხმბით, ვერაფრით ვერ შეიქმნებოდა „ბალკანეთის კავშირი“ და ვერ მოხდებოდა ოსმალეთის დამარცხება. მაგრამ ავტორისდა სამწუხაოდ, „კვლავ თავი იჩინა სახირცხვილო შოვნის მშება და მტრობაძი.“ რაც მას საშუალებას აძლევს დასკრინისა, რომ მათ მართალია დამარცხეს საუკუნოვანი მონობა, მაგრამ მაინც ვერ მოსაკეს ურთიერთდაპირისპირება და უსამართლობა. ამან ისინი მიიყვანა იმ შედეგამდე, რომ „ნაციონალური ანგაზონიზმი კი არ მოისპო, უფრო გამწვავდა“<sup>27</sup>.

ამრიგად, ზემოაღნიშნული მასალები საშუალებას იძლევა დასკრინისა: ქართული გაზეუბები იდგნენ რა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ავანგარდში, იმავე საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადასხეა საინფორმაციო სააგენტოებისა და პრესის მასალებზე დაყრდნობით ცდილობდნენ, შეძლებისდაგვარად ოპერატორდად მიეწოდებინათ მკითხველისათვის სწორი, შეჯერებული ინფორმაცია. გაზეთები აფიქსირებენ მკვეთრად უარყოფით პოზიციას ევროპის ომისადმი და მკითხველს აცნობენ ომის წარმოშობის ობიექტზე მიზეზებს. ამავე დროს ცხადად წარმოაჩენენ თავიანთ მიზანმიმართულ სწავლებას თავისუფლებისაკენ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მემკოლი დიდ სახელმწიფოებთან შეჭიდებული, რომელიც დიდ სახელმწიფოებთან არის შეჭიდებული, მისაბაძი მაგალითა მისსავე მდგომარეობაში მყოფი საქართველოსათვის.

Maia Machavariani

## WORLD WAR I ON THE PAGES OF THE GEORGIAN PRESS IN 1914

Georgian newspapers, because of the specific situation at the commencement of World War I, created special columns. Their headings (from disagreement up to the announcement of the war) were changing according to the situation. In the days of the announcement of the war (coming from the governmental politics) newspapers show unity of all groups (parties) and factions towards the state policy in Russia and its allied countries. The press absorbs the opinion of the community of people and the government and in this process the press itself must become the leader of the public opinion. If we analyze the articles of Georgian publicists that were published relatively later, it becomes clear that in spite of different political directions, all of them express a negative position towards the war of Europe and support of small Serbia.

Magazines and newspapers, on the basis of ideas of foreign journalists and information materials, start to edit large letters of Georgian publicists. If we analyze and evaluate them – the role of the Georgian press in the world processes and the objective covering of material becomes evident.

1. „წერეთელი აღ„ „ახლო წარსულის მასალები“ თბ. 1927 წ. – გვ. 36-61.
2. „ჩვენი აზრი“, №1-22/VII. გვ. 2. 1914 წ. რუბრიკა „დეპეშები“. გაზეთ „რეზი“-ს დახურვა.
3. „სახალხო ფურცელი“, №48-26/VII. გვ. 3 1914 წ. რუბრიკა „ქურნალ-გაზეთებიდან“ „გაზეთების დაბავება“. „სახალხო ფურცელი“ № 51-30/VII. გვ. 2. 1914 წ., რუბრიკა „ქურნალ-გაზეთებიდან“ „გაზეთების დაბავებან“ „ხომები გაზეთების წინააღმდეგ“.
4. „სახალხო ფურცელი“, №38-15/VII. გვ. 2. 1914 წ. გვ. 2. რუბრიკა „ქურნალ-გაზეთებიდან“.
5. „თქმი“, №185-21/VII. გვ. 2. 1914 წ., დეპეშები.
6. „სახალხო ფურცელი“, №50-29/VII. გვ. 2. 1914 წ. გვ. 3. რუბრიკა „ქურნალ-გაზეთებიდან“ „გაზეთ „ტამბისის“ ცნობა.
7. „სახალხო ფურცელი“, №45-23/VII. გვ. 2. 1914 წ., რუბრიკა „ომი“. „20 ივლისის დამის ცნობები“.
8. „ჩვენი აზრი“, №4-25/VII. გვ. 1. 1914 წ. რუბრიკა „საერთაშორისო ომი“
9. „ხმა კახეთისა“, №177-10/VII. გვ. 1. 1914 წ., მიმოხილვითი წერილი აგტორი ფსევდონიმით „მხედარი“ „ომის დღიური“.
10. „სახალხო ფურცელი“, №54-2/VIII. გვ. 1. 1914 წ., რუბრიკა „ომი“, „პეტერბურგი“.
11. „სახალხო ფურცელი“, №62-13/VIII. გვ. 3. 1914 წ., გვ. 3. წერილი „იხგლისის პრესა ომის პირველ დღეებში“.
12. „სახალხო ფურცელი“, №45-23/VII. გვ. 2. 1914 წ., გვ. 2. იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მანიფესტი.
13. „სახალხო ფურცელი“, №51-30/VII. გვ. 2. 1914 წ., გვ. 3. „სახელმწიფო სათათბირო“
14. „სახალხო ფურცელი“, №52-31/VII. გვ. 2. 1914 წ., რუბრიკა „დეპეშები“ ცნობა ლონდონიდან. გაზეთ „მატენი“-დან ჟიულ ჰედემანის აზრი.
15. „სახალხო ფურცელი“, №53-1/VIII. გვ. 2. 1914 წ., რუბრიკა „დეპეშები“ ცნობა გაზეთ „დეკი“-დან.
16. „სახალხო ფურცელი“, №46-24/VII. გვ. 2. 1914 წ., გვ. 2. ცნობები საფრანგეთიდან.. „სახალხო ფურცელი“, №47-25/VII. გვ. 2. 1914 წ., რუბრიკა „დეპეშები“, პარიზი.
17. ახალი ისტორია – II პერიოდი – 1900-1918 წელი კიდურაძე – I მსოფლიო ომი – თბ. 1975 წ. გვ. 302-491.
18. „სახალხო ფურცელი“, №49-27/VII. გვ. 2. 1914 წ., რუბრიკა „ქურნალ-გაზეთებიდან“ „გრუსტავ ჰერცეგ, მორის გარესა“
19. „სახალხო ფურცელი“, №45-23/VII. გვ. 2. 1914 წ., გვ. 2. რუბრიკა „რესტურანტები“ გაზეთ „რესტურანტ სლოვოს“ აზრი.
20. სკინძე მ., „ოსმალეთის ისტორია“, ნავ. II. 1600-1923 წ. თბ. 2002 წ. გვ. 252-261.
21. „სახალხო ფურცელი“, №47-25/VII. გვ. 2. 1914 წ., გვ. 2. ლონდონი „ედ გრეის სიტუატია“.
22. „სახალხო ფურცელი“, №52-31/VII. გვ. 2. 1914 წ., რუბრიკა „დეპეშები“ ცნობა ლონდონიდან. გაზეთ „მატენი“-დან ჟიულ ჰედემანის აზრი.
23. Новая история, ч. 2. м. 1939г. гл. 31-32 стр. 428-449.
24. „იმპრეთი“, №113-24/VII. გვ. 2-3. 1914 წ., გვ. 2. წერილი აგტორი ფსევდონიმით „ა. ო.“ – „აქტორა-უბრიტოსა და სერბის უთანმოება“.
25. „ჩვენი აზრი“, №7-29/VII. გვ. 1. 1914 წ., სარვედაქცეო წერილი „ომის მიზეზი“
26. „იმპრეთი“, №117-30/VII. გვ. 2. 1914 წ., წერილის ავტორი გ. ქიქოძე „პატარა სერბის ბრძოლა დიდი სერბის იდეისათვის“, „სახალხო ფურცელი“ № 49-27/VII. გვ. 2. 1914 წ., გვ. 3. ანალიტიკური წერილი, „პატარა სერბის ბრძოლა დიდი სერბის იდეისათვის“, ავტორი გ. ქიქოძე.
27. „იმპრეთი“, №103-13/VII, №111-22/VII, №112-23/VII, №113-24/VII, გვ. 2-3. 1914 წ., წერილის ავტორი ფსევდონიმით „არგო“, „მაკედონის ეროვნებათა ბრძოლა თავისუფლებისათვის“.



## სომხეთა ეროვნული საპარტო რამდენიმე დოკუმენტის შესახებ

რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის გამარჯვებას შეარდაჭერა გამოუხატა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ. ასეთივე სიტუაცია იყო აზერბაიჯანისა და სომხეთში. თბილისში პოლიტიკურ ცხოვრებას წარმართავდა რევოლუციის დღებში ორგანიზებული მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო (თავმჯდომარე ნ. ქორდანია). 1917 წლის 5 მარტს შეიქმნა თბილისის დროებითი აღმასრულებული კომიტეტი, რომელიც დაკომისალექტრა მუშათა საბჭოს, საქალაქო სათათბიროსა და ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენლებისაგან. ის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა არა მხოლოდ თბილისის, არამედ მთელი სამხრეთ ქავკასიის მართვა-გამტებობაში. აშენარა გახდა რუსეთის დაქვემდებარებისაგან სამხრეთ ქავკასიის ჩამოშორების საფრთხე. ამიტომ რუსეთის დროებითმა მთავრობამ ამ რევოლუციის სამართავად 1917 წლის 9 მარტს ჩამოაყალიბა ამიტრავეკასიის სამხარეო ხელისუფლების ორგანო – ამიტრავეკასიის საგანგებო კომიტეტი („ოზაკომი“). მისი შემადგენლობა პარტიული პრინციპით დაკომისალექტრა. მასში შედიოდნენ IV სახელმწიფო სათათბიროს წევრები: კადუტები ვ. ხარლამოვი და მ. პაპაჯანოვი, მუსავატელი მ. ჯაფაროვი, სოციალ-ფედერალისტი კ. აბაშიძე, სოციალ-დემოკრატი აკ. ჩხერიძელი<sup>1</sup>.

ოზაკომია, რომელსაც მხოლოდ ნომინალური ძალაუფლება ჰქონდა, ვერ მოახერხა ხელისუფლების ეონსოლიდაცია. რუსეთის დროებითი მთავრობის კრიზისი სამხრეთ ქავკასიაში სულ უფრო ნათელი ხდებოდა. 1917 წლის აპრილის დასაწყისში შეიქმნა საქართველოს სხვადასხვა პარტიათა ნებაყოფლობითი გაერთიანება „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო“ (აკ. ჩხერიძელის თავმჯდომარებით), რომელშიც შედიოდნენ IV სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ესერები<sup>2</sup>.

რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევკიური კონტრრევოლუციური გადატრიალების შემდეგ უფლებამოსილება დაკარგა დროებითი მთავრობის მიერ დანიშნულმა ოზაკომმა. სამხრეთ ქავკასიის ეროვნულმა ძალებმა დაიწყეს ზრუნვა პოლიტიკური თავისუფლებისათვის, ლეგალური ხელისუფლების ორგანიზების ფორმირებისათვის, რის გამოხატულებასაც ეროვნული საბჭოების შექმნა წარმოადგენდა. ინტერპარტიულმა საბჭომ მოამზადა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომელმაც 1917 წლის 21 ნოემბერს აირჩია ეროვნული საბჭო 66 კაცის შემადგენლობით. მასში შედიოდნენ: სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, რადიკალ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები, ეროვნულ-დემოკრატები, ალიონელები, უპარტიო ინტელიგენტები, აჭარის წარმომადგენლები, სოხუმის და ზაქათალის ოლქების და ცხინვალის რაიონის წარმომადგენლები. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ ყრილობამ აირჩია ნოე ქორდანია.

1917 წლის ოქტომბერში სომხეთი ნაციონალისტური პარტიის „დაშნაკცუთიუნის“ ინიციატივით თბილისში მოწვევულ იქნა სომებთა ეროვნული ყრილობა. ყრილობის გადაწყვეტილებით შეიქმნა ხელისუფლების ორგანოები – ეროვნული კრება 25 წევრის შემადგენლობით და სომებთა ეროვნული საბჭო 15 წევრის შემადგენლობით. ეროვნული საბჭოს რეზიდენციად გამოცხადდა ქ. თბილისი. უნდა დაინიშნოს, რომ ამ პერიოდში სომები ნაციონალისტების პოლიტიკური საქმიანობა უმთავრესად თბილისთან იყო დაკავშირებული. აქ იყო კონცენტრირებული მათი სახელისუფლებო ორგა-



ნოები, პოლიტიკური პარტიების შტაბ-ბინები, თბილისში გამოდიოდა ძირითადად უცნობი სამართლებრივი სტატუსი<sup>3</sup>. სომებთა ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში შედარწყმული ხერი პერიოდული პრესა<sup>4</sup>. სომებთა ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში შედარწყმული ხერი პერიოდული პრესა<sup>5</sup>: ტერ-სტეფანოვი, დავითხანოვი, გ. მელიქ-ქარაქოზოვი; სოციალისტ-რევოლუციონერები: სტამბულიანი, თუმანივი, ტარაზიანი; სოციალ-დემოკრატები: კარაჯანი, ა. ერზინგიანი, მ. კარაბეკოვი, ს. დანდუროვი, აგრევოვ თურქეთის სომხეთის წარმომადგენლები<sup>6</sup>. სომებთა ეროვნულ საბჭოს სათავეში ჩაუდგა ცნობილი დაშაგი ავეტის აგარონიანი. სომებთა ეროვნულ კრებას გადაეცა სომების ხალხის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ფუნქცია, რომელიც პრაქტიკულად უნდა განეხორციელებინა სომებთა ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის უფლებით. ეროვნული საბჭო ანგარიშეადგენლებული და პასუხისმგებელი იყო ეროვნული ყრილობის წინაშე, რომელიც იკრიბებოდა თბილისში, პერიოდულად, როგორც თავისი საკონტროლო ფუნქციების განსახორციელებლად, ასევე საბჭოსათვის დირექტორების მიხაცვამა<sup>7</sup>. სომებთა ეროვნული საბჭოს სტრუქტურა ზოგადად სამთავრობო სტრუქტურებს იმეორებდა. ის შედგებოდა რამდენიმე კომისიისაგან, რომლებიც გარკვეულწილად სამინისტროების ფუნქციებს ასრულებდნენ. ესენი იყო: ფინანსური, ლტოლევილთა, განათლების და საკონსტიტუციო-საარჩევნო<sup>8</sup>.

სომებთა ეროვნულმა საბჭომ საქართველოში დაფუძნებისთანავე დაიწყო აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა. იმ პერიოდში, როცა ამიერკავკასია ერთ აღმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა და სამხრეთ კავკასიის ერები ერთიან სასაზღვრო და სამართლებრივ სივრცეში ცხოვრობდნენ, ეროვნულ საბჭოებს ცხადია მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატემორთვა ენიჭებოდათ – ყოფილიყვენებს თავიანთი ერების პოლიტიკური ხელმძღვანელები. სიტყაცია შეიცვალა 1918 წლის მაისში სამხრეთ კავკასიაში სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შემდგა ეროვნულმა საბჭოებმა და კარგეს წინანდელი ხასიათი და სტატუსი, საქართველო სახელმწიფო უმცირესობად ჩამოყალიბდა და აქ მცხოვრები დანარჩენი ერები ეროვნულ უმცირესობად იქცნენ. თბილისში შექმნილი სომხეთის მთავრობა 1918 წლის ივნისში ერევანში გადავიდა ეროვნულ საბჭოსთან ერთად. მაგრამ „სომებთა ეროვნულმა საბჭომ საქართველოში“ განაგრძო მოღვაწეობა და აქ მცხოვრებ თავის თანამემატულეთა პოლიტიკური ლიდერობა იქისრა. ქართული პოლიტიკური წრეები შეკვე 1918 წლის ნოემბერში უმაყოფილებას გამოიქვამდნენ მათი პოლიტიკური აქტიურობის გამო და საქართველოში მოქმედ ეროვნულ საბჭოებს მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობით შემოფარგლას სთავაზობდნენ. „ჩვენ არ შეგვიძლია სახელმწიფო სახელმწიფოში მოვითმინოთ... გველა ეროვნულ უმცირესობას უნდა ჰქონდეს გარანტიები საქუთარ კულტურულ საბჭიოებათა დაქმაყოფილებისათვის. დანარჩენ დარგში ისინი უნდა იყვნენ უბრალო მოქალაქენი რესპუბლიკისა. თუ ისინი ქვეშევრდომნი არ იქნებიან ჩვენი რესპუბლიკისა, მაშინ დგება საკითხი, უნდა იზრუნოს და გაიღოს თუ არა განსაზღვრული თანხა სახელმწიფომ იმისთვის უმცირესობისათვის, რომელსაც არავითარი ვალდებულება არ აკისრია სახელმწიფოს წინაშე?... საჭიროა არსებულ ეროვნულ საბჭოებს ჩამოვაშოროთ პოლიტიკური ფუნქციები. ისინი უნდა გადაიცენენ კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებად, ხოლო უცხოელთ ყოლებათ თავიანთი სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელიც მათ ინტერესებს დაიცავენ“<sup>9</sup> – წერდა გაზეთი „სახალხო საქმე“.

სომებთა ეროვნული საბჭო კი კვლავ განაგრძობდა საქართველოში მცხოვრებ სომებთა თვითმმართველობის დამკიდრებისა და მისი სრულუფლებიან ერად აღიარებისათვის ბრძოლას. ამ მიმართებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად მათ საქარ-



თველოს კონსტიტუციის პროგექტში ეროვნულ უმცირესობათა უფლებრივი უნივერსიტეტი განსაზღვრა მიაჩნდათ. საქართველოს კონსტიტუციის შედგენის საკითხი ჯერ კიდევ საქართველოს ეროვნულ საბჭოში დაისვა. კონსტიტუციის პროექტის განხილვა საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომებზე მიმდინარეობდა. 1920 წლის მაისში საქართველოს კონსტიტუციის პროექტი სტამბურად დაიბეჭდა<sup>8</sup>. გაეცნო რა ამ დოკუმენტს, სომეხთა ეროვნულმა საბჭომ თავისი პრეტენზიები 190 გვერდზე დასტამული „მემორანდუმის“ სახით გაუგზავნა საქართველოს დამფუძნებელ კრებას.

მემორანდუმს ხელს აწერდნენ საქართველოში სომეხთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ბ. თოფხიანი და მდივანი მ. დარბინიანი. მემორანდუმში ძირითად სადაცო მიმიქებად იქცა კონსტიტუციის XIV თავი, რომელიც ეხმოდა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს. ამ თავის 144-ე მუხლში ვკითხულობთ: „არ შეიძლება საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრები რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების, მეტადრე მშობლიურ ენაზე განათლების და აღზრდის შეზღუდვა... ყველას აქვთ მშობლიურ ენაზე წერის, ბეჭდვისა და ლაპარაკის უფლება“. მემორანდუმში ამ მუხლს სომხეთი მხარე უმცირესობათა ეროვნული უფლებების აღიარების თვალსაზრისით დემოკრატიულს უწოდებს, თუმცა ის ქართული სახელმწიფოს „სარეკლამო-მქადაგბლურ“ პოლიტიკად მიაჩნია და სრულ უნდობლობას უცხადებს მის ცხოვრებაში განხორციელებას<sup>9</sup>. ამას მემორანდუმს ავტორების აზრით აღიარებებს 145 და 146 მუხლები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან 144 მუხლს და კონსტიტუციიდან იღებენ ერის, როგორც ცოცხალი ორგანიზმისა და სამართლებრივი ინსტიტუტის ცნებას. 145 მუხლის მიხედვით: „ამა თუ იმ ეროვნული უმცირესობისადმი კუთხით განისაზღვრება მოქალაქის სურვილისა და ნების შესაბამისად“.

სწორედ ამ მუხლიდან გამომდინარე ამტკიცებს მემორანდუმი, რომ კონსტიტუციის პროექტში „ერი არის არა ისტორიულად და ფაქტობრივად არსებული, არამედ ცნება, რომლის მომავალში კონსტრუირებას მათი კანონმდებლი მუშაობა ისაახეს მიზნად“.

მემორანდუმი ზემოთ განხილულ მუხლებს საქონსტიტუციო კომისიის „რთულ პოლიტიკურ თამაშს“ უწოდებს, რომელმაც „ჯერ აღიარა ერი, როგორც ისტორიულად და ფაქტობრივად არსებული ცნება, შემდეგ ჰქონებული დააყენა ამ გაგების ჰქონების მიზნისათვის, რომ კონსტიტუციაში მოქალაქეობა მიერ, ეროვნების აღიარების მუხლის შეტანით შეექმნა ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკური იარაღი“<sup>10</sup>.

მემორანდუმი ეროვნული უმცირესობებისადმი სოციალ-დემოკრატების მიდგომას რესეტის თვითმყრობელურ პოლიტიკას აღარებს. ამის მაგალითად მოაქვს ქართულად მოლაპარაკე სომხების ეროვნული იდენტობის აღსანიშნავად ტერმინების „ქართველი გრიგორიანელის“ შემოტანა, ხოლო სომეხი კათოლიკეების „ქართველ კათოლიკებად“ გამოცხადება<sup>11</sup>.

სომეხთა ეროვნული საბჭოს შემდგენი პრეტენზია ეხება კანონს ნაციონალიზაციის შესახებ, რომლის მიხედვით ქართული ენა ცხადდებოდა სახელმწიფო ენად და მისი გამოყენება აუცილებელი ხდებოდა სასამართლოსა და ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში. მემორანდუმში ვკითხულობთ: „სახელმწიფო ებრიობის შექმნაში საქართველოში გამოიწვია სახელმწიფოს ნაციონალიზაცია მისი სრული გაქართველების გზით, რაც უპირველესად გამოიხატა სომხურ ენასთან ყოფილი თანასწორულებიანი ქართული ენისათვის სახელმწიფო ენის და გაბატონებული სტატუსის მინიჭებაში“<sup>12</sup>.

სომეხთა ეროვნულ საბჭოს მიაჩნია, რომ საქართველოს მთავრობას, სომხების, როგორც საქმაოდ დიდი ეროვნული უმცირესობის გათვალის-



წინებით, სომხური ენის გამოყენება უნდა დაეშვა ადგილობრივ თვითმმართველობის მოგანობებსა და სასამართლოში მაინც<sup>13</sup>. მემორანდუმის ავტორები ვერ შეგუძლები უმარტივეს რომ მეფის რესევორის ბატონობის პირობებში ქართული და სომხური ენები თავიანთ უროვნელი ოლქებში არ აცხადებდნენ პრეტენზიას პირველობაზე. მათ ვერ გაითავისეს ის ფაქტობრივი მდგრადობა, რომელშიც საქართველო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აღმოჩნდა, როცა თვითონ ქმნიდა საკანონმდებლო – სამართლებრივ ბაზას და მხოლოდ მისი პრეროგატივი იყო სახელმწიფო ენის სტატუსის საკითხი.

სომეხთა ეროვნული საბჭოს მტკიცებით, ქართული ენა არსებითად ვერ გადაიქცა სახელმწიფო ენად, ანუ სახელმწიფოს ყველა ერის მიერ შემცირებულად, როგორც კულტურულ-ეკონომიკური განვითარების იარაღი. ის მხოლოდ ქართველების ენად დარჩა. მათი აზრით, ქართული ენის მარტოდენ დეკლარირებულობამ „გამოიწვია არა კულტურული, არამედ მხოლოდ სახელმწიფოს პერსონალური გაეროვნელუბა, სხვაგარად – სახელმწიფოს მოქალაქეთა დაყოფა ეროვნული ნიშნით: პრივილეგირებულ ქართველ და უფლებორ არაქართველდა“<sup>14</sup>.

მემორანდუმში გაკრიიკებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1918 წლის 16 ივნისის „დებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“<sup>15</sup>, რომელიც თითქოს გახდა სომხური მოსახლეობის ყველა ფენის „განსაკუთრებული დევნის იარაღი“. ამ დებულების მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მეცნიერი მცხოვრები, ვინც მიწერილი იყო ამა თუ იმ აღმინისტრაციულ ერთეულზე (თბილისის და ქუთაისის გუბერნიები – ვ. კ.) 1914 წლის 19 ივლისამდე, ითვლებოდა საქართველოს მოქალაქედ. მემორანდუმში ამ დებულების ერთადერთ მიზნად დასახელებულია საქართველოში სომეხი ერის ყოველგვარი პოლიტიკურ-ეკულტურული მნიშვნელობის მოსპობა. სომეხთა ეროვნული საბჭოს მოსახლეობით, ამ დებულების შესრულებით ქალაქების სომხური მოსახლეობის ნახევარი მოქალაქეობის სტატუსის გარეშე და დევნილი აღმოჩნდებოდა, ისინი ამოღებულნი იქნებოდნენ ქალაქის საარჩევნო სიგბიდან და სრულიად ჩამოერთმეოდათ საარჩევნო უფლებები<sup>16</sup>.

დებულებამ მოქალაქეობის შესახებ აზრთ სხვადასხვაობა გამოიწვია ქართულ პოლიტიკურ წრებშიც, რასაც საქართველოს დამფუძნებელი კრების რამდენიმე სხდომა მიეღვდნა. ამ დებულების ასეთი ფორმულირება გამოწვეული იყო იმ ვითარებით, რომელიც 1914 წლის 19 ივლისს პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ საქართველოში შეიქმნა. რესევორის იმპერიაში მოსახლეობის ფართო მიგრაციას პქნდა ადგილი, რის შედეგადაც საქართველოში ლტოლვილთა დიდი ტალღა შემოიდა. მათ არაეითარი ისტორიული, კულტურული თუ სოციალური კავშირი არ პქნდათ ჩვენს სახელმწიფოსთან. ამიტომ საქართველოს მოქალაქებად მათი აღიარება მომავალში გაუთვალისწინებულ, არასასურველ მდგრადობაში ჩააყენებდა ახლად შექმნილ ქართულ სახელმწიფოსაგან.

სომეხთა ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას წარუდგინა „სომეხთა ეროვნული თვითმმართველობის პროექტი“, რომელიც მიზნად ისახავდა სომეხი ერის უფლებების მოთხოვნას და დაცვას ქართული სახელმწიფოსაგან.

პროექტი 14 პუნქტისაგან შედგებოდა. მოვიტანთ რამდენიმე მათგანს: პუნქტი 7. „იმ რაიონებში, სადაც სომხური მოსახლეობა შეადგენს მთელ მცხოვრებთა არა ნაკლებ 15%-ს, სომხური ენა სრულფასოვანია სახელმწიფო ენის – აღმინისტრაციულ, თვითმმართველობის ორგანოებში, სასამართლო დაწესებულებებში, საჯარო კრებებზე და ფოსტა-ტელეგრაფში. ზემოხსენებულ დაწესებულებებს ევალებათ მიიღონ სომ-



ხებისაგან როგორც ზეპირი, ისე წერილობითი განცხადებები სომხურ ენაში ჰქონდა უნდა უძასუხონ და გასცენ დოკუმენტები ასევე სომხურ ენაზე<sup>17</sup>. ამ პუნქტის გაზიარება ქართული სახელმწიფოსაგან ნიშანვდა სულ ცოტა იმას, რომ იმ რაიონებში, სადაც 15%-ს მაინც სომხები წარმოადგენდნენ, სახელმწიფო დაწესებულებებში ვერ იმუშავებდნენ ქართველი ეროვნების ადამიანები, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ სომხური არ ცერდინებოდათ. პუნქტი 8. „საკანონმდებლო ორგანოებში სომხური ენა სრულუფლებიანია სახელმწიფო ენასთან. სახელმწიფო კანონები და მთავრობის განკარგულებები ქვეყნდება ქართულ ენასთან ერთად სომხურ ენაზეც. სომხურად აქვთ ნებენ თვითმმართველობისა და სასამართლო დაწესებულებათა დადგენილებებს – იმ რაიონებში, რომელიც აღნიშნულია VII პუნქტში<sup>18</sup>. პუნქტი 11. „სომებთა სახალხო განათლების მართვა სომებთა ეროვნულ საბჭოს გადაცემა – სასწავლი პროგრამების შედგენა, დამტკიცება კვლა ტიას სასწავლებლებისათვის. სკოლებში სწავლა სომხურად მიმდინარეობს. დაწყებით და საშუალო სკოლებში სავალდებულოა ქართული ენის სწავლება“<sup>19</sup>.

სომებთა ეროვნული თვითმმართველობის პროცესს დიდი გამოხმაურება მოჰყეა ქართულ პერიოდულ პრესაში. ერთ-ერთი ასეთია პეტრე მირიანაშვილის წერილი გაზეთ „სახალხო საქმეში“. „სომხები მოითხოვენ სახელმწიფოს სახელმწიფოში, სომხეთის განეხას საქართველოში... სომებთა ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა ემსარება მათ მისწრაფებას, რომ საქართველოს ეროვნული სახელმწიფო აქციონ სხვადასხვა ერთა სახელმწიფოდ. თუ ასეა, სომხეთის რესპუბლიკამ ხელი აიღოს სუვერენიტეტები შემოიდეს თავისი ტერიტორიით საქართველოს რესპუბლიკაში და მაშინ სომებს დაშანაკუთიურნება და მათ ეროვნულ საბჭოს პოლიტიკური პრეტენზიების საფუძველი განება“<sup>20</sup>.

საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ მსჯელობა მიმდინარეობდა საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომებზე. 1920 წლის 20 თებერვლის სხდომაზე პ. საყვარელიძიმე გააკეთა მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით, სადაც კეთისულობის: „ჩვენ ვერ შეგქმნით საჯარო-უფლებრივი ორგანიზაციებს... ის სრული კანონმდებელია, სახელმწიფოებრივი ფუნქციების მატარებელია. მაშინ ჩვენს რესპუბლიკაში იქნება 15 საჯარო უფლებით შემოსილი ეროვნული საბჭო. გვექნება ცენტრალური სახელმწიფო და კიდევ რამდენიმე სახელმწიფო ჩვენს გეერდით... ჩვენი აზრი ასეთია: მტკიცე ეროვნული სახელმწიფო. შეუძლებელია სახელმწიფოში ახალი სახელმწიფოს ან რაიმე საჯარო-უფლებრივი ორგანიზაციების შექმნა“<sup>21</sup>. 1920 წლის 20 მარტის საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე კი პ. საყვარელიძიმე განაცხადა: „საჯარო უფლებებს ჩვენ ვერავის მიცვემთ... ჩვენ ვწერთ კონსტიტუციას უნიტარული სახელმწიფოსთვის. მათ კი სურთ დაგვაწერიონ (კონსტიტუცია) კონფედერაციული ან ფედერაციული სახელმწიფოსთვის. ჩვენთვის ეს მიუღებელია“<sup>22</sup>.

სომებთა ეროვნული საბჭოს ზემოთმოტანილი დოკუმენტების განხილვამ აჩვენა, რომ ამ მასალების გამოქვეყნებით ისინი ფაქტობრივად ეწინააღმდეგებოდნენ ქართულ სახელმწიფოებრიობას. ვფიქრობთ, სომხური მხარისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ ეროვნული უმცირესობების აგრერიგად გაზრდილი უფლებები, ამგარი პილიტიკური თუ კონსტიტუციური მოთხოვნები სრულიად მიუღებელი იქნებოდა ახლადჩამოყალიბებული ქართული დემოკრატიისათვის. სომებთა ეროვნული საბჭოს მოთხოვნების აღსრულება ნიშანვდა საქართველოს შემადგენლობაში უფლებრივად თანასწორი პოლიტიკური ერთულის ან საჯარო უფლებებით აღჭურვდი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნას, რასაც ბუნებრივია ვერ დაუშევდა ქართული სახელმწიფო.

## ON SOME OF THE DOCUMENTS OF THE ARMENIAN NATIONAL COUNCIL

National Council of Armenians in Georgia was founded in October 1917, with the delegated function of political leadership over the Armenian people. The Council was headed by the well-known dashnak, Avetis Agaronian. In 1918, after the formation of the three independent states in the South Caucasus the situation changed. National Council lost its initial nature and status. Georgia was formed as an independent state and the nations residing in the country turned into national minorities. Regardless of that, the National Council of Armenians was still continuing its fight for the establishment of the self-governance form for Armenians under the constitutional law. In this respect they deemed it important to define the legal status of national minorities in the draft Constitution of Georgia. The National Council of Armenians published two documents: "Memorandum," sent to the Constitutional Convention of Georgia and "Project on the Armenian Self-governance" submitted to the Commission of the Constitutional Convention. The Article reviews these two documents and illuminates their anti-state aspects.

### Ծամովմշեծություն Հոգիքրածության

1. Տայարտվելու Յշենքագույն Տակառմանությունը Տասնինորդական Արքունու, 1906, 2081, օգվ. 1, Տայմեջ 187, գլ. 6 (վեպատ: Եցեսեա).
2. Եցեսեա, գլ. 1836, օգվ. 1, Տայմեջ 7, գլ. 1-2.
3. Հայկափ Բ., Լիցու վրաց. Իстория армянского национализма в Закавказье в конце XIX нач. XX в., Баку, 1994, с. 23.
4. Եցեսեա, 1906, օգվ. 1, Տայմեջ 1, գլ. 22 (վեպատ Եցեսեա)
5. Ճանչու ՝ Տակառման Տայմեջը, 1917 թ. 3 Եղբայրություն, №93.
6. Եցեսեա, 1906, օգվ. 1, Տայմեջ 1, գլ. 64.
7. Ճանչու ՝ Տակառման Տայմեջը, 1918 թ. 21 Եղբայրություն, №389.
8. Եղբայրանի Պատուա, Տայարտվելու Յորշացություն Շահապահության, տեղ., 2001, գլ. 169, 171, 173.
9. Memorandum Учредительному Собранию о Национальном Самоуправлении армян в Грузии, с. 60, 62 (վեպատ: Թյուրքանձնություն).
10. Թյուրքանձնություն, գլ. 68.
11. ովզը, գլ. 69, 70.
12. ովզը, գլ. 34.
13. ովզը, գլ. 32.
14. ովզը, գլ. 37.
15. Տայարտվելու Հյուրաժամկետություն Շահապահության Տամարտալություն Հյուրաժամկետություն Հայության արքայի կազմության մասին, 1990, գլ. 46-47.
16. Թյուրքանձնություն, գլ. 15, 20.
17. Եցեսեա, 1906, օգվ. 1, Տայմեջ 180, գլ. 108.
18. ովզը.
19. ովզը.
20. Ճանչու ՝ Տակառման Տայմեջը, 1920 թ. 7 Ապրիլու.
21. Եցեսեա, 1906, օգվ. 1, Տայմեջ 180, գլ. 177.
22. ովզը, գլ. 185.

წყაროთმცოდნეობის თეორიული პროგლეზების  
კვლევა სამართველოში

ზოგადად წყაროთმცოდნეობა ნიშნავს ყველა ტიპის წყაროს კვლევას ინფორმატულობის თვალსაზრისით. უფრო ხშირად კი ასე იწოდება სიტყვიერი წერილობითი წყაროების ინფორმაციული შესაძლებლობების დამდგრენელი მეცნიერება.

საქართველოში წყაროთმცოდნეობით ძიებებს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ცოდნის ეს სფერო სამცნიერო დისციპლინად XX ს-ის დასაწყისში ყალიბდება ჩვენში, როცა ციქსიორდება წერილობითი წყაროების გამოვლენის, ინტერპრეტაციისა და პულიკიზის თეორიისა და მეთოდების დამტუშავების პირველი ცდები. ამ დროიდან მოყოლებული დღემდე გამოცემულია ადგისშესული პროფილის მრავალი სამცნიერო ნაშრომი. ამ გამოცემებშიც დაკვირვება ისტორიული აზრის განვითარების დახასიათების საშუალებას გვაძლევს. ისტორიული მეცნიერების დონე ხომ თვალსაზრისით ასახვას წყაროთმცოდნეობითი ძიებების ხარისხში პოულობს. ჩვენ მიერ შესწავლიდ იქნა და პერიოდულად ქვეყნდებოდა სხვადასხვა ტიპის წყაროების კვლევის ისტორია. ადგისშესული პრობლემა მრავალრიცხვან ფაქტებზე დაყრდნობით და კრცელ ქრონოლოგიურ მონაკვეთში წარმოხნილი იყო ჩვენს საკავალიფიქაციო ნაშრომში<sup>2</sup>. ამჯერად საქართველოში წყაროთმცოდნეობითი ძიებების ისტორიის მხოლოდ ერთ ასპექტს, კერძოდ თეორიული საკითხების კვლევის ისტორიას შევეხებით. დღემდე თეორიული წყაროთმცოდნეობის ისტორიის გაშუქება სპეციალური კვლევის საგნად არ ყოფილა ქცეული, თუ მხედველობაში არ მიიღებთ ზოგიერთ გამონაჯლის, სადაც დარგის განვითარების მთლიანი სურათია წარმოდგენილი გარდვეულ პერიოდში<sup>3</sup> ან მხოლოდ წყაროთა რომელიმე გვარის ისტორია<sup>4</sup>.

საქართველოში წყაროთმცოდნეობის პირველხარისხოვანი თეორიული საკითხების დამუშავება ი. ჯავახიშვილის სახელს უკავშირდება. ამ მხრივ საეტაპო მოვლენად შეიძლება მივიწნიოთ მისი ნაშრომი „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი I, ძევლი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს)“. ამ ნაშრომის გამოსვლამდე სპეციალისტები მხოლოდ წყაროს გარეგან შესწავლას აქცევენ ჯეროვან ყურადღებას. ი. ჯავახიშვილმა ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულიად განსაკუთრებულ ეტაპს დაუდო სათავეს; დამუშავა ქართული წყაროთმცოდნეობის თეორიულ-მეთოდური საკითხები; განსაზღვრა დარგის მიზანი და ამოცანები; მოგვცა ქართული ისტორიული მწერლობის ძეგლთა დეტალური ანალიზი; საგანგებო ყურადღება მიაქცია წყაროს შენაგან ქრიტიკას; შემოგვთავაზა წერილობით წყაროთა კლასიფიკაცია, კერძოდ, ისინი ორ ჯგუფად დაყო: თხრობით და ლიტერატურულ წყაროებად; სპეციალურად შეისწავლა საისტორიო ნაწარმოებთა აღმნიშვნელი ტერმინები და გამოყო ძირითადი სახეობები - „მარტვილობა“, „ცხოვრება“, „მატიანე“, „ისტორია“, „პამბავი“, „ქრონიკა“.

ასევე ი. ჯავახიშვილის სახელს უკავშირდება დოკუმენტური და ეპიგრაფიკული ძეგლების თეორიულ-განმაზოგადებელი ნაშრომების შექმნა<sup>5</sup>. ი. ჯავახიშვილის შემდეგ ქართული წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემების შესწავლა დროებით შენედდა. წყაროთმცოდნე სპეციალისტების ყურადღება უმთავრესად გადატანილ იქნა კონკრეტული საკითხების შესწავლასე. მხოლოდ XX ს. 60-იანი წლებიდან გახდა აშერად საგრძნობი წყაროთმცოდნეობის თეორიის მიმართ ინტერესის ხელახალი გა-



დევებია. მეცნიერების ყურადღების ცენტრში მოექცა წინა პერიოდში ქართულების სტუდენტების როგორ კვლევის პროცესში მიღებული შედეგების განხორცადება, მეთოდოლოგიური მეთოდური საკითხების დამუშავება ადგილობრივ მასალაზე დაყრდნობით. ამ მათულებით ძიებებს მიეძღვნა რამდენიმე წერილი და მონოგრაფია.

ქართული ისტორიული წყაროების კლასიფიკაციის პრობლემის დამუშავებაში მნიშვნელოვანი წელი მიუძღვის გ. ალასანიას, რომელმაც გაიზიარა რა წყაროთ მცოდნეობაში უკვე დამტკიცირებული ისტორიული წყაროების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, ქართული მასალის გათვალისწინებით შეავსო და დააზუსტა იგი<sup>7</sup>. ანგენა, რომ შესაძლებელია წყაროთა გარდამავალი ტიპების არსებობა: მაგალითად, წერილობითია და ნივთიერს შორის ან წერილობითს, ნივთირსა და სახვითს შერის. მათ რიცხვის მიაკუთხებს მეცნიერების კატეგორიულ ძეგლებს, მონეტებს, გერბებს, ბეჭდებს, დროშებს, ორდენებს, მედლებს და სხვა. ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაციის აუცილებელ პირობად გ. ალასანია თვლის ქრონოლოგიური პრინციპის დაცვას (სხვადასხვა პერიოდებს წყაროთა დიფერენციაციის განსხვავებული დონეები შეესაბამება), ამასთან აუცილებლად მიიჩნევს ენობრივი და ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებასაც (სხვადასხვა ქავენებს წყაროთა კლასიფიკაციის სხვადასხვა თავისებურებები ახასიათებს). აქევე, ქართული ისტორიული წყაროების საფუძველზე საკალიფიკაციო კატეგორიად ასახელებს სახეს. არ იზიარებს წინარე ისტორიოგრაფიაში დამტკიცირებულ შეხედულებას სახის ერთ-ერთი კატეგორიის – ნაირსახეობის – საკეთიფიკის განმსაზღვრულად სოციალური ფუნქციის მიხნევის შესახებ. იგი ასაბუთებს, რომ ნაირსახეობა სახის ფარგლებში გამოიყოფა იმ ძეგლთა ფორმის ან შინაარსის ზოგიერთი თავისებურების გათვალისწინებით, რომელთავის დამახასიათებელია დანიშნულების, დასახელების, სტრუქტურის კრიოგენიზაცია.

არსებობს ნაშრომები დოკუმენტური და ენიგრაფიული წყაროების კლასიფიკაციის პრინციპებისა და სტრუქტურის შესახებ, მაგალითად, დაღვნილია ქართული ისტორიული საბუთების კლასიფიკაციის პრინციპები<sup>8</sup>. მნიშვნელოვანი ყურადღება მოექცა დოკუმენტური წყაროების სტრუქტურის საკითხს. გაანალიზებულ იქნა საბუთის ფორმულარის ცალკეული ნაწილები: სიგლის თავი, ჯერჩინება, ბრძანებულება დ. ბერძნიშვილისა და მ. სურგულაძის მიერ<sup>9</sup>; XIV-XV სს. მეფეთა წყალობის სიგლების დილომატიკური თავისებურება<sup>10</sup>; წყალობა-შეწირულობის სიგლებში იურიდიულ მტკიცებათა დილომატიკური ფორმულების („დაგვაჯრა დმიტრიმან“ და „მოკითხულ კქნით“) არსი და მნიშვნელობა<sup>11</sup>; დროისა და სიერცის ამსახველი ფორმულები<sup>12</sup>.

როგორც ცნობილია, საისტორიო მეცნიერება მთლიანად ისტორიულ წყაროს ეფუძნება, შესაბამისად მის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას ისტორიული წყაროების პუბლიკაცია წარმოადგენს, რაც თავისთავად მოითხოვს გამოცემის წესების დახვეწის. ამიტომაც სათანადო ყურადღება მიექცა სხვადასხვა წერილობით წყაროთა (ნარაბერიული, დოკუმენტური) გამოცემის მეთოდიტურ საკითხებს. სამცნიერო ლიტერატურაში გამოცემის წესების შემდგომი სულეყოფის წინაპირობად მითითებულია ცალკეული წყაროების ყოველმხრივი შესწავლისა და ტექსტის დაღვნის მეთოდიკის ცალკეული წყაროების ყოველმხრივი შესწავლისა და ტექსტის დაღვნის მეთოდიკის დახვეწის აუცილებლობა. გ. ალასანიამ ერთი ნარაბერიული წყაროს „პარიზის ქრონიკების“ მაგალითზე გვიჩვენა წყაროს გამოცემის ზოგიერთი პრინციპის გათვალისწინების საჭიროება<sup>13</sup>; ხოლო მ. ბერძნიშვილმა დაღვნის წყაროების შეორე ჯგუფის – დოკუმენტური მასალის, კონკრეტულად, XVIII-XIX სს. კისისტოლარული მასალის გამოცემის პრინციპი. მეცნიერებას აღნიშნული აქვს, რომ მათი გამოცემის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ბუდობრივი პრინციპი. თუმცა იქვე მიუთო-



თებს, რომ „საქმიან წერილებში“ შესული ეპისტოლური მასალა, ცალკე, ჰუმანიტარული გიური თანმიმდევრობით და აღრესატების მიხედვით უნდა დაიკვდოს<sup>14</sup>.

მთლიანად წერილობითი წყაროების გამოცემის გარკვეული მეთოდიკური საკითხები ჩამოყალიბებული აქვს რ. კიკნაძეს. მისი თვალსაზრისით ისტორიული წყაროს სამეცნიერო გამოცემას უნდა წაემდგაროს შესავალი წერილი – წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, რომელშიც გაღმოცემული იქნება ტექსტის შესწავლის ისტორია; ძეგლის შესწავლის დრო; მონაცემები ხელნაწერების, აღრინდელი გამოცემების, თარგმანების შესახებ; ტექსტის დადგენის მეთოდიკის მირითადი საკითხები. ისტორიული წყაროს ყოველ გამოცემას აუცილებლად უნდა დაერთოს კომენტარები (რომელმაც მეითხველს უნდა გაუწიოს დახმარება ტექსტის შინაარსის წვდომაში), ლექსიკონი (სადაც სიტყვები უსათუოდ ტექსტის შესაბამისი ადგილების გათვალისწინებით უნდა განიმარტოს), პირთა და გეოგრაფიული სახელებისა და ტერმინების საძირებელი<sup>15</sup>.

ნარატიული წყაროს წყაროთმცოდნეობითი კვლევის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტექსტოლოგიურ შესწავლას. სპეციალურ ლიტერატურაში შემუშავებულ იქნა ძეგლის ამ მიმართებით შესწავლის მეთოდიკა ჯ. გიურანაშვილის მიერ, რომელსაც მოცემული აქვს ტექსტის ისტორიული კრიტიკისათვის აუცილებელი მეთოდური პრინციპები და მათი გათვალისწინებით ნაწერები აქვს კონკრეტული წყაროს – XI ს. საპრატო პოემის „ვის ო რამინის“ სამი ფრაგმენტის ტექსტოლოგიური ანალიზი<sup>16</sup>. ჩატარებული მუშაობის შედეგად ასკენის, რომ ისტორიზმის პრინციპები აგუმელი მეცნიერული კვლევა სანდო ბაზას ქმნის თავდაპირველი ტექსტის აღსაღებენად.

შეინიშნება ინტერესი წყაროთმცოდნეობითი ტერმინოლოგიური პრობლემების კვლევისადმი, ვინაიდან ძეგლის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის დროს ხშირად პრობლემა ტერმინოლოგიური საკითხების დადგენა. გაშუქებულ იქნა ისტორიულ წყაროებში დაცული ტრადიციული ტერმინები და მიმდინარეობს თანამედროვე ტერმინოლოგიის დაზუსტება. მ. მარსაგიაშვილს კუთვნის თამარის უცნობი მემატიანის თხულებაში დაცული საისტორიო სამწერლობო ტერმინის „ვასილოდრაფის“ ასხნის საინტერესო მცდელობა<sup>17</sup>. ხოლო მ. კიკნაძის ნაშრომში დასაბუთებულ იქნა ტერმინოლოგიური ასპექტების მნიშვნელობა წყაროთმცოდნეობითი ანალიზის დროს. მოცემულია შეკვეთის ქართულ წყაროებში დადასტურებული ტერმინების განმარტება<sup>18</sup>. ასევე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქართული დიპლომატიკის ისტორიაში არსებული ტერმინების განხილვას. ძიებები მიეძღვნა როგორც ქართული („წიგნი“)<sup>19</sup>, ასევე უცხოური („ჩაქი“)<sup>20</sup> ტერმინების შესწავლას. საგანგებოდ იქნა გამოკვლეული პალეოგრაფიული ტერმინოლოგიაც<sup>21</sup>.

ქართული ისტორიული წყაროების პოლულარიზაციისა და შესწავლის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ ძეგლების უცხოურ ენებზე თანამედროვე მეცნიერების მიღწევების შესატყვევისად კომენტირებული თარგმანები. ამ შემთხვევაში დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს წყაროთა თარგმანის სიზუსტეს. ამიტომ სპეციალისტებმა ყურადღება მიაქციეს ამ საკითხის გარშემო დაგროვილი გამოცემების განხოგადებას, კონკრეტულად, ქართული ნარატიული წყაროების რესულ ენაზე თარგმანის თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებს – მეცნიერული თარგმანის ტიპოლოგიურ დახასიათებას და ძირითად პრინციპებს. თარგმნილი და ორიგინალური ტექსტების შედარებითი და სტილისტური ანალიზი ნაწერებია რ. კიკნაძის, მ. ლორთქიფანიძის, მ. აბაშიძის გამოკვლევებში<sup>22</sup>. ქართული საისტორიო წყაროების თარგმანების (მ. ლორთქიფანიძის „მატიანე ქართლისა“ და ნ. ნაკაშიძის სენია ჩხეიძე „საქართველოს ცხოვრება“) განხილვა მოცემული აქვს ე. ხოშტარია-ბროსეს. მკვლევარს გამოთ-



ქული აქვს ზოგადი მოსაზრებების საისტორიო წყაროების რუსულად თარიღის მიენციპების შესახებ<sup>23</sup>.

ა წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემების კვლევას ცალკე მონოგრაფიაც მიემდვნა, სადაც ნაჩვენებია წყაროთმცოდნეობის ადგილი საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში, ხაზგასმულია თეორიული კვლევის მნიშვნელობა, შესწავლილია მის სტრუქტურა და შემადგენელი სპეციალური დისციპლინები, დახასიათებულია ისტორიული წყარო და მისი კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები, განხილულია წყაროთმცოდნეობითი კვლევის მეთოდიების ზოგიერთი ძირითადი საკითხი<sup>24</sup>.

ქართული საისტორიო მწერლობის ერთ-ერთი დარგის – პაგიოგრაფიის თავისებურებებს აზოგადებენ ზ. ალექსიძე და მ. ჩხარტიშვილი. ზ. ალექსიძე პაგიოგრაფიული ტექსტის კრიტიკისას ასახელებს შემდეგი უმთავრესი პრინციპების გათვალისწინებას: ტიპიურის გამიჯვნას კერძოსაგან; თხზულების წარმოშობის დადგენის; რეალურისა და გამოგონილის გარკვევა, რასაც მშიდროდ უკავშირდება ძეგლის ავტორთა ფინანსისა და სოციალურ-იდეოლოგიური წარმომავლობის ძიება; კმიენური ტექსტის მეტაფრაზის, პერიფრაზის თუ სვინაქსარული შემოკლების მიზეზების გამოკვლევა (ეს, როდის და რა სოციალური მდგომარეობის პირი ასრულებს ამ სამუშაოს); სახწაულების როლის განსაზღვრა სოციალური შეჯახებებისა და მონასტერში არსებული უთანხმოების შესწალისათვის<sup>25</sup>. თეორიული ძიების შემცველია მ. ჩხარტიშვილის მონოგრაფიის („მარტვილობა და მოთმინება... წმიდისა სერაპიონ ზარზმელისად“ – წყაროთმცოდნეობითი ონალიზი) შესავალი ნაწილი<sup>26</sup>. მკვლევარს წარმოდგენილი აქვს პაგიოგრაფიული ძეგლების წყაროთმცოდნეობითი ონალიზის ძირითადი ეტაპების დახასიათება. უპირველეს ამოცანად ძეგლის ტექსტოლოგიურ ანალიზს ასახელებს, რომლის დროსაც უნდა ამოკითხულ იქნეს სიტყვები, გაიხსნას ქარაგმები, დაიყოს ტექსტი წინადადებებად, დაისვას პუნქტუაციის ნიშნები. ვინაიდან პაგიოგრაფიული თხზულებებისათვის დამასასიათებელია მრავალი რედაქტირა, შემდეგ ეტაპად მიმწევს რედაქტირების ურთიერთმიმართების გარკვევას, ხოლო სამუშაოს მიზნად ავტორისეული რედაქციის მიკვლევას, რომლის დროსაც ხდება ცალკეული რედაქციების დათარიღება, მათი ატრიბუცია და სოციალური პროფილის გარკვევა. ყველაზე საინტერესო ეტაპად მკვლევარი თვლის ძეგლის პერმენენტიკულ შესწავლას – აგეორისეული სემანტიკის ამოცნობას, რასაც დასკვნაში გამოკრისტალული წყაროთმცოდნეობითი სინთეზი მოჰყვება.

მონოგრაფიულად იქნა შესწავლილი ქართული სიგელთმცოდნეობის თეორიული პრობლემებიც მ. ბერძნიშვილისა და მ. სურგულაძის მიერ<sup>27</sup>. გამოკვლევებში განხილულია საბუთების შეკრებისა და პატენტიკური ტერმინოლოგია, საბუთის ფორმულარი, სანდოობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ამ ნაშრომებმა საგრძნობლად წასწიეს წინ ქართული დიპლომატიკის ზოგადთეორიული საკითხების კვლევა. სრულიად განსხვავდებული კოთარებაა ქართული კიბირაფიების თეორიული განზოგადებების თვალსაზრისით. ისტორიულ მეცნიერებაში ერთგვარი ხარვეზი შეინიშნება ამ მხრივ.

როგორც ითქვა, საქართველოში წყაროთმცოდნეობის ისტორიულ მეცნიერებაში დამოუკიდებელ დისციპლინად აღიარება მოხდა თეორიული პრობლემატიკის დამუშავების შემდგომ. დისციპლინის პირველი განმაზოგადებელი ნაშრომი XX ს. დამდეგს შეიქმნა ი. ჯავახიშვილის მიერ. ამის შემდგომ იწყება კონკრეტულ წყაროთმცოდნეობითი ძიებების ხანა. მხოლოდ 60-იანი წლებიდან შეინიშნება თეორიული კვლევის გაინტენსიურება, რომელიც დაკავშირებულია გ. ალასანიას და რ. კიქაძის ნაშრომების



ბის გამოსვლასთან. აღმრუდ იქნა ყველა არსებითი თეორიული პრობლემული უკანასკნელი როთმოცდნების საგნის დეფინიცია, წყაროთმცოდნების ადგილი ისტორიული მეცნიერების სისტემაში, წყაროთა კლასიფიკაცია, ინფორმატიულობა. განვითარების მწვერვალს 80-იან წლებში აღწევს. მიუხედავად ამისა, ეს მაინც უპირატესად კონკრეტულ წყაროთმცოდნებობით ძიებებს ხანაა. თეორიული კვლევები ეხება მხოლოდ წყაროთა შეზღუდულ წრეს, მცირე გამონაკლისის გარდა არ შეინიშნება კონკრეტულ სფეროში მომუშავე სპეციალისტთა მისწრაფება მასალა მომზადონ განზოგადებისათვის. 90-იანი წლებიდან მძიმე ყოფითი პირობების გამო საქართველოში მეცნიერების ყველა დარგის განვითარება ფერხდება. ამასთან ისტორიული მეცნიერება გარდამავალ ეპოქაში კრიზისს განიცდიდა. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები აისახა დარგის განვითარებაში. ხდება როგორც კონკრეტულ წყაროთმცოდნებობითი ძიებების, ასევე თეორიული პრობლემატიკის დამუშავების საგრძნობი შენელება. ამის ობიექტური მიზნები უნდა იყოს ის გარემოება, რომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელია მეთოდოლოგიური კრიზისი, ანუ კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩოს განუსაზღვრელობა, ეს მოხდა მას შემდეგ რაც მარქსიზმის, როგორც ასეთის, ჩარჩოს როლი უარყოფილია, ახალი კი ფაქტომრივად არ ყოფილა დამკვიდრებული. წყაროთმცოდნებია კი მეთოდოლოგიასთან მჭიდროდ დაკავშირებული მეცნიერება. სწორედ ამიტომ მის განვითარებას დაეტო, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული სირთულე.

ზემოთ განხილული ნაშრომები გამოიჩინება მაღალი პროფესული დონით. ეს საუკეთესო გვაძლევები ვიზუალურ, ქართული წყაროთმცოდნების მომავალში შეინარჩუნებს და განვითარებს თავის მიღწევებს თეორიული კვლევის დარგში. ამისათვის კი სხვა ხელშემწყობ პირობებთან ერთად საჭირო იქნება, თვით სპეციალისტთა ძალისხმევა, ფილოსოფოსტებისა და წყაროთმცოდნების ერთობლივი ჯგუფების შექმნა და თეორიული პრობლემების ამგვარად შესწავლა, რადგან სრულიად აშეარაა, რომ წყაროთმცოდნების თეორია არაა მარტომდენ ისტორიოსთა საქმე. შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს ამ პრობლემას ყურადღება უკვე უმაღლეს სახასიაჲებლებში მიეკცეს, სადაც თავიდანეუ მომზადდებიან სპეციალისტები სათანადო განხილით.

Ketevan Mania

## OVERVIEW OF RESEARCHES ON SOURCE STUDIES THEORETICAL PROBLEMS IN GEORGIA

Theoretical issues of source studies is one of the most topical problems of Kartvelology. Generalizing the outcomes obtained from a durable research period of historical sources, we could observe a growing interest towards the methodological issues of source studies. A number studies shaped as a scientific article or a monograph have been published. The issues studied include: A Problem of Typological Classification of Georgian Written Sources (G. Alasania), Methodology of Publication on Written Sources (R. Kiknadze), Specificity of Translating a Source into Russian Language (M. Abashidze), Peculiarities of Studying Hagiography as a Historical Source (Z. Alexidze, M. Chkhartishvili), and Terminology of Sources (M. Kiknadze, M. Marsagishvili). There has been published a special



work discussing the Methods of Studying Narrative Sources (J. Giunashvili). A special monograph has been dedicated to the Research of Theoretical Problems of Source Studies (G. Alasania, R. Kiknadze).

However, while studying the above mentioned materials made sure that most of the authors (except for a few of them) working in a specific field of studies tend to prepare the material they are exploring for a theoretical generalization. Nevertheless, the above-mentioned works reveal a high level of professionalism and this makes us think that in the future Georgian source studies will maintain and promote its accomplishments. To achieve this we need to combine the effort of Georgian scientists with favorable conditions. That implies setting up joint teams of source explorers and philosophers for studying theoretical problems from the aforesaid prospective. Since it is absolutely evident that the theory of source studies is not only historians' cup of tea.

### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. მანია ქ., დოკუმენტური წყაროების კვლევა საქართველოში XX ს-ის 80-90-იან წლებში. – ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, IV, თბ., 2000, გვ. 59-72; მიხეილ ვერაძე, საქართველოში წყაროთმცოდნეობითი კვლევის ზოგიერთი ასპექტი XX ს-ის 80-90-იან წლებში (ნარატიული წყაროები). – ქართული წყაროთმცოდნებია, IX, თბ., 2000, გვ. 106-118; მისივე, ქრისტიანობის ისტორიის წერილობითი წყაროების კვლევა საქართველოში. – ქრისტიანობა წარსული, აწყვი, მომავალი, მოხსენებათა მოკლე შინაგარენსები, თბ., 2000, გვ. 52-53; მისივე, ეპიგრაფიკული წყაროების კვლევა საქართველოში XX ს. 60-90-იან წლებში. – საქართველო და ქრისტიანობა, თბ., 2001, გვ. 63-75; მისივე, საქართველოს ნუმიზმატიკური წყაროების შესწავლის ისტორიდან (XX ს-ის მეორე ნახევარი). – ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, V, თბ., 2002, გვ. 8-17.
2. მანია ქ., წყაროთმცოდნეობითი კვლევა საქართველოში XX ს-ის 60-90-იან წლებში, დისერტაცია წარდგენილი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსამართვებლად, თბ., 2003.
3. ალასანია გ., ანნაბაძე გ., ქართული საბჭოთა წყაროთმცოდნებია. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1981, №1, გვ. 147-152; ალასანია გ., ალასანია გ., ანნაბაძე გ., ქართული საბჭოთა წყაროთმცოდნები. – Источниковедческие разыскания. – 1979, Тб., 1984, с. 9-16; კინაძე რ., წყაროთმცოდნებითი კვლევა ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1984, №2, გვ. 157-169; კინაძე რ., ჩხარტიშვილი მ., წყაროთმცოდნებითი კვლევა საბჭოთა საქართველოში. – ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1986, გვ. 99-128.
4. ხოშთარია-Броссе Э. В., Состояние и перспективы собрания, изучения и публикации грузинских исторических документов. – Источниковедческие разыскания. – 1979, Тб., 1984, с. 193-202. ხოშთარია-ბროსე ე., ქართული დიპლომატიკა, მიღწევები და პერსპექტივები. – მრავალთავი, XIV, 1987, გვ. 48-67.
5. ჯავახიშვილი ი., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი I. – ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1916.



6. ჯავახიშვილი ი., ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. – თბილისი, 1926. მისივე, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. – თბ., 1949.
7. აღასანია გ., ქართული წერილობითი წყაროების კლასიფიკაციის საკითხები. – ქართული წყაროთმცოდნეობა, VI, თბ., 1985, გვ. 3-36. მისივე, ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები. – ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, თბ., 1987, გვ. 13-21. Она же, Классификация грузинских письменных исторических источников. – Тб., 1992.
8. სურგულაძე მ., ქართული ისტორიული საბუთების კლასიფიკაციის პრინციპებისა და დიპლომატიკური ტერმინების ურთიერთმიმართებისათვის. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1984, №2, გვ. 110-112; Сургудадзе М. К., Дипломатические термины и принципы классификации исторических актов. – Источниковедческие разыскания – 1985, Тб., 1988, с. 62-66.
9. ბერძნიშვილი მ., ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან (სიგლის თავი XI-XV საუკუნეებში). – ქართული წყაროთმცოდნეობა, V, თბ., 1978, გვ. 50-59; მისივე, სიგლის თავი XV-XVIII საუკუნეებში. – ქართული წყაროთმცოდნეობა, VI, თბ., 1985, გვ. 30-39; სურგულაძე მ., „Arenga“ (ჯერჩინება) XI-XIII სს. მეფეთა შეტირულობის სიგელებში. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1980, №3, გვ. 147-157; მისივე, „ბრძანებულება“ XI-XV სს. სამეფო სიგელებში. – მრავალთავი, IX, 1981, გვ. 107-114.
10. სურგულაძე მ., XIV-XV სს. მეფეთა წყალობის სიგელების დიპლომატიკური თავისებურება. – ქართული წყაროთმცოდნეობა, V, თბ., 1978, გვ. 63-69.
11. სურგულაძე მ., იურიდიულ მტკიცებათა ორი სახე მეფეთა სიგელების მიხედვით. – მრავალთავი, VIII, 1980, გვ. 31-37.
12. სურგულაძე მ., დროისა და სივრცის კატეგორიების ამსახველი ფორმულები ქართულ ისტორიულ საბუთებში. – მრავალთავი, XIV, 1987, გვ. 109-115.
13. აღასანია გ., საისტორიო წყაროების გამოცემის ზოგიერთი პრინციპი. – ქართული წყაროთმცოდნეობა, V, თბ., 1978, გვ. 99-111.
14. ბერძნიშვილი მ., XVIII-XIX სს. დამდგების ქართული ეპისტოლარული მასალის გამოცემის საკითხისათვის. – ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, თბ., 1987, გვ. 30-38.
15. კიკნაძე რ., წერილობითი ისტორიული წყაროების გამოცემის მეთოდიების ზოგიერთი საკითხი. – ქართული წყაროთმცოდნეობა, VI, თბ., 1985, გვ. 39-62.
16. გოუნაშვილი ჯ., ისტორიზმის პრინციპი და ტექსტოლოგიური ანალიზი. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1984, №4, გვ. 58-69.
17. მარსაგიშვილი მ., ძველი ქართული წყაროთმცოდნეობითი ტერმინის ისტორიისათვის. – ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, II, თბ., 1988, გვ. 58-64. Она же, Опыт определения структуры исторического источника на основе терминологического анализа (на примере «Истории и восхваления венценосцев»). – Источниковедческие разыскания. – 1985, Тб., 1988, с. 128-135.
18. კიკნაძე მ., ტერმინოლოგიური ძიებები და წერილობითი წყაროების ინტერპრეტაციის პრობლემა. – დისერტაცია წარდგენილი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1990.
19. ხოშტარია-ბროსე ე., „წიგნის“, როგორც დიპლომატიკური ტერმინის, მნიშვნელობის გაგებისათვის. – მრავალთავი, XIII, 1986, გვ. 44-52.



20. ბერძნიშვილი მ., ქართული დიპლომატიკის ერთი ტერმინის მნიშვნელობრივი მნიშვნელობა – ქართული წყაროთმცოდნება, III, თბ., 1971, გვ. 172-175.
21. სურგულაძე მ., ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები. – თბ., 1978.
22. კიქნაძე რ., ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის წესები. – თბ., 1977. ლორთქიფანიძე მ., ავლავ ქართული საისტორიო წყაროების რუსული თარგმანის შესახებ. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1979, №4, გვ. 164-169; Абашидзе М. Д. Источниковоедческие аспекты перевода грузинских исторических источников на русский язык. Тб., 1992.
23. ხოშტარია-ბროსე ე., ქართული საისტორიო წყაროების რუსულ ენაზე თარგმნის შესახებ. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1979, №1, გვ. 150-171.
24. ალასანია გ., კიქნაძე რ., წყაროთმცოდნების თეორიული პრობლემები, თბ., 1988.
25. ალექსიძე ზ., ქართული წყაროების შესწავლის მეთოდური საკითხები. – თბ., 1985.
26. ჩხარტიშვილი მ., „მარტვილობად და მოთმინებად წმინდისა ევსტათი მცხეთელი-საა“ და „ცხოვრებად და მოქალაქეობად წმინდისა სერამიონ ზარზმელისაა“ (წყაროთმცოდნებითი გამოკვლევა). – თბ., 1994.
27. ბერძნიშვილი მ., ფეოდალური ხანის ქართული ისტორიული წერილობითი წყაროები. – თბ., 1989; სურგულაძე მ., ქართული ისტორიული საბუთების დიპლომატიკური შესწავლის საკითხისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1979, №4, გვ. 55-63; მისივე, ქართული საისტორიო აქტების შესწავლის თეორიული პრინციპები. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1990, №3, გვ. 67-80; მისივე, საისტორიო აქტები, როგორც სახიობრივი წყაროები. – პრეპრინტი, თბ., 1990.



თვითდასახელება როგორც ქართული იდენტობის მარკერი

საყოველთაოდ არის გაზიარებული აზრი იმის შესახებ, რომ თვითდასახელება კოლექტური იღვნებობის უმთავრესი მარკერია. სახეობრივად და, ამიტომაც საქმაოდ შთამბეჭდავად, საუბრობს ამ საეკითხებ თანამედროვე ბრიტანელი მცხნერი, აღიარებული საეციალისტი ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის კვლევის დარგში, კდ-სმითით: „კოლექტური სახელი ეთნიკური ერთობის უზყუარი ნიშანი და კმბლური, რომლის მეშვეობით ეთნიკური ერთობა თავს გარეშეთავაგან მიჯნავს და რომელიც საკუთარი არ ხის იმუქარ შევამგბას ახდენს, თითქოს სახელში მდგრადი კრიტიკის მიხედვის მიხედვით კონტაკი აქტუალურია“<sup>1</sup>.

სმითი აქ ეხება კონკრეტულად ეთნიკურ იდენტობას, მაგრამ ასეთივე მისი და-  
მოქიდებულება საქოთხისადმი ნაციონალური იდენტობის შემთხვევაშიც. ამასთან,  
თვითდასახელება არის ეთნიკური ერთობების (სმითის ტერმინოლოგიით, ეთნიკების)  
და ნაციონალური ერთობების (ნაციიბის) დამასხასიათებელი უმთავრესი საერთო ნი-  
შანი: “მე ნაციას განეხა ზღვრავ, როგორც ‘ადამიანთა თვითდასახელების მქონე ერ-  
თობას, რომელსაც უკავია სამშობლო მიწა და რომელსაც აქვს საერთო მითები და  
საზიარო ისტორია, საერთო საჯარო კულტურა, ერთოანი კონომიკა და კულტურული წე-  
რისათვის საერთო უფლება-მოყალეობანი”. თავის მხრივ, ეთნიკ შეიძლება განისაზ-  
დეროს, როგორც ‘ადამიანთა თვითდასახელების მქონე ერთობა, რომელიც დაკავში-  
რებულია სამშობლო მიწასთან, აქვს საერთო მითები წინაპართა შესხებ, საზიარო  
მასშობლობა, საზიარო კულტურის ერთი ან მეტი კლემბერი და გარემოების ხარისხის  
სრულიდარობა ელიტის შიგნით მაინც”<sup>2</sup>.

კოლექტური კულტურული იდენტობის განსაზღვრისათვის თვითდასახელყბის მნიშვნელობას არც საბორუო სოციოლოგია უაღვიფდა, პირიქით, ეთნონიმს მინ-ნევდა ეთნოსის უმთავრეს ნიშად, რომელშიც აისახება კოლექტივის თვითცნობიფ-რება<sup>3</sup>.

კოლექტივის თვითდასახელება არეპლავს კოლექტივის წევრების მიერ ერთად ყოფნის, კოლექტივში მათი შექმნულობის რაობის განცდას. იგი ასოციაციას აღვიძრავს ინდივიდის ეგოკონცეპციასთან. თვითდასახელება კოლექტიური პერცეპციების გამოხატულებაა და ამის გამო, ფაქტობრივ, კოლექტივის ისტორიის გასაღებს წარმოადგენს.

კოლექტივი, რომელსაც პირადად მე თავს მივაგუშვნებ (ისევე როგორც, აღბათ, მეითხევლთა უმრავლესობა), იწოდება საქართველოდ (საქართველო - ეს სიტყმა, პირველ რიგში, სწორედ კოლექტივს ნიშნავს. მორგოლლებიურად იგი ანალოგიურია სიტყვებისა სამო, სანათებაო და ა.შ. ამას განმარტავ იმტომ, რომ დღეს ამ სიტყვის ქვენისა და სახელმწიფოს მნიშვნელობით გამოყენებას ვართ ჩვეულინი). საქართველო-კოლექტივის ინდივიდუალურ წევრს ეწოდება ქართველი. საქართველო ნიშნავს ქართველთა ერთობლიობას, ქართველების კრებულს. ამ უკანასკნელი ტერმინის ანალიზით ვაპირებ დაეწიო წინამდებარე გამოკვლევა.

ରାଶାକ୍ଷେତ୍ରଗ୍ରେନ୍ଦ୍ରିଆ, କାରତ୍ତ୍ଵେଲ୍ଲିଲ୍ଲଙ୍ଗତା ମେରିରୀ ମେ ଆରା ଗାର ଅନ୍ତର୍ଗ୍ରେନ୍ଦ୍ରି, ପିଲାବା ରହୁଥିଲୁଣ୍ଡର ଭ୍ୟରମିନ୍ କାରତ୍ତ୍ଵେଲ୍ଲିଲ୍ଲଙ୍ଗରୀବାଦମ୍ଭି ନେତ୍ରୀର୍ଯ୍ୟକୁ ଗାମର୍ଯ୍ୟକୁଣ୍ଡିନା, ମିଶ୍ରକ୍ଷେତ୍ରାଧିକାରୀ ମିଶ୍ରକ୍ଷେତ୍ରରୀମାତ୍ରାଙ୍କିବେ ଶ୍ରେଷ୍ଠୀ ଗାମର୍ଯ୍ୟକୁ ରାମ୍ଭେନ୍ଦ୍ରିମ୍ଭ ସାଧୁଲୀବେକମ୍ଭ ଜନ୍ମେନ୍ଦ୍ରିଯିତ୍ତୁଣ୍ଡି ପ୍ରାକ୍ତରୀବେ ରାଜ୍ୟକ୍ଷେତ୍ରରୀର୍ଯ୍ୟକୁଣ୍ଡିନା



ბით, აღნიშნული ტერმინის ისტორიის რეკონსტრუქცია არ შეიძლება დასრულებულ უკუკულად ჩაითვალოს. მას მიზეზები თრგვარა. სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად ჰქონდება ზემოაღნის ზარი ისტორიული პრაქტიკის მიზეზი ქართველ მკვლევართა უმრავლესობის მიერ მომარჯვებული მეთოდოლოგია: მარქსისტული სოციოლოგია და, მით უმეტეს, მისი საბჭოური ვარიანტი, რომელი ისტორიული პროცესების აღვევაზური აღწერის საშუალებას არ იძლევა.

ამ უკანასკნელ მიზეზს ობიექტური მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს. მარქსიზმის გამოყენება აღარა ქართველი ისტორიოსებისათვის ფარალური აუცილებლობა. შერგებლის შემთხვევაში მათ უკვე მრავალი წელია შეუძლიათ ამ მეთოდოლოგიას აღტერნატივა მოუძებნონ განსხვავებით იმ მეცნიერთაგან, რომელიც წარსულში ქართველთა ეთნოგრაფიზის, ქართველი ერის ჩამოყალიბების და თვითდასახელების პროდლემებზე მუშაობდნენ. დახვეწილი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტარიუმისათვის ზრუნვა ძალიან არსებითია (ამას მინდა საგანგებოდ გაფუსვა ხაზი), როცა კენებით ისეთ რთულ უცნობების, როგორიცაა კოლექტიური იდენტობა.

რა ოქმა უნდა, არცერთი თანამედროვე ქართველი ისტორიკოსი (შესაძლო ორიოდ გამოიხადისის გარდა), არ აღიარებს (ალბათ, ვერც აცნობიერებს), რომ მარქსისტია. უმეტესობა საერთოდ გაურბის მეთოდოლოგიურ საკითხებზე მსჯელობას; ზოგი, მართალია, აკრიტიკებს მარქსიზმული ისტორიოგრაფიის (კალეგულ დასკვნებს, მაგრამ, ვინაიდან არც პირველი და არც მეორენი არ იყენებს (არ იცნობენ?) არავითარ სხვა მეთოდოლოგიას, მანიც რჩებიან მარქსისტული სოციოლოგიის (უფრო ზუსტად, როგორც ვთქვი, მისი საბჭოური ვერსიის) ტევეობაში).

მე გადაეწყვიტე ტერმინ ქართველის კალეგიისას ამოვიდე ეთნოსიმბოლისტური მიდგომიდან. ამიტომ, ვიდრე კონკრეტული ფაქტების ანალიზს შევუდგებოდე, აუცილებლივად აღნიშნული მიდგომის მოკლედ დახასიათება.

ეთნოსიმბოლიზმის ერთ-ერთი უუძემდებელი უკვე სხენებული ენტონი დ. სმითია. ამ მიდგომის ძირითადი დებულებების გადმოცემისას მე სწორედ აღნიშნულ მკვლევარს დავკურდნობი, მით უმეტეს, რომ მისი ბოლოდროინდებული გამოკლევა უკვე ქართველადაც არსებობს და ზემოთ დასახელებული წიგნის მეშვეობით მკითხველს თავადაც შეუძლია უფრო დეტალურად გაერკევს საკითხში.

სხითის მიხედვით, ეთნოკური და ნაციონალური იდენტობები კოლექტიური კულტურული იდენტობების მოდელებს წარმოადგენენ. მათ შორის არის მსგავსებაცა და ტურული იდენტობების მოდელებს წარმოადგენენ. მათ შორის არის სახავავებაც. განსხვავება არ არის საერთო ზოგადია, ნაცია უფრო სპეციფიური შემთხვევაა; აუცილებლივი ნაცია არ წარმოადგენს ეთნიკურ მოლიტზებულ ფორმას. მთავარი, რაც ნაციას ეთნიკასაგან განახავებს, არის საჯარო კულტურა, რომელიც გამსჭვალავს კოლექტივის წევრთა უმეტესობას სახელმწიფო ფორმის სტანდარტიზებული განათლების სისტემისა და სახელმწიფო ფორმის ინსტიტუციების მეშვეობით, მაშინ, როცა ეთნიკების შემთხვევაში კულტურა შეიძლება ცირკულირებდეს მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული სეგმენტის შიგნით. სმითს მოცემული აქვს ნაციისა და ეთნიკების დამახასიათებელი არსებითი ნიშნების სოლიდური ნუსხა. მიუხედავად ამისა, იგი აღმასახიათებელი არსებითი ნიშნების სოლიდური ნუსხა. ამისა, იგი აღმასახიათებელი ეთნიკებსა და ნაციებს შორის მკაფიო გამმიჯნავი ხაზის ნიშნავს, რომ პრაქტიკაში ეთნიკებსა და ნაციებს შორის მკაფიო გამმიჯნავი ხაზის ათველები, რადგან ნამდვილი საჯარო კულტურის ტიპი მხოლოდ ამ ეპოქაში ჩნდება. სახელმწიფო იმდენად არის ნაციის ატრიბუტი, რამდენადაც სტანდარტიზებულ



კულტურას უზრუნველყოფს. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ სმითის აზრით, კულტურული და ნაციის ერთმანეთის მიმართ არ წარმოადგენენ ეპოლუციურ მწერივებს სახისშესაც როგორც ვთქვა, შეიძლება ურთიერთის განგრძობადობად მოგვევლინონ, მაგრამ ამასთანავე პარალელურადაც არსებობდნენ. ისინი არც შეუქცევადნი არიან. კოლექტიური რი კულტურული იდენტობების ისტორიული განვითარების ნიუასების ჟაკეტ აღწერის სათვის სმითს სხვა ცნებებიც შემოაქვს. ესენია ეთნიკური კატეგორიული და ეთნიკური ქსელები. იგი მათ საცემურებს, უფრო კი, მოდელებს უწოდებს (საცემურის ცნების გამოყენებას, ჩანს, მიტომ ერთდება, რომ ევოლუციური განვითარების მწერივებად არ მიყინიოთ ისინი). მთავარი ისაა, რომ ეთნიკური კატეგორიის დონეზე ერთობას არ ახასიათებს თვითცნობიერება, ეთნიკური ქსელი კი ერთობის ისეთ ფორმად წარმოდგნილი, რომელიც შიდაჯგუფური ერთიანობის თვითშეგნების ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება. ამ მოდელების შემოტანით, სმითი, ფაქტობრივ, პრევენცური ვოთარების აღწერისათვის ტერმინოლიგიური ინსტრუმენტარიულით გვაიარადებს. ამგვარად, მხედველობაში გვაქვს ერთობები, რომელთაც საერთო წარმოშობის მითი ან არ გააჩნიათ, ან მხოლოდ იწყებენ მის შექმნას. ამის გამო, რომ ისინი არტეფაქტებში არ არიან დაფიქსირებულნი. მათ ტერიტორიაც კი არა აქვთ მყარი, რადგან მიმრაობენ. ამიტომაც ისტორიული დაკვირვებისათვის მოუხელობელი ხდებიან. ანუ ეს ერლექტიური შექიდულობის ის მდგომარეობაა, რომლის მოაზრება შეგვიძლია (მეცნიერებული აზროვნება დაინშეულებაც ის არის, რომ ფუნომენები, რომლებიც უშეაღლოდ არ გვეძლება დაბაში, რაციონალური მსჯელობების მეშვეობით შევიმეცნოთ), მაგრამ რომლებსაც ჩვენ ისტორიულ წყაროებში ვერ ვხედავთ, რადგან მათ არ დაუზოვრიათ კვალი არტეფაქტებში თავიანთი კულტურული განხომილებების სისუსტის მიზნით, ანდა პრინციპულად შეუძლებელი იყო, რომ ამგვარ არტეფაქტებს ჩვენამდე მოედწიათ. როგორც ითქვა, სმითი თანამედროვე ნაციებს ხანგრძლივი ეთნიკური განვითარების შედეგად მიიჩნევს. ამასთან იგი მიუთიობს, რომ მდგომარეობათა, მოდელთა ცვლილებების მოუხედავად კოლექტიური კულტურული იდენტობანი განგრძობადი და თვითიგივთორივი რჩება, რადგან ამ ცვლილებებს ყოველთვის გარევეული პარამეტრების ფარგლებში აქვთ ადგილი და ისინი ძალზე ნება მიმდინარეობენ. ამის შედეგითა, რომ ცვალებადობის მიუხედავად, თაობიდან თაობამდე ერთობის განგრძობადი თვითიგივურობა ნარჩენდება. ეთნიკური კატეგორიიდან ნაციამდე იდენტობის განვითარების უწყვეტი ხაზის წარმოდგენაც კი შესაძლებელი.

მინდა განგმარტო, თუ რატომა ჩემთვის ამჯერად ასე აუცილებელი ამ თვორის ული პოსტულატების მკითხველისათვის გაცნობა: შეიძლება ქართველის ისტორიის კლევამ აჩვენოს (როგორც ვნახავთ, ეს მართლაც ასეა), რომ საქართველო-კოლექტიურის განვითარების გარკვეულ პერიოდებში კოლექტივისა და მისი ინდივიდუალური წევრის თვითდასახელებანი რამდენადმე სხვა იყო, ვიდრე დღეს. ეს ფაქტი ზემოთ, ქმულის გათვალისწინებით არ იქნება არც მოულოდნელი და არც აღმაშფოთებელი, როგორც ზოგიერთს ამ შესავლის გარეშე შეიძლება მოგწენოს, რადგან გასაგები იქნება, რომ ქართული იდენტობა განგრძობადია, და ხაუკუნების სიგრძეზე თვითიგივთობიერიც, მაგრამ ეს განგრძობადობა არ ნიშნავს აბსოლუტურ უცვლელობას, პირიქით, ცვლილებებს გულისხმობს.

ფართო საზოგადოებას იდენტობის განგრძობადობა, ჩვეულებრივ, ესმის როგორც აბსოლუტური უცვლელობა. ქართული ერთობის რიგითმა (იგულისხმება არაპროფესონალმა ეთნიკური და ნაციონალური კლევების დარგში) წევრმა „დმანისევლადამიანსაც“ კი შეიძლება უწოდოს ქართველი და ამ პერიოდიდან ილაპარაკოს ქარ-



თევზე ერთგ ამის მიზეზი მარტო ის არაა, რომ ფართო საზოგადოება თევზე უფლებადი მოუმზადებელია. მთავარია, რომ ფართო საზოგადოებას ისტორია არ აძლიერებს მას შემცნების საშუალება, მას იგი ესაჭიროება, როგორც სტიმული შიდა ჯაზური სოლიდარობის სენტიმენტების აღორმინებისა და შენარჩუნებისათვის, და ამიტომაც მისთვის კოლექტიური იდენტობის განვითარებაში ისეთი ნიუანსი, როგორცა ცვალებადობა გარკვეული იგივერობის ფარგლებში, სრულიად ზედმეტი დაწალია. ფართო საზოგადოება მიმღებია, სმითის ტერმინი რომ გამოყიდვნოთ, მხოლოდ ეთნოსტრუქტოსა, რომელიც გულისხმობს წარსულის პერიოდულ ხედვას, მორალურ გაკვეთილებს და არ შეცნიერული ძიებებით მიღებულ შპრალ დასკნებს. ერთობის წევრთა უმეტესობისათვის, მაგალითად, შეძლება სულერთი იყოს კოლექტიურის აღმნიშვნელ სიტყვად ნათებავი გამოიყენება თუ ერ, ის, რომ ეს განსხვავებული ტერმინები კოლექტივის შეჭიდულობის სხვადასხვა მოდელს წარმოადგენს. ამაში ფართო საზოგადოებას ვერ გავამტკუნებთ, რადგან ისტორია რეალურად არის არა მარტო მცნიერება, არამედ კოლექტიური იდენტობის მარკერიც.

მიღებომა, რომელიც განგრძობადობას იაზრებს, როგორც აბსოლუტურ უცვლელობას, პრიმორდიალიზმად იწოდება. როგორც მთითისტულია, პრიმორდიალიზმი არსებითად თეორიული საფუძვლის არარსებობით არის გამოწვეული. პრობლემას ქმნის არა ის, რომ ფართო საზოგადოებას იდენტობის ისტორიის გააზრდებისას პრიმორდიალიზმი ახასიათებს (როგორც ვთქვი, ეს ბუნებრივია), არამედ ის, რომ პრიმორდიალისტთა შორის არიან პროფესიონალი ისტორიკოსებიც (პროფესიონალები, რა თქმა უნდა, უფრო სამცნიერო რეგალიებით, ვიდრე აზროვნების წესით). ხშირად ამ პატრიოტულად განწყობილ ადამიანებს გულწრფელად სჯერათ, თუ დაამტკიცებენ, რომ უძველესი დროიდან დღემდე ქართველთა თვითდასახელება უცვლელია, ყველასათვის (განსაკუთრებით, უცხოელთაოვის) უეჭველი გახდება ქართული ნაციონალური იდენტობის განვითარებადობა საუკუნეებში. ეს ნაიური შეხედულებაა. პრიმორდიალიზმი ის მიდგომა არ არის, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს ისტორიის კონტექსტუალიზმა მსოფლიო ისტორიაში. დასავლელ მკვლევართა უმეტესობის თვალში პრიმორდიალიზმი მომველებული, უარყოფილი მიღებომა. პრიმორდიალისტურ ეთნოსტრუქტოს, ჩვეულებრივ, იზიარებენ ისტორიული პროცესების უშუალო აქტორები - პოლიტიკები, ხალხის მასები და არა ამ პროცესების დამკაირებლები, პროფესიონალები, რომელთათვის მთავარია რეალობის შემცნება. იდენტობა, ისევე როგორც ყველაფერი სამყაროში აპოკალიფისურ დრომდე, ანუ ისტორიულ ეპოქაში, ცვალებადია და ამ ცვლილებების თვითდასახელებაში ასახვაც ბუნებრივია.

სხვათა შორის, პრიმორდიალიზმისაკენ, გარდა თეორიის არქონისა, მარქსისტული სოციოლოგიაც უბიძგებს. თეორიაში მარქსისტები მოდერნისტები არიან, კინაციის წარმოშობას მხოლოდ ინდუსტრიულ ეპოქაში მიიჩნევენ შესაძლებლად, მაგრამ ისტორიული კვლევების პრაქტიკაში თითქმის ყოველთვის პრიმორდიალისტებად გვევლინებიან: ერგად ისე საუბრობენ, როგორც უძველესი დროდან დღემდე უცვლელ ფენომენებზე. ამ პარადოქსის ასახსნელად და იმის საჩვენებლად თუ რაგვარ თეორიულ ბაზისს გავვითქნე, შევეცდები მოკლედ შეცვდარო ერთმანეთს ეთნოსიმბოლიზმი და საპტორური სოციოლოგია.

ეთნოსიმბოლისტური მიღებომისაგან ამ უკანასენელის პირველი განმასხვავებელი ისაა, რომ იგი ეთნიკურობის (წაიკითხ: კოლექტიური კულტურული იდენტობა) კონკრეტულ გამოვლინებებად მიიჩნევს ტომს, ერვნებას, ერს, ესენი, მარქსისტების



მიხედვით, არიან არა წმინდად ეთნიკური ფენომენების აღმნიშვნელი ტერმინები, არა მედ მიემართებიან კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციებთან განკუთხული მიაგვირებული ერთობებს. ამის გამო მარქსისტების მიერ ამ კატეგორიების კოლექტივური იდენტობის თვალსაზრისით დახასიათება ბუნდოვანია, არ არის რა გამოკვლილი მათ შორის სხვაობა. ეს კატეგორიები მიემართება ევროუციურად შეუძლებელ მწერიებს, ისინი მკცრად იერარქიულია და ამიტომაც მოუქნელი და მოუქნებელი რეალური, მუდმივად მდინარე, არასწორხაზობრივი ისტორიული პროცესების აღწერისათვის. ეს სქემა ეთნიკურობის (წაიკითხე: კოლექტიურული კულტურული იდენტობა) განგრძობადობასა და უწყვეტობას კი გულისხმობს, მაგრამ ცვლილებას საერთოდ ვერ აფიქსირებს. ცვლილება აქ მხოლოდ სოციალურ ფორმაციას ეხება. აი, ამიტომ არიან ეთნიკურ იდენტობაზე მსჯელობისას მარქსისტი ისტორიკოსები, როგორც წესი, პრიმორდიალისტები. უდიდესი ხარვეზია აგრეთვე ის, რომ ამ სქემას წინარე ეთნიკური მდგრმარების აღსწევი ტერმინი საერთოდ არ მოეპოვება. მისი იერარქულად ყველაზე დაბალი საფეხური - ტოში - არა სმითისეული ეთნიკური კატეგორიების, არამედ გარევეულად ეთნიკური შესატყვისი ერთობის აღმნიშვნელია. ამის შედეგია ის, რომ მარქსისტ ისტორიკოსებს, მაშინაც, როცა პრევონიკურ უტაპებზე მსჯელობენ, ამ ტერმინით უწევთ ოპერიება და ისტორიულ წყაროებში დაფიქსირებული ეთნიკური ერთობების სახელწოდებებს არამართებულად უსადაგებენ მხოლოდ მოაზრებად პრევონიკურ ერთობებს. სამწუხაოდ, ამის თვალსაჩინო მაგალითები უხვად გაჰქის ქართულ სინამდვილეში და ამის მიზნებითა, რომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მიერ წარმოდგენილი ქართველი ერის ისტორიის სურათი არსებით კორექტივებს საჭიროებს.

\* \* \*

**ქართ-ული** მორფოლოგიურად სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვაა: ქართ სიტყვის ძირითადი სეგმენტია, რომელსაც დაერთვის მატოპონიმირებელი კ სუფიქსი, მერე სადაურობის მაწარმოებელი ყლ სუფიქსი და ბოლოს ბრუნვის ნიშანი. შეუ საუკუნეებში დასტურდება მისი ფონეტიკური ვარიაცია ქართ-ული. ამ ვარიაციის გაჩნის წარმოშობის მოაზრება სირთულეს არ წარმოადგენს: ადრე უმარცვლო უნი და თანხმოვანი ვინი მკაფიოდ იყო გამიჯნული. შემდგომში ამ ორ ბგერას შორის ფონებატური ოპოზიცია დასუსტდა და მოიშალა. შედეგად მეტყველებაში ბგერათა ურთიერთმონაცვლები დაიწყო, რაც დაწერილობაშიც აისახა. სწორედ ასე, ქართ-ულისაგან უნდა წარმომდგარიყო ქართ-ული<sup>4</sup>.

ქართული ქართ-უს მოსახლეებს ნიშანებს. მართალია, ქართულ მედიევალურ ისტორიოგრაფიაში ქართ-უ-იქართ-უ დადასტურებული არ არის, მაგრამ, იგი ადღგება თავად სიტყვა ქართ-ულ-ში. ამასთან, ასე გაფორმებული ტოპონიმი ქართული სინამდვილისათვის უცხო არ არის. მაგალითად, “წმიდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში”, გვხდება ტოპონიმი ნეძ-ქ. ნეძ-ქ, უკვევლია, ნაძენარს ნიშანებს. ქართ-უ-ც ანალოგიურად უნდა გაფიგოთ როგორც ტერიტორია, რომელზედაც იმყოფებიან ქართ-უ-ი. არც ქართ-უ-ი არ მოიხსენიება უძველეს ქართულ ნარატიულ წყაროებში, მაგრამ ამგარი სიტყვის აღდგენის საშუალებას იძლევა თავად სიტყვა ქართ-ული და ამაზე უფრო ავთენტური წყარო სხვა რადა უნდა იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვთქვი, ტერმინ ქართ-ულ-ს ჩემამდე არაერთი სპეციალისტი შეხებია, არავის აღუდგენია მისი საშუალებით ტოპონიმი ქართ-უ- ამის მიზეზი ისაა, რომ ყველანი ქართველს ქართლს უკავშირებდნენ, მისგან წარმომდგა-



რად მიიჩნევდნენ. გარევეულ პერიოდში ისტორიული წყაროებით საქართველოში მომზადებით მას ჩაინაცვლა ქართლელი და, ჩანს, ეს ფაქტიც მოქმედებდა ქვეცნობიერად და ცხადია, ისიც, რომ ზოგი მკლევარი საერთოდ ვერ ამჩნევდა გრამატიკულ პრობლემას. თუმც ზოგს, მიუხედავდ იმისა, რომ აქ დაბრკოლებას აფიქსირებს, ეს გარემოება ჰქომარიტების დადგენისაკენ სულაც არ უბიძგებს: დაბრკოლებისათვის გევრდის ავლით, მშეიდად განაგრძობს ქართულის ქართლისაგან წარმომდგარად მიჩნევას და მასზე მსჯელობას, რაც ძალზე სამწუხაროა. სპეციალისტმა არა მარტო უნდა დააფიქსიროს პრობლემის არსებობა, კითხვაც უნდა დასვას ამასთან დაკავშირებით (პროფესიონალიზმი ბოლოსდაბოლოს კითხვების დასმის ხელოვნებაა) და მასზე პასუხის მოძებნას შეეცადოს. აშკარაა, რომ ქართული ქართლისაგან არ მომდინარებს. ამ სიტყვებს, მართალია, აქვთ საერთო სეგმენტი ქართ, მაგრამ ქართლში დამატებით გვაქს და სუფიქსი, რომელიც არ არის ქართულში, ხოლო ქართულში გვაქს უ სუფიქსი, რომელიც არ არის ქართლში. გრამატიკული პროცესი, რომელსაც ამგვარი ცვლილებები შეიძლება გამოიწვია, უცნობია. ამიტომ ისმის კითხვა: რატომ არ წარმოდგა ქართული ქართლისაგან?

იმისათვის, რომ ქართული ქართლისაგან მომდინარეობდეს, დაცული უნდა იყოს ერთი უმთავრესი პირობა: ქართლი ტოპონიმს უნდა წარმოადგენდეს. დღეს, ისევე რიგორც ძალიან ხშირად ჩვენთვის ხელმისაწვდომ ისტორიულ წყაროებში, ეს ტერმინი სწორედ ტოპონიმადა გაგებული. მაგრამ ეს ვითარება იმას როდი ამტკიცებს, რომ ტერმინს ყოველოვის აღნიშნული მნიშვნელობა ჰქონდა. უძველეს ქართულ პაგიოგრაფიულ თხულებაში “წმინდას არქეტიპულ რედაქციაში (IVს) გეხდება ფრაზა “ქუფანად ქართლისად”: “ხოლო ამას ქუფანასა ქართლისასა იყენებს ორნი მთანი და მათ ზედა ორნი კურნი, არამაზ და ზარდებ”.<sup>6</sup>

მსოფლიო ისტორიამ ანალიგიური სტრუქტურის უამრავი ხორნიმი იცის. მათი შემადგენელი ორი სიტყვიდინ ერთ-ერთი უძველეს არის საზღვრული, რომელიც, როგორც წესი, ტერიტორიის აღმნიშვნელი სიტყვაა, მეორე კი მის მსაზღვრელს წარმოადგენს. მსაზღვრელის საშუალებით ხან მიწის სიმწვანეა აღნიშნული, ხან მისი ყინულოვნება, ხან სიწინდე, ხან სიახლოეს ზღვასთან და ა.შ., ხან კი ისაა განმარტებული თუ ვისი ეუთენილება ეს მიწა.

ფრაზაში ქუფანა ქართლისა პირველი სიტყვა არის საზღვრული და იგი წარმოადგენს ტერიტორიის აღმნიშვნელ სიტყვას. ამიტომ გამორიცხულია, რომ მსაზღვრელიც, ვ.ი. ქართლი, ასევე ტერიტორიის აღმნიშვნელი ტერმინი იყოს. ის ნათესაობით ბრუნვაში დგას და მიუთითებს კუთხოილებაზე. აქედან იმ დასკვნის გაეკობა შეიძლება, რომ ქართლი იმ ხალხის სახელია, ვისაც ეკუთხის ეს ქუფანა. ამგვარად, პასუხი ეცემა კითხვას თუ რატომ არ წარმოდგება ქართული ქართლისაგან სადაურობს აღმნიშვნელი სიტყვა (ასეთია ქართული მორფოლოგიურად) არ შეიძლება წარმოებულ იქნეს ეთნონიმიდან (ასეთია ქართლი, როგორც გაირკვა).

ამრიგად, იყო დრო (შექიდულობის რაობას ამჯერად მე ვიკვლევ არსობრივად. ისტორიულ კონკრეტულობასთან – საუკუნესთან, გეოგრაფიულ არეალთან – ამ ანალიზის შედეგების დაკავშირება ცალკე პრობლემაა. არც გამოყენებული ისტორიული წყაროების თარიღი ვრცელდება მექანიკურად ტერმინებში: წყაროებში შეიძლება ძველი ეპოქის ტერმინი იყოს რელიქტურად შემორჩენილი ან, როგორც ეს გარდამავალი ეპოქებისათვის არის დამასასიათებელი, ძველი და ახალი ტერმინები მოცემული იყოს ერთად, რადგან ისინი რეალურადაც თანაბარსებოდნენ), იყო ქუფანა, სახელად



ქართვ და მასზე მოსახლე კოლექტივს ეწოდებოდა ქართლი. მაგრამ თუ ქართველები ნორუმინი იყო, რადა იყო მაშინ ქართველი/ქართველი? ამ კითხაზე პასუხის გაცემის საშუალებას იგივე ძეგლი იძლევა. ქართველი აქ გამოყენებულია ეთნიკურად არაქართველთა, კერძოდ, ებრაელთა მიმართ: “ხოლო სამოსელი იგი ხედა ქართველთა ჰურიათ”<sup>7</sup>.

ქართველი/ქართველი ნიშნავდა ქართების (ე. ქართლი-კოლექტივის) მიერ კონტრლირებადი ტერიტორიის მოსახლეს, ეტყობა ზოგჯერ სწორედ არაქართს. ქართლი-კოლექტივის აზროვნება ერთმანეთისაგან მკაფიოდ მიჯნავდა (არა ფიზიკური სახლერით, არამედ აზრობრივ, და ეს ძალიან მნიშვნელოვანია) საკუთარ ერთობას უცხოთაგან. ეს იყო ქართლი-იდენტობის გესტდუზიური განვითარების ხანა “საქუთარ” უცხოთა პირისპირ. ქართლი-კოლექტივის მიერ კონტრლირებადი ტერიტორია, რომ პოლიტინიკური იყო, ამაზე ლეონტი მრიველის ცნობა ექნა ენაზე მოღაპარაკე მოსახლეობის შესახებაც მეტყველებს. ლეონტისაც გააზრებული აქვს ზემოთ აღნიშნული ჩეგ-სხევა საზღვარი და შემთაქვს ქართლი-კოლექტივის ეკვივალენტური ტერმინი – ქართლობიანი. ქართლის ქართლი-ერთობის საერთო წინაპრის სახლითა. იგი ტოპონიმი ქართლიდან კი არ წარმოდგება, როგორც პგონიათ ხოლმე, არამედ ეთნონიმ ქართლიდან, საერთო წინაპრი შეიძლება ჯგუფს ჰყავდეს და არა ტერიტორიას (შერ. “ქართლის ცხოვრება” – აქ კოლექტივის ცხოვრებას ეხება საქმე და არა ტერიტორიის ან გუოგრაფიული რეგიონის). აშკარაა, ლეონტი მრიველმაც იცოდა, რომ ქართლი ეთნონიმი იყო, თუმც, უმტრეს შემთხვევაში, ამ სიტყვას იგი, მისი ეპოქის შესატყვისად, ტოპონიმის აზრით ხმარობს.

ამგვარი მსჯელობა წამოჭრის პრობლემას. იგი წარმოიშობა არაქართველ ნაციონალისტთა მხრიდან საქართველოს ისტორიით მანიპულაციებისა და მათ ამ მოქმედებულებული ქართველთა მხრიდან პასუხების მიზეზით. ასე რომ, ეს პრობლემა იმანენტურად მეცნიერული ხასიათის არ არის, ე. არც ჩემი თვალსაზრისის ლოგიკური პრობლემა არაა. მიუხედავად ამისა, მე მაინც საჭიროდ მიმანია მასზე შექრებება.

ზოგიერთ პოლიტიზებულ არაქართველ მეცნიერს ტერმინ ქართველის ასეთი არაერთმნიშვნელოვნება, კერძოდ, ის, რომ იგი უბრალოდ სადაურობის აღმინშვნელი სიტყვაც არის და ამავე დროს შეიძლება ეთნონიმიც იყოს, აღუძრავს სურვილს, რომ ეს ვთიარება ქართული იდენტობის ისტორიაში არაქართველების განსაკუთრებული როლის დასამტკიცებლად გამოიყენოს. ამგვარ მცდელობებს, არამეცნიერული მინენტით მოტივირებულთ, კონკრეტული პასუხები ან უკვე გაცემული აქვთ, ანდა მომავალში გაცემათ. ზოგადად კი უნდა ითქვას: ალბათ, მართლაც, იყო არაერთი არაქართველის პიროვნული დადგებითი დვაწლი ქართული ერთობის კონსოლიდაციაში. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ამ ინდივიდებს უნდა ემოქმედათ უკვე როგორც ამ ერთობაში სრულიად ჩართველთ და გათქვევილთ, არსებითად როგორც უკვე ქართველთ. როგორც სხევბს, არაქართველებს, ობიექტურად შეეძლოთ გამოეწვიათ ქართული ერთობის შიდა კონსოლიდაცია, ოღონდ სუბიექტურად ეს იქნებოდა მათი მხრიდან დაპირისპირება, შევიწროება, აგრესია (არა მარტო სამხედრო, არამედ კულტურულიც). სხვა იმიტომ არის სხვა, რომ ასე გვექცევა. ვინც ასე არ გვექცევა, ის რეალურად სხვა არც არის.

პოლიტიზებული ისტორიოგრაფიული შემოტევებისათვის პასუხის გასაცემად, ზოგიერთი ქართველი მეცნიერის აზრით, ასევე საჭიროა წყაროებით მანიპულაცია და იმის მტკიცება, რომ ტერმინი ქართველი ყოველთვის ეთნიკური მნიშვნელობით გამოიყენებოდა. ამის არგუმენტად ზოგჯერ მოიხმარებ წყაროებში დადასტურებულ



ფრაზას ნათებავით ქართველია. ბუნებრივია, ვისაც ეს ტერმინი მიემართებოდა ის ეთნოგრაფიულ ნიკურად ქართველად მოიაზრებოდა, ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება უფლებიშეუსავა აზრი. მაგრამ, ამავე დროს, ისიც აშეარა, რომ სიტყვა ქართველისათვის ამგვარი მსახლეობის დართვის საჯიროება ცხადყოფს: ქართველი ყოველთვის ეთნოტერმინს არ წარმოადგენდა. ეს ნიუანსი არ უნდა დაიკარგოს, იგი ქართული ერთობის, იდენტობის განვითარების სურათის მეტად საინტერესო შეტრიხია. კუიქრობ, არ არის მართებული ჩვენი ისტორიის გადარიბება იმის გამო, რომ ერთ ვახერხებთ მეცნიერული პასუხი გავცე არამეცნიერულ გამოხდომებს და არც, სხვათა შორის, ყალბისმექნელებთან მათვე მეთოდებით ბრძოლა. ქართველთან დაკავშირებულ საკითხებს მე ქვემოთ კიდევ დაუჭირუნდები. ახლა კი ტერმინ ქართლის ანალიზს განვაგრძობ.

ყველა, ვინც კი შეხებია სიტყვა ქართლ-ს, იგი მასში გამოსულის ქართ ძირითად სეგმენტს და ლ სუფიქსებს<sup>8</sup>. მაგრამ არავინ განმარტავს რა ფუნქციისაა ეს სუფიქსი. “ქართ-ლ-ი ხომ არ არის იგივე ქართ-ნ-ი?” ამ კითხვას სკამდა ნბერძენშვილი<sup>9</sup>. ეს კითხვა მაფიქრუბინებს, რომ მკვლევარი არ გამორიცხავდა, რომ ლ სუფიქსი მრავლობითის მაწარმოებელი სუფიქსია. ლ სუფიქსის სიტყვა ქართლში მრავლობითის მაწარმოებულად მიიჩნევდა ს.ე.კაბაძეც, თუმც მისი შეხედულება თავად ქართლის შინაარსის შესახებ სულ სხვად. იგი აქ არა კოლეგიუმის წევრების სიმრავლეს, არამედ შენობათა სიმრავლეს გულისხმობდა<sup>10</sup>. ასე რომ, ქართლს ს.ე.კაბაძეც ტოპონიმად მიიჩნევდა. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემთვის საინტერესოა ლ სუფიქსის ფუნქციის შესახებ მისი თვალსაზრისი.

6. ბერძენიშვილის პასუხი დასმულ კითხვაზე, კუიქრობ, დადებითი უნდა იყოს: ბუნებრივია, რომ კოლეგიუმის სახელწოდება მრავლობის გაგებას შეიცავდა. ოღონდაც, ჩემი დაკავირებებით, ლ სუფიქსი ნ სუფიქსის იგივეობრივი არაა, არამედ მრავლობითის სპეციფიკური მაწარმოებელია. სიტყვები, რომლებსაც ეს სუფიქსი მოუდის, არიან, როგორც წესი, ორგვარი შინაარსის: ან აღნიშნავენ განურჩევლად ერთგვაროვანიან, როგორც წესი, თეს-ლ-ი და ა.შ.; ანდა – არსს, ნივთიერებას, სტიქას, რომლებიც სუბსტანციურ ერთს წარმოადგენენ, მთელ სამყაროში განუენილობის მიუხედავად (მად-ლ-ი, კვრცებ-ლ-ი, ცეცხ-ლ-ი და ა.შ.). ის, რომ ასეთ სიტყვებს თანამედროვე ქართველისათვის დამახასიათებელი ებ-იანი მრავლობითი არ წარმოებათ, დამატებითი არგუმენტია იმ დამახასიათებელი ებ-იანი მრავლობითი არა არამოებათ, დამატებითი არგუმენტია იმ აზრის სასარგებლოდ, რომ მრავლობითის გაგებას მათში ლ სუფიქსი იძლევა.

ერთობა, რომელსაც მიემართებოდა თვითდასახელება ქართლი, თავს პომოგენურ, სუბსტანციურად განუეციფელ სოციალურ ორგანიზმად მოიაზრებდა. ამაზე მეტყველებს სუფიქსი ლ უკვე საქმაო ხანია ცნობილია და დასავლეთში წარმატებითაც ლითონება ლინგვისტური კულტუროლოგია – მეცნიერების დარგი, რომელიც ენობრივი მონაცემების მიხედვით სწავლობს ადამიანის მენტალობას, მის მიერ კულტურული კატეგორიების პერცეპციის თავისებურებებს სხვადასხვა გარემოში. ამ მიმართული კატეგორიების სიტყვა ქართული მასალაზე გამოყენების საინტერესო ცდებს და დასავლეთში მეცნიერების ქართულ მასალაზე გამოყენების საინტერესო ცდებს კვლებით ქართველოლოგიაში<sup>11</sup>. კვლევის ფოკუსში მოხვდა ქართული მეტაფორული ფრაზოლოგიზმი. სიტყვა ქართლის ანალიზიან დაკავშირებული შემთხვევა, კი, როგორც ითქვა, ერთ სუფიქსს შეეხება. მიუხედავად ამისა, მისი საშაულებით ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას ვიღებთ. შეჭიდულობის ამგვარი განცდა სისხლით დამოანიშნებოდის იდეის საფუძველზე შეიძლება წარმოიშვას. ხალხის მოაზრება პომოგენური, სიმრავლის სახით ფსიქოლოგიური უნივერსალია ჩანს: ბერძნული სიტყვა კუ-



ნოხი, როგორც ეს არაერთხელ იყო ხაზგასმული სპეციალურ დიტერატურული ჟურნალები მარტო ადამიანთა პოლულაციის, არამედ საზოგადოდ პომოგნური ერთობის აღმიშვნელი ტერმინია, იგი მიემართობოდა არა მარტო ხალხებს, არამედ ჩიტების გუნდს, უშტრების ნაყარს და ა.შ.<sup>12</sup>

ახლა გასაგები ხდება, თუ რატომ არსებობდა ეთნოტერმინ ქართლის პარალურად ქართველი, როგორც ქართების სამყოფელი ტერიტორიის მაცხოველის აღმიშვნელი ზოგადი ტერმინი. ქართლი-კოლექტივი წარმოადგენდა სისხლის ერთიანობის იდეით გაერთიანებულ ჩაკტილ ჯგუფს, რომელიც ვითარდებოდა. ახე ვთქვათ, ექსლუზიურ რეჟიმში. ამ დროს ჩვენ-ჯგუფის ამოცანა იყო შიდაჯგუფური კონსლიდაცია.

როგორც ადგნიშნე, ამ გამოკვლევაში მე ვერ შევეხები კონკრეტულ ისტორიულ რეალიებს, რადგან ეს სულ სხვა ტიპის და თავისი მოცულობით ძალზე დიდი სამუშაოა, პრინციპიში მომავალი ქართული ისტორიოგრაფიის საქმე მაგრამ მაინც არ შეიძლება აქვე არ ითქვას ზოგიერთი ფაქტის შესახებ. კერძოდ, მინდა მოვახდინო ქართლი-კოლექტივის ანუ ქართა-ერთობის მოდელის სავარაუდო ატრიბუცია სმითის მიერ გამოყოფილი იდენტობის მოდელების მიხედვით. სრულიად აქარაა, რომ ქართლი-კოლექტივი არ არის არც ეთნიური კატეგორია, არც ეთნიური ქედი, რომ არქევანი ეთნიკა და ნაციას შორის უნდა გაცემდეს. ალბათ უფრო ეთნიურ შეიძლება ლაპარაკი, რადგან აქ ჯგუფის წერილის საერთო წარმომავლობის პრინციპიც იყვეობა და ჯგუფის ექსლუზიური განვითარების რეჟიმიც. თუმცა, ასეთი პარამეტრები არც ნაციისათვის არის გამორიცხული.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ქართს მიიჩნევს ტომად, რომელიც მარქსისტულ სოციოლიგიაში სისხლის ერთობაზე დაფუძნებული ჩვენ-ჯგუფია. მეოთხეელს ვთხოვ მხედველობიდან არ გამორჩეს განსხვავება: ტომის შემთხვევაში ლაპარაკია მხოლოდ რეალურად სისხლით ერთობაზე, ეთნიკ შემთხვევაში სისხლის ერთიანობის იდეა მთვარი, რადგან, ითვლება, რომ ერთიანობის ფიქტობრივობის დროსაც ეს იდეა მაკონსოლიდებული ფაქტორია. რახან ტომი რეალურად არსებულ სისხლისმიერი ერთობას ნიშნავს, იგი, ჩვეულებრივ, ძალზე მცირერიცხოვნად წარმოიდგინება. ამ შემთხვევაში კულტურის განვითარებაც, ბუნებრივია, მხოლოდ უნიკერსალიების დონეზე შეგვიძლია ვიგულისხმოთ. აი, ასეთ ერთობად არის მიჩნეული თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართა-ერთობა. მისი ტერიტორიული განსახლების არეალიც შესაბამისად ძალიან ვიწროდ აქვთ ლოკალიზებული: არმაზის მთა და მისი შემოგარენი. და რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა გვეკვენებოდეს, ქართველად ყოფნის საფუძვლად ამ ერთობის კულტურული და ბიოლოგიური ექსპანსია მიაჩინათ.

წყაროებიდან სავებით უსისტემოდ ამოკრებილი მასალებით რადაც სიებია შედგენილი, მაგალითად: გუგარნი, კახნი, მესხნი, ჯავახნი, შავშნი, ტაოელნი, კლარჯნი, ივერნი, კოლხნი, ზანნი, ლაზნი, მეგრნი, სვანნი. მათ ეწოდებათ ქართველური(?) ტომები ისე რომ მცდელობაც კი არ არის იმის გარევეისა, თუ რომელი მოდელის ან რა ტიპის იდენტობებთან გვაქს საქმე, იქნებ ისინი რეგიონალური იდენტობებია და არა ეთნიკური, იქნებ სხვადასხვა სახელს უქან ერთი და იგივე იდენტობა იმალება, ან ერთი და იგივე სახელი არსებითად სხვადასხვა იდენტობას მიემართება. მეკლევრები ამ კითხებზე პასუხს არ სცემენ, ისინი უბრალოდ არც კი სვამენ მათ, მაგრამ, ცხადია, რომ ეცადათ კიდევ ვერას გახდებოდნენ, რადგან კოლექტიური კულტურული იდენტობების რაიმე კვალი, რომელთაც ეს სახელები მიესადაგებათ,



არტეფაქტებში არ დასტურდება. ეს ეწ. ტომები პირწმინდად, ასე ვთქვათ, აქტერების განცხადა რი ფანტაზიის ნაყოფია. ნათქვამი უფრო გასაგები რომ იყოს, მივმართოთ ქონქრეტულ მაგალითს, ვთქვათ, ეწ. შემცების ტომს. განა ვინდეს აქვს დაფიქსირებული შავ-შური იღენტობის რომელიმე მარკერი? ვიცით კი რაიმე შავში-ერთობის წევრთა შიდა შეჯიდულობის და ამ შეჯიდულობათა პერცეპციების შესახებ? როცა დაბჯეოთებით ვლაარაკობთ, რომ არსებობდა რაღაც ერთობა, რომელიც შეესაბამებოდა მარქსისტული სოციოლოგიის კონკრეტულ ეთნიკურ ფორმას, ნუთუ არ მოგვთხოვება განვმარტოთ რას ვემჟარებით? რეალურად არტეფაქტებში ჩვენ ყველგან საქართველოს დასავლეთში, თუ აღმოსავლეთში გვეძლევა მხოლოდ ქართულ-ი კულტურა, მხოლოდ და მხოლოდ ქართო-იდენტობის კვალი. მაგრამ ეს გარემოება ტომთა აბსურდულ სიმრავლზე არ ათქმევინებს მკალევართ უარს. ამის ნაცვლად ისინი საუბრობენ „ტომების“ ასიმილაციაზე ქართის ტომის მიერ. როგორც ითქვა, შეჯიდულობის ქართოდონე არის ჯგუფის განვითარების ექსკლუზიური რეჟიმის მდგომარეობა. ამ დროს პრინციპულად შეუძლებელია ჩანდეს ჯგუფის მიერ გარეშეთა აბსორბციის პროცესი. ქართი ის კოლექტივია, რომელიც თავს მიჯნავს სხვათაგან და არა ის კოლექტივი, რომელიც სხვების ჩაყლაპახს („ქართი ტომოყლაპია“) – ეს სახოვანი გამოოქმნა კერძონის ქართველ მარქსისტ ისტორიკოსთა შორის ყველაზე ორგანიზაციურად მოაზროვნეს – ნბერძენიშვილს) ესწრავვის, რადგან ეს ჩაკტილი ჯგუფის სახელწოდება.

ქართიზაციის თეორიის უარყოფის საჭიროება, რაზედაც დღეს დაინიებით მიუთითებს ზოგი მკვლევარი, სავსებით მართებულია, მაგრამ არასწორია ამის გამო ქართის უარყოფა. ქართების კოლექტივი ანუ ქართლი ეს იყო ჩვენ-ჯგუფი, რომელიც უკვე, სულ მცირე, ეთნიკური მარამეტრების ჩამოყალიბება მანამდე მომხდარი ფაქტი ჩანს, ვიდრე ქართველი ეთნოტერმინად გადაიქცევოდა, რადგან გაექს ქართული და არა ქართველური (ეს უკანასკნელ მხოლოდ ბოლო ხანებში მეცნიერებით მიზნებით შემოღებული ხელოვნური ტერმინია). საერთოდ მას შემდგაც რაც ქართლს და ქართს საქართველო და ქართველი ჩაენაცვლა, ქართლი მაინც ინარჩუნებდა (და ინარჩუნებს დღესაც) განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც მოდგმის, ჯიშის აღმნიშვნელი სიტყვა. საინტერესოა თამარის გარდაცვალების ფაქტონ დაკავშირებით მისი მეორე ისტორიკოსის მიერ ქართლის გამოყენება მოელ ერთბასობა მიმართებით: “მაშინ განვიდეს ყოველი მწარევდ მწირალნი. და თამარ დაიძინა ძილი იყო მართალთა თვეება იმა და აღიქსო მზე ქართლისა”<sup>13</sup>. და ეს მაშინ, როცა არსებობს საქართველო და ვიწრო გეოგრაფიული აზრით გაგებული ქართლი. სხვათა შორის, აღნიშვნული მაგალითი მოჰყავდა სჯანაშიას, იმის საჩვენებლად, რომ ქართლს ფართო მნიშვნელობაც ჰქონდა. ს-ჯანაშია ამ ტერმინს აღნიშვნელი ტერმინი, უპირისისირდება პოლიტიკურად გაგებულ საქართველო-ერთობას. როცა ჩვენ ვამბობთ ქართლის დედა, ცხადია, ქართლში ვგულისხმობთ მოელ მოდგმას და არა მარტოდენ საქართველოს ერთ-ერთი ეთნოგრაფიული კუთხის – ქართლის – მოსახლეობას.

რადა თქმა უნდა, ერთობის შეჯიდულობის გააზრებაში უზარმაზარი ცვლილებას წარმოადგენდა ქართველის გადაქცევა ეთნოტერმინად. ზუსტად როდის დაიწყო ეს პროცესი, მნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, XI საუკუნეში აშკარად გვხდე-

ბა ტექსტებში ფრაზა ნათესავით ქართველი. ის, რომ სისხლით ნათესაობის აღმნიშვნელი თვითდასახელების აღგიღილი დაიკავა მორფოლოგიურად სადაურობის უზღვეულებელი კვერცხმა სიტყვამ, ერთობის ცხოვრებაში მომხდარ დიდ გარდატეხაზე მიუთითებს: ჩვენ-ჯგუფის წევრობის პრინციპში სიმბიოს ცენტრმა სისხლით ნათესაობის იდენტურობის მიზანით მისი აუცილებელი იყო ეჭვის განვითარება, ახლა მას, შინაგანად უკვე სავსებით კონსოლიდებულს, შეეძლო საზღვრების ნაწილობრივი გახსნა მის მიერ (კულტურულად, პოლიტიკურად) ქონტროლირებადი სხვა ეთნოსების აბსორბციისათვის. როგორც ცნობილია, ასეთი რამ განვითარების ნაციონალურ ეტაპს ახასიათებს. ნაციონალური კონსოლიდაცია ხშირად ხორციელდება ეთნოკური საზღვრების გადაკვეთით. თუ აღნიშნული ცვლილების თარიღი მართლაც XI საუკუნეა, კითარება ადგილად განსამარტავი ხდება: ამ დროისათვის მიღწეულია ქართული კულტურის განვითარების მაღალი დონე, მიმდინარეობს გეგმაზომიერი მუშაობა ენის სტანდარტიზებისათვის, არსებობს სავსებით ჩამოყალიბებული ისტორიოგრაფია, ფილოსოფია, არქიტექტურა, ქართული განათლების ("ქართული სწავლა") სპეციფიკური სისტემა და ა.შ. უკავება ამას კი მეურვეობებს უნიტარული სახელმწიფოს პოლიტიკური ინსტიტუციები. სწორედ ასეთ ხელსაყრელ ვთავარებაში ჯგუფს უწნდება შინაგანი რესურსი განახორციელოს იდენტობის საზღვრების ნაწილობრივ გახსნისა და ჩვენ-ჯგუფის წევრებად სხვაგან უმტკივნეულოდ მიღების ურთელესი პროცესი. აღნიშნული მოვლენა ასოციაციას აღმრავს თანამედროვე დასავლურ სპეციალურ ლიტერატურაში სათანადოდ შესწავლილ ფენომენთან – იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით კულტურული და პოლიტიკური ნაციონალიზმების სტრატეგიულ ურთიერთობასთან<sup>15</sup>.

ქართლი-კულტერი არ იყო ერთობის ექსპანსიური მოდელი, პირიქით, იგი თავს სხვებისაგან მიჯნავდა, ხაქართველო-კულტერი კი სწორედ სხვათა მიღებაზე იყო ორიენტირებული. გარეკაულ პერიოდებში ჩვენ-ჯგუფს, რომელსაც დღეს ქართველი ერი ეწოდება დაიხაც ახასიათებდა კულტურული ექსპანსია, მცდელობა ეთნიკური სახლვარი გადაჰქიმა პოლიტიკურ საზღვრებამდე. ამაში არაფერია უზევულო (ყველა კოლექტიური კულტურული იდენტობა ასე ვთარდება), მით "უმეტეს, დასახმრახი. როცა ამის ძალა შესწევდა, ეს ერთობა სხვაგან ისრუტავდა და "ინელებდა" პირებ ანუ აქართველებდა. ოღონდაც, ქართველი საციის პროცესი, რომელსაც ქართველი პროცესისაგან განსხვავებით, უდავოდ პქონდა აღგიღილი ჩვენი ისტორიის გარკვეულ ეტაპებზე (აქვს და მომავალშიც ექნება), სწორად უნდა გავიგოთ.

ამისათვის კიდევ ერთხელ უნდა დაუბრუნდეთ ტერმინ ქართველს. როგორც უკვე აღნიშნე, თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთა შორის ზოგიერთი თვლის, რომ ქართველი ყოველთვის ეთნოგრამინი იყო და მიემართებოდა ზუსტად ისტოივე ერთობას, როგორიც დღეს იწოდება ქართველი ერად. სხვა მეცნიერთა აზრითაც, ქართველი თავიდანვე ეთნონიმია, ოღონდ მიაჩნიათ, რომ იგი ერთი ეთნოგრაფიული კუთხის წარმომადგენლის სახელწოდებაა. ქართველსა და ქართს შორის ამ მცნიერთა მიერ, ფაქტობრივ, ტოლობის ნიშანია დასმული. ამიტომ გაქართველებაც არსებითად ქართიზაციის სინონიმად წარმოუდგენიათ. ქართს/ქართველების ანუ კონკრეტული ეთნოგრაფიული კუთხის მკვიდრთა ექსპანსიის შევები, მაგალითად, კახთა,

ქართა, მეცნიერთა და ა.შ ტრმები, ამ თვალსაზრისის მომხრეთა შეხედულებით, ქართველები და ლეგი ხდებიან. ამის შედეგად X საუკუნისათვის ყალიბდება ქართველი ეროვნული კულტურული რად, ქართველი ეთნოგრაფიული კუთხის მეცნიერის სახელწოდებიდან გადაიქცევა ფართო ერთობის წევრის სახელწოდებად. ე.ი. ქართველი ერი (ნაცია) – კულტურულ ჰოლიტიკური კრცელი ერთობა – აღმოცენებულა სისხლით ერთიანობაზე დამყარებული ერთობების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ერთობას ერს უწოდებენ, რაც პირველ რიგში კულტურულად პომოგენურ პოპულაციას გულისხმობს, ამ მკლევერებს სულაც არ პონიათ ქართველი ერი პომოგენური. ისინი ფიქრობენ, რომ მასში მაციოდ განიორევა აღნიშნული მცირერიცხოვანი პირველყოფილი ერთობების – ტრმების – გონიტურები. თანამედროვე მკლევართა ეს არამეცნიერული, თვალსაზრისები წინა თაობის ქართველ ისტორიკოსთა შეხედულებებიდან იღებენ სათავეს, ოდონდ ისინი კიდევ უფრო არათანამიმდევრული და დაუხევნავია, თავად მარქსისტი ტული სოციოლიგიის თვალსაზრისითაც კი, რადგან პირველი ქართველი მარქსისტი ისტორიკოსების თანამედროვე მიმდევრები, როგორც ყოველგვარი თეორიისადმი ნაპილისტებურად განწყობილი მკლევერები, ჩევულებერიც, მაღალ ცუდი მარქსისტებიც არიან. ამიტომ, თუმც ხშირად წინამორბედთა ნააზრევით იკვებებიან, მათი შეხედულებების გაუარესებულ ცერსიებს გეთავაზობენ.



რეგიონალურ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობის ინდივიდუალური წევრობრივობა დასახელდებასაც წარმოადგენს. მხოლოდ XIX საუკუნიდან იქცევა ეს ტერიტორიული სკლუზიურად კოლექტიური კულტურული იდენტობის საფუძველზე აღმოცენებული ერთობის ინდივიდუალური წევრის თვითდასახელდებად. რეგიონალური იდენტობის საუშველზე აღმოცენებული ერთობის ინდივიდუალური წევრის სახელწოდებად კი მანამდე სრულიად უცნობი ტერმინი ქართლული მკაფიოდგება. და ეს ასეა დღვმდევ. როგორი იქნება ვითარება მომავალში, ამის განჯერება ძნელია. პრიციპში ეს არც არის ისტორიკოსის საქმე. ამიტომ მე პალავ წარსულს, კერძოდ კი, სიტყვა ქართლს მიუშერუნდება.

როგორც ითქვა, ქართლში და მრავლობითის მაწარმოებელი სუფიქსია. რჩება ქართ სეგმენტი. აღნიშნული სიტყვის ფუძედ სწორედ ეს სეგმენტია მინეული. როგორც ცნობილია, ეთნონიმებსა და ტოპონიმებში ხშირად მრავლობითის რამდენიმე მაწარმოებელს ერთდროულად ვხდებით: დროთა განმავლობაში მრავლობის გაგება იყარგება და საჭირო ხდება მისი თავიდან წარმოება. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ბოლო ნიშანი “შუშაობა”, ადრინდელებები კი უკვე სახელის ფუძეს არიან შეზრდილი. ამის თვალსაჩინო მაგალითია სიტყვა მუხხარი. კრიბითობის მაწარმოებელი სუფიქსი არ დართული აქვს უკვე მრავლობითში დასმულ მუხ-ნის. ამიტომ შესაძლებლად მიმაჩინა, რომ ქართ სეგმენტში თ არ იყოს ფუძისეული და დასაშვები იყოს მისი, როგორც სუფიქსის, გამოყოფა. ეს სუფიქსი ხშირად გვხდება კოლექტივის აღმოშვნელ სახელებთან, კერძოდ, გვარსახელებთან. იგი მოცემული კოლექტივისადმი ინდივიდის მიუკრებულობას აჩვენებს, რამდენადაც არის ნართანიანი მრავლობითის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი. ამ გაგებით ქართ ქარ-ნი კოლექტივის წევრს უდრის. ქართ ფარნავაზი, მაგალითად, შეიძლება გაიგოთ, როგორც ქარნი იდენტობის მქონე პიროვნება.

ქარნი-ერთობა ქართლი-ერთობის წინარე საფეხური უნდა იყოს. მართალია, ერთობის წევრის სახელწოდება ორივეში ერთი და იგივეა, მაგრამ მათი შექიდულობის რაობის პერცეპცია რამდენადმე განსხვავებული ჩანს. თუ პირველ შემთხვევაში აქცენტირებულია წევრის კუთხიილება ერთობისადმი, მეორე შემთხვევაში წინ არის წამოწეული ამ წევრთა სრული იგივეობრიობის ფაქტი ანუ ერთობის შინაგანი ჰომოგენურობა. ქარნი-ერთობის კოლექტიურ კულტურულ იდენტობათა მოდელებთან მიმართების გამოსარკვევად დიდ სამსახურს გაგებიშვებს ის ფაქტი, რომ ქართ და კოლხ არსებითად ერთი და იგივე სიტყვებია. ვფიქრობ, ჩემი მოსაზრება სპეციალისტი მკითხევლისათვის დეტალურ განმარტებას არ საჭიროებს, მაგრამ სრული სიცხადისათვის მას მაინც მოგიხმობ. ამ სიტყვების ფუძეები, კერძოდ, ქარ და კოლ ფონეტიკური ვარიაციებია: /ქ/ და /კ/ სამეტყველო აპარატში წარმოების მიხედვით იდენტური (უკანა სასისმიერი ხშულ-მსკომი), ე.ი. ჰომოგენური და ჰომორგანული ბერებია და მათი ურთიერთონაცვლეობა განპირობებულია ობიექტური ანატომიურ-ფიზიოლოგიური, აქუსტიკური მოცემულობებით. იგივე ითქმის სონორი თანხმოვნების ალევოლარი რ და ლატერალი ლ და ა და ო ხმოვნების შესახებაც, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებიან მრავალ ენაში, მათ შორის, ქართულ შიც. რაც შეეხება ხ სუფიქსს, რომელიც დასტურდება კოლ-ბ-ში, იგი კუთხიილების სუფიქსია, კოლექტივის წევრობის მაჩვენებელი (ამის თოაბაზე თავის დროზე სამართლიანად მიუთითა იჯავახიშვილმა, შემდგომ კი ეს აზრი გაიზიარა უკალებლივ ყველა მეცნიერება, ვინც ანალოგიური შედგენილობის სიტყვების საკითხს შეხებია: გ.მელიქიშვილმა, ნ.ხაზარაძე, ბ.გიგინუ-



იშვილმა და სხვებმა). ანუ ფუნქციურად იგი თ სუფიქსის ფარდია: კოლხ ფარნაფაშავა  
ნიშნავს კოლნიურობის წევრ ფარნავაზს.

ამგვარად ქარნიურობის ატრიბუციის, მისი ისტორიულ რეალიებით, კონკრეტულ არტეფაქტებთან დაკავშირებისათვის ფართო პერსპექტივა იშლება, მაგრამ, როგორც ვთქვი, ეს მომავლის საქმეა.

რადგან შესაძლებელია, რომ სიტყვებში მრავლობითის რამდენიმე ნიშანი ერთდროულად დადასტურდეს, ქარ სეგმენტი, რომელიც გამოიყოფა ქარ-ში, შეიძლება თავადაც არ არის დაუშლელი და არ წარმოადგნს უკვე ნახსენები კრებითობის მაწარმოებელი სუფიქსს. საფიქრებელია, რომ ქარნიურობის წინარე ხანაში არსებობდა ქარ-იურობა, რომლის წევრების სახელწოდება, სულ ერთი, ქ ასოთი ამოიწურებოდა. აღნიშნული ფაქტის გარდა ერთობის კვალი წყაროებში არ ჩანს, თუმც ეს კია, რომ შესაბამისი ძირისა და ფუძის მქონე ტოპონიმები ფართოდ არის გავრცელებული ისტორიული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ამის გათვალისწინებით საფიქრებელია, რომ საქმე გვაქვს ეთნიურ კატეგორიასთან, უფრო კი – ეთნიურ ქსელთან.

ასე გამოიყურება ქართული იდენტობის მთავარი მარკერის – ოვითდასახელების – ისტორია ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის ფონზე. ამ ისტორიაში ქართველიად ყოფნის ყოველი საიდუმლოა დამარხული.

Mary Chkhartishvili

## PROPER NAME AS A MARKER OF GEORGIAN IDENTITY

The most important in the kaleidoscope of human identities from the perspective of societal development is collective cultural identities. Several forms of them might be distinguished, namely ethnic category, ethnic network, *ethnie* and nation. The first one represents an imagined form that is not virtually fixed in artifacts (because of its flexibility), while others, especially the last ones, are historically well documented. Collective cultural identities are delimitated by a certain set of markers. Collective proper name represents one of the most principal identity markers.

The paper deals with the self-designation of modern Georgians *Kartveli* in which, according to the author we can trace all the states gone through by the Georgian identity in its long way of development. It is shown that the Georgian identity gradually passed the above-listed forms of collective cultural identities, as evolutional stages. Thus, the fact of continuity of the Georgian identity during millennia is reflected in the collective proper name of the Georgian people.

1. A.D.Smith. The Ethnic Origins of Nations, New York: Blackwell, 1987, p. 23.
2. სმითი ე.დ., ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მარიამ ჩხარტიშვილისა. ქართული ტექსტის რედაქტორი რუსუდან ამირჯაიძემალენი. თბილისი: ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი, 2004, გვ.36.
3. Современные этнические процессы в СССР (2-е изд.). Отв. ред. Ю.В.Бромлей. Москва: Hayka, 1977.
4. ე და უბრჯგუ ფონემების ურთიერთმონაცვლების და მათი შესატვისი გრაფემების შესახებ მსჯელობისათვის და სპეციალური ლიტერატურისათვის იხ. სარჯველაქ ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი. თბილისი: განათლება, 1984, გვ. 291–294.
5. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I. გამოსცა ავტორთა კოლექტივმა იაბულაძის რედაქციით, თბილისი: მეცნიერება, 1963, გვ. 279; 1224.
6. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 125.
7. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 129.
8. იხ. მაგალითად, ჰუკენისი, ზ.სარჯველაძე ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური დაქსნითი (მეორე შეკვებული გამოცემა). თბილისი: სულხან საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000, გვ. 486.
9. იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის (მეორე გამოცემა), თბილისი: მეცნიერება, 1990, გვ. 88; შდრ., აგრძელება, გვ. 244.
10. იხ. მისი ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოაშებ, წ. I, ტფილისი, 1924, გვ. 5-7. ვიმოწმებ ენინთიბიძის წიგნის მიხედვით: ქართველთა სახელწოდებები და მათი ეტიმოლოგია. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998, გვ. 32.
11. იხ. რ. ამირეკიძის წერილები უკრნალში “ენამეცნიერების საკითხები” შემდეგ გამოშვებებში: №1 (1999), №2 (1999), №2 (2003), №2 (2005) და ქრუბულში “თსუ ფილოლოგის ფაკულტეტის მეცნიერთა შრომები” №9 (2005).
12. Ethnicity. Edited by J.Hutchinson and A.D.Smith. Oxford New York: Oxford University Press, 1996, p.4.
13. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხხაშვილის მიერ. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1959, II, გვ. 1462.
14. იხ. მისი: ქართველი ერის წარმოშობის შესახებ. შრომები, VI, თბილისი: მეცნიერება, 1988, გვ. 180.
15. “პრაქტიკაში ნაციონალიზმის კულტურული და პოლიტიკური ფორმები ხშირად ენაცელება ერთმანეთს და შეიძლება ნაციონალისტები მათ შორის მერყეობდნენ. თუ პოლიტიკური ნაციონალიზმი თავის მიზნებისაკენ მიმავალ გზაზე ბორბიკობს, კულტურულ ნაციონალიზმის შეუძლია გაჩერილი ბზარი ერთობის კოლექტიური ერლიტურული რესურსების განმტკიცებით ამოავსოს; ხოლო, როცა მისი ძალა სუსტდება, ასპარეზზე ნაციონალიზმის პოლიტიკური მოქმრაბა გამოდის. მაშასადამე ნაციონალიზმი არ შეიძლება პოლიტიკური ან რომელიმე სხვა სფეროს ტყვეობაში აღმოჩნდეს; ‘პოლიტიკის’ ‘ერლიტურასთან’ ან ‘ეთნიკურობასთან’ ამგვარი დაპირისპირება არ გვიძლევს საშუალებას ღრმად ჩავწედეთ ისეთ კომპლექსურ ფენომენებს, როგორიცაა ნაციები და ნაციონალიზმი”. იხ. სმითის დასახელებული წიგნის ქართული თარგმანი, გვ. 117. თავად სმითი თავის ამ თვალსაზრისის წყაროდ უთითებს ჯამათინსონის გამოკვლევას.

აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის დავალებით და მისივე ხელმძღვანელობით  
შედგენილია საძიებლები:

1. ექვთიმე თაყაიშვილის „საქართველოს სიძელენი“ (დაბეჭდილია ცალკე წიგნად), გამომც. „მეცნიერება“, 1970 წ., 141 გვ.
2. ოფო ქორდანიას „ქრონიკების“ საძიებლი (დაბეჭდილია წიგნში – „ქრონიკები“, III, გვ. 650-746, 756-810; მითითება 082 გვ), 1967 წ., უნივერსიტეტის გამომცემლობა.  
ორივე საძიებლი შესწორებულია თანამედროვე სამეცნ. შრომების საფუძველზე.

### მონოგრაფიები

3. აბრამ ერევანცი, „ომების ისტორია“ (ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ), 1976 წ., გვ. 100; რედაქტ. ლ.-ნ. ჯანაშია.
4. ზაქარია აგულეცი, „დღიური“ (ძველი სომხ.-დან თარგმნა, შესავალი, შენიშვნა. და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ), თბ., 1979, გვ. 122, გამომც. „მეცნიერება“, რედაქტ. ლ.-ნ. ჯანაშია.
5. მოვსეს გალანგატუაცი, „ალვანთა ქვეყნის ისტორია“ (ძველი სომხ. თარგ. შესავალი, შენიშვნები, საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ), 1985 წ., გვ. 200, გამომცემლობა „მეცნიერება“, რედაქტ. ზ. ალექსიძე.
6. მხითარ აირევანცი, „ქრონიგრაფიული ისტორია“ (ძველი სომხ. თარგ. შესავალი, შენიშვნები, საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა), თბ., 1990, გ. „მეცნიერება“, რედაქტორი ზ. ალექსიძე.

### სტატიები

7. К изучению Цундско-Тмогвских хачкаров (крестов-камней), Вестник Гос. музея Грузии, XXB, 1959 г.
8. ხაზართა ლაშქრობა თბილისა და ალბანეთში „ალბანეთის ისტორიის“ მიხედვით, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, I, თბ., 1965.
9. მათე ურავალის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, კრებულში „საქართველო რუსთაველის ხანაში“, 1966.
10. მხითარ გომის „ალბანეთის ქრონიკა“, „ქართული წყაროთმცოდნეობა“ II, 1968.
11. ზაქარია აგულისელის ცნობები საქართველოს შესახებ, „ქართული წყაროთმცოდნეობა III, თბ., 1971.
12. ფავსტოს ბუზანდის ერთი ცნობის გამო, ქურნ „მაცნე“, №4, 1971.
13. აბრამ ერევანელის ერთი ცნობის განმარტებისათვის, კრებ. „აღმოსავლური ფოლოლოგია“, თბ., 1972.
14. ლეონტი მროველის ერთი ადგილის განმარტებისათვის, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, IV, 1973.
15. დავით V სომხურ საისტორიო მწერლობაში, ქურნ „მაცნე“, 1974, №4.



16. სომხური ხალხური ზღაპრები (ერთ-ერთი ნაწილის ქართულ ენაზე მონაცემებით) დაგვლაინიძე), თბ., 1976.
  17. პაკობ ქარნეცის ერთი ცნობის გამო, კრებულში „ძიებანი საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“ მიძღვნილი აკად. ნ. ბერძნიშვილის ხსოვნისადმი, თბ., 1976.
  18. პაკობ შემახეცის „თამაზ ყული-ხანის ლაშქრობანი და მისი შაპად არჩევა“ (გამოკვლევა, ქართული თარგმანი), „ქართული წყაროთმცოდნეობა V, 1978.
  19. სომხური ფილოლოგიურ-ისტორიული სამეცნიერო ჟურნალის 1982 წლის ნორმების მიზნილვა, „მაცნე“, №4, 1982 წ.
  20. „მეგობრობის მატიანე“, რეცენზია გ. მაისურაძის წიგნზე „ქართველი და სომები ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII სს-ში“, გამ. „კომუნისტი“, 7 იანვარი, 1983 წ. (რეცენზია დაწერილია აკად. დ. მუსხელიშვილთან ერთად).
  21. ზოგიერთი მომენტი იოსებ არლუთინსკის მოღვაწეობიდან, ქ. „მაცნე“, 1983, №3.
  22. სომხური ფილოლოგიურ-ისტორიული ჟურნალი 1983 წ. (მიმოხილვა), „მაცნე“, 1984 წ. №4.
  23. აბრაამ კრებაცი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, VI, 1984.
  24. „უფალი“ და „უფალოუფალი“ ადრე შესასუქუნების სომხურ საისტორიო მწერლობაში, ჟურნ. „მნათობი“, №12.
  25. პროფ. სარგის კაკბაძის 100 წლისთვისადმი მიძღნილ დონისძიებათა ქრონიკა ჟურნ. „მაცნე“, 1987, №1 (თანაავტორი შ. ბადრიძე).
  26. ზაქარია ქანაკერტელის ზოგიერთი ცნობა საქართველოს შესახებ, კრებული „ქართული წყაროთმცოდნეობა“, VII, 1987.
  27. კირაკის განძაკვლის თხზულების იღიასეული ქართული თარგმანი, ჟურნ. „მაცნე“, 1987 წ., №3.
  28. Значение армянских источников XVIII века для истории Грузии, журн. «Источникovedческие разыскания», Тб., 1988.
  29. „ქართველთა კეთილმსახური მეფე დავითი“ (სომხურ ენაზე), გამ. „სოვეტადან კრასტიანი“, 1989, 9.II.
  30. Вопросы политической истории Грузии в армянских источниках (по некоторым материалам X-XVIII вв.), 1990.
  31. ვახუშტი ბაგრატიონის ერთი ცნობის გამო, კრებული „ვახუშტი ბაგრატიონი იხტორებისა და ეთნოგრაფისი – 300).
  32. ერთი გვერდი ქართველი და სომები ხალხების სამბრძოლო თანამშრომლობის იხტორიდან, კრებული „ამიერკავკასიის პრობლემები“, თბ., 1991 (თანაავტორი გ. მაისურაძე).
  33. ტერ. ოპან ვოსკერჩიანის ცნობები საქართველოს შესახებ, კრებ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, VIII, 1993.
  34. ლუკა სებასტიონის „დაგვით ბეგის ისტორია“, ჟურნ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, 1997, №1.
  35. კირაკის განძაკვლის ერთი ცნობის შეუძისათვის, კრებ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, IX, 2000.
  36. „მემატიანე“, გამ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2001.8.XII.
  37. მანუელ ალთუნიანის მოთხრობა „1797 წ. თბილისში გაჩენილი შავი ჭირის შესახებ და მეფე გიორგი XII-ის მიერ ენთიაძინის წმ. ლახვარის შეკოვნება საქართველოში (პუბლიკაცია შენიშვნებითურთ) ჟურნ. ანალები, 2001, №2.



38. მამისა ბერძნიშვილის 75 წლისთავის გამო (თანაავტორი თ. ყაუხჩიშვილი, უფრო მეტად უმსახურება), ანალები, 2001, №2.
39. XVII ს-ის სოფები ვაჭრის სახე ზაქარია აგულისელის „დღიურის“ მიხედვით, საქ. ტექქ. უნივერსიტეტის შრომები, №2, 2001.
40. ერთი თავი აბრაამ კრეტელის „მემუარებიდან“, „ანალები“, 2003, №1.
41. კირაკოს განძაელის ერთი ცნობის შევხებისათვის, პრებ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, IX, 2002.
42. ქართველთა დიდი პიტიახში მისრდატი, კრებ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, X, 2004.
43. რატომ დაერქვა „ქურდის ხევს“ „ქურდვაჭარი“, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, XI, 2006.

### თეზისები

44. К изучению армянских крестов-камней, საკავშირო სესიის თეზისები, ქ. სოხუმი, 1982, 26/I.
45. ზ. აგულისელის ცნობა „დადიანის ქვეყანაში“ ერთი ბრძოლის შესახებ, ოსმალეთის წინააღმდეგ, რესპუბლიკური სამეცნ. სესია, ქ. ზუგდიდი, 1983, 10-12/X.
46. Значение армянских источников для изучения истории Грузии, საკავშირო სესიის თეზისები, ქ. ბათუმი, 1985, 18/X.
47. იღია ჰავჭავაძის მიერ რუსული ენიდან თარგმნილი ქართულ ენაზე კირაკოს განძაელის „სომხეთის ისტორის“ ერთი ნაწილი, რესპუბლიკური სამეცნ. სესია, ქ. მახარაძე, 1987, 19/8.
48. Грузинские источники Мхитара Айриванци, საკავშირო სესიის თეზისები, ქ. ქუთაისი, 1988, 19/X.
49. იაკობ კარინელის ცნობები საქართველოს შესახებ, რუსულიკური სამეცნ. სესიის თეზისები, ქ. ახალციხე, 1989, 14/VI.
50. „ქართლის ცხოვრების“ ძევლი სომხური თარგმანი, საინსტიტუტო სამეცნ. სესიის თეზისები 1989, 26/IV.
51. სიმონ ერვანცის „მემუარები“ დას. საქართველოს შესახებ, რუსულიკური სამეცნ. სესია, ქ. სენაკი, 1990.
52. ყარაბაღი (ისტორიული ცნობები), რესპუბლიკური სამეცნ. სესია, ქ. სიღნაღი, 1994.
53. ყარაბაღის სამედიქოების ურთიერთობა საქართველოსთან, საინსტიტუტო სამეცნ. სესია, 1992, 4/VI.
54. სიმონ ერვანცის ზოგიერთი ცნობა საქართველოს შესახებ, რესპუბლიკური სამეცნ. სესია, ქ. ქუთაისი, 1994, 21/X.
55. კირაკოს განძაელის ერთი ცნობის გამო, საინსტიტუტო სამეცნ. სესია, მიძღვნილი რ. კიქნაძის ხსოვნისადმი, თბ., 1994, 5/X.
56. XVIII ს-ის პირველი ნახევრის სომხური წყაროები საქართველოს შესახებ, საინსტიტუტო სამეცნ. სესია, მიძღვნილი ვარდამ დონდუას ხსოვნისადმი, თბ., 1996, 27/XII.
57. XVIII ს-ის მეორე ნახევრის ორი სომხეთი კათოლიკოსი და საქართველო, საინსტიტუტო სამეცნ. სესია, მიძღვნილი რ. კიქნაძის ხსოვნისადმი, თბ., 1998, 14/X.



58. XIII ს-ის სომხური საისტორიო თხზულების ცნობათა განმარტებისათვის უნივერსიტეტის ტექნიკური დეპარტამენტის 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია, თბ., 1997, 9/VII.
59. ოთხებ არღუთინსკის რესეტში მოღვაწეობის ზოგიერთი საკითხი (XVIII ს. II ნახევრი), 1998, 12/XI.
60. ივ. ჯავახიშვილი, მეცნიერების შემდგომი განვითარების შესახებ, საინსტიტუტო სამეცნ. სესია, 2005, 28/XII.

1990 წლიდან ტექნიკური უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობის და სიძეველეთა ექსპერტიზის ფაკულტეტზე კითხულობდა დაქვიდვების საქართველოს, სომხეთის და კავკასიის ალბანეთის ისტორიის საკითხებზე.

ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში არაერთხელ ყოფილა საკანდიდატო დისერტაციის ოპონენტი, ასევე სადოქტორო და საკანდიდატო ხარისხების მაძიებელთა ნაშრომების რეცენზენტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის არმენოლოგიის განყოფილების დიპლომანტების შრომების რეცენზენტი და სხვ.

1. ქართული დიპლომატიკის ერთი სახეობის წარმოშობისათვის, წიგნში: „ობილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტთა შრომები“, თბ., 1950, 1 თაბახი.
2. Никорцминдский «дакерили» XI века как исторический источник, (საკანდიდატო დისერტაციის ავტორულები), Тбилиси, 1953, 1 ლ.
3. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. IV (დანართი) დექსიკონი და საძიებლები I, II და III წიგნებისათვის. შეადგინა მამისა ბერძნიშვილმა, თბ., 1957, 6 თაბახი.
4. ძევლი თბილისის ტოპონიმიკიდან – ჩორსუ და რასტაბაზარი. წიგნში: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, 1960 წ. 0,5 თაბახი.
5. გლეხთა კატეგორიები XI-XII სს. საქართველოში. წიგნში: „ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, V, ნაკვ. II, 1960, 1, 5 თაბახი.
6. რეცენზია თ. ყაუხჩიშვილის შრომაზე „პერიდოტე“, „მნათობი“, 1961 წ., №8, 0,2 თაბახი.
7. დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის წ. I, (XVI-XIX სს.) შეადგინეს ნიკო ბერძნიშვილმა და მამისა ბერძნიშვილმა, თსუ-ს გამოცემლობა, თბ., 1962, 28 თაბახი.
8. ნიკორწმინდის „დაწერილი“, ტექსტის გამოცემისათვის, წიგნში: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 34. 1962. 1 თაბახი.
9. გლეხთა გამოსაღებები XI-XII საუკ. საქართველოში. წიგნში: „ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, VII. თბილისი, 1963, 1 თაბახი.
10. საქართველო IX-X სს-ში, ტექსტი რუკისათვის „საქართველო IX-X სს-ში“ (თანაავტორი ნ. შოშიაშვილი), „საქართველოს სსრ ატლასი“. თბილისი-მოსკოვი, 1964 წ., გვ. 247
11. საქართველო XIII საუკ. დამდეგს, ტექსტი რუკისათვის „საქართველოს სახელმწიფო XIII ს. დამდეგს“ (თანაავტორი ნ. შოშიაშვილი), საქართველოს სსრ ატლასი, თბილისი-მოსკოვი, 1964, გვ. 248.
12. საქართველო XVI საუკ. I ნახევარში. ტექსტი რუკისათვის „საქართველო XVI ს. პირველ ნახევარში“ (თანაავტორი ნ. შოშიაშვილი). საქართველოს სსრ ატლასი, თბილისი-მოსკოვი, 1964 წ., გვ. 255.
13. მასალები XVIII საუკ. ბოლო წლების საქართველოს ისტორიიდან, წიგნში: „ქართული წყაროთმცოდნეობა“, I, თბ., 1965, გვ. 121-210.
14. თბილისის გარეგანი სახე XVIII ს-ში, თბ., 1965, 7 თაბახი.
15. ამილაბერების სახახლე თბილისში, გაზ. „თბილისი“, №182, 18.VIII.1958.
16. საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები XIII საუკ. დამდეგს. წიგნში „საქართველო რესთაველის ხანაში“, თბ., 1966, 1 თაბახი.
17. სვანური დოკუმენტები ოგორც წყარო XIV-XV სს. სვანეთის სოციალური ისტორიისათვის. წიგნში: „ქართული წყაროთმცოდნეობა“, II, 1968, 1, 5 თაბახი.
18. საქართველო XI-XII საუკუნეებში (სოციალურ-ეკონომიკური ნარკევი), თბ., 1970, 8 თაბახი.
19. ქართული დიპლომატიკის ტერმინოლოგიდან, ჩაქი, წიგნში: „ქართული წყაროთმცოდნეობა“, III, თბ., 1971, 0,5 თაბახი.

20. ქალაქური გეონომიკის ტერმინოლოგიიდან – დანიში. წიგნში: „ქართული წერტილები“ IV, თბ., 1973, 0,5 თაბახი.
21. ანთისხაბერის უბანი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I, 1975.
22. ძევლი ქართული მეტროლოგიიდან (გაზანდარი), წიგნში: „მაცნე“ (ისტორიის სერია), 1976, №1, გვ. 163-169.
23. ქამთადმწერლის ტექსტის დაზუსტებისათვის. წიგნში: „ძებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან“, თბ., 1976, გვ. 151-155.
24. ქართულ-ბიზანტიური სოციალური ტერმინოლოგიიდან, „მაცნე“, (ისტორიის სერია), №1, 1977, გვ. 92-107.
25. გლახაკი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, III, 1978.
26. ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან. „სიგლის თავი“ XI-XV სს-ში. წიგნში: „ქართული წყაროთმცოდნება“, V, თბ., 1978, გვ. 39-48.
27. „მატიანე ქართლისას“ ერთი ადგილის დაზუსტებისათვის. წიგნში „ქართული წყაროთმცოდნება“, V, თბ., 1978, გვ. 63-78.
28. მეოცენობრივი საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ, თბ., 1979, 7 თაბახი.
29. საზოგადოებრივი კლასები და კლასთა პროლა XI-XII სს. საქართველოში. წიგნში: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. III, თბ., 1979, გვ. 124-152.
30. სოფელი XI-XII სს. საქართველოში, წიგნში: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, III, თბ., 1979, გვ. 82-89.
31. სახელმწიფო წყობილება XI-XII სს. საქართველოში. წიგნში: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, III, თბ., 1979, გვ. 349-368.
32. საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა (IX-XIII სს.) წიგნში: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. III, თბ., 1979, გვ. 63-78.
33. ნიკორწმინდის „დაწერილის“ დათარიღების შესახებ, „მაცნე“ – (ისტორიის... სერია), თბ., 1980, №4, გვ. 152-163.
34. დოკუმენტური წყაროები XVI-XVIII სს. ქახეთის საზღვრების შესახებ, წიგნში: „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, VI, თბ., 1982, გვ. 94-101.
35. მართა, მარიამი – ბიზანტიის დედოფალი, ბაგრატ IV-ის ასული. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, 1983 წ.
36. მარიამ დედოფალი, გიორგი I-ის მეუღლე. ქსვ, ტ. 6, 1983.
37. მთის ცნების შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებში, წიგნში: საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებაზე ფეოდალიზმის ხანაში, თბ., 1983, გვ. 82-88.
38. «Жизнь царицы цариц Тамар», Перевод и введение В. Д. Дондуга, исследование и примечания М. М. Бердзинишвили, тбилисио, 1985, 2 თაბახი.
39. Грузинский эпистолярный материал XVIII в. как исторический источник, წიგნში: "Источниковоедческие разыскания. 1982", Тбилиси, 1985, стр. 196-201.
40. „სიგლის თავი“ XVI-XVIII სს. ქართულ სამეფო საბუთებში. წიგნში: „ქართული წყაროთმცოდნება“, XV, თბ., 1985, გვ. 78-94.
41. XVIII ს – XIX ს. დამდგების ქართული ეპისტოლური მასალის გამოცემის საკითხებისათვის, წიგნში: „ქართული წყაროთმცოდნება“, VII, თბ., 1987, გვ. 30-38.
42. Грузинские документы на деревянных дощечках, წიგნში: "Источниковоедческие разыскания. 1985", Тбилиси, 1988, стр. 281-286.



43. ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი, I, ქართული ეპისტოლური წყაროების გამოცემა, შენიშვნები და საძიებლები უფლესობრივ მამისა ბერძნებიშვილმა, თბ., 1989, 12 თაბახი.
44. ქართული წყაროები სამცხე-საათაბაგოს სამდევდელმთავროთა შესახებ. – რესპუბლიკური სამეცნიერო სესია ქ. ახალციხეში, მიძღვნილი საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლისადმი – მოხსენებათა თეზისები, 1989 წ.
45. ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროები (წყაროთმცოდნებითი გამოკვლევები), თბ., 1989, 6 თაბახი.
46. უძველესი დოკუმენტური წყაროები სამეცნიერო სესია ქ. ახალციხეში, მიძღვნილი „საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლის საკითხებისადმი“, ქ. სენაკში, 1990 წ. მოხსენებათა თეზისები.
47. Проблемы истории Грузии феодальной эпохи – вопросы социально-экономической истории Грузии (XI-XVIII вв.) – Диссертация на соискание ученой степени доктора исторических наук в форме научного доклада. თბ., 1990, 3 თაბახი.
48. თბილისის ტერიტორია და მოსახლეობა XVII ს-ში, წიგნში: „თბილისის ისტორია“, I, თბ., 1990, გვ. 241-249.
49. თბილისის ტერიტორია და მოსახლეობა XVIII ს-ში. წიგნში: თბილისის ისტორია“, ტ. I, თბ., 1990, გვ. 317-333.
50. ეპისტოლური მასალა ერეკლე II-ის ბიოგრაფიის დეტალების გარკვევისათვის, სამეცნიერო სესია ქ. ოქლავში, 1991, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1991. გვ. 4.
51. ტერმინ „ქართული“ მნიშვნელობისათვის, წიგნში: „ქართული წყაროთმცოდნება“, VIII, თბ., 1993, გვ. 195-203.
52. ეპისტოლური წყაროები სოლომონ I-ის სარწმუნოებრივი პოლიტიკის შესახებ, რესპუბლიკური სესია 1994 წლის ოქტომბერში, ქ. ქუთაისში, მოხსენებათა თეზისები, თბილისი – ქუთაისი, 1994. გვ. 6-8.
53. ქართული წერილის უძველესი დედანი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი რ. კინაძის ხსოვნისადმი. თბილისი, 1994 წ. ოქტომბერი. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1994, გვ. 20-21.
54. ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული მოდვაწეობიდან, ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ვ. დონდუას დაბადებიდან 100 წლის თავისადმი. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1997, გვ. 6-9.
55. ვახუშტი ბაგრატიონის გენეალოგიური ტაბულები, წიგნში: „ვახუშტი ბაგრატიონი – ისტორიკოსი და ეთნოგრაფოსი“, თბ., 1997, გვ. 171-182.
56. კონფლიქტი სპარსელებსა და სომხებს შორის მე-18 საუკუნის თბილისში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია მიძღვნილი რ. კინაძის ხსოვნისადმი, 1998, ოქტომბერი, მოხსენებათა თეზისები; თბ., 1998, გვ. 12-14.
57. ქართული ეპისტოლებს ჩვენამდე მოღწეული უძველესი დედანი. წიგნში: „ქართული წყაროთმცოდნება“, IX, თბ., 2000, გვ. 84-91.
58. ბიზანტიური დიპლომატიკური ტერმინების ქართულად გადმოცემის ისტორიიდან, წიგნში: „ანალები“, №1, თბ., 2001, გვ. 21-25.
59. „ემთაბაძმწერელი“ თბილისის შესახებ, ენციკლოპედია „თბილისი“, 2002, გვ. 743.
60. მატიანე ქართლისა თბილისის შესახებ, ენციკლოპედია „თბილისი“, 2002.
61. დავითის ისტორიკოსი თბილისის შესახებ, ენციკლოპედია „თბილისი“, 2002.
62. ქუჩები ქველ თბილისში, ენციკლოპედია „თბილისი“, 2002, გვ. 902-903.

63. რასტაბაზარი, ენციკლოპედია „თბილისი“, 2002.
64. წორესუ, ენციკლოპედია „თბილისი“, 2002.
65. ქეთეუდა, ენციკლოპედია „თბილისი“, 2002.
66. ქალანთარი, ენციკლოპედია „თბილისი“, 2002, გვ. 880.
67. დავით ბატონიშვილი, ენციკლოპედია „თბილისი“, 2002, გვ. 409.
68. ორბელიანი პაპუნა. ენციკლოპედია „თბილისი“, 2002, გვ. 722.
69. გამუშტი ბატონიშვილი (ხ. ტატიაშვილის თანაავტორობით), ენციკლოპედია „თბილისი“, 2002.
70. Государственный строй Грузии в XI-XII веках, წიგნში: "Очерки истории Грузии", том III, Тбилиси, 2002.
71. Село Грузии в XI-XII вв., წიგნში: "Очерки истории Грузии", том III, Тбилиси, 2002.
72. Историко-географический обзор Грузии XI-XIII вв., წიგნში: "Очерки истории Грузии", том III, Тбилиси, 2002.
73. Богословская часть "начала сигеля" грузинских документов, ჟურნალი Caucasica, VII, თბილისი, 2003.
74. სოლომონ I-ის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან, წიგნში: „ქართული წყაროთმცვლეობა“, X, თბ., 2004, გვ. 174-179.
75. აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის არქივიდან, წიგნში: „ნ. ბერძენიშვილის დაბადები-დან 110 წლისთვისადმი მიღწევილი კრებული“, თბ., 2005, გვ. 42-49.

### ისტორიული რუკები

76. საქართველო IX-X სს-ში (თანაავტორი ნ. შოშიაშვილი) დაიბეჭდა:
  - ა) საქართველოს სსრ ატლასი, თბილისი-მოსკოვი, 1964 წ., გვ. 249-250.
  - ბ) საქართველოს ისტორიის ნარკევები, ტ. III, 1997 წ. ცალკე ფურცელზე.
77. საქართველოს სახელმწიფო და მისი მეზობელი ქვეყნები XIII ს. დამდეგს დაიბეჭდა:
  - ა) საქართველოს სსრ ატლასი, თბილისი-მოსკოვი, 1964, გვ. 252.
  - ბ) საქართველოს ისტორიის ნარკევები, ტ. III, 1979, ცალკე ფურცელზე.
78. განათლების ქართული ცენტრები საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ (V-XI სს.). დაიბეჭდა:
  - ა) საქართველოს სსრ ატლასი, თბილისი-მოსკოვი, 1964, ფ. 252.
  - ბ) საქართველოს ისტორიის ნარკევები, ტ. III, 1979, ცალკე ფურცელი.
79. საქართველო XVI ს. პირველ ნახევარში. დაიბეჭდა:
  - ა) საქართველოს სსრ ატლასი, თბილისი-მოსკოვი, 1964, გვ. 256.
  - ბ) საქართველოს ისტორიის ნარკევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 240.
80. საქართველო 1914 წელს. საქართველოს ისტორიის ნარკევები, VI, თბ., 1972. ცალკე ფურცელი.
81. მონაწილეობდა ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს ატლასების გამოსაცემად მომზადებაში.



ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, ღირსების ორდენის კავალერი, ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი (1999-2006 წწ). საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის, საქართველოსა და კაცკასიის საისტორიო გეოგრაფიის საკითხებზე გამოქვეყნდული აქვს 120-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და წერილი, მათ შორის მონოგრაფიები. წლების მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა და დექციებს საქართველოს არქეოლოგიაში, საისტორიო გეოგრაფიაში. მან დიდი წელობი შეიტანა საქართველოს ახალი სახელმწიფო სიმბოლიკის – ხეთუჯერანიანი აღმის ისტორიული მიზანშეწონილობის მეცნიერული დასაბუთების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო ორი დიდი საერთაშორისო სიმპოზიუმი: „ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი“ (2000 წ.) და „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი“ (2006 წ.). მისი უმთავრესი ნაშრომებია: „ციხე ქალაქი უჯარმა“, თბილისი, 1966; საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები“, ტ. I, თბილისი, 1977; ტ. II, თბილისი, 1980. იმ ისტორიული მისი კრიტიკული მომავალი და გამოცემაში (2003 წ.), იგი მისი ერთ-ერთი ავტორი და მთავარი რედაქტორია.



### ნანა ზაზარაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ამავე ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის და ქართული კულტურის ისტორიის კათედრის გამგე, 160-ზე მეტი სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული და პუბლიცისტური ნაშრომის, მათ შორის 6 მონოგრაფიის, საქართველოში და მის ფარგლებს გა-

რეთ გამართულ მეცნიერთა 120-ზე მეტ ფრთუზზე წაკითხული მოხსენების ავტორი. მის მონოგრაფიას „საქართველოს ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები“,

საქართველოს კულტურისა და მეცნიერებლების სახლი

თბილისი, 1984, 204 გვ., 1985 წელს აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია მიენიჭა. არის სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოების, სხვადასხვანების ცემების რედკოლეგიუბის წევრი, ექთომებ თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს მწიგნობართა ასოციაციის პრეზიდიუმის, არაერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი. სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის 1996 წ. დაჯილდოვებულია „დირსების ორდენით“.



### თინათინ გაუსჩივვილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ასსუებელი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 20 წიგნის ავტორი. დაჯილდოვებულია დირსების ორდენით. სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნების განყოფილებაში (1945 წ.-დან) და ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქადაგის ფილოლოგიის კათედრაზე (1945-52, 1968 წ.-დან).



### გიული ალასანია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორი, ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნების განყოფილების გამგებელი, წყაროთმცოდნების, საქართველოსა და თურქეთის, საქართველოსა და მახლობელი აღმოსავალეთის ურთიერთობის ისტორიის სფეროში 100-ზე მეტი ნაშრომის ავტორი. მისი უმთავრესი ნაშრომებია: „ქათომ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“, თბილისი, 1978; „ცხოვრება საქართველოსა“, თბილისი 1986; «Классификация грузинских письменных исторических источников», Тбилиси, 1986; „წყაროთმცოდნების თეორიული პრობლემები“, თბილისი, 1988; «Парижская хроника», Тбилиси, 1991; „ქრისტიანობის XX საუკუნე საქართველოში“ (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე), თბილისი, 2006, და სხვა.



იქ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი. იქ კლევს ქართული პალეოგრაფიის, წყაროთმცოდნეობის, ქართული ეპიგრაფიკისა და შეა საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხებს. კრებულში წარმოდგენილი სტატიის თემატიკას, კერძოდ, ქართული სამოხელვო წყობის საკითხებს ეხება მისი პუბლიკაციები: „ბედიის ტაძრის ფრესკული წარწერა და დაღიანთა მანდატურულებულის საკითხი“ (1999), „სუმეონის წარწერის დათარიღების საკითხი და ძეველი ქართული სამოხელვო ინსტიტუტი“ (1988), ასევე მონოგრაფიის „აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო“ (2005), ერთ-ერთი თავი. საგანგებო ყურადღებას უმობს აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლებს: ლაპიდარულ, ჰელურ და ფრესკულ წარწერებს, ხელნაწერებსა და ქრისტიანული კულტურის სხვა მნიშვნელოვან პრობლემებს. გამოქვეყნებული აქვს 25-ზე მეტი ნაშრომი.



### ზურაბ ააპასჩირი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სამეცნიერო-კლევითი დეპარტამენტის უფროსი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ამ თრგანიზაციის პეროდული გამოცემის: „საისტორიო ძიებანი“-ს „წელიწელული“ მთავარი რედაქტორი. ავტორია 80-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის (მათ შორის 8 მონოგრაფიის) შეა საუკუნეების სა-

ქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და აფხაზეთის ისტორიის პრობლემებზე. მისი ძირითადი ნაშრომებია: „У истоков грузино-русских политических взаимоотношений“ (თბ., 1982), „ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგრამარეობის ზოგიერთი საკითხი“ (თბ., 1990); „აფხაზეთი საქართველოა“ (თბ., 1998); „О национально-государственном облике Абхазии/Грузия“ (თბ., 2003); „ნარგვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან“ (ნაკ. I, თბ., 2004) და ა.შ. არის გიორგი შარგაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.



## გიორგი ანჩაბაძი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. პროფესორი. ივ. ჯავახიშვილის სახელმძიმელოს ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 8 წიგნი, რომლებიც ეხება საქართველოსა და კავკასიის ხალხების ისტორიას, წყაროთმცოდნებისა და ისტორიითა აფიას, სამხედრო ისტორიას. უმთავრესი სამეცნიერო ნაშრომებია: „დიმიტრი ბაქრაძე, როგორც წყაროთმცოდნე და არქეოლოგი“ თბილისი, 1982; „Источниковоедческие проблемы военной истории Грузии“, თბილისი, 1990; „საქართველოს ომების ქრონილოგია“, თბილისი, 1998; „Вайнахи (чеченцы и ингуши)“, თბილისი, 2001; „სამხედრო ისტორია“, თბ., 2002; „საქართველოს ისტორია“, თბ., 2005.



## როდანდ თოშჩიშვილი


ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ილია ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაიბადა 1949 წელს. 1972 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. იმავე წელს შევიდა ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში ეთნოგრაფიის სპეციალობით. 1993 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. არის ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის ცამეტი წიგნისა. როდანდ თოშჩიშვილი სწავლულ ექსპერტთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და ისტორიისა და ხელოვნებათმცოდნების სექტორის თავმჯდომარეა.



ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ი.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს სამოციქულო კვლევის საერთაშორისო ცენტრის გამგეობის წევრი. მჩხარტიშვილი ასზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია. მისი საკანონდატო (1982) და სადოქტორო (1997) დოსტოაციები ეძღვნებოდა ქართული ძაგიოგრაფიული ძეგლების წყაროთმცოდნეობით შესწავლის. ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ გამოკვლევათა შრომის შეიძლება აღინიშნოს მონოგრაფიები: ქართული პაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები ("ცხორებად წმიდისა ნინოხისი") (1987) და "მარტვილობად და მოთმინებად წმიდისა გეხსტათი მცხეთელისად". "ცხორებად და მოქალაქეობად წმიდისა სერაპიონ ზარზელისად" (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა) (1994); ერთ-ერთი ბოლოდრონიდელ სტატია: როდის და სად შეიქნა "წმინდა კოხებანტი ქართველის ცხორებისა და წამების" კომენტრი რედაქცია და კი არის მისი ავტორი? (2004); პოლემიკური "წმ. გეხსტათი მცხეთელის მარტვილობა" და VI-VII სს. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები" (2005) და სხვ.

აარალელურად მეცნიერი ინტენსიურად იქვლევს ქართული იდენტობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხებს. ამ ოქმის სხვადასხვა ასპექტს აშუქებს წერილები: ქართველთა მოქცევა და ახალი ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბება (1999); Женщины на перекрестке идеологических эпох (История обрачения Грузии в христианство в свете гендерной проблематики) (2002); ქართლის მოქცევის ისტორია ეთნოგრაფიის კვლევის პრობლემატიკის თვალთახდვით (2002); *Informative value of hagiographical sources for study of ethnic identity* (2003); ქართული ძაგიოგრაფიის წყაროების პუბლიკაციის ისტორიიდან (მიხაილ ხაძინის "საქართველოს სამოთხე") (2004).

მჩხარტიშვილს ინგლისურიდან ქართულად ნათარგმნი აქვს ცნობილი თანამედროვე ბრიტანელი მეცნიერის ედ. სმითის თეორიული ნაშრომი ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის ფენომენების შესახებ: ნაციონალიზმის თეორია, იდეოლოგია, ისტორია (2004).



ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესიონალის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი და საარქივო ფონდების განყოფილების ხელმძღვანელი. არის აგტორი ნაშრომებისა საქართველოს ისტორიაში, წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში. მისი სამეცნიერო კვლევის ძირითადი დარგებია – ქართული ეპიგრაფიკა, პალეოგრაფია, დიპლომატიკა; უმთავრესი სამეცნიერო ნაშრომებია: ბოლნისის უძველესი ქართული წარწერები, თბ., 1994; სვანეთის წერილობითი ქედები, ტ. I, თბ., 1986, ტ. II, თბ., 1988; წარწერები გარეჯის მრავალყაროდან, თბ., 2000; სამეცნიელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, თბ., 2004 და სხვა.

### თემო ჯოჯა



იგანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი, დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი.

იკვლევს საქართველოს შუა საუკუნეების საერო და საკულტურული ისტორიის საკითხებს. დანტერესებულია ქართული ეპიგრაფიის, დიპლომატიკისა და საისტორიო გეოგრაფიის მრობლებით. საგანგაბოო სწავლობს ქართულ ხელნაწერებსა და მათ ანდერძ-მინაწერებს.

გამოქვეყნებული აქვს ოცდაათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. აქედან, ერთულში წარმოდგენილი სტატიის თემატიკას ეძღვნება. შემდეგი პედაგოგიკისა: „შმიდა მლვდლომოწამე გრიგოლ ფერაბე და 1160 წელს გარეჯში გადაწერილი ერთი უცნობი ხელნაწერი“ (2002 წ.), „საქართველოს მეფის გიორგი III-ის ადსაყდრების თარიღი 1160 წელს გადაწერილი ხელნაწერის (Ven.4-ის) ანდერძის მიხედვით“ (2002 წ.), „XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) ერთი მინაწერი და აფხაზეთის უცნობი კათოლიკოსი ბართლომე (დაახლ. 1488-1519 წწ.)“ (2002 წ.), „მოქვის უცნობი ეპისკოპოსი ლუკა ოძრხელი (1360-იანი წწ.) და მისი ხუთი მინაწერი XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) აშენებიდან“ (2003 წ.), „XII საუკუნის გარეჯულ კრებულში (Ven.4-ში) დაცული ერთი დოგმატიკურ-პოლემიკური ტრაქტატის შესახებ („ვალებისა წინამდგურთა შეჩენებაა“)“ (2003 წ.), „რამდენიმე ახალი ცნობა მოქველი ეპისკოპოსის ლუკა ოძრხელის (1360-იანი წწ.) ბიოგრაფიისათვის“ (2004 წ.) და ა.შ.



ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
სამეცნიერო სამსარეო სამეცნიერო ცენტრის დირექტორი.  
არის ავტორი ნაშრომებისა შუა საუკუნეების  
საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში. მისი „უმთვარესი სამეცნიერო ნაშრომებია: „ძველი ქართული საგვარეულო მატიანები“, თბ., 1988; „სუმბატ დავითის-ძე და მისი ისტორიული თხზულება“, თბ., 1990; „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანე“, თბ., 2002; „ოდიშის სამთავროს ისტორიიდან“, თბ., 2003.



### ნათელა პბილცეცლაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი,  
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი. მუშაობს  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად  
საქართველოს ძველი და შუასაუკუნეების  
ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში.



ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, იუნივერსიტეტის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის თანამშრომელი. 15 სამეცნიერო შრომისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი. მისი უმთავრესი სამეცნიერო შრომებია: 1) საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობები XV საუკუნეში, თბილისი, 2005. 2) კოსტანტინე II გამეფების წლები, თსუ შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობა, ტ. 341, თბ., 2002, გვ. 448-453. 3) გორგი VIII-ის სპარსთა მეფედ მოხსენიების საკითხის გამო, აღმოსავლეთი და კავკასია, № 1, თბ., 2003, გვ. 74-76. 4) უზუ პასანის პირველი ლაშქრობა საქართველოში, ვალერიან გაბაშვილი 90, თბ., 2003, გვ. 291-299. 5) ოსმალეთისა და სუფიანთა ირანის ურთიერთობა XVI საუკუნის დასაწყისში, აღმოსავლეთი და კავკასია, № 2, თბ., 2004, გვ. 107-112. 6) ქორწინება და ქალთა დიპლომატია XV საუკუნის II ხანევრის აღმოსავლეთში, ქართული დიპლომატია, წლიწდევლი, წ. 11, თბ., 2004, გვ. 315-327. 7) ისმაილ I საქართველოში I შემოსევის მიზეზები, ქართული დიპლომატია, წლიწდევლი, წ. 12, თბ., 2005. 8) ოსმალეთის პირველი თავდასხმა საქართველოს შევის სანაბროზე, აღმოსავლეთი და კავკასია, № 3, თბ., 2005. 9) საქართველოშე თბილითა 1461 წლის თავდასხმისა და ტარხიგორისტანის საკითხის შესახებ, აღმოსავლეთმცოდნეობა 361, თბ., 2005. 10) XV საუკუნის ანტიოსმალური კოალიციები, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 2003.



## ლევან შრუშაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნების განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ევრომეცნიერების (მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობისა და კანუქონის) საქართველოს ეროვნული სკოლის თავმჯდომარე, ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის (WAAS) ნამდვილი წევრი, ისტორიულ პლატფორმაზე გათა საერთაშორისო აკადემიის (IAPHS) აკადემიონი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

1986 წელს დაამთაერა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნების უპრეზიდენტი, ხოლო 1989 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის წყაროთმცოდნების განყოფილების ასპირანტურა. 1990 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 2006 წელს სადოქტორო დისერტაცია.



გამოქვეყნებული აქვს 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 5 მონტაჟის და 10 ნაშრომი გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ (შევიცარია, ნიდერლანდების, აშშ). არის საქართველოს ოკუპაციის ისტორიის მუზეუმის საინიციატივო ჯგუფის წევრი.



### ქახა კვაშილავა

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმძღვანელოს უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ასპირანტი.



### მზად მბალოგლიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, 1958 წელს დაამთავრა ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ფრანგული ენის განხრით. 1959-1970 წწ. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ უცხოური წყაროების მთარგმნელობით კომისიაში, 1970 წ-დან მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში. 1978 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „საქართველოს ადწერა XVII

ს. ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის მიხედვით“. არის რამდენიმე მოგორაფიისა და სამეცნიერო სტატიების ავტორი, მათ შორის – „ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (1975 წ.); „ჟან ფრანსუა გამბას მოგზაურობა ამიერკავკასიაში (ტ. I, 1987 წ.); „ტურქეთი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში“ (1988); „რემონ ჟანნი, საქართველო“ (1996 წ.).



ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნ. თანამშრომელი. 1977 წ. დაამთავრა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, 1977-1981 წწ. – გაიარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურის კურსი, 1983 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ახალი ისტორია“ (1744-1819 წწ.) როგორც საისტორიო წყარო. გამოქვეყნდული აქვს მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები წყაროთმცოდნების დარგში („თეიმურაზ ბატონიშვილი „ახალი ისტორია““ (1983 წ.); „ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989 წ.) და სხვა).

## მაია მაჟავარიანი



სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის მოდულის უფროსი მასწავლებელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, 2004-06 წლებში გამოქვეყნდული აქვს 12 სტატია, მათ შორის ორი საზღვარგარეთ. ქრებულში წარმოდგენილი სტატიის თემატიკას ეძღვნება შემდეგი პუბლიკაციები: 1. „ბალკანეთის სახელმწიფოთა პოზიცია 1914 წელს ქართული გაზეთების ფურცლებზე“, 2004 წ.; 2. „ოსმალეთი 1914 წელს“, 2005 წ.; 3. „ფრანც-ვერდინანდის მკვლელობა“, 2005 წ.; 4. Отражение начального плана первой мировой войны на страницах журнала «Клде», 2004 г.



„გარდან არველცის „მსოფლიო ისტორია“ როგორც საისტორიო წყარო“. 1997-1999 წლებში იყო საქართველოს პრეზიდენტის სტადინდიანტი.

მისი სამუცნიერო ინტერესის სფეროა შუა საუკუნეების სომხური ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობა; ქართული და სომხური საისტორიო მწერლობის ურთიერთმიმართების საკითხები. ბოლო წლებია ის აქტიურად იკვლევს სამხრეთ კავკასიურ პოლიტიკურ ურთიერთობებს XX საუკუნეში. პარალელურად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კავკასიის ბიზნესის სკოლებში. კითხულობს სალექსიო ქურსებს: საქართველოს ისტორიაში, წყაროთმცოდნეობაში, მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში. გამოცემული აქვს 40-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ორი მონოგრაფია: „გარდან არველცი. მსოფლიო ისტორია“, ქველი სომხურიდან თარგმანი, გამოქვეყნა, კომენტარები (2002 წ.), „მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია“ (2005 წ.).



### ძეთმვან მანია

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის მოდულის მასწავლებელი. 1996 წ. დამთავრა საერო ინსტიტუტი „გაეგნათი“. 1997-2002 წლებში იყო ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილების მაძიებელი. 2003 წ. დაიცვა საქანდიდატო დისერტაცია თემაზე: „წყაროთმცოდნეობითი კელები საქართველოში XX ს. 60-90-იან წლებში“. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სამეცნიერო სტატია. მისი სამეცნიერო ინტერესის სფეროა წყაროთმცოდნეობა, ისტორიოგრაფია.

თინა ყაუხეჩიშვილი, ლიანა დავლიანიძე, დავით მუსხელიშვილი მამისა ბერძნების 75 ფლითავის გამო.....	3
გიული ალასანია ლიანა დავლიანიძე.....	9
გიული ალასანია გამოსვლა 0. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციაზე (28 დეკემბერი, 2005).....	12
ნანა საზარაძე ლუკოშვილი ორი იეროგლიფის ისტორიისათვის.....	16
Нана Хазарадзе <b>К ИСТОРИИ ЛУВИЙСКИХ ДВУХ ИЕРОГЛИФОВ.</b> .....	22
თინათინ ყაუხეჩიშვილი გეღებას მტიობოლობისათვის.....	25
Tinatin Kaukhchishvili <b>FOR THE ETYMOLOGY OF MEDEIA.</b> .....	27
გიული ალასანია “ქართველთა სამეცნის” შემხეის სათავეებთან.....	28
Giuli Alasania <b>EMERGING GEORGIAN KINGDOM.</b> .....	50
ლია ახალაძე ძართული სამოხელეო ინსტიტუტის აშხაბეთის მაიმართვის მიმღებები.....	54
Lia Akhaladze <b>THE EVIDENCE CONCERNING GEORGIAN MEDIEVAL STATE OFFICIALS IN EPIGRAPHIC MONUMENTS FROM APKHAZIA.</b> .....	60
ზურაბ პაპასქირი 306 იქრ “ერისთავი ჩიხისა” “მატიანე ქართლისად”-ს ტექსტში ერთი კონიექტურის შეტანის მიზანშეწოდობის შესახებ.....	64
ზუраб პაპასქირი <b>КТО БЫЛ «ЭРИСТАВОМ В ЧИХА»</b> О целесообразности внесения одной конъектуры в текст “Матиане Картлиса” .....	68
გიორგი ანჩაბაძე შერგავითი გვარის ფარმოზოგის შესახებ.....	72
George Anchabadze <b>ORIGIN OF THE FAMILY OF SHERVASHIDZE.</b> .....	78

როლანდ თოფჩიშვილი	
-შე (-ხე) სუზიძის უცემა გუნდის შესახებ ძართულ ანთროპოლოგიაზო.....	81
Roland Topchishili	
<b>ON UNKNOWN FUNCTION OF SUFFIX -PKHE (-KHE) IN THE GEORGIAN ANTHROPONOMY .....</b>	86
მარიამ ჩხარტიშვილი	
ყმია მამა გიორგი მთაწმიდელი და ძართული იღენდობის საბანები XI საუკუნეები.....	87
Mary Chkhartishvili	
<b>SAINT GEORGE OF MTATSMNIDA AND MARKERS OF GEORGIAN IDENTITY IN THE 11<sup>TH</sup> C.....</b>	99
მამისა ბერძნიშვილი	
ათონის აღაეთა მრთი ტერმონის შესახებ.....	102
Mamisa Berdznishvili	
<b>ON ONE TERM FROM ACTS OF THE IVIRO MONASTERY ON MOUNT ATHOS.....</b>	107
ვალერი სილოგავა	
შემცირები ყერილობითი ცერე აფხაზეთის ქათაღიგრის შესახებ (ახალციხეური სახარების ანდერძ-მოსახესენებლები).....	108
Valeri Silogava	
<b>ANCIENT WRITTEN INFORMATION ABOUT THE CATHOLICOS OF ABKHAZIA</b>	
(Colophons of the Akhaltsikian Gospel).....	113
თემო ჯოჯუა	
არტანუჯელი პილიგრიმის გიორგი ლომას-ძის საგედროები (XV ს.) იერუსალიმში გადატანილი 1160 ყლის გარმჯული პრეპარატის (VEN.4-ის) ავიებიდან.....	121
Temo Joja	
<b>SUPPLICATION MARGINAL COLOPHON (15TH C.) OF GIORGI LOMAS-DZE, PILGRIM FROM ARTANUJI, FOUND IN THE MANUSCRIPT COPIED IN 1160 AT GAREJI DESERT (VEN. 4), LATER ON IN THE POSSESSION OF A GEORGIAN MONASTERY IN JERUSALEM.....</b>	130
ლიანა დავლიანიძე	
რატომ ეყრდნობ ძურდის ხევს ძურდვაპარო, ანუ ძურდვაპროს ხევი?.....	135
Liana Davlianidze	
<b>WHY “THE KURD’S CANYON” CONVERTED INTO “THE KURDMERCHANT CANYON”? .....</b>	137

გონელი არახამია „საქართლის ერისთავი“ თუ „სა-ქართლისერისთვ-ო“.....	139
Goneli Arakhamia	
<b>INTERPRETATION OF ONE NOTICE OF THE 13TH CENTURY GEORGIAN HISTORICAL DOCUMENT.....</b>	<b>143</b>
ნაოელა კბილცეცხლაშვილი „პეთრი ბეზისა“ ძართულ ისტორიულ საბუთებზო.....	144
Natela Kbiltsetskhishvili	
“GEHAZI'S LEPROSY” IN GEORGIAN HISTORIC DOCUMENTS.....	148
მირიან მახარაძე შემოსია თუ არა თეთრგაბეჭდიანთა მარკანებელი ქუთილუ საქართველოს.....	149
Mirian Makharadze	
<b>DID THE AKKOVUNLU RULER QUTLU INVADE GEORGIA.....</b>	<b>152</b>
ლევან ურუშაძე ენტონი ჯენკინსის “საარსეთში მოგზაურობის” ცხოველი საქართველოს შესახებ.....	155
Levan Urushadze	
<b>THE EVIDENCE OF THE “TRAVEL IN PERSIA” OF ANTHONY JENKINSON CONCERNING GEORGIA.....</b>	<b>157</b>
ლევან ურუშაძე გეორგ ტექტანდერის “მოგზაურობის” ცხოველი საქართველოს და კავკასიის შესახებ (1602-1603 წწ.),.....	158
Levan Urushadze	
<b>THE “JOURNEY” OF GEORG TEKTANDER CONCERNING GEORGIA AND THE CAUCASUS.....</b>	<b>160</b>
კახა კვაშილავა შახ შარდენის „მოგზაურობის“ ერთი ადგილის წაკითხვისათვის.....	162
Kaxa Kvashilava	
<b>К ПРОЧТЕНИЮ ОДНОГО ОТРЫВКА «ПУТЕШЕСТВИЯ» ЖАНА ШАРДЕНА.....</b>	<b>165</b>
<b>მზია მგალობლიოშვილი</b>	
ლელა მიქეაშვილი შაბ-ზრანშა ბაგა თბილისის მოსახლეობის შესახებ.....	172
Mzia Galoblishvili	
Lela Mikiashvili	
<b>JAQUES FRANCOIS GAMBA'S INFORMATION ABOUT THE POPULATION OF TBILISI.....</b>	<b>179</b>

მაია მაჭავარიანი	
I მსოფლიო ომის გამოცხადება და 1914 წლის ქართული პრესა.....	202-203
Maia Machavariani	
WORLD WAR I ON THE PAGES OF THE GEORGIAN PRESS IN 1914.....	188
ეკა კვაჭანტირაძე	
სომებთა ეროვნული საბჭოს რამდენიმე ღოკუმენტის შესახებ.....	190
Eka Kvachantiradze	
ON SOME OF THE DOCUMENTS OF THE ARMENIAN NATIONAL COUNCIL.....	195
ქეთევან მანია	
ყყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემების პლეია საქართველოში.....	196
Ketevan Mania	
OVERVIEW OF RESEARCHES ON SOURCE STUDIES THEORETICAL PROBLEMS IN GEORGIA.....	200
მარიამ ჩხარტიშვილი	
თვითდასახელება რომორც გართული იდენტობის გარემო.....	204
Mary Chkhartishvili	
PROPER NAME AS A MARKER OF GEORGIAN IDENTITY.....	217
ლიანა დავლიანიძის შრომების სია.....	219
გამოსა გერმნიულის შრომათა სია.....	223
აგეტორები.....	227



დაიპეტებული გამოშეცვერლობა პროტოკოლი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17 ბ

25-05-22, 8(99) 25-05-22, 8(99) 53-05-22

[artanuji@telenet.ge](mailto:artanuji@telenet.ge)



18 88/8

10-90